

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/344887027>

# არატრადიციული ეკონომიკის: მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია. მე-2 შევსებული და განახლებული გამოცემა

Book · July 2020

CITATIONS

0

READS

262

1 author:



Vladimer Papava

Ivane Javakishvili Tbilisi State University

470 PUBLICATIONS 1,822 CITATIONS

SEE PROFILE

Some of the authors of this publication are also working on these related projects:



Project

Economic Growth [View project](#)



Project

Economics [View project](#)



ვლადიმერ  
(ლადო)  
პაპავა

არატრადიციული  
ეკონომიკა

---

---

ვლადიმერ (ლადო) პაპავა

არატრადიციული

ეკონომიკსი:

მეთოდოლოგია

და მეთოდოლოგია

ვლადიმერ (ლადო) პაპავა. **არატრადიციული ეკონომიკის: მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია**. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 420 გვ.

მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური საკითხები, რომელთა შესწავლაც სცილდება ტრადიციული ეკონომიკის კურსს. ეკონომიკის მიერ დასმულ ტრადიციულ კითხვებზე მოცემულია ის არატრადიციული პასუხები, რომლებიც რეალობასთან ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე ის პასუხები, რომლებსაც ტრადიციული ეკონომიკის იძლევა. ეს კი მკითხველს აძლევს საშუალებას, გაიღრმავოს ეკონომიკური ცოდნა. ნიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს და მისი შესწავლა მიზანშეწონილია ტრადიციული ეკონომიკის შესწავლის შემდეგ.

ნაშრომი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და ეკონომიკის ფაკულტეტების დოქტორანტებისა და პროფესორებისათვის, აგრეთვე მკითხველთა იმ წრისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური პრობლემების შესწავლით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

## ვლადიმერ (ლადო) პაპავა

არატრადიციული

ეკონომიკისი:

მეთოდოლოგია

და მეთოდოლოგია

მე-2 შვესებული და განახლებული გამოცემა



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

სამეცნიერო  
რედაქტორი

**რამაზ აბესაძე**, ეკონომიკურ მეცნიერე-  
ბათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

**ელგუჯა მექვაბიშვილი**, ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მიხეილ თოქმაზიშვილი**, ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*საავტორო უფლებები დაცულია.*

*თუ ავტორის ან გამომცემლობის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, არ შეიძლება წიგნის რომელიმე მონაკვეთი გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

© პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა, 2020

ვუძღვნი მუღლეს – მარის  
და გიორგი პაპავა-უმცროსს



# სარჩევი

---

შესავალი, ანუ ტრადიციული და არატრადიციული ეკონომიკის: მსგავსება და განსხვავება	13
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	23

---

თავი 1. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები	26
1.1. ეკონომიკური მეცნიერების ქრონიკული დაავადება . . . . .	26
1.2. ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთმიმართება . . . . .	32
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	37

---

თავი 2. ადამიანი ეკონომიკაში	44
2.1. ეკონომიკური ადამიანი . . . . .	44
2.2. საბჭოთა ადამიანი და გარდამავალი ადამიანი	48
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	52

---

თავი 3. თავისუფალი, ფსევდორეალური და რეალური ბაზარი	56
3.1. რამდენი სახესხვაობა აქვს ბაზარს? . . . . .	56
3.2. თავისუფალი ბაზარი . . . . .	58
3.3. თავისუფალი ბაზრის ფიასკო და ფსევდორეალური ბაზარი . . . . .	60
3.4. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია და რეალური ბაზარი . . . . .	67
3.5. რეალური ბაზარი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სანყის ეტაპზე . . . . .	73
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	76

თავი 4.	საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა	78
4.1.	ეკონომიკური მეცნიერება და კომუნისტური სისტემის მსხვრევა . . . . .	78
4.2.	ტრანსფორმაციის ტერმინოლოგია . . . . .	81
4.3.	საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზა გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	87 .102
<hr/>		
თავი 5.	ნეკროეკონომიკა: საქონლის ბაზარი, რომელშიც მოთხოვნა არ არსებობს	114
5.1.	კომუნისტური ტიპის ეკონომიკის ძირითადი თავისებურებანი . . . . .	.114
5.2.	ნეკროეკონომიკა . . . . .	.118
5.3.	ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორია და ნეკროეკონომიკის აღწარმოების საფუძველი . . . . .	.123
5.4.	ნეკროეკონომიკის მოსპობის მექანიზმი . . . . .	.125
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	.129
<hr/>		
თავი 6.	სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში და წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფცია	133
6.1.	წარმოების ფაქტორები და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი . . . . .	.133
6.2.	წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფცია . . . . .	.140
6.3.	სრული ბაზარი, ანუ საზოგადოებრივი დოვლათის გაყიდვის სისტემა . . . . .	.143
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	.147
<hr/>		
თავი 7.	ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი	150
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	.158

თავი 8.	სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაცია	161
8.1.	სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის გზები . . . . .	.161
8.2.	მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგება . . . . .	.164
8.3.	პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა	166
8.4.	პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა. . . . .	.169
8.5.	პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა . . .	.171
8.6.	პრივატიზაციის დილემა: ობიექტის მომგებიანობა და სტრატეგიულობა . . . . .	.173
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	.176
<hr/>		
თავი 9.	კორუფციის ეკონომიკური საფუძვლები	179
9.1.	ორი მიდგომა კორუფციის წინააღმდეგ: „ბრძოლა“ თუ „შეზღუდვა“? . . . . .	.179
9.2.	მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და კორუფცია . . . . .	.181
9.3.	საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუციების სისუსტე და კორუფცია . . .	.184
9.4.	კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება და კორუფცია . . . . .	.188
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	.192
<hr/>		
თავი 10.	საბარეო ვაჭრობის რეჟიმები: პროტექციონიზმი და ფრიტრედერიზმი	196
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	.207

თავი 11.	საბარემო ვაჭრობის რეჟიმი და თავისუფალი ეკონომიკური ზონა	211
11.1.	რა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა?	211
11.2.	რა ტიპის შეღავათებია შესაძლებელი? . . .	216
11.3.	რისთვის იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა? . . . . .	217
11.4.	რას გვასწავლის საერთაშორისო გამოცდილება? . . . . .	219
11.5.	საქართველოს გამოცდილება. . . . .	221
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	225
<hr/>		
თავი 12.	მკვეთრი ზრდის ეფექტი	228
12.1.	ეკონომიკური ზრდა და მკვეთრი ზრდის ეფექტის პრობლემა. . . . .	228
12.2.	პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზა . . .	230
12.3.	ინვარიანტულობის პრინციპი. . . . .	233
12.4.	დიდი ოცეულის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა პოსტკრიზისულ პერიოდში . . . . .	237
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	247
<hr/>		
თავი 13.	დამნევი და ჩამორჩენილი ზრდა (ევროკავშირის პოსტკომუნისტური მემყნების გამომცდილება)	249
13.1.	ეკონომიკური ზრდის ძირითადი ტიპები. . .	249
13.2.	კომბინატორული წანამატის კონცეფცია . .	253
13.3.	ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების გამოცდილება . . .	258
13.4.	უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელი და საქართველო . . . . .	263
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	264

თაზო 14.	ინფლაციის მოდიფიცირებადი მაჩვენებლები და ინფლაციის კომპლექსური თარგმთირება	270
14.1.	რამდენად ადეკვატურად აღიქვამს მოსახლეობა ინფლაციის მაჩვენებელს? . . . . .	270
14.2.	ინფლაციის მოდიფიცირებული მაჩვენებლები: იმფლაცია, აგფლაცია და მანფლაცია . . . . .	273
14.3.	ინფლაციის თარგმთირების რეჟიმი და მისი კრიტიკა . . . . .	277
14.4.	ინფლაციის კომპლექსური თარგმთირების რეჟიმი . . . . .	280
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	284
თაზო 15.	ეკონომიკის მონებარული სტიმულირება, ჰოლანდიური დაავადება, სავალუტო ფარი და კრიპტოვალუტა	289
15.1.	როდის არის შეუძლებელი ეკონომიკის მონეტარული სტიმულირება? . . . . .	289
15.2.	ჰოლანდიური დაავადება . . . . .	295
15.3.	სავალუტო ფარი . . . . .	299
15.4.	კრიპტოვალუტის ეკონომიკური შინაარსის ძიება . . . . .	303
	გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	307
თაზო 16.	ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე	317
16.1.	XXI საუკუნის პირველი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი . . . . .	317
16.2.	ეკონომიკის ზომბირების იაპონური გამოცდილება . . . . .	320
16.3.	ნეკროეკონომიკასა და ზომბიეკონომიკას შორის მსგავსება და განსხვავება. . . . .	323
16.4.	ზომბიეკონომიკის რუტინა და გაკოტრების ინსტიტუციის მნიშვნელობა . . . . .	325

16.5. ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე . . . . . 327  
 გამოყენებული ლიტერატურა . . . . . 331

თაპი 17. რეტროეკონომიკა: ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და მისი დაძლევის ძირითადი გზები . . . . . 341

17.1. რეტროეკონომიკა, როგორც ნეკროეკონომიკის წინამორბედი . . . . . 341

17.2. რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას? . . . . . 346

17.3. ტექნოლოგიური ნახტომის განხორციელების მექანიზმი . . . . . 349

17.4. კრეატიული ნგრევის პროცესი და გაკოტრების ძირითადი პრინციპი . . . . . 352

17.5. სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები რეტროეკონომიკის ფენომენის დასაძლევად . . . . . 356  
 გამოყენებული ლიტერატურა . . . . . 358

თაპი 18. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია . . . . . 362

18.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარებაში . . . . . 362

18.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკული ანალიზი . . . . . 365

18.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია . . . . . 385  
 გამოყენებული ლიტერატურა . . . . . 392

დასკვნა, ანუ ეკონომიკური მემნიერების ახალი პარადიგმის ძიებისათვის . . . . . 399  
 გამოყენებული ლიტერატურა . . . . . 410

---

## შესავალი,

ანუ ტრადიციული და არატრადიციული ეკონომიკის:  
მსგავსება და განსხვავება

---

ადამიანის არსებობა დოვლათის მოხმარების გარეშე წარმოუდგენელია. ყოველივე ის, რაც მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო, უშუალო სახით ბუნებაში იშვიათად მოიპოვება. სწორედ ამიტომ, ადამიანის მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტების შესაქმნელად აუცილებელია რესურსების (რომლებიც, თავის მხრივ, როდენობითა და ხელმისაწვდომობით შეზღუდულია) წარმოებაში გამოყენება. თავის მხრივ, თუკი რესურსებისა და წარმოებული პროდუქტების განაწილება არ მოხდება, ეს პროცესი ვერ წარიმართება. ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა *ეკონომიკა*. *ეკონომიკის* კი სწორედ ეკონომიკის შემსწავლელი დისციპლინაა. ეკონომიკის სწავლობს ეკონომიკური პროცესების თეორიულ საფუძვლებს და მისი მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ, რა გზებითა და ხერხებით წყვეტს ადამიანი რესურსების შეზღუდულობის პრობლემას. ეკონომიკის იძლევა პასუხს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს იშვიათი რესურსებით ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

იმის მიხედვით, თუ წარმოებისა და მოხმარების შესახებ ვინ იღებს გადაწყვეტილებას – ცალკეული პირები და კერძო ფირმები თუ სახელმწიფო, ეკონომიკურ თეორიაში, შესაბამისად, *საბაზრო* და *მბრძანებლურ ეკონომიკას* (ეს უკანასკნელი კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს) განასხვავებენ. თანამედროვე მსოფლიოში წმინდა სახით მათგან არც ერთი არ არსებობს, რადგანაც, რეალურად, ხსენებულ გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ერთდროულად, როგორც ცალკეული პირები და კერძო ფირმები, ისე სახელმწიფოც იღებს, რის შედეგადაც სინამდვილეში მხოლოდ *შე-*

რეული ეკონომიკა არსებობს (იხ., მაგალითად, გოგობია, 2001ა, 2001ბ; ჭითანავა, 1997, 1999ა, 1999ბ; ჭითანავა, თაკალანძე, 2008; Папава, 2009).

ეკონომიკის, როგორც ასეთის, შესწავლის მიზნით ე.წ. იერ-არქიული მიდგომა გამოიყენება, რომელიც ზოგადად სამეცნიერო გამოკვლევებში საკმაოდაა გავრცელებული. ტრადიციულად მიღებულია ქვეყნის ეკონომიკის ორსაფეხურიანი – ქვედა და ზედა დონის მიხედვით წარმოდგენა.

ქვედა დონეზე შეისწავლება ეკონომიკის ცალკეული სუბიექტების – საოჯახო მეურნეობებისა<sup>1</sup> და ფირმების ქცევა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ურთიერთზემოქმედება ბაზარზე. ეკონომიკის ეს დონე – *მიკროეკონომიკის*, ხოლო მისი შემსწავლელი დისციპლინა *მიკროეკონომიკის* სახელწოდებითაა ცნობილი.

ზედა დონეზე აქცენტი გაკეთებულია ქვეყნის ეკონომიკის, როგორც ერთიანი ორგანიზმის ქცევის (რაც ეკონომიკურ ზრდაში, ინფლაციაში, დასაქმებაში, საგარეო ვაჭრობასა და სხვ. გამოიხატება) შესწავლაზე. ეს დონე კი – *მაკროეკონომიკის*, ხოლო მისი შემსწავლელი თეორია *მაკროეკონომიკის* სახელწოდებითაა ცნობილი.

როცა ეკონომიკას გლობალურად – მსოფლიო მასშტაბით განიხილავენ, მაშინ დღის წესრიგში კიდევ ერთი დონის გამოყოფა დგება, რომელიც *მეგაეკონომიკის* სახელწოდებითაა ცნობილი; *მეგაეკონომიკის* კი, როგორც დისციპლინა, ეკონომიკის საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებს, მსოფლიო ეკონომიკის დინამიკას შეისწავლის.

ეკონომიკის ჩამოთვლილ სფეროთაგან ყველაზე უკეთ მიკროეკონომიკისი და მაკროეკონომიკისია განვითარებული. მეგაეკონომიკური კვლევა კი შედარებით ახალი სფეროა.

<sup>1</sup> ინგლისური ტერმინი „household“ ქართულად ითარგმნება, როგორც „მინამეურნეობა“, თუმცა მიგვაჩნია, რომ უფრო ადეკვატური ქართული თარგმანია „საოჯახო მეურნეობა“. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ეს ტერმინია გამოყენებული.

ეკონომიკის არაერთი კლასიკური სახელმძღვანელო არსებობს (მაგალითად, Mankiw, 2004; Макконнелл, Брю, 1992; Мэнкью, 1999; Самуэльсон, Нордхаус, 1999; Фишер, Дорнбуш, Шмалензи, 1993), რომელთაგან რამდენიმე ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომია (მაგალითად, ბომოლი, ბლაინდერი, 2006; მენქიუ, 2008; სამუელსონი, ნორდჰაუსი, 2000; ფიშერი, დორბუში, შმალენზი, 1997). მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავება არ არის და მათი მსგავსი სახელმძღვანელოები მრავლადაა გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მათ პირობითად ტრადიციული ეკონომიკის სახელმძღვანელოები ვუწოდოთ.

ყველა ეს სახელმძღვანელო აგებულია ისეთ დაშვებებზე, რომლებიც რეალურად ყოველთვის არ სრულდება. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკაა“. კერძოდ, ეკონომიკის ამ ტრადიციულ სახელმძღვანელოებში მთელი რიგი ეკონომიკური კანონზომიერებები შესწავლილია იმ დაშვებაზე, რომ მთელი ეკონომიკა ლეგალურია, რომ „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, როგორც ასეთი, არ არსებობს. სინამდვილეში კი, ის ზემოხსენებულ სამივე დონეზეა წარმოდგენილი.

„ჩრდილოვანი“ ეკონომიკა თავისი ბუნებით სახელმწიფოს მიერ საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების აღურიცხავი საქმიანობაა. ამიტომ ის, უწინარეს ყოვლისა, მიკროეკონომიკის სფეროშია მოქცეული. რადგან ხსენებული აღურიცხავი საქმიანობა მთელი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის შედეგებს უშუალო ზეგავლენა აქვს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, კერძოდ კი ისეთებზე, როგორცაა საგადასახადო შემოსავლების შემცირება, ექსპორტ-იმპორტის სიდიდეთა შემცირება და სხვ. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბების გაფართოებით მან საერთაშორისო ხასიათი მიიღო, როცა, მაგალითად, ერთ ქვეყანაში შექმნილი „შავი“ ფულის „გარეცხვა“ მეორე ქვეყანაში ხორციელდება, რაც, საბოლოო ჯამში, აუცილებლად საჭიროებს მეგაეკონომიკურ გამოკვლევებში გათვალისწინებას.

ნიშანდობლივია, რომ „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ (რომ არაფერი ვთქვათ კორუფციის ფენომენზე) და მისი სამივე დონეზე გამოვლენის კვლევა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და ჯერჯერობით ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა, თუმცა ტრადიციული ეკონომიკის, ცალკეული გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, მასზე დუმილს ამჯობინებს.

„ჩრდილოვანი ეკონომიკის“ გარდა, არაერთი სხვა პრობლემაც არსებობს, რომელიც ასახვას ვერ პოულობს ტრადიციულ ეკონომიკაში, თუმცა, რეალურად, გადანყვევების ძიებას თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მოითხოვს.

ცხოვრების მიერ დაყენებულ კითხვებზე პასუხის მოძებნა ტრადიციული ეკონომიკის ჩარჩოებში ზოგჯერ პრინციპულადაც კი შეუძლებელია. ამის საუკეთესო მაგალითია კომუნისტური რეჟიმის მსხვერველს შედეგად მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა. კერძოდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომისტების წინაშე დაისვა ურთულესი კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა ამ გადასვლის თეორიის არარსებობის პირობებში.

თანამედროვე გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ეკონომისტთა წინაშე არაერთი ისეთი საკითხი წამოსწია, რომლებიც ასევე ვერ ჯდება ტრადიციული ეკონომიკის ფარგლებში.

ჯერ კიდევ 1910 წელს ავსტრიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ცნობილმა ბრიტანელმა ეკონომისტმა ფილიპ ვიკსტიდმა (Philip Wicksteed) გამოსცა წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის ჯანსაღი აზრი“ (*The Common Sense of Political Economy*). ამ წიგნმა არაერთ გამოცემას გაუძლო და დღეს ის ე.წ. „ჯანსაღი აზრის ეკონომიკის“ (*“Commonsense Economics“*) წინამორბედად მიიჩნევა, რომლის მიზანიც ეკონომიკური პრობლემების მიმართ რეალისტური და ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებაა (Lewis, 2009, pp. 3-12).

ნათქვამიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეკონომისტთა წრეში სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს არატრადიციული ეკონომიკური აზროვნების განვითარების მიზანშეწონილობა. ხაზგასასმელია, რომ ბოლო პერიოდში ეკონომისტთა შორის ძალზე პოპულარულია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის პერიოდული ელექტრონული პუბლიკაციები რუბრიკით „არატრადიციული ეკონომიკური სიბრძნე“ (“Unconventional Economic Wisdom”)<sup>1</sup> (Stiglitz, 2010).

ტრადიციულ ეკონომიკაში დასმულ კითხვებზე რეალობასთან უფრო დაახლოებულ პასუხებს იძლევა სხვადასხვა ეკონომიკური თეორია, რომელიც ამ ტიპის ეკონომიკის ჩარჩოებში ვერანაირად თავსდება. იმისათვის კი, რომ ეკონომიკის შესახებ უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღება იყოს ხელმისაწვდომი, ამ თეორიების შესწავლაც აშკარად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

საკითხის ამგვარმა დაყენებამ გვიბიძგა, შეგვექმნა „**არატრადიციული ეკონომიკის**“ ავტორისეული დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკის ფარგლებიდან გადის, ასევე ისეთ ცალკეულ საკითხებსაც, რომელთა ცოდნაც აუცილებელია რეალური ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე.

სხვა სიტყვებით, *არატრადიციული ეკონომიკისათვის, ტრადიციულის მსგავსად, შესწავლის ობიექტი და უმთავრესი კითხვები, რაზეც ეკონომისტს უნდა შეეძლოს პასუხების გაცემა, იგივეა. იცვლება ამ კითხვებზე პასუხები. კერძოდ, ამა თუ იმ ეკონომიკურ კითხვაზე პასუხი არატრადიციული ეკონომიკიდან რეალობასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე იმავე კითხვაზე პასუხი ტრადიციული ეკონომიკიდან.*

<sup>1</sup> „არატრადიციული ეკონომიკი“ არის სტიგლიცისეული „Unconventional Economics“-ის ქართული თარგმანი. სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი ეკონომისტი ტერმინ „არატრადიციული ეკონომიკის“ ინგლისურ ენაზე თარგმანისას სიტყვა „Unconventional“-ს ანაცვლებს სიტყვა „Nontraditional“-ით, რაც არ არის სწორი.

გარდა აღნიშნულისა, არატრადიციული ეკონომიკის მოიცავს ისეთ საკითხებსაც, რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, გაკვერით თუ მოიხსენიება ტრადიციულ ეკონომიკაში.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა იმის შესახებ, ცვლის თუ არა არატრადიციული ეკონომიკის ტრადიციულ ეკონომიკას. იმის გათვალისწინებით, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ტრადიციულ და არატრადიციულ ეკონომიკებს შორის, გასაგები გახდება, რომ ეკონომიკის შესწავლა უნდა იწყებოდეს ტრადიციული ეკონომიკის, ხოლო შესწავლილის გაღრმავება კი უნდა გაგრძელდეს არატრადიციული ეკონომიკის კუთხით.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არაერთი სადისკუსიო ნაშრომი გამოიცა, რომელიც ეკონომიკის თეორიული გააზრების შესატყვისი დისციპლინის სახელწოდებასა და შინაარსს ეძღვნებოდა (მაგალითად, ასათიანი, 2005; ლეიაშვილი, 2002; მექვაბიშვილი, 2007; პაპავა, 1991; პაჭკორია, 1994; სისვაძე, 2007, 2010; შუბლაძე, 2004; Папава, 1992).

საყურადღებოა, რომ ტერმინი „ეკონომიკის“ ქართულ ენაში სრულფასოვნად ფეხმოკიდებულად ჯერჯერობით ვერ ჩაითვლება, რადგან, პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, უფრო ხშირად მის სინონიმად – ტერმინი „ეკონომიკური თეორია“, შედარებით იშვიათად კი ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ გამოიყენება.

ტერმინი „ეკონომიკის“ ცნობილ ინგლისელ ეკონომისტს ალფრედ მარშალს ეკუთვნის, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს გამოიყენა ზოგადად ეკონომიკის, ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების აღსანიშნავად. მან ტერმინ „ეკონომიკის“ იმ დროისათვის უფრო გავრცელებული ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ ჩაანაცვლა (Блюмин, 1962, сс. 174-192). საბჭოთა კავშირში მიიჩნეოდა, რომ ეკონომიკის ბურჟუაზიული მეცნიერება იყო და, ამდენად, ის მხოლოდ ე.წ. „ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიების“ კრიტიკის კონტექსტში მოიხსენიებოდა (მაგალითად, Кара-таев, 1966).

საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში, განსაკუთრებით კი მისი დანგრევის შემდეგ, როგორც საქართველოში (როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა), ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში, ეკონომისტთა შორის მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, თუ რა უნდა დარქმეოდა ეკონომიკის თეორიული საფუძვლების შემსწავლელ დისციპლინას – „ეკონომიკისი“, „ეკონომიკური თეორია“, თუ მის სახელწოდებად უცვლელად დარჩენილიყო „პოლიტიკური ეკონომია“. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ინგლისური „Economics“-ის ქართულ თარგმანად „ეკონომიკა“ არ გამოდგება, რადგანაც ეს უკანასკნელი უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის ამსახველია. მოცემული დისკუსიის დროს ჩვენ შევთავაზეთ ტერმინი „თეორიული ეკონომიკა“ (პაპავა, 1991; Панава, 1992) და ამ სახელწოდების დამხმარე სახელმძღვანელოც კი დაინერა (პაპავა, ახმეტელი, ლეიაშვილი, ულუმბერაშვილი, 1993)<sup>1</sup>. ამ ტერმინის შეთავაზებისას იქიდან გამოვდიოდით, რომ თავისი შინაარსით ტერმინი „ეკონომიკისი“ სცდება ეკონომიკური თეორიის ერთი რომელიმე სკოლისა თუ მიმართულების (მაგალითად, მერკანტილისტური, ფიზიოკრატიული, მარქსისტული და სხვ.) ფარგლებს და ყველა ამ სკოლისა თუ მიმართულების მეტ-ნაკლებად გამაერთიანებელ საფუძვლებს შეისწავლის.<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით ტერმინ „ეკონომიკისის“ ყველაზე საუკეთესო შესატყვისად ტერმინ „თეორიულ ეკონომიკას“ მივიჩნევდით და დღესაც მივიჩნევთ. თანაც იმასაც ვითვალისწინებდით, რომ მსგავსი მიდგომის საფუძველზე ფიზიკაში ტერმინი „თეორიული ფიზიკა“ უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია.

რაც შეეხება ტერმინს „პოლიტიკური ეკონომია“, ჩვენ ის უარყვავით იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერე-

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ტერმინ „ეკონომიკისის“ ქართულ თარგმანად „თეორიული ეკონომიკისი“ გამოყენებას როგორც მომხრე (მექვაბიშვილი, 2007, გვ. 126), ისე მონინააღმდეგეებიც (პაჭკორია, 1994, გვ. 13; შუბლაძე, 2004, გვ. 236) გამოუჩნდა.

<sup>2</sup> სწორედ იმის გამო, რომ არსებობს არა ერთი, არამედ სხვადასხვა „ეკონომიკური თეორია“, ამიტომ ეს უკანასკნელი ეკონომიკის თეორიული საფუძვლების შემსწავლელი დისციპლინის სახელწოდებად ვერ გამოდგება.

ბებში ის გამოიყენება, როგორც სახელმწიფო მონაცემების ეკონომიკური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერება და, ამდენად, შედის არა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებათა შემსწავლელ დისციპლინათა ჯგუფში.

პრაქტიკულად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში (და, სამწუხაროდ, მათ შორის საქართველოშიც) ხსენებული პრობლემის გადაწყვეტის აშკარად მცდარმა მიდგომამ გაიმარჯვა და, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ტერმინ „ეკონომიკის“ ნაცვლად მისი არაადეკვატური შესატყვისი ტერმინები – „ეკონომიკური თეორია“ ან შედარებით უკეთესი – „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“ და „ეკონომიკის საფუძვლები“ გამოიყენება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტერმინი „ეკონომიკის თეორია“, რომელიც, მისი ავტორის თანახმად, „ეკონომიკიდან“ იმით განსხვავდება, რომ პირველი უფრო თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათისაა, ხოლო მეორე უფრო პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისთვისაა მონოდებული (სისვაძე, 2010, გვ. 96-97). გავრცელებული ტერმინის „ეკონომიკური თეორიის“ (სისვაძე, 2006, 2007) ტერმინ „ეკონომიკის თეორიით“ ჩანაცვლება (სისვაძე, 2010), ჩვენი აზრით, აშკარად მისასალმებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავად ეკონომიკის განვითარებადი დისციპლინაა, ის არ არის ერთ ადგილზე მდგომი და, ამდენად, მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გაღრმავების მიმართულებით გამდიდრება უნდა იყოს მკვლევარ ეკონომისტთა მიზანი.

რაც შეეხება შეხედულებას სამი დისციპლინის – პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკის თეორიისა და ეკონომიკის ერთ დისციპლინაში – „ეკონომიკის ზოგად თეორიაში“ – გაერთიანების შესაძლებლობას (სისვაძე, 2010, გვ. 96-97), აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა თანამედროვე კლასიფიკაციის თანახმად, პოლიტიკური ეკონომია არა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებათა შემსწავლელ დისციპლინათა ჯგუფში შედის.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას შეგნებით გავექეცით ჩვენთვის უფრო მისაღებ ტერმინს „თეორიულ ეკონომიკას“ და მთელ მსოფლიოში ყველასათვის კარგად ნაცნობ ტერმინს „ეკონომიკას“ ვიყენებთ, რაც, ვფიქრობ, მკითხველში ორაზროვნებას თავიდანვე გამორიცხავს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში (და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც) ტერმინ „ეკონომიკსთან“ მიმართებაში კიდევ ერთ შეცდომასაც უშვებენ ეკონომისტები, როცა მას ტერმინ „ეკონომიკად“ თარგმნიან. ამას კი, უკეთეს შემთხვევაში, შემდეგი პარალელის გავლებით ხსნიან (მაგალითად, Афонцев, 2001; Микерин, 2007): ინგლისურ ენაში მათემატიკა ითარგმნება, როგორც „Mathematics“, ხოლო ფიზიკა კი – როგორც „Physics“, და რადგან ორივე შემთხვევაში ბოლოში არსებული დაბოლოება „-s“ ქართულ (ან რუსულ) თარგმანში ქრება, ამიტომ ანალოგიით მიიჩნევენ, რომ ინგლისური ტერმინის „Economics“-ის ქართული თარგმანი არის „ეკონომიკა“ (მაგალითად, მენქიუ, 2008; სამუელსონი, ნორდჰაუსი, 2000; ფიშერი, დორბუში, შმალენზი, 1997), ხოლო რუსული კი – «экономика» (მაგალითად, Самуэльсон, Нордхаус, 1999; Фишер, Дорнбуш, Шмалензи, 1993). ამ გამარტივებული მიდგომის მომხრეებს ავინყდებათ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მათემატიკაცა და ფიზიკაც, საკუთრივ მათი ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო და სამეცნიერო დისციპლინებია, ხოლო ტერმინი „ეკონომიკა“ არა იმდენად სასწავლო და სამეცნიერო დისციპლინის სახელწოდებად გამოიყენება, რამდენადაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იმ პრაქტიკული საქმიანობის აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანები ეწევიან რესურსების შეზღუდულობის პრობლემის გადასაჭრელად. ამ უკანასკნელის შემსწავლელი დისციპლინა კი, როგორც ზემოთ ითქვა, არის „ეკონომიკის“.

იმის გათვალისწინებით, რომ არატრადიციული ეკონომიკის სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომის შექმნის საერთაშორისო გამოცდილება რაიმე მეტ-ნაკლებად ხელშესახებ მაგალითს არ იძლევა, ამიტომ წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა უმთავრესად

მსოფლიოს წამყვან ეკონომისტთა და პრობლემის ავტორისეულ ხედვას დაეფუძნა. კერძოდ, არატრადიციული ეკონომიკის წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული მონოგრაფიული გამოკვლევები (პაპავა, 2002; Papava, 2005). შედეგად, 2011 წელს გამოვიდა ამ წიგნის პირველი გამოცემა (პაპავა, 2011). მისი გამოსვლიდან უკვე გავიდა საკმარისი დრო იმისათვის, რომ დღის წესრიგში დამდგარიყო დამხმარე სახელმძღვანელოს მე-2 შევსებული და განახლებული გამოცემის მომზადება, რომელშიც მეტ-ნაკლებად ასახულია როგორც ეკონომიკური აზრის ზოგიერთი თანამედროვე მიღწევა, ისე ეკონომიკაში მიმდინარე არაერთი მოვლენა.

არატრადიციული ეკონომიკის კურსის შესწავლას წინ უნდა უძღოდეს ტრადიციული ეკონომიკის (როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ), მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის კურსების გაღრმავებული შესწავლა. აქედან გამომდინარე, არატრადიციული ეკონომიკის წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია დოქტორანტების, უფრო ზუსტად კი, ეკონომიკისა და ბიზნესის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის.

რადგანაც დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ცალკეულ თავებში მაგალითები საქართველოს სინამდვილიდანაც არის მოყვანილი.

ყველა თავს ბოლოში დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია, ხოლო ტექსტში ამა თუ იმ საკითხის განხილვისას იქვე მოცემულია მითითება სათანადო ლიტერატურულ წყაროზე, რაც სტუდენტს (და ზოგადად მკითხველს) აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ მოცემული კონკრეტული საკითხით დაინტერესების შემთხვევაში ცოდნის გაღრმავების მიზნით დამატებით კიდევ რისი წაკითხვა შეიძლება იყოს მისთვის სასარგებლო.

არატრადიციული ეკონომიკის წინამდებარე კურსმა პირველი გამოცემა ამ წიგნის პირველ გამოცემამდე ჩააბარა. კერძოდ,

ამ კურსის ზოგიერთი თემა 2010 წლის შემოდგომაზე წარმატებით იქნა წაკითხული საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. 2014 წლიდან კი ეს კურსი იკითხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი არატრადიციული ეკონომიკის დაძვარე სახელმძღვანელოს შექმნის პრაქტიკულად პრეცედენტის არმქონე მცდელობაა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ის არ იყოს თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან. შესაბამისად, ყოველი საქმიანი და კონსტრუქციული შენიშვნა თუ რეკომენდაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სახელმძღვანელოს შემდგომ გამოცემებში.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი რ.,** 2005. *ეკონომიკური თეორია და ეკონომიკა*. თბილისი, „სიახლე“.
- ბომოლი უ.,** ბლანდერი ა., 2006. *ეკონომიკა: პრინციპები და პოლიტიკა*. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“.
- გოგოხია რ.,** 2001ა. საბაზრო ეკონომიკა თუ შერეული ეკონომიკური სისტემა. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 4.
- გოგოხია რ.,** 2001ბ. შერეული ეკონომიკური სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში. *კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი 2. თბილისი, „სიახლე“.
- ლეიაშვილი პ.,** 2002. *ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე*. თბილისი.
- მენქიუ გ.,** 2008. *ეკონომიკის პრინციპები*. თბილისი, „დიოგენე“.
- მექვაბიშვილი ე.,** 2007. ეკონომიკა, ეკონომიკური თეორია თუ პოლიტიკური ეკონომიის დაბრუნება? *სოციალური ეკონომიკა*, № 1.
- პაპავა ვ.,** 1991. თეორიული ეკონომიკის საკითხისათვის. *ეკონომიკა*, № 7-8.
- პაპავა ვ.,** 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.

- პაპავა ვ., 2011.** არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- პაპავა ვ.,** ახმეტელი რ., ლეიაშვილი პ., ულუმბერაშვილი ნ., 1993. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები (თეორიული ეკონომიკა). თბილისი, „ეკონომიკური განათლება“.
- პაჭკორია ჯ., 1994.** „ეკონომიკისი“ თუ ერთიანი პოლიტიკური ეკონომია? ზუგდიდი.
- სამუელსონი პ. ა.,** ნორდჰაუსი ვ. დ., 2000. ეკონომიკა. ოთხ ტომად. თბილისი, „სამშობლო“.
- სისვაძე ა., 2006.** ეკონომიკური თეორია: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა, 2 ნაწილად. თბილისი, „ინოვაცია“.
- სისვაძე ა., 2007.** ეკონომიკური თეორიის პარადიგმები. სოციალური ეკონომიკა, № 1.
- სისვაძე ა., 2010.** ეკონომიკის თეორია რეველუციურ ცვლილებათა გზაჯვარედინზე. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, № 1.
- ფიშერი ს.,** დორბუმი რ., შმალენზი რ., 1997. ეკონომიკა. ოთხ ტომად. თბილისი, „სამშობლო“.
- შუბლაძე გ., 2004.** საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჭითანავა ნ., 1997.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი I. თბილისი, სესპსკი.
- ჭითანავა ნ., 1999ა.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). ნაწილი II. თბილისი, სესპსკი.
- ჭითანავა ნ., 1999ბ.** ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების აუცილებლობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი IV. თბილისი, სესპსკი.
- ჭითანავა ნ.,** თაკალანძე ლ., 2008. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება. თბილისი, „ინოვაცია“.
- Lewis H., 2009.** *Where Keynes Went Wrong: And Why World Governments Keep Creating Inflation, Bubbles, and Busts.* Mount Jackson, Axios Press.
- Mankiw N. Gregory, 2004.** *Principles of Economics.* Mason, South-Western College Publisher.

- Папова В.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Stiglitz J. E.**, 2010. I Dissent: Unconventional Economic Wisdom. *Project Syndicate*, [http://www.project-syndicate.org/series/unconventional\\_economic\\_wisdom/description](http://www.project-syndicate.org/series/unconventional_economic_wisdom/description).
- Афонцев С.**, 2001. Дискуссионные проблемы концепции национальной экономической безопасности. *Россия XXI*, №2, [http://www.russia-21.ru/XXI/RUS\\_21/ARXIV/2001/afoncev\\_2001\\_2.htm#\\_ftn32](http://www.russia-21.ru/XXI/RUS_21/ARXIV/2001/afoncev_2001_2.htm#_ftn32).
- Блюмин И. Г.**, 1962. *История экономических учений (очерки теории)*. Москва, Высшая школа.
- Каратаев Н. К.**, 1966. *Economics – буржуазная политэкономия*. Москва, Наука.
- Макконнелл К. Р.**, Брю С. Л., 1992. *Экономикс: Принципы, проблемы и политика*. Т. 1, 2. Москва, Республика.
- Микерин Г. И.**, 2007. *Стандарты оценки 2007: «Пересмотр понятий» или «Смена парадигм*, [http://www.valuer-cis.ru/files/ds/Standards\\_07.doc](http://www.valuer-cis.ru/files/ds/Standards_07.doc).
- Мэнкью Н. Г.**, 1999. *Принципы экономикс*. Санкт-Петербург, Питер Ком.
- Папова В.**, 1992. О некоторых проблемах экономической науки на современном этапе. *Вопросы экономики*, № 1.
- Папова Г.**, 2009. *Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы*. Стокгольм, SA&CC Press.
- Самуэльсон П. А.**, Нордхаус В. Д., 1999. *Экономика*. Москва, БИНОМ, КНОРУС, ЛБЗ.
- Фишер С.**, Дорнбуш Р., Шмалензи Р., 1993. *Экономика*. Москва, Дело.

თავი 1. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი  
და ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები

## § 1.1. ეკონომიკური მეცნიერების ქრონიკული დაავადება

ეკონომიკური მეცნიერების შესასწავლად, როგორც ნიგნის შესავალში აღინიშნა, არაერთი კლასიკური სახელმძღვანელო გამოიყენება, რომელთა შორის რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება პრაქტიკულად არ არის.

დღეს დამკვიდრებული აზრის თანახმად, ხსენებული სახელმძღვანელო ლიტერატურა მოითხოვს კრიტიკულ ანალიზს, რევიზიას, ძირითადი საკითხების ახლებურ გააზრებას. საყურადღებოა, რომ ამ ტიპის სახელმძღვანელოების კრიტიკა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო (Linder, Sensat, 1977a, 1977b) და შემდეგაც არაერთხელ გამხდარა კრიტიკული დამოკიდებულების ობიექტი (მაგალითად, Kanth, 1997). ფიქრი ეკონომიკისის მომავლის შესახებ სულაც არ არის მხოლოდ დღევანდელი ლობისთვის დამახასიათებელი (Hey, eds., 1992).

ყველა ეს სახელმძღვანელო ემყარება ისეთ დაშვებებს, რომლებიც რეალურად ყოველთვის არ სრულდება. სწორედ ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისის ილუზიებისა (Heath, 2010) და მითებისაგან (Fox, 2009; Hicks, Klages, Raffa, eds., 1971; Mishan, 1986; Paarlberg, 1968; Гуриев, 2010) გათავისუფლებას.

არცთუ იშვიათად, რეალობაში ხდება ისეთი მოვლენა, რომელიც დიდად არ იმსახურებს ეკონომისტთა ყურადღებას, თუმცა აქტიურად შუქდება ჟურნალისტების მიერ, რაც აყალიბებს გარკვეულ ეკონომიკურ ნარატივს. ამ უკანასკნელმა კი, თავის

მხრივ, შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მოცემულ მოვლენაზე. ასე ყალიბდება ე.წ. „ნარატიული ეკონომიკის“, რაც გადაუდებლად იმსახურებს ეკონომისტთა ყურადღებას (Shiller, 2019).

გარდა ამისა, ეკონომიკურ რეალობაში არსებობს არაერთი ისეთი მოვლენაც, რომელიც ეკონომიკის ტრადიციულ სახელმძღვანელოებში პრაქტიკულად არ არის ასახული. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად ნიგნის შესავალში მოყვანილია „ჩრდილოვანი ეკონომიკა“. კერძოდ, ეკონომიკის ზემოხსენებულ ტრადიციულ სახელმძღვანელოებში რიგი ეკონომიკური კანონზომიერებების შესწავლა აგებულია იმ დაშვებაზე, რომ ეკონომიკა მთლიანად ლეგალურია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის მიხედვით, 1991-2015 წლებში მსოფლიოს 158 ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკა მთელი ეკონომიკის 31,9 პროცენტს, ანუ თითქმის მესამედს შეადგენდა (Medina, Schneider, 2018). საყურადღებოა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის გარდა არაერთი სხვა პრობლემაც არსებობს, რომელიც ასახვას ვერ პოულობს ტრადიციულ ეკონომიკაში, თუმცა პრაქტიკაში გადაწყვეტის გზების ძიებას თითქმის ყოველდღიურად მოითხოვს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების შესწავლა, რომლებიც წარმოაჩენს თანამედროვე ეკონომიკის სიმახინჯეებს. მაგალითად, ზოგადად, მსოფლიოში აშკარად შეინიშნება ეკონომიკის ფინანსური სექტორის არნახული ზრდა ეკონომიკის რეალური სექტორის „შევიწროების“ ხარჯზე. თითქმის ყველა ეკონომისტი თანხმდება იმაზე, რომ სწორედ ეს ანომალია იწვევს ფინანსურ კრიზისს (მაგალითად, Аникин, 2000; Киндлбергер, Алибер, 2010), რომ საჭიროა საერთაშორისო მონეტარული და ფინანსური სისტემების რეფორმა (მაგალითად, Stiglitz, at al., 2010; Стиглиц, и др., 2012), თუმცა ამ პრობლემის გადაჭრის მეტ-ნაკლებად ქმედითი მექანიზმი დღემდე არ შემუშავებულა.

ამ ტიპის მაგალითების მოყვანა სულაც არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს. კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერება შორსაა

იმ ანომალიების დაძლევის გზების ძიებისაგან, თუ რატომაა, რომ გამოჩენილი სპორტსმენის წლიური ანაზღაურება სპორტის პოპულარული სახეობებიდან (მაგალითად, ფეხბურთი, კალათბურთი, კრივი და სხვ.) რამდენჯერმე აღემატება მეცნიერების დარგში ყველაზე ავტორიტეტულ ნობელის პრემიას (რომელიც, არცთუ იშვიათად, ორ ან სამ ლაურეატზე ნაწილდება), ან რატომ ჩაანაცვლა ჯანდაცვაში კლიენტმა პაციენტი.

XXI საუკუნეში განვითარებულმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა სხვადასხვა სკოლის ეკონომისტებს შორის იმდენად გაამწვავა დაპირისპირება ურთიერთბრალდებების გამძაფრების სახით, რომ იმის განცდაც კი შეიქმნა, თითქოს ეკონომიკის, როგორც ასეთი, მოკვდა (The Death of Economics) (Davies, 2010, pp. 175-184). აქედან გამომდინარე, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, როცა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი რონალდ კოუზი ტრადიციულ ეკონომიკის „საკლასო დაფის ეკონომიკის“ (“blackboard economics“) უწოდებს (Расков, 2010, с. 84).

ხაზგასასმელია, რომ ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს აღმოჩნდა ეკონომიკური მეცნიერება, სულაც არ არის ახალი. ამის ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული ცნობილი ეკონომისტის, იგორ ბირმანის გამონათქვამი, რომ კაპიტალიზმი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, თუმცა ამ პროცესში სწავლული თუ უსწავლელი ეკონომისტები რჩევებითა და რეცეპტებით სულაც არ მონაწილეობდნენ (Бирман, 1996, с. 521).

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიკური მეცნიერება ხშირ შემთხვევაში იმდენად პასიურია, რომ, არცთუ იშვიათად, უკვე მომხდარი ფაქტების ინტერპრეტირების ფუნქცია ენიჭება (თოქმაზიშვილი, 2018, გვ. 17). წარმატებად კი მიიჩნევა ის შემთხვევა, როცა ეს ინტერპრეტაცია მართებული აღმოჩნდება...

ეკონომიკურ მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს (მაგალითად, სილაგაძე ა., 2018; Козь, 2015), თუმცა

ის ყოველთვის როდი იყო მზად, დროული და თანაც სწორი პასუხი გაეცა იმ საჭირობოროტო კითხვებისთვის, რომელთაც დღის წესრიგში პრაქტიკა აყენებდა. ეკონომიკური აზრის ისტორიაში ცნობილია ისეთი წარმატებული მაგალითი, როცა ეს „ჩამორჩენა“ რამდენიმე წელიწადში აღმოიფხვრა, რამაც შემდგომი ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას ახალი იმპულსი მისცა. კერძოდ, ჯონ მეინარდ კეინზის თეორია „დიდი დეპრესიის“ პირობებში შეიქმნა და შემდგომ განვითარდა, როგორც კეინზიანელობის თეორიული მიმართულება; ასევე აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში განვითარებულმა სტაგფლაციამ ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატს მილტონ ფრიდმენს, მონეტარიზმის თეორიის შექმნის ბიძგი მისცა (Skidelsky, 2018).

ცნობილია სხვა მაგალითებიც, როცა ეკონომიკურმა მეცნიერებამ ეს „ჩამორჩენა“ ან ნაწილობრივ, ან, უარეს შემთხვევაში, საერთოდ ვერ აღმოფხვრა. პირველი შემთხვევის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება XX საუკუნის ბოლოს კომუნისტური რეჟიმის მსხვერვის შედეგად მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს არაერთი წამყვანი ეკონომისტი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა განეკუთვნებოდა XX საუკუნის დასასრულის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს (Stiglitz, 1992, p. 137), რომლის ზეგავლენაც ეკონომიკური აზრის განვითარებაზე შეიძლება შეედაროს გასული საუკუნის 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ დაძლევა (Автомомов, 1996, с. 11) ან ევროპის რეკონსტრუქციას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (Fischer, Frankel, 1992; Sachs, 1992; Wolfson, 1992), მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა ისე დაიწყო, რომ, როგორც ამას ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატები გერი ბეკერი (Gary Becker) და ჯოზეფ სტიგლიცი (Joseph Stiglitz) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღნიშნავდნენ, ეკონომიკურ მეცნიერებას არ ჰქონდა უნარი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ბევრი საჭირობოროტო კითხვისთვის თეორიუ-

ლად მეტ-ნაკლებად დასაბუთებული პასუხი გაეცა (Becker, Becker, 1997, p. 259; Stiglitz, 1996, p. 3). შედეგად, როგორც ეს პრაქტიკამ აჩვენა, არცთუ იშვიათად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დასრულდა კვაზისაბაზრო ეკონომიკის (Le Grand, Bartlett, eds., 1993) შექმნით (Геец, 2015).

სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილების ცალკეული მომენტების განზოგადების მიუხედავად, შესაბამისი ეკონომიკური თეორია არ არის შექმნილი (Papava, 2005). იგორ ბირმანის ტრადიციული რადიკალური შეფასების თანახმად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემის გადაწყვეტაში ეკონომიკურმა მეცნიერებამ კვლავ დაადასტურა თავისი „დამაჯერებელი იმპოტენტურობა“ (Бирман, 1996, с. 521).

იმისდა მიუხედავად, რომ ეკონომიკაში კრიზისული მოვლენები, როგორც წესი, ხელს უწყობს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას (მაგალითად, Базилевич, 2016, с. 87), ფაქტია, რომ 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, სამწუხაროდ, არათუ არ მოჰყოლია რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გარღვევა ეკონომიკურ მეცნიერებაში (Krugman, 2018), არამედ ისეთი მოსაზრებაც კი გაჩნდა, რომ თითქოს ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი იდეების წარმოქმნა მხოლოდ წარსულში იყო შესაძლებელი (Капелюшников, 2018, с. 119). ეს სულაც არ არის გასაკვირი, თუკი გავიხსენებთ, რომ ეკონომიკური მეცნიერება უუნარო აღმოჩნდა კაპიტალისტური ეკონომიკის და მისი მომავლის ხედვის საკითხების გადაწყვეტაში (Heilbroner, Milberg, 1996; Хейлбронер, 1993).

სამწუხაროდ, ამ კრიზისით მიღებული გაკვეთილი საერთოდ არ გაითვალისწინეს შემდგომი ათი წლის განმავლობაში გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში (El-Erian, 2017; Pressman, Scott, 2018).

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა კრიტიკული დამოკიდებულება ეკონომიკის მიმართ, გააქტიურდა თანამედროვე ეკონომიკის საფუძვლების ახლებურად გააზრების საკითხების გარშემო მსჯე-

ლობა (ასათიანი, 2013; თოქმაზიშვილი, 2018; ლეიაშვილი, 2017; მექვაბიშვილი, 2018, გვ. 230-239; პაპავა, 2018; Bookstaber, 2017; Leiashvily, 2012; Rodrik, 2015a; Turner, 2012; van Staveren, 2015; Папава, 2018; Родрик, 2017). მიდგომა, რომელიც დაეფუძნა ფრაზას „ეკონომისტები ეკონომიკის წინააღმდეგ“ (Rodrik, 2015b), შეეხო არა მარტო ეკონომიკს, როგორც ასეთს (Birks, 2016; Fullbrook, 2016; Marqués, 2016; McCloskey, 2010; Papava, 2018a; Pilkington, 2016; Söderbaum, 2017; Stiglitz, 2010a; Syll, 2016), არამედ მაკროეკონომიკასაც (Cliffe, 2019; Kaletsky, 2017; Di Muzio, Noble, 2017; Stiglitz, 2011) და მიკროეკონომიკასაც (Hill, Myatt, 2010). ამ დისკუსიას ეკონომიკური მეცნიერების მომავლის შესახებ გარკვეული კონსენსუსის მიღწევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (Rodrik, 2014). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეკონომისტი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ეკონომიკური მეცნიერება კრიზისულ მდგომარეობაშია, რადგანაც მიიჩნევენ, რომ კრიზისი შეეხო მხოლოდ მის ნაწილს – მაკროეკონომიკას (Капелюшников, 2018, с. 124).

სამწუხარო ფაქტია, რომ ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების დიდი ნაწილი, როგორც წესი, თავს არიდებს ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო ეკონომიკის, გლობალური ფინანსების და სხვა პრაქტიკული ხასიათის თემებზე დისკუსიას. მისასალმებელ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომელთაგან გამორჩეული არიან ჯოზეფ სტიგლიცი, პოლ კრუგმანი, მაიკლ სპენსი და რობერტ შილერი. გამოდის, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ყველაზე მაღალი სამეცნიერო სტატუსის მქონე ეკონომისტების დიდი ნაწილი გაუზრბის ეკონომიკურ რეალობას. სავარაუდოდ, ეს სამწუხარო ფაქტი იმითაა განპირობებული, რომ, არცთუ იშვიათად, ეკონომიკაში ნობელის პრემია იმ ეკონომისტებს მიენიჭებათ, რომელთა ნაშრომებიც უშუალოდ არ უკავშირდება თანამედროვე ეკონომიკის სირთულეებს (Offer, 2016; Offer A., Söderberg, 2016). საყურადღებოა, რომ ეკონომისტთა დიდი ნაწილის ეს გაუმართლებელი „დუმილი“ არა მარტო და არა იმდენად ნობელიანტი ეკონომისტებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ამკარად გამოსატყუელი გლობალური ტენდენციაა. იგივე შეიძლება ითქვას ქართველ ეკონომისტებზეც.

## § 1.2. ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთმიმართება

ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი გამორჩეული სფეროა (მაგალითად, ბენასი-კუერი, კიური, და სხვ., 2016).

როგორც ცნობილია, ტერმინი „ეკონომიკური პოლიტიკა“ ქვეყნის ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ქცევას ნიშნავს (Пирс, ред., 1997, с. 145). მისგან განსხვავებით, ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში (მაგალითად, Brown, 1995) ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკული ასპექტებისა და ნმინდა ეკონომიკური თეორიის ურთიერთკავშირი (Пирс, ред., 1997, с. 388).

საუკეთესო შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. სინამდვილეში, ასეთი რამ საკმაოდ იშვიათია. როგორც ნესი, სამნუხაროდ, უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ეკონომიკური პოლიტიკა ამკარად დაშორებულია ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. სხვა სიტყვებით, ეკონომიკური პოლიტიკის უკან ეკონომიკური მეცნიერება, როგორც ასეთი, ყოველთვის არ დგას.

ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ასეთი, ვერ დაერქმევა, რადგან იგი არა მარტო ეკონომიკურ თეორიასთან, არამედ, უბრალოდ, ჯანსაღ აზრთანაც კი წინააღმდეგობაში მოდის; უფრო კორექტული იქნება, თუ მას „არაეკონომიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას“, ანუ შემოკლებით „არაეკონომიკურ პოლიტიკას“ ვუწოდებთ (პაპავა, 2002, გვ. 451-459).

არსებული რეალობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაქტიკულად სახეზეა სამი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

**პირველი ტიპის** არაეკონომიკურ პოლიტიკას მაშინ აქვს ადგილი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები არ ითვალისწინებენ ეკონომიკური მეცნიერების მიერ შექმნილ ცოდნას.

**მეორე ტიპის** არაეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ის შემთხვევა, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები კი ითვალისწინებენ ეკონომიკური მეცნიერების მიერ შექმნილ ცოდნას, მაგრამ თავად ეს ცოდნა არის მცდარი.

**მესამე ტიპის** არაეკონომიკურ პოლიტიკას კი მიეკუთვნება ის შემთხვევა, როცა რომელიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა ჯერჯერობით შესწავლილი არ აქვს ეკონომიკურ მეცნიერებას, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს ძალიანაც რომ უნდოდეთ, მაინც ვერ გამოიყენებენ ჯერ არარსებულ ცოდნას.

პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა გამოწვეულ იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები არ არიან პროფესიონალი ეკონომისტები, ან არიან ძალზე დაბალი კვალიფიკაციის მქონენი და, შესაბამისად, ჯეროვნად არ იცნობენ ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლებს, რომ არაფერი ვთქვათ მის მიღწევებზე;
2. ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები შეიძლება იყვნენ საკმაოდ კვალიფიციური ეკონომისტები, მაგრამ მათ ხელს არ აძლევდეს ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების ასახვა.

საყურადღებოა, რომ, არცთუ იშვიათად, პოლიტიკოსები ქვეყნას, როგორც კომპანიას უყურებენ, რის გამოც დამკვიდრებულია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობებზე უნდა დაინიშნონ მენეჯერები და არა პროფესიონალი ეკონომისტები (Papava, 2018b). ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქვეყანასა და კომპანიას შორის პრინციპული ხასიათის განსხვავებაა (Krugman, 1996), სამწუხაროდ, პოლიტიკოსების დიდ ნა-

წილს გაცნობიერებული არ აქვს. სინამდვილეში, მენეჯერების ადგილი არა პოლიტიკაში, არამედ ბიზნესშია.

როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს არ აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, მათი ეს მდგომარეობა, როგორც წესი, კომპენსირდება იმ პირების პროფესიონალიზმით, რომლებიც ამ მმართველი პირებისათვის ამზადებენ გადაწყვეტილებების პროექტებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც სავსებით შესაძლებელია ისეთი სიტუაცია შეიქმნას, როცა მმართველი პირები, მათთვის მომზადებული ხსენებული პროექტების მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებენ მისი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

მაშინაც კი, როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, ხშირია შემთხვევა, როცა ისინიც გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ არა იმდენად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

ეს ფენომენი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ეკონომიკურ მეცნიერებასთან შედარებით პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ენიჭება უპირატესობა, ახსნილია საყოველთაოდ ცნობილი „საზოგადოებრივი არჩევანის“ თეორიით (Buchanan, Tullock, 1962).

მეორე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკის გამომწვევი მიზეზი თავად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაშვებული შეცდომებია. ამის კლასიკური მაგალითია 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი, რადგანაც ეკონომიკური მეცნიერების მიერ ეკონომიკის რეგულირებისადმი შემუშავებული მიდგომები, სამწუხაროდ, მცდარი აღმოჩნდა (Cliffe, 2019; Stiglitz, 2010b; Стиллиц, 2010).

ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას (უფრო ზუსტად კი, საჯარო პოლიტიკას) შორის მიმართება შე-

იძლება შევადაროთ ბიოლოგიასა და მედიცინას, ან ფიზიკასა და ინჟინერიას შორის არსებულ კავშირს, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა, რომ, თუ რაიმე შეცდომა იქნა დაშვებული მედიცინაში, ეს ბიოლოგიის ბრალი არ არის, ისევე, როგორც ინჟინერიაში დაშვებული შეცდომის გამო ფიზიკის დადანაშაულება გაუმართლებელია (Hausmann, 2019). ამგვარი ინტერპრეტაცია აშკარად არ არის მართებული, რადგან თუ შეცდომის სათავე, მაგალითად, ბიოლოგიაში აღმოჩნდა, ის შესაბამისად აისახება მედიცინაშიც.

მსგავსი შემთხვევები კი ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის, სამწუხაროდ, სულაც არ არის იშვიათი. ასე მაგალითად, სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს ე.წ. „ფულის თანამედროვე თეორია“ („Modern Monetary Theory“), რომლის საფუძველზე უკვე სახელმძღვანელოც კი არის გამოცემული (Mitchell, Wray, Watts, 2019). ეს ე.წ. რევოლუციური თეორია მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო დეფიციტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ფულის ემისიით შეიძლება ისე დაიფაროს გარღვევა სახელმწიფო ხარჯებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის, რომ ამან არ გამოიწვიოს ინფლაცია. ამ თეორიის აშკარად გამოკვეთილ სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოცემული თეორიული კონსტრუქცია ემყარება დახურულ ეკონომიკას, რომელშიც საგარეო ვაჭრობას ადგილი არ აქვს, რომ გამორიცხულია კაპიტალის ქვეყნიდან გადინება და ქვეყანაში შემოდინება, და არ არსებობს გაცვლითი კურსის მერყეობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები ღიად აკრიტიკებენ ხსენებულ „ფულის თანამედროვე თეორიის“ აშკარად მცდარ კონსტრუქციას (Krugman, 2019a, 2019b; Rogoff, 2019), სულ უფრო იზრდება იმის მოლოდინი, რომ არცთუ შორეულ მომავალში აშშ-ში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაშიც კი მემარცხენე პოლიტიკოსები, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას სწორედ ამ თეორიით იხელმძღვანელებენ (Roubini, 2019; Моисеев, 2019).

მესამე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა შესაბამისი ეკონომიკური თეორიის არარსებობის პირობებში (მაგალითად, Papava, 2005).

არანაკლებ საყურადღებოა კრიპტოვალუტის მსოფლიოში გავრცელების ფენომენი ისე, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მის შესახებ მეტ-ნაკლებად დასაბუთებული თეორია ჯერჯერობით არ შეუქმნია (Papava, 2018a, pp. 95-97). მიუხედავად იმისა, რომ კრიპტოვალუტა, კერძოდ, ბიტკოინი, უკვე ათი წლისაა და მოცემულ თემაზე დიდი რაოდენობის პუბლიკაციები დაგროვდა (მაგალითად, Столбов, 2019), კრიპტოვალუტის ეკონომიკური შინაარსი დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული (Симановский, 2018).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას, ხოლო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, წინა პლანზე გამოდის პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი იცვლება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში აბსოლუტური ჩაურევლობიდან (Laissez-Faire) ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ მართვის მბრძანებლურ ფორმებამდე, რომელიც დამახასიათებელია კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის პროცესის არსი სწორედ მეორე უკიდურესი მდგომარეობიდან პირველისაკენ მოძრაობაში გამოიხატება; სხვა სიტყვებით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ისეთ ქცევას გულისხმობს, როცა მისი ეკონომიკის მართვაში ჩარევის მასშტაბები არა მარტო თანდათან მცირდება, არამედ შინაარსობრივადაც იცვლება, როცა სახელმწიფო ცდილობს ისეთი ინსტიტუციური<sup>1</sup> გარემოს შექმნას, როცა შესაბამი-

<sup>1</sup> ინსტიტუციასა და ინსტიტუტს შორის ის განსხვავებაა, რომ ინსტი-

სი მარეგულირებლები ფირმებს აძლევს მოქმედების შესაბამის მეტ-ნაკლებად ფორმალიზებულ ჩარჩოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი რ.,** 2013. *ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა: საკითხის დასმის წესით*. თბილისი, „სიახლე“.
- ბენასი-კუერი ა.,** კიური ბ., ჟაკი პ., პისანი-ფერი ჟ., 2016. *ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- თოქმაზიშვილი მ.,** 2018. *გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 5*.
- ლეიაშვილი პ.,** 2017. *ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი*. თბილისი, „სიახლე“.
- მექვაბიშვილი ე.,** 2018. *გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „ინტელექტი“.
- პაპავა ვ.,** 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ.,** 2018. *ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6*.
- სილაგაძე ა.,** 2018. *ეკონომიკური მეცნიერების სათავეებთან*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Birks S.,** 2016. *40 Critical Pointers for Students of Economics*. London, College Publications.
- Bookstaber R.,** 2017. *The End of Theory. Financial Crises, the Failure of Economics, and the Sweep of Human Interaction*. Princeton, Princeton University Press.
- Brown M. B.,** 1995. *Models in Political Economy. A Guide to the Arguments*. London, Penguin Books.
- Buchanan J. M.,** Tullock G., 1962. *The Calculus of Consent: Logical Foundations of Constitutional Democracy*. Ann Arbor, University of Michigan Press, <http://www.econlib.org/library/Buchanan/buchCv3.html>.

ტუცია შეზღუდვებისა და მათი შესრულების იძულების მექანიზმების ერთობლიობაა, ხოლო ინსტიტუტი ინსტიტუციის შესატყვისი ორგანიზაციული სტრუქტურაა.

- Cliffe M. (2019).** *What Economists Still Need to Learn.* *Project Syndicate*, September 9, [https://www.project-syndicate.org/commentary/macroeconomic-models-three-lessons-2008-crisis-by-mark-cliffe-2019-09?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=aabf9c90ac-sunday\\_newsletter\\_15\\_9\\_2019&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-aabf9c90ac-93567601&mc\\_cid=aabf9c90ac&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/macroeconomic-models-three-lessons-2008-crisis-by-mark-cliffe-2019-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=aabf9c90ac-sunday_newsletter_15_9_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-aabf9c90ac-93567601&mc_cid=aabf9c90ac&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Davies H.,** 2010. *The Financial Crisis: Who is to Blame?* Cambridge, The Polity Press.
- Di Muzio T.,** Noble L., 2017. The Coming Revolution in Political Economy: Money Creation, Mankiw and Misguided Macroeconomics. *Real-World Economics Review*, Issue No. 80, <http://www.paecon.net/PAEReview/issue80/DiMuzioNoble80.pdf>.
- El-Erian M. A.,** 2017. The Lost Lesson of the Financial Crisis. *Project Syndicate*, February 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/lost-lessons-of-the-financial-crisis-by-mohamed-a-el-erian-2017-08>.
- Fischer S.,** Frankel J., 1992. Macroeconomic Issues of Soviet Reform. *American Economic Review*, Vol. 82, May.
- Fox J.,** 2009. *The Myth of the Rational Market: A History of Risk, Reward, and Delusion on Wall Street.* New York, Harper Business.
- Fullbrook E.,** 2016. *Narrative Fixation in Economics.* London, College Publications.
- Hausmann R.,** 2019. „Don't Blame Economics, Blame Public Policy.“ *Project Syndicate*, September 1, [https://www.project-syndicate.org/commentary/blame-public-policy-not-economics-by-ricardo-hausmann-2019-08?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=d58b1700af-sunday\\_newsletter\\_8\\_9\\_2019&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-d58b1700af-93567601&mc\\_cid=d58b1700af&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/blame-public-policy-not-economics-by-ricardo-hausmann-2019-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=d58b1700af-sunday_newsletter_8_9_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-d58b1700af-93567601&mc_cid=d58b1700af&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Heath J.,** 2010. *Economic without Illusions. Debunking the Myths of Modern Capitalism.* New York, Broadway Books.
- Heilbroner R.,** Milberg W., 1996. *The Crisis of Vision in Modern Economic Thought.* Cambridge, Cambridge University Press.
- Hey D.,** ed., 1992. *The Future of Economics*, D. Hey eds. Oxford, Blackwell.
- Hicks R. E.,** Klages W. J., Raffa F. A., eds., 1971. *Economics: Myth, Method, or Madness? Selected Readings.* Berkeley, CA, McCutchan Publishing Corporation.
- Hill R.,** Myatt T., 2010. *The Economics Anti-Textbook: A Critical Thinker's Guide to Microeconomics.* Halifax, Fernwood Publishing.
- Kaletsy A.,** 2017. A „Macroneconomic“ Revolution? *Project Syndicate*, July 19, <https://www.project-syndicate.org/commentary/replacement-market-fun>

- damentalism-by-anatole-kaletsky-2017-07.
- Kanth R. K.**, 1997. *Against Economics. Rethinking Political Economy*. Aldershot, Ashgate.
- Krugman P.**, 1996. A Country Is Not a Company. *Harvard Business Review*, January–February, <https://hbr.org/1996/01/a-country-is-not-a-company>.
- Krugman P.**, 2018. „Good Enough for Government Work? Macroeconomics Since the Crisis.“ *Oxford Review of Economic Policy*, Volume 34, Issue 1-2, January 5, <https://academic.oup.com/oxrep/article/34/1-2/156/4781811>.
- Krugman P.**, 2019a. „Running on MMT (Wonkish).“ *The New York Times*, 25 February, <https://www.nytimes.com/2019/02/25/opinion/running-on-mmt-wonkish.html>.
- Krugman P.**, 2019b. „What’s wrong with functional finance? (Wonkish).“ *The New York Times*, 12 February, <https://www.nytimes.com/2019/02/12/opinion/whats-wrong-with-functional-finance-wonkish.html>.
- Le Grand J.**, Bartlett W., eds., 1993. *Quasi-Markets and Social Policy*. Basingstoke, UK, Macmillan Press.
- Leishvily P.**, 2012. *Economic Activity: Teleological Analysis*. New York, Nova Science Publishers.
- Linder M.**, Sensat Jr. J., 1977a. *Anti-Samuelson. Vol. One. Basic Ideological Concepts. Crises and Keynesianism*. New York, The World Market, Urizen Books.
- Linder M.**, Sensat Jr. J., 1977b. *Anti-Samuelson. Vol. Two. Money and Credit. Value and Price Theory. Factors of Production*. New York, The World Market, Urizen Books.
- Marqués G.**, 2016. *A Philosophical Framework for Rethinking Theoretical Economics and Philosophy of Economics*. London, College Publications.
- McCloskey D. N.**, 2010. *Bourgeois Dignity: Why Economics can’t Explain the Modern World*. Chicago, The University of Chicago Press.
- Medina L.**, Schneider F., 2018. *Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years?* International Monetary Fund WP/18/17, January, <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2018/01/25/Shadow-Economies-Around-the-World-What-Did-We-Learn-Over-the-Last-20-Years-45583>.
- Mishan E. J.**, 1986. *Economic Myths and the Mythology of Economics*. Atlantic Highlands, NJ, Humanities Press International.
- Mitchell W.**, Wray R., Watts M., 2019. *Macroeconomics*. London, Macmillan Education.
- Offer A.**, 2016. Nobel Economics Versus Social Democracy. *Project Syndicate*, October 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/econom->

ics-nobel-versus-social-democracy-by-avner-offer-2016-10?barrier=access-reg.

**Offer A.,** Söderberg G., 2016. *The Nobel Factor: The Prize in Economics, Social Democracy, and the Market Turn*. Princeton, Princeton University Press.

**Paarlberg D.,** 1968. *Great Myths of Economics*. New York, The New American Library.

**Papava V.,** 2005. On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9-10.

**Papava V.,** 2018a. The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, No. 3-4 (98-99), [http://www.e-transformacje.pl/archiwum/transformacje\\_3-4\\_2018.pdf](http://www.e-transformacje.pl/archiwum/transformacje_3-4_2018.pdf).

**Papava V.,** 2018b. Why Georgia Needs Economists. *Rondeli Blog*, October 12, <https://www.gfsis.org/blog/view/871>.

**Pilkington P.,** 2016. *The Reformation in Economics. A Deconstruction and Reconstruction of Economic Theory*. London, The Palgrave Macmillan.

**Pressman S.,** Scott R., 2018. Ten Years After the Crisis: A Lost Decade? *Real-World Economics Review*, No. 83, March 26, <http://www.paecon.net/PAEReview/issue83/PressmanScott83.pdf>.

**Rodrik D.,** 2014. The Perils of Economic Consensus. *Project Syndicate*, August 14 [https://www.project-syndicate.org/commentary/dani-rodrik-warns-that-agreement-among-economists-can-create-an-illusion-of-certain-knowledge?utm\\_source=MadMimi&utm\\_medium=email&utm\\_content=Dani+Rodrik%3a+%22The+Perils+of+Economic+Consensus%22&utm\\_campaign=20140817\\_m121761177\\_Dani+Rodrik%3a+%22The+Perils+of+Economic+Consensus%22&utm\\_term=The+Perils+of+Economic+Consensus&barrier=accessreg](https://www.project-syndicate.org/commentary/dani-rodrik-warns-that-agreement-among-economists-can-create-an-illusion-of-certain-knowledge?utm_source=MadMimi&utm_medium=email&utm_content=Dani+Rodrik%3a+%22The+Perils+of+Economic+Consensus%22&utm_campaign=20140817_m121761177_Dani+Rodrik%3a+%22The+Perils+of+Economic+Consensus%22&utm_term=The+Perils+of+Economic+Consensus&barrier=accessreg).

**Rodrik D.,** 2015a. *Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science*. New York, W. W. Norton & Company.

**Rodrik D.,** 2015b. Economists vs. Economics. *Project Syndicate*, September 10, [https://www.project-syndicate.org/commentary/economists-versus-economics-by-dani-rodrik-2015-09?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=be2a176f93-Sept\\_13\\_20159\\_5\\_2015&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-be2a176f93-93567601&barrier=accessreg](https://www.project-syndicate.org/commentary/economists-versus-economics-by-dani-rodrik-2015-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=be2a176f93-Sept_13_20159_5_2015&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-be2a176f93-93567601&barrier=accessreg).

**Rogoff K.,** 2019. „Modern monetary nonsense.“ *Project Syndicate*, March 4, <https://www.project-syndicate.org/commentary/federal-reserve-modern-monetary-theory-dangers-by-kenneth-rogooff-2019-03?barrier=accesspaylog>.

**Roubini N.,** 2019. „The Allure and Limits of Monetized Fiscal Deficits.“ *Project*

- Syndicate*, October 28, [https://www.project-syndicate.org/commentary/limits-of-mmt-supply-shock-by-nouriel-roubini-2019-10?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=49545de8f9-sunday\\_newsletter\\_3\\_11\\_2019&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-49545de8f9-93567601&mc\\_cid=49545de8f9&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/limits-of-mmt-supply-shock-by-nouriel-roubini-2019-10?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=49545de8f9-sunday_newsletter_3_11_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-49545de8f9-93567601&mc_cid=49545de8f9&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Sachs J.**, 1992. Privatization in Russia: Some Lessons from Eastern Europe. *American Economic Review*, Vol. 82, May.
- Shiller R. J.**, 2019. *Narrative Economics. How Stories Go Viral & Drive Major Economic Events*. Princeton, Princeton University Press.
- Skidelsky R.**, 2018. How Economics Survived the Economic Crisis. *Project Syndicate*, January 18, [https://www.project-syndicate.org/commentary/why-no-intellectual-shift-in-economics-by-robert-skidelsky-2018-01?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=6b6f82ce43-sunday\\_newsletter\\_21\\_1\\_2018&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-6b6f82ce43-93567601](https://www.project-syndicate.org/commentary/why-no-intellectual-shift-in-economics-by-robert-skidelsky-2018-01?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=6b6f82ce43-sunday_newsletter_21_1_2018&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-6b6f82ce43-93567601).
- Söderbaum P.**, 2017. Do We Need A New Economics for Sustainable Development? *Real-World Economics Review*, Issue No. 80, <http://www.paecon.net/PAEReview/issue80/Soderbaum80.pdf>.
- Stiglitz J. E.**, 1992. Another Century of Economic Science. In: *The Future of Economics*, D. Hey eds. Oxford, Blackwell.
- Stiglitz J.**, 2010a. An Agenda for Reforming Economic Theory. *YouTube*, April 23, [https://www.youtube.com/watch?v=L9KAd\\_nqINY](https://www.youtube.com/watch?v=L9KAd_nqINY).
- Stiglitz J.**, 2010b. Needed: A New Economic Paradigm. *Financial Times*, August 20, <https://www.ft.com/content/d5108f90-abc2-11df-9f02-00144feabdc0>, <https://www.ineteconomics.org/about/news/2010/joseph-stiglitz-in-the-financial-times-on-the-need-for-a-new-economic-paradigm>.
- Stiglitz J.**, 2011. Joseph Stiglitz on Macroeconomics in Crisis. *YouTube*, 2011, <https://www.youtube.com/watch?v=SOxCMc9-1Cc&app=desktop>.
- Stiglitz J.**, at al., 2010. *The Stiglitz Report. Reforming the International Monetary and Financial Systems in the Wake of the Global Crises*. New York, The New Press.
- Syll L. P.**, 2016. *On the Use and Misuse of Theories and Models in Mainstream Economics*. London, College Publications.
- Turner A.**, 2012. *Economics after the Crises. Objectives and Means*. Cambridge, The MIT Press.
- van Staveren I.**, 2015. *Economics After the Crises. An Introduction to Economics*

*from a Pluralist and Global Perspective*. London, Routledge.

**Wolfson M.**, 1992. Transitions from a Command Economy: Rational Expectations and Cold Turkey. *Contemporary Policy Issues*, Vol. 10, April.

**Автономов В. С.**, 1996. Политическая экономия переходного периода. *Мировая экономика и международные отношения*, № 9.

**Аникин А.**, 2000. *История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко*. Москва, ЗАО «Олимп–Бизнес».

**Базилевич В. Д.**, 2016. Экономическая наука и образование в эпоху системных трансформаций: новые вызовы и запросы к фундаментальной теории. *Экономика Украины*, № 8.

**Бирман И.**, 1996. *Я – экономист (о себе, любимом)*. Новосибирск, ЭКОР.

**Гец В. М.**, 2015. Преодоление квазирыночности – путь к инвестиционно ориентированной модели экономического роста. *Экономика Украины*, № 6.

**Гуриев С.**, 2010. *Мифы экономики: Заблуждения и стереотипы, которые распространяют СМИ и политики*. Москва, «Юнайтед Пресс».

**Капелюшников Р. И.**, 2018. О современном состоянии экономической науки: полусоциологические наблюдения. *Вопросы экономики*, № 5.

**Киндлбергер Ч.**, Алибер Р., 2010. *Мировые финансовые кризисы. Мании, паники и крахи*. Санкт-Петербург, Питер.

**Коуз Р.**, 2015. *Очерки об экономической науке и экономистах*. Москва, Издательство Института Гайдара.

**Моисеев С. Р.**, 2019. «Хайп вокруг (не)денежной (не)теории». *Вопросы экономики*, № 9.

**Папава В.**, 2018. О кризисе в экономической науке и путях выхода из него. *Экономика Украины*, № 10.

**Пирс Д. У.**, ред., 1997. *Словарь современной экономической теории Макмиллана*. Москва, ИНФРА-М.

**Расков Д.**, 2010. Риторика новой институциональной экономической теории. *Вопросы экономики*, № 5.

**Родрик Д.**, 2017. *Экономика решает: сила и слабость «мрачной науки»*. Москва: Издательство Института Гайдара.

**Симановский А. Ю.**, 2018. К вопросу об экономической природе криптовалюты. *Вопросы экономики*, № 9.

**Стиглиц Дж.**, 2010. Экономисты виноваты в кризисе, но есть шанс исправить

дело. *Институт проблем предпринимательства*, 5 октября, <https://www.ipnou.ru/article.php?idarticle=008769>.

**Стиглиц Дж.**, и др., 2012. *Доклад Стиглица. О реформе международной валютно-финансовой системы: уроки глобального кризиса. Доклад в Комиссии финансовых экспертов ООН*. Москва, Международные отношения.

**Столбов М. И.**, 2019. К десятилетию рынка криптовалют: текущее состояние и перспективы. *Вопросы экономики*, № 5.

**Хейлбронер Р.**, 1993. Научный анализ и видение в истории современной экономической мысли. *Вопросы экономики*, № 11.

## § 2.1. ეკონომიკური ადამიანი

არატრადიციული ეკონომიკის შესწავლა ეკონომიკაში ადამიანის ადგილისა და როლის გარკვევით უნდა იწყებოდეს, რადგან სწორედ ადამიანია საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. ამასთან, ადამიანის მოდელი ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლების ამოსავალი პუნქტია (Генкин, 2002, с. 24).

ამავე დროს, ნებისმიერი სოციალური პროცესის და მათ შორის ეკონომიკის უმთავრესი მიზანი ასევე ადამიანია, მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. თავისთავად, ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესის განმახორციელებელიც ადამიანია და იმას, თუ ეს პროცესი რამდენად შედეგიანი იქნება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი განაპირობებს. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესის უმთავრეს ინდიკატორად ადამიანი გვევლინება.

სოციალურ მეცნიერებებში მიღებულია მიდგომა, როცა თითოეული მათგანი დამოუკიდებლად სწავლობს ადამიანის მოდელს, რის შედეგადაც განარჩევენ „სოციოლოგიურ“, „ფსიქოლოგიურ“, „პოლიტოლოგიურ“ და სხვ. ადამიანს (АВТОНОМОВ, 1998, с. 9); ასე რომ, ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერებას „ჰყავს“ თავისი *homo logicus* (Blum, 1991, s. 111).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ადამიანის მოდელის ერთიანი „კლასიკური“ განმარტება არ არსებობს (АВТОНОМОВ, 1998, с. 9). მიუხედავად

ამისა, ყველაზე უფრო გავრცელებულად უნდა ჩაითვალოს ადამ სმიტისეული *homo economicus*-ის (ეკონომიკური ადამიანი, *homo oeconomicus*, Economic Man, экономический человек) მოდელი, ანუ ისეთი ადამიანის მოდელი, რომლის განმსაზღვრელი მოტივებია საოჯახო მეურნეობაში მაქსიმალური სარგებლიანობის, ხოლო ფირმაში მაქსიმალური მოგების მიღება. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ *homo economicus* ეკონომიკური საზოგადოების საფუძველს ქმნის (Heilbroner, Milberg, 1998).

*homo economicus*-ის შინაარსმა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ისტორიული სახეცვლილება განიცადა (Автономов, 1989, 1990, 1998, с. 57-201; Бункина, Семенов, 2000). ხანგრძლივი დისკუსია (მაგალითად, Leibenstein, 1976; Meeks, 1991) *homo economicus*-ის შესახებ არა მარტო მისი ბუნების დაზუსტებას (Hausmann, 2017), არამედ, საერთოდ, თანამედროვე პირობებში მისი, როგორც ასეთის, არსებობა (Buchanan, 1979, pp. 205-209) არარსებობას (Brockway, 1995) შეეხებოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ *homo economicus* ეს ადამიანის თეორიული, აბსტრაქტული მოდელია (Nelson, 1998, p. 81; Автономов, 1997, с. 7), თუმცა ზოგიერთ თეორიული ხასიათის მქონე გამოკვლევაში *homo economicus*-ის გენდერული ასპექტიც კი არის წინ წამოწეული (Ferber, Nelson (ed.), 1993; Nelson, 1998).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ოლივერ ვილიამსონის მიერ შემოღებულ იქნა ე.წ. „კონტრაქტული ადამიანის“ ცნება (Уильямсон, 1996), რაც, უწინარეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ თანამედროვე ადამიანის ეკონომიკური ქცევა კონტრაქტებითაა რეგლამენტირებული. განსხვავება *homo economicus*-სა და „კონტრაქტულ ადამიანს“ შორის მოჩვენებითად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ კონტრაქტებსაც *homo economicus* ქმნის შესაბამისი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ასე რომ, მიჩნეულია, რომ „კონტრაქტული ადამიანი“ მაინც *homo economicus*-ად რჩება (Расков, 2010, с. 90).

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ბიუკენენის აზრით, ეკონომიკის მეთოდის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას „ბუნებრივი“ და „ხელოვნური“ ადამიანის ურთიერთ-მიმართება წარმოადგენს (Buchanan, 1979, pp. 93-112).

თავიდანვე *homo economicus*-ის მოდელი ისტორიულად სწორედ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდა, რაც, თავის მხრივ, ამ მოდელის შინაარსობრივ დატვირთვას განაპირობებს. საყურადღებოა, რომ ტრადიციული ეკონომიკის სწორედ *homo economicus*-ის მოდელს ეფუძნება.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ ეტაპზე *homo economicus*-ის მოდელი ეკონომიკის ფარგლებს გასცდა კიდევ და მეტ-ნაკლებად პოლიტიკურ სფეროშიც იმკვიდრებს ადგილს (Макаренко, 2002).

საზოგადოდ, *homo economicus* ფაქტორთა შემდეგი სამი ჯგუფის ერთობლიობაა (Knight, 1947, p. 84):

1. ადამიანის მიზნები;
2. მიზნების მიღწევის საშუალებები;
3. ინფორმაცია (ცოდნა) იმ პროცესების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ადამიანი მის ხელთ არსებული საშუალებებით ცდილობს მიზნების მიღწევას.

თავის ქცევაში ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, მის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევის ოპტიმიზაციის (რომელსაც რაციონალური არჩევანის თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია (Becker, 1976, p. 153)) პოზიციიდან გამოდის. ასეთი მიზნებია სარგებლიანობის, სიმდიდრის და(ან) შემოსავლების (უფრო კონკრეტულად, საოჯახო მეურნეობისათვის – სარგებლიანობის, ხოლო ფირმებისათვის მოგების (Автономов, 1997, с. 8; Пириайнен, Турунцев, 1998)) მაქსიმიზაცია. ეს მიზნები ფორმალური რაციონალურობის ვებერისეული გაგებიდან გამომდინარეობს (Калинин, Чиркова, 1998, с. 72).

*homo economicus*-ის თანამედროვე გაგების თანახმად, ის ბევრად უფრო რთული მიზნების მატარებელია, რადგან, წმინდა

ეკონომიკური მისწრაფებების გარდა, მას სოციალური მიზნების გათვალისწინებაც უხდება, რაც რაციონალურობის ფარგლებს აფართოებს (Калинин, Чиркова, 1998, с. 73).

მიზნის მიღწევის საშუალებებში, უწინარეს ყოვლისა, შემოსავლის ოდენობასა და სხვადასხვა მატერიალურ დოვლათსა თუ მომსახურებაზე ფასების დონეებს შორის თანაფარდობა იგულისხმება (Автономов, 1998, с. 10).

საინტერესოა, რომ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალბაზე, *homo economicus*-ის ისეთი თვისებები, რომლებიც თავიდანვე აღიარებული იყო, როგორც ამ ცნების განუყოფელი, ფუძემდებლური ნაწილი, დღეს უკვე „ჩამოშორებულად“ მიიჩნევა; კერძოდ, ესენია: ეგოიზმი, ინფორმაციის სისრულე და მყისიერი რეაქცია (Автономов, 1998, с. 11).

ერთი მხრივ, მიზნის მიღწევის სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ კი, მოცემული საფინანსო შეზღუდვებისა და იმ პროცესების ცოდნის დონე, რომელთა საფუძველზეც ამ მიზნების მიღწევა შეიძლება, ადამიანის ქცევას (უფრო ზუსტად, ეკონომიკურ ქცევას) აყალიბებს, რაც „ეკონომიკურ ცნობიერებასთან“, ანუ „ეკონომიკურ მენტალიტეტთანაა“ უშუალო კავშირში (Автономов, 1997, с. 7). კითხვაზე – თუ რამდენადაა რაციონალური ადამიანის ქცევა (Шастико, 1998), პასუხი, მნიშვნელოვანწილად, საზოგადოებრივი სისტემის რაციონალურობაზეა დამოკიდებული (Мамардашвили, 1984, сс. 55-58).

კაპიტალიზმზე პროტესტანტული ეთიკის ზეგავლენის მაქსიმუმის კონცეფციიდან (Вебер, 1994, сс. 237-242) გამომდინარე, ადამიანის ეკონომიკური ქცევა და ეკონომიკური ცნობიერება ენდოგენურად – ეკონომიკური სისტემიდან, ხოლო ეგზოგენურად ეროვნული, ეთიკური, რელიგიური და იდეოლოგიური ფაქტორებიდან განისაზღვრება (Автономов, 1997, с. 6).

რადგან ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ერთი ეკონომიკური სისტემა მეორეთი იცვლება, ამდენად, ლოგიკურად წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მიმართებათა ამ პროცესთან *homo economicus*.

## § 2.2. საბჭოთა ადამიანი და გარდამავალი ადამიანი

პრაქტიკულად, ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადამწყვეტ როლს ადამიანის ფაქტორი ასრულებს. საზოგადოებაში გავრცელებული ეკონომიკური (და არა მარტო) აზროვნების ზეგავლენა ეკონომიკურ რეფორმებზე კი ძალზე დიდია (ხადური, 2002).

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის საბჭოური გამოცდილების თანახმად, მბრძანებლურ ეკონომიკაში *homo soveticus*-ის, ანუ სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანის<sup>1</sup> ტიპი ჩამოყალიბდა. საყურადღებოა, რომ *homo soveticus* ვერ ჯდება ტრადიციული ეკონომიკის ჩარჩოებში.

*homo soveticus*-ის ბუნებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყება სწორედ მას მოუხდა (Бузгалин, 1994, сс. 250-253).

*homo soveticus* *homo economicus*-ისაგან ადამიანის პრინციპულად განსხვავებული ტიპია<sup>2</sup>. ამასთან, თუ *homo economicus*-ის პრობლემას არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა მიეძღვნა, *homo soveticus* პუბლიცისტიკის სფეროს დიდად არც გასცდენია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, ერთ-ერთი საყურადღებო მოსაზრების თანახმად, რუსული ეკონომიკური სკოლისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი მიდგომის პრიმატის აღიარება ინდივიდის ქცევასა და შესაბამის მოტივაციაზე, რის შედეგადაც რუსული მსოფლმხედველობა, პრინციპში, *homo economicus*-ის კონცეფციას უარყოფს; იმავე მოსაზრების თანახმად, ვლადიმერ ლენინმა თავის მოძღვრებაში ასახა რუსული

<sup>1</sup> *homo soveticus* შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც *homo etaticus*-ის ნაირსახეობა (Hanhinen, 2000, p. 224).

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ *homo economicus*-ის ამერიკული სახეცვლილება შეესაბამის ლიტერატურაში *homo Americanus*-ის სახელწოდებითაა ცნობილი (Luttwak, 1999, p. 207).

ეკონომიკური აზრის ტრადიციები (Абалкин, 2000, с.15). ამგვარი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში „იძულებული“ ვიქნებით ვაღიაროთ, რომ *homo soveticus*, უნინარეს ყოვლისა, რუსული მსოფლმხედველობითი სისტემის პროდუქტია.

*homo soveticus*-ის დასახასიათებლად, როგორც ნესი, მისი სახელმწიფოსთან მიმართება გამოიყენება. კერძოდ, ერთი მხრივ, ის არის ადამიანის ტიპი, რომლის უფლებები სახელმწიფოს მხრიდან ყოველნაირად ითრგუნება, ხოლო, მეორე მხრივ კი, მისი კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოზეა დამოკიდებული, ანუ იმაზე, თუ მისი ელემენტარული ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო აპარატში მომუშავე მოხელე რამდენად მონყალე აღმოჩნდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტკომუნისტური გზა შეიძლება გაანალიზდეს, როგორც *homo soveticus*-იდან *homo economicus*-ზე ტრანსფორმაციის პროცესი (პაპავა, 2002, გვ. 108-116; Papava, 1996a, pp. 260-262; 1996b, pp. 307-309; 1999, pp. 281-283; 2005, pp. 34-36; Papava, Chikovani, eds., 1997, pp. 9-11; Папавა, 1999, сс. 61-62; Рывкина, 1998, сс. 260-280).

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, ნაწილობრივ პრივატიზაციის, უმთავრესად კი ახლადშექმნილი კერძო სტრუქტურების ბაზაზე, თანდათანობით *homo economicus*-ის ტიპიც გამოიკვეთა, მაგრამ ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური საზოგადოების უმრავლესობას არ შეადგენენ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ „ამინდს“ ვერ ქმნიან. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოებაში უმრავლესობას ადამიანის ისეთი ტიპი წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფოსი ჯერ კიდევ, თუნდაც ქვეცნობიერად, ეშინია, მისგან მონყალეობას თუ არა, დახმარებას მაინც ელის, თუმცა, იმავდროულად, ქმედების თავისუფლებას, საზოგადოების დემოკრატიულ მონყობას მოითხოვს. ასეთი ადამიანი, ანუ *homo transformaticus* (Papava, 1996a, pp. 260-262; 1996b, pp. 307-309; 1999, pp. 281-283; Papava, Chikovani, eds., 1997, pp. 9-11; Папавა, 1999, сс. 61-62) პოსტკომუნისტური

ტრანსფორმაციის პროცესის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა (Сулаберидзе, 2002).

„ადაპტირებული ადამიანის“ (*homo adapticus*) (Левада, 1999) კონცეფციის თანახმად, *homo transformaticus* ისეთი ადამიანია, რომელიც თანდათან ეგუება საბაზრო ეკონომიკის იმანენტურ წესებს და თავადაც მონაწილეობს ამ წესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

*homo transformaticus* მენარმეობაში განსაკუთრებულ ფორმას იძენს, რომლის ფესვები მბრძანებლურ ეკონომიკაში ძვეს.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებშიც კი საბაზრო ეკონომიკა (უფრო სწორად კი, მისი ცალკეული ელემენტები) სრულად გამორიცხული არ იყო. ის სახელმწიფოს მიერ იმდენად ძლიერად იყო დათრგუნვილი, რომ მხოლოდ „ჩრდილოვან“ სექტორში არსებობდა (Шохин, 1989, сс. 57-83). კომუნისტური ტიპის ეკონომიკის საწარმოთა არც ერთ დირექტორს (იშვიათი გამონაკლისის გარდა), პრინციპში, არ შეეძლო ისე გასძლოლოდა საწარმოს, რომ არსებული კომუნისტური რეჟიმის მიერ დამკვიდრებული კანონები არ დაერღვია, რაც ცალკეულ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გამოყენებაში მდგომარეობდა და რის გამოც ეს საქმიანობა ე.წ. ჩრდილოვან სექტორს განეკუთვნებოდა, ხოლო ამ საწარმოების ხელმძღვანელებს „ტენევიკებს“ («теневики») უწოდებდნენ (მაგალითად, Самсин, 2003, с. 184). მიუხედავად ამისა, კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში საწარმოთა დირექტორები ვერ ჩამოყალიბდნენ და პრინციპულად ვერც ჩამოყალიბდებოდნენ საბაზრო ეკონომიკის ტიპის მენარმეებად, რადგანაც მათი ქცევა სწორედ კომუნისტური სისტემის მარწმუნებში იყო მოქცეული.

ამით იმის ახსნა შეიძლება, რომ კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებში საწარმოთა დირექტორების საბაზრო ტიპის ქცევა „საქმოსნობად“ (და არა „მენარმეობად“)<sup>1</sup> იყო მონათლული და ისინი „საქმოსნებად“ (და არა „მენარმეებად“) (რუსულად

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ახასიათებდნენ, როგორც „მეურნეობას მენარმის გარეშე“ (Гинс, с. 119).

«дельцы», და არა «предприниматели») იყვნენ ცნობილნი. ამ ფენომენის უშუალოდ საბჭოური ხასიათიდან გამომდინარე, ინგლისურად რუსული ტერმინი არ ითარგმნება.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მსხვერველს შემდეგ საქმოსნებმა ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორში არსებულ სანარმოთა დირექტორებად მოახერხეს დარჩენა (Åslund, 2007, pp. 137-140), ხოლო მათი პრივატიზაციის პირობებში, გამოიყენეს რა შრომითი კოლექტივების უფლებები, ამ სანარმოთა მესაკუთრენი გახდნენ (Ослунд, 1996); ამასთან, მიუხედავად იმისა, ჰყავთ თუ არა დაქირავებული მენეჯერები, ისინი მაინც თავისი „საქმოსნური ჭკუით“ ცდილობენ (განსაკუთრებით, პოსტპრივატიზაციული პერიოდის სანყის ეტაპზე) სანარმოს გაძღოლას (Сулаберидзе, 1998; Некипелов, 2003, с. 127).

ისევე, როგორც *homo transformativus homo economicus* არ არის, ასევე, ყოფილი საქმოსნები მენარმეები ვერ გახდებოდნენ. აქედან გამომდინარე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკაში *homo transformativus* სამენარმეო სფეროში **პოსტსაქმოსნის** (რუსულად – «постдельцы», ინგლისურად – „Post-Deltsi“, რადგანაც ეს მოვლენა უშუალოდ საბჭოური ნარმოშობისაა<sup>1</sup>) ტიტულს იძენს (Papava, Khaduri, 1997, pp. 28-29; Папава, Хадური, 2000, сс. 143-147).

*homo transformativus*-ის – *homo economicus*-ით და, შესაბამისად, პოსტსაქმოსნის მენარმით ჩანაცვლება საკმაოდ რთული პრობლემაა და ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი შემდეგ თავებშია განხილული.

<sup>1</sup> საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტერმინი, მაგალითად, «Перестройка» და «Гласность» (ქართულად, შესაბამისად, „გარდაქმნა“ და „საჯაროობა“), ინგლისურად არ ითარგმნება და ჟღერადობით უცვლელად რჩება: „Perestroika“ და „Glasnost“.

### გამოყენებული ლიტერატურა

- პაპავა ვ.**, 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- ხადური ნ.**, 2002. საქართველოში ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 4.
- Becker G. S.**, 1976. *The Economic Approach to Human Behavior*. Chicago, The University of Chicago Press.
- Blum R.**, 1991. Die Zukunft des Homo Oeconomicus. In: *Das Menschenbild der ökonomischen Theorie*. Hrsg. von B.Biervert, M. Held. Frankfurt a.M.
- Brockway G. P.**, 1995. *The End of Economic Man*. New York, W. W. Norton and Co.
- Buchanan J. M.**, 1979. *What Should Economists Do?* Indianapolis, Liberty Fund.
- Ferber M. A.**, Nelson J. A. (ed.), 1993. *Beyond Economic Man. Feminist Theory and Economics*. Chicago, The University of Chicago Press.
- Hanhinen S.**, 2000. Social Problems in Transition: Perceptions of Influential Groups in Estonia, Russia, and Finland. London, Aleksanteri Institute, <http://books.google.com/books?id=RAzoAAAAIAAJ&q=homo+etaticus&q=homo+etaticus&pgis=1>.
- Hausmann R.**, 2017. „The Moral Identity of Homo Economicus.“ *Project Syndicate*, November 7, [https://www.project-syndicate.org/commentary/homo-economicus-moral-psychology-revolution-by-ricardo-hausmann-2017-11?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=04cd732a71-sunday\\_newsletter\\_12\\_11\\_2017&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-04cd732a71-93567601&barrier=accesspaylog](https://www.project-syndicate.org/commentary/homo-economicus-moral-psychology-revolution-by-ricardo-hausmann-2017-11?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=04cd732a71-sunday_newsletter_12_11_2017&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-04cd732a71-93567601&barrier=accesspaylog).
- Heilbroner R.**, Milberg W., 1998. *The Making of Economic Society*. London, Prentice-Hall International, Inc.
- Knight F.**, 1947. *Freedom and Reform: Essays in Economics and Social Philosophy*. New York, Harper & Brothers.
- Leibenstein H.**, 1976. *Beyond Economic Man: A New Foundation for Microeconomics*. Cambridge, Harvard University Press.
- Luttwak E.**, 1999. *Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy*. New York, Harper Perennial.
- Meeks G.**, 1991. *Thoughtful Economic Man: Essays on Rationality, Moral Rules and Benevolence*. Cambridge, Cambridge University Press.

- Nelson J. A.**, 1998. Abstraction, Reality and the Gender of 'Economic Man'. In: *Virtualism. A New Political Economy*. Ed. by J. G. Carrier, D. Miller. Oxford, Berg.
- Parava V.**, 1996a. The Georgian Economy: From „Shock Therapy“ to „Social Promotion.“ *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.
- Parava V.**, 1996b. „Social Promotion“ of Economic Reform in Georgia. *Economic Systems*, Vol. 20, No.4.
- Parava V.**, 1999. The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. Ed. by P. G. Hare. London, Macmillan Press.
- Parava V.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Parava V.**, Chikovani E., eds., 1997. Georgia: Economic and Social Challenges of the Transition. *Problems of Economic Transition*, Vol. 40, No. 7/8.
- Parava V.**, Khaduri N., 1997. On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis. *Problems of Economic Transition*, Vol. 40, No. 6.
- Абалкин Л. И.**, 2000. Поиск самоопределения. Отечественная школа экономической мысли на рубеже веков. *НГ-Политэкономия, Приложение к „НГ“*, № 15 (56), 5 ноября.
- Автономов В. С.**, 1989. Модель человека в буржуазной политической экономии от Смита до Маршалла. В кн.: *Истоки (Вопросы истории народного хозяйства и экономической мысли)*. Вып. 1. Москва, Экономика.
- Автономов В. С.**, 1990. Поиск новых решений (модель человека в Западной экономической теории 1900-1920-х годов). В кн.: *Истоки (Вопросы истории народного хозяйства и экономической мысли)*. Вып. 2. Москва, Экономика.
- Автономов В. С.**, 1997. «Рыночное поведение»: рациональный и этический аспекты. *Мировая экономика и международные отношения*, № 12.
- Автономов В. С.**, 1998. *Модель человека в экономической науке*. Санкт-Петербург, Экономическая школа.
- Бузгалин А. В.**, 1994. *Переходная экономика: курс лекций по политической экономии*. Москва, Таурус.
- Бункина М. К.**, Семенов А. М., 2000. *Экономический человек: В помощь изучающим экономику, психологию, менеджмент*. Москва, Дело.
- Вебер М.**, 1994. Социология религии (Типы религиозных сообществ). В кн.: *М. Вебер. Избранное. Образ общества*. Москва, Юрист.

- Генкин Б. М.**, 2002. *Введение в метаэкономику и основания экономических наук*. Москва, Издательство НОРМА.
- Гинс Г. К.**, 1992. *Предприниматель*. Frankfurt a. Main, Посев.
- Калинин Э.**, Чиркова Е., 1998. Концепция постклассической экономической рациональности. *Вопросы экономики*, № 5.
- Левада Ю. А.**, 1999. «Человек приспособленный». *Мониторинг общественного мнения: экономические и социальные перемены*, № 5 (43) сентябрь-октябрь, <http://www.ecsocman.edu.ru/images/pubs/2006/12/02/0000296966/02levada-7-17.pdf>.
- Макаренко В.**, 2002. Ното Economicus и средний избиратель (парадоксы общего выбора). *Общество и экономика*, № 3-4.
- Мамардашвили М.**, 1984. *Классический и неклассический идеалы рациональности*. Тбилиси, Мецниереба.
- Некипелов А.**, 2003. «Проблемы управления экономикой в трансформируемом обществе». В кн. К. И. Микульский, ред., *Социально-экономические модели в современном мире и путь России; книга 1: Трансформация постсоциалистического общества*. Москва, Экономика.
- Ослунд А.**, 1996. «Рентоориентированное поведение» в российской переходной экономике. *Вопросы экономики*, № 8.
- Папава В.**, 1999. Доктрина рыночного равенства: вопросы теории и ее приложения к процессу посткоммунистической трансформации. *Общество и экономика*, № 12.
- Папава В.**, Хадური Н., 2000. Институциональная трансформация посткоммунистической экономики и человеческий фактор. *Известия Академии наук Грузии – серия экономическая*, Т. 8, № 3-4.
- Пиирайнен Т.**, Турунцев Е., 1998. Отталкиваясь от Макса Вебера: к пониманию процессов социальной трансформации в России. *Вопросы экономики*, № 7.
- Расков Д.**, 2010. Риторика новой институциональной экономической теории. *Вопросы экономики*, № 5.
- Рывкина Р. В.**, 1998. *Экономическая социология переходной России. Люди и реформы*. Москва, Дело.
- Самсин А. И.**, 2003. *Основы философии экономики*. Москва, Юнити.
- Сулаберидзе А.**, 1998. Особенности ценностных ориентаций руководителей предприятий Грузии в условиях экономической реформы. *Общество и экономика*, № 4-5.

- Сулаберидзе А.**, 2002. О некоторых факторах, определяющих современную трансформацию общества и семьи в Грузии. *Общество и экономика*, № 3-4.
- Уильямсон О. И.**, 1996. *Экономические институты капитализма*. Санкт-Петербург, Лениздат.
- Шастико А.**, 1998. Модели рационального экономического поведения человека. *Вопросы экономики*, № 5.
- Шохин А. Н.**, 1989. *Социальные проблемы Перестройки*. Москва, Экономика.

**თავი 3. თავისუფალი, ფსევდორეალური და რეალური ბაზარი**

## **§ 3.1. რამდენი სახესხვაობა აქვს ბაზარს?**

როგორც ცნობილია, ტრადიციული ეკონომიკის თანახმად, ბაზრის ორი სახესხვაობა განიხილება: თავისუფალი და რეალური (ანუ ოპერაციული).

მართალია, პირველი მათგანი მხოლოდ აბსტრაქციაა, ბაზრის, როგორც ასეთის, კანონზომიერებათა მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის გამოკრისტალიზებული თეორიული კონსტრუქციაა, მაგრამ, სწორედ ამიტომ, ტრადიციული ეკონომიკის ამ აბსტრაქციაზე სწავლობს ეკონომიკის ელემენტარულ კანონზომიერებებს. მაგალითად, თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, საბაზრო წონასწორობის არსი და მექანიზმი ტრადიციულ ეკონომიკაში სწორედ თავისუფალი ბაზრის მოდელზეა ახსნილი. სინამდვილეში, არსებული ბაზარი ბევრად უფრო რთული ფენომენია და მისი მოქცევა თავისუფალი ბაზრის თეორიულ მოდელში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ტრადიციული ეკონომიკის იძლევა იმის ახსნასაც, თუ, ერთი მხრივ, რატომ არ ძალუძს თავისუფალ ბაზრს ყველა ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა, და, მეორე მხრივ, თუ რა მექანიზმები ძევს თავისუფალ ბაზარში, რომლებიც ამ „თავისუფლების“ უარყოფის მიმართულებით მოქმედებენ (კერძოდ, კონკურენციის შედეგად წარმოქმნილი მონოპოლიები თავად ზღუდავენ კონკურენციას). ასე რომ, ტრადიციული ეკონომიკის აღიარებს თავისუფალი ბაზრის ჩავარდნას – ფიასკოს.

თავისუფალი ბაზრის ნაკლოვანებათა გამოსწორების ფუნქცია ეკონომისტთა დიდ ჯგუფს სახელმწიფოზე გადააქვს და მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და, ერთი მხრივ, გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც არ შესწევს ბაზარს, ხოლო, მეორე მხრივ კი, ბაზარზე შეაფერხოს თავისუფლების ელემენტების შეზღუდვა იქ მოქმედი კერძო სუბიექტების მიერ. ასეთ ბაზარს ტრადიციულ ეკონომიკაში რეალური ბაზარი ჰქვია.

ასე რომ, ტრადიციული ეკონომიკის თანახმად, ბაზრის მხოლოდ ორი სახესხვაობა არსებობს – თავისუფალი და რეალური. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტრადიციული ეკონომიკის არც სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ჩავარდნას (ფიასკოს) გამორიცხავს, თუმცა ეს თემა მაინც სცდება მის (ტრადიციული ეკონომიკის) ჩარჩოებს. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ფიასკოს ახსნა შესაძლებელია მხოლოდ „საზოგადოებრივი არჩევანის“ თეორიის საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად სცდება ტრადიციული ეკონომიკის ფარგლებს.

იმის გამო, რომ სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ფიასკო, ხშირ შემთხვევაში, ან საერთოდ უგულებელყოფილია, ან, უკეთეს შემთხვევაში, მიჩნეულია მეორეხარისხოვან პრობლემად, ამიტომ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის სხვადასხვა თეორიულ კონსტრუქციას ეკონომისტთა შორის არაერთი მხარდამჭერი ჰყავს.

თავისუფალი ბაზრის თეორიულ კონსტრუქციასთან მომხრეებისათვის კი სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ფიასკო იმის საკმარისი არგუმენტია, თუ მაინც რატომ არის უკეთესი, რომ სახელმწიფო ბაზარში ან საერთოდ არ ჩაერიოს, ან თუ მაინც იძულებული გახდება ჩაერიოს, ეს მინიმალურ დონეზე განახორციელოს.

თავის მხრივ, სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ფიასკო იმის მიმანიშნებელია, რომ ის, რასაც რეალურ ბაზარს ეძახიან, სულაც არ არის რეალური. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რასაც კლასიკური ეკონომიკის რეალურ ბაზრად მიიჩნევს, ემყარება

იმას, რომ სახელმწიფო ბაზარში ჩარევით წარმატებით ართმევს თავს ყველა იმ საკითხის გადანყვეტას, რაშიც თავისუფალი ბაზარი უძლურია. ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება. აქედან გამომდინარე, უპრიანია, რომ ამ ტიპის ბაზარს, ანუ ბაზარს, რომელშიც სახელმწიფო ერევა და წარმატებით წყვეტს ყველა იმ პრობლემას, რომელსაც თავს ვერ ართმევს თავისუფალი ბაზარი, არა რეალური, არამედ *ფსევდორეალური ბაზარი* ეწოდოს (პაპავა, 2002, გვ. 122-123).

*რეალური ბაზრის მოდელი* კი, თავისუფალი ბაზრის ფიასკოსთან ერთად, სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ფიასკოსაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ, სინამდვილეში, ადგილი აქვს ბაზრის არა ორ, არამედ სამ სახესხვაობას. კერძოდ, ესენია: თავისუფალი ბაზარი, ფსევდორეალური ბაზარი (რასაც ტრადიციული ეკონომიკის რეალურ ბაზრად მიიჩნევენ) და რეალური ბაზარი (რისი არსის გაგებაც მხოლოდ საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი).

## § 3.2. თავისუფალი ბაზარი

ყველაზე უფრო რელიეფურად, თავისუფალი ბაზრის არსებითი ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (იხ. მაგალითად, Лившиц, 1991, сс.А5-6):

1. ბაზარზე მყიდველებისა და გამყიდველების აბსოლუტურად დაუბრკოლებელი შესვლა და გამოსვლა, რაც კონკურენციაში მონაწილეთა შეუზღუდავ რაოდენობას უზრუნველყოფს;
2. რესურსების (შრომითი, მატერიალური, საფინანსო) აბსოლუტური მობილურობა;
3. თითოეული კონკურენტის მიერ საბაზრო ინფორმაციის (მაგალითად, ინფორმაცია მოთხოვნა-მიწოდების, ფასების შესახებ და სხვ.) სრული მოცულობით ფლობა;

4. ერთნაირი დასახელების პროდუქტების აბსოლუტური ერთგვაროვნობა და განურჩევლობა (რაც სავაჭრო ნიშნებისა და საქონლის ხარისხის ნებისმიერი ინდივიდუალური მახასიათებლების გამოყენებას გამორიცხავს);
5. ნებისმიერი კონკურენტის მხრიდან ბაზრის სხვა მონაწილეების მიერ მიღებულ გადანყვეტილებებზე ზეგავლენის შეუძლებლობა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, ამგვარი სისტემა ეფუძნება პრინციპს „Laissez-Faire“ (“let it be“), რის შედეგადაც ურთიერთობა მენარმეებს შორის, მენარმეებსა და მომხმარებლებს შორის, ასევე, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შეთანაწყობა ხდება ადამ სმითისეული „უხილავი ხელის“ მეშვეობით, რაც ასევე შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „უხილავი ხელის“ ეფექტიანობის თეორემა (Барт, 1997, сс. 72-73). მიიჩნევა, რომ თავისუფალ ბაზარზე *სრულყოფილი კონკურენციაა*.

თავისუფალი ბაზრის პირველი ნიშნის მიხედვით, ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის თვალსაზრისით, ყველა მყიდველი და გამყიდველი თანასწორ მდგომარეობაშია, რადგან ამის გაკეთება აბსოლუტურად დაუბრკოლებლად შეუძლია თითოეულ მათგანს.

ბიზნესის სახეობის ბაზრით ნაკარნახევი ცვლილების გატარების შეუზღუდავი შესაძლებლობიდან გამომდინარე, რესურსების აბსოლუტური მობილურობაც თავისუფალი ბაზრის აგენტებს თანასწორ მდგომარეობაში აყენებს.

თითოეული კონკურენტის მიერ საბაზრო ინფორმაციის სრული მოცულობით ფლობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზრის აგენტების თანასწორობის თვალსაზრისით, რაც, არასრული ინფორმაციის გამო, მათ მიერ მცდარი ქმედებების შესაძლებლობას გამორიცხავს.

ერთნაირი დასახელების პროდუქტების აბსოლუტური ერთგვაროვნობა და განურჩევლობა ყველა მწარმოებელს (ბაზარზე ერთი და იმავე სახეობის პროდუქციის რეალიზებისას) და ყველა

მომხმარებელს (ამ პროდუქციის შექმნის მიზნით სწორი არჩევანის გაკეთებისას) ასევე თანასწორ მდგომარეობაში აყენებს.

რაც შეეხება თავისუფალი ბაზრის ბოლო, მეხუთე ნიშანს, რადგან არც ერთ კონკურენტს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ბაზრის სხვა მონაწილეთა გადანყვეტილებებზე იქონიოს ზეგავლენა, ამიტომ ბაზრის ყველა აგენტი, გადანყვეტილების მიღების თვალსაზრისით, თანასწორია.

სხვა სიტყვებით, თავისუფალი ბაზარი არის საბაზრო თანასწორობის მოდელი (Papava, 2004; Папавა, 1999).

მიიჩნევა, რომ თავისუფალი ბაზრის მოდელთან ყველაზე ახლოს დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, თუმცა არც ის ბაზარი ყოფილა სრულად თავისუფალი.

როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალი ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, რომელიც გამოიყენება ბაზრის ზოგად კანონზომიერებათა შესწავლის მიზნით. რეალურად კი, ამ კანონზომიერებებიდან გადახრებს ბაზარზე ძალზე ხშირად აქვს ადგილი. ამიტომ, თავისუფალი ბაზრის, როგორც იდეალური ბაზრის მოდელი უნდა იყოს ის პირობითი ეტალონი, რომლისკენაც ბაზრის სახელმწიფო რეგულირება უნდა ისწრაფოდეს. იმავდროულად, პრაქტიკაში შესაძლებელია ცალკეული სახეობის პროდუქციაზე ისეთი აუქციონის მონეობა, სადაც თავისუფალი ბაზრის ფუძემდებლური მოთხოვნები პრაქტიკულად დაცული იქნება (Гарсия, 2010).

### § 3.3. თავისუფალი ბაზრის ფიასკო და ფსევდორეალური ბაზარი

თავისუფალი ბაზრის მოდელის მიმზიდველობის მიუხედავად, მას რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადანყვიტა არ ძალუძს, რაც ბაზრის ფიასკოს სახელწოდებითაა ცნობილი

(მაგალითად, Долан, Линдсей, 1992, სს. 92-96). ამ პრობლემათაგან, უნიწარეს ყოვლისა, ძირითად სამს გამოყოფენ (Лившиц, 1991, სს. А5-6):

1. გარე ეფექტების (ექსტერნალიების) თავიდან აცილება;
2. საზოგადოებრივი (და კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილის) წარმოება;
3. ეკონომიკის საჭირო ფულის მასით უზრუნველყოფა.

გარე ეფექტი, ანუ ექსტერნალია, თავისი ბუნებით ერთი ადამიანის საქმიანობის სხვათა კეთილდღეობაზე ზეგავლენას ნიშნავს. ეს ეფექტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კერძოდ, როცა ადამიანი თავისი სახლის ფასადის გაღამაზეებაზე იღებს გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, ამას შედეგად სხვებზე დადებითი გარე ეფექტი მოჰყვება, ვინაიდან ისინი ღამაში შენობის ხილვით ესთეტურ სიამოვნებას მიიღებენ; ამ მაგალითის საწინააღმდეგოდ, ქიმიური წარმოების შემთხვევაში, ბუნებაზე მიყენებული ზარალის შედეგად ადამიანის კეთილდღეობაზე მოქმედი უარყოფითი გარე ეფექტი იქმნება.

ორივე შემთხვევაში ბაზარზე მყოფი აგენტების საბაზრო თანასწორობის პრინციპი ირღვევა:

- პირველ შემთხვევაში ის ზარალდება, ვისი საქმიანობის შედეგადაც დადებითი გარე ეფექტი იქმნება, რადგანაც სხვებზე (გადანაწილებული) პოზიტიური ზეგავლენა მათ მიერ ყოველგვარი მცდელობის გარეშე მიიღება;
- მეორე შემთხვევაში კი ყველა ის ზარალდება, ვინც უარყოფით გარე ზეგავლენას განიცდის, რადგან ის, ვინც უარყოფით გარე ეფექტს ქმნის (მაგალითად, ქიმიური წარმოება) შესაბამის მოგებას იღებს მაშინ, როცა ამით სხვა დანარჩენის მდგომარეობა ზიანდება.

იმისათვის, რომ გარე ეფექტებით გამოწვეული საბაზრო უთანასწორობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფო ერევა, რადგანაც თავად ამ პრობლემის საკუთარი ძალებით გადაწყვეტის შესაძლებლობა ბაზარს არ გააჩნია.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია ორი მეთოდით იმოქმედოს: ადმინისტრაციული რეგულირებითა და გარე ეფექტის შიგა ეფექტად გარდაქმნით, ანუ მისი ინტერნალიზებით.

პირველი მეთოდის თანახმად, მართვის სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია ან რომელიმე კონკრეტული უარყოფითი გარე ეფექტი საერთოდ აკრძალოს (მაგალითად, ქიმიური ნარჩენების მოხვედრა სასმელი წყლის მიწოდების სისტემაში და ასეთი ქმედების დანაშაულის რანგში აყვანა), ან მისი ზედა ზღვარი დაანესოს (მაგალითად, თითოეული სახეობის ქიმიური საწარმოსათვის ქიმიური ნარჩენისათვის მაქსიმალური ზღვარის დაწესება).

მეორე მეთოდის მიზანი კი ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაში მდგომარეობს, რაც გარე ეფექტების შემქმნელი ინდივიდების მხრიდან მათ შიგა ეფექტებში გადაყვანას გამოიწვევს, როცა ისინი თავიანთ საქმიანობაში იძულებულნი იქნებიან, გაითვალისწინონ გარე ეფექტები. უარყოფითი გარე ეფექტების ინტერნალიზებისათვის ამ ეფექტების ყოველ ერთეულზე (მაგალითად, ყოველ ერთ ტონა ქიმიურ ნარჩენზე) სპეციალური გადასახადები გამოიყენება, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში *პიგუს გადასახადის* სახელწოდებითაა ცნობილი; დაბეგვრის ამ სისტემის პირობებში უარყოფითი გარე ეფექტის წარმომქმნელს ამ ეფექტის შემცირების შიგა სტიმული ექნება.

რაც შეეხება დადებითი გარე ეფექტების ინტერნალიზებას, ამ მიზნით სახელმწიფოს შეუძლია სუბსიდირების მექანიზმი ამოქმედოს, რაც ამ ეფექტის წარმომქმნელს შიგა სტიმულს მისცემს, ის არ შეამციროს.

გარე ეფექტით გამოწვეული საბაზრო უთანასწორობის შემცირების ხსენებული მეთოდების გამოყენებით ამ უთანასწორობის სიმწვავეს სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ამცირებს, მაგრამ სრულ თანასწორობას მაინც ვერ აღწევს.

თავისუფალ ბაზარს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება არ ძალუძს, რადგანაც ის არაკო-

ნკურენტულია (ანუ წარმოების მოცემული დონის პირობებში დამატებითი მოხმარების ზღვრული დანახარჯი ნულის ტოლია) და არაგამორიცხვადი (ანუ შეუძლებელია ადამიანების გამორიცხვა მოხმარებიდან). საზოგადოებრივი დოვლათის ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანებს დოვლათით შეუძლიათ ისე ისარგებლონ, რომ მის წარმოებაზე რაიმე ხარჯი არ გასწიონ<sup>1</sup>. მამასადამე, საზოგადოებრივი დოვლათი დადებითი გარე ეფექტის მატარებელია, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, თავის მხრივ, ადამიანთა საბაზრო უთანასწორობას იწვევს.

საზოგადოებრივი დოვლათის მოცემული ბუნება იმას განაპირობებს, რომ კერძო სექტორს მისი წარმოების უშუალო ინტერესი არ აქვს და ამიტომ ამის განხორციელება სახელმწიფო სექტორს უხდება.

არაგამორიცხვადი ან არაკონკურენტული დოვლათი (მაგალითად, ქუჩები და ავტომაგისტრალები, პოლიცია და სახანძრო დაცვა, ბიბლიოთეკები და მუზეუმები და ა.შ.) კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის სახელწოდებითაა ცნობილი (მაგალითად, Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, с. 100); პრინციპში, ის შეიძლება კერძო სექტორის მიერ იყოს წარმოებული, მაგრამ ეს სათანადო დონით დადებითი ეფექტის გარეთ გადადინების გამო არ მოხდება, რაც სახელმწიფო სექტორს კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში ჩართვას აიძულებს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ეს მოვლენა „ფრირაიდერის“ (free-rider – უფასოდ მოსარგებლე) პრობლემის სახელწოდებითაა ცნობილი (მაგალითად, Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, с. 100; Фишер, Дорнбуш, Шмалензи, 1993, с. 64).

<sup>2</sup> კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის ნაირსახეობას საკლებო დოვლათი წარმოადგენს, სადაც კლები მოიაზრება, როგორც ნილობრივი მონაწილეობის გზით საერთო სარგებლობის მისაღებად ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. საკლებო დოვლათი თავისი ბუნებით საზოგადოებრივია (რადგან მისით კლების ყველა წევრი ერთნაირად სარგებლობს), მაგრამ კლების წევრობისათვის დაწესებული მოსაკრებელი ან სხვა შენატანი და სხვა შესაძლო შეზღუდვები შესაძლებელს ხდის, რომ ეს დოვლათი კლების კოლექტივში ლოკალიზდეს, რაც, პრინციპში, ამ დოვლათის წარმოებაში სახელმწიფო სექტორის ჩართვის აუცილებლობას გამორიცხავს (Cornes, Sandler, 1996, pp. 33-34).

საზოგადოებრივი (და კვაზისაზოგადოებრივი) დოვლათის წარმოებისას სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი თანასწორობაა: ეს დოვლათი საზოგადოების ყველა წევრისათვის თანასწორად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საზოგადოებრივი დოვლათის ისეთი ნაირსახეობა, როგორცაა, *ეგალიტარული დოვლათი*, ანუ სოციალური სიმშვიდე, რომელიც მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის განეული დახმარებით მიიღწევა<sup>1</sup> (Papava, 1993, pp. 58-60; 1994, pp. 39-40; Папава, 1993, сс. 36-37). ამ დახმარების საფუძველს სოციალური დაცვის სახსრები (შემწეობები) წარმოადგენს, რომლებიც შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილების გზით იქმნება. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ეკონომიკის სახელმძღვანელო ლიტერატურაში ამ მიზნით განეული ტრანსფერტული გადასახდელები არამწარმოებლურ გარიგებებადაა კვალიფიცირებული (მაგალითად, Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, с. 118).

როგორც ცნობილია, საბაზრო მექანიზმს, ისევე, როგორც არასაბაზროს (Фридман, Фридман, 1990, с. 96), დიდი ქონებრივი უთანაბრობა შეუძლია წარმოშვას, რაც შემოსავლის განაწილების მექანიზმის მოქმედების შედეგია: მსხვილი კაპიტალისა და მიწის ფართობების მფლობელების, მაღალხელფასიანი დაქირავებული მუშაკების (მათი შრომის იშვიათობის გამო), დიდი ოდენობით მემკვიდრეობამიღებული ხალხის შემოსავლის დონე მაღალია; მაგრამ საზოგადოება ისეთ ადამიანებსაც მოიცავს (ხანდაზმულებს, უმუშევრებსა და ა.შ.), რომელთაც საბაზრო სისტემის ფარგლებში ან ძალიან მცირე შემოსავლები აქვთ, ან იგი საერთოდ არ აქვთ. სახელმწიფო, გადასახადებისა და გადასახდელების მობილიზაციის ხარჯზე, ტრანსფერტული გადასახდელების გზით, ყველას, ვინც სოციალურ დაცვას საჭიროებს, შემწეობას აძლევს.

<sup>1</sup> ეგალიტარული დოვლათი ეგალიტარიზმის კონცეფციაში, რომელიც შედეგების თანასწორობის, როგორც საბოლოო მიზნის კონცეფციაა (Фридман, Фридман, 1990, с. 87), არ უნდა აგვერიოს.

სახელმწიფოს ეს ქმედება საბაზრო ეკონომიკის პირობებში არათანაბარი შემოსავლების უზრუნველყოფის (რაც ეგალიტარიზმის კონცეფციის არსია) ან სოციალიზმის სხვა მიზნების მიღწევის აუცილებლობით კი არა, არამედ შემოსავლების უთანაბრობის შემცირების გზით საზოგადოების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვითაა მოტივირებული.

მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერის გზით მიღწეულ სოციალურ სიმშვიდეს ჩვენ *ეგალიტარულ დოვლათს* ვუწოდებთ (Papava, 1993, pp. 58-60; 1994, pp. 39-40; Папава, 1993, сс. 36-37). იგი სოციალური დაზღვევისა და მხარდაჭერის განვითარებაზე, უმუშევრებისა და ომის მონაწილეთათვის შემწეობის აღმოჩენაზე, უფასო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამებზე, სახელმწიფო საბინაო მშენებლობაზე და ა.შ. არის დაფუძნებული. სხვა სიტყვებით, ეგალიტარული დოვლათის წარმოების საფუძველი სოციალური ტრანსფერის გზით ე.წ. „ვერტიკალური“ თანასწორობის (Barr, 1997, с. 59) დამყარებაა.

რადგან ეგალიტარული დოვლათი ტრანსფერტული გადასახდელის მეშვეობით იქმნება, ამიტომ, ტრადიციული ეკონომიკისგან განსხვავებით, ბუნებრივია, რომ მათი მწარმოებლური ხასიათი ვალიაროთ.

როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯეიმს ტობინი აღნიშნავდა, „უხილავი ხელის“ შესახებ თეორემის მოდიფიკაციის საჭიროებას სწორედ გარე ეფექტების თავიდან აცილება და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობა განაპირობებს (Тобин, 2002).

მესამე ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც თავისუფალ ბაზარს არ ძალუძს, ეკონომიკის საჭირო რაოდენობის ფულთი უზრუნველყოფაა, თუმცა არსებობს თეორიული მოსაზრება, რომლის თანახმადაც შესაძლებლად არის მიჩნეული ამ ფუნქციის სახელმწიფოდან უშუალოდ ბაზრისათვის გადაცემა (Хайек, 1996).

ამ სამი ძირითადი პრობლემის გარდა, სახელმწიფოს ვალია, თავისუფალ კონკურენციას მისი დამაბრკოლებელი ბარიერების მოშლის გზით შეუწყოს ხელი, რათა საბაზრო ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და კაპიტალის დაუბრკოლებელი გადადინება მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი (მაგალითად, Ширяева, Мамедова, 1992, სს. 104-108). აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოს ისეთ ფუნქციებს ენიჭება, როგორც საბაზრო სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერისა და გაიოლებისათვის სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა და ეკონომიკის სტაბილიზაცია (რაც, უწინარეს ყოვლისა, ინფლაციის დაბალი და დასაქმების მაღალი დონეების მიღწევაში უნდა გამოიხატოს) (მაგალითად, Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, სს. 95-96, 101).

აღნიშნულ პრობლემებთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს ასევე აქვს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების, ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა პროფილაქტიკის, განსაკუთრებულ ვითარებაში, მაგალითად, ომის დროს, ეკონომიკის უშუალო მართვის (Йохансен, 1982, სს. 36-37), ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პროგრამების (Леонычев, 1990, სს. 394-405) ფუნქციები; ასე რომ, ფსევდორეალური ბაზრის პირობებში ადამ სმითისეული „უხილავი ხელი“ სახელმწიფოს „ხილული ხელით“ იცვლება (Sirkin, 1968).

უწინარეს ყოვლისა, ექსტერნალიების, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობის, მონოპოლური წარმონაქმნების მხრიდან საბაზრო ინფორმაციის გავრცელების, კაპიტალის გადადინებისა და, საბოლოო ჯამში, თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის გამო, ბაზარი მასში მონაწილე აგენტების შესაძლებლობათა თანასწორობას პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს, ანუ საბაზრო თანასწორობა ირღვევა, რაც თავისუფალი ბაზრის მოდელიდან გადახვევის ტოლფასია<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში

<sup>1</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ, საბაზრო თანასწორობის ხსენებული

სახელმწიფოს „ხილული ხელის“ აგრეგირებული ფუნქცია (როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული) თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გადახვევის მაქსიმალური შემცირებაა. აუცილებელია, ხაზი იმასაც გაესვას, რომ ეს უკანასკნელი პრობლემა, თავის მხრივ, არ გამორიცხავს, რომ, სინამდვილეში, სახელმწიფოს „ხილული ხელი“ თავად არ იყოს მანკიერი, თავად (რაც მთავარია, შეგნებით) აფერხებდეს საჯაროდ გაცხადებული მიზნების მიღწევას (Долан, Линдсей, 1992, с. 98). მამასადამე, სახელმწიფოს ზემომოყვანილი ქმედება თავისუფალი ბაზრის მხარდასაჭერად, თავის მხრივ, ასევე თეორიული კონსტრუქციაა და, ამდენად, ისევეა საჭირო, როგორც თავისუფალი ბაზრის მოდელი.

ბაზრის აღწერილი მოდელის რეალურისაგან გასამიჯნად მას **ფსევდორეალური ბაზრის მოდელი** ვუნოდოთ, სადაც მიღებულია დაშვება, რომ სახელმწიფოს „ხილული ხელი“ არა მარტო მონოდებულია, არამედ სინამდვილეშიც ატარებს ქმედით ზომებს თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გადახრის მინიმუმაციისა და იმ ამოცანათა გადასაჭრელად, რომლებიც თავისუფალი ბაზრის „კომპეტენციას“ სცდება.

## § 3.4. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია და რეალური ბაზარი

სახელმწიფოს „ხილული ხელის“ საქმიანობის შესახებ არაერთი სახელმძღვანელოს ტიპის სპეციალური გამოცემა არსებობს, სადაც ამ პრობლემის კვლევის შესახებ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება თავმოყრილი (მაგალითად, Аткинсон, Стиглиц, 1995; Стиглиц, 1997; Якобсон, 1996).

---

დამრღვევი „ძალების“ გარდა, მისი შენარჩუნების „ძალებიც“ მოქმედებს; კერძოდ, ხაზი უნდა გაესვას მასობრივ სამრეწველო პროდუქციასა და მასობრივ მსყიდველობითუნარიანობას, რაც მომხმარებელთა მეტ-ნაკლებად თანასწორ მდგომარეობაში ჩაყენების ტენდენციას ქმნის (Козловски, 1996, сс. 54-55).

სახელმწიფოს „ხილული ხელის“ ქმედუნარიანობისა და ეფექტიანობის ანალიზის საუკეთესო საშუალებას „საზოგადოებრივი არჩევანის“ თეორია იძლევა (Бьюкенен, Таллок, 1997)<sup>1</sup>, რომლის საფუძველზეც ის ძირითადი მიზეზი ხდება გასაგები, თუ ფსევდორეალური ბაზარი რეალურისაგან რატომ განსხვავდება.

ამ თეორიის ამოსავალ პრინციპს ის წარმოადგენს, რომ ადამიანი, იმის მიუხედავად, კერძო პირის თუ საზოგადო მოღვაწის როლში გამოდის, ერთნაირად მოქმედებს (მაგალითად, Долан, Линдсей, 1992, с. 359). რადგან სახელმწიფოს „ხილული ხელი“ სწორედ იმ ადამიანების მიერ და მათი ქმედების გამო არის „ხილული“, ვისაც მაღალი საზოგადოებრივი თანამდებობები უკავია, ამიტომ, თუ სახელმწიფოს „ხილული ხელი“ თავისი ქმედებით თავისუფალი ბაზრის ფიასკოს მინიმიზაციას მაინც არ უზრუნველყოფს, სხვა თანაბარ პირობებში, ეს იმ ადამიანების მანკიერებითაა გამოწვეული, ვინც სახელმწიფოს „ხილული ხელის“ ფუნქცია „იტირთა“ და საკუთარი მანკიერების გამო ისიც მანკიერი გახადა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ადამიანის დასახსიათებლად, როგორც ცნობილია, ეკონომიკურ ლიტერატურაში *homo economicus*-ის ცნებაა (ანუ ისეთი ადამიანის, რომლის განმსაზღვრელი მოტივებია ოჯახში – მაქსიმალური სარგებლიანობის, ხოლო ფირმაში მაქსიმალური მოგების მიღება) შემოღებული. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის თანახმად, იმ ადამიანებს, რომელთაც საზოგადოებრივი თანამდებობები უჭირავთ, საკუთარი ინტერესები პირადი სარგებლობის გაზრდის თვალსაზრისით ისევე ამოძრავებთ, როგორც *homo economicus*-ს (მაგალითად, Долан, Линдсей, 1992, с. 359). სხვა სიტყვებით, საზოგადოებრივ თანამდებობაზე წარმოდგენილი ადამიანები *homo economicus*-ის კატეგორიას განეკუთვნებიან და ეს გასაკვირი არც არის, რადგან მთელი საზოგადოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც წესი, მხოლოდ ასეთი ადამიანებისაგან შედგება.

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე (Нურიევ, 2005).

როცა ლაპარაკია საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი ადამიანების პირად სარგებლობაზე, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური რენტის ძიება იგულისხმება, რაც პოლიტიკური პროცესის გზით ეკონომიკური რენტის მოძიებასა და დაცვას ნიშნავს, სადაც *ეკონომიკური რენტა* გაიგება, როგორც წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის ისეთი საფასური, რომელიც ამ ფაქტორის ალტერნატიულ ღირებულებას აღემატება (მაგალითად, *Долан, Линдсей, 1992, с. 99*).

პოლიტიკური რენტის საუკეთესო მაგალითია *სუბსიდია*. სუბსიდიების გზით საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი *homo economicus* ცდილობს, არჩევნებში იმ ამომრჩეველთა მხარდაჭერა მიიღოს, რომლებიც ამ სუბსიდიების და მათი საშუალებებით პოლიტიკური რენტის მიმღებნი არიან (*Долан, Линдсей, 1992, с. 99*), თუმცა, თეორიულად, სუბსიდიის დანიშნულება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, დადებითი გარე ეფექტის ინტერნალიზებაა, რამაც ამ ეფექტის წარმომქმნელს სტიმული უნდა მისცეს, ის არ შეამციროს, ანუ მან, როგორც დადებითი გარე ეფექტის შემქმნელმა, თავი საბაზრო თანასწორობის პირობებში უნდა იგრძნოს.

პოლიტიკური რენტის ძიების კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირების მიერ *იმპორტზე გადასახადების, ასევე აკრძალვების, კვოტირებისა და ლიცენზირების სისტემის* შემოღებით კონკურენციის შეზღუდვა წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, საბაზრო ფასების დამახინჯებასა და პოლიტიკური რენტის შექმნას (*Долан, Линдсей, 1992, сс. 99-100*), ანუ საბაზრო თანასწორობის დარღვევას, თავისუფალი ბაზრის პრინციპების უარყოფას განაპირობებს.

საბაზრო თანასწორობის დარღვევის და, ამდენად, თავისუფალი ბაზრის პრინციპების უარყოფის ყველაზე უფრო არაჰუმანური მაგალითი *ეკონომიკური დისკრიმინაცია*<sup>1</sup>, რაც იმაში

<sup>1</sup> ეკონომიკური დისკრიმინაციის პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული წვლილი ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატებს გარი ბეკერსა (*Becker, 1971*) და მილტონ ფრიდმენს (*Friedman, 1982, ch. VII*) მიუძღვით.

გამოიხატება, რომ ინდივიდებს, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ რასის, ეროვნების, სქესის ან (და) ასაკის მიხედვით განსხვავდებიან, განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ (მენქიუ, 2008, გვ. 402; Mankiw, 2004, p. 420; Мэнкью, 1999, с. 415), რაც, საბოლოო ჯამში, სამსახურში მოწყობის, თანამდებობრივი დანი-ნაურების, სათანადო ხელფასის მიღებისა და მომატების, განათ-ლების მიღების და ა.შ. განსხვავებულ შესაძლებლობებში პოვნებს ასახვას (Макконнелл, Брю, 1992, Т. 2, с. 308).

საბაზრო დისკრიმინაციის სხვადასხვა თეორიას საფუძე-ლად დისკრიმინაციის განსხვავებული წყარო უდევს; პირველის თანახმად, დისკრიმინაციის საფუძველი პირადი ცრურწმენაა, მეორის თანახმად – სტატისტიკური ცრურწმენა, ხოლო მესა-მის კი – მონოპოლიური ძალა (Эренберг, Смит, 1996, сс. 463-479). იმავდროულად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულ დებულებად ითვლება ის, რომ ეკონომიკური დისკ-რიმინაციის ინიცირება, უწინარეს ყოვლისა, მომხმარებლებისა და სახელმწიფოს მხრიდან ხდება (მაგალითად, მენქიუ, 2008, გვ. 406; Mankiw, 2004, pp. 423-424; Мэнкью, 1999, с. 419).

მომხმარებლის მხრიდან დისკრიმინაცია მხოლოდ და მხო-ლოდ ცრურწმენას ემყარება და მას მენარმეების მხრიდან რაიმე ეკონომიკური საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც დისკრიმინა-ცია, როგორც ასეთი, უწინარეს ყოვლისა, მენარმეთათვის ეკო-ნომიკურად ნამგებია<sup>1</sup>; მაგალითად, რასისტი მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინების გამო, თეთრკანიან მოსამსახუ-რეს უფრო მეტი უნდა გადაუხადონ, ვიდრე შავკანიანს, რის შე-დეგადაც საბაზრო ფასები მახინჯდება და მენარმეები მოგების ნაწილს კარგავენ. ამით კი, საბოლოო ჯამში, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა ზარალდება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის საფუძველი შეიძლება არა მარტო მომხმარებლების, არამედ დაქირავებულებისა და დაქირავე-ბულების პირადი ცრურწმენაც იყოს (Эренберг, Смит, 1996, сс. 464-471).

<sup>2</sup> აშშ-ის მაგალითზე ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, შავკანიანებს შორის უმუშევრობის თეთრკანიანებს შორის უმუშევრობასთან უფრო

პოლიტიკური რენტის მიღების მიზნით, ის ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებრივი თანამდებობები უკავიათ, მომხმარებელთა ხსენებულ ცრურწმენაზე დაყრდნობით შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავენ და ცხოვრებაში გაატარებენ, რის შედეგადაც დისკრიმინაცია სახელმწიფოს მხრიდანაც დაკანონდება. პოლიტიკური რენტის მიმღები კი, მაგალითად, რასისტული ტიპის სახელმწიფოში თეთრკანიანი მოსახლეობაა.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ, მართალია, ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დისკრიმინაცია ოფიციალურად გამორიცხულად მიიჩნეოდა, მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ ეს, სქესობრივი და ეთნიკური ნიშნით უთანასწორობის გამო, ასე სულაც არ იყო (Meurs, 1998).

პოლიტიკური რენტის ძიების გზებში განსაკუთრებით ლობიზმი და ლოგროლინგი უნდა გამოიყოს; პირველის თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეული პოლიტიკის პროპაგანდის საფუძველზე ცდილობენ, მათ უკან მდგარი ადამიანების (ამომრჩევლების) ინტერესების გამომხატველი ღონისძიებები გაატარონ ცხოვრებაში, მეორის მიხედვით კი, საკანონმდებლო ორგანოების წევრები ერთმანეთში ხმებით ვაჭრობენ, რათა საბოლოოდ მათთვის ესა თუ ის სასურველი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული (Долан, Линдсей, 1992, сс. 366-369). მაშასადამე, იმ პოლიტიკური მიზნების რეალიზება, რაც სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არის გაცხადებული, საბოლოო ჯამში, არა მარტო ამ მიზნებიდან უშუალოდ გამომდინარე პროგნოზირებად, არამედ გაუთვალისწინებელ შედეგებსაც იწვევს, რაც „გაუთვალისწინებელი შედეგების კანონის სახელწოდებითაა“ ცნობილი (Долан, Линдсей, 1992, с. 27).

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია იმას ნათელყოფს, თუ სახელმწიფოს „ხილული ხელი“ ხშირ შემთხვევაში რატომ ვერ

---

მაღალი დონისა და შავკანიანების პროფესიული განათლების თეთრკანიანებთან შედარებით მიუწვდომლობის გამო, აშშ-ის ეკონომიკა, შრომის მწარმოებლურობის მოცემული დონის პირობებში, წარმოების მოცულობის დაახლოებით 4 პროცენტს კარგავს (Макконнелл, Брю, 1992, Т. 2, сс. 310-311).

ახერხებს მისი უშუალო დანიშნულების – თავისუფალი ბაზრის პრინციპების მხარდაჭერასა და ამ უკანასკნელის მიერ გადაუწყვეტელი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას. შედეგად, რელობაში სახელმწიფოს „ხილულ ხელს“, არცთუ იშვიათად, უპირიანია, „მახინჯი ხელი“ ეწოდოს.

როცა ბაზარში სახელმწიფოს წარუმატებელი ჩარევის განსაკუთრებით მიუღებელი ფორმები ადგილობრივი ხელისუფლების მიერაა ინიცირებული, მაშინ ე.წ. „უხილავი ფეხის“ ეფექტი იწყებს მოქმედებას, როცა ადამიანები იცვლიან საცხოვრებელ ადგილს ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით (Фишер, Дорнбуш, Шмалензи, 1993, сс. 392-393).

საქმე უფრო რთულადაა, როცა ბაზარში სახელმწიფოს წარუმატებელი ჩარევის განსაკუთრებით მიუღებელი ფორმები ცენტრალური ხელისუფლების მიერაა ინიცირებული, მაგრამ გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში, პრინციპში, ამ პრობლემის დაძლევა შეიძლება, რადგან „უხილავი ფეხის“ ეფექტი საერთაშორისო დონეზეც მოქმედებს, როცა ადამიანები ერთი ქვეყნიდან საცხოვრებლად მეორეში გადადიან.

რეალური ბაზრის პირობებში ბაზარში სახელმწიფოს წარუმატებელი ჩარევის დაძლევის ერთადერთი გზა თავად საბაზრო მექანიზმში ძევს<sup>1</sup>; თავისუფალი ბაზრის პრინციპების მხარდაჭერა მხოლოდ საბაზრო დემოკრატიის დამყარებისა და განმტკიცების გზითაა შესაძლებელი; აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს „ხილული ხელის“ განმსაზღვრელი ფუნქცია სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუციების დამკვიდრების გზით თავისუფალი ბაზრის შემაფერხებელი ყველა ძალის მაქსიმალური შესუსტება უნდა იყოს, რაც, თავის მხრივ, ძალზე რთული ამოცანაა, რადგანაც იგი არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებთან, არამედ იმ ეროვნულ, ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ ფა-

<sup>1</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბაზრო მექანიზმის საფუძველი – მოთხოვნასა და მიწოდებაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნა, ყველა წოდებრივ და პირად პრივილეგიას სპობს და ამით, სოციოლოგიური თვალსაზრისით, თანასწორობას უზრუნველყოფს (Козловски, 1996, с. 55).

სეულობებთანაც არის დაკავშირებული, რითაც ესა თუ ის ქვეყანა ცხოვრობს.

## § 3.5. რეალური ბაზარი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სანყის ეტაპზე

თავისუფალი ბაზრის პრინციპების დამკვიდრების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში დგას, რადგან ამ ქვეყნებში ბაზარი, როგორც ასეთი, თავად ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. ხოლო როცა ბაზარი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, ამ პრინციპების არსებობაც თითქმის შეუძლებელია. ამავე დროს, რადგან ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ თავიდანვე კურსი თავისუფალი ბაზრის იდეალისაკენ რამდენად სწორად იქნება აღებული.

ადამიანის ის ტიპი, რომელიც არსებული ეკონომიკური სისტემის რღვევის გამო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა, *homo soveticus* (ანუ სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანიდან) იყო და კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლის პოსტკომუნისტური გზა შეიძლება გაანალიზდეს, როგორც *homo soveticus*-ის *homo transformaticus*-ის შუამავლობით *homo economicus*-ად ტრანსფორმაციის პროცესი<sup>1</sup>.

თუკი ჩამოყალიბებული და მეტ-ნაკლებად განვითარებული კაპიტალისტური ურთიერთობების პირობებში საზოგადოებრივი თანამდებობები, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, *homo soveticus*-ის ტიპის ადამიანებს უკავიათ, პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ესენი *homo transformaticus*-ის ტიპის ადამიანები არიან. თუ ამასთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ახალი საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ფორმალური ინსტიტუციების შექმნისას ვაკუუმის წარმოქმნის

<sup>1</sup> უფრო დეტალურად ეს საკითხი მე-2 თავშია განხილული.

შესაძლებლობა ხშირია, გასაგებია, რომ გარკვეულ სახეცვლილებას პოლიტიკური რენტის ძიების ზემოაღნიშნული მექანიზმიც განიცდის.

პოლიტიკური რენტის ძიება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში, უნინარეს ყოვლისა, ოთხი ძირითადი მიმართულებით მჟღავნდება; ესენია – სპეკულაცია, სუბსიდიები იმპორტზე, შეღავათიანი კრედიტები და ნომენკლატურული პრივატიზაცია, რაც ერთობლიობაში *homo transformativus*-ის რენტაზე ორიენტირებულ ქცევას ქმნის (Ослунд, 1996). ეს მიმართულებები შემდეგი ბუნებისაა (Ослунд, 1996, сс. 101-102):

1. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისში, როცა ფასები სრულად ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული, საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირები ან (და) მათი წარმომადგენლები იაფფასიან დეფიციტურ საქონელს იძენდნენ და საბაზრო ფასად ყიდდნენ;
2. რადგან პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისში ვალუტის მრავალი გაცვლითი კურსი ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო, საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირებს ან (და) მათ წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებოდათ, მყარი ვალუტა იაფად შეეძინათ, ხოლო შემდეგ იმპორტირებული საქონელი საბაზრო ფასად გაეყიდათ;
3. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის საწყის ეტაპზე შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების სისტემა შენარჩუნებული იყო. მათი მიმღები კი მხოლოდ საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირები ან (და) მათი წარმომადგენლები იყვნენ;
4. საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირები საპრივატიზაციო ობიექტის ფასს ხელოვნურად ამცირებდნენ და, იმავდროულად, თავად პრივატიზაციის პროცესი რაიმე განსაკუთრებული საჯაროობის გარეშე მიმდინარეობდა, რის შედეგადაც ახალ მესაკუთრეთა როლში მოგვევლინნენ ან თვით ეს პირები, ან მათი წარმომადგენლები, ან ვინც ამისათვის შესაბამისი ქრთამი გადაიხადა.

ამ „რენტაზე ორიენტირებული ქცევის“ ეკონომიკური ფესვები კომუნისტური სისტემის კლექტოკრატიულ ფორმაში ძვეს (Ослунд, 1996, с. 104).

ამგვარი ტიპის სახელმწიფოს დასახასიათებლად ყველაზე სწორი იქნება, ცნობილი პერუელი ეკონომისტის, ერნანდო დე სოტოს მიდგომა გამოვიყენოთ, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო, რომელიც ძალზე ბიუროკრატიულია, არად აგდებს კანონებს, პრაქტიკულად, მხოლოდ ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებით და არა მისი წარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნით არის დაკავებული, შეიძლება კვალიფიცირდებოდეს, როგორც *მერკანტილური* (Сото, 1995, сс. 248-283). პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყება სწორედ მერკანტილური სახელმწიფოს „ხილულ ხელს“ დაეკისრა და რა გასაკვირია, რომ თავიდანვე არანაირ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე რეალურ გადასვლაზე საუბარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის განვითარების, საბაზრო ტიპის ინსტიტუციურ მოწყობაში ვაკუუმის შევსების კვალობაზე, პოლიტიკური რენტის ძიების ხსენებული მიმართულებები ადგილს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ გზებს უთმობს და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ფასების სრული ლიბერალიზაციის, მრავალი გაცვლითი კურსიდან მხოლოდ ერთზე გადასვლის, შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების სისტემის გაუქმებისა და მასობრივი პრივატიზაციის პროცესის დამთავრების შემდეგ შესაბამისი პოლიტიკური რენტის მიღების წყაროები პრაქტიკულად ისპობა.

იმისდა მიხედვით, თუ თავისუფალი ბაზრისათვის დამახასიათებელი ელემენტების ფორმირების პროცესი რამდენად მიზანმიმართულად და დემოკრატიულობის პრინციპის სრული დაცვით მიმდინარეობს, იმდენად უფრო რეალური ხდება თავისუფალი ბაზრის იდეალთან მიახლოება.

### გამოყენებული ლიტერატურა

- მენქიუ გ., 2008. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენე“.
- პაპავა ვ., 2002. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდბ“.
- Becker G. S., 1971. *The Economics of Discrimination*. Chicago, The University of Chicago Press.
- Cornes R., Sandler T., 1996. *The Theory of Externalities, Public Goods, and Club Goods*. Cambridge, Cambridge University Press.
- Friedman M., 1982. *Capitalism and Freedom*. Chicago, The University of Chicago Press.
- Mankiw N. G., 2004. *Principles of Economics*. Mason, South-Western College Publisher.
- Meurs M., 1998. Imagined and Imagining Equality in East Central Europe: Gender and Ethnic Differences in the Economic Transformation of Bulgaria. In: *Theorizing Transition. The Political Economy of Post-Communist Transformations*. Ed. by J. Pickles, A. Smith. London, Routledge.
- Папавა В., 1993. A New View of the Economic Ability of the Government, Egalitarian Goods and GNP. *International Journal of Social Economics*, Vol. 20, No. 8.
- Папавა В., 1994. The Role of the State in the Modern Economic System. *Problems of Economic Transition*, Vol. 37, No. 5.
- Папавა В., 2004. The Doctrine of Market Equality. Questions of Theory and Its Application to the Process of Post-Communist Transformation. *Problems of Economic Transition*, Vol. 47, No. 8.
- Sirkin G. 1968. *The Visible Hand: The Fundamentals of Economic Planning*. New York, McGraw-Hill.
- Аткинсон Э. Б., Стиглиц Дж. Э., 1995. *Лекции по экономической теории государственного сектора*. Москва, Аспект Пресс.
- Барр Н., 1997. Роль государства в рыночной экономике. В кн.: *Рынок труда и социальная политика в Центральной и Восточной Европе. Переходный период и дальнейшее развитие*. Москва, ИКЦ «ДИС».
- Бьюкенен Дж., Таллок Т., 1997. Расчет согласия. Логические основания конституционной демократии. В кн.: *Дж. М. Бьюкенен. Сочинения*. Серия: «Нобелевские лауреаты по экономике», Т.1. Москва, Таурус Альфа.
- Гарсия М. Ф., 2010. Социальное конструирование совершенного рынка: голландский аукцион в Фонтен-ан-Солонь. *Вопросы экономики*, № 8.
- Долан Э. Дж., Линдсей Д. Е., 1992. *Рынок микроэкономическая модель*. Санкт-Петербург, Российско-Британское СП «Автокомп».

- Йохансен Л.**, 1982. *Очерки макроэкономического планирования*. Т. 1. Москва, Прогресс.
- Козловски П.**, 1996. *Этика капитализма (с комментариями Дж. Бьюкенена). Эволюция и общество: Критика социологии*. Санкт-Петербург, Экономическая школа.
- Леонтьев В.**, 1990. *Экономические эссе*. Москва, Политиздат.
- Лившиц А. Я.**, 1991. *Введение в рыночную экономику*. Москва, Квадрат.
- Макконнелл К. Р., Брю С. Л.**, 1992. *Экономикс: Принципы, проблемы и политика*. Т. 1, 2. Москва, Республика.
- Мэнкью Н. Г.**, 1999. *Принципы экономикс*. Санкт-Петербург, Питер Ком.
- Нуриев В. М.**, 2005. *Теория общественного выбора. Курс лекций*. Москва, ГУ ВШЭ.
- Ослунд А.**, 1996. «Рентоориентированное поведение» в российской переходной экономике. *Вопросы экономики*, № 8.
- Папава В.**, 1993. Роль государства в современной экономической системе. *Вопросы экономики*, № 11.
- Папава В.**, 1999. Доктрина рыночного равенства: вопросы теории и ее приложения к процессу посткоммунистической трансформации. *Общество и экономика*, № 12
- Сото Э. де**, 1995. *Иной путь. Невидимая революция в третьем мире*. Москва, Catallaxu.
- Стиглиц Дж. Э.**, 1997. *Экономика государственного сектора*. Москва, Издательство МГУ: ИНФРА-М.
- Тобин Дж.**, 2002. Теорема о «невидимой руке» должна быть модифицирована. *Российский экономический журнал*, № 3.
- Фишер С.**, Дорнбуш Р., Шмалензи Р., 1993. *Экономика*. Москва, Дело.
- Фридман М.**, Фридман Р., 1990. Свобода, равенство и эгалитаризм. В кн.: *Фридман и Хайек о свободе*. Под ред. Г. С. Лисичкина. Минск, Полифакт-Референдум.
- Хайек Ф. А.**, 1996. *Частные деньги*. Москва, ИНМЭ.
- Ширяева Л.**, Мамедова Н., 1992. Неоклассическая модель государственного регулирования рыночных отношений. *Российский экономический журнал*, № 4.
- Эренберг Р. Дж.**, Смит Р. С., 1996. *Современная экономика труда. Теория и государственная политика*. Москва, Издательство МГУ.
- Якобсон Л. И.**, 1996. *Экономика общественного сектора. Основы теории государственных финансов*. Москва, Аспект Пресс.

## § 4.1. ეკონომიკური მეცნიერება და კომუნისტური სისტემის მსხვერვა

კომუნისტური რეჟიმის კრახმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში, ამ უკანასკნელის თითქმის იმავდროულმა დაშლამ და თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმოცენებამ დღის წესრიგში თვისებრივად ახალი პრობლემები დააყენა, რომელთა გადაწყვეტაც იმ კლასიკური სქემების ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა შემუშავებული (Hoyb, 1993).

თავისთავად ურთულეს ამოცანას წარმოადგენს კომუნისტურ პერიოდში არსებული სახელმწიფო ინსტიტუციების საბაზრო ტიპის ინსტიტუციებად გარდაქმნა (Nunberg, 1999). კომუნისტურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის პროცესი ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შეიქმნა ფედერაციული წარმონაქმნების (სსრკ-ის, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის) დაშლით და რომლებიც შესაბამისი ფედერაციების უშუალო სამართალმემკვიდრეები არ იყვნენ, რთულდებოდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური (Schmitter, 1994) საფუძვლების შექმნის ამოცანით (Balcerowicz, 1995, p. 146; Milanovic, 1998, p. 3; Papava, 1996a, p. 252). ამ ფონზე ბევრად უფრო „გამარტივებულად“ წარმოჩნდება ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, რადგანაც მას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან (გფრ) გაერთიანების პროცესი უძლოდა წინ (Derlien, 1999; Альнах, 1999; Барфус, 1995, сс. 58-66).

ეს პროცესი განეკუთვნება მეოცე საუკუნის დასასრულის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს (Stiglitz, 1992, p. 137), რომელიც შეიძლება განიხილოს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გლობალური მსოფლიო პროცესი (Berend, 1994), და რომლის ზეგავლენაც ეკონომიკური აზრის განვითარებაზე შეიძლება შეედაროს გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის დაძლევა (Автомов, 1996, с. 11) ან ევროპის რეკონსტრუქციას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (Fischer, 1992; Fischer, Frankel, 1992; Sachs, 1992; Summers, Nordhaus 1992; Wolfson, 1992). ჯონ კენეტ გელბრეითის აზრით, ხსენებული პროცესი ორ მსოფლიო ომთან ერთიან რიგში დგას, როგორც ერთ-ერთი ამ სამი უდიდესი ისტორიული მოვლენათაგანი, რითაც გამოირჩევა მეოცე საუკუნე (Иноземцев, 1998, с. 7). შემთხვევითი არ არის, რომ ჯ. ჰოქი და თ. ეში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესს „რეფოლუციას“ („Refolution“, „революция“) უწოდებენ, რომელიც მიიღება ტერმინების – „რეფორმა“ და „რეკოლუცია“ – გაერთიანებით (Голдстоун, 2001, с. 117).

ცალკეულ გამოკვლევებში (მაგალითად, Andor, Summers, 1998; Buch, Heinrich, 1997; Trushin, Trushin, 2002; Кузин, ред., 1994) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები ე.წ. „ეკონომიკური სასწაულის“ მიდგომის<sup>1</sup> ფარგლებშია გაშუქებული (Петраков, 1998, с. 190). საბაზრო მექანიზმების წარმატებული რეალიზაციის ამა თუ იმ მაგალითის „ეკონომიკური სასწაულის“ ტერმინოლოგიით გაშუქებამ დიდი პოპულარობა, უწინარეს ყოვლისა, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან მიმართებაში მოიპოვა (WB, 1993). XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც ამ ქვეყნების ეკონომიკა საკმაოდ დააზარალა, ერთობ გააფერმკრთალა ტერმინ „სასწაულის“ ეკონომიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა (Claessens, Glaessner, 1997).

<sup>1</sup> „ეკონომიკურ სასწაულებს“ შორის განასხვავებენ გერმანულ (Зарицкий, 1997; Эрхард, 1991), იაპონურ (Латышев, 1970; Цуру, 1981), სამხრეთ აზიის (Weder, 2001), იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, ბრაზილიურ, მექსიკურ და სხვ. (Березин, 1999, сс. 220-243), ასევე, ქართულ (Петухов, 1999) სასწაულს.

ის, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, როგორც ასეთი, ბევრ ქვეყანაში უკვე დასრულებულია, ჯერ-ჯერობით მაინც არ ძალუძს, თეორიულად დასაბუთებული და ამასთანავე ამომწურავი პასუხი გასცეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ბევრ საჭირობო საკითხს. ეს შეხედულება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე აღიარეს ჩვენი დროის ცნობილმა ეკონომისტებმა (მაგალითად, Stiglitz, 1996, p. 3; Becker, Becker, 1997, p. 259). შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ისე დაიწყო, რომ ამ გადასვლის ეკონომიკური თეორია არც კი არსებობდა (Бертенев, 1996, с. 301). სამწუხაროა, მაგრამ, როგორც ეს უკვე აღინიშნა ამ წიგნის 1-ლ თავში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემის გადანყვებაში ეკონომიკურმა მეცნიერებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი „დამაჯერებელი იმპოტენტურობა“ (Бирман, 1996, 521). მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესიდან უკვე სამი ათეული წელი გავიდა და ეკონომიკის პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციაზე არაერთი შემაჯამებელი ნაშრომი გამოვიდა (Åslund, 2002, 2007, 2013; Frye, 2010; Hare, Turley, eds., 2013; Roland, 2000, 2014; Полан, 2012), ამ გადასვლის ერთიანი, ბოლომდე ჩამოყალიბებული თეორია (Papava, 2005b), თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც დღეისათვის არსებობს. თუმცა ასეთი თეორია, რომც არსებობდეს, ის მაინც ვერ მოხვდებოდა ტრადიციულ ეკონომიკაში, რისი თქმის საშუალებასაც ამ უკანასკნელის ფორმატი იძლევა, რომელიც, როგორც წესი, უმთავრესად, თავისუფალი ბაზრისა და, ნაწილობრივ, ფსევდორეალური ბაზრის განხილვით იფარგლება.

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ დასავლეთის ეკონომისტებისათვის გეგმიანი განვითარების პრობლემებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ საბაზრო სისტემაზე გადასვლაზე, ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც დროებითი გადახრა საყოველთაოდ მიღებული კაპიტალისტური ნორმიდან, რის გამოც მათთვის დროის კარგვად ითვლება დროებითი პრობლემების კვლევა (Аукуционек,

1996, c. 11). მიუხედავად ამისა, მსოფლიოში არაერთი ცნობილი ეკონომისტი მიიჩნევდა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომისტთათვის კვლევის ძირითადი მიმართულება გახდა (მაგალითად, Galbraith, 1992, p. 46), რის შედეგადაც თავად ეკონომიკური თეორიის პრობლემები ამ პროცესის განვითარების ფონზე უნდა ყოფილიყო განხილული (Buchanan, 1992; Fischer, Gelb, 1991).

საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის არარსებობას შესაბამისი სქელტანიანი სახელმძღვანელოების დაწერისთვის ხელი არ შეუშლია, რომელთა ავტორებიც არიან როგორც რეფორმირებადი, ისე დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები (Абалкин, ред., 1997; Белокрылова, 2002; Бузгалин, 1994; Гайгер, 1996; Герасименко, ред., 1997; Киселева, Чепурин, ред., 1998; Красникова, ред., 1998; Николаева, ред., 2001); ამ პრობლემატიკამ აგრეთვე ასახვა პოვა „ეკონომიკური თეორიის“ (Видяпин, Журавлева, ред., 1997, сс. 52-59, 87-92), ეკონომიკური აზრის ისტორიისა (Бертенев, 1996, гл. 18) და ეკონომიკის ისტორიისადმი (Березин, 1999, сс. 252-260) მიძღვნილ სახელმძღვანელოს ტიპის თანამედროვე გამოცემებშიც<sup>1</sup>.

## § 4.2. ტრანსფორმაციის ტერმინოლოგია

აუცილებელია ზოგიერთ ტერმინოლოგიურ საკითხზე გამახვილდეს ყურადღება. კერძოდ, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკისათვის გავრცელებულია ტერმინები „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“, „გარდამავალი ეკონომიკა“ („Economy in Transition“, „Transitional Economy“, „Экономика переходного перио-

<sup>1</sup> ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემები ქართველ ეკონომისტთა მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოებშიცაა გაშუქებული (მაგალითად, ადეიშვილი, ასათიანი, რედ., 1998; კახნიაშვილი, 1997).

და“, „Переходная экономика“), რომლებიც თავისი ბუნებით ძალზე ბუნდოვანია, რადგან გაუგებარია, თუ კერძოდ რომელ „გარდამავალ პერიოდზე“ საუბარია. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ადგილი სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას უკავია, მაგრამ ეს პროცესი თავისი ბუნებით სულაც არ არის ერთგვაროვანი, რადგან ერთმანეთისაგან განარჩევენ ტრადიციულ და ახალი ტიპის გარდამავალ ეკონომიკას: პირველი დამახასიათებელია ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ აზიის, ხოლო მეორე კი – აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოთა კავშირის დაშლით შექმნილი, ასევე ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნისა და ჩინეთისათვის (Гайгер, 1996, сс. 45, 51-53). აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის“ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, ჩინეთი და მონღოლეთი, თუმცა მსოფლიოში მრავალი ქვეყანაა (მარტო აფრიკაში 30-მდე), რომელიც იმყოფება ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკიდან საბაზროზე გარდამავალ პროცესში (Yarborough, Yarborough, 1997, p. 469).

XX საუკუნის ისტორიისათვის ისეთი მოვლენებიც არის ცნობილი, როგორცაა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა (Kanth, 1997, pp. 211-225; Kornai, 1992, pp. 26-30; Бухарин, 1990, сс. 81-207; Шумпетер, 1995, сс. 293-309, 524-537), გადასვლა კაპიტალიზმიდან პოსტინდუსტრიულ, პოსტეკონომიკურ საზოგადოებაზე (Белл, 1999; Иноземцев, 1995, 1998; Маркарян, 2002), თანამედროვე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, როგორც ამას ზოგიერთი ეკონომისტი აფასებს (Brown, 1995, pp. 334-356; Coates, 1981, 1982; Бузгалин, 1994, сс. 23-32), სტალინიზმიდან სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (Nolan, 1995), წარმოების მნიშვნელოვან ზრდაზე გადასვლა აშშ-ის ეკონომიკაში (Feldstein, ed., 1980); ასევე, იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი განვითარებაც „გარდამავალი ეკონომიკის“ ტერმინოლოგიით ხასიათდება (Бок, 2002, гл. 2).

პიტერ დრაკერის აზრით, დღეს კაცობრიობა მსოფლიო მეურნეობის ერთიან სისტემაზე გადასვლის (Иноземцев, 1998, с. 6) ეტაპზე, პოსტკაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში (Drucker, 1993) იმყოფება. ჯონ კენეტ გელბრეთის მიხედვით შეიძლება განიხილებოდეს „სიუხვის საზოგადოებაზე“ (“Affluent Society“) გადასვლის პროცესი (Galbraith, 1998, pp. 209-216).

მესამე ათასწლეულში გადასვლასთან დაკავშირებით XX საუკუნის 90-იან წლებში წამოიწია საკითხმა, რომლის არსიც კიბერსივრცის (Cyberspace), კიბერეკონომიკის (Cybereconomy) სუვერენული ინდივიდის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს (Davidson, Ress-Mogg, 1998, pp. 11-39). უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული ეკონომიკური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში, შეიძლება განიხილებოდეს მსოფლიო ეკონომიკის ერთიანი გარდამავალი პროცესის კონტექსტში (Hinshaw, ed., 1996).

ბელორუსიის მაგალითზე გამოიკვეთა საბაზრო ეკონომიკის სანყისი სტადიიდან საგეგმო ეკონომიკაზე უკუგადასვლის პროცესი (Антчак, Гужински, Козаржевски, 2001).

ლემუკ ბალცეროვიჩის კლასიფიკაციით შეიძლება განხილულ იქნეს „გადასვლის“ რამდენიმე ისტორიული პროცესი (Balcerowicz, 1995, p. 145; Бальцерович, 1999, с. 153):

1. კლასიკური გადასვლა, რაც გულისხმობს დემოკრატიის გაფართოებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 1860-1920 წლებში;
2. ნეოკლასიკური გადასვლა, რაც აისახა დემოკრატიზაციის პროცესში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა (დასავლეთ გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში XX საუკუნის 40-იან, ესპანეთსა და პორტუგალიაში 70-იან, ზოგიერთ ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში 70-იან და 80-იან, სამხრეთ კორეასა და ტაივანში 80-იან წლებში);
3. ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები არაკომუნისტურ ქვეყნებში (დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვე-

ყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამხრეთ კორეასა და ტაივანში გასული საუკუნის ადრეულ 60-იან, ჩილეში 70-იან, თურქეთსა და მექსიკაში 80-იან, არგენტინაში 90-იან წლებში);

4. აზიური პოსტკომუნისტური გადასვლა (ჩინეთში XX საუკუნის გვიანი 70-იანი და ვიეტნამში გვიანი 80-იანი წლებიდან დაწყებული).

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ პოზიციებიდან მთელი მსოფლიო შეიძლება განიხილებოდეს სწორედ ამ მიმართულებით მყოფ გარდამავალ პერიოდში (Esping-Andersen, ed., 1997).

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ (“New World Order“, „Новый мировой порядок“) ფორმირების შუქზე ტერმინი „გადასვლა“ უფრო ფართო შინაარსს იძენს, რომლის თანახმადაც, „გადასვლა“ გაიგება იმ სტრატეგიათა ნაკრებად, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს, განსაზღვროს და მიაღწიოს მოცემულ წესრიგს მინიმალური დანაკარგებით (Calkins, Vezina, 1996, p. 311).

გადასვლის შესახებ და, კერძოდ, „გარდამავალი პერიოდის“ მიმართ განზოგადებული მიდგომის მაგალითად შეიძლება მისი განსაზღვრების მოყვანა, როგორც დროის პერიოდისა, როცა მიმდინარეობს ისტორიული არჩევანის პროცესი (Ракитская, 1996, с. 87). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ განმარტების ავტორი იმავდროულად თვლის, რომ „გარდამავალი პერიოდის“ ცნება მიუღებელია არჩევანის სიციხადის გამო (Ракитская, 1996, с. 87).

„გარდამავალი ეკონომიკის“ ერთ-ერთი ბუნდოვანი განზოგადებული განმარტების თანახმად, ის „ფსიქოლოგიური და თეორიული თვალსაზრისით რეგულაციის ორ მდგომარეობას შორის არსებული მდგომარეობაა“<sup>1</sup>, რომლებიც ერთმანეთისაგან

<sup>1</sup> „გარდამავალი პერიოდის“, „გარდამავალი ეკონომიკის“ მსგავსი განზოგადებული განმარტების მცდელობა ქართული ეკონომიკური ლიტერატურისთვისაცაა დამახასიათებელი. ასე მაგალითად, „გარდამავალი ეკონომიკის“ ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ის ერთდროულად ნორმალური განონასწორებული განვითარების მდგომარეობაში გადასვლასა და ერთი მდგრადი განონასწორებული რეჟიმიდან სხვა მდგრად განონასწორებულ რეჟიმში გადასვლასაც გულისხმობს (ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე, 2001, გვ. 93).

„სისტემური ან შოკური გარდატეხითაა“ გამიჯნული, და რომლებიც, თავის მხრივ, „ერთმანეთისაგან ძალისა და ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავდებიან“ (Кузнецов, 1994, сс. 5-6).

„გარდამავალი პერიოდისა“ და „გარდამავალი ეკონომიკის“ განზოგადებული განმარტების ძიება, როგორც წესი, არაკონსტრუქციულია, რამდენადაც როგორც თეორიული, ისე (უფრო მეტად კი) პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრის მომცემია. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არ უნდა იყოს ის, რომ ტერმინ „გარდამავალი პერიოდის“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს (Березин, 1999, с. 253).

ყველა აქ მოყვანილი მიდგომის ფონზე შეიძლება დავასკვნათ, რომ როცა კონკრეტულად საუბარია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაზე (მოკლედ, კაპიტალისტურ ეკონომიკაზე პოსტკომუნისტურ გადასვლაზე), ან თუნდაც ჯონ კენეტ გელბრეითის სიტყვებით რომ ვთქვათ, მასთან რაიმე მიახლოებულზე (Galbraith, 1996, p. 101) – ეს, ჩვენი აზრით, საგანგებოდ უნდა იყოს დაფიქსირებული, მით უფრო, რომ გადასვლის ამ პროცესს ისტორიაში ანალოგი არ აქვს (Campbell, 1991, p. 227).

იმისათვის, რომ სრულად ამოვწუროთ ტერმინოლოგიური საკითხი, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორი ტერმინიდან – „პოსტსოციალისტური“ და „პოსტკომუნისტური“ – მიზანშეწონილია, უპირატესობა მეორეს მიენიჭოს, რომელიც შესაბამისი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდე განვითარების მიმართულელების დამახასიათებელ ორიენტაციას აფიქსირებს (Меньшиков, 1996, сс. 17-22). ამასთან, ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ დისკუსია ტერმინ „სოციალიზმის“ დეფინიციის შესახებ საკმაოდ მწვავეა (Balcerowicz, 1995, pp. 19-27; Бальцерович, 1999, сс. 27-35), რადგან ერთმანეთისგან განასხვავებენ სოციალიზმის მარქსისტულ, საბჭოურ, ჩინურ, იუგოსლავურ და აფრიკულ მოდელებს (Brown, 1995, pp. 181-286); ასევე განიხილება აფრიკულ-აზიური სოციალიზმიც (Nafziger, 1997, p. 541). თუკი მათ

დავუმატებთ „ფაშისტურ“ (Мизес, 1994, сс. 363-368) (მით უფრო, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტფაშისტურ და პოსტკომუნისტურ მოდელებს შორის თვისებრივი განსხვავებაა (Олсон, 1995, сс. 53-54)), „ისლამურ“ (Игнатенко, 1988, сс. 130-132), „არაბულ“ (Luttwak, 1999, p. 244) და „შვედურ“ სოციალიზმს, გასაგები უნდა იყოს ტერმინ „პოსტსოციალისტურის“ ბუნდოვანება. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ის სისტემა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიქმნა, იყო არა სოციალისტური, არამედ, მაგალითად, „ფსევდოსოციალისტური“ (Микульский, 1999, с. 8) ან „კვაზისოციალისტური“ (Симония, 1999, с. 14).

სოციოლოგებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ, როცა ამა თუ იმ ტიპის საზოგადოების არსი ბოლომდე გახსნილი არ არის, მას, რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უკეთებენ თავსართს „პოსტ“ (მაგალითად, „პოსტინდუსტრიული“, „პოსტეკონომიკური“, „პოსტკომუნისტური“, „პოსტსოციალისტური“, „პოსტსაბჭოთა“ და სხვ.). ამ ფონზე აშკარად გამორჩეულია პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის გამოკვლევები, რომლებიც „პოსტკომუნისტურისა“ თუ „პოსტსოციალისტურის“ ნაცვლად, აშკარად ნათელი ტერმინის – „კაპიტალისტურის“ დამკვიდრებას ემსახურება (პაპავა, 2001, გვ. 36; Papava, 2002, p. 5).

კაპიტალიზმი, ისევე, როგორც სოციალიზმი, თავისი ბუნებით სულაც არ არის ერთგვაროვანი და კაპიტალიზმის ის მოდელი, რომელიც კომუნისტური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოთა ნგრევის შემდეგ ყალიბდება, ამერიკული, ევროპული თუ იაპონური მოდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ სამეცნიერო ბრუნვაში ტერმინი – **პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი** დამკვიდრდეს.

## § 4.3. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზა

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური თეორიები უმთავრესად შექმნილია საბაზრო ეკონომიკისათვის, აშკარაა, ისინი ვერ იქნებოდა გამოსადეგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიული გააზრებისათვის. ამიტომ, ნებისმიერი მსჯელობა იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, მაგალითად, მონეტარიზმის გამოყენება უფრო გამართლებულია თუ კეინზიანიზმის, უბრალოდ, მოკლებულია ჯანსაღ აზრს, რადგანაც ესენი საბაზრო ეკონომიკის თეორიებია და არ ითვალისწინებს ისეთ სიტუაციას, სადაც ჯერ კიდევ არ არის საბაზრო ეკონომიკა და, უკეთეს შემთხვევაში, ის მხოლოდ შექმნის პროცესშია.

დღევანდელი გადასახედიდან თვალნათლივ ჩანს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნებისმიერ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში „ცდისა და შეცდომის“ მეთოდით დაიწყო.

პირველ კონსულტანტებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების გარდა) შორის, რომლებიც პოსტკომუნისტური ქვეყნების რეფორმატორების დასახმარებლად დასავლეთიდან იყვნენ ჩამოსული, როგორც წესი, ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტებიც იყვნენ, რომ არაფერი ვთქვათ შემთხვევით მოგზაურებსა და შარლატანებზე; ისინი, უკეთეს შემთხვევაში, შეიარაღებული იყვნენ ეკონომიკური თეორიისა და (ან) ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გამოცდილების ცოდნით (Adams, Brock, 1993, p. XIII). იგორ ბირმანის თანახმად, ეკონომისტები დასავლეთიდან პოსტკომუნისტურ ქვეყნებში იმიტომ წამოვიდნენ რჩევების მისაცემად, რომ საკუთარ სამშობლოში მათ დიდად არც კი უგდებდნენ ყურს (Бирман, 1996, с. 522). ამ დროს მოცემული რჩევები, როგორც წესი, შემოიფარგლებოდა ზოგადი ფორმულირებებით საბაზრო ეკონომიკის უპირატესობათა და ბა-

ზარზე უსწრაფესი გადასვლის აუცილებლობის შესახებ (Stiglitz, 1996, p. 3).

საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალის საფუძველზე შესაძლებელი გახდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ ცალკეული, საკმაოდ სერიოზული თეორიული განზოგადების შემცველი სამეცნიერო ნაშრომების შექმნა. ყოველივე ამის საფუძველზე, როგორც პრაქტიკოსი რეფორმატორები, ისე მეცნიერ-ეკონომისტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ რეფორმებში „შოკური თერაპიის“ მომხრეებად და „გრადუალისტებად“ (gradual – თანდათანობითი), რაც სრულიად შეესაბამება რეფორმირების უკვე ჩამოყალიბებულ შესაბამის ორ ძირითად მიმართულებას (მაგალითად, Bożyk, 1999; Hoen, 1999; Богомолов, 1998, сс. 49-52).

ამ საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციის გარდა, საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სამი განსხვავებული სტრატეგიის სახით წარმოდგენა, რომელთაგან პირველია გრადუალიზმი (რომელიც ჩამოყალიბდა უნგრეთში), მეორე – „შოკური თერაპია“ (პოლონურ-ჩეხოსლოვაკური „წარმომავლობის“) და „მესამე გზა“ (“Third Road”) (რომლის სამშობლოდაც ბალკანეთის ქვეყნებია მიჩნეული); ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს თანდათანობით (დროში განელილ) გრადუალიზმში (gradual gradualism), როცა ბაზარზე გადასვლა დროში არის ძალზე გავრცობილი მხოლოდ მცირე საწარმოთა პრივატიზების, კერძო სექტორის მხოლოდ ვაჭრობაში, მომსახურებასა და ტურიზმში დაშვებით (Berend, 1995, pp. 133-137). „მესამე გზის“ დამოუკიდებლად განხილვა სასარგებლო შეიძლება მხოლოდ გრადუალიზმის თავისებურებათა (როგორც მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმის) შესწავლისათვის იყოს. აქვე აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირად ეკონომისტთა შორის კამათი არა იმდენად პრინციპულ თეორიულ საკითხებზე დაიყვანება, რამდენადაც პოსტკომუნისტური რეფორმების პროცესის სისწრაფეზე (Бирман, 1996, с. 521).

„შოკური თერაპია“ (უმთავრასად რუსული ვერსიით) ან „დიდი აფეთქება“ (“Big Bang” (Kowalik, 1994, p. 116), „Большой удар“ (Автономов, 1996, с. 12), „Большой рывок“ (Гайгер, 1996, с. 388), „Большой скачок“ (Ростовский, 1997, с. 21)), ან „მწარე აბი“ (“Bitter Pill” (Adams, Brock, 1993, p. XIII), „Горькая таблетка“) უმოკლეს ვადებში რადიკალური გარდაქმნების რიცხვის მაქსიმიზებას გულისხმობს, რომელთა შორის უმთავრესი გამიზნულია, უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება ნომინალური ფულის მასის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში. „შოკური თერაპიის“ შინაარსი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის *ორთოდოქსული* სცენარიდან გამოდის (Киселева, 1996, с. 113), როცა ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება ფულის ნომინალური მასის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში ძალზე სწრაფად, დროის შემჭიდროებულ ვადებში ხდება. ამასთან, წარმატება დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკურ სტაბილურობაზე (Jochem, 1999).

იმ შემთხვევაში, თუ მკაცრი საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკის გატარება ფასების და შემოსავლების რეგულირების პირობებში ხდება, მაშინ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ამგვარ სცენარს *ჰეტეროდოქსული* ან *არაორთოდოქსული* ეწოდება (Киселева, 1996, с. 113). ამგვარი მიდგომა, როგორც წესი, იმ ქვეყნებში გამოიყენება, სადაც სტაბილიზაციის პროგრამების რეალიზაციას დადებითი შედეგები არ მოჰყოლია და მოსახლეობის მხარდასაჭერად დროებით (და მხოლოდ დროებით), *ორთოდოქსული* ხასიათის ღონისძიებებთან ერთად, ფასებისა და შემოსავლების რეგულირება გამოიყენება (Ростовский, 1997, сс. 102-103).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „შოკური თერაპია“ *ორთოდოქსული* სცენარით ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ იდენტურია (მაგალითად, Попов, 1998, с. 42), ხოლო ეს უკანასკნე-

ლი კი საფუძვლად დაედო ტრანსფორმაციული პროცესებისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომებს (Стиглиц, 1998).

„შოკური თერაპიის“ მეთოდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად იქნა გამოყენებული დასავლეთ გერმანიის რეფორმირებისათვის.

„მეორე სიცოცხლე“ ამ მეთოდს პოსტკომუნისტურმა პოლონეთმა შესძინა (მაგალითად, Balcerowicz, 1995, pp. 273-369; Blanchard, Dornbush, Krugman, Layaed, Summers, 1994, pp. 17-22; Johnson, Kowalska, 1994; Lipton, Sachs, 1990; Pankow, 1993; Sachs, 1993; Schaffer, 1992; Wellisz, 1997; Алексашенко, 1990; Наринский, 1990) და შემდგომ, სხვადასხვა ვარიაციით და მეტ-ნაკლები ნორმატებით, ბევრ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც, მათ შორის, ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაშიც იქნა რეალიზებული (Stroev, Bliakhman, Krotov, 1999, pp. 285-352); კერძოდ, თუ პოლონეთში შემუშავდა „ბალცეროვიჩის გეგმა“, იუგოსლავიაში მიიღეს „მარკოვიჩის გეგმა“, უნგრეთში – „კუპას გეგმა“, ჩეხოსლოვაკიაში – „კლაუსის გეგმა“ (Алексеев, Волков и др., 1995, с. 465).

გრადუალისტები, გამოდიან რა თანდათანობითი, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად (ВБ, 1996, сс. 11-16), შოკური თერაპიის მეთოდის კრიტიკას, დაჩქარებული ტემპებით რეფორმის განხორციელებისას, მისი ცალკეული ასპექტების დაპირისპირებულობისა და შეუთავსებლობის ილუსტრირებაზე აგებენ (Крегель, Мацнэр, Грабхер, 1992).

„შოკური თერაპიის“ მომხრეებსა და გრადუალისტებს შორის უკვე ტრადიციად ქცეული კამათი ხშირად „აბსურდის თეატრს“ ემსაგავსება (Adams, Brock, 1993, p. XV). ამის თვალსაჩინო მაგალითს ზედაპირული მსგავსების საფუძველზე გაკეთებული ფსევდომეცნიერული დასკვნა წარმოადგენს, თითქოსდა „შოკური თერაპიის“ მომხრეები – მარქსის მიმდევრები (?!), ხოლო გრადუალისტები კი გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები არიან (Автономов, 1996, сс. 6-7).

გრადუალისტთა უმთავრესი შეცდომა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ძალზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული

ხასიათის პირობებს ვერ ითვალისწინებენ, რომლებიც შეიძლება **თანდათანობითი რეფორმირების აუცილებელი პირობების** რანგში იქნეს აყვანილი.

კერძოდ, თანდათანობითი რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია **პოლიტიკური გარანტიები**, რომლებმაც, ჯერ ერთი, მოსახლეობის მხრიდან რეფორმატორული ნაბიჯების დადებითი შეფასება უნდა უზრუნველყოს, და, მეორე, ნაწილობრივი ლიბერალიზაციის დაწყების შემდეგ მთავრობას შეაძლებინოს ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლის შენარჩუნება. როგორც პოსტკომუნისტური რეფორმების გამოცდილება გვიჩვენებს, ბევრ ქვეყანაში (და, უწინარეს ყოვლისა, „პერესტროიკის“ პერიოდში მყოფ საბჭოთა კავშირში) ეს აუცილებელი პირობა არ (უფრო სწორად, ვერ) შესრულდა (BE, 1996, cc. 11-16).

არანაკლებმნიშვნელოვანია მეორე აუცილებელი პირობაც, რომლის თანახმადაც, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რეფორმების პროცესის **საკუთარი რესურსებით ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა**. თუკი ქვეყანას ის არ გააჩნდა, მას საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და დიდი შვიდეულის ქვეყნებისათვის უნდა მიემართა, რომლებიც, დამკვიდრებული წესის თანახმად, პრიორიტეტს ანიჭებდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა „ვაშინგტონის კონსენსუსს“, ანუ „შოკურ თერაპიას“ ორთოდოქსული სცენარით; მაშასადამე, გრადუალისტური მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა, სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნისაგან საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროების არსებობას მოითხოვდა.

თანდათანობითი რეფორმირების კლასიკურ მაგალითს ჩინეთი წარმოადგენს (Boone, Gomulka, Layard, eds., 1998, pp. 153-181; Cheung, 1998; Nafziger, 1997, pp. 597-607), სადაც შენარჩუნდა კომუნისტური პარტიის რეჟიმი<sup>1</sup>, თუმცა ერთობ „შერბილებული“

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ ინიცირებული საბა-

ფორმით. ჩინური გამოცდილების გავრცელების შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია, რაც განპირობებულია თანდათანობით რეფორმირების გზით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ზემოთ მოყვანილი აუცილებელი პირობების შესრულების გარანტიის არარსებობით. კერძოდ, გრადუალიზმის პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო პირველი აუცილებელი პირობის შეუსრულებლობამ, ასევე ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმაც, ნგრევის პროცესში მყოფ საბჭოთა კავშირსა და უმრავლეს პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ჩინური გამოცდილების გამოყენების სერიოზული განხილვის შესაძლებლობაც კი გამორიცხა (Евстигнеева, Евстигнеев, 1999, с. 10; May, 1999, сс. 6-9), თუმცა მსოფლიოში ცნობილი ზოგიერთი ეკონომისტი (რომ არაფერი ვთქვათ რიგითებზე) სწორედ ასეთი უტოპიური მოდელის ანალიზით იქცევს თავს. კერძოდ, მსოფლიო ბანკის ყოფილი უფროსი ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ეკონომისტი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი მიუთითებს, რომ რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თურმე ჩინური მოდელის გამოყენება შესაძლებელი იყო (Stiglitz, 1999, pp. 1-3, 25; Стиглиц, 1999, сс. 4-6, 29); სამწუხაროა, რომ ამ ავტორიტეტული ეკონომისტის მიერ მხედველობაში საერთოდ არ მიიღება საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიული სახელმწიფოს შექმნის ისტორია და ის პოლიტიკური თუ საომარი პროცესები, რომლებიც ამ იმპერიის დაშლას მოჰყვა.

ჩინური რეფორმების ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოყენების პრინციპული შეუძლებლობა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ მიხეილ გორბაჩოვი ისეთ პირობებში აღმოჩნდა ჩაყენებული, როცა ნიკიტა ხრუშჩოვისა და ლეონიდ ბრეჟნევის მიზანმიმართული, თუმცა, შესაძლოა, გაუცნობიერებული „მცდელობით“,

---

ზრო (თუ ფსევდოსაბაზრო) რეფორმები, მისი (პარტიის) წამყვანი როლის შენარჩუნების პირობებში, იყო პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი რეფორმების დაწყებისათვის არა მარტო ჩინეთში, არამედ ვიეტნამშიც (Данг, 1999; Колодко, 2000, сс. 73-78). საყურადღებოა, რომ ასეთ ვითარებაში რეფორმის დაწყებას წინ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდი უძღვის (Дыйканбаева, 2001, с. 6).

კომუნისტური პარტიის ლიდერის ძალაუფლება შესუსტებული იყო, რადგანაც ის, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თანდათან გადანანილდა პარტიულ-სახელმწიფო იერარქიის სხვადასხვა დონის ბიუროკრატებზე, მაშინ, როცა ჩინეთის ლიდერმა დენ სიაოპინმა, გამოვიდა რა მაოიზმის უკიდურეს გამოვლინებათა წინააღმდეგ, იმავდროულად, „კულტურული რევოლუციის“ ეპოქაში შექმნილი ძლიერი ძალაუფლებითი ინსტიტუციები გამოიყენა; ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკას“ წინ აღუდგა ე.წ. „უძრაობის ინერცია“, ხოლო დენ სიაოპინი რეფორმებს იწყებდა „კულტურული რევოლუციის“ „ნანგრევებზე“ (Ослунд, 1996, сс. 28-32). სხვა სიტყვებით, ჩინური რეფორმების ყოფილ საბჭოთა კავშირში გატარების თეორიულად საუკეთესო (პრაქტიკულად კი, ერთადერთი) შესაძლებლობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდგომი უახლოესი პერიოდი იყო.

ჩინური რეფორმების წარმატების „საიდუმლოება“ აიხსნება, ჯერ ერთი, შიგა ინვესტიციების მაღალი ხვედრითი წილით მთლიან სამამულო პროდუქტში<sup>1</sup> (თითქმის 40 პროცენტი); მეორე – საბაზრო მექანიზმების (უწინარეს ყოვლისა, „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ მეშვეობით) თანდათანობითი რეალიზების სამთავრობო გადანყვეტილებათა სტაბილურობით; მესამე – განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ჩინელთა ეროვნულ ფირმებში მენეჯერებად მიწვევით და, მეოთხე – მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა შედარებით

<sup>1</sup> ინგლისური ტერმინი “Gross Domestic Product” დღეისათვის ქართულად თარგმნილია, როგორც „მთლიანი შიდა პროდუქტი“, რაც არის რუსული ენის უშუალო ზეგავლენა, რადგანაც ეს ინგლისური ტერმინი რუსულად ნათარგმნია, როგორც «Валовый внутренний продукт». თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსულიდან ქართულ თარგმანში სიტყვა «внутренний» თარგმნილია, როგორც „შიდა“ და არა როგორც „შიგა“, რომელიც უფრო სწორია, თანამედროვე ლიტერატურული ნორმებიდან გამომდინარე. თუკი ტერმინი “Gross Domestic Product“-ს ქართულად ვთარგმნით არა რუსულიდან, არამედ უშუალოდ ინგლისურიდან, მაშინ სწორი თარგმანი იქნება „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ (პაპავა, სილაგაძე, 2019ა, 2019ბ).

დაბალი დონით (მხოლოდ 18 პროცენტი) (Thurow, 1996, pp. 53-58). ჩინური რეფორმების წარმატების მოცემული ახსნა კიდევ უფრო ნათელყოფს იმას, რომ ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანას არ გააჩნდა თანდათანობითი რეფორმირებისათვის საჭირო ობიექტური წინამძღვრები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გრადუალისტური მიდგომის წარმატება ჩინეთში სრულად განაპირობა ამ ქვეყნის ხსენებულმა სპეციფიკურმა თავისებურებებმა, რაც სულაც არ ადასტურებს გრადუალიზმის, როგორც ასეთის, უპირატესობას (Богомолов, 1998, с. 50).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იმავე გრადუალისტური მიდგომის ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითს პოსტსაბჭოთა სივრცეში უზბეკეთში მიმდინარე რეფორმები წარმოადგენს (Хикматов, ред., 2001). მართალია, ჩინეთისაგან განსხვავებით, ამ ქვეყანაში არ შენარჩუნდა კომუნისტური რეჟიმი, მაგრამ მის სანაცვლოდ შეიქმნა არანაკლებ ავტორიტარული ტიპის მმართველობის სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, სულაც არ უარყოფს ფსევდოდემოკრატიულ კომუნისტურ მიდგომებს (მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ პრეზიდენტის მხარდამჭერი ორი პარტიის დაშვება ან რეფერენდუმის „წარმატებით“ ჩატარება საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებისათვის და სხვ.) (Apostolou, 1997, p. 101). თანდათანობითი რეფორმირების უზბეკური მოდელის განსაკუთრებულ მიღწევად ეკონომიკის სფეროში აღიქმება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მთლიანი სამამულო პროდუქტის ყველაზე უფრო დაბალი ტემპით ვარდნა (1990-1995 წლებში მხოლოდ 18 პროცენტით), სამრეწველო წარმოების მოცულობის თითქმის უცვლელ დონეზე შენარჩუნება (Жуков, 1997, с. 48), მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მობილიზება (Safaev, 1997, p. 100). აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უზბეკეთი არის სტრატეგიული ნედლეულით (ოქრო, ნავთობი, ბამბა, ხორბალი) ძალზე მდიდარი ქვეყანა, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია და რისი აუცილებელი გათვალისწინებაც ერთობ აფერმკრთალებს რეფორმების უზბეკური მოდელის „ტრიუმფს“

(Kasenov, 1998, pp. 37-40; Rumer, 2000, pp. 36-47; Trushin Esh., 1998; Trushin Esk., 1998; Zhukov, 2000, pp. 160-169). ამ კონტექსტში ყურადსაღებია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, თუკი რომელიმე ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ადგილი აქვს ჯანსაღი აზრიდან გადახრას, ამას, როგორც წესი, „აბრალებენ“ ეროვნულ თავისებურებებს, თუმცა მათი შინაარსი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ახსნილი არც კი იყოს (Сегвари, 1999, сс. 49-50).

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნის ეკონომიკა, როგორც წესი, ზოგადად – წარმოების და, კერძოდ, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციების, რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან დაცემასთან ასოცირდება (Nove, 1995, pp. 227-230; Нойв, 1993, с. 22). ამასთან საყურადღებოა, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე მთავრობის ზომის შემცირებასა და წარმოების მოცულობის დაცემას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირიც კი იკვეთება (Колодко, 2000, сс. 252-256). დაზუსტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გამოშვების შემცირება, უმთავრესად, იმ საწარმოებში ხდება, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდეა შექმნილი (Konings, Walsh, 1998), შესაბამისად, წარმოების შემცირების ტენდენციას საფუძველი, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტურ რეჟიმში ჩაეყარა (Ослунд, 2001). ასევე მიიჩნევა, რომ, რადგანაც პოსტკომუნისტური რეფორმების წარმატებით გატარების კვალობაზე წარმოების დაცემა იცვლება ზრდით, ამ პროცესს U-მრუდის ფორმა აქვს (Blanchard, 1997, pp. 1-20). აქ აუცილებლად იმ გარემოებას უნდა გაეხვას ხაზი, რომ ეკონომისტთა შორის აღნიშნული ეკონომიკური ზრდის გამომწვევი მიზეზების შესახებ ერთიანი აზრი მიღწეული არ არის (Tanzi, 1997, pp. 315-316). საკითხის გაშუქების სისრულისათვის, მოცემულ დებულებასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ, ჯონ კენეტ გელბრეითის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, ეკონომიკური ზრდა თითქმის ყოველთვის ინვესტ მისითვე შექმნილ დესტრუქციულ ტენდენციებს, რის გამოც რეცესია ან დეპრესია გარდუვალი ხდება (Иноземцев, 1998, с. 14).

სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარების დაგროვილი გამოცდილება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ცხოვრების პირობების გაუარესებას ადასტურებს, რაც გამონვეულია ნარმოების დაცემით, ფასების ზრდით, რეალური შემოსავლების შემცირებით (Standing, 1997, pp. 230-234); ეს მოვლენა შეისწავლება, როგორც „ტრანსფორმაციული ვარდნა“ (Kornai, 1993; Попов, 1998, сс. 48-51), „ტრანსფორმაციული კრიზისი“ (Schmieding, 1993; Zukowski, 1996; Некипелов, 1996, сс. 189-190; Ольсевич, 1997а, сс. 255-277), „პოსტკომუნისტური დიდი დეპრესია“ (“Post-Communist Great Depression”) (Milanovic, 1998, pp. 23-30), „რეფორმების მახე“ (Klaus, 1997, p. 184), რომლის მიზეზიც არა „შოკური თერაპიის“ არსში, არამედ მის უარყოფაში (May, 1999, с.11), ეკონომიკური რეფორმების შეფერხებაში (Åslund, 2001) და, რა თქმა უნდა, ძველი სისტემის კრახში (Сакс, 1995, с. 53) ძვეს, რადგან ქვეყნები, რომელთა არჩევანიც „შოკური“ რეფორმები იყო, ახალი ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები შევიდნენ (de Melo, Denizer, Gelb, 1997; Гайдар, 1997, с.11).

აღსანიშნავია, რომ ხსენებული „ტრანსფორმაციული კრიზისი“ ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებს რეფორმატორების მიერ პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობას, რის შედეგადაც „შოკური“ რეფორმების გამტარებელ პოლიტიკოსებს, როგორც წესი, სამთავრობო პოსტების დატოვება უხდებათ<sup>1</sup> (Crawford, 1995, p. 11).

პრაქტიკით დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ „შოკური თერაპიის“ მეთოდს ყველაზე დიდი წარმატება იმ ქვეყნებში მოაქვს, სადაც რეფორმამდელი (უფრო ზუსტად კი „შოკამდელი“) ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად არადაამაკმაყოფილებელია, რომ მოსახლეობა მზადაა, გადაიტანოს ყველაფერი, ოღონდ არსებული პრობლემები იყოს დაძლეული (Гайгер, 1996, с. 388). ამ შემთხვევაში „შოკის“ უარყოფითი ზეგავლენა ისეა მინიმიზე-

<sup>1</sup> ამის კლასიკური მაგალითებია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონეთში, ეგორ გაიდარი რუსეთში და რომან გოცირიძე საქართველოში.

ბული, ხოლო დადებითი შედეგები კი იმდენად შესამჩნევი, რომ ასეთ პირობებში „შოკური თერაპიის“ გამტარებელ რეფორმატორებს რაიმე პოლიტიკური სირთულეები არ ექმნებათ<sup>1</sup>. მაშასადამე, „შოკური თერაპიის“ მეთოდის წარმატებით განხორციელება ემყარება პარადოქსს: „რაც უარესია – მით უკეთესია“. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის, რომელიც არსებობის (ან თითქმის არსებობის) ზღვარზეა მისული, „შოკური თერაპიის“ მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა არ უნდა იწვევდეს რაიმე ეჭვს (უფრო ზუსტად კი, ალტერნატივაც კი არ აქვს), რადგან, პრაქტიკულად, გარანტირებულია დადებითი შედეგები. ასეთი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც „მინიმალური შოკი, მაქსიმალური თერაპიით“ (*“Minimal Shock, with Maximium Therapy“*; „Минимальный шок, при максимальной терапии“), ან „რბილი დიდი დარტყმა“ (*“Soft Big Bang“*; „Мягкий большой удар“, „Мягкий большой рывок“, „Мягкий большой скачок“).

საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად, საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის სირთულეთა „შესამსუბუქებლად“, განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურად უნდა დაეხმარონ პოსტკომუნისტურებს, რაც, სინამდვილეში, შეიძლება რეალური რეფორმების მუხრუჭი აღმოჩნდეს, რადგან დახმარებამ მოსალოდნელია შეასუსტოს აუცილებელ საბაზრო გარდაქმნათა გადაუდებლობა, ხოლო შესაბამისი მთავრობები კი შეეცდებიან რადიკალურ რეფორმათა განხორციელების გადავადებას, დროში განელვას (Becker, Becker, 1997, pp. 261-262). ამ უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილების მიზნით, ჯეფრი საქსი მიიჩნევს, რომ რეფორმატორ მთავრობათა ფინანსური მხარდაჭერა მიზნული უნდა იყოს ეკონომიკის რეფორმირების მკაცრ პირობებთან და, ამასთანავე, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ამ მხარდაჭერის მოცულობა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით (Hinshaw, ed., 1996, pp. 128-130).

<sup>1</sup> ამის საუკეთესო მაგალითად 1994-1995 წლების საქართველო უნდა ჩაითვალოს (Papava, 1996a, 1996b).

პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის ამა თუ იმ მოდელის არჩევა იქიდან გამომდინარეობს, თუ რამდენად არის (მაგალითად, *Абалкин, 1996*) ან არ არის (მაგალითად, *Илларионов, 1996*) გათვალისწინებული ამ პოლიტიკის შემოქმედთა, მათ მომხრეთა თუ ოპონენტთა მხრიდან „თანდათანობითი რეფორმირების“ ზემოთ მოყვანილი აუცილებელი პირობა. საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც გრადუალისტური მეთოდის გამოყენების აუცილებელი პირობები გააჩნდა, არც კი უცდია (თუმცა პოტენციურად შეეძლო) შოკური თერაპიის მეთოდის გამოყენება. იმავდროულად, არის იმის არაერთი მაგალითი, რომ ცალკეული ქვეყნები, რომლებსაც გრადუალისტური მეთოდის გამოყენების აუცილებელი პირობები არ გააჩნდა, მაინც ცდილობდნენ ამ მეთოდის გამოყენებას (მაგალითად, 1991-1992 წლების საქართველო), რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, წარუმატებლად მთავრდებოდა კიდევ.

აქვე აღბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „შოკური თერაპიის“ მეთოდის ოპონენტები მას, ერთი მხრივ, იქიდან გამომდინარე აკრიტიკებენ, რომ ამ მეთოდის საფუძვლად აღებული მონეტარისტული სქემა<sup>1</sup> გამოუსადეგარია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემების გადასაწყვეტად (მაგალითად, *Абалкин, 1996; Федоренко, 2001, сс. 412-413*), ხოლო, მეორე მხრივ კი იმით, რომ ამ მეთოდს თითქოსდა არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მონეტარიზმთან, რომ ის ეყრდნობა „ფალსიფიცირებულ მონეტარიზმს“ (*Ольсевич, 19976*); ასევე აღნიშნავენ, რომ „შოკური თერაპიის“ მეთოდი ვარგისია ბაზრის „სამკურნალოდ“ და გამოუსადეგარია ბაზრის შესაქმნელად (*Меньшиков, 1996, сс. 113-115; Петраков, 1998, сс. 194-195*). რადგან პოსტკომუნისტური რეფორმების მიმართ მონეტარისტული მიდგომა გამოიყენება

<sup>1</sup> უფრო ზუსტად, საქმე გვაქვს არა, უბრალოდ, მონეტარიზმთან, არამედ ამ უკანასკნელისა და ნეოკლასიკური თეორიის შერწყმასთან, როცა მეორე წარმოადგენს იდეურ ფუნდამენტს, ხოლო პირველი – სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის (*Меньшиков, 1996, сс. 106-107*).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (Allen, 1992) და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ საფინანსო-ეკონომიკურ პროგრამებში, ამიტომ „შოკური თერაპიის“ ოპონენტები ავტომატურად აკრიტიკებენ ამ პროგრამებსაც (მაგალითად, Абалкин, 2001, сс. 46-50). საყურადღებოა, რომ ეს კრიტიკა ჯერ კიდევ „პოსტკომუნისტამდელ“, ანუ „შოკამდელ“ პერიოდშია დაწყებული (Nafziger, 1997, pp. 566-574).

განსაკუთრებით ყურადსაღებია XX საუკუნის მინურულს განხმარებული დაპირისპირება მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის, როცა პირველი მეორის კონცეპტუალურ მიდგომებს არ იზიარებდა, მათ რევიზიას მოითხოვდა და თვისებრივად განსხვავებულ მიდგომებს აყალიბებდა, რომელთა თანახმადაც, „შოკური თერაპიის“ მეთოდის გამოყენება ინსტიტუციური გარდაქმნების ჩატარებისას გამორიცხებული უნდა ყოფილიყო (Stiglitz, 1999; WB, 1999; Стиглиц, 1998, 1999).

ეკონომიკური რეფორმების გატარების საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, განასხვავებენ რეფორმების ინიცირებისა და ხორცშესხმის ორ გზას – „ზემოდან – ქვემოთ“ („Top – Down“, „Сверху – вниз“) და „ქვემოდან – ზემოთ“ („Bottom – Up“, „Снизу – вверх“): პირველის თანახმად, აუცილებელია სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზაცია, მაშინ, როცა მეორეს მიხედვით, ეკონომიკური სტრუქტურა ახალი სანარმოების შექმნითა და უკვე არსებული კერძო ფირმების განვითარებით უნდა შეიცვალოს (Brezinski, Fritsh, 1996, p. 297).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ, არცთუ ისე იშვიათად, ეკონომიკის პოსტკომუნისტური განვითარებისადმი მისი ევოლუციური მიდგომის<sup>1</sup> გაიგივება ხდება თანდათანობითი რეფორმირების მიდგომასთან (ანუ გრადუალიზმთან) (Lavigne, 1995, p. 250). ამ დროს უყურადღებოდ რჩება ის ფაქტი, რომ „შოკური თერაპიის“ მეთოდსაც არ შეუძლია „ჩაეტიოს“ პოსტკომუნისტური ტრანს-

<sup>1</sup> ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიის ელემენტები განხილულია მეხუთე თავში.

ფორმაციის პროცესის რაიმე ერთჯერადი აქტის ჩარჩოში. ამას შემდეგი მარტივი ახსნა აქვს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ისეთი კომპლექსური რეფორმების გატარებას მოითხოვს, რის შედეგადაც შემდეგი ექვსი მიზანი იქნება მიღწეული (Lipton, Sachs, 1990)<sup>1</sup>:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების უზრუნველყოფა;
4. სანარმოთა რეფორმა, უნინარეს ყოვლისა, პრივატიზაციის გზით;
5. დაზღვევაზე დაფუძნებული სოციალური დაცვის ქსელის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურის (და მასში საბაზრო ფინანსური სისტემის) ფორმირება.

ამ ექვსი მიზნიდან სწრაფი ტემპებით მხოლოდ პირველი სამის მიღწევაა შესაძლებელი (რაც „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითად მომენტს წარმოადგენს), მაშინ, როცა დანარჩენი სამის მიღწევა ნებისმიერ შემთხვევაში დროს მოითხოვს (Фишер, Сахаи, 1997, с. 20) და, თანაც, საკმაოდ მნიშვნელოვანს, რადგან ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურების შექმნა, მათი განსაკუთრებული სირთულის გამო (Boettke, 1998), ათწლეულებსაც კი საჭიროებს (ББ, 1996, сс. 11-12). სწორედ ეს დებულებაა „შოკური თერაპიის“ მომხრეთა და გრადუალისტთა შორის ერთ დროს ძალზე მწვავე დისკუსიის მეტ-ნაკლებად შერბილების საფუძველი (Попов, 2000, с. 4).

<sup>1</sup> მოცემული ექვსი მიზანი შეიძლება განსხვავებული დაჯგუფებითაც იქნეს წარმოდგენილი; კერძოდ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეიძლება მონეტარულ და ფისკალურ ნაწილებად დაიყოს, ხოლო სანარმოთა რეფორმა და ინსტიტუციური სტრუქტურის ფორმირება კი ერთ ჯგუფში იქნეს განხილული (Wolf, 1994, pp. 170-176).

აუცილებლად საზგასასმელია ერთი რამ – მიუხედავად იმისა, რომ „შოკური თერაპიის“ მიდგომით შეუძლებელია საბაზრო ინსტიტუციების ფორმირება (Stiglitz, 1999; Колодко, 1999; Стиглиц, 1999), თუნდაც თეორიულ დონეზე იმის აღიარება, რომ პოსტკომუნისტური რეფორმები უნდა დაწყებულიყო ინსტიტუციური გარდაქმნებით და მხოლოდ მათი დამთავრების კვალობაზე უნდა განხორციელებულიყო ლიბერალიზაციისა და სტაბილიზაციის პროგრამები, დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მენარმეობის განვითარებისათვის საჭირო საბაზრო სიგნალების ფორმირებაზე უარის თქმას, ეკონომიკის წარმართვის კომუნისტური მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილის „გაყინვას“ ნიშნავს. მაშასადამე, იმის მტკიცება, რომ პოსტკომუნისტური რეფორმები მხოლოდ და მხოლოდ ინსტიტუციური გარდაქმნებით უნდა დაიწყოს, ქვეყანას საბაზრო ეკონომიკის, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის დემოკრატიული საწყისიდან დიდი ხნით დააშორებდა.

იმის გამო, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავისი ბუნებით საკმაოდ ხანგრძლივია, ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს რეფორმა „შოკური თერაპიის“ შემდეგ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა ამ უკანასკნელის საშუალებით მიღებული შედეგები განმტკიცდეს და განვითარდეს.

ამ კითხვაზე პასუხის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს ეკონომიკური რეფორმის „სოციალური სტიმულირების“ („Social Promotion“, „Социальное стимулирование“) მეთოდი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც, მენარმეთა მნიშვნელოვანი ფენის ჩამოყალიბების საფუძველზე, საზოგადოების სტრატეგიფიცირებას დააჩქარებს, ხოლო შეჭირვებული მოსახლეობის მხრიდან რეფორმების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მიზანმიმართული დახმარების სოციალური პოლიტიკა უნდა გატარდეს (Papava, 1996a, pp. 260-267; 1996b; 1999, pp. 281-291). „სოციალური სტიმულირების“ მეთო-

დის თეორიულ საფუძველს მიწოდებისა და მოთხოვნის სტიმიულირების საყოველთაოდ ცნობილი მექანიზმების შერწყმა, ანუ „ლაფერ-კეინზიანური სინთეზი“ წარმოადგენს (ანანიასვილი, პაპავა, 2009; Ananiashvili, Papava, 2014; Papava, 1996a, pp. 263-264, 266-267; 1999, pp. 287-291; Ananiashvili, Papava, 2010).

შეჯამების სახით აუცილებელია, კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ეკონომიკური თეორია არ არის შექმნილი (პაპავა, 2002, გვ. 32-63; Papava, 2005a, pp. 12-27; 2005b). მიუხედავად ამისა, ცნობილი ეკონომიკური თეორიები, მათი ცალკეული ფრაგმენტების სინთეზი კომუნისტურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის კრახის სრულყოფილი ანალიზისა (მაგალითად, Rosser, Rosser, 1997) და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის ქმედითი მექანიზმების (მაგალითად, Sušjan, Lah, 1997) ჩამოყალიბებისათვის შეიძლება მეტ-ნაკლები წარმატებით იქნეს გამოყენებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ადეიშვილი გ.**, ასათიანი რ., რედ., 1998. *ეკონომიკური თეორია*. თბილისი, „სიახლე“.
- ანანიასვილი ი.**, პაპავა ვ., 2009. *გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი*. თბილისი, „სიახლე“.
- ბასილია თ.**, სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. *პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე*. თბილისი.
- კახნიაშვილი ჯ.**, 1997. *მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. II ნაწილი*. თბილისი, „სიახლე“.
- პაპავა ვ.**, 2001. *ლემუკ ბალცეროვიჩი და საქართველო. მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 12.
- პაპავა ვ.**, 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ.**, სილაგაძე ა., 2019ა. ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – „Gross Domestic Product“-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 1.

- პაპავა ვ.**, სილაგაძე ა., 2019ბ. როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი “Gross Domestic Product“. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7.
- Adams W.**, Brock J. W., 1993. *Adam Smith Goes to Moscow. A Dialogue on Radical Reform*. Princeton, Princeton University Press.
- Allen M.**, 1992. IMF – Supported Adjustment Programs in Central and Eastern Europe. In: *Central and Eastern Europe Roads to Growth*. Papers Presented at a Seminar Held in Baden, Austria, April 15-18, 1991. Mod. by G. Winckler. Washington, IMF.
- Ananiashvili I.**, Papava V., 2014. *Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium*. New York, Nova Science Publishers.
- Andor L.**, Summers M., 1998. *Market Failure. Eastern Europe’s „Economic Miracle.“* London, Pluto Press.
- Apostolou A.**, 1997. Is the Uzbek Model Working? No: Political Repression. Thwarts Economic Growth. *Transitions*, Vol. 4, No. 2.
- Åslund A.**, 2001. Building Capitalism: Lessons of the Post-Communist Experience. *Policy Brief*, Carnegie Endowment for International Peace, 10, December.
- Åslund A.**, 2002. *Building Capitalism. The Transformation of the Former Soviet Bloc*. New York, Cambridge University Press.
- Åslund A.**, 2007. *How Capitalism Was Built. The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, and Central Asia*. New York, Cambridge University Press.
- Åslund A.**, 2013. *How Capitalism Was Built. The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, the Caucasus, and Central Asia*. New York, Cambridge University Press.
- Balcerowicz L.**, 1995. *Socialism, Capitalism, Transformation*. Budapest, CEU.
- Becker G. S.**, Becker G. N., 1997. *The Economics of Life. From Baseball to Affirmative Action to Immigration, How Real World Issues Affect Our Everyday Life*. New York, McGraw-Hill.
- Berend I. T.**, 1994. End of Century Global Transition to a Market Economy: Laissez-Faire on the Peripheries? In: *Transition to a Market Economy at the End of the 20th Century*. Eleventh International Economic History Congress, session A-3, September 12-17, 1994, Milan, Italy. Ed. by I. T. Berend. München, Sudeseuropa – Ges.
- Blanchard O.**, 1997. *The Economics of Post Communist Transformation*. Oxford, Calderon Press.
- Blanchard O.**, Dornbush R., Krugman P., Layard R., Summers L., 1994. *Reform in Eastern Europe*. Cambridge, The MIT Press.
- Boettke P. J.**, 1998. Promises Made and Promises Broken in the Russian Transition. *Constitutional Political Economy*, Vol. 9, No. 2.

- Boone P.,** Gomulka S., Layard R., eds., 1998. *Emerging from Communism. Lessons from Russia, China, and Europe*. Cambridge, The MIT Press.
- Bożyk P.,** 1999. Gradualism versus Shock Therapy. In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. P. G. Hare, ed. London, Macmillan Press.
- Brezinski H.,** Frirsh M., 1996. Bottom Up Transformation: Prerequisites, Scope and Impediments. *International Journal of Social Economics*, Vol. 23, No. 10-11.
- Brown M. B.,** 1995. *Models in Political Economy. A Guide to the Arguments*. London, Penguin Books.
- Buch C.M.,** Heinrich R.P., 1997. The End of the Czech Miracle? *Kieler Diskussionsbeiträge*, 301. Kiel, Germany. Institut für Weltwirtschaft.
- Buchanan J. M.,** 1992. Economics in the Post-Socialist Century. In: *The Future of Economics*. Ed. by J. D. Hey. Oxford, Blackwell.
- Calkins P.,** Vezina M., 1996. Transitional Paradigms to a New World Economic Order. *International Journal of Social Economics*, Vol. 23, No. 10-11.
- Campbell R. W.,** 1991. *The Socialist Economies in Transition: a Primer on Semi-Reformed Systems*. Bloomington, Indiana University Press.
- Cheung S. N. S.,** 1998. Den Xiaoping's Great Transformation. *Contemporary Economic Policy*, Vol. XVI, No. 2.
- Claessens S.,** Glaessner T., 1997. *Are Financial Sector Weaknesses Undermining the East Asian Miracle?* Washington, The World Bank.
- Coates D.,** 1981. On Labourism and the Transition to Socialism. *New Left Review*, No. 129, September-October.
- Coates D.,** 1982. Space and Agency in the Transition to Socialism. *New Left Review*, No. 135, September-October.
- Crawford B.,** 1995. Post-Communist Political Economy: A Framework for the Analysis of Reform. In: *Markets, States, and Democracy: the Political Economy of Post-Communist Transformation*. B. Crawford, ed. Boulder, Westview Press.
- Davidson J. D.,** Rees-Mogg W., 1998. *The Sovereign Individual. The Coming Economic Revolution. How to Survive and Prosper in It*. London, Pan Books.
- Derlien H.-U.,** 1999. The Triple Revolution: Administrative Transformation in the Former GDR. In: *Nunberg B. The State After Communism: Administrative Transition in Central and Eastern Europe*. Washington, The World Bank.
- Drucker P. F.,** 1993. *Post-Capitalist Society*. New York, Harper Business.
- Esping-Andersen G.,** ed., 1997. *Welfare States in Transition. National Adaptations in Global Economies*. London, SAGE Publications.

- Feldstein M.**, ed., 1980. *The American Economy in Transition*. Chicago, The University Press.
- Fischer S.**, 1992. Stabilization and Economic Reform in Russia. *Brookings Papers on Economic Activity*.
- Fischer S.**, Frankel J., 1992. Macroeconomic Issues of Soviet Reform. *American Economic Review*, Vol. 82, May.
- Fischer S.**, Gelb A., 1991. The Process of Socialistic Economic Transformation. *Journal of Economic Perspectives*, Vol. 5, Autumn.
- Frye T.**, 2010. *Building States and Markets After Communism: The Perils of Polarized Democracy*. Cambridge, Cambridge University Press.
- Galbraith J. K.**, 1992. Economics in the Century Ahead. In: *The Future of Economics*. Ed. by J. D. Hey. Oxford, Blackwell.
- Galbraith J. K.**, 1996. *The Good Society. The Humane Agenda*. Boston, Houghton Mifflin Company.
- Galbraith J. K.**, 1998. *The Affluent Society*. Boston, A Mariner Book.
- Hare P.**, Turley G., eds., 2013. *Handbook of the Economics and Political Economy of Transition*. London, Routledge.
- Hinshaw R.**, ed., 1996. *The World Economy in Transition. What Leading Economists Think*. Cheltenham, Edward Elgar.
- Hoen H. W.**, 1999. 'Shock versus Gradualism': The Inappropriateness of the Labels Applied to the Strategies in Central Europe. In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. P. G. Hare, ed. London, Macmillan Press.
- Jochem A.**, 1999. Monetary Stabilization in Countries in Transition. *International Advances in Economic Research*, Vol., 5, No. 1.
- Johnson S.**, Kowalska M., 1994. Poland: The Political Economy of Shock Therapy. In: *Voting for Reform. Democracy, Political Liberalization, and Economic Adjustment*. Ed. by S. Haggard, S. B. Webb. Oxford, Oxford University Press.
- Kanth R. K.**, 1997. *Against Economics. Rethinking Political Economy*. Aldershot, Ashgate.
- Kasenov U.**, 1998. Post-Soviet Modernization in Central Asia: Realities and Prospects. In: *Central Asia: The Challenges of Independence*. B. Rumer, S. Zhukov, eds. Armonk, M. E. Sharpe.
- Klaus V.**, 1997. Promoting Financial Stability in the Transition Economies of Central and Eastern Europe. In: *Maintaining Financial Stability in a Global Economy*. A Symposium Sponsored by The Federal Reserve of Kansas City. Jackson Hole. Wyoming, August 28-30, 1997.
- Konings J.**, Walsh P. P., 1998. *Disorganization in the Transition Process: Firm*

- Level Evidence from Ukraine*. Center for Transition Economies, LICOS Discussion Paper 71/1998. Leuven, Katholieke Universiteit Leuven.
- Kornai J.**, 1992. *The Socialist System. The Political Economy of Communism*. Princeton, Princeton University Press.
- Kornai J.**, 1993. Transformational Recession: A General Phenomenon Examined Through the Example of Hungary's Development. *Economic Appliqué*, Vol. 46, Vo. 2.
- Kowalik T.**, 1994. The „Big Bang“ as a Political and Historical Phenomenon: A Case Study on Poland. In: *Transition to a Market Economy at the End of the 20th Century*. Eleventh International Economic History Congress, session A-3, September 12-17, 1994, Milan, Italy. Ed. by I. T. Berend. München, Sütdeuropa – Ges.
- Lavigne M.**, 1995. *The Economics of Transition. From Socialist Economy to Market Economy*. New York, St. Martin's Press.
- Lipton D.**, Sachs J., 1990. Creating a Market Economy in Eastern Europe: the Case of Poland. *Brookings Papers on Economic Activity*, No. 1.
- Luttwak E.**, 1999. *Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy*. New York, Harper Perennial.
- Melo M. de**, Denizer C., Gelb A., 1997. From Plan to Market: Patterns of Transition. In: *Macroeconomic Stabilization in Transition Economies*. M. I. Blejer, M. Škreb, eds. Cambridge, Cambridge University Press.
- Milanovic B.**, 1998. *Income, Inequality and Poverty during the Transition from Planned to Market Economy*. Washington, The World Bank.
- Nafziger E. W.**, 1997. *The Economics of Developing Countries*. Upper Saddle River, Prentice – Hall.
- Nolan P.**, 1995. Politics, Planning, and the Transition from Stalinism: the Case of China. In: *The Role of the State in Economic Change*. Ed. by H.-J. Chang, R. Rowthorn. Oxford, Clarendon Press.
- Nove A.**, 1995. Economics of Transition: Some Gaps and Illusions. In: *Markets, States, and Democracy: the Political Economy of Post-Communist Transformation*. B. Crawford, ed. Boulder, Westview Press.
- Nunberg B.**, 1999. *The State After Communism: Administrative Transitions in Central and Eastern Europe*. Washington, The World Bank.
- Pankow W.**, 1993. *Work Institutions in Transformation. The Case of Poland 1990-1992*. Warsaw, Friedrich Ebert Stiftung.
- Papava V.**, 1996a. The Georgian Economy: From „Shock Therapy“ to „Social Promotion“. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.

- Papava V.**, 1996b. „Social Promotion“ of Economic Reform in Georgia. *Economic Systems*, Vol. 20, No.4.
- Papava V.**, 1999. The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. P. G. Hare, ed. London, Macmillan Press.
- Papava V.**, 2002. *Leszek Balcerowicz and Georgia*. Tbilisi, GFSIS, 2002.
- Papava V.**, 2005a. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Papava V.**, 2005b. On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market. *International Journal of Social Economics*, Vol. 32, No. 1/2.
- Roland G.**, 2000. *Transition and Economics: Politics, Markets, and Firms*. Cambridge, The MIT Press.
- Roland G.**, 2014. *Transition in Historical Perspective*. In *The Great Rebirth. Lessons from the Victory of Capitalism over Communism*. Ed. by A. Åslund, S. Djankov. Washington, DC., Peterson Institute for International Economics.
- Rosser J. R.**, Rosser M. V., 1997. Schumpeterian Evolutionary Dynamics and the Collapse of Soviet-Bloc Socialism. *Review of Political Economy*, Vol. 9, No. 2.
- Rumer B.**, 2000. Economic Crisis and Growing Intra-regional Tensions. In: *Central Asia and the New Global Economy*. B. Rumer, ed. Armonk, M. E. Sharpe.
- Sachs J.**, 1992. Privatization in Russia: Some Lessons from Eastern Europe. *American Economic Review*, Vol. 82, May.
- Sachs J.**, 1993. *Poland's Jump to the Market Economy*. Cambridge, The MIT Press.
- Safaev S.**, 1997. Is the Uzbek Model Working? Yes: A Triumph of Gradualism. *Transitions*, Vol. 4, No. 2.
- Schaffer M.**, 1992. *The Economy of Poland*. Center for Economic Performance, Discussion Paper No. 67, March. London, LSE.
- Schmieding H.**, 1993. From Plan to Market: On the Nature of the Transformational Crises. *Weltwirtschaftliches Archiv*, Vol. 129, No. 2.
- Schmitter P.C.**, 1994. Dangers and Dilemmas of Democracy. *Journal of Democracy*, March.
- Standing G.**, 1997. Social Protection in Central and Eastern Europe: a Tale of Slipping Anchors and Torn Safety Nets. In: *Welfare States in Transition. National Adaptations in Global Economies*. G. Esping-Andersen, ed. London, SAGE Publications.
- Stiglitz J. E.**, 1992. Another Century of Economic Science. In: *The Future of*

- Economics*. Ed. by J. D. Hey. Oxford, Blackwell.
- Stiglitz J.E.**, 1996. *Whither Socialism?* Cambridge, The MIT Press.
- Stiglitz J. E.**, 1999. *Whither Reform? Ten Years of the Transition*. Annual Bank Conference on Development Economics, April 28-30, 1999. Washington, D. C., The World Bank.
- Stroev E. S.**, Bliakhman L. S., Krotov M. I., 1999. *Russia and Eurasia at the Crossroads. Experience and Problems of Economic Reforms in the Commonwealth of Independent States*. Berlin, Springer.
- Summers L.**, Nordhaus W., 1992. *Stabilization and Economic Reform in Russia. Brookings Papers on Economic Activity*.
- Sušjan A.**, Lah M., 1997. Inflation in the Transition Economies: the Post-Keynesian View. *Review of Political Economy*, Vol. 9, No. 4.
- Tanzi V.**, 1997. Economic Transformation and the Policies for Long-Term Growth. In: *Macroeconomic Stabilization in Transition Economies*. M. I. Blejer, M. Škreb, eds. Cambridge, Cambridge University Press.
- Thurow L. C.**, 1996. *The Future of Capitalism. How Today's Economic Forces Shape Tomorrow's World*. New York, Penguin Books.
- Trushin Esh.**, 1998. Uzbekistan: Foreign Economic Activity. In: *Central Asia: The Challenges of Independence*. B. Rumer, S. Zhukov, eds. Armonk, M. E. Sharpe.
- Trushin Esh.**, Trushin Esk., 2002. Challenges to Economic Policy in Central Asia: Is a Miracle Possible? In: *Central Asia: A Gathering Storm?* Ed. by B. Rumer. Armonk, M. E. Sharpe.
- Trushin Esk.**, 1998. Uzbekistan: Problems of Development and Reform in the Agrarian Sector. In: *Central Asia: The Challenges of Independence*. B. Rumer, S. Zhukov, eds. Armonk, M. E. Sharpe.
- WB**, 1993. *The East Asian Miracle. Economic Growth and Public Policy*. New York, Oxford University Press.
- WB**, 1999. *Global Economic Prospects and the Developing Countries. Beyond Financial Crisis*. Washington, The World Bank.
- Weder B.**, 2001. *Model, Myth, or Miracle? Reassessing the Role of Governments in the East Asian Experience*. Tokyo, UN University Press.
- Wellisz S.**, 1997. Inflation and Stabilization in Poland, 1990-1995. In: *Macroeconomic Stabilization in Transition Economies*. M. I. Blejer, M. Škreb, eds. Cambridge, Cambridge University Press.
- Wolf Ch. Jr.**, 1994. *Markets or Governments. Choosing between Imperfect Alternatives*. Cambridge, The MIT Press.

- Wolfson M.**, 1992. Transitions from a Command Economy: Rational Expectations and Cold Turkey. *Contemporary Policy Issues*, Vol. 10, April.
- Yarbrough B. V.**, Yarbrough R. M., 1997. *The World Economy: Trade and Finance*. Fort Worth, The Dryden Press.
- Zhukov S.**, 2000. Adapting to Globalization. In: *Central Asia and the New Global Economy*. B. Rumer, ed. Armonk, M. E. Sharpe.
- Zukowski R.**, 1996. Transformation Crisis in Post-Socialist Countries: Patterns and Causes. *International Journal of Social Economics*, Vol. 23, No.10/11.
- Абалкин Л. И.**, 1996. Экономические реалии и абстрактные схемы (о концептуальных основах монетаристской программы финансовой стабилизации). *Вопросы экономики*, № 12.
- Абалкин Л. И.**, 2001. *Вызов нового века*. Москва, ИЭ РАН.
- Абалкин Л. И.**, ред., 1997. *Курс переходной экономики*. Москва, Финстатинформ.
- Автономов В. С.**, 1996. Политическая экономия переходного периода. *Мировая экономика и международные отношения*, № 9.
- Алексащенко С.**, 1990. Экономическая реформа: польский путь. *Мировая экономика и международные отношения*, № 7.
- Алексеев А. М.**, Волков Н. В. и др., 1995. *Современный цивилизованный рынок. Зарубежный опыт и его распространение в СНГ*. Москва, ЭА.
- Альбах Х.**, 1999. Цветущие ландшафты? К исследованию трансформационных процессов. В кн.: *Проблемы трансформации и перехода к регулируемой рыночной экономике*. Под ред. Э. Н. Крылатых, В. В. Герасименко, В. К. Фальцмана. Москва, ТЕИС.
- Ананишвили Ю.**, Папава В., 2010. *Налоги и макроэкономическое равновесие: лафферо-кейнсианский синтез*. Стокгольм, SA&CC Press.
- Антачак Р.**, Гужиньски М., Козаржевски П., 2001. *Экономика Белоруси от рынка к плану*. Том II. Варшава, ЦСЭИ.
- Аукуционек С.**, 1996. Теория переходной экономики и её место в ряду экономических наук. *Мировая экономика и международные отношения*, № 10.
- Бальцерович Л.**, 1999. *Социализм, капитализм, трансформация: Очерки на рубеже эпох*. Москва, «Наука», УРАО.
- Белокрылова О. С.**, 2002. *Теория переходной экономики*. Ростов-на-Дону, «Феникс».
- Барфус К.**, 1995. История экономики Германии после Второй мировой войны. В кн.: *Менеджмент и рынок: германская модель*. Под ред. У. Рора и С. Долгова. Москва, БЕК.

- Белл Д.**, 1999. *Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования*. Москва, Academia.
- Березин И.**, 1999. *Краткая история экономического развития*. Москва, Русская Деловая Литература.
- Бертенев С. А.**, 1996. *Экономические теории и школы (история и современность)*. Москва, БЕК.
- Бирман И.**, 1996. *Я – экономист (о себе, любимом)*. Новосибирск, ЭКОР.
- Бок З. К.**, 2002. *Экономика Японии. Какая она?* Москва, «Экономика».
- Богомолов О. Т.**, 1998. *Реформы в зеркале международных сравнений*. Москва, «Экономика».
- Бузгалин А. В.**, 1994. *Переходная экономика: курс лекций по политической экономии*. Москва, Таурус.
- Бухарин Н. И.**, 1990. *Экономика переходного периода*. В кн.: *Н. И. Бухарин. Избранные произведения*. Москва, Экономика.
- ВБ**, 1996. *От плана к рынку. Отчет о мировом развитии – 1996*. Oxford, Oxford University Press.
- Видяпин В. И.**, Журавлева Г. П., ред., 1997. *Экономическая теория (политэкономия)*. Москва, ИНФРА-М.
- Гайгер Л. Т.**, 1996. *Макроэкономическая теория и переходная экономика*. Москва, ИНФРА-М.
- Гайдар Е.**, 1997. *Аномалия экономического роста*. Москва, Евразия.
- Герасименко В. В.**, ред., 1997. *Теория переходной экономики. Т.1. Микроэкономика*. Москва, ТЕИС.
- Голдстоун Дж.**, 2001. *Теории революции, революции 1989-1991 годов и траектория развития «новой» России. Вопросы экономики, № 1*.
- Данг Т. Х. Л.**, 1999. *Вьетнам: переход к рынку*. Москва, ИЭ РАН.
- Дыйканбаева Г.**, 2001. *Некоторые вопросы реформ финансового сектора в Кыргызстане и опыт государств Юго-Восточной Азии*. В кн.: *Опыт развития финансовой и фискальной системы и привлечения прямых инвестиций в Восточной Азии: уроки и рекомендации*. Алматы.
- Евстигнеева Л.**, Евстигнеев Р., 1999. *Куда же ведут реформы? (размышления по поводу статьи Дж. Стиглица)*. *Вопросы экономики, № 9*.
- Жуков С.**, 1997. *Казахстан, Кыргызстан, Узбекистан в социально-экономических структурах современного мира. Мировая экономика и международные отношения, № 3*.
- Зарицкий Б. Е.**, 1997. *Людвиг Эрхард: секреты «экономического чуда»*. Москва, БЕК.
- Игнатенко А.А.**, 1988. *Халифы без халифата. Исламские неправитель-*

*ственные религиозно-политические организации на Ближнем Востоке: история, идеология, деятельность.* Москва, Наука.

- Илларионов А.**, 1996. Модели экономического развития и Россия. *Вопросы экономики*, № 7.
- Иноземцев В. Л.**, 1995. *К теории посткоммунистического общества.* Москва, Таурус.
- Иноземцев В. Л.**, 1998. Переосмысливая грядущее. Крупнейшие американские экономисты и социологи о перспективах и противоречиях современного развития. *Мировая экономика и международные отношения*, № 11.
- Киселева Е. А.**, 1996. Макроэкономическая стабилизация: ортодоксальный и гетеродоксный сценарии. В кн.: *Основы теории переходной экономики.* Под ред. Е. А. Киселевой и М. Н. Чепурина. Киров, КОТ.
- Киселева Е. А.**, Чепурин М. Н., ред., 1996. *Основы теории переходной экономики.* Киров, КОТ.
- Колодко Г. В.**, 1999. Уроки десяти лет посткоммунистической трансформации. *Вопросы экономики*, № 9.
- Колодко Г. В.**, 2000. *От шока к терапии. Политическая экономия постсоциалистических преобразований.* Москва, ЗАО «Журнал Эксперт».
- Красникова Е. В.**, ред., 1998. *Теория переходной экономики. Т. 2. Макроэкономика.* Москва, ТЕИС.
- Крегель Я.**, Мацнэр Э., Грабхер Г., 1992. *Рыночный шок.* Вена.
- Кузин Д. В.**, ред., 1994. *«Экономические чудеса»: уроки для России.* Москва, ОЛМА-ПРЕСС.
- Кузнецов В.**, 1994. К теории переходной экономики. *Мировая экономика и международные отношения*, № 12.
- Латышев И.А.**, 1970. *Лицо и изнанка «экономического чуда» Японии.* Москва, Наука.
- Маркарян К.**, 2002. *Общая теория постиндустриального государства.* Москва, УРСС.
- Мау В.**, 1999. Российские экономические реформы глазами зарубежных критиков. *Вопросы экономики*, № 11.
- Меньшиков С. М.**, 1996. *Экономика России: практические и теоретические вопросы перехода к рынку.* Москва, Международные отношения.
- Мизес Л. фон**, 1994. Социализм. Экономический и социологический анализ. Москва, Catallaxy.
- Миккульский К. И.**, 1999. О современной фазе системного кризиса

постсоциалистического общества и механизмах его преодоления. *Общество и экономика*, № 10-11.

**Наринский Р.**, 1990. Экономическая программа правительства Г. Мазовецкого. *Вопросы экономики*, № 4.

**Некипелов А. Д.**, 1996. *Очерки по экономике посткоммунизма*. Москва, ЦИСН.

**Николаева И. П.**, ред., 2001. *Теория переходной экономики*. Москва, ЮНИТИ-ДАНА.

**Ноув А.**, 1993. Какой должна быть экономическая теория переходного периода? (Критический обзор). *Вопросы экономики*, № 11.

**Олсон М.**, 1995. Рассредоточение власти и общество в переходный период. Лекарства от коррупции, распада и замедления темпов экономического роста. *Экономика и математические методы*, Т. 31, Вып. 4.

**Ольсевич Ю.**, 1997а. *К теории экономических трансформаций*. Москва, ИЭ РАН.

**Ольсевич Ю.**, 1997б. Монетаризм и Россия: проблема совместимости. *Вопросы экономики*, № 8.

**Ослунд А.**, 1996. *Россия: рождение рыночной экономики*. Москва, Республика.

**Ослунд А.**, 2001. Миф о коллапсе производства после крушения коммунизма. *Вопросы экономики*, № 7.

**Петраков Н. Я.**, 1998. *Русская рулетка: экономический эксперимент ценою 150 миллионов жизней*. Москва, Экономика.

**Петухов С.**, 1999. Грузинское экономическое чудо уже в пути! *Огонёк*, № 30.

**Попов В.**, 1998. Динамика производства при переходе к рынку: влияние объективных условий и экономической политики. *Вопросы экономики*, № 7.

**Попов В.**, 2000. Шокотерапия против градуализма: 10 лет спустя. В кн.: *Г. В. Колодко. От шока к терапии. Политическая экономия постсоциалистических преобразований*. Москва, ЗАО «Журнал Эксперт».

**Ракитская Г.**, 1996. Общественно-экономические стратегии современной России. *Вопросы экономики*, № 8.

**Ролан Ж.**, 2012. *Экономика переходного периода. Политика, рынки, фирмы*. Москва, Издательский дом Высшей школы экономики.

**Ростовский Я.**, 1997. *Макроэкономическая нестабильность в посткоммунистических странах*. Москва, Экономика.

- Сакс Дж.**, 1995. *Рыночная экономика и Россия*. Москва, Экономика.
- Сегвари И.**, 1999. Семь расхожих тезисов о российских реформах: верны ли они? *Вопросы экономики*, № 9.
- Симония Н.**, 1999. Методологические проблемы анализа моделей социально-экономического развития. *Общество и экономика*, №10-11.
- Стиглиц Дж.**, 1998. Многообразнее инструменты, шире цели: движение к ПостВашингтонскому консенсусу. *Вопросы экономики*, № 8.
- Стиглиц Дж.**, 1999. Куда ведут реформы? (К десятилетию начала переходных процессов). *Вопросы экономики*, № 7.
- Федоренко Н. П.**, 2001. *Россия: уроки прошлого и лики будущего*. Москва, ЗАО «Экономика».
- Фишер С., Сахаи Р.**, 1997. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки. *Вопросы экономики*, № 5.
- Хикматов А. Х.**, ред., 2001. *Узбекистан: десять лет по пути формирования рыночной экономики*. Ташкент, «Ўзбекистон».
- Цуру С.**, 1981. *Конец Японского «экономического чуда»*. Москва, Прогресс.
- Шумпетер Й.**, 1995. *Капитализм, социализм и демократия*. Москва, Экономика.
- Эрхард Л.**, 1991. *Благосостояние для всех*. Москва, Начала-Пресс.

## თავი 5. ნეკროეკონომიკა: საქონლის ბაზარი, რომელშიც მოთხოვნა არ არსებობს

ტრადიციული ეკონომიკისათვის საქონლის ისეთი ბაზრის არსებობა, რომელშიც მხოლოდ მიწოდებას აქვს ადგილი, ხოლო მოთხოვნას არა, უაზრობის სფეროს განეკუთვნება და, ამდენად, ეს ფენომენი საერთოდ არც კი შეისწავლება. სინამდვილეში, არაერთ ქვეყანაში ასეთი ბაზარი მართლაც არსებობს (პაპავა, 2002, გვ. 27-31, 153-162; პაპავა, 2005, კპ. 28-38) და, ბუნებრივია, ის არატრადიციული ეკონომიკის შესწავლის საგანია. ის ქვეყნები, სადაც ასეთი სპეციფიკური ბაზრები არსებობს, პოსტკომუნისტურ სივრცეში არიან. აქედან გამომდინარე, ამ ბაზრების არსის გასაგებად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია კომუნისტური ტიპის ეკონომიკის ძირითად თავისებურებათა განხილვა.

### § 5.1. კომუნისტური ტიპის ეკონომიკის ძირითადი თავისებურებანი

სტალინიზმისა და „უძრაობის“ ხანის კრიტიკის ფონზე სოციალიზმი „შეიმკო“ „მბრძანებლურ-ადმინისტრაციული“, „ტოტალიტარული“ და სხვა მისთანა ეპითეტით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არაერთმა მკვლევარმა ეჭვის ქვეშ დააყენა საკითხი იმის შესახებ, საბჭოთა იმპერიაში სოციალიზმი, როგორც ასეთი, მართლაც იყო თუ არა.

სოციალიზმის რაობისა და პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადების შესახებ ჩატარებულია უამრავი გამოკვლევა, თუმცა ცალკეული გამონაკლისის გარდა (მაგალითად, Kornai, 1992; Olson, 2000; Stiglitz, 1996; Корнаи, 1990, 2000; Мизес, 1993, 1994; Хайек, 1992; Шумпетер, 1995), მათ თითქმის არანაირი სამეცნიერო ფასეულობა არ გააჩნიათ.

სოციალიზმის, მისი საბჭოური „ვერსიის“ ზოგიერთი არსებითი ნიშანი იყო:

1. საბჭოთა იმპერია თავიდანვე იძულებული გახდა, საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკის ე.წ. ნატურალური ტიპისათვის, სადაც პრაქტიკულად გამორიცხული იყო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და ყოველივე ის, რაც საჭიროა მოხმარებისათვის, მის (ამ ეკონომიკის) შიგნით იწარმოება. ეს, უწინარეს ყოვლისა, სხვა დანარჩენ სამყაროსთან საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირებით იყო განპირობებული. ეკონომიკის ნატურალიზაცია, თავის მხრივ, საბჭოთა იმპერიის იმ მსოფლმხედველობრივი დოგმებით იყო გაღრმავებული, რომელთა თანახმადაც, ეკონომიკური სისტემის საფუძვლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, ბაზარი გამორიცხული უნდა ყოფილიყო. უმთავრეს ეკონომიკურ დოქტრინად ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება იქნა აღებული. შედეგად, საგეგმო მაჩვენებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ნატურალური აღმოჩნდა, ხოლო საწარმოებს შორის კოოპერაციული კავშირები წვრილმან დეტალებში გაიწერებოდა. მართალია, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს თუ თავით საწარმოებს შორის ანგარიშსწორებაში ასევე ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა ფული, მაგრამ ამ უკანასკნელს, უმთავრესად, აღრიცხვის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად კონტროლირებადი ნატურალური ტიპის ეკონომიკის პირობებში ბაზრის ელემენტები მხოლოდ არალეგალური სტატუსით „სარგებლობდა“ და სახელმწიფოს მიერ უმკაცრესად იდევნებოდა;
2. კონკურენციის საყოველთაო უარყოფის პირობებში საბჭოთა იმპერიაში წარმოებული წარმოების საშუალებები (სამხედრო მრეწველობის გარდა, რომლის განვითარებაც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ სამყაროსთან სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებით იყო განპირობებული) ხარისხობრივი მახასიათებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტებს; ეს კი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იძლე-

ვა იმის საშუალებას, რომ საბჭოური ტექნიკა და ტექნოლოგია განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულთან შედარების საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, როგორც პრიმიტიული;

3. საბჭოთა იმპერიის შექმნისთანავე მინა და კაპიტალი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. საკუთრების საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმა, პრაქტიკულად, სახელმწიფო საკუთრების სახესხვაობას წარმოადგენდა;
4. ეკონომიკის გაძლიერების მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა ადამიანები სახელმწიფოსადმი უშუალო დამოკიდებულებაში ჩააყენა, რაც შრომის არაეკონომიკურ იძულებაში გამოიხატა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ეს ოთხი ნიშანი (ეკონომიკის ნატურალური ტიპი, ტექნიკისა და ტექნოლოგიის პრიმიტიულობა, მინასა და კაპიტალზე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების არსებობა, შრომის არაეკონომიკური იძულება) ერთობლიობაში იმის საშუალებას იძლევა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მონოპოლისტი ფეოდალის სტატუსი მიენიჭოს, ხოლო მთლიანად სისტემა კი შეფასდეს, როგორც სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმი (პაპავა, 1995ა, გვ. 9; Papava, 1995; Папава, 1990; Папава, Ахметели, 1990, с. 33). აქ მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, რიჩარდ ერიქსონის აზრით, პოსტსაბჭოთა რუსეთის ეკონომიკური სისტემა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ინდუსტრიული ფეოდალიზმი (Ericson, 2000).

როგორც აღინიშნა, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკა კონკურენციას, მისი გამოვლენის ნებისმიერ ფორმაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, პრინციპში, გამორიცხავდა. კერძოდ, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის მქონე ქვეყნები ერთიან ეკონომიკურ სივრცეში იყვნენ გაერთიანებულნი (ამის საუკეთესო მაგალითი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოთა (Совет экономической взаимопомощи – СЭВ), რომელიც, თავისი არსებობის ორმოცნობიანი პერი-

ოდის განმავლობაში, საბჭოთა კავშირთან ერთად, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის ისეთ ქვეყნებსაც აერთიანებდა, როგორებიც ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, აღმოსავლეთ გერმანია, კუბა, ჩრდილოეთ ვიეტნამი, მონღოლეთი იყვნენ), სადაც ნებისმიერი საქონელგაცვლითი ოპერაცია მხოლოდ ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ რეგულირდებოდა. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის მქონე კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, ერთი პერიოდი ეს საერთოდ გამორიცხულიც კი იყო (კერძოდ, მეორე მსოფლიო ომამდე საბჭოთა კავშირი „რკინის ფარდის“ პოლიტიკას მიმართავდა), ხოლო შემდგომ ის ერთობ შეზღუდული ფორმით იყო ნებადართული.

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკაში, და ისიც მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის, ნებადართული იყო კონკურენციის მხოლოდ ერთი ფორმა, კერძოდ, კონკურენცია დასავლეთის სახელმწიფოებთან სამხედრო-სამრეწველო წარმოების კუთხით, რამაც საბჭოთა კავშირის საშუალება მისცა, ატომური წარმოება და ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღება განეფითარებინა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეეღწია კოსმოსში.

კონკურენციის უარყოფამ კომუნისტური ორიენტაციის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ქმედითი სტიმული გამორიცხა, რის შედეგადაც, როგორც წესი, დაბალხარისხიანი პროდუქცია იწარმოებოდა, რომლის ფასიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე განეული დოტაციების საფუძველზე ხელოვნურად იყო შემცირებული. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო – ალკოჰოლური სასმელების გაყიდვით მიღებული ამონაგები, ხოლო ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლის ერთადერთი გზა კი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე ნედლეულის (უმთავრესად კი, ნავთობის) გაყიდვა იყო.

კომუნისტური რეჟიმის დროს, პოლონეთში ჩამოყალიბებული ეკონომიკის არსებითი ნიშნების შესწავლისა და განზოგა-

დების საფუძველზე, პოლონელი ეკონომისტი ადამ ლიპოვსკი მიდის დასკვნამდე, რომ, როცა მთელი მსოფლიო დაყოფილია „განვითარებულ“ და „განვითარებად“ ქვეყნებად, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის მქონე ქვეყნები არც ერთ მათგანს არ შეეძლება მიეკუთვნოს; მათ დასახასიათებლად მას შემოაქვს ტერმინი „მცდარი გზით განვითარებული“ (“Misdeveloped”), რომლის თანახმადაც, ასეთი ტიპის ქვეყნებში (Lipowski, 1998, p. 9):

- მთლიან სამამულო პროდუქტში, საშინაო და საგარეო ვაჭრობის და მომსახურების ხვედრითი წილის სიმცირის ხარჯზე, მრეწველობას ძალზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს;
- სამრეწველო წარმოების უდიდესი ნაწილი, მოხმარების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წილის სიმცირის ხარჯზე, წარმოების საშუალებათა წარმოებაზე მოდის;
- საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება არადაამაკმაყოფილებლად დაბალ დონეზეა;
- მომხმარებლისათვის ფუჭი პროდუქცია ფართო მასშტაბებში ინარმოება;
- მოძველებული პროდუქციის წარმოებას სამრეწველო პროდუქციაში ძალზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს.

კომუნისტური რეჟიმის მსხვრევის შემდეგ სწორედ „მცდარი გზით განვითარებული“ ქვეყნის ეკონომიკა აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანის წინაშე.

## წ 5.2. ნეკროეკონომიკა

კომუნისტური რეჟიმის დამხობამ და შესაბამისი ეკონომიკური სისტემის რღვევამ პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის ფონზე „გააშიშვლა“, როცა, ზოგიერთი გამონაკლისის (კერძოდ, ნაწილობრივ, ჰიდროენერგეტიკის, სამთო-მომპოვებელი მრეწველობისა და, ცალკეულ

შემთხვევაში, მოპოვებული ნედლეულის მხოლოდ პირველადი გადამუშავების) გარდა, ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანი – დაბალხარისხიანი ან (და) ძვირადღირებული იყო. ასეთი პროდუქციის ბაზარი არ არსებობს და, პრინციპში, შეუძლებელიცაა არსებობდეს. ამგვარი ტიპის ეკონომიკას სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არა „მკვდარი“ ეკონომიკა, ანუ **ნეკროეკონომიკა**<sup>1</sup> (ბერძნულად „ნეკროს“ მკვდარს ნიშნავს), ხოლო მის შემსწავლელ თეორიას – *ნეკროეკონომიკისი*, ანუ *ნეკროეკონომიკური თეორია* (პაპავა, 2000; Papava, 2001a, 2001b, 2002, 2005; Παπαβα, 2001a, 2001b)<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ „ნეკროეკონომიკის“ ცნებასთან ყველაზე მიახლოებული „ვირტუალური ეკონომიკის“ ცნებაა (Gaddy, Ickes, 1998, 2002; Woodruff, 1999).

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის ზემოხსენებული „გაშიშვლების“ პროცესს ადამ ლიპოვსკი ტერმინ „ინვესტიციის“ ანტონიმს – „დაივესტიციას“ უწოდებს (Drucker, 1986; Taylor, 1988), რომელიც პოსტკომუნისტური ეკონომიკისათვის „მცდარი გზით განვითარებული“ ეკონომიკის ზემოჩამოთვლილ პათოლოგიათა „მოცილებას“ გულისხმობს (Lipowski, 1998, pp. 31-32), რის შედეგადაც ყალიბდება ნეკროეკონომიკა.

ბუნებრივია, როცა ეკონომიკის ერთი ნაწილი „მკვდარია“, დარჩენილი ნაწილი „სიცოცხლისუნარიანია“ და მას პირობითად – **ვიტალური ეკონომიკა** ან **ვიტაეკონომიკა** (ლათინურად „ვიტა“ სიცოცხლეს ნიშნავს), ხოლო მის შემსწავლელ თეორიას *ვიტაეკონომიკისი*, ანუ *ვიტაეკონომიკური თეორია* ვუწოდოთ, რაც, თავისი შინაარსით, სხვა არაფერია, თუ არა ტრადიციული ეკონომიკისი, საყოველთაოდ გავრცელებული გაგებით, ვინაიდან ის (ტრადიციული ეკონომიკისი), როგორც ასეთი, სწავლობს ეკონომიკას, როგორც სიცოცხლისუნარიან სისტემას.

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოიყენება მსგავსი ტერმინი – „ნეკროპოლიტიკა“ (Mbembe, 2003).

<sup>2</sup> ასევე იხ. (კაკულია, 2002ა, 2002ბ, 2010).

პირველი შეკითხვა, რომელიც იბადება, ისაა, თუ ნეკროეკონომიკასა და ვიტაეკონომიკას შორის რა პრინციპული მსგავსება და განსხვავება არსებობს.

ნეკროეკონომიკაში, ვიტაეკონომიკის მსგავსად, საქონლის წარმოება შესაძლებელია, ანუ, პრინციპში, შესაძლებელია, მიწოდებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ვიტაეკონომიკაში წარმოებული საქონლისაგან განსხვავებით, ნეკროეკონომიკაში წარმოებულ საქონლზე, მისი უხარისხობის ან (და) სიძვირის გამო, მასზე მოთხოვნა არ არსებობს. მაშასადამე, ნეკროეკონომიკაში ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერი ნებაყოფლობითი აქტი გამორიცხულია, რის გამოც წონასწორული ფასის არსებობა, პრინციპში, შეუძლებელია. სხვა სიტყვებით, სახეზეა საქონლის ისეთი ბაზარი, სადაც არსებობს მიწოდება, მაგრამ არ არსებობს მოთხოვნა.

თუ ეკონომიკის გარკვეული სეგმენტი მკვდარია, მაშინ, წმინდა თეორიულად, პრობლემაც არ უნდა არსებობდეს: სალი აზრის თანახმად, ნეკროეკონომიკა არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს მის ცოცხალ ნაწილზე. ტრადიციული ეკონომიკის თანახმად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ასეც უნდა ხდებოდეს: არაკონკურენტუნარიანი წარმოება ისე უნდა „ქრებოდეს“, რომ, ფაქტობრივად, არავითარ საგრძნობ პრობლემას არ უნდა უქმნიდეს ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ტრადიციული ეკონომიკის შესწავლის არეალის შემოფარგვლა იმ საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით, რომელშიც ნეკროფირმების არსებობა უარყოფილია. სინამდვილეში, ყველაფერი ბევრად რთულადაა.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში მყოფ ქვეყნებში პრინციპულად განსხვავებული სიტუაციაა შექმნილი.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში ნეკროეკონომიკა მბრძანებლური ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

დიდი ზომის ქვეყნებში (მაგალითად, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა და სხვ.) ნეკროეკონომიკის პრობლემა ნაკლებად მწვავედ

იგრძნობა, ვიდრე შედარებით მცირე ქვეყნებში, ვინაიდან ეკონომიკის მსხვილი მასშტაბის გამო, ნეკროსანარმოებს, მთავრობის ხელშეწყობით, აქვთ ერთმანეთთან კონკურენციის შესაძლებლობა (მაგალითად, Schaffer, Kuznetsov, 2008), რაც ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიას ქმნის. მცირე ქვეყნებში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, რადგან მრავალ ნეკროსანარმოს ქვეყნის შიგნით რაიმე ანალოგი არ აქვს (მაგალითად, Papava, Tokmazishvili, 2007).

თავის მხრივ, დიდ და მცირე ქვეყნებს შორის ეს განსხვავება გავლენას ახდენს სახელმწიფოს ნეკროეკონომიკისადმი მხარდაჭერის პოლიტიკაზე. კერძოდ, შიგასახელმწიფოებრივი კონკურენციის გამო ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზია მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს ამ ქვეყნებს ნეკროეკონომიკის დაძლევის საქმეში. მცირე ქვეყნებში კი ამა თუ იმ ნეკროსანარმოების ანალოგების არარსებობა შეუძლებელს ხდის შიგასახელმწიფოებრივ კონკურენციას, რის შედეგადაც ამ ქვეყნებს მეტი სტიმული აქვთ, დასძლიონ ნეკროეკონომიკა, თუმცა ეს სტიმულები ყოველთვის სათანადოდ არ გამოიყენება (Papava, Tokmazishvili, 2007).

ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის ურთიერთზეგავლენის მექანიზმის ასახსნელად მიზანშეწონილია, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა (Papava, 2006) შემდეგი კლასიფიკაციით იქნეს წარმოდგენილი:

1. სახელმწიფო სექტორში არსებული ნეკროეკონომიკა;
2. სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკა;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;
5. ახალი ინვესტიციების ბაზაზე შექმნილი კერძო სექტორი – ვიტაეკონომიკა.

პირველ ჯგუფში, როგორც წესი, შედის გადამმუშავებელი მრეწველობის მსხვილი და საშუალო ობიექტები, რომლებიც, იქ წარმოებული პროდუქციის სახეობათა დანიშნულებიდან გამო-

მდინარე, შეფასებულია, როგორც სტრატეგიული, თუმცა არაკონკურენტუნარიანობის გამო ეს საწარმოები ბაზრის პირობებში მკვდარია. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომლის თანახმადაც, მბრძანებლური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მრეწველობის დაფინანსება ხდებოდა სოფლის მეურნეობაზე, სოციალურ სფეროზე, საბინაო მშენებლობასა და ტრანსპორტზე განეული დანახარჯების „ეკონომიის“ გზით (Воронцова, 2009, с. 61).

სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის საფუძველია, უპირატესად, ენერგეტიკა (უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერჯის წარმოება და გადაცემა, ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდება), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და მომსახურება. მათი პრივატიზაციის შემთხვევაში ისინი გადადის მეოთხე ჯგუფში – პრივატიზებულ ვიტაეკონომიკაში. ამ ჯგუფმა შეიძლება მოიცვას აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთი საშუალო და, უპირატესად, მცირე ობიექტები (მათ პრივატიზაციამდე).

მესამე ჯგუფში შედის პირველი ჯგუფის საწარმოები მათი პრივატიზაციის შემდეგ. საკუთრების ფორმის შეცვლა თავისთავად სულაც არ ნიშნავს უმოქმედო საწარმოების ავტომატურ ამოქმედებას, ვინაიდან „მიცვალებულის“ მდგომარეობა არ იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინაა „ჭირისუფალი“ – სახელმწიფო თუ კერძო ფირმა. *სწორედ ამ ფაქტის იგნორირება წარმოადგენს პრივატიზაციის პროცესის შედარებითი დისკრედიტაციის ძირითად მიზეზს, როცა მას, განსაკუთრებით მის საწყის სტადიაში, ინვესტირების პროცესისგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად ენიჭებოდა უმოქმედო საწარმოების ამოქმედების ფუნქცია იმის მიუხედავად, ცოცხალი იყო თუ მკვდარი ყოველი კონკრეტული საწარმო სინამდვილეში.*

ბოლო, მეხუთე ჯგუფი მოიცავს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ყველაზე „ჯანსაღ“ ნაწილს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე ახლადაა შექმნილი კერძო

ინვესტიციების ხარჯზე. ამასთან, იმის გათვალისწინებაცაა აუცილებელი, რომ გარკვეული პრობლემები ეკონომიკის ამ ჯგუფშიც არის. კერძოდ, საქმე ზოგიერთ უცხოურ ინვესტიციას ეხება, რომელთა საფუძველზეც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არა უახლესი, არამედ უკვე ხმარებაში მყოფი, შედარებით მოძველებული (უფრო ზუსტად, მსოფლიო სტანდარტებით მორალურად გაცვეთილი) ტექნოლოგიები შემოდის, რომელთაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად „მეორადი ინვესტიციების“, „სექონდჰენდ ინვესტიციების“ კვალიფიკაცია შეშვენის; მათ ბაზაზე წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი მხოლოდ „ფორმირებადი ბაზრების“ (“Emerging Markets”) ფარგლებში და ისიც დროის შეზღუდულ ინტერვალში – ამ „ბაზრებზე“ მსოფლიო სტანდარტებით კონკურენტუნარიანი საქონლის შელწევამდეა.

## § 5.3. ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორია და ნეკროეკონომიკის აღწარმოების საფუძველი

მორიგი კითხვა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი, ისაა, თუ რა განაპირობებს ნეკროეკონომიკის სტაბილურ არსებობას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

ვფიქრობთ, პრობლემის არსში გარკვევის შესაძლებლობას ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორია (Nelson, Winter, 1982; Нельсон, Уинтер, 2000) იძლევა.

ამ თეორიის ძირითად „ინსტრუმენტს“ ე.წ. „რუტინის“ ცნება (“routines”) წარმოადგენს, რომლის ქვეშ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული ნესები და ხერხები იგულისხმება, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებენ (Murrell, 1992; Мюррел, 1994, с. 69). რუსულენოვან თარგმანში ტერმინ „რუტინის“ ნაცვლად ხშირად ტერმინი „стереотипы“ გამოიყენება (Мюррел, 1994, с. 69; Садыгов, 1999, сс. 12-15).

სწორედ კომუნისტური ტიპის ეკონომიკურ სისტემაში ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული „რუტინა“ ის მთავარი ფაქტორი, რაც „მკვდარ“ სანარმოებს აიძულებს, იმუშაონ უკვე აღარ არსებული კომუნისტური ტიპის ეკონომიკის რეჟიმში, რის შედეგადაც ამ სანარმოთა სანყოფემა მათ მიერ გამოშვებული კონკურენტუნარო პროდუქციითაა გავსებული, ხოლო ამ პროდუქციის რეალიზაციის პრინციპული შეუძლებლობის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის, ენერგეტიკული სექტორის, სხვა სანარმოთა მიმართ ვალეები გროვდება. შედეგად, სანარმოთა ურთიერთდავალიანების ჩახლართული ქსელი იქმნება (მაგალითად, Åslund, 1995, pp. 207-214, 2002, 244-248, 328-330, 333-334, 2007, პპ. 132-133; Ослунд, 1996, сс. 256-264).

მბრძანებლურ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტრადიციების თანახმად, როცა სანარმო ვალეებს აგროვებდა (მათ შორის გააზრებულადაც), მისი დირექტორი ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში (კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ სტრუქტურებში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში) აყენებდა მათი ჩამონერის საკითხს და, როგორც წესი, მიზანს აღწევდა. აქედან გამომდინარე, ვალეების ჩამონერის პრაქტიკულად შეუზღუდავი (უფრო ზუსტად, გარანტირებული) შესაძლებლობის არსებობის პირობებში მათი დაგროვება არ აღიქმებოდა საშიშროებად სანარმოების ხელმძღვანელობისთვის. ვალეების ჩამონერის მოცემული მექანიზმი ის დამკვიდრებული რუტინაა, რომელიც, სამწუხაროდ, პერიოდულად ვლინდება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში „საგადასახადო ამნისტიის“ სხვადასხვა ვარიაციით (მაგალითად, Николаев, 2002; Шульга, 2002).

როგორც მე-2 თავში აღინიშნა, პრაქტიკულად, ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში გადამწყვეტ როლს, როგორც წესი, ადამიანისეული ფაქტორი ასრულებს. ნეკროეკონომიკის აღწარმობადი „რუტინა“ იმ ადამიანის, კერძოდ, *homo transformativus*-ის ქცევითაა განპირობებული, რომელიც კომუნისტური ორიენ-

ტაციის ეკონომიკაში ჩამოყალიბებულ *homo soveticus*-ის ტიპიდან კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ტიპზე – *homo economicus*-ზე ტრანსფორმაციას განიცდის; *homo transformativus* სამენარმეო სფეროში, როგორც მე-2 თავში აღინიშნა, პოსტსაქმოსნის ტიტულს იძენს.

რადგან კერძო სექტორში არსებული ნეკროეკონომიკის უკან სწორედ პოსტსაქმოსნები დგანან, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის „რუტინის“ მატარებლები, მისი შესატყვისი ქცევის „ინიციატორები“ სწორედ ისინი არიან.

პოსტსაქმოსნები სახელისუფლებო სტრუქტურებში (როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში) „პოსტკომუნისტებთან“ ძველი კავშირების გამოყენებით აღწევენ, საიდანაც ცდილობენ, ნეკროეკონომიკის არსებობას პოლიტიკური გამართლება მოუძებნონ და გაახანგრძლივონ იგი.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნეკროეკონომიკა პოსტსაქმოსნობის ინტერესებს ემსახურება და მანამ, სანამ ქვეყანაში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმების შედეგად პოსტსაქმოსანთა მენარმეებით ჩანაცვლება არ მოხდება, ნეკროეკონომიკა მუდამ იარსებებს.

## § 5.4. ნეკროეკონომიკის მოსპობის მექანიზმი

ნეკროეკონომიკის აშკარად უარყოფითი ზეგავლენა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების განვითარებაზე სახეზეა. აქედან გამომდინარე, იმ მექანიზმის გამოვლენა და ამოქმედება აუცილებელია, რომელიც „მკვდარ“ საწარმოთა პრობლემის გადაწყვეტას საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ რეჟიმში უზრუნველყოფს. სხვა სიტყვებით, ხსენებული მექანიზმის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო დამკვიდრება უნდა გახდეს შესაძლებელი.

პრობლემის გადაწყვეტის გასაღები ზემოხსენებულ ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციურ თეორიაში ძვეს.

საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი „რუტინის“ ფორმირება, უმთავრესად, პოსტკომუნისტური ეკონომიკის ზემოხსენებულ მეხუთე ჯგუფში – ახლად შექმნილ კერძო სექტორში ხდება. სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება, უნინარეს ყოვლისა, ამ ჯგუფს უნდა მიექცეს, ხელი უნდა შეეწყოს ახლად შექმნილი კერძო სექტორის ფეხზე დადგომას, გაფართოებასა და შემდგომ განვითარებას; სახელმწიფომ იმ სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნაზე უნდა იზრუნოს, როცა კერძო ინვესტიციების ბაზაზე ახალი ფირმები შეიქმნება. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მეხუთე ჯგუფის საყოველთაო გაფართოების ხარჯზე პირველი და მესამე ჯგუფის არეალის შეზღუდვა უნდა გახდეს.

მეხუთე ჯგუფში „სექონდჰენდ ინვესტიციებით“ შექმნილი ფირმები, მათი ნაკლებიმზიდველობის მიუხედავად, სათანადო საკანონმდებლო ბაზის პირობებში ნეკროეკონომიკის საფუძველს პრაქტიკულად ვერ შექმნიან, რადგან მათი (ფირმების) ფორმირება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ხდება, რის გამოც შესაბამისი „რუტინა“, ამა თუ იმ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვისას, მისი მწარმოებელი ფირმის „გასვლას“ არენიდან საბაზრო მექანიზმებით უზრუნველყოფს.

რაც შეეხება მეორე და მეოთხე ჯგუფებს, იმისდა მიუხედავად, ესა თუ ის საწარმო ჯერ კიდევ სახელმწიფოსია თუ უკვე – პრივატიზებული, მას ახალი ინვესტიციების მოზიდვა საკუთრების შესაბამისი წილის გაყიდვის ან გრძელვადიანი მართვის უფლებით სტრატეგიულ ინვესტორზე გადაცემის გზით აუცილებლად ესაჭიროება; წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის ალბათობა, რომ მეორე და მეოთხე ჯგუფებში არსებული ვიტაეკონომიკა, შესაბამისად, პირველი და მესამე ჯგუფის ნეკროეკონომიკაში „გადაიზარდოს“, საკმაოდ მაღალია.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხოლოდ პრივატიზაცია, როგორც ასეთი, ნეკროეკონომიკის მოსპობის საფუძველი სულაც არ არის. აქედან გამომდინარე, პირველ ჯგუფში არსებული „მკვდარი“, მაგრამ დანიშნულების მიხედვით თუნდაც მნიშვნელოვანი წარმოების არსებობის მიზნით, სახელმწიფოსათვის ერთადერთი გამოსავალი შემდეგია: სტრატეგიული ინვესტორის გამოსავლენად უსწრაფესად ჩაატაროს ღია საერთაშორისო ტენდერი, რომელსაც ეს ობიექტი (უფრო სწორად კი, მოცემული ქვეყნისათვის თუნდაც სტრატეგიული დანიშნულების მქონე „მკვდარი“ ობიექტის კედლებში წარმოების დაწყების უფლება) გრძელვადიანი მართვის უფლებით გადაეცემა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ნაბიჯი ინვესტორისათვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდეს, მაშინ აუცილებელია მისთვის თუნდაც სიმბოლურ ფასად პრივატიზაციაზეც წასვლა, რადგან „მკვდარი“ საწარმო შეუძლებელია, ძვირი ღირდეს.

მესამე ჯგუფი – პრივატიზებული ნეკროეკონომიკა, აბსოლუტურად უპერსპექტივოა.

ერთადერთი სწორი შეფასება, რომელიც ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს შეიძლება მიეცეს, არის – ჯართი. ამიტომ ნეკროეკონომიკის მოსპობა (პირდაპირი გაგებით), უწინარეს ყოვლისა, ჯართის გაყიდვითაა შესაძლებელი; არც ექსპორტი უნდა გამოირიცხოს, რადგან ეს უკანასკნელი ამ ჯართის მეპატრონეს სავალუტო შემოსავალს აძლევს, რომელიც, პრინციპში, ვიტაეკონომიკის შესაქმნელად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ამასთან ერთად, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, არცთუ ისე იშვიათად, „სწრაფი მოგების“ მიღების მიზნით, პოსტსაქმოსნები ჯართად ასაღებენ კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელ მანქანა-დანადგარებსაც, რის შედეგადაც ქვეყანა კარგავს იმის წარმოების საშუალებასაც კი, რაზეც საერთაშორისო ბაზრებზე პოტენციურად შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა.

ამისდა მიუხედავად, ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი „რუტინა“ „მკვლარ“ მანქანა-მონყობილობათა ჯართად აღიარებას აფერხებს: მისი გაყიდვის, განსაკუთრებით კი, ექსპორტის ამკრძალავ ან შემზღუდავ ბარიერებს ქმნის და ამით ნეკროეკონომიკას „სიცოცხლეს“ უხანგრძლივებს.

თეორიულად ცხადია, რომ ნეკროეკონომიკის მოსპობის ქმედითი მექანიზმი უშუალოდაა დაკავშირებული გაკოტრების შესახებ კანონმდებლობასთან (მაგალითად, Познер, 2004, სს. 542-551). მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში თუმცა არსებობს ოფიციალურად მიღებული კანონმდებლობა გაკოტრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი კანონები, პრაქტიკულად, მკვდრადშობილია (Sánchez-Andrés, March-Poquet, 2002), ანუ *ნეკროკანონებია*, ვინაიდან სანარმოების ფაქტობრივი გაკოტრება, როგორც წესი, იურიდიულად არ ფორმდება. ასეთ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული პრაქტიკა, როცა გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედებას ხელს უშლიან, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ იგი ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციურ გარემოსთან არ არის თავსებადი.

ის, თუ რა ხდება გაკოტრების შესახებ კანონთან დაკავშირებით, მაგალითად, საქართველოში, ნეკროეკონომიკის მნიშვნელოვანი ტვირთის (Papava, Tokmazishvili, 2007) მქონე ქვეყანაში, თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ბევრი ახალი ინსტიტუცია დასავლეთის მაგალითით იქმნება დასავლური ორიგინალების შეგნებული უშუალო იმიტაციის გზით (Шаванс, Маньян, 1999). შედეგად, არაერთი ასეთი ინსტიტუცია, რომელიც საკმაოდ ეფექტიანია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, აშკარად მიუღებელი რჩება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნის ეკონომიკისათვის. ხშირ შემთხვევაში, ინსტიტუციათა ბრმად განხორციელებული იმპორტი ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკის

საფუძველი, რადგანაც ფონდი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, არცთუ იშვიათად, იყო და რჩება ინსტიტუციური რეფორმებისადმი ნაჩქარევი და, იმავდროულად, პრიმიტიული მიდგომის ინიციატორი, რის გამოც ეს ქვეყნები საბაზრო ეკონომიკის შექმნის პროცესში აშკარად ზარალდებიან (Stiglitz, 2001).

ნეკროეკონომიკის ფენომენის დაძლევა შესაძლებელია ისეთი ინსტიტუციების დამკვიდრებით (კაკულია, 2010), რომლებიც დემოკრატიულ რეფორმებს (Polanyi, 2001) და ამით პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეფექტიანობას აამაღლებენ (Hare, Davis, 2006). ნეკროეკონომიკის ფენომენის დაძლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმიდან ქვეყნის გამოსვლის ინდიკატორი.

### გამოყენებული ლიტერატურა

- კაკულია ნ.**, 2002ა. ახალი ეკონომიკური აზროვნების როლი ნეკროეკონომიკური შედეგების დაძლევის პროცესში. *სოციალური ეკონომიკა*, № 6.
- კაკულია ნ.**, 2002ბ. ნეკროეკონომიკის არსი და ძირითადი ნიშანთვისებები პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნებისათვის. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, „მეცნიერება“.
- კაკულია ნ.**, 2010. ინსტიტუციური სფეროს ნეკროეკონომიკური პროცესები და მისი დაძლევის ძირითადი სტრატეგია. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე*. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (8-9 ივლისი, 2010). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- პაპავა ვ.**, 1995. *საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე*. თბილისი, „მეცნიერება“.
- პაპავა ვ.**, 2000. ნეკროეკონომიკა. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 10.

- პაპავა ვ.**, 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- Åslund A.**, 1995. *How Russia Became a Market Economy*. Washington, DC, The Brookings Institution, 1995.
- Åslund A.**, 2002. *Building Capitalism. The Transformation of the Former Soviet Bloc*. Cambridge, UK, Cambridge University Press.
- Åslund A.**, 2007. *How Capitalism was Built: The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, and Central Asia*. New York, Cambridge University Press.
- Drucker P. F.**, 1986. *Innovation and Entrepreneurship: Practice and Principles*. New York.
- Ericson R. E.**, 2000. The Post-Soviet Russian Economic System: An Industrial Feudalism? In: *Russian Crisis and its Effects*. Ed. by T. Komulainen, L. Korhonen. Helsinki, Kikumora Publications.
- Gaddy C. G.**, Ickes B. W., 1998. „Russia’s Virtual Economy.“ *Foreign Affairs*, Vol. 77, No. 5.
- Gaddy C. G.**, Ickes B. W., 2002. *A Russia’s Virtual Economy*. Washington, D. C., Brookings Institutions Press.
- Hare P. G.**, Davis J. R., 2006. *Institutions and Development: What We (Think We) Know, What We Would Like to Know*. IPPG Discussion Paper Series, No. 3, April, <http://www.sml.hw.ac.uk/cert/wpa/2006/dp0603.pdf>.
- Kornai J.**, 1992. *The Socialist System. The Political Economy of Communism*. Princeton, Princeton University Press.
- Lipowski A.**, 1998. *Towards Normality. Overcoming the Heritage of Central Planning Economy in Poland in 1990-1994*. Warsaw, Adam Smith Research Center, Center for Social and Economic Research.
- Mbembe A.**, 2003. Necropolitics. *Public Culture*, No. 15 (1), <http://www.jhfc.duke.edu/icuss/pdfs/Mbembe.pdf>.
- Murrell P.**, 1992. Evolution in Economics and in the Economic Reform of the Centrally Planned Economies. In: *The Emergence of Market Economies in Eastern Europe*. Ed. by C. C. Clague, G. Rausser. Cambridge, Basil Blackwell.
- Nelson R. R.**, Winter S. G., 1982 *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge, The Belknap Press of Harvard University Press.
- Olson M.**, 2000. *Power and Prosperity: Outgrowing Communist and Capitalist Dictatorships*. New York, Basic Books.
- Papava V.**, 1995. Marxist Points of View on the Soviet Communist Economic System and the Manifestation of Egalitarianism in Post-Communist Economic Reform. *International Journal of Social Economics*, Vol. 22, No. 6.
- Papava V.**, 2001a. *Necroeconomics and Post-Communist Transformation of*

- Economy*. Tbilisi, Company Imperial.
- Papava V.**, 2001b. Necroeconomics – A Phenomenon of the Post-Communist Transition Period. *Problems of Economic Transition*, Vol. 44, No. 8.
- Papava V.**, 2002. Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9-10.
- Papava V.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Papava V.**, 2006. *Economic Transition to European or Post-Communist Capitalism?* EACES Working Papers, no. 1, March, <http://www.eaces.net/news/WP-1-06.pdf>.
- Papava V.**, Tokmazishvili M., 2007. Necroeconomic Foundations and the Development of Business in Post-Revolution Georgia. *Caucasus & Globalization*, No. 1(4).
- Polanyi K.**, 2001. *The Great Transformation. The Political and Economic Origins of Our Time*. Boston, Beacon Press.
- Sánchez-Andrés A.**, March-Poquet J. M., 2002. The Construction of Market Institutions in Russia: A view from the Institutionalism of Polanyi. *Journal of Economic Issues*, Vol. XXXVI, No. 3.
- Schaffer M.**, Kuznetsov B., 2008. Productivity. in: *Can Russia Compete?* Ed. by R. M. Desai, I. Goldberg. Washington, DC, Brookings Institution Press.
- Stiglitz J. E.**, 1996. *Whither Socialism?* Cambridge, The MIT Press.
- Stiglitz, J. E.**, 2001. Whither Reform? Ten Years of the Transition (Paper presented at the Annual Bank Conference on Development Economics, April, 1999). In *Joseph Stiglitz and the World Bank*. Ed. by Ha-Joon Chang. London, The Rebel Within, Anthem Press.
- Taylor M. L.**, 1988. *Divesting Business Units*. Toronto.
- Woodruff D.**, 1999. *Money Unmade: Barter and the Fate of Russian Capitalism*. Ithaca, NY, Cornell University Press.
- Воронцова О. В.**, 2009. Страны переходной экономики: фискальные реформы на пути к рынку. *Современная Европа*, № 4.
- Корнаи Я.**, 1990. *Дефицит*. Москва, Наука.
- Корнаи Я.**, 2000. *Социалистическая система. Политическая экономия коммунизма*. Москва, НП «Журнал Вопросы экономики».
- Мизес Л. фон**, 1993. *Бюрократия. Запланированный хаос. Антикапиталистическая ментальность*. Москва, Дело.
- Мизес Л. фон**, 1994. *Социализм. Экономический и социологический анализ*. Москва, Catallaxu.
- Мюррел П.**, 1994. Эволюция экономической теории и экономических

- реформ в странах с централизованным плановым хозяйством. В кн.: *Становление рыночной экономики в странах Восточной Европы*. Под ред. Н. А. Макашевой. Москва, РГГУ.
- Нельсон Р. Р.,** Уинтер С. Дж. 2000. *Эволюционная теория экономических изменений*. Москва, ЗАО «ФИНСТАТИНФОРМ».
- Николаев И.,** 2002. «Перспективы налоговой амнистии в России». *Общество и экономика*, № 6.
- Ослунд А.,** 1996. *Россия: рождение рыночной экономики*. Москва, Республика.
- Папава В.,** 1995. *Грузия на пути к рыночной экономике*. Тбилиси, Мецниереба.
- Папава В.,** 2001а. *Некроекономика и посткоммунистическая трансформация экономики*. Тбилиси, Империаლ.
- Папава В.,** 2001б. Некроекономика – феномен посткоммунистического переходного периода. *Общество и экономика*, № 7.
- Папава В.,** Ахметели Р., 1990. *Грузия на пути к экономической самостоятельности*. Тбилиси, Мецниереба.
- Познер Р. А.,** 2004. *Экономический анализ права*. Т. 2. Санкт-Петербург: Экономическая школа.
- Садыгов Ш. М.,** 1999. *Макроекономическое управление и магистральные модели*. Баку, Элм.
- Хайек Ф. А.,** 1992. *Пагубная самонадеянность. Ошибки социализма*. Москва, «Новости», «Catallaxu».
- Шаванс Б.,** Маньян Э., 1999. Постсоциалистические траектории и Западный капитализм. *Мировая экономика и международные отношения*, № 12.
- Шульга И.,** 2002. «Опыт налоговой амнистии в Казахстане». *Общество и экономика*, № 6.
- Шумпетер Й.,** 1995. *Капитализм, социализм и демократия*. Москва, Экономика.

**თავი 6. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში და წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფცია**

## **§ 6.1. წარმოების ფაქტორები და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი**

ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მნიშვნელოვან სფეროს სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს. ეს პრობლემა აქტუალურია როგორც საზოგადოდ, ისე ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლისათვისაც (მაგალითად, აქუბარდია, 1996, 2005; კაკულია, 1999; მექვაბიშვილი, 1995; სანაძე, 1999; ქვაჩახია, 1997; ყუფუნია, 2000; ჭითანავა, 1999, 2000; Akubardia, 2002; Nunberg, 1999; Wolf, 1994; Беридзе, 1995; Ведута, 1998).

დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ტერმინ „სახელმწიფოს“ („State“) ნაცვლად, როგორც წესი, ტერმინი „მთავრობა“ („Government“) იხმარება. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული ტერმინი „სახელმწიფო“ „მთავრობას“ (ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებას), როგორც მის შემადგენელ ნაწილს, მოიცავს.

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის შინაგანი შემადგენელი ნაწილი კი არ არის, არამედ მას ავსებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს „დანიშნულება“ იმ ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაა, რომელთა გადაჭრაც ბაზარს არ ძალუძს, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა მისი (ბაზრის) „იძულებითი“ დანამატის როლში გამოდის. ამგვარი მიდგომა ორივე თანამედროვე მაგისტრალურ ეკონომიკურ მი-

მდინარეობას – ნეოკლასიკურ და ნეოკეინზიანურ სკოლებს ახასიათებს (მაგალითად, Гэлбрейт, 1979, სს. 45-50), რომელთა შეხედულებები ერთმანეთისაგან ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონის, ფორმებისა და მეთოდებისადმი დამოკიდებულებით განსხვავდება.

საყურადღებოა, რომ, აშშ-ისა და სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდის დასაბუთების თანამედროვე თეორიები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს (Супян, 2001, სს. 129-130):

1. თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას სოციალური გარემოს (ტექნიკური პროგრესი, დემოგრაფიული ძვრები და სხვ.) გართულებით ასაბუთებს;
2. თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას, სოციალურ გარემოსთან ერთად, შიგაპოლიტიკური პროცესებით ხსნის;
3. თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფუნქციას აკისრებს;
4. თეორიები (უწინარეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივი არჩევანის თეორია), რომლებიც სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციის, თვითგაფართოებით ხსნის.

წინამდებარე თავის მიზანი იმის დასაბუთებაა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის შინაგანი, იმანენტური ნაწილის სახითაც შეიძლება იქნეს განხილული. საკითხის ასეთი დასმიდან გამომდინარე, შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების პრობლემის პრინციპულად განსხვავებული გზით გადაწყვეტა, როცა ისინი ეკონომიკის სხვა აგენტების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდებისაგან, პრაქტიკულად, არაფრით იქნება განსხვავებული. ეს, თავის მხრივ, ბაზარზე და საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლზე ტრადიციულ ეკონომიკაში საყოველთაოდ მიღებული შეხედულების ნაწილობრივ გადასინჯვას მაინც საჭიროებს.

რადგანაც თავისუფალი ბაზარი გარე ეფექტების (ექსტერ-

ნალიების) აცილებასა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას ვერ ახერხებს (ანუ ბაზრის ჩავარდნას (ფიასკოს) აქვს ადგილი), სახელმწიფო ერევა ბაზარში და ცდილობს ექსტერნალიების ინტერნალიზაციასა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას, რაც, როგორც ამას საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ხსნის, პოლიტიკური რენტის ძიების გამო, რეალურ ბაზარში სახელმწიფოს ჩავარდნით მთავრდება.

იმისდა მიხედვით, სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოება ბაზრის ჩავარდნის დაძლევის თუ სახელმწიფოს ჩავარდნის გაძლიერებას ემსახურება, ეს ფუნქციები საზოგადოებისათვის, შესაბამისად, სასიკეთოდ და საზიანოდ ფასდება (Супян, 2001, сс. 131-132).

საბაზრო სისტემაში, სახელმწიფოს როლის გადასინჯვის მიზნით, წარმოების ფაქტორების ტრადიციულ ეკონომიკსში დამკვიდრებული სქემის ახლებური გააზრებაა საჭირო.

ამჟამად არც ერთი ეკონომიკური სკოლის (მარქსისტების გამოკლებით) წარმომადგენელი სადავოდ არ ხდის იმ თეზისს, რომ საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ამ შემოსავლის შემქმნელი ოთხი ფაქტორის მიხედვით ნაწილდება. საყოველთაო აღიარებით, ესენია (მათ ეკონომიკურ რესურსებსაც უწოდებენ<sup>1</sup>) მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი<sup>2</sup>, რომელთაგან პირველი ორი – მატერიალურ, შემდეგი ორი კი ადამიანსეულ

1 ტრადიციულ ეკონომიკსში წარმოების სამ ფაქტორს – მიწას, კაპიტალსა და შრომას ეკონომიკურ რესურსებსაც უწოდებენ, რაც მთლად კორექტული არ არის, რადგან ფაქტორი არის ის, რაც ქმნის, აკეთებს, ხოლო რესურსი კი წყაროს ნიშნავს, ანუ იმას, რაც იხარჯება (Гребнев, 2010).

2 საყურადღებოა, რომ ტრადიციული ეკონომიკის სახელმძღვანელოების უმრავლესობა წარმოების მხოლოდ სამი ფაქტორის (მიწის, კაპიტალისა და შრომის) განხილვით შემოიფარგლება (მენქიუ, 2008; Mankiw, 2004; Мэнкью, 1999; Самуэльсон, Нордхаус, 1999; Фишер, Дорнбуш, Шмалензи, 1993), რაც რეალობის საკმაოდ გამარტივებული, სქემატური ასახვაა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ტრადიციული ეკონომიკის ის სახელმძღვანელო, რომელიც, წარმოების ხსენებულ სამ ფაქტორთან ერთად, სამეწარმეო უნარსაც ითვალისწინებს (McConnell, Brue, 2005; Макконнелл, Брю, 1992)

რესურსებად ერთიანდება; საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ისე ნაწილდება, რომ წარმოების ყოველ ფაქტორს მისი მფლობელისათვის შესაბამისი შემოსავალი (რენტა, პროცენტი, ხელფასი და სამეწარმეო მოგება) მოაქვს (მაგალითად, Mcconnell, Brue, 2005, pp. 23-24; Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, сс. 37-38).

ჩამოთვლილი ფაქტორული შემოსავლების გარდა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული ამონაგები ამორტიზაციასა და ბიზნესზე ირიბ გადასახადებსა და გადასახდელებს მოიცავს. ბიზნესზე ირიბი გადასახადები, ტრადიციული ეკონომიკის თანახმად, სახელმწიფოს დაუმსახურებელ (გამომუშავებელ) შემოსავლად იწოდება (Mcconnell, Brue, 2005, p. 119; Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, с. 140). ეს კი, თავის მხრივ, ნაწილობრივ, წარმოების ფაქტორების თეორიის მთლიანობას საეჭვოდ აც კი ხდის, რომლის თანახმადაც, საქონლისა და მომსახურების ფასი ფაქტორულ შემოსავლებად იყოფა – შემოსავლის ისეთი სახეობა (ირიბი გადასახადები ბიზნესზე) ჩნდება, რომელსაც ეკონომიკური დასაბუთება არ გააჩნია. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა, პასუხი შემდეგ კითხვას გაეცეს: არის კი გათვალისწინებული წარმოების ყველა ფაქტორი და შესაბამისი შემოსავლები?

ამ კითხვაზე პასუხი ალბათ დადებითი იქნებოდა, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ყველა ურთიერთობა „Laissez-faire“ პრინციპის საფუძველზე რომ განისაზღვრებოდა, რაც თავისუფალი ბაზრისა და წმინდა კონკურენციისათვისაა დამახასიათებელი და იმავდროულად გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის საჭიროება არ არსებობს. რეალურად კი საქმე შემდეგნაირადაა:

1. თუ მეწარმე საქონლის ან მომსახურების წარმოების ერთიან პროცესში მიწის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების ჩართვას ახორციელებს, მაშინ სახელმწიფო თავის თავზე ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში მეწარმეთა ამ საქმიანობის რეგულირების ინიციატივას იღებს;

2. თუ მენარმე გარკვეული საქონლის ან მომსახურების წარმოებას უძღვება, სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში უკეთებს ორგანიზაციას საქონლისა და მომსახურების მთელი მასის წარმოებას;
3. თუ მენარმე ამა თუ იმ გადაწყვეტილებას (მაგალითად, ინოვაციების გამოყენების თუ რისკის თავის თავზე აღების შესახებ) საკუთარი ბიზნესის წარმართვისათვის იღებს, სახელმწიფოს გადაწყვეტილებები (რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებით მიიღება) მთელი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მაგისტრალურ გზებს შეეხება.

თანამედროვე ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაში ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ ხელისუფლების სათავეში როგორი პოლიტიკური ძალებია მოქცეული. მაგალითად, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში კონსერვატორების მოსვლამ ამ ქვეყნებში ეკონომიკური აქტიურობის ზრდას შეუწყო ხელი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტების 70-წლიანმა ბატონობამ საბაზარო ურთიერთობები იატაკქვეშეთში არსებობისათვის განირა და ქვეყანა უღრმეს კრიზისამდე მიიყვანა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების მესხეთე ფაქტორია<sup>1</sup> (პაპავა, 2002, გვ. 183-199; Papava, 1993, 1994, 2005, pp. 81-91, 2017; Папавა, 1992, 1993a, 1993b, 2017).

გავლებული პარალელების მიუხედავად, სამენარმეო უნარსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს შორის მსგავსება, უმთავრესად, გარეგნული ხასიათისაა, შინაგანად კი მათ შორის პრიციპული განსხვავებაა:

<sup>1</sup> სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების მესხეთე ფაქტორის, ავტორისეული კონცეფცია ბრიტანული „გამოყენებითი ეკონომიკის“ სახელმძღვანელოს მეექვსე და მეშვიდე გამოცემებში აისახა (Griffiths, Wall, eds., 1995, p. 338; 1997, p. 358). ეს კონცეფცია საქართველოშიცაა გაზიარებული (სისვაძე, 2007, გვ. 41).

1. მენარმეს საქმე აქვს როგორც მატერიალურ (მიწა, კაპიტალი), ისე შრომით რესურსებთან, რომელთაც ის წარმოების ერთიან პროცესში უყრის თავს. სახელმწიფო კი მენარმეებს ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში აერთიანებს;
2. ბიზნესის წარმართვის პროცესში ძირითადი გადანყვეტილებების მიღებით მენარმე მოცემული კონკრეტული ფირმის საქმიანობის კურსს განსაზღვრავს. სახელმწიფოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები კი ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ყველა ფირმის განვითარების სტრატეგიაზე ახდენს გავლენას;
3. მენარმე, როგორც ნოვატორი, ახალი პროდუქტების წარმოების დაწყებაზე ზრუნავს, ახალი ტექნოლოგიები, ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები და მეთოდები შემოაქვს. სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკაში ნოვატორს, ახალი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემები (ან ამ სისტემების ახალი ელემენტები) შემოაქვს, ახალ ინსტიტუციურ სტრუქტურებს აყალიბებს და ა.შ.;
4. ბიზნესის წარმართვის პროცესში მენარმე საკუთარ თავზე რისკს და, მისი გამართლების შესაბამისად, „ჯილდოსაც“ იღებს. მოვლენათა განვითარების ყველაზე „სავალალო“ ვარიანტი შეიძლება მისი გაკოტრება იყოს. ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელობისას რისკს თავის თავზე სახელმწიფოც იღებს, მაგრამ იგი რამდენადმე განსხვავებული ხასიათისაა: სახელმწიფოს ამგვარი „გაკოტრების“ უფლება არა აქვს, რადგანაც მაშინ მას თვითდაშლა (თუმცა ისტორიაში ასეთი შემთხვევებიცაა ცნობილი) ემუქრება. თანაც, თუ აღებული დაუზღვეველი რისკისათვის მენარმის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაა, სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებელი პირებისათვის ჯილდო არჩევნებში გამარჯვება, ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გაგრძელებაა.

ამგვარად, თუ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ფაქტორია, მან სახელმწიფოს ვარკვეული შემოსავალიც უნდა მოუტანოს. სწორედ ესაა ის შემოსავალი, რასაც ამჟამად

ბიზნესზე ირიბ გადასახადებს უწოდებენ. სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წარმოების ფაქტორად აღიარება, თავის მხრივ, ბიზნესზე ირიბ გადასახადებს, სამეწარმეო მოგების ანალოგიით, სახელმწიფოს მოგების სტატუსის მიღების უფლებას აძლევს.

ფაქტორულ შემოსავლად ბიზნესზე ირიბი გადასახადების მიჩნევის შემთხვევაში შეიძლება საკითხი იმის შესახებ წამოიჭრას, რომ სახელმწიფო ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ, პირდაპირ გადასახადებსაც იღებს. სინამდვილეში, ეს უკანასკნელი სხვა ფაქტორული შემოსავლების შემადგენლობაში შედის და მათგან, როცა სახელმწიფოს ხელში გადადის, მხოლოდ მას შემდგომ გამოიქვითება. პირდაპირისაგან განსხვავებით, ირიბი გადასახადები, ზემოთ განხილული მომსახურების სანაცვლოდ, სახელმწიფოს განკარგულებაში უშუალოდ ექცევა; ბიზნესზე ირიბი გადასახადები, სხვა ფაქტორულ შემოსავლებთან ერთად, პირველადი შემოსავლებია, პირდაპირი გადასახადები კი – წარმოებულნი.

შევნიშნავთ, რომ სახელმწიფოს მოგების, ანუ ბიზნესის ირიბი დაბეგვისაგან მიღებული შემოსავლის ოდენობა შესაბამისი საგადასახადო განაკვეთების დონით განისაზღვრება: ისინი სახელმწიფოს მოგების ზრდაზე გავლენას იმისდა მიხედვით ახდენენ, თუ ლეგალურ ბიზნესს რამდენად ასტიმულირებენ ან უშლიან ხელს.

კომუნისტური ტიპის (ანუ მბრძანებლურ) ეკონომიკაში წარმოების ფაქტორებს შორის სამეწარმეო უნარი მხოლოდ „იატაკქვეშეთში“ არსებობდა, ის, ლეგალურად, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარით იყო ჩანაცვლებული, რის გამოც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეწარმეთა ნაცვლად, საქმოსანთა კასტა ჩამოყალიბდა.

მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გასავლა კი, იდეალურ შემთხვევაში, სამეწარმეო უნარის ყოველმხრივ განვითარების ხელშეწყობის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის მიზანმიმართული შეზღუდვის პროცესია.

## § 6.2. წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფცია

წარმოების ფაქტორების თეორიას დიდი ხნის ისტორია აქვს და მან ადამ სმითისა და ჟან ბატისტ სეის დროიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. წარმოების „დომინირებადი“ ფაქტორების კონცეფცია მისი ერთ-ერთი თანამედროვე ვერსიას (Эйлон, Голд, Сезан, 1980, сс. 64-66).

ამ კონცეფციის თანახმად, მართალია, დოვლათის ყოველი კონკრეტული სახეობის წარმოებაში გამოყენებულია წარმოების ყველა ფაქტორი, მაგრამ წარმოების შედეგიანობის ზრდის განმსაზღვრელი „გაბატონებული“ და, ამდენად, დომინირებადი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. კონცეფციის ავტორები, ფაქტორების დომინირებიდან გამომდინარე, სამი სახეობის წარმოებას განასხვავებენ: კაპიტალდომინირებადს, მასალადომინირებადსა და შრომადომინირებადს.

ასეთი მიდგომის თანახმად, წარმოების ისეთი პროცესებია კაპიტალდომინირებადი (მას სხვანაირად მანქანადომინირებადსაც უწოდებენ), რომლებსაც მუშები მხოლოდ აკონტროლებენ და ამით მანქანებისა და სხვა ძირითადი მოწყობილობის ფუნქციონირებას, ტექნოლოგიური პროცესის დადგენილ რიტმს უზრუნველყოფენ.

მასალადომინირებადს წარმოების ისეთი პროცესები მიეკუთვნება, რომლებშიც წარმოებრივი შესაძლებლობები ნედლეულსა და მასალებზე, მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზეა დამოკიდებული, ხოლო შრომა, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები არსებული წარმოებრივი პოტენციალის მხოლოდ და მხოლოდ რეალიზაციას უწყობს ხელს.

შრომადომინირებადი წარმოების ის პროცესებია, რომლებშიც ხელით შრომასა და მუშების კვალიფიკაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც ჩარხები, მოწყო-

ბილობა და ძირითადი კაპიტალის ნებისმიერი სხვა ელემენტი მუშებისათვის დამხმარე ფუნქციას ასრულებს.

განხილული კონცეფციის ავტორები კაპიტალდომინირებადი სახეობის წარმოებას მიაკუთვნებენ, მაგალითად, ელექტროსადგურებს, ცემენტის ქარხნებსა და ბრძმეებს; მასალადომინირებადს – სოფლის მეურნეობასა და თევზჭერას, ხოლო შრომადომინირებადს კი – აგურის წყობას, შეკვეთით კერვას და სხვ.

ისეთი წარმოების მაგალითების მოყვანის დროს, რომლებშიც ესა თუ ის ფაქტორი დომინირებს, ავტორები ანგარიშს იმას უწევენ, რომ, არსებული სინამდვილის დიდი მრავალფეროვნების გამო, წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის აშკარად გამოხატული დომინირების მქონე უკიდურესი ვარიანტები თანამედროვე წარმოებრივი პროცესების შეზღუდულ წრეს შეადგენს. მაგრამ უკანასკნელთა ამდაგვარ კლასიფიკაციას გამოყენებითი ანალიზის მიზნებისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცხადია, სანიმუშოდ ისეთი შემთხვევის განხილვაც შეიძლება, რომელშიც ფაქტორების დომინირებადობა წარმოებრივი პროცესის მსვლელობაში იცვლება; კერძოდ, ასეთი შემთხვევის მაგალითი ავიაფრენებია, როცა აფრენისა და დაფრენის დროს წარმოების პროცესი შრომადომინირებადია, სიმაღლის ალების შემდეგ ავტოპილოტის გამოყენების დროს კი იგი უკვე კაპიტალდომინირებადი ხდება.

წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფციის ამ მოკლე დახასიათების შემდეგ შესაძლებელია, წარმოების სხვა ფაქტორების სამეწარმეო უნარისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით, ზოგიერთი განზოგადების გაკეთება.

წარმოების მეწარმედომინირებად პროცესებს ისეთები უნდა მივაკუთვნოთ, რომლებშიც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა იმ ინოვაციებს აქვს, რომელთა განხორციელებაც, როგორც ცნობილია, მეწარმის ინიციატივასთანაა დაკავშირებული და წარმოების სხვა ფაქტორები მეწარმის ინოვაციური საქმიანობის მი-

მართ დამხმარე ფუნქციას ასრულებს. კონკურენტული გარემო ხელს უწყობს მოცემული კონკრეტული სახეობის ინოვაციების გავრცელებას, რის შედეგადაც მათი სიახლე ნიველირდება და სხვა მნიშვნელოვანი ინოვაციების უქონლობის შემთხვევაში შესაბამისი პროცესი მენარმედომინირებადობას კარგავს და სამენარმეო უნარის დომინირებული მდგომარეობა წარმოების რომელიმე სხვა ფაქტორის დომინირებული მდგომარეობით იცვლება.

წარმოების სხვა ფაქტორების ანალოგიით შესაძლებელია წარმოების ისეთი პროცესების გამოყოფა, რომლებშიც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი იქნება დომინირებული. სახელმწიფოდომინირებადი წარმოება ისეთი პროცესია, რომელშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს აქვს, ხოლო წარმოების ყველა დანარჩენი ფაქტორი მასზე დაქვემდებარებულ ფუნქციას ასრულებს. წარმოების სახელმწიფოდომინირებადი პროცესების რიცხვს საზოგადოებრივი და კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის წარმოება მიეკუთვნება.

წარმოების რომელიმე პროცესში ამა თუ იმ ფაქტორის დომინირებადობა ამ ფაქტორის მიერ მოტანილი შემოსავლის წარმოების სხვა ფაქტორების მეშვეობით მიღებულ შემოსავალთან შედარებით დომინირებადობას განსაზღვრავს. კერძოდ, კაპიტალდომინირებად წარმოებაში დომინირებული შემოსავალი – პროცენტი, მასალადომინირებადში – რენტა, შრომადომინირებადში – ხელფასი, მენარმედომინირებადში – სამენარმეო მოგება, ხოლო სახელმწიფოდომინირებადში სახელმწიფოს მოგება უნდა იყოს.

## § 6.3. სრული ბაზარი, ანუ საზოგადოებრივი დოვლათის გაყიდვის სისტემა<sup>1</sup>

კერძო და საზოგადოებრივი დოვლათის გაყიდვათა შორის არსებითი განსხვავებაა. პირველი მათგანის შექმნა, როგორც წესი, ინდივიდუალურად, ხოლო მეორის კი კოლექტიურად ხდება. ამის მიუხედავად, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის გადახდა ისევე ინდივიდუალურად ხდება, როგორც კერძო დოვლათისა; კერძოდ, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის საზღაური პირდაპირი გადასახადებია, რომლებსაც ფიზიკური და იურიდიული პირები ინდივიდუალურად იხდიან.

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი დოვლათი იწარმოოს, აუცილებელია გარკვეული დანახარჯების განხორციელება. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ქვეყნის შიგნით არსებულ სამ ძირითად წყაროს მოიცავს – საგადასახადო შემოსავლებს, სახელმწიფო სესხებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით, რომლებსაც პროცენტი მოაქვს. მეტად თუ ნაკლებად ნორმალურად ფუნქციონირებადი ყველა სახელმწიფოს პრაქტიკაში ამ სამ წყაროს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა საგადასახადო შემოსავლებს აქვს.

ამგვარად, ერთი მხრივ, გადასახადები საზოგადოებრივი (და გადამწყვეტნილად – კვაზისაზოგადოებრივი) დოვლათის საწარმოებლად გამოყენებული, მეორე მხრივ, ისინი მომხმარებლების მიერ მათი „შექმნის“ საზღაურადაც გვევლინება. *აქ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პირდაპირი და ირიბი გადასახადები: ორივე სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი დოვლათის საწარმოებლად დასაფინანსებელი ხარჯების ძირითადი წყაროა, მაშინ, როცა პირდაპირი გადასახადები ამ დოვლათის მომხმარებლების მიერ „შექმნის“ საზღაურია, ხოლო ირიბი გადასახადები კი – სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის ფაქტორული შემოსავალი.*

<sup>1</sup> ეს პარაგრაფი, მისი სირთულის გამო, მხოლოდ წარჩინებული სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი და მოცემული კურსის სხვა სტუდენტების მიერ შესწავლისას, შეიძლება მისი გამოტოვება.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ, თუ არა გადასახადების ამოღება, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა, რაც, როგორც ასეთი, თითოეულ ინდივიდსაც და მთელ საზოგადოებასაც ესაჭიროება. ამიტომაც თეორიაში გადასახადები, სრულიად გამართლებულად, ამ დოვლათის საზღაურადაა მიჩნეული, რადგან ნებისმიერი დოვლათის მოხმარება ანაზღაურების გარეშე შეუძლებელია, და რაც უფრო მეტია მისი მოხმარების რაოდენობა, მით მეტის გადახდაა ხოლმე საჭირო.

თავისთავად, კერძო დოვლათის წარმოება სულაც არ ნიშნავს, რომ მომხმარებელი ავტომატურად მიიღებს იმ სასარგებლო ეფექტს, რაც, პრინციპში, ამ დოვლათს შეუძლია მოიტანოს; ეს ეფექტი მხოლოდ მოცემული დოვლათის შექმნის შემდეგ მიიღწევა; ამის საპირისპიროდ, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება მისი სასარგებლო ეფექტის მისაღებად სავსებით საკმარისია, რაც იმით აიხსნება, რომ ასეთი დოვლათის მოხმარების საზღაურსა და თვით მოხმარებას შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს. გადასახადის გადამხდელთათვის „უცნობია“, თუ მათგან ამოღებული გადასახადები კონკრეტულად რა მიზნებს ხმარდება. ამასთან, საზოგადოებრივი დოვლათის არაგამორიცხვადობა და არაკონკურენტულობა ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ შესაბამისი გადასახადების გადაუხდელად, მისი მოხმარების რეალურ შესაძლებლობას ქმნის, რასაც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შექმნილი საგანგებო ორგანოები უმკაცრესად უნდა აკონტროლებდნენ. როგორც შედეგი, გადასახადების გადახდა (უფრო სწორად, მათი ამოღება-გადახდევინება) იძულებითი აქტის ხასიათს იძენს, რის წინააღმდეგაც, გარკვეულწილად, მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების არაერთი თაობა გამოდიოდა და დღესაც გამოდის.

რადგან ადამიანები საზოგადოებრივი დოვლათის (აგრეთვე, კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილის) საზღაურს იძულებით იხდიან, ამდენად, სახელმწიფო

დაბეგვრის სახელმწიფო რეკეტად კვლიფიცირება უსაფუძვლოდ არ გამოიყურება.

ამიტომ იდეალურად უნდა ვაღიაროთ ის სისტემა, რომლის დროსაც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები გადასახადების გადახდით არანაკლებ იქნებიან დაინტერესებულნი, ვიდრე მათგან თავის არიდებით. ამისათვის კი აუცილებელია, რომ გადასახადის გადამხდელები მათი გადახდით საკუთარი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას ახდენდნენ. ისეთ ბაზარს, რომელშიც არ იქნება (ან ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი) სახელმწიფოს მხრიდან იძულებით დაბეგვრა, **სრული ბაზარი** ვუნდოთ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ გადასახადები, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი (და, მნიშვნელოვანწილად, კვაზისაზოგადოებრივი) დოვლათის საწარმოებლად გამოიყენება, ხოლო, მეორე მხრივ კი, ისინი მომხმარებლის მიერ მისი „შეძენის“ საზღაურია. აქედან გამომდინარე, გადასახადები ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებს: საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაზე განუყოფელი ხარჯების დაფინანსებასა და მოხმარების საზღაურის დაფარვას. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად მართებულია დაბეგვრის არსებულ სისტემაში ამ ორი ფუნქციის გაერთიანება, განვიხილოთ, თუ როგორ ვლინდება ისინი კერძო დოვლათის წარმოებასა და მოხმარებასთან მიმართებაში.

ვთქვათ, A პირი მიმართავს B პირს და მისგან სესხად ფულს იღებს, რომლითაც მისთვის სასურველი კერძო დოვლათის წარმოებას იწყებს. ამ ფულის გამოყენებისათვის A პირი B-ს სესხის პროცენტს უხდის. სესხის გაცემის ვადის გასვლის შემდეგ A პირი B-ს მისგან ნასესხებ ფულს უკან უბრუნებს. თუ B პირს A პირის მიერ წარმოებულ კერძო დოვლათზე მოთხოვნა გაუჩნდება, მაშინ იგი ბაზარზე მის შესაძენად მივა და A პირს ამ დოვლათის საფასურს გადაუხდის. აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ორ პირს (კერძო დოვლათის მწარმოებელსა და მის მომხმარებელს) შორის არსებული ეს ურთიერთკავშირი საბაზრო სისტე-

მის მრავალჯერადად განმეორებადი ელემენტარული აქტია.

იმისათვის, რომ სახელმწიფო ბაზარში ორგანულად ჩაენეროს (და ბაზრის დანამატი არ იყოს), საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებისა და მოხმარების სფეროში კერძო დოვლათის მწარმოებლებსა და მოხმარებლებს შორის ზემოთ განხილული ურთიერთკავშირის „გადმოტანა“ საჭირო.

ამგვარად, საბაზრო პრინციპებს თუ დავეყრდნობით, სახელმწიფო სექტორმა, პირდაპირი გადასახადების აკრეფის ნაცვლად, კერძო პირებისა და კორპორაციებისაგან ფული უნდა ისესხოს. რადგან ეს უკანასკნელნი, იმავდროულად, სახელმწიფო სექტორის მიერ წარმოებული საზოგადოებრივი დოვლათის მომხმარებლებიც არიან, ისინი ვალდებული არიან, ამ დოვლათის მოხმარების საფასური გადაიხადონ, ანუ ისევე მოიქცნენ, როგორც ამას ზემოთ მოყვანილ მაგალითში B პირი აკეთებს. საზოგადოებრივი დოვლათის ეკონომიკური „ფასი“ მათი მოხმარების საფასურად ტრანსფორმირებული გადასახადებია (Студенский, 1968, с. 246), რაც გადასახადებში ორი ფუნქციის (საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაზე განეული დანახარჯების დაფინანსებისა და მათი მოხმარების საზღაურის გადახდის ფუნქციების) ზემოაღნიშნული შერწყმის შედეგია. აი მაშინ, სახელმწიფოს მიერ პირდაპირი გადასახადების ნაცვლად აღებული სესხი უკან არ უნდა ბრუნდებოდეს, თუმცა ამ სესხისათვის პროცენტის გადახდა აუცილებელი უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, საბაზრო სისტემაში, როცა სახელმწიფო სექტორი მისი იმანენტური შემადგენელი ნაწილია, იძულებით აკრეფილი პირდაპირი გადასახადები სრულიად უადგილოა (ე.ი. სრულ ბაზარს აქვს ადგილი); გადასახადების ნაცვლად დაუბრუნებელი, მაგრამ პროცენტის მომტანი სახელმწიფო სესხები გამოიყენება, რომლებიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და ბრუნებულ სესხებთან ერთობლივად საზოგადოებრივი დოვლათის (და კერძო სექტორის მიერ გადაუხდელი კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის ნაწილის) წარმოებაზე განეული დანახარჯე-

ბის დასაფინანსებლად გამოიყენება (Papava, 1997; Папава, 1993a, 1994, 1996).

განსხვავებული შეხედულება სახელმწიფოზე, როცა იგი ბაზარს კი არ ავსებს, არამედ მისი იმანენტური ნაწილია, ტრადიციული ეკონომიკის მრავალი საკითხის ხელახალ გააზრებას მოითხოვს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აქუბარდია თ.,** 1996. საბაზრო სისტემა და სახელმწიფო. თბილისი, „მეცნიერება“.
- აქუბარდია თ.,** 2005. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.
- კაკულია რ.,** 1999. სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის ზოგიერთი პრობლემა. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი IV. თბილისი, სესპსკი.
- მენქიუ გ.,** 2008. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენე“.
- მექვაბიშვილი ე.,** 1995. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბილისი, თსუ.
- პაპავა ვ.,** 2002. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“.
- სანაძე ს.,** 1999. ეკონომიკური განვითარების დინამიკისა და სტრუქტურის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხები (მატერიალური და ფინანსური რესურსების ბრუნვის მოდელირება). კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი IV. თბილისი, სესპსკი.
- სისვაძე ა.,** 2007. გადასახადები: არსი – ცივილური, ფორმა – დესპოტური. სოციალური ეკონომიკა, № 2.
- ქვაჩახია ი.,** 1997. ეკონომიკა და სახელმწიფო (თეორიული ასპექტები). კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი, სესპსკი.

- ყუფუნია გ.**, 2000. სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობის საკითხისათვის. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში*. ტომი V. თბილისი, სესპსკი.
- ჭიბანავა ნ.**, 1999. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების აუცილებლობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში*. ტომი IV. თბილისი, სესპსკი.
- ჭიბანავა ნ.**, 2000. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ (მეთოდოლოგიური მიდგომა). კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი 1. თბილისი, „სიახლე“.
- Akubardia T.**, 2002. The Postulates of „Market Failure“ and Role of Government. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences – Economic Series*, Vol. 10, No. 1-2.
- Griffiths A.**, Wall S., eds., 1995. *Applied Economics. An Introductory Course*. Sixth edition. London, Longman.
- Griffiths A.**, Wall S., eds., 1997. *Applied Economics. An Introductory Course*. Seventh edition. London, Longman.
- Mankiw N. Gregory**, 2004. *Principles of Economics*. Mason, South-Western College Publisher.
- McConnell C. R.**, Brue S. L., (2005) *Economics: Principles, Problems, and Policies*. Sixteenth Edition. New York: McGraw-Hill/Irwin.
- Nunberg B.**, 1999. *The State After Communism: Administrative Transitions in Central and Eastern Europe*. Washington, The World Bank.
- Papava**, 2017. On Production Factors. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 11, No. 4.
- Papava V.**, 1993. A New View of the Economic Ability of the Government, Egalitarian Goods and GNP. *International Journal of Social Economics*, Vol. 20, No. 8.
- Papava V.**, 1994. The Role of the State in the Modern Economic System. *Problems of Economic Transition*, Vol. 37, No. 5.
- Papava V.**, 1997. On the Possible Functioning of the Social Sector According to the Principles of the Private Sector (Taxation Aspect). *Problems of Economic Transition*, Vol. 40, No. 2.
- Papava V.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.

- Wolf Ch. Jr.**, 1994. *Markets or Governments. Choosing between Imperfect Alternatives*. Cambridge, The MIT Press.
- Беридзе Т.**, 1995. *Экономические основы суверенитета: новые аспекты взаимодействия экономики и политики*. Тбилиси, «Мецниереба», «Сиахლე».
- Ведута Е.Н.**, 1998. *Государственные экономические стратегии*. Москва, «Деловая книга».
- Гребнев Л.**, 2010. Факторы и ресурсы: тождество, различие или противоположность? *Вопросы экономики*, № 7.
- Гэлбрейт Дж.**, 1979. *Экономические теории и цели общества*. Москва, Прогресс.
- Макконнелл К. Р.**, Брю С. Л., 1992. *Экономикс: Принципы, проблемы и политика*. Т. 1, 2. Москва, Республика.
- Мэнкью Н. Г.**, 1999. *Принципы экономикс*. Санкт-Петербург, Питер Ком.
- Папава В.**, 1992. *Валовый национальный продукт и национальный доход: проблемы реальные и надуманные*. Тбилиси, Мецниереба.
- Папава В.**, 1993а. *Государство, рынок и экономика без налогов*. Тбилиси, Мецниереба.
- Папава В.**, 1993б. Роль государства в современной экономической системе. *Вопросы экономики*, № 11.
- Папава В.**, 1994. *Модель экономики без налогов*. Тбилиси, Мецниереба.
- Папава В.**, 1996. О возможности функционирования общественного сектора по принципам частного (аспект налогообложения). *Экономика и математические методы*, Т. 32, Вып. 4.
- Папава В.**, 2017. О некоторых спорных вопросах теории факторов производства. *Теоретическая и прикладная экономика*, № 3, [http://author.nbpublish.com/etc/article\\_23890.html](http://author.nbpublish.com/etc/article_23890.html).
- Самуэльсон П. А.**, Нордхаус В. Д., 1999. *Экономика*. Москва, БИНОМ, КНОРУС, ЛБЗ.
- Студенский П.**, 1968. *Доход наций (теории, измерение и анализ: прошлое и настоящее)*. Москва, Статистика.
- Супян В. Б.**, 2001. *Американская Экономика: новые реальности и приоритеты XXI века*. Москва, «Анкил».
- Фишер С.**, Дорнбуш Р., Шмалензи Р., 1993. *Экономика*. Москва, Дело.
- Эйлон С.**, Голд Б., Сезан Ю., 1980. *Система показателей эффективности производства*. Москва, Экономика.

**თავი 7. ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი<sup>1</sup>**

ინსტიტუციონალიზმი ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეკონომიკური განვითარების პრობლემებს სოციალური ინსტიტუციების როლის გათვალისწინების საფუძველზე შეისწავლის (მაგალითად, ბალარჯიშვილი, 2005; Ménard, Shirley, eds., 2018; Voigt, 2019; Львов, ред., 2001; Олейник, 2000).

ინსტიტუციონალიზმში, როგორც წესი, ორ მიმართულებას განარჩევენ – ძველს და ახალს.

ძველსა და ახალ ინსტიტუციონალიზმს შორის განსხვავებას შემდეგი სამი მომენტი განაპირობებს: *ჯერ ერთი*, თუ ძველი ინსტიტუციონალიზმი ეკონომიკურ პრობლემებს იკვლევს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების (მაგალითად, სამართლის, პოლიტიკური მეცნიერების და ა.შ.) მეთოდებით, ახალი ინსტიტუციონალიზმი, პირიქით, ეკონომიკური მეცნიერების (განსაკუთრებით კი, მიკროეკონომიკისა და თამაშთა თეორიის) მეთოდებით იკვლევს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებში არსებულ პრობლემებს; *მეორე*, თუ ძველი ინსტიტუციონალიზმი ძირითადად ეყრდნობა ინდუქციას (კერძო შემთხვევათა განზოგადება), ახალი ინსტიტუციონალიზმი, პირიქით, უმთავრესად იყენებს დედუქციას (ზოგადი პრინციპებიდან კონკრეტული მოვლენების ინტერპრეტაცია); და *მესამე*, თუ ძველი ინსტიტუციონალიზმი ძირითად ყურადღებას უთმობდა კოლექტივების (სახელმწიფო, პროფკავშირი) ქმედებას *ინდივიდთა* ინტერესების დაცვის საქმეში, ახალი ინსტიტუციონალიზმი, უმთავრესად, *ინდივიდთა* ქმედებას იკვლევს.

თანამედროვე ეკონომიკური პროცესების გააზრებისას სულ უფრო პოპულარული ხდება ინსტიტუციური ანალიზის ჩატარება

<sup>1</sup> ამ თავის თანავტორია ნოდარ ხადური.

(მაგალითად, Intriligator, Braguinsky, Bowen, Tullock, Root, 1999; Завельский, 1998; Зотов, Пресняков, 1998; Интрилигатор, 1997; Нестеренко, 1996; Олейник 1996, 1997; Тамбовцев, 1997, 1998; Шастико, 1997). ეს გასაგებიცაა, რადგან, მაგალითად, ეკონომიკის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა, უწინარეს ყოვლისა, არსებული ინსტიტუციების ნაწილის რღვევას, ნაწილის კი ტრანსფორმაციას და, იმავდროულად, თვისებრივად ახალი ინსტიტუციების შექმნას ნიშნავს (Березин, 1999, с. 253).

ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი ახალი ინსტიტუციონალიზმიდან (მაგალითად, Drobak, Nye, eds., 1997; North, 1990; Норт, 1997; Расков, 2010) გამომდინარე განვიხილოთ (პაპავა, 2002, გვ. 98-107; პაპავა, ხადური, 1998; Papava, 2005, pp. 41-44; Papava, Khaduri, 1997; Папава, Хадური, 2000).

აღნიშნული თეორიის თანახმად, ადამიანთა ქცევა, მათი ურთიერთობანი საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურითაა განპირობებული, რომელიც დროის ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში ადამიანთა ქცევის გარკვეულ საზღვრებს აყალიბებს. თავად *ინსტიტუციები* ფორმალური (მაგალითად, კანონები და სხვა საკანონმდებლო აქტები) და არაფორმალური (ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები, ზეპირი შეთანხმებები და ა.შ.) შეზღუდვებისა და მათი შესრულების იძულების მექანიზმების (ამ შეზღუდვების სულისკვეთებით აღზრდა და მათი დარღვევისათვის დასჯა) ერთობლიობაა.

*ფორმალური ინსტიტუციები* (*FI – Formal Institutions*) ძირითადად წერილობითი სამართალის ფორმითაა წარმოდგენილი.


უნდა აღინიშნოს, რომ *FI* და *არაფორმალური ინსტიტუციები* (*II – Informal Institutions*) ურთიერთზეგავლენის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან:

- *FI* არის არსებული ან სასურველი *II*, რომელიც წერილობით სამართალშია ასახული;
- ახლად ჩამოყალიბებული *FI*-ს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია *II*-ის განვითარების მიმართულებაზე და პირიქით.

*II*-ის *FI*-ზე ზეგავლენის საუცხოო მაგალითს საბაზრო სისტემის განვითარება წარმოადგენს, რომლის დროსაც ბევრი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ეკონომიკას არეგულირებს, კონკურენტულ გარემოში ადამიანთა ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან გამომდინარე იქნა მიღებული. *FI*-ის *II*-ზე უკუზემოქმედების არანაკლებ თვალსაჩინო მაგალითი მბრძანებლური ეკონომიკაა, სადაც *FI* ადამიანთა ხელოვნური „გაუმჯობესების“ მიზნით იქმნებოდა (მაგალითად, O'Brien, 1989), რაც, საბოლოო ჯამში, ზოგიერთი *II*-ის ატროფირებასაც იწვევდა.

იმის გამო, რომ *FI*-ის ნაწილი ზოგიერთი *II*-ის წერილობით სამართალში ასახვის შედეგად ყალიბდება, *FI*-ის და *II*-ის სიმრავლეები იკვეთება (იხ. ნახ. 7.1.). მათ თანაკვეთას ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციები (*NatFI* – Natural Formal Institutions) ვუწოდოთ:

$$FI \cap II = NatFI.$$



**ნახ. 7.1.** ფორმალური, ბუნებრივი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების თანაფარდობა

*NatFI*, როგორც აღინიშნა, თავისი ბუნებით ის *II*-ია, რომელთა ასახვაც მოხერხდა *FI*-ში; რაც უფრო „დიდა“ *NatFI*, მით უფრო შეესაბამება *FI* ადამიანის ბუნებას. აღსანიშნავია, რომ *FI*-ისა და *II*-ის სიმრავლეები ერთმანეთს არასოდეს ემთხვევა: უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება (და არც არის ამის აუცილებლობა), რომ ყველა *II* წერილობით სამართალში აისახოს;

ამასთან, *FI*-ის ერთობლიობა ყოველთვის მოიცავს ისეთ ინსტიტუციებს (მათ არაბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციები (*UFI* – Unnatural Formal Institutions) ვუნოდოთ), რომლებიც, *NatFI*-ის გარდა, საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ მიზნებიდან გამომდინარე, სასურველ შეზღუდვებსა და მათ დასაცავად საჭირო იძულების მექანიზმებსაც ასახავს; *NatFI*-ის და *UFI*-ის თანაკვეთა ცარიელი სიმრავლეა, ხოლო მათი გაერთიანება *FI*-ის ერთობლიობას იძლევა:

$$NatFI \cap UFI = \emptyset,$$

$$NatFI \cup UFI = FI.$$


მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში *UFI*-ის რაოდენობა *NatFI*-ისას რამდენჯერმე აღემატებოდა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ასეთი ეკონომიკური სისტემების დაბალსიცოცხლისუნარიანობას განაპირობებდა. განვითარებული საბაზრო დემოკრატიის ქვეყნებში კი *NatFI*-ის წილი *FI*-ის ერთობლიობაში გაცილებით მაღალია.

ლეგალური ეკონომიკის საფუძველს ნებისმიერ საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, *FI* წარმოადგენს. ჩრდილოვანი ეკონომიკის განმსაზღვრელი პრინციპი სწორედ *FI*-ის უგულებელყოფაა, როცა ადამიანთა ქმედება არანაირად არ პასუხობს ამ ინსტიტუციათა მოთხოვნებს და მთლიანად *II*-ით რეგულირდება. აქ ისმება ლოგიკური კითხვა – წარმოადგენს თუ არა ყველა *II* ჩრდილოვანი ეკონომიკის საფუძველს?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი, ცხადია, უარყოფითია, რაც იმით აიხსნება, რომ *II*-ის გარკვეული ნაწილი *FI*-ს ერთგვარად ავსებს. ეს, *FI*-სთან ერთად, ზოგადად, ადამიანთა საქმიანობისათვის, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო გარემოს ქმნის. *FI*-ის პოზიციიდან ამგვარი *II* რაციონალურია. აქედან გამომდინარე, იმ *II*-ს, რომლებიც ავსებენ *FI*-ს და ამით ადამიანთა ლეგალური საქმიანობისათვის საფუძველს ქმნიან, რაციონალური არაფორმალური ინსტიტუციები (*RII* – Rational Informal Institutions) ვუნოდოთ.

*II*-ის მთელი ერთობლიობიდან ჩრდილოვანი ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, იმ ინსტიტუციებს ემყარება, რომლებიც *FI*-ს იგნორირებას უკეთებენ. ამ უკანასკნელთა პოზიციიდან, ასეთი სახეობის *II* ირაციონალურია. ამრიგად, იმ *II*-ს, რომლებიც *FI*-ს მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ და, ამდენად, ადამიანთა არალეგალური, ჩრდილოვანი საქმიანობისათვის საფუძველს ქმნიან, ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუციები (*III* – Irrational Informal Institutions) ვუნდოთ.


უნდა აღინიშნოს, რომ ყველა *III*-ისა და *RII*-ის გაერთიანება *II* ვერ იქნება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ *III*-იცა და *RII*-იც ერთდროულად ერთსა და იმავე ისეთ *II*-ს მოიცავს, რომლებიც „ერთნაირი წარმატებით“ *FI*-ს არ ეწინააღმდეგება და, ამასთან, იმ *II*-ს ავსებს, რომლებიც თავისი არსით *FI*-ს ეწინააღმდეგება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *III*-სა და *RII*-ის ერთობლიობები *II*-ის ერთსა და იმავე ქვესიმრავლეს – ნეიტრალურ არაფორმალურ ინსტიტუციებს (*NeutII* – Neutral Informal Institutions) მოიცავს (იხ. ნახ. 7.2). ეს უკანასკნელი ქცევის ყველაზე გავრცელებულ, ელემენტარულ ნორმებს აერთიანებს, რომლებიც საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ხნის (ზოგჯერ – საუკუნეების) განმავლობაში ყალიბდებოდა, მაგალითად, ქცევის ნორმები, რომლებიც ძლიერის მხრიდან სუსტის შებრალების მომენტს შეიცავს.



**ნახ. 7.2.** რაციონალური არაფორმალური, ნეიტრალური არაფორმალური და ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუციების თანაფარდობა

სხვადასხვა *II*-ს ცვლილების განსხვავებული მექანიზმი აქვს.

*NeutII* ყველაზე სტაბილურია; ისინი *FI*-ის მხრიდან ზემოქმედებას ყველაზე ნაკლებად განიცდიან. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ბუნებასთან ყველაზე უფრო ახლოს *NeutII* დგანან და სწორედ ამიტომაც, ისინი ყველაზე უფრო კონსერვატიული არიან.



**ნახ. 7.3.** ფორმალური, ბუნებრივი ფორმალური, ნეიტრალური ფორმალური, რაციონალური არაფორმალური, ნეიტრალური არაფორმალური და ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუციების თანაფარდობა

*NeutII*-ის ნაწილი *NatFI*-ში აისახება, რის გამოც ის *NatFI*-ის შემადგენლობაში და, მით უმეტეს, მთელ *FI*-ში ყველაზე სტაბილურია. *NatFI*-ის ამ ნაწილს ნეიტრალური ფორმალური ინსტიტუციები (*NeutFI* – Neutral Formal Institutions) ვუწოდოთ (იხ. ნახ. 7.3).

როდესაც საზოგადოების ეკონომიკურ წყობაში ცვლილებები ხდება, ეს, უპირველეს ყოვლისა, *FI*-ს ეხება. როცა ასეთი ცვლილებები უმნიშვნელოა, ერთი სახეობის *FI* თანდათანობით სხვა სახეობით იცვლება, ხოლო, როცა ცვლილებები მნიშვნე-

ლოვანია, *FI*-ის დიდი ნაწილი ინგრევა ისე, რომ მის ნაცვლად ახალი ინსტიტუციები ყოველთვის ვერ ასწრებენ წარმოშობას. უნდა აღინიშნოს, რომ, იდეალურ შემთხვევაშიც, საზოგადოების ეკონომიკური წყობის ცვლილების გამოკვეთილი მიზნებისა და შესატყვისი ახალი *FI*-ის მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონტურების არსებობის პირობებშიც კი (რაც თავისთავად ასევე რთული წარმოსადგენია), ამ ახალი ინსტიტუციების შექმნა საკმაოდ გაძნელებულია, რასაც, გარკვეულწილად, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ინერციულობაც უწყობს ხელს.

ის ვაკუუმი, რომელიც *FI*-ის შემადგენლობაში იქმნება, უშუალოდ *RII*-ზე უარყოფითად ზემოქმედებს: მათი ნაწილი შესაბამისი *FI*-ის ნგრევის შედეგად ქრება. *FI*-ისა და *RII*-ის შემადგენლობაში წარმოქმნილი ვაკუუმი გაფართოებადი *III*-ის მეშვეობით ივსება. სწორედ ამის გამო, ამგვარ, ტრანსფორმირებადი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მნიშვნელოვნად იზრდება (Кузнецов, 1994, с.8). ძველი *FI*-ის ნგრევისა და მასთან ერთად შესაბამისი *RII*-ის გაქრობისა და პარალელურად *III*-ის გაფართოების „საუკეთესო“ მაგალითია 1993-1995 წლების საქართველო, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებმა 80%-მდე მიაღწია (Papava, 1996, p. 306). შედარებისათვის, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იმდროინდელი პოსტკომუნისტური უნგრეთი, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მხოლოდ 25%-ს აღწევდა (Ékes, 1994).

ცნობილი პერუელი სპეციალისტის, ერნანდო დე სოტოს მსოფლიოში გახმაურებული გამოკვლევების თანახმად, განვითარებად და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში *FI*-ის შემადგენლობაში არსებული ვაკუუმი, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების სამართლებრივი გაფორმების არარსებობაში (ან, უკეთეს შემთხვევაში, სისუსტეში) გამოიხატება, რაც კაპიტალის შექმნის უმთავრესი შემაფერხებელია და, საბოლოო ჯამში, ამ ქვეყნების ეკონომიკურ ჩამორჩენილობაში აისახება (Soto, 2000; Coto, 2001).

ამრიგად, ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის დროს

*NeutII* უფრო სტაბილური და პრაქტიკულად უცვლელია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ *NeutFI FI*-ის მთელ ერთობლიობაში შედარებით სტაბილური იქნება. მაგრამ, თუ *NeutFI*-ის თუნდაც რაღაც ნაწილი მაინც „ინგრევა“, ეს არც ისე საშიშია, რადგან აღნიშნულ პროცესებს, საზოგადოებისათვის რაიმე ზარალის გარეშე, შესაბამისი *NeutII* არეგულირებს. *NatFI*, რომლებიც *NeutFI*-ის შემადგენლობაში არ შედიან, ცვლილებებს ბევრად უფრო ადვილად ექვემდებარება ვიდრე *NeutFI*.

*FI*-ისა და *RII*-ის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი „ნგრევა“ და მათი *III*-ით ჩანაცვლება (რომლებიც არ შედიან და, პრინციპში, არც შეიძლება, რომ *NeutII*-ის შემადგენლობაში შედიოდნენ) ეკონომიკის კრიმინალიზაციის საკმაოდ სერიოზულ გამოვლინებებს ინვეს (ბალარჯიშვილი, 2010).

*NeutII*-ის იმ ნაწილის განსაკუთრებული როლი, რომელიც *NeutFI*-ის შემადგენლობაში არ შედის, როცა ისინი ერთდროულად *RII*-ისა და *III*-ის ერთობლიობის ნაწილებს შეადგენენ, იმითაა განპირობებული, რომ ჩრდილოვანი საქმიანობის ზოგიერთ სახეობას ანტისაზოგადოებრივი, ადამიანისათვის საზიანო ხასიათი არ აქვს; ქვეყნის ეკონომიკის ამ ნაწილს ერნანდო დე სოტო ექსტრალეგალურ (არალეგალურ) სექტორს უწოდებს<sup>1</sup>. ჩრდილოვანი საქმიანობის ასეთი სახეობების, ანუ ექსტრალეგალური სექტორის ლეგალიზაციას არასრულყოფილი *FI* უშლის ხელს; მათი ნებისმიერი სრულყოფა აღნიშნული საქმიანობის შემდგომ ლეგალიზაციას უწყობს ხელს. იმის გამო, რომ აბსოლუტურად სრულყოფილი *FI*-ის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია, ნებისმიერ საზოგადოებაში ექსტრალეგალური სექტორი, შედარებით მცირე მასშტაბში, მაგრამ მაინც იქნება.

მხოლოდ *NeutFI*-ის შენარჩუნებითა და *NeutII*-ზე დაყრდნობით არის შესაძლებელი, ნაკლები დანაკარგებითა და საზოგადოები-

<sup>1</sup> ინგლისურენოვან პუბლიკაციაში გამოყენებული ტერმინი “Extralegal” (Soto, 2000), რუსულენოვან გამოცემაში თარგმნილია, როგორც «внезаконный» (Soto, 2001).

სათვის მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ჩამოყალიბდეს საბაზრო დემოკრატიისათვის დამახასიათებელი FI. მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს საზოგადოების წარმატებულ ეკონომიკურ განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბალარჯიშვილი ი.**, 2005. ინსტიტუციური ეკონომიკა და განუსაზღვრელობის შემცირების ეფექტები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ბალარჯიშვილი ი.**, 2010. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. თბილისი, „ინოვაცია“.
- პაპავა ვ.**, 2002. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ.**, ხადური ნ., 1998. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. *მეცნიერება და ტექნიკა*, № 1-3.
- Drobak J. N.**, Nye J. V. C., eds., 1997. *The Frontiers of the New Institutional Economics*. San Diego, Academic Press.
- Ékes I.**, 1994. The Hidden Economy and Income: The Hungarian Experience. *Economic Systems*, Vol. 18, No. 4.
- Intriligator M. D.**, Braguinsky S., Bowen II J. R., Tullock G., Root H. L., 1999. Role of Market Institutions in Pacific Rim Development and Transition. *Contemporary Economic Policy*, Vol., XVII, No. 1.
- Ménard C.**, Shirley M. M., eds., 2018. *A Research Agenda for New Institutional Economics*. Cheltenham, Edward Elgar Publishing.
- North D.**, 1990. *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge, Cambridge University Press.
- O'Brien J. C.**, 1989. *The Communist Credo: Man is the Measure of All Things*. Allied Social Sciences Association. Annual Conference, Atlanta, Georgia, December 28-30, 1989. Fresno, California State University.
- Papava V.**, 1996. „Social Promotion“ of Economic Reform in Georgia. *Economic Systems*, Vol. 20, No.4.
- Papava V.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.

- Папавა В.,** Khaduri N., 1997. On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis. *Problems of Economic Transition*, Vol. 40, No. 6.
- Soto H. de,** 2000. *The Mystery of Capital. Why Capitalism Triumphs in the West and Fails Everywhere Else.* London, Bantam Press.
- Voigt S.,** 2019. *Institutional Economics: An Introduction.* Cambridge, Cambridge University Press.
- Березин И.,** 1999. *Краткая история экономического развития.* Москва, Русская Деловая Литература.
- Завельский М.Г.,** 1998. Институциональные изменения и экономическое развитие. *Экономика и математические методы*, Т. 34, Вып. 3.
- Зотов В. В.,** Пресняков В. Ф., Розенталь В. О., 1998. Анализ системных функций экономики: институциональный аспект. *Экономика и математические методы*, Т. 34, Вып. 2.
- Интрилигатор М.,** 1997. Реформа Российской экономики: роль институтов. *Экономика и математические методы*, Т. 33, Вып. 3.
- Кузнецов В.,** 1994. К теории переходной экономики. *Мировая экономика и международные отношения*, № 12.
- Львов Д. С.,** ред., 2001. *Институциональная экономика.* Москва, ИНФРА-М.
- Нестеренко А.,** 1996. Экономический рост на основе институциональных изменений. *Вопросы экономики*, № 7.
- Норт Д.,** 1997. Институциональные изменения: рамки анализа. *Вопросы экономики*, № 3.
- Олейник А.,** 1996. Сценарии институционального развития переходного общества. *Мировая экономика и международные отношения*, № 7.
- Олейник А.,** 1997. В поисках институциональной теории переходного общества. *Вопросы экономики*, № 10.
- Олейник А. Н.,** 2000. *Институциональная экономика.* Москва, ИНФРА-М.
- Папавა В.,** Хадური Н., 2000. Институциональная трансформация посткоммунистической экономики и человеческий фактор. *Известия Академии наук Грузии – серия экономическая*, Т. 8, № 3-4.
- Расков Д.,** 2010. Риторика новой институциональной экономической теории. *Вопросы экономики*, № 5.
- Сото Э. де,** 2001. *Загадка капитала. Почему капитализм торжествует на Западе и терпит поражение во всем остальном мире.* Мо-

სკვა, ЗАО «Олимп–Бизнес».

**Тамбовцев В.**, 1997. Теоретические вопросы институционального проектирования. *Вопросы экономики*, № 3.

**Тамбовцев В.**, 1998. Институциональная динамика в переходной экономике. *Вопросы экономики*, № 5.

**Шастико А.**, 1997. Условия и результаты формирования институтов. *Вопросы экономики*, № 3.

## § 8.1. სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის გზები

სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნა, ანუ პრივატიზაცია დამახასიათებელია როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. პრივატიზაციის სანიშნაობად ეკონომიკის პროცესს, ანუ კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გარდაქმნას კი, როგორც ცნობილია, ნაციონალიზაცია ეწოდება.

პრივატიზაცია განსაკუთრებით აქტუალური საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს ხდება (მაგალითად, ვონსაჩი, 2001, პაპავა, 2002, გვ. 167-182; Åslund, 2002, 2007, 2010; Błaszczuk, Woodward, eds., 1996; Glazunov, 2013; Papava, 2005, pp. 75-78), რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოუდგენელია წარმოების ფაქტორებზე (მინა, კაპიტალი, შრომა) ბაზრების ფორმირების გარეშე (გოგონია, 2000). ამისათვის კი წარმოების ფაქტორების პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს (Папавა, 1992).

ტრადიციული ეკონომიკისი საკმაოდ დეტალურად შეისწავლის ფაქტორულ ბაზრებს, თუმცა თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული ამ ბაზრების ფორმირების პროცესი და პროცესში პრივატიზაციის როლი.

წარმოების ფაქტორების პრივატიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციას უჭირავს, რადგანაც ითვლება, რომ ეს ეკონომიკაში კერძო კაპიტალის ჩამოყალიბების ქმედითი გზაა.

პრივატიზაციის გარდა, აუცილებელია მასთან დაკავშირებული შემდეგი ორი ტერმინის გააზრებაც. კერძოდ, საუბარია რეპრივატიზაციასა და დეპრივატიზაციაზე. **რეპრივატიზაცია** ნიშნავს ადრე კერძო საკუთრებაში არსებული შემდგომ ნაციონალიზებული ქონების კვლავ ყოფილ მესაკუთრეზე კერძო საკუთრებაში დაბრუნებას. რეპრივატიზაციის განხორციელებისათვის აუცილებელია ყველა იმ დოკუმენტის არსებობა, რომელიც ადასტურებს ყოფილი მესაკუთრის უფლებებს მოცემულ კონკრეტულ ქონებაზე.

**დეპრივატიზაცია** კი ნიშნავს პრივატიზებული ქონების დროებით ნაციონალიზაციას მისი ხელახალი პრივატიზაციისათვის. დეპრივატიზაციას მიმართავენ, როგორც პრივატიზაციაში კორუფციის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებას: თუკი ჩაითვლება, რომ პრივატიზაცია დარღვევებით ჩატარდა, მაშინ შეიძლება მოხდეს პრივატიზებული ქონების დროებითი ნაციონალიზაცია მისი ხელახალი პრივატიზაციის მიზნით.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ქვეშ ამ კაპიტალის მესაკუთრის, ანუ სახელმწიფოს კერძო მესაკუთრეთი შეცვლა იგულისხმება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონფერენციაზე, რომელიც 1992 წლის თებერვალში ჩატარდა პარიზში, მიღებულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მოცემულ გაგებას ვინრო დაერქვა, ხოლო ფართო გაგების ქვეშ სახელმწიფო კაპიტალის განსახელმწიფოებრიობა იგულისხმება, როცა სანარმო, საკუთრების ფორმის მიუხედავად, სახელმწიფოს პირდაპირი და ადმინისტრაციული ჩარევისგან სრულად არის გათავისუფლებული (გტოს, 1992, გვ. 50-52). საქართველოში სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მხოლოდ ვინრო გაგებით გამოყენებამ, სანყის ეტაპზე, სამუხაროდ, სახელმწიფო ქონების მართვის უფლებით გადაცემის პრაქტიკა სრულად გამოორიცხა (აქუბარდია, 2002).

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ პრივატიზაციის ბუმმა გასული საუკუნის 80-იან წლებში სამრეწველო განვითარების

უმალეს დონეზე მყოფი სახელმწიფოების უმრავლესობა მოიცვა, თუმცა ის არც ისეთი წარმატებული და თანამიმდევრული აღმოჩნდა, როგორც ამას ეკონომიკის ტოტალური განსახელმწიფოებრიობის მომხრეები ელოდნენ (Супян, 2001, с. 128).

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ფორმირების საწყის ეტაპზევე სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის რამდენიმე გზას (რომლებიც ხანდახან სხვადასხვა კომბინაციაშიც კი განიხილებოდა) განარჩევდნენ:

1. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ დარიგება;
2. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა;
3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა (კერძოდ, არენდა გამოსყიდვის უფლებით);
4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მდიდარი გამოცდილება საქართველოსაც დაუგროვდა (მაგალითად, აქუბარდია, 2002; ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე, 2001; გუჯარაიძე, 2010; გუჯარაიძე, ბარბაქაძე, გუჯარაიძე, მჭედლიშვილი, კახაბერი, 2007; მესხია, მურჯიკნელი, 1996; პავლიაშვილი, 2009; სამადაშვილი, 1998; სილაგაძე, დიდბარიძე, ჯუღელი, გაბუნია, ჩხაიძე, აფხაზავა, 1996; ლურნკაია, 2001; ჭითანავა 2018, გვ. 133-141; Gogishvili, Gogodze, Tsakadze, 1996; Gujaraidze, Barbakadze, Gujaraidze, Mchedlishvili, Kakhaberi, 2007; Джугели, Гварамадзе, 1998; Меквабишвили, 1998; Панькув, Гончаж, Григолашвили, 1996; Панькув, Гончаж, Моргошиа, Ахаладзе, Поломски, 1998; Панькув, Гончаж, ред., 1998; Папава, 1992; Силагадзе, 1998; Чикава, 1998), რაც სამუალებას იძლევა, პრივატიზაციის ქვემოთ მოყვანილი გზების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითები მოვიყვანოთ ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან.

## § 8.2. მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგება

მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგება, როგორც წესი, ამ ქონების წინასწარ შეფასებას და ამ შეფასების შესაბამისად თითოეული მოქალაქისათვის სათანადო სერტიფიკატის (ვაუჩერის) დარიგებას ეფუძნება, რომელიც მთელ ამ ქონებაში თითოეული მათგანის წილს განსაზღვრავს. მოჩვენებითი სამართლიანობის მიუხედავად, თეორიული ანალიზითაც ადვილი დასაწახი უნდა ყოფილიყო, რომ სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ასეთი გზა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანდა (პაპავა, 1995, გვ. 70-83; Papava, 1995; Папавა, 1992): ადამიანთა უმეტესობა ვერც მონოდებით, ვერც შესაძლებლობითა და ვერც სურვილით შეძლებდა და არც მოისურვებდა, რომ კაპიტალის მესაკუთრე ყოფილიყო; ისინი შეეცდებოდნენ, ვაუჩერები რაც შეიძლება მალე მოეშორებინათ თავიდან და მიღებული ფულით სხვადასხვა სახეობის საჭირო საქონელი შეეძინათ; თავის მხრივ, ამ ვაუჩერებს მსხვილი ფულადი სახსრების ის მფლობელები შეიძენდნენ, რომლებიც დროს ელოდებოდნენ, როცა ამ ფულით ქონების შეძენა გახდებოდა შესაძლებელი; შედეგად, ვაუჩერების გზით მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგების მცდელობა მოსახლეობას რეალურ მესაკუთრედ სულაც არ აქცევდა, ხოლო სამომხმარებლო ბაზარზე ფულის მიწოდების ზრდას კი ფასების მატება შეიძლება გამოეწვია. მაშასადამე, პრივატიზაციის აღნიშნული გზის სოციალური მომხიბვლელი მახასიათებელი რამდენიმე თვეში აუცილებლად უნდა გაფერმკრთალებულიყო.

ყურადსაღებია, რომ ეს თეორიული მსჯელობა ვაუჩერული პრივატიზაციის შესახებ სრულად დადასტურდა საქართველოში. კერძოდ, ერთი ვაუჩერის ნომინალი 30 აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრა, მაშინ, როცა მოსახლეობას ბაზარზე მისი გაყიდვა მხოლოდ 5-6 აშშ დოლარად შეეძლო; მყიდველები, როგორც წესი,

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების დირექტორები იყვნენ, რამაც მათ საშუალება მისცა, ეს საწარმოები, სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასთან შედარებით, პრივატიზაციის პროცესში 5-6-ჯერ უფრო იაფად შეეძინათ, ხოლო მასახლეობა მესაკუთრედ, რა თქმა უნდა, არ გამხდარა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკუთრების უსასყიდლო დარიგებას როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი საზოგადოებისათვის ძალზე დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. საქმე ისაა, რომ ის, რაც ადამიანს არ შეუძენია და სახელმწიფოსაგან ჩამორთმევის (ანუ, ექსპროპრიაციის) გზით ერგო, თავისი ბუნებით მუქთი დოვლათია, ხოლო რაც მუქთია, მის მოვლასა და გამრავლებაზე განსაკუთრებული ზრუნვა არასოდეს ყოფილა და არც არასოდეს იქნება. ასე რომ, მოსახლეობას ვაუჩქრები ქონების შესაძენდაც რომ გამოეყენებინა, ხსენებული მიზეზი მისი (ქონების) ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას წინ აღუდგებოდა.

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვინც მთელი ცხოვრება დაუზარელი შრომით გამოირჩეოდა, ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა: რაკი დაინახავდა, რომ საკუთრება განურჩევლად ყველას ერთნაირად შეხვდებოდა, ჩათვლიდა, რომ მის საქმიანობას სათანადო საზოგადოებრივი აღიარება არ ჰქონია და, ამდენად, თავისი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის სტიმულს დაკარგავდა. ეს კი, როგორც ცნობილია, კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მრავალწლიანი გამოცდილებითაა დადასტურებული.

ექსპროპრიაცია პრინციპულადაა დაუშვებელი იმისდა მიუხედავად, თუ მას ვინ – კერძო პირი (როგორც ეს XX საუკუნის 20-30-იან წლებში იყო) თუ სახელმწიფო ექვემდებარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის პირველი გზა იმიტომ იყო მიუღებელი, რომ სახელმწიფო ქონების დარიგების რაიმე რეალისტური პრინციპის შერჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო: გათანაბრებითი პრინციპის გამოყენება, მიუხედავად იმისა, ის შექმნილ დოვლათს თუ მით

უფრო საკუთრებას ეხება, მიუღებელია, რადგან ყოველგვარ ეკონომიკურ სტიმულს სპობს. არანაკლებ სირთულეს წარმოადგენდა იმ პირთა საკუთრების პრობლემის გადაჭრაც, რომლებიც სრულწლოვანნი ახლო მომავალში უნდა გამხდარიყვნენ და სხვასთან გათანაბრებული ქონების მათთვის საკუთრებაში გადაცემაც გახდებოდა საჭირო, რისთვისაც სათანადო რესურსი უნდა გამოინახულიყო. აქედან გამომდინარეობს, რომ საკუთრების გათანაბრებითი უსასყიდლო (და, ამდენად, არაეკონომიკური) განაწილება არა ერთჯერადი, არამედ განმეორებადი აქტი უნდა ყოფილიყო, რაც საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაში ხელის შემშლელი ფაქტორის როლს შეასრულებდა.

საქართველოში ვაუჩერული პრივატიზაციის დაწყებამდე სახელმწიფო კაპიტალის უსასყიდლოდ დარიგების პრაქტიკა იმდროინდელ ჩეხოსლოვაკიაში უკვე არსებობდა. შედეგები კი, ამ ქვეყნის ექსპერტების შეფასებით, არადაამაკმაყოფილებელი იყო.

უფასო საპრივატიზაციო კუპონების გამოყენებამ ჩეხოსლოვაკიის მაგალითზე აჩვენა, რომ პრივატიზაციის ამგვარმა გზამ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს რეალიზაცია ვერ უზრუნველყო, რადგან კუპონები რეალურ საფინანსო სახსრებს არ წარმოადგენდა. სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო კაპიტალის უსასყიდლო პრივატიზაციის ჩეხოსლოვაკური გამოცდილება არათუ არ იქნა გაზიარებული, არამედ მისი სერიოზული შესწავლა-გაანალიზების მცდელობაც კი არ ყოფილა.

## § 8.3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაწყებამდე ძალზე პოპულარული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მშრომელებს წლების განმავლობაში თავისი შრომით სახელმწიფო საკუთრების გა-

რკვეული წილი უკვე გამოსყიდული ჰქონდათ და, ამდენად, მათ ის უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდათ.

გამორიცხული არ იყო, რომ საზოგადოების ამა თუ იმ წევრს, თავისი ინტენსიური და დაბალანაზღაურებადი შრომით, სახელმწიფო საკუთრების რალაც წილი მართლაც ჰქონდა გამოსყიდული. მთელი სირთულე სწორედ ამ წილის დადგენა იყო.

საკითხის გადასაწყვეტად იმის გათვალისწინება, თუ ვინ რამდენი წელი იმუშავა, მშრომელთა უნარსა და საქმისადმი მიდგომაში არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, ვერ გამოდგებოდა.

მაშასადამე, სახელმწიფო ქონების ნაწილის შრომითი კოლექტივების წევრებისათვის იმის გამო მიცემა, რომ მათ შრომით ჰქონდათ ის გამოსყიდული, სულ ცოტა, ტექნიკურად იყო განუხორციელებელი. ასეთი პირების და მათი წილის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ამიტომ სახელმწიფო იძულებული იქნებოდა, სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ დაერიგებინა მათზეც, რომელთა შორის არა ერთი და ორი იქნებოდა ისეთი, ვისაც, მრავალწლიანი შრომითი სტაჟის მიუხედავად, ქონების მიღებული წილი თავისი შრომით გამოსყიდული სულაც არ ექნებოდა.

აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ შრომით ვითომდა ადრე „გამოსყიდული“ სახელმწიფო ქონების დარიგების პრინციპი ექსპროპრიაციის იდეის შენიღბული ფორმაა და, ამდენად, მიუღებელიცაა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის პირველი გზისათვის დამახასიათებელი ნაკლი მეორე გზასაც გააჩნია. ისიც ყურადსაღებია, რომ ეს უკანასკნელი ბოლშევიკების ბელადის, ვლადიმერ ლენინის ცნობილი ლოზუნგის ნაწილს – „ფაბრიკები – მუშებს“ შეესაბამება.

ის გარემოებაცაა აღსანიშნავი, რომ თავიდანვე პოპულარული იყო აზრი, რომლის თანახმადაც, თითქოსდა სახელმწიფო

კაპიტალის პრივატიზაციის დაწყებამდე შრომით კოლექტივებს ფაბრიკებისა და ქარხნების გარკვეული ნაწილი უკვე გამოსყიდული ჰქონდა. კერძოდ, ითვლებოდა, რომ ეს ნაწილი წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე იყო შექმნილი, რის გამოც ის შრომითი კოლექტივების წევრებს წლების განმავლობაში გამომუშავებული ხელფასის პროპორციულად აქციების სახით უნდა განაწილებოდა. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო საკუთრების განაწილებაში ზემოთ აღნიშნულ გათანაბრებით უსამართლობას ექნებოდა ადგილი, რადგანაც ხელფასის ოდენობა მუშაკის რეალურ შრომით წვლილს (განაწილების საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი – „დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით“, სამწუხაროდ, ოფიციალური აღიარების მიუხედავად, ცხოვრებაში რეალურად არასოდეს გატარებულა), პრაქტიკულად, არასოდეს შეესაბამებოდა. ამდენად, გათანაბრების უკვე ხსენებული უარყოფითი ეფექტის გამო, კაპიტალის პრივატიზაციის ეს გზაც მიუღებელი იყო.

არსებობდა ერთი სირთულეც: წარმოების განვითარების ფონდის შექმნაში შრომითი კოლექტივის ის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, პრივატიზაციის დაწყების პროცესში მოცემულ კოლექტივში უკვე აღარ მუშაობდნენ. ამდენად, მათთვის ან მათი მემკვიდრეებისათვის (გარდაცვალების შემთხვევაში) კუთვნილი აქციების მეტ-ნაკლებად სწორად განსაზღვრული ოდენობის გადაცემა, პრაქტიკულად, განუხორციელებელი იქნებოდა.

ზემოხსენებულ სირთულეთა მიუხედავად, საქართველოში პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო კაპიტალის ნაწილი შრომით კოლექტივებს უსასყიდლოდ გადაეცა. ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა ფონმა, სხვა თანაბარ პირობებში, იმის საფუძველი შექმნა, რომ ამ კოლექტივების წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უსასყიდლოდ მიღებული ქონება თავის ყოფილ დირექტორებს, რომლებიც იმჟამად უკვე მათი

თანამესაკუთრეები იყვნენ, მინიმალურ ფასებში მიჰყიდა, რის შედეგადაც შრომითი კოლექტივები კაპიტალის რეალური მესაკუთრენი არ გამხდარან.

## § 8.4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის დასაწყისიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა მესამე გზას, რომლის თანახმადაც, შრომით კოლექტივებს სანარმოები არენდით უნდა გამოესყიდათ. საყურადღებოა, რომ ქართულ ენაში, ძირითადად, იურისტების მიერ, ტერმინ „არენდის“ ნაცვლად, შეცდომით, ტერმინი „იჯარა“ არის დამკვიდრებული (პაპავა, პაპავა, 1993; პაპავა, 1995, გვ. 83-87), თუმცა პოლონური ენიდან გავრცელებული „არენდა“ ქართულად არ ითარგმნება, ხოლო „იჯარა“ კი, სინამდვილეში, სულ სხვა შინაარსის მატარებელია. კერძოდ, არენდა არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მეარენდე თავის ქონებას დროებითი სარგებლობისათვის აძლევს არენდატორს მასთან შეთანხმებული ქირის გადახდის პირობით. თუ არენდატორი, არენდის ქირასთან ერთად, მეარენდეს ნაწილ-ნაწილ უხდის ამ ქონების საფასურსაც და არენდის ვადის გასვლასთან ერთად ამ ქონებას გამოისყიდის, მაშინ ასეთ ხელშეკრულებას *არენდა გამოსყიდვით* ეწოდება. საარენდო ოპერაციის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც მანქანა-მონყობილობის, სხვა ტექნიკური საშუალებების გრძელვადიან არენდას წარმოადგენს, *ლიზინგი* ეწოდება. ის კომერციული საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა.

იჯარა კი ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის თანახმადაც, ქონების მესაკუთრე მეიჯარე დროებით უფასო სარგებლობისათვის გადასცემს ამ ქონებას მოიჯარეს; ეს უკანასკნელი ვალდებულია, ამ ქონების გამოყენებით მიღებული შემოსავალი სრულად გადასცეს მეიჯარეს, რომელიც, თავის მხრივ, საიჯარო ხელშე-

კრულებით გათვალისწინებულ გასამრჯელოს უხდის მეიჯარეს. ნათელია, რომ იჯარა პრინციპულად გამორიცხავს შესაბამისი ქონების გამოსყიდვის შესაძლებლობას, რადგანაც ის თავისი ბუნებით შრომითი ხელშეკრულებაა.

ერთი შეხედვით, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მესამე გზა სავსებით გამართლებული იყო, რადგანაც უსასყიდლოდ არავის არაფერი უნდა მისცემოდა. ამის მიუხედავად, მის ნაკლოვან მხარეებსაც ესაჭიროებოდა გათვალისწინება.

თუკი სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაცია მხოლოდ მესამე გზით შემოიფარგლებოდა, მაშინ მოსახლეობის გარკვეული (და თანაც არც ისე მცირერიცხოვანი) ნაწილი „თამაშვარე მდგომარეობაში“ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო აღმოჩნდებოდა, რომ პრივატიზებას დაქვემდებარებულ ობიექტში არ მუშაობდა. მოსახლეობის ამ ნაწილის სპექტრი კი საკმაოდ ფართო იყო. კერძოდ, მასში ინტელიგენციის დიდი ნაწილი (მაგალითად, მასწავლებლები, ექიმები და სხვ.), ასევე, ჩრდილოვანი ეკონომიკის „მაგნატები“ ხვდებოდნენ. მოსახლეობის ხსენებული ორი ჯგუფი დიამეტრალურად განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მხოლოდ მესამე გზით განხორციელების შემთხვევაში, ინტელიგენციის ფენა კაპიტალის ყოველგვარი საკუთრების გარეშე შეიძლება აღმოჩენილიყო, რაც, საზოგადოების სხვა ფენებთან შედარებით, მათ უფლებებს შელახავდა.

რაც შეეხება ჩრდილოვანი ეკონომიკის იმ წარმომადგენლებს (ესენი კი, უმთავრესად, ყოფილი პარტიული მუშაკები იყვნენ), რომლებიც პრივატიზაციას დაქვემდებარებულ ობიექტებში არ მუშაობდნენ, თავისი სოციალური უფლებების შელახვას ეკონომიკურად სრულიად „აინაზღაურებდნენ“: ამ მიზნით ისინი „სათანადო“ საფასურად ამ ობიექტებში დასაქმებულ ცალკეულ წევრებს ფარულად შეუთანხმდებოდნენ და თავისი ინტერესები შესაბამის ქმედებას განახორციელებდნენ.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მხოლოდ მესამე გზით განხორციელების ნაკლი ისიცაა, რომ, საქმის ინტერესები-

დან გამომდინარე, შეიძლება ყველაზე სასურველი პირი მოცემული ობიექტის მესაკუთრე ვერ გამხდარიყო, რადგანაც ამ შრომითი კოლექტივის წევრი არ იყო.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც, პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო კაპიტალის ნაწილი შრომითი კოლექტივების მიერ არენდა-გამოსყიდვის მეთოდით იქნა პრივატიზებული. ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა ფონმა, სხვა თანაბარ პირობებში, იმის საფუძველი შექმნა, რომ ამ კოლექტივების წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ გზით მიღებული ქონება თავის ყოფილ დირექტორებს, რომლებიც იმჟამად უკვე მათი თანამესაკუთრეები იყვნენ, მინიმალურ ფასებში მიჰყიდა, რის შედეგადაც შრომითი კოლექტივები ამ გზით პრივატიზებული სახელმწიფო კაპიტალის რეალური მესაკუთრენი მაინც ვერ გახდნენ.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ზემოხსენებული სამივე გზის გამოყენებისას მოსახლეობისა თუ შრომითი კოლექტივების ინტერესების დაცვას ყოფილი დირექტორები და პარტიული მუშაკები იყვნენ ამოფარებულნი. მათ ამ სამივე გზის ამოქმედებას მიაღწიეს და, შედეგად, სახელმწიფო ქონება საწყის ფასთან შედარებით ძალზე იაფად შეიძინეს. ეს არის პოსტსაქმოსანთა კასტის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, ცხადია, არც მოსახლეობა გამხდარა კაპიტალის მესაკუთრე და არც შრომითი კოლექტივები... და ვერც გახდებოდნენ.

## **§ 8.5. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა**

პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვას ყველა ზემოხსენებული უარყოფითი მხარე ნაკლებად ახასიათებს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში ყველაზე დიდ შიშს კაპიტალის პრივატიზაციის სწორედ ეს ვარიანტი

ინვევდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონება მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნების ხელში (რადგანაც, ძირითადად, ქონების შესასყიდად საჭირო რაოდენობის ფული მხოლოდ მათ გააჩნდათ) აღმოჩნდებოდა, რაც საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას შეუწყობდა ხელს. ობიექტურობა მოითხოვს იმის აღიარებას, რომ საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია ჯერ კიდევ კომუნისტური ტიპის საზოგადოებაში განხორციელდა, როცა საქმოსნებმა დიდძალი ქონების არალეგალური გზებით დაგროვება მოახერხეს, ასე რომ, საზოგადოების პოლარიზაცია არა მარტო მომავალი, არამედ ჩვენი საზოგადოების წარსული და, რაც მთავარია, იმ დროის აწმყო იყო. მართალია, ხმამაღლა გაცხადებული მხოლოდ კეთილშობილური ხასიათის მიზნები იყო (რასაც ხელს საქმოსნები უწყობდნენ), მაგრამ, სამწუხაროდ, პრივატიზაციის პროცესს ქვეცნობიერად, სინამდვილეში, ხსენებული არალეგალური ქონების ლეგალიზაციის ფუნქცია ეკისრებოდა, რადგან სახელისუფლებო სტრუქტურებში უმრავლესობას სწორედ საქმოსნები და მათი ინტერესების დამცველები შეადგენდნენ.

ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება „სუფთა ხელებით“ ჯერ არსად განხორციელებულა და, ამდენად, არც კომუნისტური ტიპის საზოგადოებიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესი იქნებოდა გამონაკლისი.

ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსანთა ქონების კონფისკაციისაკენ გზის აღება ის ერთადერთი გზა იქნებოდა, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ფენებს ნაწილობრივ და თანაც დროებით გაათანაბრებდა. ეს კი, თავისი ბუნებით, ბოლშევიკური ექსპროპრიაციისაგან განსხვავებული არაფრით იქნებოდა.

კომუნისტური ტიპის საზოგადოების საქმოსნები და მათი ტრანსფორმაციის გზით ჩამოყალიბებული პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოების პოსტსაქმოსნები, სახელისუფლე-

ბო სტრუქტურებში შეღწევითა და აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოპოვებით, ერთი მხრივ, საპრივატიზაციო ობიექტების ფასს ყველანაირი ხერხით ამცირებდნენ, ხოლო მეორე მხრივ კი, პრივატიზაციის პროცესში საჯაროობას ზღუდავდნენ (პრივატიზაციას დაქვემდებარებული ობიექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელოვნური შეზღუდვით), რაც იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მათ და მათ უკან მდგომებს იაფად, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე შეეძინათ ესა თუ ის საპრივატიზაციო ობიექტი.

მაშასადამე, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ყველა გზა, საბოლოო ჯამში, *პოსტსაქმოსნების* კასტის ჩამოყალიბებას იწვევდა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მეტ-ნაკლებად წარმატებით განსახორციელებლად ზემოხსენებული ოთხი გზიდან პირველი (რომელიც, როგორც აღინიშნა, ბუნებით – ბოლშევიკური, უფრო სწორად კი, ნეობოლშევიკური გზაა) აუცილებლად უნდა გამორიცხულიყო, ხოლო დანარჩენი სამი შემდეგი შესაძლო კომბინაციით უნდა განხორციელებულიყო.

## **§ 8.6. პრივატიზაციის დილემა: ობიექტის მომგებიანობა და სტრატეგიულობა**

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის საწყის ეტაპზე ყურადღება მახვილდებოდა იმაზე, თუ პრივატიზაციას რომელი, კერძოდ, მომგებიანი თუ წამგებიანი, ობიექტები უნდა დაქვემდებარებოდა. ანგარიშგასანევია ის გარემოებაც, რომ დღესაც, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებიდან თითქმის სამი ათეული წლის გასვლის შემდეგაც, ეს საკითხი კვლავ აქტუალურია და, რაც განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, საზოგადოებაში ისეთივე მცდარი შეხედულებაა გაბატონებული, როგორც ეს პრივატიზაციის პროცესის დაწყების წინ იყო.

თავიდანვე საზოგადოებაში ის აზრი მკვიდრდებოდა, რომლის თანახმადაც, პრივატიზაცია არა მარტო წამგებიანი ობიექტიდან უნდა დაწყებულიყო, არამედ უფრო მეტიც – ეს პროცესი მხოლოდ ასეთი ობიექტებით უნდა შემოსაზღვრულიყო. რაც შეეხება მომგებიან ობიექტებს, ისინი, სწორედაც რომ ამ მომგებიანობის გამო, პრივატიზაციას არ უნდა დაქვემდებარებოდა.

ერთი შეხედვით, ეს აზრი თითქოსდა გამართლებულია: წამგებიანი ობიექტების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების იმედი კერძო სექტორის ქმედუნარიანობაზეა დამყარებული. მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი რჩება შემდეგი გარემოება: კერძო სექტორი ფეხზე თავად უნდა დადგეს, ხოლო მანამდე კი გაუმართლებელია მხოლოდ მასზე იმედის დამყარება, რომ თითქოს მას შეუძლია წამგებიანი ობიექტების „გაჯანსაღება“, მით უფრო, *ნეკროეკონომიკის* გაცოცხლება.

ჯერ კიდევ პრივატიზაციის პროცესის დასაწყისში, როცა მისი სხვადასხვა მიდგომა იხილებოდა, უკვე აშკარა იყო, რომ საწინააღმდეგო ეფექტს ექნებოდა ადგილი, როცა კერძო საკუთრებაში აღმოჩენილი წამგებიანი ობიექტები ამ სექტორის განვითარებას ყოველმხრივ შეაფერხებდა.

აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ, როგორც ამას ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში სწორედ ის ობიექტები გადადის, რომლებიც ნაკლებმომგებიანია ან საერთოდ წამგებიანიც კია, რადგან ხშირ შემთხვევაში ასეთი საწარმოების (თუკი ისინი აუცილებლად უნდა არსებობდეს) „შენახვის“ შესაძლებლობა სწორედ სახელმწიფოს აქვს.

მაშასადამე, ობიექტის მომგებიანობა არის იმის ნიშანი, რომ ის უნდა იყოს კერძო საკუთრებაში, ხოლო წამგებიან ობიექტს, თუკი მისი საქმიანობის შედეგები საზოგადოებისათვის აუცილებელია, მხოლოდ სახელმწიფო თუ შეინახავს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრატეგიული ობიექტის ცნება პრივატიზაციის პროცესთან მიმართებაში.

საყურადღებოა, რომ ამა თუ იმ ობიექტის სტრატეგიულობა

ეკონომიკიდან, როგორც ასეთიდან, საერთოდ არ გამომდინარეობს: ეკონომიკურად არსებობს მხოლოდ მომგებიანი და წამგებიანი ობიექტები. სტრატეგიული ობიექტის ცნება კი ეკონომიკაში შემოდის მოცემული კონკრეტული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს მოცემული ქვეყნისათვის სტრატეგიულობის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ესა თუ ის ობიექტი ხდება სტრატეგიული, რაც, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოსათვის შეიძლება შემზღუდავი გახდეს ამ ობიექტის პრივატიზაციასთან დაკავშირებით.

სტრატეგიულობის კრიტერიუმების განსაზღვრისას, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ მოცემული კონკრეტული ქვეყნის გეოპოლიტიკური პრობლემებიდან გამომდინარე, თუ რა შესაძლო საფრთხეები შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყანას. გარდა ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციებიც (მაგალითად, საქართველოს უმთავრესი საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია გამომდინარეობს მისი გეოეკონომიკური მდგომარეობიდან, როცა ქვეყანა განიხილება, როგორც „აღმოსავლეთ-დასავლეთისა“ და „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ დამაკავშირებელი დერეფანი), რომელიც გააჩნია ამა თუ იმ ქვეყანას და რომლის განხორციელებაც შეიძლება საფრთხის წინაშე დადგეს, თუ შესაბამისი ობიექტი გადავა კონკურენტი (რომ არაფერი ვთქვათ არაკეთილმოსურნე) სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფ კომპანიაზე. სტრატეგიულობის კრიტერიუმების ფორმირებისას შესაძლოა სხვა წინაპირობაც იქნეს გამოყენებული.

დასასრულ, პრივატიზაციას შეცდომით ეძახიან ისეთ პროცესს, როცა ერთი ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ ქონებას ყიდულობს მეორე ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანია. ასეთი აქტი, სხვა თანაბარ პირობებში, ამ ქონების გამყიდველი ქვეყნის მთავრობის, სულ ცოტა, უსუსურობაზე მიუთითებს, რადგან ის აღიარებს, რომ მის სახელმწიფო საკუთ-

რებაში მყოფ კომპანიას არ შესწევს უნარი, უკეთესი მენეჯმენტი განახორციელოს, ვიდრე სხვა ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კომპანიას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აქუბარდია თ.**, 2002. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია, ტომი 10, № 3-4.
- ბასილია თ.**, სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
- ვონსაჩი ე.**, 2001. პოლონური გამოცდილება პრივატიზაციის პერიოდში. ახალი პოლონეთი, სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე.
- გოგონია რ.**, 2000. ფაქტორული ბაზრების ფუნქციონირების თეორიული ასპექტები. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 1. თბილისი, „სიახლე“.
- გტოს,** 1992. საბაზრო ეკონომიკა, სტრუქტურული გარდაქმნა და პრივატიზაცია, ნაწილი I. თბილისი, Publishing House GCI.
- გუჯარაიძე ნ.**, 2010. სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა ანუ „პრივატიზება ქართულად“-2. თბილისი, „მწვანე ალტერნატივა“.
- გუჯარაიძე ნ.**, ბარბაქაძე მ., გუჯარაიძე ქ., მჭედლიშვილი რ., კახაბერი კ., 2007. სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა ანუ „პრივატიზება ქართულად“. თბილისი, „მწვანე ალტერნატივა“.
- მესხია ი.**, მურჯიკნელი მ., 1996. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, თსუ.
- პავლიაშვილი ს.**, 2009. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
- პაპავა გ.**, პაპავა ვ., 1993. იჯარა, არენდა, ნარდობა, ლიზინგი. საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის ბიულეტენი, სერია „ეკონომიკა“, № 1.
- პაპავა ვ.**, 1995. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბილისი, „მეცნიერება“.

- პაპავა ვ.**, 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- სამადაშვილი უ.**, 1998. პრივატიზაციის პროცესთა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში. *ეკონომიკა*, № 4.
- სილაგაძე ა.**, დიდბარიძე გ., ჯულელი ე., გაბუნია მ., ჩხაიძე ი., აფხაზავა ვ., 1996. *საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები*. თბილისი, „მესაკუთრე“, „კაბადონი“.
- ლურწყაია კ.**, 2001. საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები გარდამავალ პერიოდში. *სოციალური ეკონომიკა*, № 6.
- ჭითანავა ნ.**, 2018. *საქართველოს ეკონომიკის გამონვევები და სტრატეგია*. თბილისი, „ივერიონი“.
- Åslund A.**, 2002. *Building Capitalism. The Transformation of the Former Soviet Bloc*. Cambridge, UK, Cambridge University Press.
- Åslund A.**, 2007. *How Capitalism was Built: The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, and Central Asia*. New York, Cambridge University Press.
- Åslund A.**, 2010. *Building States and Markets after Communism: The Perils of Polarized Democracy*. New York, Cambridge University Press.
- Błasczyk B.**, Woodward R., eds., 1996. *Privatization on Post-Communist Countries*. Vol. II. Warsaw, CASE.
- Glazunov M.**, 2013. *Business in Post-Communist Russia: Privatisation and the Limits of Transformation*. New York, Routledge.
- Gogishvili T.**, Gogodze J., Tsakadze A., 1996. The Transition in Georgia: From Collapse to Optimism. *Innocenti Occasional Papers, Economic Policy Series*, No. 55. Florence, UNICEF.
- Gujaraidze N.**, Barbakadze M., Gujaraidze K., Mchedlishvili R., Kakhaberi K., 2007. Aggressive State Property Privatization Policy or „Georgian-Style Privatization.“ Tbilisi, „Green Alternative.“
- Papava V.**, 1995. Marxist Points of View on the Soviet Communist Economic System and the Manifestation of Egalitarianism in Post-Communist Economic Reform. *International Journal of Social Economics*, Vol. 22, No.6.
- Papava V.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Джугели Е.**, Гварамадзе И., 1998. «Нулевые» аукционы: цели и анализ результатов. Исследования и анализ, № 140. Варшава, ЦСЭИ.
- Меквабишвили Э.**, 1998. О противоречиях переходной экономики. *Общество и экономика*, № 2.

- Панькув В.,** Гончаж Б., Григолашвили Г., 1996. *Трансформация государственных предприятий в Грузии*. Исследования и анализ, № 93. Варшава, ЦСЭИ.
- Панькув В.,** Гончаж Б., Моргошиа Г., Ахаладзе Г., Поломски К., 1998. *Трансформация предприятий в Грузии*. Исследования и анализ, № 123. Варшава, ЦСЭИ.
- Панькув В.,** Гончаж Б., ред., 1998. *Приватизация за любую цену. Анализ опыта Республики Грузия в 1997-1998 годах*. Исследования и анализ, № 141. Варшава, ЦСЭИ.
- Папава В.,** 1992. О приватизации основных факторов производства. *Правила игры. Fair Play*. № 3.
- Силагадзе А.,** 1998. Социально-экономические аспекты приватизации государственного имущества в Грузии. *Общество и экономика*, № 2.
- Супян В. Б.,** 2001. *Американская Экономика: новые реальности и приоритеты XXI века*. Москва, «Анкил».
- Чикава Л.,** 1998. Рыночная экономика: проблема социальных противоречий. *Общество и экономика*, № 1.

## § 9.1. ორი მიდგომა კორუფციის წინააღმდეგ: „ბრძოლა“ თუ „შეზღუდვა“?

კორუფციის გლობალიზაციის ფონზე (Elliott, ed., 1997), მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ჯეიმს ვულფენსონის შეფასებით, კაცობრიობას დღეს „კორუფციის კიბოსთან“ აქვს საქმე (Mauro, 1997b, pp. 1,3). აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ კორუფცია როგორც პოლიტიკოსთა და მეცნიერთა ფართო წრეებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებშიც განხილვის ერთ-ერთი უმწვავესი თემა გახდა. კორუფციის შესახებ არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა და სახელმძღვანელო ლიტერატურა იქნა გამოცემული (მაგალითად, ახვლედიანი, 2001; ბალარჯიშვილი, 2010; გოგიაშვილი, უგულავა, თოთაძე, 2001; გოცირიძე, კანდელაკი, 2001; ოთინაშვილი, 2001; პაპავა გ., 2002; პაპავა ვ., 2000ბ, 2001, 2002, გვ. 200-218; როუზ-აკერმანი, 2002; ტერაშვილი, 2000; ჩიქავა, ჩომახიძე, კვარაცხელია, 2002; Basu, Cordella, eds., 2018; Borlini, Arnone, 2014; Chander, Wilde, 1992; Elliott, ed., 1997; Ivanyna, Mourmouras, Rangazas, 2018; Mauro, 1997a, 1997b; Negru, Ungurean, 2001; Papava, 2000, 2005b, pp. 57-62 2006a; Rose-Ackerman, 1997; Rose-Ackerman, Soreide, eds., 2012; Serra, Wantchekon, eds., 2012; Tanzi, 1995; Waller, Verdier, Gardner, 2002; WB, 2000; Гоциридзе, Канделаки, 2001; Коттке, 1998; Левин, Цирик, 1998ა, 1998ბ; Папава, 2001ა, 2001б, 2002, 2006; Полтерович, 1998; Свенссон, 1987; Тимофеев, 2000). მიუხედავად ამისა, კორუფცია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები ტრადიციული ეკონომიკის არეალში ჯერ კიდევ არ არის მოხვედრილი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ, ხშირ შემთხვევაში, პრო-

ბლემის მეცნიერული ანალიზი მეორე პლანზეა გადაწეული და კორუფციის დაძლევის გზების შემუშავებისას აშკარად პრევალირებს პოლიტიკური მიდგომა, რომ აღარაფერი ვთქვათ პოპულისტურ ეფექტებზე გათვლილ წინადადებებზე.

Collins-ის ცნობილი სოციოლოგიური ლექსიკონის თანახმად, *კორუფცია*, არაკანონიერი პირადი გამორჩენის მიღების მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ქცევის მოსალოდნელი სტანდარტების უარყოფა (Джери, Джери, 1999, с. 322). ამ განმარტების ნაკლი ისაა, რომ კორუფციას მხოლოდ ხელისუფლების კონტექსტში განიხილავს, მაშინ, როდესაც, არაკანონიერი პირადი გამორჩენის მიზნით, კერძო სექტორშიც გაჩნდა ქცევის რეგლამენტირებული სტანდარტების უარყოფა. კერძოდ, არის შემთხვევები, როცა მსხვილ კორპორაციებში მაღალი რანგის მენეჯერები არაკანონიერი პირადი გამორჩენის მიღების მიზნით ახერხებენ, შეცდომაში შეიყვანონ აქციონერები და კორპორაციის საზიანოდ (რაც შეიძლება ამ კომპანიის გაკოტრებითაც დასრულდეს) მიიღონ არალეგალური შემოსავლები (მაგალითად, Clinard, 1990; Naím, 2002).

ასე რომ, ბევრად უფრო სრულყოფილია ისეთი განმარტება, რომლის თანახმადაც, *კორუფცია არის არაკანონიერი პირადი გამორჩენის მიღების მიზნით თანამდებობის პირის (როგორც სახელმწიფო, ისე კორპორაციის იერარქიაში) მიერ ქცევის დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების უარყოფა*.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კორუფცია, როგორც ასეთი, მეორადი მოვლენაა და მისი გამომწვევი ეკონომიკური მიზეზების გამოვლენის გარეშე კორუფციის შეზღუდვის მიზნით ქმედუნარიანი მექანიზმის შემუშავება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.

აქვე აუცილებელია ყურადღების გამახვილება ერთ ტერმინოლოგიურ ასპექტზე. კერძოდ, კორუფციასთან მიმართებაში, როგორც წესი, სიტყვათა ნყოფა – „*კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა*“ გამოიყენება, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია,

რადგან კორუფციას მისი გამომწვევი ეკონომიკური წანამძღვრები აქვს, რომელთა წინააღმდეგ, ანუ *ეკონომიკასთან, ბრძოლა, უბრალოდ, უაზრობაა*. დაზუსტების მიზნით აუცილებელია აღინიშნოს, რომ *ბრძოლა* (რაც, მოცემულ შემთხვევაში, კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ იურიდიულ ქმედებათა ერთობლიობაა) *მხოლოდ კორუფციის გამოვლენის ფორმათა წინააღმდეგაა შესაძლებელი* და ეს მოკლევადიან პერიოდში მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ეფექტსაც (უფრო სწორად, ფსევდოეფექტს) კი იძლევა, მაგრამ, სინამდვილეში, შინაარსობრივად არაფერი იცვლება: მართალია, კორუფციის „მოქმედი გმირები“ შეიცვლებიან, მაგრამ კორუფციის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები ხელუხლებელი დარჩება. ამასთან ერთად, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კორუფციის სრული გაქრობის პრეცედენტი მსოფლიო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არ არსებობს, მაშინ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული პრობლემისადმი სწორი მიდგომა, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვათა წყობა „*კორუფციის აღმოფხვრა*“ ან, თუნდაც, „*კორუფციის შეზღუდვა*“ იქნება.

როცა საუბარია კორუფციის ეკონომიკურ საფუძვლებზე, აუცილებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ შემდეგი ორი მოვლენა – მაკროეკონომიკური არასტაბილურობა (მაგალითად, *Ivanyna, Mourmouras, Rangazas, 2018*) და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუციების სისუსტე (ბალარჯიშვილი, 2005; *Basu, Cordella, eds., 2018*).

## § 9.2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და კორუფცია

მაკროეკონომიკური სტაბილურობის არარსებობა, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ვალუტის დევალვაციაში, ინფლაციის მაღალ ტემპებსა ან(და) ეკონომიკაში სახელმწიფო ბიუჯეტით დადგენილი საგადასახადო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობაში შეიძლება გამოვლინდეს; ეს კი ე.წ. „სწრაფი“ ფულის შოვნის შე-

საძლებლობას ქმნის.

ამ შემთხვევაში, მთავრობისა და სახელმწიფო საბანკო სისტემის წარმომადგენლებს და მათთან დაახლოებულ პირებს, რომელთაც ხელი სახელმწიფო კრედიტებზე მიუწვდებათ, საშუალება ექმნებათ, სწრაფი სავალუტო თუ სასაქონლო ოპერაციების გამოყენებით ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, ფასების ზრდის მაღალი ტემპის გამოყენებითა და მის კვალობაზე გამდიდრდნენ. ამ ტიპის ოპერაციების გამოყენება პრაქტიკულად გართულებულია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (სადაც, როგორც წესი, ღრმა და ხანგრძლივი მაკროეკონომიკური არასტაბილურობა თითქმის შეუძლებელიც კი არის), მაგრამ მეტ-ნაკლებად ხშირად გვხვდება განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების პრაქტიკაში (Ослунд, 1996). საქართველოს, სამწუხაროდ, ამის მწარე გამოცდილება აქვს, როცა 1992-1994 წლებში კორუფციის უმთავრესი ფორმა სწორედ „სწრაფი შავი ფულის“ შოვნა იყო (პაპავა ვ., 2000ა, გვ. 14-18).

გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოულებლობა სხვა არაფერია, თუ არა მისი გადასახადის ამკრეფთა და მათ მფარველთა ჯიბეებში წარმართვა, ხოლო შეუსრულებელი ბიუჯეტი კი ნოციერ ნიადაგს ქმნის, რათა სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელობამ ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ხარჯების დაფინანსებასა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში ჩათვლების მექანიზმის ამოქმედებაში უპირატესობა მეტი ქრთამის მიმცემს მიანიჭოს. დაბალი საგადასახადო შემოსავლები კი, თავის მხრივ, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სათანადო დონეს ვერ უზრუნველყოფს, რაც ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობის პირებთან მიმართებაში კორუფციულ ქმედებათა ინიცირების ობიექტური მიზეზია.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამოყენება კორპორაციული კორუფციის მიზნითაც შეიძლება. კერძოდ, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და(ან) ინფლაციის მაღალი დონე მაღალი რანგის მენეჯერებმა პირადი არალეგალური გამდიდრე-

ბის მიზნით, კორპორაციის რეალურად მიღებული მოგების დასა-  
მალად შეიძლება გამოიყენონ.

მამასადამე, *მაკროეკონომიკური არასტაბილურობა კორუფციის ყველაზე მარტივი, საზოგადოებისათვის შედარებით ადვილად შესამჩნევი და საკმაოდ ძლიერი მასაზრდოებელი წყაროა.*

რადგან ინფლაციის მოთოკვა, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი, ეს ამ სფეროში კორუფციის არა მარტო შეზღუდვის, არამედ პრაქტიკულად აღმოფხვრის შესაძლებლობასაც კი ქმნის. ამის უდიდესი გამოცდილება საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია და ყველა იმ პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ, რომელმაც მასთან ინტენსიურ რეჟიმში ითანამშრომლა, დადებით შედეგს სწორედ დროის უმოკლეს ვადაში მიაღწია. საქართველო ამის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მაგალითია, როცა 1994 წელს საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ხელმძღვანელობით შექმნილი და განხორციელებული ანტიკრიზისული პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე იქნა აყვანილი, რაც, უწინარეს ყოვლისა, 1995 წლის წარმატებულად განხორციელებულ ფულის რეფორმაში გამოიხატა (ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი და სხვ., 2001; Папава, 1998; Папава, Беридзе, 1998).

ფისკალურ სფეროში სრულფასოვანი წესრიგის დამყარება შეუდარებლად რთულია. როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, მსოფლიოში პრაქტიკულად არ არსებობს ქვეყანა, სადაც გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით შემოსავლების დამალვას არ ჰქონდეს ადგილი (მაგალითად, Коттке, 1998; Свенссон, 1987). ეს მოვლენა კი ჩრდილოვანი ეკონომიკის სახელითაა ცნობილი, რადგან ისეთ დანაშაულებრივ ქმედებათა გარდა, როგორც, მაგალითად, ნარკობიზნესია, გადასახადების გადაუხდელობა განვითარებული კაპიტალიზმის ნებისმიერ ქვეყანაში არალეგალური საქმიანობის ყველაზე მთა-

ვარი შემადგენელი ნაწილია.

ამ სფეროში კორუფციის შეზღუდვის მიზნით, მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმების გატარება აუცილებელია.

## § 9.3. საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუციების სისუსტე და კორუფცია

საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ფორმალური ინსტიტუციების არასრულყოფილება კორუფციის საფუძველია როგორც საჯარო სამსახურში, ისე კორპორაციებშიც (მაგალითად, Тимофеев, 2000). საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციების სრულყოფა პრაქტიკულად უწყვეტი პროცესია და ის დამახასიათებელია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვისაც კი, რომ არაფერი ვთქვათ განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე.

საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფისკალური სფეროს მარეგულირებელი ინსტიტუციებია.

ფისკალური სფეროს რეფორმირებას, როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, არაერთი წელი სჭირდება, რაც შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმების გატარების ხანგრძლივობით აიხსნება. ამ რეფორმების არსი საგადასახადო და საბაჟო სისტემებში ადმინისტრირების დონის მუდმივი სრულყოფის სისტემის შექმნაზე, ამ პროცესის შესატყვისი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის არსებობაზე, საგადასახადო და საბაჟო საკითხებში მოსახლეობის პრაქტიკულად უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრებაზე დაიყვანება.

ყველაზე სერიოზული პრობლემა საქართველოს სწორედ ამ სფეროში შეექმნა, რადგან რეფორმა საგადასახადო და საბაჟო სისტემებში ადმინისტრირების დონის სრულყოფის მიზნით ძალზე დიდი დაგვიანებით დაიწყო. ეს, საქართველოს მთავრობის გა-

რდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის „დამსახურებაცა“, რომელთაც, მათ ხელთ არსებული უმდიდრესი საერთაშორისო გამოცდილების მიუხედავად, ფისკალური სისტემის შედარებით ადრეული რეფორმირების პრიორიტეტულობის ამოცანა ვერ ჩამოაყალიბეს. უფრო მეტიც, მათი რეკომენდაციის შედეგად, საბაჟოზე ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, მსოფლიო ბანკის დახმარებითა და მეთვალყურეობით გამართული საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, წინასაიმპორტო კონტროლის განსახორციელებლად სპეციალიზებული უცხოური კომპანია იქნა მონვეული, რასაც, სამწუხაროდ, დაგეგმილი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ამისათვის, სხვა თანაბარ პირობებში, საბაჟო დეპარტამენტში რეფორმის გატარება იყო აუცილებელი, რამაც, როგორც უკვე აღინიშნა, საკმარის დაიგვიანა. საბოლოო ჯამში, საბაჟო დეპარტამენტის ამ სფეროში საქმიანობას ამკარად პასიური როლი დაეკისრა, ხოლო კონტრაბანდა და, შესაბამისად, კორუფცია არათუ შემცირდა, არამედ ცალკეული სასაქონლო ნაკადების მიხედვით გაიზარდა კიდევ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში, რომელიც საქართველოში 1997 წლიდან ამოქმედდა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომლის პროექტიც თეორიულად თითქმის უნაკლოც კი იყო. სამწუხაროდ, საგადასახადო კოდექსი საგადასახადო და საბაჟო სისტემებში ადმინისტრირების არსებულ დონეს თავიდანვე არ ასახავდა, რაც გადასახადების ჯეროვან დონეზე მობილიზაციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ასეთი შეფასების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს სიგარეტისა და თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრის სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსათვის რეკომენდებული რეჟიმი წარმოადგენდა, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებში დაბეგვრის მოქმედ სისტემებს საერთოდ არ ითვალისწინებდა; შედეგად, შესაბამისი ბიზნესის უდიდესი ნაწილი, სამწუხაროდ, ჩრდილოვან ეკონომი-

კაში გადავიდა და ამ სფეროში კორუფციის არსებული ისედაც დიდი მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა.

არანაკლებ შთამბეჭდავ მაგალითს დამატებული ღირებულების გადასახადით (რომელიც ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით დაკანონდა) იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაბეგვრა წარმოადგენდა, რომელთა წლიური ბრუნვა თავიდან 3 000, შემდეგ 20 000, მოგვიანებით კი 35 000 ლარს აღემატებოდა და რომელიც სოფლად მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბებას აფერხებდა. სავალუტო ფონდის მხრიდან დაშვებული ამ ტიპის შეცდომები საქართველოს მთავრობის მიერ საგადასახადო კოდექსში პრაქტიკულად განუწყვეტელ რეჟიმში განხორციელებულმა უსისტემო ცვლილებების შეტანამ დაამძიმა, რამაც ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა საბოლოოდ არაეფექტიანი გახადა.

საყურადღებოა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ხსენებული ძველი საგადასახადო კოდექსის პირობებშიც კი შეძლო საქართველოს მთავრობამ საგადასახადო შემოსავლების გაორმაგება (Papava, 2005a, 2006b; Папавა, 2004). ეს კი იმის საუკეთესო მაგალითია, რომ, *არასრულყოფილი ინსტიტუციის პირობებშიც კი, თუ იმის პოლიტიკური ნება არსებობს, რომ ეს ინსტიტუცია მეტ-ნაკლები ეფექტიანობით მოქმედებდეს, ამის მიღწევა ყოველთვის არ არის შეუძლებელი.*

ასე რომ, კორუფციის შეზღუდვის მიზნით, აუცილებელია არა მარტო ამა თუ იმ ფორმალური ინსტიტუციის სრულყოფა, არამედ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ არსებობდეს პოლიტიკური ნება კორუფციის შეზღუდვისათვის. ეს უკანასკნელი კი, საბოლოო ჯამში, ამ ინსტიტუციის რეფორმირების ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

აუცილებელია იმასაც გაეხვას ხაზი, რომ ზოგიერთი ინსტიტუციის დაჩქარებულ რეჟიმში შექმნა, რისთვისაც, როგორც წესი, დასავლური ანალოგების უშუალო კოპირება გამოიყენება, ხშირად ვერ ამართლებს (ცალკეულ შემთხვევაში ამკარად გამოხატულ უკუეფექტებსაც კი აქვს ადგილი). საქართველოს სი-

ნამდვილეში ამის შედარებით „უნყინარ“ მაგალითს გერმანელი ექსპერტების დახმარებით მომზადებული, ფაქტობრივად, გერმანული საკანონმდებლო მოდელის ასლი – გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონი წარმოადგენს, რომელიც, უცხოელ ექსპერტთა საყოველთაო მოწონების მიუხედავად, თავიდანვე მკვდრადშობილი იყო, რადგან ამ კანონით არც ერთი რეალურად გაკოტრებული საწარმო იურიდიულად არ გაკოტრებულა. თავის მხრივ, ამ კანონის სრულყოფის შემდეგ მის შესაძლო ამოქმედებას საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის კანონი ზღუდავს, რომლის პროექტიც მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით მომზადდა და რომელიც ამჟამად გამოკვეთილი ანტირეფორმატორული ძალების ინტერესებს გამოხატავს; ისინი ყველანაირი ხერხით ცდილობენ გაკოტრებისაგან (რაც, როგორც წესი, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივი მოვლენაა) „მტრის ხატის“ შექმნას. ამავ დროს, ხაზგასასმელია კიდევ ერთი რამ – გარდა იმისა, რომ ფაქტობრივად გაკოტრებული საწარმოსათვის ფუნქციონირების გახანგრძლივება უვარგისი მენეჯმენტის უცვლელად შენარჩუნების ტოლფასია (რაც ამ საწარმოს განვითარების პერსპექტივას უსპობს), საწარმოთათვის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის პროცედურა თავისი ბუნებით კორუფციული ხასიათისაა, რადგანაც რესტრუქტურისაციის შესახებ თანხმობის პროექტის მომზადება, ამ პროექტში ვადებისა და სხვა პირობების გათვალისწინება სახელმწიფო მოხელეზეა დამოკიდებული.

თუ განვითარებული (ისევე, როგორც არაერთი განვითარებადი) ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კორუფციის შეზღუდვის მიზნით ფორმალური ინსტიტუციების სრულყოფაა საჭირო, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში თავად ამ ინსტიტუციების შექმნას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უმთავრესი ინსტიტუცია კი, რომელიც ამ ქვეყნებშია შესაქმნელი, ეს კერძო საკუთრების ინსტიტუციაა.

## § 9.4. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება და კორუფცია

კერძო საკუთრების ინსტიტუციის ფორმირების ურთულესი პროცესი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს, ხშირ შემთხვევაში, კორუფციის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია.

კერძო საკუთრების ინსტიტუციის განმტკიცების საფუძველს მენარმეობის განვითარებისათვის საჭირო ლიბერალური საკანონმდებლო გარემოს შექმნა წარმოადგენს. ამასთან ერთად, აუცილებელია ყველა მენარმის, ადგილობრივისა თუ უცხოელის, თანაბარ პირობებში ჩაყენება, რათა მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენის ერთადერთი გზა მხოლოდ *სამართლიანი კონკურენცია* იყოს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესთან გვაქვს საქმე. ეს არის პროცესი, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პრინციპულად შეუძლებელია და რომელსაც განვითარებული ეკონომიკის მქონე კაპიტალისტურ ქვეყნებში საკმაოდ დიდი ხნის წინ ჰქონდა ადგილი.

ისტორიაში, სამწუხაროდ, იმის არც ერთი მაგალითი არ არსებობს, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება მსოფლიოს თუნდაც ერთ რომელიმე ქვეყანაში „სუფთა ხელებითა“ და მხოლოდ ლეგალური გზებით განხორციელებულიყო; ეს პროცესი, როგორც წესი, იმას ემყარებოდა, რაც, თანამედროვე ტერმინოლოგიით, კორუფციის სახელითაა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების გზით ჩამოყალიბებული კერძო საკუთრების ინსტიტუცია თავად ხდება მისი ხელშეუხებლობის მომთხოვნი და შესაბამისი კანონიერების დაცვის გარანტი.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესში კორუფციის შეზღუდვის მიზნით მხოლოდ დამსჯელი მეთოდების გამოყენება აუცილებლად უარყოფით შედეგს მოგვცემს: *მხოლოდ*

დამსჯელი ზომების გატარების შემთხვევაში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი კვლავ დაუბრუნდება თავის ამოსავალ წერტილს, ის ხელახლა დაიწყება და ამით კორუფციასაც გაუხანგრძლივდება „სიცოცხლე“. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ დამსჯელ ღონისძიებათა გატარებით კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების განახლებული პროცესი უფრო მეტად შენიღბული ფორმებით განხორციელდება, რის გამოც უფრო მახინჯ მოვლენად ჩამოყალიბდება. კერძოდ, თუკი ახლად დაგროვებული კაპიტალის განივთების უმთავრესი ფორმა სახლების მშენებლობა თუ სხვა უძრავი ქონების შექმნაა, რის შედეგადაც დასაქმებულია და შრომის შესაბამის ანაზღაურებას იღებს არაერთი ადამიანი, შეისყიდება სამშენებლო მასალები, რითაც საქმდებიან მათ მწარმოებელ სანარმოთა მშრომელები და ა.შ. (ანუ, კეინზის ცნობილი მულტიპლიკატორის გამო, სახეზეა ირიბი ეკონომიკური ეფექტები). მხოლოდ დამსჯელი ხასიათის ოპერაციების გატარების შედეგად, ჯერ ერთი, მხილების გაზრდილი სამიშროების (ანუ რისკის გაზრდის) გამო გაიზრდება ქრთამის განაკვეთი, ხოლო მეორე მხრივ, არაკანონიერი გზით ნაშოვნი ფული მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში აღარ განივთდება და საზღვარგარეთ გაიწვევა. სხვა სიტყვებით, კორუფცია არა იმდენად შეიზღუდება, რამდენადაც „მოქმედი გმირები“ შეიცვლებიან, ხოლო საზოგადოება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ირიბ ეკონომიკურ ეფექტს დაკარგავს.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სპეციფიკას არ ითვალისწინებს დეპრივატიზაციის პროცესი, რომელიც საჯაროდ მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას და პირთა ერთი ჯგუფისათვის პრივატიზაციის გზით მიღებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევას მისი პირთა სხვა (როგორც წესი, ხელისუფლებასთან, სულ ცოტა, დაახლოებული) ჯგუფისათვის ხელახალი პრივატიზაციის გზით გადასაცემად. სამწუხაროდ, საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, როგორც ამას საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (იხ. §3.4) ადასტურებს,

ყოველთვის როდი შეესაბამება იმ ზრახვებს, რაც ამოძრავებს ამ განცხადებების გამკეთებელ პოლიტიკოსებსა თუ საჯარო მოხელეებს. ყველაზე საშიში კი ისაა, რომ ქონებაჩამორთმეულ პირთათვის უმთავრესი ხდება რევანშის აღება, რისთვისაც ისინი უერთდებიან იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მათ ჰპირდებიან ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, ანუ კვლავ დეპრივატიზაციის განხორციელებას. თუკი ეს ასე მოხდება, შესაბამისად, გაჩნდება ქონებაჩამორთმეული, რევანშისტული განწყობის მქონე პირთა ახალი ჯგუფი, რომელთაც ჩამორთმევა ადრე განხორციელებული ჩამორთმევის გზით მიღებული ქონება. შედეგად ვიღებთ „მოჯადოებულ წრეს“ – თითქმის პერმანენტული დეპრივატიზაციის განხორციელების მოთხოვნას, რაც არის კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის და, საბოლოო ჯამში, კაპიტალისტური საზოგადოების ფორმირების აშკარა შემაფერხებელი. სამწუხაროდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში განხორციელდა დეპრივატიზაციის პროცესი, რამაც რევანშისტულად განწყობილ ქონებაჩამორთმეულ პირთა ჯგუფების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი (პაპავა, 2008; Papava, 2009).

კორუფციის ეკონომიკური შედეგებისადმი არაკვალიფიციური მიდგომის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითის თანახმად, კორუფციის გზით მოპოვებული ფულის ეკონომიკაში „რეინვესტირების“ მოლოდინი არ გამართლდა, რადგანაც ეს ფული მანქანებში, სახლებსა და ფუფუნების საგნებში ჩაიდო (საკაშვილი, 2001, გვ. 139). ჯერ ერთი, მოცემულ კონტექსტში ტერმინი „რეინვესტირება“ უადგილოა (კორუფციასთან მიმართებაში „რეინვესტირება“ კორუფციიდან მიღებული ფულის კვლავ კორუფციაში „ჩადებას“ (?) უნდა ნიშნავდეს), მეორე – ამ მოსაზრების ავტორისათვის ზემოხსენებული კეინზის ცნობილი მულტიპლიკატორის ეფექტი, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ეკონომიკურ კატეგორიაზე, როგორც ეროვნული სიმდიდრეა, აშკარად უცნობია.

ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კორუფციის გზით გამდიდრებული ადამიანების ქცევაში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება კორუმპირებულის სახელის გამოსწორების მცდელობა. ამ მიზნით, ეს ადამიანები ხსენებული გზით ნაშოვნი ფულის გარკვეულ ნაწილს ეკლესიების მშენებლობაზე, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის მხარდაჭერაზე ხარჯავენ. ამ პროცესს „ფულის გარეცხვისა“ თუ „ფულის გათეთრების“ ცნობილი ტერმინების ანალოგიით „სახელის გარეცხვა“, „სახელის გათეთრება“ შეიძლება ეწოდოს.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესით განპირობებული კორუფციის შეზღუდვის ყველაზე მარტივი გზა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების არსებული შედეგების დაკანონებაა (Papava, 2006a), რაც ამ კაპიტალს „ხელ-ფეხს გაუხსნის“, რათა ხალხის საკეთილდღეოდ „იმოქმედოს“.

ეს გზა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუციების დამკვიდრების ზემოხსენებულ ღონისძიებებთან ერთად, კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკურ მიდგომას წარმოადგენს.

კორუფციის მხოლოდ წმინდა ეკონომიკური მიდგომის საფუძველზე განხორციელების ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებაა.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ, სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად შეჭირვებულ მდგომარეობაში იყო, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს გზა აშკარად მიუღებელი იქნებოდა მოსახლეობის ამ ნაწილისათვის, რომლის ყველაზე უფრო „ხმაურიანი“ ფრთა სოციალური შურისძიების შესაძლებლობას (ზოგ შემთხვევაში სავსებით სამართლიანადაც კი) მოუთმენლად ელოდა.

ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკური მიდგომა იმ ტიპის დამსჯელი ხასიათის ზომებთან (რომელთა სწორი შერჩევა უკვე იურისტების გადასაწყვეტია) ისე იქნეს შერწყმული, რომ ქვეყანაში ბიზნესის

განვითარებისათვის საჭირო გარემო არ გაუარესდეს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურად აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპი დარჩეს ხელშეუხებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ახვლედიანი ა.,** 2001. ეკონომიკური ზრდა და კორუფცია პოსტსაბ-ჭოთა გარემოში. *ეკონომიკა*, № 5.
- ბალარჯიშვილი ი.,** 2005. ინსტიტუციური ეკონომიკა და განუ-საზღვრელობის შემცირების ეფექტები. თბილისი, თბილისის უნი-ვერსიტეტის გამომცემლობა.
- ბალარჯიშვილი ი.,** 2010. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თე-ორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. თბილი-სი, „ინოვაცია“.
- ბასილია თ.,** ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ., და სხვ., 1998. *ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები*. თბი-ლისი, ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი.
- გოგიაშვილი მ.,** უგულავა ვ., თოთაძე ლ., 2001. ანტიკორუფციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მათი გადაჭრის გზე-ბი საქართველოს მაგალითზე. *საქართველოს მეცნიერებათა აკა-დემიის მაცნე – ეკონომიკის სერია*, ტომი 9, № 3.
- გოცირიძე რ.,** კანდელაკი ო., 2001. *გავლენიანი ჯგუფები და კო-რუფცია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიუქარა*. თბილისი, გამომცემლობა „ელფი“.
- ოთინაშვილი რ.,** 2001. *ჩრდილოვანი ეკონომიკა. კორუფცია*. თბილისი.
- პაპავა გ.,** 2002. როგორ მოვშალოთ კორუფციისა და კომპრადორიზ-მის ნიადაგი საქართველოში. *სოციალური ეკონომიკა*, № 4.
- პაპავა ვ.,** 2000ა. *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველო-ში: მიღწევები და შეცდომები*. თბილისი, „იმპერიალი“.
- პაპავა ვ.,** 2000ბ. საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონო-მიკური მიდგომა. *საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები*, № 3-4.
- პაპავა ვ.,** 2001. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცი-ის შესატყვისი კორუფციის ბუნება და საქართველოში მისი შე-ზღუდვის მექანიზმის შესახებ. *სახელმწიფო და კონტროლი*, № 1.

- პაპავა ვ.,** 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ.,** 2008. *პოსტრეველუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია*. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 6. თბილისი, „სიახლე“.
- როუზ-აკერმანი ს.,** 2002. *კორუფცია და ხელისუფლება: მიზეზები, შედეგები და რეფორმა*. თბილისი: ჯისიაი.
- საკაშვილი მ.,** 2001. *გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის*. თბილისი, „საქართველოს კანონთა წიგნი და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.
- ტერაშვილი ნ.,** 2000. ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ზოგიერთი თავისებურების შესახებ გარდამავალ პერიოდში. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში*. ტომი V. თბილისი, სესპსკი.
- ჩიქავა ლ.,** ჩომახიძე დ., კვარაცხელია მ., 2002. ილია ჭავჭავაძე კორუფციის შესახებ. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია*, ტომი 10, № 1-2.
- Basu K., Cordella T., eds.,** 2018. *Institutions, Governance and the Control of Corruption*. Cham, Switzerland, Palgrave Macmillan.
- Borlini L. S., Arnone M.,** 2014. *Corruption: Economic Analysis and International Law*. Cheltenham, UK, Edward Elgar Publishing.
- Chander P., Wilde L.,** 1992. Corruption in Tax Administration. *Journal of Political Economy*. No. 49.
- Clinard M. B.,** 1990. *Corporate Corruption: The Abuse of Power*. New York, Praeger Publishers, <http://www.questia.com/read/23362346?title=Corporate%20Corruption%3a%20The%20Abuse%20of%20Power>.
- Elliott K. A. ed.,** 1997. *Corruption and the Global Economy*. Washington, Institute for International Economics.
- Ivanyna M., Mourmouras A., Rangazas P.,** 2018. *The Macroeconomics of Corruption: Governance and Growth*. Cham, Switzerland, Springer.
- Mauro P.,** 1997a. The Effects of Corruption on Growth, Investment, and Government Expenditure: A Cross-Country Analysis. In: *Corruption and the Global Economy*. Ed. by K. A. Elliott. Washington, D. C., Institute for International Economics.
- Mauro P.,** 1997b. *Why Worry About Corruption?* Economic Issues, 6. Washington, IMF.
- Naím M.,** 2002. Roots of Corporate Corruption. *Financial Times*, September 30, <http://carnegieendowment.org/publications/index>.

cfm?fa=view&id=1092.

- Negru I., Ungurean S.,** 2001. Corruption and Transition Economics. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences – Economic Series*, Vol. 9, No. 1-2.
- Papava V.,** 2000. Economic Approach to the Restriction of Corruption in Georgia. *Georgian Economic Trends*, № 3-4.
- Papava V.,** 2005a. Georgia’s Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4
- Papava V.,** 2005b. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Papava V.,** 2006a. Corruption and Primary Accumulation of Capital in Transitional Economies. Ludwig von Mises Institute Working Papers, 10/17/2006, <http://mises.org/journals/scholar/papava.pdf>.
- Papava V.,** 2006b. The Political Economy of Georgia’s Rose Revolution. *Orbis. A Journal of World Affairs*, Vol. 50, No. 4, Fall.
- Papava V.,** 2009. Anatomical Pathology of Georgia’s Rose Revolution. *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Vol. 2, Issue 1.
- Rose-Ackerman S.,** 1997. The Political Economy of Corruption. In: *Corruption and the Global Economy*. Ed. by K. A. Elliott. Washington, Institute for International Economics.
- Rose-Ackerman S., Soreide T., eds.,** 2012. *International Handbook on the Economics of Corruption*. Volume 2. Cheltenham, UK, Edward Elgar Publishing.
- Serra D., Wantchekon L., eds.,** 2012. *New Advances in Experimental Research on Corruption*. Bingley, UK, Emerald Group Publishing.
- Tanzi V.,** 1995. Corruption: Arm’s-Length Relationships and Markets. In: *The Economics of Organized Crime*. Ed. by G. Fiorentini, S. Peltzman. Cambridge, Cambridge University Press.
- Waller C. J., Verdier T., Gardner R.,** 2002. Corruption: Top Down or Bottom Up? *Economic Inquiry*, Vol. 40, No. 4.
- WB,** 2000. *Anticorruption in Transition. A Contribution in the Policy Debate*. Washington, D. C., The World Bank.
- Гоциридзе Р., Канделаки О.,** 2001. *Влиятельные группы и коррупция: Угроза национальной безопасности Грузии*. Тбилиси, Издательство „Ельფ“.
- Джери Д., Джери Дж.,** 1999. *Большой толковый социологический словарь* (Collins). Т.1. Москва, Вече, АСТ.
- Коттке К.,** 1998. *«Грязные» деньги – что это такое?: Справочник по налоговому законодательству в области «грязных» денег*. Москва,

Дело и Сервис.

- Левин М. И.,** Цирик М. Л., 1998а. Коррупция как объект математического моделирования. *Экономика и математические методы*, Т. 34, Вып. 3.
- Левин М. И.,** Цирик М. Л., 1998б. Математические модели коррупции. *Экономика и математические методы*, Т. 34, Вып. 4.
- Ослунд А.,** 1996. „Рентоориентированное поведение“ в российской переходной экономике. *Вопросы экономики*, № 8.
- Папава В.,** 1998. О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии. *Общество и экономика*, № 2.
- Папава В.,** 2001а. Экономический манифест ограничения коррупции в Грузии. *Свободная Грузия*, № 100, 4 сентября.
- Папава В.,** 2001б. Об экономике коррупции в посткоммунистических странах. *Общество и экономика*, № 9.
- Папава В.,** 2002. Об особенностях экономики коррупции в условиях посткоммунистических реформ (на примере Грузии). *Реформа*, № 2.
- Папава В.,** 2004. Об основных макроэкономических индикаторах «Революции роз» в Грузии. *Общество и экономика*, № 7-8.
- Папава В.,** 2006. Криминально-бюрократическая составляющая хозяйственной жизни и проблемы ее преодоления. *Общество и экономика*, № 9.
- Папава В.,** Беридзе Т., 1998. Экономические реформы в Грузии. *Российский экономический журнал*, № 1.
- Полтерович В. М.,** 1998. Факторы коррупции. *Экономика и математические методы*, Т. 34, Вып. 3.
- Свенссон Б.,** 1987. *Экономическая преступность*. Москва, Прогресс.
- Тимофеев Л.,** 2000. *Институциональная коррупция*. Москва, РГГУ.

**თავი 10. საგარეო ვაჭრობის რეჟიმები:  
პროტექციონიზმი და ფრიტრედერიზმი**

ნებისმიერი ქვეყნისათვის საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ზეგავლენას ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. თითქმის ყველა დროისათვის ეკონომიკური მეცნიერების თუ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სადისკუსიო თემას საგარეო ვაჭრობის ორ რეჟიმს – პროტექციონიზმსა და ფრიტრედერიზმს (თავისუფალ ვაჭრობას) – შორის არჩევანის გაკეთების მიზნით, მათი უპირატესობა-ნაკლოვანებათა განხილვა წარმოადგენს (მაგალითად, არევაძე, მიშინა, 2002; ბალცეროვიჩი, 2000; ბასილია, ჩიკვაიძე, სილაგაძე, 2001, გვ. 397-416; კაკაბაძე, 2002; ნათელაური, გურაშვილი, 2000; პაპავა, 2002, გვ. 292-331; პატაშური, 2002; საბაძე, 1997; ყორღანაშვილი, 1997; ყორღანაშვილი, აბდუშელიშვილი, 1999; ქითანავა, 2001, გვ. 114-163; ხადური, 1997; ხარიტონაშვილი, 2002, 2008; Akhvlediani, 2001; Bhagwati, 1988; Connolly, Melo, eds., 1994; Holden, Casale, 2002; Lewis-Bynoe, Griffith, Moore, 2002; Michalopoulos, Tarr, 1996; Nash, Takacs, eds., 1998; Thomas, Nash, et al., 1991; Wong, Kirmani, eds., 1997; Yarbrough, Yarbrough, 1997; Новиков, 2002; Самнер, 2002; Томас, Нэш и др., 1996). გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს თემა დღესაც ძალზე აქტუალურია და მას ტრადიციულ ეკონომიკსშიც სათანადო ყურადღება ექცევა.

აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობის თემის განსაკუთრებული გამწვავება გამოიწვია აშშ-სა და ჩინეთს შორის დაწყებული საგაჭრო ომმა (მაგალითად, Allison, 2017; Feldman, 2015; Holstein, 2019; Lau, 2019), რომლის ინიციატორია აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ორივე მხარეს დააზიანებს (მაგალითად, Rajan, 2019). როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში – ჯო-

ზეფ სტიგლიცი და პოლ კრუგმანი, ეს სავაჭრო ომი აშკარად უარყოფითად აისახება აშშ-ზე, მის ეკონომიკასა და მის მოსახლეობაზე (მაგალითად, Delaney, 2018; Krugman, 2019; Stiglitz, 2018).

პროტექციონიზმი გულისხმობს სამამულო ბაზრის დაცვას დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესებით, როცა შესაბამისი სამამულო პროდუქცია იმპორტულთან შედარებით აქციზის შემცირებული სიდიდით დაიბეგრება, ხოლო იმპორტული ნედლეული და ნახევარფაბრიკატები საბაჟო გადასახადისაგან (და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან) საერთოდ გათავისუფლდება, მზა პროდუქციის იმპორტი კი გაზრდილი საბაჟო ტარიფით და დამატებული ღირებულების გადასახადით დაიბეგრება; ამავე დროს, მზა პროდუქციის ექსპორტი საერთოდ არ უნდა დაიბეგროს, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტს კი მაღალი საექსპორტო გადასახადი უნდა დაედოს.

ფრიტრედერიზმის თანახმად, აქციზები სამამულო და იმპორტულ პროდუქტზე ერთნაირი უნდა იყოს, საბაჟო ტარიფები ყველა სახეობის იმპორტულ საქონელზე – ასევე ერთნაირი და შედარებით დაბალი, ხოლო ექსპორტი კი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისაგან. ერთადერთი შელავათი იმპორტზე შეიძლება მხოლოდ მანქანა-მონწყობილობათა და ტექნოლოგიების მიმართ განხორციელდეს და ისიც დროებით.

პროტექციონიზმი ასევე ექსპორტსა და იმპორტზე სხვადასხვა აკრძალვების, კვოტირებისა და ლიცენზიების რთული სისტემის არსებობას გულისხმობს და ფრიტრედერიზმი – კვოტირების სისტემის საერთოდ გაუქმებას, ხოლო აკრძალვებისა და ლიცენზიების იმ მინიმუმამდე დაყვანას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების ელემენტარულ მოთხოვნათა გათვალისწინებითაა (მაგალითად, იარაღის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა, სამუზეუმო ექსპონატთა და ზოგიერთ სხვათა მიხედვით) განპირობებული.

პროტექციონიზმის მხარდამჭერი პოსტსაქმოსანთა უმრავლესობა და მას ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში საკმა-

ოდ ძლიერი ლობი ჰყავს. პროტექციონიზმს, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილიც იზიარებს. ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფო, უმთავრესად, ფრიტრედერიზმს იყენებს, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის) ზეწოლით იყო განპირობებული. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი საქართველოს ხელისუფლებას აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება, ფრიტრედერიზმის პოლიტიკა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ზეწოლის გარეშეც გაეღრმავებინა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ აშშ-მა წინა პლანზე წამოსწია პროტექციონისტული პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მექანიზმები, ამას საქართველოს მიერ გატარებულ საგარეო სავაჭრო პოლიტიკაზე რაიმე ზეგავლენა ჯერჯერობით არ მოუხდენია.

კონკურენცია ის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, რაც წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მასზე განუელი დანახარჯების შემცირებას უწყობს ხელს; ყოველივე ეს კი ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციით მიიღწევა. ეს დებულება არა მარტო შიგა ბაზრისათვის, არამედ, საზოგადოდ, ბაზრისათვის და, მაშასადამე, საერთაშორისო ბაზრისთვისაც სამართლიანია. ნებისმიერი ბარიერი, რომელსაც სახელმწიფო შიგა ბაზრის დასაცავად აღმართავს, ქვეყნის შიგნით სასურველ ეკონომიკურ სტიმულებზე, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და დანახარჯების შემცირებაზე, ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციაზე საერთაშორისო კონკურენციის სასიკეთო ზეგავლენას ზღუდავს.

სწორედ ამიტომ, ტრადიციულ ეკონომიკაში მიჩნეულია, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საუკეთესოა იმპორტზე ნულოვანი საბაჟო ტარიფები, ექსპორტის ყოველგვარი გადასახადებისაგან გათავისუფლება, კვოტირების გაუქმება და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვებისა და ლიცენზირების მინი-

მუშამდე დაყვანა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ქვეყნის შიგა ბაზრის სრული ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარში და საერთაშორისო კონკურენციის ზემოხსენებული პოზიტიური ზეგავლენა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ამგვარი სავაჭრო პოლიტიკის აშკარა უპირატესობის მიუხედავად, ის სრულად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია (ამ მხრივ კლასიკურ ქვეყანას შვეიცარია წარმოადგენს, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის თავიდანვე მხოლოდ ესტონეთი გამოირჩეოდა) რეალიზებული; მართალია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში პრაქტიკულად სწორედ ამგვარი სავაჭრო პოლიტიკაა განხორციელებული, მაგრამ არანეგრ ქვეყნებთან ურთიერთობაში სხვადასხვა სახეობის სავაჭრო ბარიერები გამოიყენება, რაც, ტრადიციულად, თითქმის ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

აქ ბუნებრივად იზადება კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ ხდება საგარეო ვაჭრობის ამ იდეალური რეჟიმიდან გადახვევა თითქმის ყველა ქვეყანაში და რატომ არ იყენებენ საერთაშორისო კონკურენციის ზემოხსენებულ სასიკეთო ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე?

ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა დარგის განვითარების განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური შესაძლებლობები და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ისტორიული ტრადიციები აქვს, რისი გათვალისწინებაც იძულებულს ხდის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებს, ამ დარგებისადმი საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტული რეჟიმი შეარჩიოს (რასაც, საბოლოო ჯამში, ამ დარგების პერსპექტიული განვითარებისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია). გარდა ამისა, საერთაშორისო კონკურენციაში ქვეყნის სრული ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები, აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, ხელისუფლებაში მოსული მრეწველობისა და ეკონომიკის რეალური სექტორის სხვა დარგების<sup>1</sup> წარმომადგენლები არიან, რომლებიც შესაბამის დარგს

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, პროტექციონიზმით დაინტერესებულნი განსაკუთრებით სო-

ქვეყნის შიგნით შეღავათიანი, „ოაზისური“ პირობების შექმნის მიზნით უნევენ ლობირებას. ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ლობისტების გაუცნობიერებლობას, რომ, საბოლოო ჯამში, ამგვარი პოლიტიკით ისინი ღუპავენ იმ დარგს, რომლის ინტერესების დაცვასაც ფიქრობენ და ცდილობენ.

გაზრდილი და დიფერენცირებული საბაჟო ტარიფების და-ნესების მოთხოვნისას, ლობისტები, როგორც წესი, შემდეგ ორ არგუმენტს იშველიებენ:

1. ეროვნულ ეკონომიკას სჭირდება მხარდაჭერა, ფეხზე დაყენება, რადგანაც დანახარჯები ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციაზე საზღვარგარეთიდან შემოტანილი ანალოგიური პროდუქციის ღირებულებას აღემატება, რის გამოც, ჩვენი პროდუქცია აღარ იყიდება და, ამდენად, მისი წარმოება კარგავს აზრს; ზოგიერთ საქონელზე გაზრდილი საბაჟო ტარიფების დაწესებისას, ამ იმპორტული საქონელის ფასი გაიზრდება, რაც ადგილობრივ მენარმეებს შესაძლებლობას უქმნის, თავიანთი (შედარებით დაბალხარისხიანი) პროდუქციის წარმოება გააფართოონ და დამატებითი შემოსავლები მიიღონ;
2. არაკონკურენტუნარიანი წარმოების შეკვეცას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში დახურვას, შედეგად მოსახლეობის დასაქმების დონის შემცირება მოჰყვება, შესაბამისად, ამ გზით წარმოქმნილი დაუსაქმებელთა შემოსავალი და მთლიანად მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი შემცირდება.

ამ, ერთი შეხედვით, ყოვლად დასაბუთებული არგუმენტების მოჩვენებითი მიზანშეწონილობის მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკისათვის პროტექციონისტულ პოლიტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, რომლის გამოსწორებაც ძალზე ძნელი იქნება.

---

ფლის მეურნეობის წარმომადგენლები არიან (ბალცეროვიჩი, 2000; ტრეიცი, 1995, cc. 223-244), თუმცა საქართველოს სინამდვილეში პროტექციონიზმის ადებტები, უწინარეს ყოვლისა, მრეწველები არიან, რადგან მათი ინტელექტუალური პოტენციალი სოფლის მეურნეობის წარმომადგენლთა პოტენციალს ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაშიც კი აშკარად აღემატებოდა.

უნინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგალითად, მრეწველობის რომელიმე ერთი ქვედარგის ამორჩევა, რომელსაც საბაჟო პრივილეგიები უნდა მიენიჭოს, რადგანაც კომუნისტურ ეპოქაში შექმნილი მრეწველობის თითქმის ყველა დარგი, პრაქტიკულად, ერთნაირად ცუდ ტექნოლოგიურ მდგომარეობაშია.

საქართველოსათვის საკმარისია, მაგალითად, ჩაის მრეწველობის ლობიმ ამ ქვედარგისათვის საბაჟო პრივილეგიების მოპოვება მოახერხოს, რომ იმთავითვე ღვინის მრეწველობის ლობის მიეცემა საფუძველი, იგივე გააკეთოს, ამას კი, პრაქტიკულად, მთელი კვების მრეწველობა მიჰყვება. მაგრამ აქ შეჩერება შეუძლებელი გახდება: კვების მრეწველობისათვის გაკვალულ გზაზე მსუბუქი მრეწველობის ლობიც მიაღწევს იმავეს, შემდეგ ქიმიური მრეწველობაც იმავეს გაიმეორებს და ა.შ. ერთ „მშვენიერ“ დღეს კი აღმოვაჩინოთ, რომ მრეწველობა საერთოდ მიაღწევს სრულ პროტექციონისტულ დაცვას. მრეწველობის გამოცდილებას სხვა დარგებიც (უნინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობა) „გაიზიარებს“ და ამით მთელს ჩვენს ეკონომიკას გარე სამყაროსაგან მეტ-ნაკლებ იზოლიაციაში მოვაქცევთ.

დავუშვათ, მოხერხდა საბაჟო პრივილეგიების გავრცელების ხსენებული „ჯაჭვური რეაქციის“ შეჩერება და ისინი მრეწველობის ერთ ან რამდენიმე ქვედარგს მიენიჭა. მაშინ, ამ დარგებში ეკონომიკური ინტერესი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებასა და დანახარჯების შემცირების ღონისძიებათა გასატარებლად მოისპობა. ეს პროცესი კი „ჯაჭვური რეაქციით“ გავრცელდება იმ დარგებზეც, რომლებიც მრეწველობის ამ პრივილეგირებულ ქვედარგს ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს აწვდიან. მართალია, ამ შემთხვევაში, ყველა ამ დარგში დასაქმება გაიზრდება, მაგრამ დაბალხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები საწარმოებს საშუალებას არ მისცემს, იქ დასაქმებულებს მაღალი ხელფასები გადაუხადოს, რაც, დასაქმების ზრდის პირობებში, მოსახლეობის შემოსავლების შესაბამის ზრდას ვერ უზრუნველყოფს. დასაქმების ამგვარი

ზრდა კი ქვეყნის ჩამორჩენილობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა და მას არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელი შეეწყოს.

სამამულო, მაგრამ დაბალხარისხიანი და თანაც გაძვირებული პროდუქციის მოხმარებით მოსახლეობის მიერ მიღებული დანაკარგები, მისი კეთილდღეობის შემცირების თვალსაზრისით, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, ეროვნული კეთილდღეობის შემცირება საბაჟო პროტექციონიზმის პირობებში მთლიანი სამამულო პროდუქტის 1-დან 10 პროცენტამდე მერყეობს (ლინდერტი, 2001, გვ. 93-94).

ამგვარი საბაჟო პროტექციონიზმის ხსენებული უარყოფითი შედეგები არა მარტო თეორიულადაა დასაბუთებული, არამედ საერთაშორისო გამოცდილებითაც დასტურდება. ყოველივე ეს კი სათანადოდაა ასახული მსოფლიოში გავრცელებულ შესაბამის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურაში (მათ შორის, ტრადიციული ეკონომიკის სახელმძღვანელოებშიც).

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილ და დიფერენცირებულ საბაჟო ტარიფების სისტემაზე დამყარებული პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამღუპველი იქნებოდა.

პროტექციონისტულისაგან განსხვავებით, როგორია ფრიტრედერული მიდგომა საბაჟო ტარიფებისადმი?

უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია იმპორტზე ნულოვანი საბაჟო ტარიფის დანესება, მაგრამ ეს, იმავდროულად, ბიუჯეტის ფისკალური პრობლემებითაა გაუმართლებელი: ნულოვანი ტარიფების შემთხვევაში ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლის შესაბამის ნაწილს დაკარგავს.

თეორიულად დამტკიცებულია, რომ საბაჟო ტარიფის ოპტიმალური სიდიდე, როგორც ფასის ნაწილი, რომელსაც იხდის უცხოელი მიმწოდებელი, იმპორტის მიწოდების ელასტიკურობის შებრუნებული სიდიდეა (Escolano, 1995, pp. 206-209). ელასტიკურობის კოეფიციენტების ცვალებადობის გამო საბაჟო ტარიფების შესაბამისი ცვლილება დაბეგვრის სისტემას სტაბილურობის

ბას დაუკარგავს, რაც, თავის მხრივ, არასასურველია; ამასთან, ელასტიკურობის კოეფიციენტის ცვალებადობის ხშირი გაზომვა იმპორტული პროდუქციის ყველა სახეობათა მიხედვით და ტარიფების შესაბამისი ცვლილებები იმდენად შრომატევადი აღმოჩნდება, რომ მასზე განეული დანახარჯები ამ ღონისძიების გატარებით მიღებულ შემოსავლებს მნიშვნელოვნად გადაფარავს.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, საუკეთესო საბაჟო ტარიფების სისტემად არადიფერენცირებული ტარიფებია მიჩნეული, როცა ყველა სახეობის იმპორტული საქონელი ერთი და იმავე საბაჟო ტარიფით იბეგრება, რომელიც, იმავდროულად, შედარებით დაბალი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგი საერთაშორისო კონკურენციაში ერთნაირ პირობებში ებმება, რაც ამ უკანასკნელის ზემოთ აღწერილ სასიკეთო ზეგავლენას სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე არ ზღუდავს და, ამდენად, არ „ამახინჯებს“. ამავე დროს, არანულოვანი, შედარებით დაბალი საბაჟო ტარიფი გარე სამყაროსაგან ადგილობრივი მენარმეების ერთგვარი დაცვა და ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროცაა.

ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს თუ არა იმას, რომ ფრიტრედერიზმი სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ეკონომიკის და მისი დარგების რაიმე მხარდაჭერას საერთოდ გამორიცხავს? რა თქმა უნდა, – არა, მაგრამ ის ისეთივე პრიმიტიული არ არის<sup>1</sup>, როგორც ეს პროტექციონიზმის კლასიკური სქემებისათვისაა ზემოთ აღწერილი. ამგვარი მხარდაჭერა შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

1. ექსპორტი, ისევე, როგორც საექსპორტო საქონლის სანარმოებლად იმპორტირებული ნედლეული, ყოველგვარი გადასახადისაგან უნდა იყოს გათავისუფლებული, რაც საექსპორტო

<sup>1</sup> ისტორიული გამოცდილების განზოგადებით დასტურდება, რომ მდიდარი ქვეყნების განვითარების გზა გადიოდა პროტექციონისტული მექანიზმების გამოყენებაზე (რაინერტი ე., 2019, Reinert, 2008; Райнерт, 2015). თანამედროვე ეპოქაში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიც განიცდის მოდიფიცირებას სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ეკონომიკის განვითარების რაციონალური მხარდაჭერის ზრდის მიმართულებით.

- პოტენციალის გაფართოების საკმაოდ დიდი სტიმულია<sup>1</sup>;
2. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ეროვნული ეკონომიკის რეალურ სექტორში წარმოებულ პროდუქციას ყოველგვარი ხელოვნური ბარიერის გარეშე შეეძლოს ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე თავისუფლად შეღწევა (Porter, 1993, cc. 728-729); აღსანიშნავია, რომ ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაა, რომლის უმთავრესი ფუნქცია სწორედ ამგვარი ბარიერების მოშლაა<sup>2</sup>;
  3. სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო რესურსის არსებობის პირობებში შესაძლებელია სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის შექმნა, რომელმაც, სახელმწიფო ინვესტიციების (და არა სუბსიდიისა თუ დოტაციის<sup>3</sup>) განხორციელებასთან ერთად, სადაზღვევო ფუნქციების შესრულებაც უნდა შეძლოს;
  4. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირე-

<sup>1</sup> ეს დღეს საქართველოში ასეცაა, თუმცა გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან მიმართებაში განსხვავებული სიტუაცია იყო, როცა დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი წარმოების და არა მოხმარების ადგილიდან ამოიღებოდა; აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი ეკონომისტები საბჭოური ისტორიის მანძილზე მათ რუს კოლეგებს დიდი ხნის განმავლობაში და პრაქტიკულად უშედეგოდ ეკამათებოდნენ იმის შესახებ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის წინამორბედი – ბრუნვის გადასახადი – წარმოების და არა მოხმარების ადგილიდან ყოფილიყო ამოღებული, რასაც საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი, უწინარეს ყოვლისა, ალკოჰოლური სასმელებისა და ჩაის მიხედვით უნდა გაეზარდა.

<sup>2</sup> საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 1999 წელს გახდა. სუბსიდიაც და დოტაციაც ორივე უსასყიდლოდ გაიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსხვავება მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ *სუბსიდია* არის მიზნობრივი და მის მიმღებს ევალება მხოლოდ ბიუჯეტით განსაზღვრული კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის შესაბამისი თანხების ხარჯვა, მაშინ, როცა *დოტაცია* არ არის მიზნობრივი და მისი მიმღები თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რაში დახარჯოს ამ გზით მიღებული ფულადი თანხა. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სუბსიდიები გაიღება – სახელმწიფო პროგრამების, ხოლო დოტაციები კი წამგებიანი საწარმოების დაფინანსებისათვის.

ბა (მაგალითად, *Трейси, 1995*), გამართლებულია, მთავრობამ განახორციელოს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთ სახეობათა სუბსიდირება, რათა ეროვნული წარმოება თანაბარ მდგომარეობაში იყოს საერთაშორისო კონკურენტებთან;

5. ზომიერი ანტიდემპინგური პოლიტიკის გატარება, რათა ეროვნული მწარმოებლები არასამართლიან კონკურენციაში არ იქნენ შევიწროებულები საერთაშორისო კონკურენტების მხრიდან, მათ მიერ გამოყენებული ხელოვნური, არასამართლიანი საფასო პოლიტიკის გამო (მაგალითად, *Bungenberg, Hahn, Herrmann, Müller-Ibold, eds., 2018*);
6. სახელმწიფომ ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტულობის განცხადებით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უნდა შეუწყოს ხელი;
7. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინოვაციური ტექნოლოგიების შესყიდვა, რათა ის ხელმისაწვდომი გახადოს ადგილობრივი მწარმეებისათვის<sup>1</sup>.

რაც შეეხება იმპორტულ და სამამულო პროდუქტებზე აქციზის დიფერენციაციის მოთხოვნას, რასაც პოსტსაქმოსნები საკმაოდ ხშირად ითხოვენ, იმ გაუგებრობას ემყარება, რომ აქციზით დასაბეგრი ფუფუნების საგნების და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტების ეს ბუნება იმისდა მიხედვით არ იცვლება, სამამულო წარმოებისაა ისინი თუ უცხოური.

სწორი სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა საინვესტიციო კანონმდებლობას ენიჭება, რომელიც როგორც სამამულო, ისე უცხოელ ინვესტორს ერთნაირ პირობებში უნდა აყენებდეს და, თანაც, ბიუროკრატიული პროცედურები ინვესტიციების განსახორციელებლად მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ყოველგვარი დროებითი საგადასახადო შეღავათი უცხოელი ინვესტორისათვის საეჭვო წარმომავლობისა და სუსტი ფირმების მოძალეების საშიშროებას ქმნის, რადგანაც სერიოზული, მსოფლიოში აღიარებული ფირმე-

<sup>1</sup> ეს საკითხი დეტალურად იქნება განხილული თავი 17-ში.

ბი, როგორც წესი, რაიმე საგადასახადო შეღავათს არ ითხოვენ; ისინი, უწინარესად, მოგების რეპატრიაციის შესაძლებლობათა შეუზღუდაობისა და მიწის იმ ნაკვეთის საკუთრების საკითხს აყენებენ, რომელზეც განლაგებულია საინვესტიციო ობიექტი (რათა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო არასასურველი ქმედება აიცილონ თავიდან). როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, დროებითი საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის ისეთ პირობებს ქმნის, როცა შეღავათების ვადის გასვლის შემდეგ ინვესტორების უმრავლესობა ქვეყანას ტოვებს და ადგილობრივი მენარმე, პუშკინის „ოქროს თევზის“ დედაბერივით, კვლავ გატყეხილი ვარცლის ამარა რჩება. სამწუხაროდ, საქართველოს ამ მხარე გამოცდილების საკუთარ თავზე გამოცდა არაერთხელ მოუწია.

ქვეყნის დაცვა კონტრაბანდისაგან, უწინარეს ყოვლისა, საბაჟო სამსახურის გამართულ მუშაობას უნდა დაემყაროს. პროტექციონიზმის მომხრეთა მოთხოვნა, რომ საბაჟო სამსახურმა გაზრდილი საბაჟო სატარიფო განაკვეთებით იმუშაოს, ზემოხსენებული არგუმენტების გარდა, იმის გათვალისწინებითაც მიუღებელია, რომ საგადასახადო განაკვეთის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, „ქრთამის ეფექტის“ გამოყენების გზით დაბეგვრისაგან თავის აცილებას უწყობს ხელს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ფალსიფიცირებული საქონლისაგან (მიუხედავად იმისა, ის ადგილობრივი წარმოებისაა თუ იმპორტული) მოსახლეობის დაცვას, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს და რასაც საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტული თუ ფრიტრედერული რეჟიმის არჩევასთან უშუალო კავშირი არ აქვს.

დასასრულ, აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პროტექციონიზმი ეროვნული ინტერესების გამომხატველ პოლიტიკადაა აღიარებული. სინამდვილეში, „ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმ-

ჯობესია იმიტომ, რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენაობის გაურჩევლად“ (ჭავჭავაძე, 1995, გვ. 322). ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ქვეყნარტ ეროვნულ ინტერესებს მხოლოდ ფრიტრედერიხში გამოხატავს<sup>1</sup>.

### გამოყენებული ლიტერატურა

- არევაძე ნ.,** მიშინა ვ., 2002. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თავისებურებები და საექსპორტო პროდუქციის ხარისხი. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, „მეცნიერება“.
- ბალცეროვიჩი ლ.,** 2000. ლიბერალიზმი თუ პროტექციონიზმი? *კვალი*, № 7-8.
- ბასილია თ.,** სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. *პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე*. თბილისი.
- ვეშაპიძე შ.,** 1999. *ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები*. თბილისი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.
- კაკაბაძე ვ.,** 2002. საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია*, ტომი 10, № 1-2.
- ლინდერტი პ. ჰ.,** 2001. *საერთაშორისო ეკონომიკა*. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“.
- ნათელაური ი.,** გურაშვილი ნ., 2000. მცირე ღია ეკონომიკური სისტემების დაბალანსებული განვითარება და საგარეო სექტორის უნივერსალურობის ფუნქცია. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, „მეცნიერება“.
- პაპავა ვ.,** 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდბ“.

<sup>1</sup> უფრო დეტალურად იხ. (ვეშაპიძე, 1999, გვ. 222-247).

- პატაშური მ.,** 2002. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გავლენა მაკრო-ეკონომიკურ წონასწორობაზე. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, „მეცნიერება“.
- რაინერტი ე.,** 2019. როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები ... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად. თბილისი, ფრიდ-რიხ ებერტის ფონდი, NORLA.
- საბაძე ც.,** 1997. სტრუქტურულ პოლიტიკაზე საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ზეგავლენა. *ეკონომიკა*, № 8-10.
- ყორღანაშვილი ლ.,** 1997. *საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ყორღანაშვილი ლ., აბდუშელიშვილი დ.,** 1999. საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ლიბერალიზაცია თუ პროტექციონიზმი? *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – ეკონომიკა*, № 329.
- ჭავჭავაძე ი.,** 1995 [1881]. შინაური მიმოსხილვა. ნიგნში: *ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად*. ტომი V. თბილისი, სახელგამი.
- ჭითანავა ნ.,** 2001. *გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკური გლობალიზაცია და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოება)*. ნაწილი III. თბილისი, სესპსკი.
- ხადური ნ.,** 1997. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების საკითხისათვის. *ეკონომიკა*, № 5-7.
- ხარიტონაშვილი ჯ.,** 2002. „შვედური სკოლის“ მიდგომები ეკონომიკური პროტექციონიზმისადმი. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – ეკონომიკა*, № 1-2 (344).
- ხარიტონაშვილი ჯ.,** 2008. *პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Akhvlediani A.,** 2001. *International Trade and Economic Growth in Post-Communist Georgia. Proceedings of the Georgian Academy of Sciences – Economic Series*, Vol. 9, No. 3.
- Allison G.,** 2017. *Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap?* New York, Houghton Mifflin Harcourt.
- Bhagwati J.,** 1988. *Protectionism*. Cambridge, The MIT Press.
- Bungenberg M., Hahn M., Herrmann C., Müller-Ibold T., eds.,** 2018. *The Future of Trade Defence Instruments: Global Policy Trends and Legal Challenges*

- (*European Yearbook of International Economic Law*). Cham, Springer.
- Connolly M.**, Melo J. de, eds., 1994. *The Effects of Protectionism on a Small Country. The Case of Uruguay*. Washington, The World Bank.
- Delaney R.**, 2018. Donald Trump is a 'Demagogue' whose China Tariffs are Punishing Ordinary US Citizens, Says American Economist Joseph Stiglitz. *South China Morning Post*, April 12, <https://www.scmp.com/news/china/article/2141506/donald-trump-demagogue-whose-china-tariffs-are-punishing-ordinary-us>.
- Escolano J.**, 1995. International Trade Taxes. In: *Tax Policy Handbook*. Ed by P. Shome. Washington, D. C., The IMF.
- Feldman N.**, 2015. *Cool War: The United States, China, and the Future of Global Competition*. New York, Random House.
- Holden M.**, Casale D., 2002. Endogenous Protection in a Trade Liberalizing Economy: The Case of South Africa. *Contemporary Economic Policy*, Vol. 20, No. 4.
- Holstein W. J.**, 2019. *The New Art of War: China's Deep Strategy Inside the United States*. New York, Brick Tower Press.
- Lau L. J.**, 2019. *The China-U.S. Trade War and Future Economic Relations*. Hong Kong, The Chinese University Press.
- Lewis-Bynoe D.**, Griffith J., Moore W., 2002. Trade Liberalization and the Manufacturing Sector: The Case of the Small Developing Country. *Contemporary Economic Policy*, Vol. 20, No. 3.
- Krugman P.**, 2019. China Tries to Teach Trump Economics. But he doesn't Seem to be Learning. *The New York Times*, August 8, <https://www.ny-times.com/2019/08/08/opinion/trump-china-trade.html>.
- Michalopoulos C.**, Tarr D. G., 1996. *Trade Performance and Policy in the New Independent States*. Washington, D. C., The World Bank.
- Nash J.**, Takacs W., eds., 1998. *Trade Policy Reform. Lessons and Implications*. Washington, D. C., The World Bank.
- Rajan R. G.**, 2019. The True Toll of the Trade War. *Project Syndicate*, September 5, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-trade-war-damage-by-raghuram-rajan-2019-09>.
- Reinert E. S.**, 2008. *How Rich Countries Got Rich and Why Poor Countries Stay Poor*. London, Constable & Robinson.
- Stiglitz J. E.**, 2018. The US is at Risk of Losing a Trade War with China. *Project Syndicate*, July 30, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-loses-trade-war-with-china-by-joseph-e--stiglitz-2018-07?barrier=accesspaylog>.

- Thomas V., Nash J., et al., 1991.** *Best Practices in Trade Policy Reform*. Washington, D. C., The World Bank.
- Wong C.-H., Kirmani N., eds., 1997.** *Trade Policy Issues*. Washington, DC, The IMF.
- Yarbrough B. V., Yarbrough R. M., 1997.** *The World Economy: Trade and Finance*. Fort Worth, The Dryden Press.
- Новиков Я. А., 2002 [1890].** Протекционизм. В кн.: *Заблуждения протекционизма*. Москва, ООО «Социум», ЗАО Издательство «Экономика», 2002.
- Портер М., 1993.** *Международная конкуренция*. Москва, Международные отношения.
- Райнерт Э. С., 2015.** *Как богатые страны стали богатыми, и почему бедные страны остаются бедными*. Москва, Издательский дом Высшей школы экономики.
- Самнер У., 2002 [1893].** Протекционизм, или Теория происхождения богатства от непроизводительного труда. В кн.: *Заблуждения протекционизма*. Москва, ООО «Социум», ЗАО Издательство «Экономика», 2002.
- Томас В., Нэш Дж., и др., 1996.** *Внешнеторговая политика: опыт реформ*. Москва, ИНФРА-М.
- Трейси М., 1995.** *Сельское хозяйство и продовольствие в экономике развитых стран: Введение в теорию, практику и политику*. Санкт-Петербург, «Экономическая школа».

**თავი 11. საგარეო ვაჭრობის რეჟიმი და თავისუფალი ეკონომიკური ზონა**

**§ 11.1. რა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა?**

საგარეო ვაჭრობის რეჟიმთან უშუალო კავშირშია თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრობლემატიკა, რომელზეც, სამწუხაროდ, ტრადიციული ეკონომიკისი, როგორც წესი, დუმს.

ბოლო წლებში საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) იდგა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ საკმაოდ პოპულარულია და მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა (მაგალითად, ავდოკუშინი, 1997; გამსახურდია, 1998; პაპავა, 2007; სიგუა, 2001; ფეიქრიშვილი, 1998; ჩხარტიშვილი, 2001; ნერეთელი, ნათელაური, 1999; Chaisse, Hu, eds., 2019; Farole, Akinci, eds., 2011; Moberg, 2017; Данько, Окрут, 1998; Игнатов, Бутов, 1997; Папова, 2002; Сигуа, 2001a, 2001б, 2001в). სამწუხაროდ, ეს პრობლემა წლების განმავლობაში პოლიტიკური დაპირისპირების პრიზმაში იყო გადაყვანილი, რის გამოც ზონის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მისი შექმნის მიზანშეწონილობის ანალიზს (პაპავა, 2007; Papava, 2007; Папова, 2002) ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებულ ნაწილს (ტერიტორიასა თუ სეგმენტს) წარმოადგენს, სადაც შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემაა შემოღებული, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტებში) არ გამოიყენება.

მსოფლიო პრაქტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის სხვადასხვა ორგანიზაციული და ფუნქციური სტრუქტურაა აპრობირებული. კონცეპტუალური თვალსაზრისით, ზონის ორ სახეობას განასხვავებენ. ერთი მათგანი ტერიტორიულ მიდგომას ეყრდნობა და მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიას წარმოადგენს, სადაც ზონაში დადგენილი ეკონომიკური საქმიანობის რეჟიმი ზონის ყველა რეზიდენტზე ვრცელდება. მეორე, კონცეპტუალური მიდგომა ფუნქციურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს შეღავათიან რეჟიმს, რომელიც გარკვეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ გამოიყენება იმის მიუხედავად, თუ ეკონომიკური აგენტი, რომელიც ამ სახეობის საქმიანობას ეწევა, ქვეყნის რომელ ნაწილში იმყოფება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია, მათი სპეციალიზაციის ნიშნით, ზონების შემდეგ ძირითად სახეობებს განსაზღვრავს: საბაჟო, სავაჭრო, სამრეწველო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სერვისული.

თავისუფალი საბაჟო ზონა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთ უმარტივეს ფორმას წარმოადგენს. მას ტრანზიტული, კონსიგნაციური და სხვა თავისუფალი საწყობები მიეკუთვნება, რომლებშიც საქონელი ქვეყანაში ძირითადად მოქმედი კანონმდებლობიდან განსხვავებულ რეჟიმში განთავსდება. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი საბაჟო ზონების ფუნქციონირება, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული.

ყველაზე ფართოდ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ზონების სხვადასხვა მოდიფიკაციებია გავრცელებული. ისინი, როგორც წესი, შეზღუდულ ტერიტორიულ უბნებს (რომელთა ფართი რამდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრს შეიძლება არც კი აღემატებოდეს) წარმოადგენენ, სადაც სავაჭრო ოპერაციები და საქონლის შეფუთვა, დახარისხება, დადამტკიცება (მათზე შეღავათიანი ეკონომიკური და ფისკალური რეჟიმის გავრცელების პირობებში) ხორციელდება. ასეთი ზონების ორგანიზაციული სტრუქ-

ტურების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია, მათ მიეკუთვნება როგორც ე.წ. „Duty Free“-ის ტიპის მაღაზიები, ასევე, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები, რომლებიც სავაჭრო შეღავათებს ადგენენ.

ისევე, როგორც თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი სავაჭრო ზონებიც, კერძოდ კი, „Duty Free“-ის ტიპის მაღაზიები, საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოქმედებს.

გარდა ამისა, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნევრ-სახელმწიფოთა შეთანხმებაში „თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებაც“ მონაწილეობდა (2009 წლამდე საქართველო იყო ამ სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის წევრი), რომელიც ჯერ კიდევ 1994 წელს დაიდო და შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებასა და ადმინისტრაციული ბერკეტების (კვოტირება, ლიცენზირება, კონტრაქტების რეგისტრაცია და სხვ.) მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობდა. ამასთანავე, საქართველოს ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რვა სახელმწიფოსთან აქვს დადებული. აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებები (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მრავალმხრივი შეთანხმების ჩათვლით) შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ფუნქციური კონცეპტუალური მიდგომით ჩამოყალიბებული თავისუფალი ვაჭრობის ზონები.

სამრეწველო-საწარმოო ზონები საექსპორტო და იმპორტში მცველი პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით იქმნება. ასეთ ზონებში რეგისტრირებული ეკონომიკური აგენტები მნიშვნელოვანი საგადასახადო და სხვა შეღავათებით სარგებლობენ. გარდა ამისა, ასეთ ზონებში საწარმოების რეგისტრაციის, ინვესტირების, მოგების რეპატრიაციის, უცხოელ ფიზიკურ პირთა ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების გამარტივებული ადმინისტრაციული წესები მოქმედებს. ამ ტიპის ზონებთან შეი-

ძლება იქნეს გაიგივებული ვარდების რევოლუციის შემდეგ ფოთსა და ქუთაისში შექმნილი სპეციალური ინდუსტრიული ზონები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კიდევ ერთი სახეობა სამეცნიერო-ტექნიკური ზონებია, რომელთა ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას ტექნოპარკები წარმოადგენს. ამ ზონების ჩამოყალიბების ყველაზე აქტიური პერიოდი XX საუკუნის 70-80-იან წლებზე მოდის. ისინი განსაკუთრებულ სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებენ და მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ირგვლივ კვლევითი, საპროექტო და სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების მიზნით იქმნებიან. სამეცნიერო-ტექნიკური ზონების უმრავლესობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, ვინაიდან მათი შექმნა და შემდგომი ქმედუნარიანობა სერიოზულ სუბსიდირებასა და სხვა სახეობის სახელმწიფო დაფინანსებასთანაა დაკავშირებული.

სერვისული ზონები, როგორც თვით მათი დასახელება მეტყველებს, წარმოადგენს ზონებს, რომელთა სპეციალიზაცია სხვადასხვა სახეობის მომსახურებისათვის (მაგალითად, საბანკო, სადაზღვევო, ტურისტული, სატრანსპორტო და სხვ. საქმიანობისათვის) შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას გულისხმობს. სერვისული ზონების მეტად პოპულარულ სახეობას ოფშორული ზონები წარმოადგენს, რომლებიც, ძირითადად, კუნძულებზე ან ზღვისპირა ტერიტორიებზე იქმნება. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ოფშორული ზონები ხშირად „ჭუჭყიანი ფულის“ („გათეთრების“ მიზნით) დაბანდების და სხვადასხვა სახეობის საფინანსო თაღლითობის ცენტრებად (საყურადღებოა, რომ ასეთი აზრი, არცთუ ისე იშვიათად, სხვა სახეობის თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმართაც გამოითქმება) იქცევა.

საქართველოში გარკვეულ პერიოდში მოქმედი საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა შეიძლება განიხილოს, როგორც საფინანსო მომსახურების ზონის მახინჯი გამოვლინება. მხედველობაში გვაქვს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (1995 წლის ივნისი) და „კომე-

რციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (1996 წლის თებერვალი) საქართველოს კანონების მიღებამდე საბანკო დაწესებულებების შექმნისა და ფუნქციონირებისადმი ქვეყანაში არსებული ლოიალური (და არა ლიბერალური) მიდგომა. 1995 წლის დასაწყისისათვის საბანკო საქმიანობის წარმართვის უფლების ლიცენზია 230 ბანკს გააჩნდა. ასეთი ლიცენზიების მიღება იმ პერიოდში საკმაოდ ადვილი იყო. კომერციული ბანკების სანესდებო კაპიტალის ფორმირების წყაროები, რომლებიც ხშირად არარეალურად შეფასებულ მატერიალურ აქტივებს შეიცავდა, არავითარ შემონმებას არ ექვემდებარებოდა, ბანკების სანესდებო დოკუმენტების მომზადება და ექსპერტიზა ფორმალური მიდგომით ხასიათდებოდა, მათი ხელმძღვანელების პროფესიულ მომზადებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. გარდა ამისა, 1995 წლამდე საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების საქმიანობაზე საზედამხედველო ფუნქციას, ფაქტობრივად, არ ახორციელებდა. ყოველივე ამან საქართველოს საბანკო სფეროში უცხოური კაპიტალი არათუ არ მოიზიდა, არამედ მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები გამოიწვია. კერძოდ, 1994 წელს საქართველოში არაერთი კომერციული ბანკი არსებობდა, რომლის სანესდებო კაპიტალი 500 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას არ აღემატებოდა, რაც იმ პერიოდში არსებული ჰიპერინფლაციით და ზემოთ აღნიშნული ლოიალური სისტემით იყო განპირობებული. ხშირ შემთხვევაში ეს ბანკები მხოლოდ ორ-სამ კლიენტს ემსახურებოდა, საქართველოს ეროვნული ბანკიდან რეფინანსირების კრედიტებს იღებდნენ, რის შემდეგაც აქტიურ საქმიანობას წყვეტდნენ ან მხოლოდ სავალუტო სპეკულაციებს ეწეოდნენ, რასაც ასევე ჰიპერინფლაციური გარემო უწყობდა ხელს.

გარდა ყველა ზემოთ აღწერილი ზონის ნაირსახეობისა, მსოფლიო პრაქტიკაში აგრეთვე კომპლექსური თავისუფალი ზონების შექმნაა მიღებული, რომლებიც ორი ან რამდენიმე სახეობის ზონის შერწყმულ მოდელებს წარმოადგენენ.

## § 11.2. რა ტიპის შეღავათებია შესაძლებელი?

აუცილებელია შევეხოთ პრეფერენციათა კომპლექსს (მაგალითად, მესხია, ნიკოლეიშვილი, 2002, გვ. 247-255), რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს. თითქმის ყველა ტიპის ზონისათვის შემდეგი შეღავათებისა და გამარტივებული მექანიზმების მოქმედებაა დამახასიათებელი:

- საგარეო სავაჭრო შეღავათები, რომლებიც საბაჟო-სატარიფო ლიბერალიზაციას (საბაჟო გადასახადების შემცირება ან მოხსნა, ექსპორტ-იმპორტზე დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის შეღავათიანი სისტემის დანესება და სხვ.) და არასატარიფო შეზღუდვების (ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა, კვოტირება, ლიცენზირება, საგარეო სავაჭრო ოპერაციების განმხორციელებელთა სავალდებულო რეგისტრირება) არარსებობას ეფუძნება;
- ფისკალური შეღავათები, რომლებიც გადასახადების ლიბერალური სისტემის არსებობასთანაა (შესაძლებელია როგორც ცალკეული სახეობის გადასახადების განაკვეთების შემცირება, ასევე მათი საერთოდ გაუქმებაც კი) დაკავშირებული;
- საფინანსო შეღავათები, რომლებიც სხვადასხვა ფორმის სუბსიდიებს, შეღავათიან საკრედიტო სისტემას, მინითა და შენობებით სარგებლობის საარენდო ქირის შემცირებულ განაკვეთებსა და სხვ. შეიცავს;
- სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვების არარსებობა;
- ადმინისტრაციული შეღავათები, რომელთა მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის, ანგარიშგების სისტემის, სავიზო რეჟიმის გამარტივება და სხვ.

საყურადღებოა, რომ ხსენებული შეღავათები მხოლოდ ზონის შიგნით ვრცელდება. შედეგად, ზონიდან ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე საქონლის შეტანა ზუსტად იმ პროცედურებს

ექვემდებარება, რომლებიც მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში, ზოგადად, იმპორტზეა დადგენილი. სწორედ ამიტომ, ქვეყნის მოსახლეობის ზონაში შესვლა შეზღუდულია და მხოლოდ სპეციალური ნებართვითაა შესაძლებელი.

## § 11.3. რისთვის იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

ორგანიზაციული და ფუნქციური ნიშნით კლასიფიკაციის გარდა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები მათი შექმნის მიზეზისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელობის დონის თვალსაზრისითაც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, განვითარებული და, ამასთან, დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნები თავისუფალ ზონებს რეგიონული პოლიტიკის რეალიზების მიზნით ქმნიან. ამის ნათელ გამოვლინებას თუნდაც დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი ზონები წარმოადგენს, რომლებიც ამ ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან მოშორებითაა (მაგალითად, ვირჯინიის კუნძულები) განლაგებული. იმავე არგუმენტით შეიქმნა ზონები რუსეთის ფედერაციის პერიფერიულ რეგიონებშიც, სადაც ცენტრალურ მთავრობას ზოგადად მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების განხორციელება უჭირს.

რაც შეეხება განვითარებად და პოსტკომუნისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პოლიგონებს წარმოადგენს. ასეთ ქვეყნებს ხშირად არ სურთ ან არ შეუძლიათ უცხოური კაპიტალის ნაკადებისათვის თავისი ეკონომიკის სრული გახსნა და განსაკუთრებული სავაჭრო თუ საინვესტიციო პოლიტიკის მთელი ტერიტორიისა და ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით გატარება; ამიტომ ისინი ზონების ჩამოყალიბების მეშვეობით ახორციელებენ ეკონომიკის მხოლოდ და მხოლოდ ლოკალურ „გახსნას“.

ამ ქვეყნებში ზონების შექმნა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და უცხოური და შიგა ინვესტიცი-

ებისათვის გარანტიების უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. ამას თუნდაც ჩინეთის მაგალითი ადასტურებს (მაგალითად, Riccardi, 2015), სადაც ზონების შექმნის პროცესი ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და, პრაქტიკულად, საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ექსპერიმენტს წარმოადგენს. ასეთი დასკვნის სისწორეზე აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში, ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, ზონების (შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთში) შექმნის იდეის პოპულარობა მეტყველებს.

თავისუფალი ზონების შექმნის ყველაზე აქტიური პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდზე მოდის (თუმცა მათი მარტივი ანალოგები XVII-XVIII საუკუნეებშიც კი იყო ცნობილი), რაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური სისუსტით, მათი მთავრობების პოლიტიკური უუნარობითა და ფინანსური შესაძლებლობების სიმცირით იყო განპირობებული. ყოველივე ეს ეკონომიკაში რადიკალური ძვრების განხორციელებას ართულებდა. სწორედ ამ პერიოდზე მოდის ევროპაში ისეთი საერთაშორისო ტიპის ზონების დაარსება, რომელთა საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბენილუქსი, აგრეთვე, ევროგაერთიანების შექმნის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები (ფოლადისა და ნახშირის ევროპული გაერთიანება).

XX საუკუნის 60-70-იან წლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მსხვილი კოლონიური იმპერიების ნგრევის პროცესით იყო განპირობებული. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში შექმნილი ზონები გაცილებით ნაკლები წარმატებულობით ხასიათდებოდა, ვიდრე თავის დროზე ევროპაში დაარსებული. ამის უმთავრესი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ამ ქვეყნებში საწყისი წარმოებრივი და ტექნოლოგიური ბაზა, შესაბამისი გამოცდილება და სათანადო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა. იმ პერიოდისათვის, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კრიზისი უკვე დაძლეული იყო და მსოფლიოს ინტეგრაციულმა პროცესებ-

მა საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, ზემოაღნიშნული ფაქტორები განვითარებად სამყაროში თავისუფალი ეკონომიკური ზონების წარმატებული ფუნქციონირების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დადებითი მაგალითებიც არსებობს; კერძოდ, ბრაზილიის ზონა „მანაუსი“, არგენტინის „ცეცხლოვანი მინა“, ფილიპინებისა და სამხრეთ კორეის რამდენიმე ზონა და სხვ.

XX საუკუნის 80-იან წლებში ზონების დაარსების იდეა სოციალისტურმა ქვეყნებმაც აიტაცეს. იმ პერიოდში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, უაღრესად ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის კრიზისის საწყისი გამოვლინებები უკვე სახეზე იყო, ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში (ჩინეთი, საბჭოთა კავშირი) თავისუფალი ზონები ერთიანი კომუნისტური ტიპის ეკონომიკურ სივრცეში ერთგვარ თავისუფლების „კუნძულებად“ აღიქმებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინეთში ეს პროცესი საკმაოდ კარგად წარიმართა: ძირითადი აქცენტი წარმოებრივ და სამეცნიერო-ტექნიკურ ზონებზე გაკეთდა და 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის იქ მრავალი ზონა (მათ შორის, 20-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური) ფუნქციონირებდა.

## § 11.4. რას გვასწავლის საერთაშორისო გამოცდილება?

თავისუფალი ზონების ეკონომიკური ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ამას ადასტურებს მსოფლიოს 26 ქვეყანაში ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო ხელისუფლების მიერ გასანევი დანახარჯები უცხოური ინვესტიციის ყოველ 1 დოლარზე საშუალოდ 4 დოლარს შეადგენს. მაგალითად, ჩინეთის ოთხ ზონაში ჩადებული უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა საკუთრივ ჩინეთის მიერ

განხორციელებულმა ინვესტიციებმა და ხარჯებმა 22 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

დღეისათვის სერიოზული უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო და ადმინისტრაციული შეღავათები სულაც არ წარმოადგენს ინვესტიციების ჩადების მიმზიდველობის ერთადერთ ფაქტორს. ინვესტორებისათვის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში განვითარებული ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, წარმოებრივი და სასაწყობო შენობა-ნაგებობები, წყალმომარაგება, ენერგომომარაგება და სხვ.), ხოლო მის გარშემო შედარებით მსხვილი მასშტაბის მქონე გასაღების ბაზრის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა ყოველთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამდენად, შეღავათებისა და მუშახელის სიიაფის მიუხედავად, ზონების ფორმირების საწყის ეტაპზე იქ წარმოებული პროდუქცია საკმაოდ მაღალი დანახარჯებით გამოირჩევა და უცხოელი ინვესტორების დასაინტერესებლად აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორის ერთდროული და ურთიერთდაკავშირებული არსებობა. ამის მიღწევა, ერთი შეხედვით, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, გაცილებით უფრო ადვილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკური პოლიტიკის სწორი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის და მათი თანმიმდევრული რეალიზაციის მეშვეობით, ვიდრე ლოკალურად.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილების განხილვის დროს არ შეიძლება ყურადღება ისეთ საკითხზე არ გამახვილდეს, როგორცაა ზონების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით განარჩევენ ჭარბი ინვესტიციების და ინვესტიციური შიშხილის მქონე ქვეყნების ორ ჯგუფს.

*ჭარბი ინვესტიციების მქონე ქვეყნებში* თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და განვითარების პოლიტიკა გამოიყენება იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ინვესტიცია გავიდეს ქვეყნიდან. ამ მიზნით, ქვეყნის ეკონომიკურად შედარებით

ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ქმნიან თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, სადაც ჭარბი ინვესტიციების გარკვეული ნაწილი მაინც იყრის თავს. ამგვარი პოლიტიკა კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ამ ტიპის ქვეყნის ეკონომიკის კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარებას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და განვითარების პოლიტიკას სრულიად სანინალმდეგო შედეგი აქვს *ინვესტიციური შიმშილის მქონე ქვეყნებში*. საგადასახადო და სხვა შეღავათების გამო ინვესტიციები, როგორც უცხოური, ისე მწირი ადგილობრივიც, მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში განხორციელდება, რის გამოც ქვეყნის დარჩენილ ტერიტორიაზე ინვესტიციური შიმშილი კიდევ უფრო გაღრმავდება. შედეგად, ამ ზონებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება სხვა რეგიონებში მისი გაუარესების ხარჯზე, რადგან ის მწირი ადგილობრივი ინვესტიციაც კი, რომელიც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მოცემულ რეგიონში, რომელიმე თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში გადაინაცვლებს. საბოლოო ჯამში, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა-განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ხელს უწყობს ამ ტიპის ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაღრმავებას და ეკონომიკის მხოლოდ ე.წ. „ოაზისურ“ რეგიონებში განვითარებას.

## § 11.5. საქართველოს გამოცდილება<sup>1</sup>

საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა ძალზე აქტუალური გახდა და ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ამ დროს საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ბარიერები გამოიყენებოდა; მაგალითად, გადასახადით არა

<sup>1</sup> წინამდებარე პარაგრაფი წარმოადგენს მოცემულ თავში განხილული პრობლემის საილუსტრაციო მასალას.

მარტო იმპორტი, არამედ ექსპორტიც იბეგრებოდა, ხოლო პროდუქციის ცალკეულ სახეობებზე სხვადასხვა არასატარიფო შეზღუდვა (აკრძალვა, კვოტირება, ლიცენზირება, სავალდებულო რეგისტრირება) გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დადგა თავისუფალი ეკონომიკური ზონების, როგორც ბიზნესის წარმართვის ოაზისების, შექმნა და ამის ინიციატორად აჭარის იმდროინდელი ხელმძღვანელობა მოგვევლინა. ეს ინიციატივა არც სხვა რეგიონებს დარჩათ შეუძინველი და მსგავსი მოთხოვნა ფოთის, თბილისის (აეროპორტის მახლობელი ტერიტორიის გამოყენების იდეით), ყაზბეგის, ლაგოდეხისა და ახალქალაქის ხელმძღვანელობამაც გაიმეორა.

სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში ძალზე გააქტიურდა მთავრობის მუშაობა ზონისათვის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. საყურადღებოა, რომ, იმავდროულად, მთავრობამ დაიწყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები და მათ შორის საგარეო ვაჭრობის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც არასატარიფო შეზღუდვები საერთოდ გაუქმდა, ექსპორტი სრულად გათავისუფლდა დაბეგვრისაგან, ხოლო ის იმპორტირებული ნედლეული, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად, ასევე გათავისუფლდა დაბეგვრისაგან. 1996 წლიდან უცხოელი ინვესტორის მიერ მიღებული მოგების რეპატრიაცია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშეა ნებადართული, ხოლო 1997 წლიდან კი გაუქმებულია შეზღუდვები სავალუტო ოპერაციებზეც. ამ ვითარებაში კი, როცა ქვეყანამ აიღო კურსი ღია ეკონომიკის შექმნაზე, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა აშკარად გაფერმკრთალდა, რადგანაც ზონისათვის შესაძლო შეღავათების მინიჭების სფერო არსებითად შეიზღუდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კი, თბილისთან ურთიერთობის ხელოვნური დაძაბვის მიზნით, კვლავ მოითხოვდა თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას და ჯიუტად არ აქცევდა ყურადღებას იმას, რომ ზონისათვის დამახასიათებელი შესაძლო ძირითადი

შელავათები უკვე მთლიანად ქვეყანას გააჩნდა. თავისი მოთხოვნისათვის მეტი დამაჯერებლობის მიცემის მიზნით, მოგვიანებით აჭარის ხელმძღვანელობამ ჩინელი ექსპერტები დაიქირავა და მათ მოამზადებინა შესაბამისი კანონპროექტი სპეციალური ეკონომიკური ზონის შესახებ. საინტერესოა, რომ მასში სიტყვა „სპეციალურს“ იგივე შინაარსობრივი დატვირთვა მიეცა, რაც სიტყვა „თავისუფალს“ აქვს. ერთადერთი ეკონომიკური შეღავათი, რაც ჩინელმა ექსპერტებმა კანონპროექტში გაითვალისწინეს, ეს მოგების გადასახადის განახევრება იყო: ზონისათვის სხვა შეღავათების მინიჭება კი პრაკტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან, როგორც აღინიშნა, თავად ქვეყანა უკვე იყო მოქცეული შეღავათიან საგარეო ეკონომიკურ რეჟიმში. ჩინელების მიერ მომზადებული კანონპროექტის ყველაზე სუსტი მხარე სწორედ ამ საგადასახადო შეღავათში იყო: თუ, ავტორთა აზრით, მოგების გადასახადის განახევრება საკმარისი იყო ზონაში ეკონომიკური საქმიანობის ხელშესაწყობად, მაშინ უმჯობესი იქნებოდა, მოგების დაბეგვრის ეს რეჟიმი გავრცელებულიყო მთელ ქვეყანაზე და არა მხოლოდ რომელიმე მის ზონაზე.

თუკი ვარდების რევოლუციამდე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეამ „ღია კარის მტვრევის“ ელფერი შეიძინა, მაშინ ლოგიკურად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რა შეიცვალა რევოლუციის შემდეგ ისეთი, რამაც ამ იდეას ახალი სიცოცხლე შთაბერა.

საკითხში გარკვეული ადამიანისათვის ზონის შექმნის იდეის აქტუალიზაცია მხოლოდ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეჟიმების გაუარესებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. სინამდვილეში, მსგავსი არაფერი მომხდარა. უფრო მეტიც, კიდევ უფრო ლიბერალური გახდა იმპორტის დაბეგვრა – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სამშენებლო მასალების ზოგიერთი სახეობის გარდა, საბაჟო ტარიფი საერთოდ განუღდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მთელ ქვეყანაში არსებითად გამარტივდა ბიზნესის დანყების ბიუროკრატიული პროცედურები.

რაც შეეხება საქართველოში უცხოელთა უვიზო შემოსვლას, თუ ამ რეჟიმით ადრე მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ზოგიერთი წევრი-ქვეყნის მოქალაქე სარგებლობდა, ვარდების რევოლუციის შემდეგ მიღებულ იქნა გადანყვეტილება, რომლის თანახმადაც, ეს რეჟიმი აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, შვეიცარიის, იაპონიის, ისრაელის და სხვ. სახელმწიფოთა მოქალაქეებზეც გავრცელდა. მაშასადამე, შესაქმნელი ზონისათვის ვერც ამ შეღავათის მინიჭება არის შესაძლებელი.

შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო უაზრო გახადა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა. მიუხედავად ამისა, მიღებულ იქნა კანონი „სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ“, რომელიც გადასახადებისაგან სრულ გათავისუფლებასა და ნებისმიერი ვალუტის შეუზღუდავი გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს. საყურადღებოა, რომ ტერმინ „ინდუსტრიულს“ რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა არ გააჩნია, რადგან ზონაში კანონით განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობათა სპექტრი გასცდა ამ ტერმინის საყოველთაოდ აღიარებულ შინაარსს და ის უფრო ტერმინ „ეკონომიკურის“ სინონიმადაა გამოყენებული.

თავიდანვე აშკარა იყო, რომ გადანყვეტილება საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ მხოლოდ ფოთით ვერ შემოიფარგლებოდა (თუმცა დასაწყისში მთავრობის მიერ სწორედ ასეთი განცხადებები კეთდებოდა): კანონი ზოგადია, რის გამოც არაერთი, მათ შორის, უცხოელი ლობისტი, რომ არაფერი ვთქვათ მაჟორიტარ დეპუტატებზე, შეეცდება ასეთი ზონების შექმნას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. საყურადღებოა, რომ ფოთს ქუთაისი და თბილისი მოჰყვა. თუ ეს რიგი გაგრძელდა, მაშინ საქართველოს ემუქრება „საგადასახადო საცერის“ შექმნის საფრთხე, როცა ქვეყნის მასშტაბით შეიქმნება ისეთი საგადასახადო ოაზისების ქსელი, სადაც განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა არ დაიბეგრება. ეს კი, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტს სერიოზულად დააზარალებს.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ზონაში უცხოელები თავისუფლად ივლიან, ხოლო ჩვენი მოქალაქეები კი მხოლოდ სპეციალური ნებართვებით თუ შევლენ იქ. ახლა კი წარმოვიდგინოთ ისეთი სიტუაცია, როცა ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქენი მათ საზღვართან მეტ-ნაკლებად ახლოს მდებარე ეთნიკურად მონათესავე ხალხებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში შექმნილ პოტენციურ ზონებში თავისუფლად ივლიან (ისევე, როგორც დღესაც დადიან), ხოლო საქართველოს იქ არმომუშავე მოქალაქეებს კი ამ ტერიტორიებზე შეღწევის შესაძლებლობა შეეზღუდება. ეს კი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს აშკარად ეწინააღმდეგება.

დასასრულ, საქართველო, სამწუხაროდ, ინვესტიციური შიმშილის მქონე ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, რის გამოც თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით ის ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაღრმავების საფრთხის წინაშე დგას (იხ. §11.5).

### გამოყენებული ლიტერატურა

- ავდოკუშინი ე. ფ.**, 1997. *თავისუფალი ეკონომიკური ზონები*. თბილისი, „ლამპარი“.
- გამსახურდია გ.**, 1998. საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხისათვის. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 7.
- მესხია ი.**, ნიკოლეიშვილი ო., 2002. *გადასახადები და დაბეგვრა*. თბილისი, ფსკი.
- პაპავა ვ.**, 2007. *თავისუფალი ეკონომიკური ზონა – „უკვდავი იდეა“*. ექსპერტის აზრი, № 2. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, [http://www.gfsis.net/pub/files/publications\\_economics/EXPERT\\_OPINION\\_VLADIMIR\\_PAPAVA\\_GEO.pdf](http://www.gfsis.net/pub/files/publications_economics/EXPERT_OPINION_VLADIMIR_PAPAVA_GEO.pdf).

- სიგუა გ.**, 2001. თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიოსა და უკრაინაში. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 3.
- ფეიქრიშვილი მ.**, 1998. საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. თბილისი, „მეცნიერება“.
- ჩხარტიშვილი დ.**, 2001. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პრიორიტეტები საქართველოში. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – ეკონომიკა*, № 332.
- ნერეთელი გ.**, ნათელაური ი., 1999. თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მათი შექმნის შესაძლებლობები საქართველოში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია*, ტომი 7, № 1-2.
- Chaisse J., Hu J.**, eds., 2019. *International Economic Law and the Challenges of the Free Zones*. Alphen aan den Rijn, Wolters Kluwer.
- Farole T., Akinci G.**, eds., 2011. *Special Economic Zones: Progress, Emerging Challenges, and Future Directions*. Washington, DC, World Bank Publications.
- Moberg L.**, 2017. *The Political Economy of Special Economic Zones: Concentrating Economic Development*. Abingdon, Routledge.
- Papava V.**, 2007. *The „Immortal“ Idea of a Free Economic Zone*. Expert Opinion, No. 2, Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies [http://www.gfsis.net/pub/files/publications\\_economics/EXPERT\\_OPINION\\_VLADIMIR\\_PAPAVA\\_ENG.pdf](http://www.gfsis.net/pub/files/publications_economics/EXPERT_OPINION_VLADIMIR_PAPAVA_ENG.pdf).
- Riccardi L.**, 2015. *Investing in China through Free Trade Zones*. Berlin, Springer.
- Данько Т. П.**, Окрут З. М., 1998. *Свободные экономические зоны в мировом хозяйстве*. Москва, ИНФРА-М.
- Игнатов В.**, Бутов В., 1997. *Свободные экономические зоны. Методические и организационные основы. Правовой и налоговый режим. Нормативная база*. Москва, «Ось-89».
- Папава В.**, 2002. О целесообразности формирования свободных экономических зон и опыт Грузии. В сб.: *Проблемы развития внешнеэкономических связей и привлечения иностранных инвестиций: региональный аспект*. Часть I. Донецк, Донецкий национальный университет.
- Сигуа Г. В.**, 2001a. Свободные экономические зоны в некоторых странах с

переходной экономикой: опыт и проблемы. В сб.: *Внешняя торговля: проблемы и перспективы*. № 4, Киев (на украинском языке).

**Сигуа Г. В.**, 2001б. Роль СЭЗ в формировании открытой экономики в Китае. *Вестник Киевского национального университета им. Тараса Шевченко – Международные отношения*, Вып. № 19 (на украинском языке).

**Сигуа Г. В.**, 2001в. Основные итоги и проблемы развития СЭЗ в Украине. *Вестник Киевского национального университета им. Тараса Шевченко – Международные отношения*, Вып. № 20 (на украинском языке).

## § 12.1. ეკონომიკური ზრდა და მკვეთრი ზრდის ეფექტის პრობლემა

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და მის შესწავლას არაერთი საყურადღებო ნაშრომი აქვს მიძღვნილი (მაგალითად, ნადარაია, გორგოძე, უტიაშვილი, შარუმაშვილი, 2013; უეილი, 2016; Acemoglu, 2009; Hudson, 2015; Mokyr, 2016; Weil, 2005; Барро, и Сала-и-Мартин, 2010).

ეკონომიკური ზრდის გაზომვის ამოცანათა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე.წ. „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ პრობლემა, რის გამოც ეკონომისტები ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების უშუალო სივრცობრივ შედარებას ვერ ახერხებენ.

პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში გამოირიცხოს ხსენებული მკვეთრი ზრდის ეფექტი (პაპავა, 2014; Papava, 2012, 2014, 2016; Папавა, 2013).

ეკონომიკური ზრდის გასაზომად, როგორც ცნობილია, გამოიყენება ორი ტიპის მაჩვენებელი. ერთია მთლიანი სამამულო პროდუქტის (პაპავა, სილაგაძე, 2019ა, 2019ბ) (ასევე შესაძლებელია მთლიანი ეროვნული პროდუქტის) ზრდის ტემპი ( $R$ ), ხოლო მეორე რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ნაზრდის ტემპი ( $r$ ). პირველი გაიანგარიშება, რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის შესადაო მაჩვენებლის ( $Y^I$ ) მის ბაზურ მაჩვენებელზე ( $Y^0$ ) გაყოფით:

$$R = \frac{Y^I}{Y^0} \cdot \quad (12.1)$$

მთლიანი სამამულო პროდუქტის ნაზრდის ტემპის გასაანგარიშებლად რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ნაზრდს ( $\Delta Y = Y^t - Y^0$ ) ყოფენ რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ბაზურ მაჩვენებელზე ( $Y^0$ ):

$$R = \frac{\Delta Y}{Y^0} \quad (12.2)$$

(12.1)-დან და (12.2)-დან გამომდინარე ეკონომიკური ზრდის ამ ორ მაჩვენებელს შორის შემდეგი თანაფარდობა ყალიბდება:

$$R = I + r.$$

ეკონომიკური ზრდის გასაზომად ამ ორი მაჩვენებელიდან უფრო ხშირად მეორე – რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ნაზრდის ტემპი გამოიყენება.

ცნობილია, რომ ერთ-ერთ პრობლემას ეკონომიკური ზრდის გაზომვისას ქვეყნებისა თუ რეგიონების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შედარება წარმოადგენს. პრობლემის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ რადგან კაპიტალი კლებადი უკუგებით ხასიათდება, ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონის მქონე ქვეყნებში. ეს მოვლენა – „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ (ინგლისურად – „Catch-Up Effect“ (Mankiw, 2004, pp. 546-547), ხოლო მისი რუსული თარგმანის მიხედვით კი, «Эффект бы-строго старта»-ს (Мэнкью, 1999, сс. 523-524)) სახელითაა ცნობილი (მენქიუ, 2008, გვ. 532-531).

მკვეთრი ზრდის ეფექტის საილუსტრაციოდ ავიღოთ მსოფლიო ბანკის მონაცემები, რომლის თანახმადაც, საქართველოს რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი, მაგალითად, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 6,2 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც აშშ-ის რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი – მხოლოდ 2,6 პროცენტით (WB, 2019a). აშკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის უშუალო შედარება აშშ-ის

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან მცდარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა, ანუ იმის თქმა, რომ საქართველოს ეკონომიკა 2,4-ჯერ (6,2 : 2,6) უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე აშშ-ისა, მცდარია, რადგანაც აუცილებელია მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინება.

ბუნებრივია, რომ მხოლოდ მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ იქნება შესაძლებელი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და ეკონომიკურად შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შედარება. მაშასადამე, აუცილებელია მკვეთრი ზრდის ეფექტის გასაზომად შესაბამისი კოეფიციენტის დადგენა, რომლის საშუალებითაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კორექტირება უნდა მოხდეს.

## § 12.2. პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზა

ეკონომიკური განვითარების დონის შეფასების განმაზოგადებელი მაჩვენებელი არის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ( $y$ ), რომელიც მთლიანი სამამულო პროდუქტის ( $Y$ ) მოსახლეობის რიცხვობაზე ( $N$ ) გაყოფით მიიღება:

$$y = \frac{Y}{N}. \quad (12.3)$$

საყურადღებოა, რომ ამ მაჩვენებლით ქვეყნების თუ რეგიონების ერთმანეთთან შესადარებლად მთლიანი სამამულო პროდუქტი აშშ-ის დოლარებში (მისი მსყიდველობითი უნარის პარტიტის) იზომება.

თუკი დაგუბრუნდებით საქართველოსა და აშშ-ის მაგალითს, ადვილად დავინახავთ, რომ, იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში იმავე 2010 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე იყო 3 073,5 აშშ დოლა-

რის ტოლი, ხოლო აშშ-ში კი – 48 466,8 აშშ დოლარის ტოლი (WB, 2019b). სხვა სიტყვებით, აშშ-ის ეკონომიკა 15,8-ჯერ (48 366,8 : 3 073,5) უფრო დიდია, ვიდრე საქართველოსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის ეკონომიკის ერთი პროცენტით ზრდა ბევრად უფრო რთულად მიღწევადია, ვიდრე საქართველოსი, რაც, რა თქმა უნდა, მკვეთრი ზრდის ეფექტით აიხსნება.

ლოგიკურად დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ, რადგან აშშ-ის ეკონომიკა 2010 წელს 15,8-ჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე საქართველოსი, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, აშშ-ში საქართველოსთან შედარებით 15,8-ჯერ უფრო რთული იყო საქართველოს შესატყვისი დონის ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ამგვარი მსჯელობით ჩვენ დავუშვით შემდეგი ჰიპოთეზა:

*თუ ერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე  $a$ -ჯერ უფრო დიდია, ვიდრე მეორე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მაშინ პირველ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის იმავე დონის მიღწევა, რაც მეორე ქვეყანაში იქნა მიღწეული, ასევე  $a$ -ჯერ უფრო რთულია.*

**ამ დაშვებას მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზა ვუწოდოთ, ან მოკლედ – პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზა.**

პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის მათემატიკურად აღწერისათვის  $\alpha_{ij}$ -ით აღვნიშნოთ ის, თუ რამდენჯერ მეტია მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე  $i$ -ურ ქვეყანაში ( $y_i$ )  $j$ -ური ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან ( $y_j$ ) შედარებით, ანუ

$$\alpha_{ij} = \frac{y_i}{y_j}. \quad (12.4)$$

მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის არსიდან გამომდინარე,  $\alpha_{ij}$ -ის  $i$ -ური ქვეყნისათვის  $j$ -ური ქვეყნის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი, მოკლედ, პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი ვუწოდოთ.

თუ  $j$ -ურ ქვეყანაში ფაქტობრივმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა  $r_j$ , მაშინ  $j$ -ურ ქვეყანაში  $i$ -ური ქვეყნის ეკვივალენტური ზრდა, მკვეთრი ზრდის ეფექტის გადაფარვის ჰიპოთეზის გათვალისწინებით, იქნება

$$r_{ij}^* = \frac{r_j}{\alpha_{ij}}. \quad (12.5)$$

მაშასადამე,  $r_{ij}^*$  არის  $j$ -ური ქვეყნის ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა, რომელიც  $i$ -ური ქვეყნის ეკვივალენტურ ზრდად უნდა ჩაითვალოს. მოკლედ  $r_{ij}^*$ -ის  $j$ -ური ქვეყნის ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა ვუნდოდოთ.

თუ  $i$ -ური ქვეყნის ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდას ( $r_i$ )  $j$ -ური ქვეყნის ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე ( $r_{ij}^*$ ) გავყოფთ, მივიღებთ სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რეალურად რამდენჯერ აღემატება  $i$ -ური ქვეყნის ეკონომიკური ზრდა  $j$ -ური ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. კერძოდ, (12.3)-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\beta_{ij} = \frac{r_i}{r_{ij}^*} = \frac{r_i}{r_j} \alpha_{ij}. \quad (12.6)$$

საქართველოსა და აშშ-ის ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 6,2 პროცენტი შეადგინა, ხოლო აშშ-ის ეკონომიკა 15,8-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე საქართველოსი, გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკის 6,2-პროცენტიანი ზრდა აშშ-ის ეკონომიკის 0,39 (6,2 : 15,8)-პროცენტიანი ზრდის ეკვივალენტური იყო. ხოლო ის, რომ აშშ-ის ეკონომიკა 2010 წელს 2009 წელთან შედარებით ფაქტობრივად 2,6 პროცენტით გაიზარდა, ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის გათვალისწინებით, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 6,7-ჯერ (2,6 : 0,39) უფრო მეტად გაზრდილა, და არა 2,4-ჯერ უფრო ნაკლებად, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, რაც ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების უშუალო შედარებით გამოვიდა.

(12.2)-(12.5)-ის გათვალისწინებით, (12.6) შეიძლება ჩაინეროს ასეც:

$$\beta_{ij} = \frac{\frac{\Delta Y_i}{N_i}}{\frac{\Delta Y_j}{N_j}} = \frac{Y_i}{Y_j}$$

სადაც  $y_i$  და  $y_j$ , შესაბამისად,  $i$ -ურ და  $j$ -ურ ქვეყანაში რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ნაზრდია მოსახლეობის ერთ სულზე.

## § 12.3. ინვარიანტულობის პრინციპი

როდესაც ერთმანეთთან  $m$  რაოდენობის ქვეყანაა შესადარებელი, მაშინ შესაძლოა ორი მიდგომა იქნეს გამოყენებული. პირველის თანახმად, უნდა შეირჩეს ის ე.წ. „ეტალონური“ ქვეყანა, რომლის მთლიანი სამამულო პროდუქტიც მოსახლეობის ერთ სულზე აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს და მისი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიმართ უნდა განხორციელდეს დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების რანჟირება. ამ მიდგომას ერთი ტექნიკური ხარვეზი აქვს. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მაქსიმალური სიდიდე, მაგალითად, 2009 წელს დაფიქსირდა მონაკოში და უდრიდა 154 762,2 აშშ დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო ყველაზე მინიმალური კი ბურუნდში – 212,1 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე (WB, 2019b), რაც იმას ნიშნავს, რომ ლუქსემბურგისათვის ბურუნდის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი უდრის 730-ს (154 762,2 : 212,1), რაც იმდენად მაღალი მაჩვენებელია, რომ მისი გამოყენებისას ბურუნდის ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა 2010 წელს იქნება 0,007 (5,1 : 730), რაც, მაგალითად, მეათედამდე დამრგვალების შედეგად ნულდება. მსგავსი პრობლემა არაერთ სხვა ქვეყანასთან მიმართებაშიც იჩენს თავს.

ამიტომ, უმჯობესია, ავიღოთ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის გასაშუალოებული მაჩვენებე-

ლი და მის მიხედვით განვახორციელოთ ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების რანჟირება.

$m$  ( $i = 1, 2, \dots, m$ ) რაოდენობის ქვეყნისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის გასაშუალოებული მაჩვენებელი  $\bar{y}$  (3)-ის თანახმად გაიანგარიშება, როგორც საშუალო შენონილი სიდიდე:

$$\bar{y} = \frac{\sum_i^m y_i N_i}{\sum_i^m N_i} = \frac{\sum_i^m Y_i}{\sum_i^m N_i}, \quad (12.7)$$

სადაც,  $Y_i$  –  $i$ -ური ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობაა, ხოლო  $N_i$  –  $i$ -ური ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა.

თუ  $m$  ქვეყანა ერთად მთელ მსოფლიოს მოიცავს, მაშინ (12.7) არის მსოფლიოში წარმოებული მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა მსოფლიოს მოსახლეობის ერთ სულზე. 2009 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 8 820,9 აშშ დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე (WB, 2019b).

(12.4)-ის გათვალისწინებით  $m$  ქვეყნის საშუალო ეკონომიკური დონისათვის  $j$ -ური ქვეყნის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი „ $\bar{\alpha}_j$ “ იქნება:

$$\bar{\alpha}_j = \frac{\bar{y}}{y_j}. \quad (12.8)$$

(12.5)-ის მსგავსად  $j$ -ური ქვეყნის ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა ( $\bar{r}_j^*$ ), ანუ  $j$ -ურ ქვეყანაში  $m$  ქვეყნის გასაშუალოებული ეკონომიკური ზრდის ეკვივალენტური ზრდა, მკვეთრი ზრდის ეფექტის გადაფარვის ჰიპოთეზის გათვალისწინებით, იქნება

$$\bar{r}_j^* = \frac{r_j}{\bar{\alpha}_j}. \quad (12.9)$$

თუ  $\bar{r}$ -ით  $m$  ქვეყნის გასაშუალოებულ ეკონომიკურ ზრდას აღვნიშნავთ, მაშინ (12.2)-ის გათვალისწინებით  $\bar{r}$  გაიანგარიშება აი ასე:

$$\bar{r} = \frac{\sum_i^m \Delta Y_i}{\sum_i^m Y_i^0}. \quad (12.10)$$

თუ  $m$  ქვეყანა ერთად მთელ მსოფლიოს მოიცავს, მაშინ (12.10) მსოფლიოში გასაშუალოებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელია. 2010 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 4,3-ს (WB, 2019b).

(12.6)-დან გამომდინარე,  $\bar{\beta}_j$  გვიჩვენებს, თუ რეალურად რამდენჯერ აღემატება  $m$  ქვეყნის მიხედვით გასაშუალოებული ეკონომიკური ზრდა  $j$ -ური ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ანუ

$$\bar{\beta}_j = \frac{\bar{r}}{\bar{r}_j^*} = \frac{\bar{r}}{\bar{r}_j} \bar{\alpha}_j. \quad (12.11)$$

ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რა თანაფარდობაშია ამ ორი გზით (როცა მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს და როცა აიღება მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნების ჯგუფის მიხედვით გასაშუალოებული მაჩვენებელი) მიღებული სიდიდეები.

არ არის რთული იმის ჩვენება, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რა მიიღება საფუძვლად ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის დასაზუსტებლად (ანუ ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გასაანგარიშებლად), მიღებულ დაზუსტებულ მაჩვენებლთა შეფარდება უცვლელია.

ამ დებულების დასამტკიცებლად ცალკ-ცალკე განვიხილოთ ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, რომლებიც გათვლილი იქნება ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის გასაშუალოებული მაჩვენებლის მიხედვით.

(12.4)-სა და (12.5)-ის გათვალისწინებით,

$$r_{ij}^* = \frac{r_i y_j}{y_i}. \quad (12.12)$$

(12.12)-ის საფუძველზე  $j$ -ური ქვეყნის ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდის (რომელიც  $i$ -ური ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესატყვისია) შეფარდება  $i$ -ური ქვეყნის ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდასთან ტოლი იქნება:

$$\frac{r_{ij}^*}{r_i} = \frac{r_j}{r_i} \cdot \frac{y_j}{y_i}. \quad (12.13)$$

ანალოგიურად, (12.8) და (12.9)-ის გათვალისწინებით,  $j$ -ური და  $i$ -ური ქვეყნებისთვის გვექნება:

$$\bar{r}_j^* = \frac{r_j y_j}{\bar{y}}, \quad (12.14)$$

$$\bar{r}_i^* = \frac{r_i y_i}{\bar{y}}. \quad (12.15)$$

(12.14)-ის შეფარდება (12.15)-თან, ანუ  $j$ -ური ქვეყნის ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის შეფარდება  $i$ -ური ქვეყნის ჰიპოთეტურ ეკონომიკურ ზრდასთან ტოლი იქნება:

$$\frac{\bar{r}_j^*}{\bar{r}_i^*} = \frac{r_j \cdot y_j}{r_i \cdot y_i}. \quad (12.16)$$

თუ (12.13)-ს შევადარებთ (12.14)-ს, მივიღებთ:

$$\frac{r_{ij}^*}{r_i} = \frac{\bar{r}_j^*}{\bar{r}_i^*}. \quad (12.17)$$

(12.17)-ის საფუძველზე შეიძლება ინვარიანტულობის პრინციპის ჩამოყალიბება.

**ინვარიანტულობის პრინციპი.** ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შეფარდება, რომლებიც მკვეთრი ზრდის ეფექტის ზეგავლენას გამორიცხავს, არ არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დონის იმ მაჩვენებლების შერჩევაზე, რომელთა საფუძველზეც გამოითვლება პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტები.

ინვარიანტულობის პრინციპის არსებობა ადასტურებს, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში მკვეთრი ზრდის ეფექტის ზეგავლენის ელიმინირების შემოთავაზებული მეთოდი არ არის წინააღმდეგობრივი და შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული მიზნებისათვის (მაგალითად, Habibullah, Din, Sanusi, 2017).

აქვე იმასაც უნდა გაეცვას ხაზი, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის შეფასების შემოთავაზებული მიდგომა შეიძლება განვითარდეს პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის სრულყოფის საფუძველზე.

ზემოთ მოცემულ მეთოდზე დაყრდნობით, განვიხილოთ პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები დიდი ოცეულის ქვეყნებში.

## § 12.4. დიდი ოცეულის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა პოსტკრიზისულ პერიოდში

როგორც ცნობილია, დიდ ოცეულში შედის არა მარტო ქვეყნები, არამედ ევროკავშირიც. რადგან ეკონომიკური ზრდის შესწავლის ამოცანა უშუალოდ ეხება დიდი ოცეულის ქვეყნებს, ამიტომ შემდგომ ანალიზში მოცემულია მასში შემავალი მხოლოდ 19 ქვეყანა.

განვიხილოთ დიდი ოცეულის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები უშუალოდ პოსტკრიზისულ 2010-2013 წლებში (იხ. ცხრილი 12.1) (WB, 2019a).

ეკონომიკური ზრდის 12.1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებით, პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მიხედვით, ლიდერი ქვეყნებია ჩინეთი, ინდონეზია და ინდოეთი. იმავედროულად, უარყოფითი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა იტალიასა და იაპონიაში, ხოლო უმდაბლესი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევიან საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების უშუალო შედარება არ იძლევა რეალური სიტუაციის სწორ შეფასებას ქვეყნებს შორის „განსხვავებული პირობების“ (ანუ ეკონომიკური განვითარების დონეების) გამო.

ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეების მქონე ქვეყნების შედარება შესაძლებელია მხოლოდ მკვეთრი ზრდის ეფექტის ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის გამორიცხვის გზით.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აგრეგირებული ინდიკატორია მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც გაიანგარიშება მთლიანი

სამამულო პროდუქტის მოცულობის გაყოფით მოსახლეობის რაოდენობაზე.

მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, დიდი ოცეულის ქვეყნების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 12.2 (WB, 2019b).

ცხრილი 12.1

**დიდი ოცეულის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები 2010-2013 წლებში**

(პროცენტებში)

№	ქვეყნები	წლები			
		2010	2011	2012	2013
1	არგენტინა	9,1	8,6	0,9	2,9
2	ავსტრალია	2,0	2,3	3,7	2,5
3	ბრაზილია	7,5	2,7	1,0	2,5
4	კანადა	3,4	2,5	1,7	2,0
5	ჩინეთი	10,4	9,3	7,7	7,7
6	საფრანგეთი	2,0	2,1	0,3	0,3
7	გერმანია	4,1	3,6	0,4	0,1
8	ინდოეთი	10,3	6,6	4,7	5,0
9	ინდონეზია	6,2	6,5	6,3	5,8
10	იტალია	1,7	0,6	-2,3	-1,9
11	იაპონია	4,7	-0,5	1,8	1,6
12	მექსიკა	5,1	4,0	4,0	1,1
13	რუსეთი	4,5	4,3	3,4	1,3
14	საუდის არაბეთი	7,4	8,6	5,8	4,0
15	სამხრეთ აფრიკა	3,1	3,6	2,5	1,9
16	სამხრეთ კორეა	6,5	3,7	2,3	3,0
17	თურქეთი	9,2	8,8	2,1	4,1
18	დიდი ბრიტანეთი	1,9	1,6	0,7	1,7
19	აშშ	2,5	1,6	2,3	2,2

**დიდი ოცეულის ქვეყნებში მთლიანი სამამულო პროდუქტი (აშშ დოლარში)**

მოსახლეობის ერთ სულზე 2010-2013 წლები

№	ქვეყნები	წლები			
		2010	2011	2012	2013
1	არგენტინა	11 460,4	13 693,7	14 679,9	14 715,2
2	ავსტრალია	51 800,9	62 133,7	67 524,8	67 458,4
3	ბრაზილია	10 978,3	12 576,2	11 320,0	11 208,1
4	კანადა	47 465,3	51 790,6	52 409,2	51 958,4
5	ჩინეთი	4 433,3	5 447,3	6 092,8	6 807,4
6	საფრანგეთი	40 706,1	43 809,7	40 908,3	42 503,3
7	გერმანია	41 723,4	45 870,6	43 931,7	46 268,6
8	ინდოეთი	1 417,1	1 539,6	1 503,0	1 498,9
9	ინდონეზია	2 946,7	3 469,8	3 551,4	3 475,3
10	იტალია	35 875,7	38 367,3	35 132,2	35 925,9
11	იაპონია	43 117,8	46 203,7	46 679,3	38 633,7
12	მექსიკა	8 920,7	9 802,9	9 817,8	10 307,3
13	რუსეთი	10 709,8	13 324,3	14 090,6	14 611,7
14	საუდის არაბეთი	19 326,6	24 116,2	25 946,0	25 961,8
15	სამხრეთ აფრიკა	7 175,6	7 830,5	7 314,0	6 617,9
16	სამხრეთ კორეა	22 151,2	24 155,8	24 454,0	25 977,0
17	თურქეთი	10 135,7	10 604,6	10 660,7	10 971,7
18	დიდი ბრიტანეთი	38 363,4	40 972,0	41 053,7	41 787,5
19	აშშ	48 377,4	49 803,5	51 495,9	53 042,0

როგორც 12.2 ცხრილიდან ირკვევა, აშშ-ის ეკონომიკა (მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მიხედვით) ჩინეთისას 2013 წელს 7,8-ჯერ აღემატებოდა, ინდონეზიისას – 15,6-ჯერ და ინდოეთისას – 35,4-ჯერ. მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინების გამო, სხვა თანაბარ პირობებში, აშშ-სათვის,

მაგალითად, ერთპროცენტისანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა უფრო რთულია, ვიდრე თითოეული ამ ქვეყნისათვის.

ლოგიკურია დავუშვათ, რომ რადგანაც აშშ-ის ეკონომიკა, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მიხედვით, 2013 წელს 7,8-ჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩინეთის ეკონომიკა, ამიტომ აშშ-სათვის იმავე დონის ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რაც ჩინეთს ჰქონდა, 7,8-ჯერ უფრო რთული იქნებოდა.

მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვისას ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით ქვეყნების შედარებისათვის აუცილებელია ე.წ. „ეტალონი“ ქვეყნის შერჩევა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ამ მაჩვენებლების რანჟირება. იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ოცეულის ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონე (მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მიხედვით) ყველაზე მაღალი ავსტრალიას აქვს, ლოგიკურია, რომ მისი ინდიკატორები გამოვიყენოთ ბაზური გაანგარიშებისათვის (იხ. ცხრილი 12.3).

ცხრილი 12.3

**მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტები**

(ავსტრალიის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობა დიდი ოცეულის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან)

№	ქვეყნები	წლები			
		2010	2011	2012	2013
1	არგენტინა	4,519991	4,537393	4,599813	4,584267
2	ავსტრალია	1	1	1	1
3	ბრაზილია	4,718481	4,940578	5,965088	6,018719
4	კანადა	1,091343	1,19971	1,288415	1,298316

5	ჩინეთი	11,6845	11,40633	11,08272	9,909569
6	საფრანგეთი	1,272559	1,418264	1,650638	1,587133
7	გერმანია	1,241531	1,354543	1,53704	1,457974
8	ინდოეთი	36,55416	40,35704	44,92668	45,00527
9	ინდონეზია	17,57929	17,907	19,01357	19,41081
10	იტალია	1,443899	1,619444	1,92202	1,877709
11	იაპონია	1,201381	1,344778	1,446568	1,746102
12	მექსიკა	5,80682	6,338298	6,877793	6,544721
13	რუსეთი	4,836776	4,663187	4,792188	4,616739
14	საუდის არაბეთი	2,68029	2,57643	2,602513	2,598371
15	სამხრეთ აფრიკა	7,219034	7,934832	9,232267	10,19332
16	სამხრეთ კორეა	2,338514	2,572206	2,761299	2,596851
17	თურქეთი	5,110737	5,859127	6,333993	6,1484
18	დიდი ბრიტანეთი	1,350269	1,516492	1,644792	1,61432
19	აშშ	1,070767	1,247577	1,311266	1,271792

ნებისმიერი ქვეყნის კორექტირებული ეკონომიკური ზრდა, რომელიც „ეტალონური“ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესატყვისი იქნება და რომელიც გაითვალისწინებს მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზას, გაიანგარიშება, როგორც ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების და მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტების თანაფარდობა. ცხრილში 12.4 მოცემულია ეკონომიკური ზრდის კორექტირებული (ანუ ჰიპოთეზური) მაჩვენებლები.

**ეკონომიკური ზრდის კორექტირებელი მაჩვენებლები  
(2010-2013 წლები)**

№	ქვეყნები	წლები			
		2010	2011	2012	2013
1	არგენტინა	2,013279	1,895361	0,19566	0,632598
2	ავსტრალია	2	2,3	3,7	2,5
3	ბრაზილია	1,589495	0,546495	0,167642	0,415371
4	კანადა	3,115429	2,083837	1,319451	1,540458
5	ჩინეთი	0,890068	0,815337	0,694775	0,777027
6	საფრანგეთი	1,571637	1,480684	0,181748	0,18902
7	გერმანია	3,302374	2,657723	0,26024	0,068588
8	ინდოეთი	0,281774	0,16354	0,104615	0,111098
9	ინდონეზია	0,352688	0,362987	0,331342	0,298803
10	იტალია	1,177367	0,370497	-1,19666	-1,01187
11	იაპონია	3,912165	-0,37181	1,244324	0,916327
12	მექსიკა	0,878278	0,631084	0,581582	0,168074
13	რუსეთი	0,930372	0,922116	0,709488	0,281584
14	საუდის არაბეთი	2,760895	3,337952	2,228615	1,539426
15	სამხრეთ აფრიკა	0,42942	0,453696	0,270789	0,186397
16	სამხრეთ კორეა	2,779542	1,438454	0,832941	1,155245
17	თურქეთი	1,800132	1,50193	0,331544	0,66684
18	დიდი ბრიტანეთი	1,407127	1,055067	0,425586	1,053075
19	აშშ	2,334776	1,282486	1,754031	1,729842

ცხრილში 12.5 კი ასახულია ორივე – ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი და კორექტირებული – მაჩვენებლები.

**ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი და კორექტირებული  
მაჩვენებლები (2010-2013 წლები)**

№	ქვეყნები		წლები			
			2010	2011	2012	2013
1	არგენტინა	ფაქტობრივი	9,1	8,6	0,9	2,9
		კორექტირებული	2,0	1,9	0,2	0,6
2	ავსტრალია	ფაქტობრივი	2,0	2,3	3,7	2,5
		კორექტირებული	2,0	2,3	3,7	2,5
3	ბრაზილია	ფაქტობრივი	7,5	2,7	1,0	2,5
		კორექტირებული	1,6	0,5	0,2	0,4
4	კანადა	ფაქტობრივი	3,4	2,5	1,0	2,5
		კორექტირებული	3,1	2,1	1,3	1,5
5	ჩინეთი	ფაქტობრივი	10,4	9,3	7,7	7,7
		კორექტირებული	0,9	0,8	0,7	0,8
6	საფრანგეთი	ფაქტობრივი	2,0	2,1	0,3	0,3
		კორექტირებული	1,6	1,5	0,2	0,2
7	გერმანია	ფაქტობრივი	4,1	3,6	0,4	0,1
		კორექტირებული	3,3	2,7	0,3	0,1
8	ინდოეთი	ფაქტობრივი	10,3	6,6	4,7	5,0
		კორექტირებული	0,3	0,2	0,1	0,1
9	ინდონეზია	ფაქტობრივი	6,2	6,5	6,3	5,8
		კორექტირებული	0,4	0,4	0,3	0,3
10	იტალია	ფაქტობრივი	1,7	0,6	-2,3	-1,9
		კორექტირებული	1,2	0,4	-1,2	-1,0
11	იაპონია	ფაქტობრივი	4,7	-0,5	1,8	1,6
		კორექტირებული	3,9	-0,4	1,2	0,9
12	მექსიკა	ფაქტობრივი	5,1	4,0	4,0	1,1
		კორექტირებული	0,9	0,6	0,6	0,2

13	რუსეთი	ფაქტობრივი	4,5	4,3	3,4	1,3
		კორექტირებული	0,9	0,9	0,7	0,3
14	საუდის არაბეთი	ფაქტობრივი	7,4	8,6	5,8	4,0
		კორექტირებული	2,8	3,3	2,2	1,5
15	სამხრეთ აფრიკა	ფაქტობრივი	3,1	3,6	2,5	1,9
		კორექტირებული	0,4	0,5	0,3	0,2
16	სამხრეთ კორეა	ფაქტობრივი	6,5	3,7	2,3	3,0
		კორექტირებული	2,8	1,4	0,8	1,2
17	თურქეთი	ფაქტობრივი	9,2	8,8	2,1	4,1
		კორექტირებული	1,8	1,5	0,3	0,7
18	დიდი ბრიტანეთი	ფაქტობრივი	1,9	1,6	0,7	1,7
		კორექტირებული	1,4	1,1	0,4	1,1
19	აშშ	ფაქტობრივი	2,5	1,6	2,3	2,2
		კორექტირებული	2,3	1,3	1,8	1,7

როგორც 12.5 ცხრილიდან ჩანს, ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა ჩინეთში, მაგალითად, 2013 წელს იყო 7,7%, ხოლო ავსტრალიაში – მხოლოდ 2,5%, თუმცა ავსტრალიის ეკონომიკა მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის დონით 9,9-ჯერ აღემატებოდა ჩინეთის იმავე მაჩვენებელს. ამრიგად, ჩინეთის 7,7%-იანი ზრდა შეესაბამება ავსტრალიის 0,8%-იან (7,7 : 9,9) ეკონომიკურ ზრდას. დიდი ოცეულის ქვეყნების ამ გზით კორექტირებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ასახულია ცხრილებში 12.4 და 12.5.

ცხრილი 12.6-ის მიხედვით კი, დიდი ოცეულის ლიდერი ქვეყნები, ეკონომიკური ზრდის მიხედვით, არიან ავსტრალია, აშშ, კანადა და საუდის არაბეთი, და არა – ჩინეთი, ინდონეზია და ინდოეთი.

**დიდი ოცეულის ქვეყნების რანჟირება  
ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი და კორექტირებული  
მაჩვენებლების მიხედვით (2010-2013 წლები)**

№	ქვეყნები		წლები			
			2010	2011	2012	2013
1	არგენტინა	ფაქტობრივი	4	3-4	15	7
		კორექტირებული	7-8	5	15-17	10
2	ავსტრალია	ფაქტობრივი	16-17	14	6	8-9
		კორექტირებული	7-8	3	1	1
3	ბრაზილია	ფაქტობრივი	5	12	14	8-9
		კორექტირებული	10-11	14-15	15-17	11
4	კანადა	ფაქტობრივი	13	13	13	11
		კორექტირებული	3	4	4	3-4
5	ჩინეთი	ფაქტობრივი	1	1	1	1
		კორექტირებული	14-16	12	7-8	8
6	საფრანგეთი	ფაქტობრივი	16-17	15	18	17
		კორექტირებული	10-11	6-7	15-17	14-16
7	გერმანია	ფაქტობრივი	11	10-11	17	18
		კორექტირებული	2	2	11-14	17-18
8	ინდოეთი	ფაქტობრივი	2	5	4	3
		კორექტირებული	19	17	18	17-18
9	ინდონეზია	ფაქტობრივი	8	6	2	2
		კორექტირებული	17-18	15-16	11-14	12-13
10	იტალია	ფაქტობრივი	19	18	19	19
		კორექტირებული	13	15-16	19	19

11	იაპონია	ფაქტობრივი	10	19	12	14
		კორექტირებული	1	19	5	7
12	მექსიკა	ფაქტობრივი	9	8	5	16
		კორექტირებული	14-16	13	9	14-16
13	რუსეთი	ფაქტობრივი	12	7	7	15
		კორექტირებული	14-16	11	7-8	12-13
14	საუდის არაბეთი	ფაქტობრივი	6	3-4	3	5
		კორექტირებული	4-5	1	2	3-4
15	სამხრეთ აფრიკა	ფაქტობრივი	14	10-11	8	12
		კორექტირებული	17-18	14-15	11-14	14-16
16	სამხრეთ კორეა	ფაქტობრივი	7	9	9-10	6
		კორექტირებული	4-5	8	6	5
17	თურქეთი	ფაქტობრივი	3	2	11	4
		კორექტირებული	9	6-7	11-14	9
18	დიდი ბრიტანეთი	ფაქტობრივი	18	10-11	16	13
		კორექტირებული	12	10	10	6
19	აშშ	ფაქტობრივი	15	16-17	9-10	10
		კორექტირებული	6	9	3	2

ამკარაა, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვა პრინციპულად ცვლის წარმოდგენას, თუ რომელი ქვეყანაა ეკონომიკური ზრდის მიხედვით რეალურად ლიდერი და რომელი – არა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

**მენქიუ გ.**, 2008. *ეკონომიკის პრინციპები*. თბილისი, „დიოგენე“.

**ნადარაია ო.**, გორგოძე ო., უტიაშვილი დ., და შარუმაშვილი ნ., 2013. ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. *ეკონომიკა და საბანკო საქმე*, ტომი 1, ნომერი 2.

**პაპავა ვ.**, 2014. მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა (პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე). *ეკონომიკა და საბანკო საქმე*, ტომი 2, № 1.

**პაპავა ვ.**, 2016. დიდი ოცეულის მონინავე ქვეყნები პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მიხედვით. ექსპერტის აზრი, № 63. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, <http://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/63-expert-opinion-geo.pdf>.

**პაპავა ვ.**, სილაგაძე ა., 2019ა. ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – „Gross Domestic Product“-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 1.

**პაპავა ვ.**, სილაგაძე ა., 2019ბ. როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი “Gross Domestic Product“. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7.

**უილი დ. ნ.**, 2016. *ეკონომიკური ზრდა*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**Acemoglu D.**, 2009. *Modern Economic Growth*. Princeton, Princeton University Press.

**Habibullah M. S.**, Din B. H., Sanusi N. A., 2017. Economic Growth and Catch-Up Effect Between the Less Developed States and the Richer State of Selangor. *International Journal of Economic Research*, Vol. 14, No. 16 (Part 2).

**Hudson E. A.**, 2015. *Economic Growth: How it Works and how it Transformed the World*. Wilmington, Vernon Press.

**Mankiw N. G.**, (2004). *Principles of Economics*. Mason, Thomson South-Western.

**Mokyr J.**, 2016. *Culture of Growth: The Origins of the Modern Economy*. Princeton, Princeton University Press.

**Papava V.**, 2012. Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *Central Asia and The Caucasus*, Vo. 13, No. 4.

**Papava V.**, 2014. The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth In-

dicators (With the Eastern Partnership Countries as an Example). *Problems of Economic Transition*, Vol. 57, No. 3.

**Папавა В.**, 2016. The Problem of the Catch-Up Effect and Post-Crises Economic Growth in the World Leading Countries. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 10. No. 4.

**WB**, 2019a. GDP growth (annual %). *The World Bank*, <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>.

**WB**, 2019b. GDP per capita (current US\$). *The World Bank*, <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>.

**Weil D. N.**, 2005. *Economic Growth*. Boston, Pearson Education.

**Барро Р. Дж.**, и Сала-и-Мартин Х., 2010. *Экономический рост*. Москва, БИНОМ. Лаборатория знаний.

**Мэнкью Н. Г.**, (1999). *Принципы экономикс*. Санкт-Петербург, Питер Ком.

**Папавა В.**, 2013. Проблема эффекта быстрого старта и пространственное сравнение показателей экономического роста (на примере стран восточного партнерства). *Экономика Украины*, № 1.

**თავი 13. დამწვევი და ჩამორჩენილი ზრდა  
(ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების  
გამოცდილება)**

## **§ 13.1. ეკონომიკური ზრდის ძირითადი ტიპები**

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ის ეკონომიკური ზრდის რომელ მოდელს აირჩევს. ამ დილემის წინაშე, უწინარეს ყოვლისა, დგანან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ეკონომიკური განვითარების დონის იმდენად ამაღლება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გადასვლა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიგში. ეს პრობლემა აქტუალურია ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი-სახელმწიფოებისთვისაც. კერძოდ, ესენია: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი და ხორვატია. დამკვიდრებული ტერმინოლოგიით, ამ ქვეყნების გეოგრაფიულ ერთობლიობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას უწოდებენ. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კი, მთავარია არა მათი გეოგრაფიული მდებარეობა, რამდენადაც მათი ეკონომიკური (და, ზოგადად, სოციალურ-პოლიტიკური) წარმომავლობა მათი ეკონომიკური წარსულის (იგულისხმება მბრძანებლური ეკონომიკა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი) გათვალისწინებით.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს და თანამედროვე საქართველოს, როგორც ცნობილია, აქვთ საერთო ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) წარსული. კერძოდ, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების (ისევე, როგორც ნებისმიერი

პოსტკომუნისტური ქვეყნის) და საქართველოს ეკონომიკის საერთო წარსულია მბრძანებლური ეკონომიკა. თავის მხრივ, კომუნისტური ტიპის მმართველობის და მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები უმძიმესი რეალობის წინაშე დადგნენ: მათი საწარმოების (განსაკუთრებით, მრეწველობაში) უმრავლესობას არ შეეძლო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წამოება. შედეგად, ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ნეკროეკონომიკა (Papava, 2002) (იხ. თავი 5). მის არსებობას დიდად უწყობს ხელს სახელმწიფოს მხრიდან ნეკროსაწარმოების მხარდაჭერა.

საყურადღებოა, რომ როგორც ევროკავშირის, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად შემოდიოდა და შემოდის არა მარტო და არა იმდენად უახლესი, არამედ შედარებით მოძველებული (არცთუ იშვიათად, მეორადი) ტექნოლოგიები, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნებში ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შენარჩუნებას (პაპავა, 2016; Papava, 2016).

ევროკავშირში შემავალი პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, ამ კავშირის შედარებით ახალი წევრი-სახელმწიფოებისთვის, ისევე როგორც მთლიანად ევროკავშირისთვის, დამახასიათებელია ცოდნის ეკონომიკის დამკვიდრების გზით ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტაციის აღება, რაც „ლისაბონის სტრატეგიაში“ გაცხადებული (Мешайкина, 2013, с. 14). ამ კუთხით საინტერესოა, თუ რამდენად გამოადგება ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს და, კონკრეტულად, საქართველოს და იმ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ არ არიან ევროკავშირის წევრები, თუმცა ამისკენ ისწრაფვიან (მაგალითად, უკრაინა).

ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური განვითარების (მაგალითად, აბესაძე, 2014; Janvry, Sadoulet, 2016; Roland, 2016; Schaffner, 2014; Todaro, Smith, 2015; Абезадзе, Бурдули, 2014) და ეკონომიკური ზრიდს არაერთი მოდელია ცნობილი (მაგალითად,

უელი, 2016; Acemoglu, 2009; Barro, Sala-i-Martin, 2004; Hudson, 2015).

ერთ-ერთი თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის სამ ტიპს განარჩევენ (Hudson, 2015, pp. 34-35):

- I. „მონინავე ზრდას“ (“Frontier Growth“), რომელიც დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის (მაგალითად, აშშ-სთვის), რომლებიც ქმნიან თვისებრივად ახალ პროდუქტებს, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ წარმოებას (საყურადღებოა, რომ ტერმინი „მონინავეს“ ნაცვლად ასევე გამოიყენება ტერმინი „წინგამჭრელი“ (“Forging Ahead“) (Abramovitz, 1986) ან ტერმინი „დანინაურებული“ (“Getting Ahead“) (Gottinger 2005));
- II. „კუდში მიმდევარ ზრდას“ (“Coat-Tail Growth“), რომელიც დამახასიათებელია ნავთობის ან სურსათის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის, რომელთა ეკონომიკურ ზრდას სწორედ ამ პროდუქტების მიწოდება განაპირობებს;
- III. „დამწვე ზრდას“ (“Catching Up“), რომელიც დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მინიმალური დანახარჯებით იყენებენ არსებულ ტექნოლოგიებს, რათა წარმოებული პროდუქტების ექსპორტი შეძლონ მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.

ძნელია დაეთანხმო დამწვევი ზრდის მოცემულ განმარტებას, რადგან არსებული ტექნოლოგიები შესაძლოა სულაც არ მოიცავდეს მონინავე ტექნოლოგიებს, მათ გარეშე კი შეუძლებელი იქნება მონინავე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ დონეს დაენიო (Matthews, 2006, p. 314), რასაც სამხრეთ კორეის გამოცდილებაც ადასტურებს (Kim, 1997). აქედან გამომდინარე, დამწვევი ზრდის ქვეშ არა, უბრალოდ, არსებული, არამედ, მათთან ერთად, აუცილებლად, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა უნდა ვიგულისხმოთ (Abramovitz, 1986; Matthews, 2006).

ცნობილია, რომ დამწვევი ზრდა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურად განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების დაახლოებას, კონვერგენციას (Korotayev, Zinkina, Bogevolnov, Malkov, 2011; Lim, McAleer, 2004).

დამწვევი ზრდის მოდელი არ ნიშნავს ეკონომიკის, უბრალოდ, მკვეთრ ზრდას (იხ. თავი 12). ამ მოდელის მიზანია ქვეყნის ისეთი განვითარება, როცა ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების დონით დაენეგა მონინავე ქვეყნებს. ეს მოდელი ეფუძნება განვითარების საკუთარი რესურსების მოძიებას, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის პრინციპულ გაუმჯობესებას, სამეცნიერო და საინჟინრო კვლევების ხელშეწყობას. ეს, თავის მხრივ, იმისთვისაა საჭირო, რომ მაღალპროფესიულმა კადრებმა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან იმპორტირებული ტექნოლოგიების არა მარტო და არა იმდენად წარმატებით გამოყენება შეძლონ, არამედ ამ ტექნოლოგიების შექმნის პროცესში თავადაც აქტიურად ჩაერთონ.

დამწვევი ზრდის მოდელის საფუძველზე შესაბამისი ქვეყნები ავითარებენ ეკონომიკის ისეთ დარგებს, სადაც უფრო მეტი დამატებული ღირებულება იქმნება, რაც ხელს უწყობს ამ დარგებში შექმნილი პროდუქციის ექსპორტის გაფართოებას.

დამწვევი ზრდის მოდელისგან პრინციპულად განსხვავებულია „ჩამორჩენილი ზრდის“ (“Falling Behind“) მოდელი (Abramovitz, 1986; Dunford, Smith, 2000; Gottinger 2005; Kim, 2007; Nassif, Feijó, Araújo, 2013; Record, Kumar, Kandoole, 2018; Stokey, 2012), რომელიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების არა კონვერგენციას, არამედ დაცილებას, დაივერგენციას უწყობს ხელს.

როცა რომელიმე ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში დომინირებული ადგილი უკავია შრომატევადი და რესურსტევადი დოვლათის წარმოებას, მაშინ სახეზეა ამ ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენილი ზრდის ტენდენცია (Nassif, Feijó, Araújo, 2013, p. 8).

ცნობილია, რომ ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია (Rowthorn, Wells, 1987) იწვევს დამწვევი ზრდის ტემპების შენელებას და, უარეს შემთხვევაში, ჩამორჩენილი ზრდის მოდელზე გადასვლას (Palma, 2005; Rowthorn, Ramaswamy R, 1999).

ჩამორჩენილი ზრდის მოდელი აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ზემოხსენებული კუდში მიმდევარი ზრდის მოდელისა-

გან, რადგანაც, პირველის თანახმად, ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს არამონინავე არსებული ტექნოლოგიების მაქსიმალური დატვირთვით გამოყენება, მაშინ როცა მეორის შემთხვევაში ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების ან (და) სურსათის ექსპორტი. თეორიულად, ჩამორჩენილი ზრდის და კუდში მიმდევარი ზრდის მოდელების „თანაარსებობა“ სულაც არ არის გამორიცხული.

ჩამორჩენილი ზრდის მოდელიდან დამწვევი ზრდის მოდელზე გადასასვლელად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისეულ რესურსს. კერძოდ, საქმე ეხება იმ სპეციალისტებს, რომლებიც უნდა გახდნენ დამწვევი ზრდის უმთავრესი შემოქმედნი; მათ, როგორც წესი, განათლება მიღებული უნდა ჰქონდეთ განვითარებული ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური ზრდა მაღალ ტექნოლოგიებს ეფუძნება (Kim, 2007). მათი როლი დიდია ეროვნული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ფორმირებასა და განვითარებაში, როცა ქვეყანას თავად შეეძლება საკუთარი რესურსებით დამწვევი ზრდის მოდელზე გადასვლა.

## § 13.2. კომბინატორული წანამატის კონცეფცია

ეკონომიკური ზრდის მოდელების უკეთ გააზრებისათვის მიზანშეწონილია ცნობილი ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტის, იოზეფ შუმპეტერის მიერ წიგნში – „ეკონომიკური განვითარების თეორია“ – შემოთავაზებული ეკონომიკური განვითარების ინტერპრეტაციის გამოყენება. კერძოდ, შუმპეტერის თანახმად, ეკონომიკური განვითარება არის „ახალი კომბინაციების“ განხორციელების პროცესი (Schumpeter, 1987, z. 219; 2012, p. 139; Шумпетер, 1982, с. 288). ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ახალი პროდუქციის და მომსახურების, ახალი წარმოების მეთოდების შექმნას, გასაღების ახალი ბაზრების და ნედლეულის ახალი წყაროების მო-

ძიებას, წარმოების ახლებურ რეორგანიზებას (Schumpeter, 1987, z. 100-101; 2012, p. 66; Шумпетер, 1982, с. 159).

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიის მიხედვით ინოვაციის რეალიზაცია მხოლოდ რესურსების ინოვაციის სასარგებლოდ გადანაწილებას მოითხოვს. სინამდვილეში, რეალობა ბევრად უფრო რთულია. კერძოდ, შუმპეტერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახალი კომბინაციები, როგორც წესი, წარმოიქმნება ძველი კომბინაციების გვერდით (Schumpeter, 1987, z. 122; Шумпетер, 1982, с. 178)<sup>1</sup>.

მოყვანილი დებულება გარკვეული აზრით ეწინააღმდეგება იმავე შუმპეტერის სხვა ნაშრომში, კერძოდ, წიგნში – „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“, შემოთავაზებული და განვითარებული ეკონომიკური დინამიკის თეორიას, რომლის მიხედვითაც, კაპიტალიზმის არსი არის „კრეატიული ნგრევის“ პროცესი, ანუ ეკონომიკური მუტაციის პროცესი, რომელიც, პრაქტიკულად, უწყვეტად შიგნიდანვე ანგრევს ძველ სტრუქტურას და ქმნის ახალს (Schumpeter, 2008, p. 83; Шумпетер, 1995, с. 127). ამ წინააღმდეგობის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ, კრეატიული ნგრევის პროცესის თანახმად, ახალი კომბინაციები მხოლოდ ძველის ადგილს უნდა იკავებდნენ, მაშინ როცა თავად შუმპეტერი ზემოხსენებულ სხვა ნაშრომში (წიგნში – „ეკონომიკური განვითარების თეორია“) არ გამოორიცხავს ახალი კომბინაციების შექმნას ძველისვე არსებობის პირობებში, როცა ახალი კომბინაციები იყენებს პრინციპულად ახალ და არა ძველი კომბინაციების მიერ გამოყენებულ რესურსებს (Татаркин, Сухарев, Стрижакова, 2017, сс. 7-8).

როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც „შუაში“ უნდა იყოს და ამ „შუის“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი კომბინაციები და კრეატიული ნგრევის პროცესი ერთ სივრცეში, ერთმანეთის

<sup>1</sup> აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შუმპეტერის მოცემული ნაშრომის დედანში (გერმანულ ენაზე) მოცემული ეს აზრი შესატყვისადაა თარგმნილი რუსულენოვან გამოცემაში, ხოლო ინგლისურენოვან თარგმანში (Schumpeter, 2012, p. 83) კი, სამწუხაროდ, გამორჩენილია.

გვერდით მიმდინარეობს, ანუ ისინი თანაარსებობენ. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა გარკვეულ ძველ კომბინაციებს კრეატიული ნგრევის შედეგად ჩანაცვლებს ახალი კომბინაციები, ხოლო სხვა ძველი კომბინაციები აგრძელებს არსებობას და მათ არა იმდენად ანაცვლებენ, რამდენადაც მათ გვერდით იქმნება ახალი კომბინაციები.

თანამედროვე ეპოქაში, როცა წარმატებით ფუნქციონირებს ეკონომიკის ისეთი ახალი სექტორები, როგორიცაა კოსმოსის ათვისება, ატომური მრეწველობა და ელექტრონიკა, ახალი კომბინაციებისთვის, როგორც წესი, გამოუსადეგარიც კი არის ძველი კომბინაციების მიერ გამოყენებული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი (Сухарев, 2013, с. 9).

ამკარაა, რომ, ეკონომიკური სინამდვილის გათვალისწინებით, ძველი და ახალი ტექნოლოგიები, არცთუ იშვიათად, როგორც ეს უკვე აღინიშნა ზემოთ, „თანაარსებობენ“, ანუ ერთდროულად არიან წარმოდგენილნი. ხშირ შემთხვევაში, ძველი და ახალი ტექნოლოგიების ეს „თანაარსებობა“ იმითაცაა გარანტირებული, რომ ისინი ერთი და იმავე ქვეყნის სხვადასხვა დარგში (თუ ქვედარგში) არიან თავმოყრილნი, რაც, უმთავრესად, განპირობებულია განსხვავებული შინაარსის მატარებელი წარმოების საშუალებების გამოყენებით და გამოწვეულია ამ საშუალებების ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის არსებითი განსხვავებულობით.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკური კრიზისი, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებას აფერხებს (Сухарев, 2013, с. 2), რაც სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველაზე მეტად როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერება ზარალდება (Сухарев, 2013, с. 6). სწორედ ამიტომ, პრინციპულად არ არის გამორიცხული ისეთი სიტუაცია, როცა კრიზისის დასაძლევად და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ძველ კომბინაციებს ენიჭება (Сухарев, 2013, с. 9). და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ეკონომიკური კრიზისის პირო-

ბებში ახალი კომბინაციების რეალიზაციისათვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა ბევრად უფრო შეზღუდულია. შედეგად, ამ ვითარებაში ახალი კომბინაციების რეალიზაცია სრულად თუ არ არის გამორიცხული, ძნელად მისაღწევი მაინც რჩება.

შუმპეტერისეული ეკონომიკური განვითარების თეორიის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს „კომბინატორული წანამატის“ («комбинаторное наращение», „Combinatorial Augmentation“) კონცეფცია, რომლის თანახმადაც, კომბინატორული წანამატი – ეს ისეთი ახალი კომბინაციაა, რომელსაც არ ესაჭიროება ძველი კომბინაციის რესურსები, რადგანაც ის თვისებრივად ახალ რესურსებს ეფუძნება (Сухарев, 2013, 2014).

კომბინატორული წანამატის პროცესის ნახალისება სულაც არ უნდა ნიშნავდეს კრეატიული ნგრევის პროცესზე უარის თქმას, პირიქით, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ახალმა კომბინაციებმა ძველი აუცილებლად უნდა ჩაანაცვლოს.

მაშასადამე, შესაძლებლობის ფარგლებში ძველი ტექნოლოგიების ახლით ჩანაცვლების, ანუ კრეატიული ნგრევის პროცესის ხელშეწყობა, კომბინატორული წანამატის სტიმულირებასთან ერთად, უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

თუკი გავითვალისწინებთ ეკონომიკური ცვლილების ევოლუციური თეორიის რეკომენდაციებს (Nelson, Winter, 1982), მაშინ სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მიზნით, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს კომბინატორული წანამატის პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ კი, უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც კრეატიული ნგრევის პროცესის განხორციელებას ხელოვნური შეფერხებები არ დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური, კომპლექსური ღონისძიებების (განათლების სისტემის არსებითი გაუმჯობესება, ინოვაციური ტექნოლოგიების საბიუჯეტო სტიმულირება, გაკოტრების კანონმდებლობის სრულყოფა და სხვ.) გატარება (იხ. თავი 17).

საყურადღებოა, რომ თეორიულად დამწვევი ზრდის მოდელის რეალიზაცია ყველაზე სწრაფად შუმპეტერისეული კრეატიული ნგრევის პროცესის გზითაა შესაძლებელი, თუმცა ამ შემთხვევაში დიდია წინააღმდეგობა ძველი კომბინაციების უკან მდგარი ძალების (უფრო კონკრეტულად, მათი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების) მხრიდან.

კომბინატორული წანამატის პროცესის შემთხვევაში კი ასეთი წინააღმდეგობა ნაკლებია, რადგან ძველ და ახალ კომბინაციებს შეუძლიათ თანაარსებობა, რადგანაც ისინი ერთი და იმავე ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში (თუ ქვედარგში) არიან თავმოყრილნი. თავის მხრივ კი, ამ ძველი კომბინაციების კრეატიული ნგრევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის მხრიდან კომბინატორული წანამატის პროცესის ხელშეწყობას, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ზოგადად ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ძველი კომბინაციების საფუძველზე არსებული „ტექნოლოგიური მახის“ დაძლევას (Балацкий, 2012, с. 57).

ამ ფენომენის ასახსნელად უნდა გავიაზროთ ის, რომ „ტექნოლოგიური მახე“ ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როცა ფირმა უპირატესობას ანიჭებს ძველ, ნაკლებად ეფექტიან ტექნოლოგიებს მაშინაც კი, როცა არსებობს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლის შესაძლებლობა (Балацкий, 2003). თავის მხრივ, ტექნოლოგიურ მახეს ქმნის გარემოება, როცა ფირმები უპირატესობას, გრძელვადიანზე მეტად, მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას ანიჭებენ; მოკლევადიანი ინტერესების უპირატესობა კი, გრძელვადიანთან შედარებით, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობით (Балацкий, 2012, сс. 56-57). იმისათვის კი, რომ შესაძლებელი იყოს ტექნოლოგიური მახიდან თავის დაღწევა, აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების კომპლექსურად გატარება. კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის განწყობის შექმნას (Балацкий, 2010), რადგანაც ოპტიმიზტი, რო-

გორც ცნობილია, ესწრაფვის მაღალი რისკისადმი შემგუებელი დამოკიდებულების პირობებში მაქსიმალური სარგებლის მიღებას, მაშინ, როცა პესიმისტი ცდილობს რისკის მინიმიზაციას გარკვეული, მისაღები და, იმავდროულად, გარანტირებული სარგებლის მიღების პირობებში (Кесельман, Мацкевич, 1998). თავის მხრივ კი, ეკონომიკური ოპტიმიზმის ამალღებას ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდა. მაშასადამე, ტექნოლოგიური მახის დასაძღვევად დიდი მნიშვნელობა აქვს „ტექნოლოგიური ნახტომის“ გაკეთებას, რაც მთავრობის მხრიდან კომბინატორული წანამატის პროცესის ხელშეწყობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ოპტიმიზმის განწყობის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც, პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამო, ფირმები უპირატესობას ანიჭებენ არა გრძელვადიანი, არამედ მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას (Балацкий, 2012, сс. 56-57). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობის მხრიდან კომბინატორული წანამატის პროცესის ხელშეწყობა სწორედ ამ ქვეყნებისთვისაა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე.

### **§ 13.3. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციური სისტემების გამოცდილება**

როგორც ცნობილია, ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები მეტ-ნაკლებად სრულად არიან ინტეგრირებული ევროკავშირის ეკონომიკურ სისტემაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი უკვე ევროზონის წევრიცაა. ეს, თავის მხრივ, სულაც არ გამოორიცხავს იმას, რომ თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის ქვეყნები და მისი ცალკეული რეგიონები არათანაბარი განვითარებით ხასიათდებიან (Григорьев, Голяшев, Павлюшина, Бриллиантова, 2017а, 2017б).

ინოვაციური განვითარების დონის მიხედვით, თუკი ამას შევფასებთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანი-

ზაციაში წარდგენილი საპატენტო განაცხადების რაოდენობით, აშშ უსწრებს საშუალოევროპულ დონეს, თუმცა ჩამორჩება ისეთ დასავლეთევროპულ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ფინეთი და შვედეთი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ევროპას დამწვევი ზრდის დიდი პოტენციალი აქვს (Åslund, Djankov, 2017, p. 135).

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დასავლეთევროპული ქვეყნებისგან დიამეტრალურად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა. ამ საკითხში გარკვევისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ მიმდინარეობდა ამ ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი.

ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე არსებითი ზეგავლენა იქონია ევროკავშირში შესასვლელად საჭირო მოსამზადებელმა პერიოდმა. კერძოდ, თითქმის ათწლიანი პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ეკონომიკის რესტრუქტურისა, რომლის მიზანიც იყო სანარმოო დანახარჯების შემცირება და წარმოების თვისებრივი განახლება, რათა ის შესაბამისობაში ყოფილიყო ხარისხის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO – International Organization for Standardization) (Власкин, Ленчук, 2005, с. 66). შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის ნეკროეკონომიკა, როგორც ასეთი, ძირითადად, პრობლემა აღარ არის.

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც იმავდროულად იყვნენ „ვარშავის ხელშეკრულების“ წევრი-სახელმწიფოები (სლოვენის და ხორვატიის გარდა), შექმნილი იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უმთავრესად ორიენტირებული იყო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საჭიროებებზე. როცა ვსაუბრობთ ამ ქვეყნების სასტარტო ინოვაციურ პოტენციალზე, უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და

ინჟინერთა არსებობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სამუშაოთა განხორციელებაში (Абухович, 2011). ამან, თავის მხრივ, ეს ქვეყნები განსაკუთრებით მიმზიდველი (უწინარეს ყოვლისა, აერო-კოსმიურ და ელექტრონულ მრეწველობაში, კავშირგაბმულობის საშუალებათა და რთულ ინსტრუმენტთა წარმოებასა და ქიმიურ-ფარმაცევტულ დარგში (Власкин, Ленчук, 2005, с. 66)) გახადა ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეს ქვეყნები ევროკავშირში შევიდოდნენ. ამ მომენტს განსაკუთრებით უნდა ხაზგასმა, რადგან, ევროკავშირში შესვლამდე, ამ ქვეყნების შიგა ბაზრები მათი სახელმწიფო საზღვრებით შემოიფარგლებოდა, რაც განაპირობებდა ამ ბაზრების შედარებით მცირე ზომებს. თავის მხრივ კი, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ქვეყნის შიგა ბაზრების მცირე ზომა, სხვა თანაბარ პირობებში, მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტიციების ეკონომიკის რეალურ სექტორში განხორციელების მიმზიდველობას. ხაზგასასმელია ის გარემოებაც რომ, შიგა ბაზრის მცირე ზომების გარდა, მოცემული პოსტკომუნისტური ქვეყნები უშუალოდ ესაზღვრება ევროკავშირს, რაც გარკვეულად ზრდიდა ამ ქვეყნების მიმზიდველობას დასავლეთევროპელი ინვესტორებისთვის (Shah, 2002, p. 6).

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს ერთი რამ: მარტო იმის იმედად ყოფნა, რომ ნეოლიბერალური და ნეოკლასიკური მოლოდინების პირობებში ევროკავშირის დიდ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია თავისთავად საკმარისი უნდა ყოფილიყო ევროკავშირში ინტეგრირებულ ქვეყნებში დამწევი ზრდის მოდელზე გადასასვლელად, მცდარი აღმოჩნდა (Dunford, Smith, 2000, p. 192).

საყურადღებოა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ხსენებულ მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და ინჟინერთა დასავლეთევროპელ კოლეგებთან შედარებით დაბალი შრომის ანაზღაურება, როცა ნომინალური ხელფასის თანაფარდობა შრომის მწარმოებლურობა-

სთან აშკარად იყო ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების სასარგებლოდ.

სწორედ ამ ქვეყნების ხსენებული სასტარტო ინოვაციური პოტენციალით გამონვეული საინვესტიციო მიმზიდველობა იყო ის უმთავრესი ფაქტორი, რამაც გადაწონა ამ ქვეყნების შიგა ბაზრების მცირე ზომით განპირობებული პრობლემები. ამ გარემოებამ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები აქცია არა იმდენად მომხმარებელ, რამდენადაც, უმთავრესად, მწარმოებელ ქვეყნებად.

ევროკავშირის ამ ქვეყნების (კერძოდ, პოლონეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთში, განსაკუთრებით კი, უნგრეთში) ეკონომიკაში ძალზე მნიშვნელოვანია დასავლეთევროპული კაპიტალის მონაწილეობა (Власкин, Ленчук, 2005, с. 69). ამ კაპიტალის მოზიდვა კი შესაძლებელი გახდა, უმთავრესად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გზით. ამ პროცესს ასევე შესაბამისმა საგადასახადო შეღავათებმაც შეუწყო ხელი.

შედეგად, ევროკავშირის პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა შეძლეს მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოება. ამავდროულად, პრაქტიკულად შეუძლებელია იმაზე საუბარი, რომ ამ ქვეყნებმა ასევე შეძლეს საკუთარი ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, რადგანაც მბრძანებლური ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი, ფაქტობრივად, „ათვისებულ“ იქნა ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საკუთარი და არა შესაბამისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე (Власкин, Ленчук, 2005, с. 66).

ტრანსნაციონალური კორპორაციების დომინირების პირობებში, ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნისთვის ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს სულ უფრო ნაკლები რესურსი დარჩა (თუკი საერთოდ დარჩა), რის გამოც ეს ქვეყნები ეკონომიკურად და ტექნოლოგიურადაც განვითარებულ (მათ შორის, დასავლეთევროპულ) ქვეყნებზე არიან სრულად დამოკი-

დებულნი (Власкин, Ленчук, 2005, с. 66). ცნობილი ფაქტია, რომ მცირე რაოდენობის რესურსების პირობებში ინოვაციურ საქმიანობაში წარმატების მიღწევის ალბათობა ძალზე დაბალია, რის დასტურად ისიც გამოდგება, რომ, მაგალითად, აშშ-ში ინოვაციური საქმიანობის წარმატებლობის დონე 90 პროცენტითაა შეფასებული (Миндели, 2002, с. 82).

დასავლეთევროპული ქვეყნების უმრავლესობაში მიმდინარე კომბინატორული წანამატის პროცესის შედეგად, ამ ქვეყნებისთვის აშკარად პრიორიტეტულად იქცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ფირმების განვითარების ხელშეწყობა და ტრადიციულ, ე.წ. „დაბალ“ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოების ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გადატანა. სხვა სიტყვებით, თუ კომბინატორული წანამატის პროცესისთვის ზოგადად დამახასიათებელია ძველი და ახალი კომბინაციების თანაარსებობა სხვადასხვა დარგებსა თუ ქვედარგებში, ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის პირობებში ძველი კომბინაციების გადატანა უმთავრესად მოხდა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაშინ როცა დასავლეთევროპულ ქვეყნებში გამოკვეთილად პრიორიტეტული, უმთავრესად, მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტაციის აღება გახდა. ხოლო მაღალი ტექნოლოგიები, როგორც ცნობილია, ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია (მაგალითად, Abesadze, 2014).

შედეგად, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული გამოყენებითი კვლევები, უმთავრესად, დასავლეთევროპულ ქვეყნებში შექმნილი ტექნოლოგიების ადაპტაციაზეა ორიენტირებული. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული მაღალკვალიფიციური მეცნიერების და ინჟინრების ბევრად უფრო მაღალი ანაზღაურების ძიებისათვის მათ მიგრაციას დასავლეთევროპულ ქვეყნებსა თუ აშშ-ში.

გარდა ამისა, დასავლეთევროპულ ქვეყნებში შექმნილი ტექნოლოგიების უკეთ ადაპტაციისათვის ევროკავშირის პო-

სტკომუნისტური ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი დასავლეთევროპული ნედლეულისა და დანადგარების იმპორტზე.

სამწუხარო ფაქტია, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეროვნული ინოვაციური სისტემები სუსტადაა განვითარებული (Власкин, Ленчук, 2005), რის გამოც ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია არა იმდენად დამწვევი, რამდენადაც ჩამორჩენილი ზრდის მოდელი, როცა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ტექნოლოგიურად აშკარად ჩამორჩება დასავლეთევროპული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტანდარტებს.

## § 13.4. უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელი და საქართველო

ეკონომიკური ზრდის ზემოთ განხილული მოდელებიდან საქართველოში, პრაქტიკულად, არც ერთი არ გამოიყენება, რაც არის საქართველოს ეკონომიკის განვითარების აშკარად პრიმიტიული სქემის შედეგი, რომელიც ორიენტირებულია, უმთავრესად, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდაზე (პაპავა, 2017, 2018; Papava, 2017, 2018b).

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ქრონიკული სიღარიბე (კაკულია, კაპანაძე, ქურხული, 2017; Kakulia, Kapanadze, Khurkhuli, 2017) და საექსპორტო პოტენციალის განუვითარებლობა (როცა იმპორტი, სტაბილურად, 3-4-ჯერ აღემატება ექსპორტს, ხოლო სამომხმარებლო კალათაში იმპორტული საქონელი, ასევე სტაბილურად, 70-80%-ის დონეზეა), ხოლო მოსახლეობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ გასული ჩვენივე მოქალაქეების მიერ განხორციელებულ ფულად გაზავნილებს (Kakulia, 2007). შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა ლარიბი ქვეყნის განვითარების მომხმარებლური მოდელი (Papava, 2015, pp. 978-979).

ეკონომიკური ზრდის ის მოდელი, რომელიც დამახასიათე-

ბელია თანამედროვე საქართველოსთვის, შეიძლება შეფასდეს, როგორც უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელი, როცა, სამწუხაროდ, ეროვნული ინოვაციური სისტემა, პრაქტიკულად, ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ხოლო არათუ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ იმიტაციური, ანუ უკვე შექმნილი ტექნოლოგიების გადმოღება-გამოყენებაზეც კი თითქმის შეუძლებელია საუბარი (Papava, 2018a).

მხოლოდ ქართული ღვინის ექსპორტის არსებითი გაზრდის ფონზე შესაძლებელია, უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელიდან საქართველო გადავიდეს კუდში მიმდევარი ზრდის მოდელზე, რაც ნამდვილად არ არის სახარბიელო პერსპექტივა.

ყველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია, საქართველომ ისეთი სტრატეგია შეიმუშაოს, როცა შესაძლებელი გახდება უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელიდან დამწვევი ზრდის მოდელზე გადასვლა, თუნდაც ჩამორჩენილი ზრდის მოდელის, როგორც შუალედური საფეხურის გავლის გზით.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აბესაძე რ.,** 2014. *ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი.* თბილისი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- კაკულია მ.,** კაპანაძე ნ., ქურხული ლ., 2017. *ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში.* თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
- პაპავა ვ.,** 2016. *ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა – გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები.* GFSIS ექსპერტის აზრი, No. 70. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, <https://www.gfsis.org/ge/publications/view-opinion-paper/70>.
- პაპავა ვ.,** 2017. *საქართველოს ეკონომიკა – ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე.* GFSIS ექსპერტის აზრი, No. 75. თბილისი, საქართვე-

ლოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი,

**პაპავა ვ.**, 2018. საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში.“ რონდელი ბლოგი, 25 ივლისი, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/854>.

**უიელი დ. ნ.**, 2016. *ეკონომიკური ზრდა*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**Abesadze R.**, 2014. High Technologies – the Most Important Factor of Economic Development. In *Meandry współpracy sieciowej w Europie środkowej i wschodniej*. Ed. by S. Partycki. Lublin, Wydawnictwo KUL.

**Abramovitz M.**, 1986. Catching Up, Forging Ahead, and Falling Behind. *The Journal of Economic History*, Vol. 46, No. 2, <http://sites-final.uclouvain.be/econ/DW/DOCTORALWS2004/bruno/adoption/abramovitz.pdf>.

**Acemoglu D.**, 2009. *Modern Economic Growth*. Princeton: Princeton University Press.

**Åslund A.**, Djankov S., 2017. *Europe’s Growth Challenge*. New York, Oxford University Press.

**Barro R. J.**, Sala-i-Martin X., 2004. *Economic Growth*. Cambridge, MIT Press.

**Dunford M.**, Smith A., 2000. Catching Up or Falling Behind? Economic Performance and Regional Trajectories in the „New Europe.“ *Economic Geography*, Vol. 76, No. 2.

**Gottinger H.-W.**, 2005. Economic Growth, Catching Up, Falling Behind and Getting Ahead. *World Review of Entrepreneurship, Management and Sustainable Development*, Vol. 1, No. 2.

**Hudson E. A.**, 2015. *Economic Growth: How it Works and how it Transformed the World*. Wilmington, Vernon Press.

**Janvry A. de**, Sadoulet E., 2016. *Development Economics: Theory and Practice*. New York, Routledge.

**Kakulia M.**, 2007. Labour migrants’ remittances to Georgia: Volume, structure and socio-economic effect. *Georgian Economic Trends*, October, [https://www.gfsis.org/media/download/geplac/Georgian\\_Economic\\_Trends/October\\_2007/October\\_2007\\_e.pdf](https://www.gfsis.org/media/download/geplac/Georgian_Economic_Trends/October_2007/October_2007_e.pdf).

**Kakulia M.**, Kapanadze N., Khurkhuli L., 2017. *Chronic Poverty and Income Inequality in Georgia*. Tbilisi, Friedrich-Ebert-Stiftung, <https://www.gfsis.org/files/library/pdf/English-2509.pdf>.

**Kim J.**, 2007. *Catching-up and Falling-behind in Economic Development: A Human Capital Approach*. Discussion Paper Series No. 07-07. Seoul, Institute of Economic Research, Korea University, April, <http://econ.korea.ac.kr/~ri/WorkingPapers/w0707.pdf>.

- Kim L.**, 1997. *Imitation to Innovation: The Dynamics of Korea's Technological Learning*. Boston, Harvard Business School Press.
- Korotayev A.**, Zinkina J., Bogevoľnov J., Malkov A., 2011. Global Unconditional Convergence among Larger Economies after 1998? *Journal of Globalization Studies*, 2011, Vol. 2 No. 2, [http://cliodynamics.ru/download/Korotayev\\_et\\_al\\_JGS\\_2\\_2011.pdf](http://cliodynamics.ru/download/Korotayev_et_al_JGS_2_2011.pdf).
- Lim L. K.**, McAleer M., 2004. Convergence and Catching Up in ASEAN: A Comparative Analysis. *Applied Economics*, No. 36, Issue 2.
- Matthews J. A.**, 2006. Catch-Up Strategies and the Latecomer Effect in Industrial Development. *New Political Economy*, Vol. 11, Issue 3.
- Nassif A.**, Feijó C., Araújo E., 2013. *Structural Change and Economic Development: Is Brazil Catching Up or Falling Behind?* UNCTAD Discussion Papers No. 211, October, [http://unctad.org/en/PublicationsLibrary/osgdp20131\\_en.pdf](http://unctad.org/en/PublicationsLibrary/osgdp20131_en.pdf).
- Nelson R. R.**, Winter S. G., 1982. *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge, Belknap Press of Harvard University Press.
- Palma G.**, 2005. Four Sources of 'De-Industrialization' and a New Concept of Dutch Disease. In *Beyond Reforms: Structural Dynamics and Macroeconomic Vulnerability*. Ed. by J. A. Ocampo. Stanford, CA, Stanford University Press and World Bank.
- Papava V.**, 2002. Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9-10.
- Papava V.**, 2015. Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia. *Journal of Business and Economics*, Vol. 6, No. 5, <http://www.academicstar.us/Upload-File/Picture/2015-7/20157313847837.pdf>.
- Papava V.**, 2016. *Technological Backwardness – Global Reality and Expected Challenges for the World's Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 70. Tbilisi, GFSIS, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-eng.pdf>.
- Papava V.**, 2017. *Georgia's Economy: From Optimism to Primitivism*. GFSIS Expert Opinion No. 75. Tbilisi, GFSIS, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/75-expert-opinion-eng.pdf>.
- Papava V.**, 2018a. Frontier Growth, Catching Up, Falling Behind and Extremely Falling Behind. *The Market Oracle*, May 21, <http://www.marketoracle.co.uk/Article62332.html>.
- Papava V.**, 2018b. Georgia's Economy in a „Tourist Trap.“ *Rondeli Blog*, July 25, <https://www.gfsis.org/blog/view/854>.

- Record R.,** Kumar P., Kandoole P., 2018. *From Falling Behind to Catching Up: A Country Economic Memorandum for Malawi*. Washington, DC, The World Bank, <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/28683/9781464811944.pdf?sequence=2&isAllowed=y>.
- Roland G.,** 2016. *Development Economics*. New York, Routledge.
- Rowthorn R.,** Ramaswamy R., 1999. Growth, Trade and De-Industrialization. *IMF Staff Papers*, Vol. 46, No. 1, <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.198.8676&rep=rep1&type=pdf>.
- Rowthorn R. E.,** Wells J. R., 1987. *De-Industrialization and Foreign Trade*. Cambridge, Cambridge University Press.
- Schaffner J.,** 2014. *Development Economics: Theory, Empirical Research, and Policy Analysis*. Danvers, John Wiley & Sons.
- Schumpeter J.,** 1987. *Theorie der wirtschaftlichen Entwicklung: Eine Untersuchung über Unternehmergewinn, Kapital, Kredit, Zins und den Konjunkturzyklus*. Berlin, Duncker und Humboldt.
- Schumpeter J. A.,** 2008. *Capitalism, Socialism, and Democracy*. New York, Harper Perennial Modern Thought.
- Schumpeter J. A.,** 2012. *The Theory of Economic Development (An Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle)*. New Brunswick, Transaction Publishers.
- Shah S.,** 2002. *Innovation Strategies in Central Europe: A Corporate Perspective*. Centre for the Study of Economic and Social Change in Europe Working Paper No. 18. London, SSEES, UCL, <http://discovery.ucl.ac.uk/17561/>.
- Stokey N. L.,** 2012. *Catching Up and Falling Behind*. NBER Working Paper Series 18654, December. Cambridge, National Bureau of Economic Research, <http://www.nber.org/papers/w18654.pdf>.
- Todaro M. P.,** Smith S. C., 2015. *Economic Development*. Boston, Pearson Education.
- Weil D. N.,** 2005. *Economic Growth*. Boston, Pearson Education.
- Абесадзе Р.,** Бурдули В., 2014. *Структурные и инновационные проблемы экономического развития*. Тбилиси, Институт экономики имени Пааты Гугушвили.
- Абухович Ю. К.,** 2011. Инновационная политика в странах Восточной Европы: Проблемы и перспективы. *Труд. Профсоюзы. Общество*, № 2.
- Балацкий Е. В.,** 2003. Экономический рост и технологические ловушки. *Общество и экономика*, № 11.
- Балацкий Е. В.,** 2010. Роль оптимизма в инновационном развитии экономики. *Общество и экономика*, № 1.

- Балацкий Е. В.**, 2012. Институциональные и технологические ловушки. *Журнал экономической теории*, № 2.
- Власкин Г. А.**, Ленчук Е. Б., 2005. Инновационное измерение промышленной политики стран Центральной и Восточной Европы. *Инновации*, № 3 (80).
- Григорьев Л.**, Голяшев А., Павлюшина В., Бриллиантова В., 2017а. *Динамика развития регионов Евросоюза*. Бюллетень о текущих тенденциях мировой экономики № 27, декабрь. Москва, Аналитический центр при Правительстве Российской Федерации, <http://ac.gov.ru/files/publication/a/15687.pdf>.
- Григорьев Л.**, Голяшев А., Павлюшина В., Бриллиантова В., 2017б. *Неравномерность развития стран Евросоюза в 2000-х годах*. Бюллетень о текущих тенденциях мировой экономики № 26, ноябрь. Москва, Аналитический центр при Правительстве Российской Федерации, <http://ac.gov.ru/files/publication/a/15555.pdf>.
- Кесельман Л. Е.**, Мацкевич М. Г., 1998. Индивидуальный экономический оптимизм/пессимизм в трансформирующемся обществе. *Социологический журнал*, № 1-2.
- Мешайкина Е.**, 2013. Управление инновационными процессами на предприятии. В *Инновации в экономике: Текущие научные проблемы Восточной Европы*. Под ред. Э. Милош. Lublin, Politechnika Lubelska, <http://bc.pollub.pl/Content/6014/innowacje-ros.pdf>.
- Миндели Л.**, 2002. Опыт промышленно развитых стран в регулировании инновационных процессов. В *Инновации и экономический рост*. Под ред. К. Микульского. Москва, Наука.
- Сухарев О. С.**, 2013. Новые комбинации в экономике и принцип комбинаторного наращения. *Экономический анализ: теория и практика*, № 25 (328), с. 9, <<https://cyberleninka.ru/article/n/novye-kombinatsii-v-ekonomike-i-printsip-kombinatornogo-narascheniya>>.
- Сухарев О. С.**, 2014. Технологическое развитие и модель эффекта «комбинаторного наращения» (инновационный тип экономического роста и поведение агентов). В *Шумпетеровские чтения. Schumpeterian Readings. Материалы 4-й Международной научно-практической конференции The Fourth International Scientific Research Conference Proceedings*. Пермь, Издательство Пермского национального исследовательского политехнического университета, <http://www.sr.pstu.ru/files/SchumpeterianReadings2014.pdf>.
- Татаркин А. И.**, Сухарев О. С., Стрижакова Е. Н., 2017. Шумпетерианская экономическая теория промышленной политики: влияние тех-

ნологической структуры. *Журнал экономической теории*, № 2, <http://www.uiec.ru/content/zhurnal2017/JET/02i2017i01iSuharev.pdf>.

**Шумпетер Й.**, 1982. *Теория экономического развития (Исследование предпринимательской прибыли, капитала, процента и цикла конъюнктуры)*. Москва, Прогресс.

**Шумпетер Й.**, 1995. *Капитализм, социализм и демократия*. Москва, Экономика.

**თავი 14. ინფლაციის მოდიფიცირებული მაჩვენებლები  
და ინფლაციის  
კომპლექსური თარგეთირება<sup>1</sup>**

## **§ 14.1. რამდენად ადეკვატურად აღიქვამს მოსახლეობა ინფლაციის მაჩვენებელს?**

ინფლაცია ის მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ კონკრეტულ ქვეყანაში როგორც ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის, ისე მისი ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისათვის. პოსტკომუნისტური საქართველო, სამწუხაროდ, მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომელთაც მოუწიათ ჰიპერინფლაციურ სპირალში მოხვედრა (მაგალითად, Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994). კერძოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული შეცდომების გამო ქვეყანაში ჰიპერინფლაცია განვითარდა (Khaduri, 2005; Papava, 1995). მისი დაძლევისათვის საქართველოში კომპლექსური ხასიათის ეკონომიკური რეფორმა გატარდა (კაკულია, 2001; Kakulia, 2008; Papava, 2011), რის შედეგადაც მაკროეკონომიკური სტაბილურობა იქნა მიღწეული (კაკულია, 2001; Papava, 1996; Wang, 1998; Wellisz, 1996). ამ გამოცდილებიდან გამომდინარე და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ფასების სტაბილურობის შენარჩუნება იქცა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზნად (Kakulia, Gigineishvili, 2005).

<sup>1</sup> ამ თავის თანავტორია ვახტანგ ჭარაია.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში ინფლაციის მონიტორინგს 1992 წლიდან სტატისტიკის ეროვნული სამსახური 6 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ზუგდიდი), საცალო ვაჭრობის და მომსახურების 1 700 ობიექტზე ახორციელებს. „სამომხმარებლო კალათა“, საიდანაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ანუ ინფლაციის საშუალო დონე გამოიანგარიშება, აერთიანებს 12 სასაქონლო ჯგუფსა და, შესაბამისი ხვედრითი წონების გათვალისწინებით, 305 დასახელების სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას. 2019 წლის სამომხმარებლო კალათის სასაქონლო ჯგუფებს შორისაა: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (30,8%), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (6,6%), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (3,7%), საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8,8%), ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება (6,4%), ჯანმრთელობის დაცვა (8,0%), ტრანსპორტი (12,1%), კავშირგაბმულობა (3,6%), დასვენება, გართობა და კულტურა (5,7%), განათლება (5,0%), სასტუმროები, კაფეები და რესტორნები (4,0%), სხვა საქონელი და მომსახურება (5,3%) (საქსტატი, 2019).

ერთი შეხედვით, აღნიშნული კალათა საკმაოდ დაბალანსებულია და, ფაქტობრივად, მოიცავს რიგითი მოქალაქისთვის საჭირო ყველა პროდუქტს. თუმცა ამგვარი სასაქონლო ჯგუფების უმრავლესობა რეალურად არ ასახავს საქართველოს და, ასევე, სხვა ქვეყნების შედარებით ხელმოკლე, განსაკუთრებით კი, ღარიბი მოსახლეობის პრობლემას. კერძოდ, საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის 30%-სათვის სიღარიბე უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს (NDI, 2017), არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ძვირადღირებულ ალკოჰოლურ სასმელებზე, ავეჯზე, აგრეთვე, დასვენებასა და გართობაზე, სასტუმროების, კაფეების და რესტორნების მომსახურებაზე ფასების დინამიკას, ფასების კლებას თუ მატებას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული კალათის ყოვლისმომცველობა იმ ადამიანები-

სათვის, ვისთვისაც სიღარიბე მნიშვნელოვანი პრობლემაა, არის არა უპირატესობა, არამედ – სუსტი მხარე და ის ადეკვატურად ვერ ასახავს შეჭირვებული, ღარიბი მომხმარებლის ხარჯების სტრუქტურას.

ფაქტია, რომ ინფლაციის მაჩვენებელი და მისი გაანგარიშების აღიარებული და აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკა, სამწუხაროდ, სრულყოფილად ვერ ასახავს განვითარებადი და, განსაკუთრებით კი, შედარებით ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის მიერ ფასების საშუალო დონის აღქმით განპირობებულ მოლოდინს და, შესაძლოა, საზოგადოებაში უნდობლობით გამოწვეულ უარყოფით ემოციებსაც კი აჩენდეს. კერძოდ, საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელი დაბალია, ხოლო მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისთვის მნიშვნელოვან პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად იზრდება. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა მოსახლეობის ამ ფენებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან ცალკეულ პროდუქტებზე ფასების შემცირება ფიქსირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, 2013 წელს მსოფლიოში 746 მლნ ადამიანი (აქედან 383 მლნ – აფრიკაში და 327 მლნ – აზიაში) უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა (Roser, Ospina, 2017), ხოლო 2014-2016 წლებში მსოფლიოს მოსახლეობის 10,9% შიმშილობდა (WHES, 2016) (ანუ სანამ სიღარიბე რჩება გლობალურ პრობლემად (მაგალითად, Sachs, 2005)), აშკარაა, რომ ამ ადამიანებისათვის, უკეთეს შემთხვევაში, არაფრის მიმცემია ინფლაციის მხოლოდ ტრადიციული მაჩვენებლით განსაზღვრული ფასების საშუალო დონე. მათთვის, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს ფასების დინამიკას საკვებზე, უმთავრეს მედიკამენტებსა და კომუნალური მომსახურების ელემენტარულ სახეობებზე.

საბოლოო ჯამში კი, მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლის გამოყენებით შესაძლოა არ იქნეს მიღებული მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი გადაწყვეტილებები.

ამ ვითარებაში იბადება ლოგიკური კითხვა, თუ რა პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას, როცა ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის სამიზნე მხოლოდ ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც „ინფლაციის თარგეთირების“ სახელითაა ცნობილი.

## § 14.2. ინფლაციის მოდიფიცირებული მაჩვენებლები: იმფლაცია, აგფლაცია და მანფლაცია

იმისათვის, რომ არ მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის, ცენტრალური ბანკის, მთავრობისა და ბიზნესის შეცდომაში შეყვანა და განვითარებად ქვეყნებში რეალობა ადეკვატურად აისახოს, აუცილებელია ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად მისი მოდიფიცირებული მაჩვენებლების გამოყენებაც (პაპავა, ჭარაია, 2017; Charaia, Papava, 2017, 2018).

ქვეყნებისათვის, სადაც იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, აშკარად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ტრადიციული ინფლაციის მაჩვენებლის, არამედ მისი მხოლოდ იმპორტირებული საქონლისა და მომსახურებით შედგენილი სამომხმარებლო კალათის მიხედვითაც გათვლა. ასეთი მაჩვენებელია **იმფლაცია (Imflation)** (პაპავა, ჭარაია, 2017; Charaia, Papava, 2017, 2018). ეს სახელი წარმოქმნილია ორი ტერმინის – „იმპორტის“ და „ინფლაციის“ – გაერთიანებით.

აღსანიშნავია, რომ უკვე წლებია, რაც საქართველოს ეროვნული ბანკი „იმპორტული“ და „ადგილობრივი“ საქონლის ფასებს აკვირდება (სებ, 2017, გვ. 20), რაც, რა თქმა უნდა, გამოკვეთილად უარყოფითი სავაჭრო სალდოს მქონე საქართველოს ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ სამომხმარებლო კალათაში შედის არაერთი ისეთი საქონელი და მომსახურება (როგორც

იმპორტირებული, ისე ადგილობრივი წარმოების), რომელსაც, როგორც წესი, ნაკლებშემოსავლიანი ადამიანები არ იძენენ, ამიტომ არა მარტო ინფლაციის, არამედ მასთან ერთად აღებული იმფლაციის მაჩვენებელიც კი ვერ დააკმაყოფილებს იმ მიზანს, რომ შეფასდეს, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, ფასების დინამიკა მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის მნიშვნელოვან სფეროებში.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ პრაქტიკაში სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს აგრარული ინფლაციის (ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების საშუალო დონის ზრდა), ანუ **აგფლაციის (Agflation)** მაჩვენებელი. ტერმინი აგფლაცია შედარებით ახალია და მისი შემოღება 2006-2007 წლებში ხილზე, კვერცხზე, მარცვლეულ კულტურებსა და სხვა საკვებ პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვან ზრდას უკავშირდებოდა (Chorafas, 2016, p. 139). აგფლაციის მაჩვენებლის გაზომვა ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებად, განსაკუთრებით კი, ღარიბ ქვეყნებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია კვების ძირითადი პროდუქტების გაძვირება (მაგალითად, ინდოეთში (Suryanarayana M, 2008)).

არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ აგფლაციის მაჩვენებელი უფრო მაღალი და მეტად მნიშვნელოვანია იმ ღარიბ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც სასურსათო პროდუქცია მთლიანი სამომხმარებლო კალათის დაახლოებით ნახევარს შეადგენს (საქართველო – 31% (საქსტატი, 2019), რუსეთი – 50% (Маширова, Степашова, 2015), აზერბაიჯანი – 50%, სომხეთი – 50%, თურქმენეთი – 60%, ტაჯიკეთი – 57% (EPRC, 2012, pp. 12, 32)), განსხვავებით დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისა (აშშ – 15% (EPRC, 2012, p. 32), ევროზონის ქვეყნები – 18% (Eurostat, 2016)) თუ თურქეთისაგან – 24% (DN, 2016).

საყურადღებოა, რომ აგფლაცია არ არის მარტო განვითარებადი ქვეყნების პრობლემა. ამას ადასტურებს ის გამოცდილება, როცა აგფლაციამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ევროკავშირის

ახალ წევრ-ქვეყნებს (იგულისხმება 2004 წელს გაწევრიანებული 10 აღმოსავლეთევროპული ქვეყანა) (IMF, 2008). ამასთან, მთელი რიგი პროდუქტებისა (რძის პროდუქტები, მცენარეული საკვები და შაქარი) ძვირდება არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, ხოლო ცალკეულ პროდუქტებზე (მაგალითად, ღორის ხორცი) კი ევროკავშირში საშუალოდ უფრო მაღალი ფასებია, ვიდრე მსოფლიოში (EC, 2016).

როგორც ცნობილია, სასურსათო ინფლაცია არა მარტო უფრო მაღალი, მერყევი და ხანგრძლივია, ვიდრე არასასურსათო ინფლაცია, არამედ მას უფრო მეტი დრო სჭირდება, რომ ახალ, შემცირებულ ფასებზე გადავიდეს, განსხვავებით ფასების მატების პროცესისაგან (EPRC, 2012, p. 31).

აგფლაციის მაჩვენებლის გამოყენების არეალი შეზღუდულია, რადგანაც ის არ ასახავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე ფასების ცვლილებას, როგორიცაა მკურნალობა და კომუნალური მომსახურება.

მაგალითისთვის, საქართველოში 2016 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი აღემატებოდა აგფლაციის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებზე, როგორიცაა ჯანდაცვა და კომუნალური მომსახურება, ამ უკანასკნელთა საშუალო წლიური ფასების ზრდა აღემატება საშუალო წლიურ ინფლაციას (იხ. ცხრილი 14.1).

**სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქართველოში  
2016 წელს**

(წინა წლის შესაბამისი თვე=100)

ჯგუფები	2016												საშუალო
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
სულ	105,6	105,6	104,1	103,2	102,1	101,1	101,5	100,9	100,1	99,8	100,2	101,8	102,2
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	105,1	104,6	102,3	101,9	101,4	100,7	101,1	100,6	100,3	100,2	99,9	101,6	101,7
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეობები	108,4	106,0	105,6	105,4	105,5	106,1	106,1	101,5	99,9	99,3	99,0	100,1	103,6
ჯანმრთელობის დაცვა	111,0	110,5	110,2	107,5	105,7	104,3	104,1	103,3	101,2	101,3	101,5	102,1	105,2

**წყარო:** საქსტატი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან, [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/english/price/Consumer%20Price%20Index%20to%20the%20same%20month%20of%20previous%20year%20-%20eng.xls](http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/price/Consumer%20Price%20Index%20to%20the%20same%20month%20of%20previous%20year%20-%20eng.xls).

იმის გათვალისწინებით, რომ შედარებით ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა იმას, თუ ფასების საშუალო დონე როგორია, არამედ იმას, თუ როგორ იცვლება ფასები საშუალოდ სურსათზე, მკურნალობასა და კომუნალურ მომსახურებაზე (ძირითადად, წყალი, ელექტროენერგია, კანალიზაცია, გაზი და სხვა სათბობი), საჭიროა ამის ადეკვატურად ამსახველი სტატისტიკური ინდიკატორის გათვლა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გამოყენებულ იქნეს სტატისტიკური მაჩვენებელი – მანფლაცია (Munflation) (პაპავა,

ჭარაია, 2017; Charaia, Papava, 2017, 2018). ამ სიტყვის პირველი სამი ასოთი იწყება ინგლისურ ენაზე სიტყვები – მკურნალობა (Medication), კომუნალური მომსახურება (Utilities) და კვება (Nutrition).

მანფლაციის გაანგარიშებისათვის გამოყენებული უნდა იყოს ინფლაციის გაანგარიშებისათვის განკუთვნილი სამომხმარებლო კალათიდან მკურნალობის, კომუნალური მომსახურების და საკვები პროდუქტების შესაბამისი პარამეტრები. უკანასკნელი კომპონენტი, იმავდროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება აფლაციის გასაანგარიშებლად.

## § 14.3. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი და მისი კრიტიკა

1967 წლიდან მოყოლებული, ორი ათეული წლის განმავლობაში ახალი ზელანდიის პრობლემა იყო სტაბილურად მაღალი ინფლაცია (საშუალოდ, წლიურად 15%-ს, მაქსიმუმ 20%-ს აღწევდა) (Sherwin, 1997, p. 261). 1989 წელს ახალი ზელანდიის სარეზერვო ბანკმა გამოსცა აქტი, რომლის თანახმადაც, მონეტარული პოლიტიკის მიზნობრივ მაჩვენებლად განისაზღვრა მაქსიმალური ინფლაციის დონე, რითაც საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ინფლაციის თარგეთირებას“. ამით ახალმა ზელანდიამ, პირველმა მსოფლიოში, უარი თქვა აქამდე საყოველთაო სტანდარტად აღიარებული მონეტარული აგრეგატების და გაცვლითი კურსის პრიორიტეტულობაზე (მაგალითად, Archer, 2000; Bernanke, Laubach, Mishkin, Posen, 1999; Bollard, Karagedikli, 2006; Brash, 2002; Fischer, Orr, 1994). ახალი ზელანდიის მაგალითი სულ მალე კიდევ რამდენიმე ქვეყანამ – კანადამ, დიდმა ბრიტანეთმა, ფინეთმა, შვედეთმა, ავსტრალიამ და ესპანეთმა – გადაიღო (Debelle, Masson, Savastano, Sharma, 1998). 2006 წლისთვის „ინფლაციის თარგეთირების“ მიმდევარი ქვეყნების რიცხვმა – 25-ს (Mishkin, Schmidt-Hebbel, 2006, p. 1), 2019 წლისთვის კი 71-ს მიაღწია (CBN., 2019).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს (2009 წლიდან), ისევე, როგორც მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების (თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი და სხვა) ცენტრალური ბანკები უკვე წლებია, რაც ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადავიდნენ.

ცენტრალური ბანკები, რომლებიც ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს იყენებენ, ხშირად ამართლებენ ამ გადაწყვეტილებას და ამბობენ, რომ მათ არათუ მიაღწიეს მათთვის სასურველ მიზანს (ფასების სტაბილურობას), არამედ ამით ხელი შეუწვევს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, როგორც, მაგალითად, ამას აცხადებს კანადის ცენტრალური ბანკი (BoC, 2006, p. 3). ის, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის მიმდევარ ქვეყნებში ინფლაციის საშუალო დონე შედარებით დაბალი იყო როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, სპეციალური კვლევებითაც დასტურდება (Mishkin, Schmidt-Hebbel, 2006; Vega, Winkelried, 2005, pp. 153-175).

აღსანიშნავია, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მაგალითად, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი თითქმის დარწმუნებულია, რომ ეს სისტემა შეიცვლება, რადგან განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბანკები უძღურნი არიან, მართონ ინფლაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში იმპორტირებულია (Stiglitz, 2008). ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის და პრეზიდენტ ბილ კლინტონის ეკონომიკური საბჭოს მრჩევლის ჯეფრი ფრენკელის აზრით, 90-იანების სავალუტო კრიზისების ფონზე, ინფლაციის თარგეთირება ცალკეული ქვეყნებისთვის სწორ დროს და სწორ ადგილას აღმოჩენილი საშუალება გახდა, რათა მოსახლეობისთვის სტაბილურობის შეგრძნების განცდა შეექმნათ, თუმცა შემდგომში ინფლაციის თარგეთირება „მოკვდა“ და ცენტრალურ ბანკებს ჯერ კიდევ არ აქვთ გადაწყვეტილი, თუ რა ახალი დატვირთვა უნდა მიეცეს მონეტარულ პოლიტიკას, რომ ის სტაბილურობის ახალი იმედი გახდეს (Frankel, 2012).

The Bank for International Settlements ეწინააღმდეგება უშუალოდ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას (Jones, 2016; Tovar, ed., 2010).

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი არ ითვალისწინებს ფინანსურ ციკლებს და შედეგად ვიღებთ ზედმეტად ექსპანსიურ და ასიმეტრიულ მონეტარულ პოლიტიკას (Weber, 2015). საყურადღებოა, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი არაერთ კითხვას აჩენდა მისი შემოღების დღიდანვე. კერძოდ, ინფლაციის მოთოკვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხერხდა არა 1990-იან წლებში, როცა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი იქნა შემოღებული, არამედ ის უკვე 1980-იან წლებში დაღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გლობალიზაციას და ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციას (და არა – ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს) (Weber A., 2015).

ფაქტია, რომ საქართველოსთვის ისევე, როგორც სხვა იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისთვის, დამახასიათებელია ისეთი პრობლემები, რომელთაც მარტო ინფლაციის მაჩვენებელი სრულად ვერ ასახავს. კერძოდ, საქართველოსთვის დამახასიათებელია ის, რომ:

ა) სამომხმარებლო კალათის 80% იმპორტირებული პროდუქციაა, ამიტომ ინფლაციაც ხშირ შემთხვევაში ასევე იმპორტირებულია;

ბ) სახეზეა დოლარიზაციის მაღალი დონე (კაკულია, ასლამაზიშვილი, 2000). კერძოდ, საქართველოში 2018-2019 წლებში 70%-ზე მაღალი იყო (NBG, 2019);

გ) მოსახლეობის არსებობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული მათი ნათესავეების და ახლობლების მიერ, უმთავრესად, ამერიკულ დოლარებში გადმორიცხულ თანხებს, რაც, მაგალითად, 2015 წელს ხელფასად გაცემული თანხის 30%-ზე მეტი იყო (პაპავა, ჭარაია, 2017, გვ. 7).

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას თუ შერბილებას შესაძლოა თან ახლდეს, რეგიონული და მსოფლიო პოლიტიკური და/ან ეკონომიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ეროვნული ვალუტის სრულიად დაუგეგმავი გამყარება ან გაუფასურება, რომელმაც შესაძლოა ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯი სრულად „შთანთქას“.

ამ პრობლემას მკაფიოდ აფიქსირებს თავად საქართველოს ეროვნული ბანკიც, რომელიც აღნიშნავს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დასადგენი პროგნოზირების სირთულეს, განსაკუთრებით, საგარეო ფაქტორების (კერძოდ, ვითარება სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, დოლარისა და ევროს გლობალური ტენდენციები, სურსათისა და ნავთობის საერთაშორისო ფასები) გათვალისწინებით (სებ, 2019, გვ. 7).

## § 14.4. ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ზემოხსენებული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით, ჩეხეთმა ამ რეჟიმთან ერთად ასევე გამოიყენა სავალუტო რეგულირებაც. კერძოდ, შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის „ჭერი“, რის შემდეგაც სახეზეა ორმაგი – ინფლაციის და გაცვლითი კურსის – თარგეთირება (Головнин, 2017, с. 81). ინფლაციის თარგეთირების ასეთ რეჟიმს *ინფლაციის ჰიბრიდული თარგეთირების რეჟიმი* უწოდებენ (Картаев, 2017, с. 70).

აღსანიშნავია, რომ ინფლაციის ჰიბრიდული თარგეთირების რეჟიმი არ არის ინფლაციის თარგეთირების კლასიკური რეჟიმიდან ერთადერთი შესაძლო „გადახვევის“ სქემა. ამ საკითხში გარკვევისთვის გავიხსენოთ, რომ, როგორც §14.3 პარაგრაფში იქნა აღნიშნული, ჯოზეფ სტიგლიცის მტკიცებით, ქვეყნებში, რომლებშიც იმპორტს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ინფლა-

ციის თარგეთირების რეჟიმი, პრაქტიკულად, ვერ მუშაობს. ამ დებულების განზოგადებისათვის უნდა განვიხილოთ ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები.

ტრადიციული ეკონომიკსიდან ცნობილია, რომ ინფლაცია შეიძლება გამომწვეული იყოს ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებით და წარმოების დანახარჯების ზრდით, რის შედეგადაც ერთმანეთისგან განარჩევენ ინფლაციის ორ სახეობას: მოთხოვნის ინფლაცია (*demand-pull inflation*) და დანახარჯების ინფლაცია (*cost-push inflation*) (მაგალითად, Макконнелл, Брю, 1992, сс. 164-167).

მოთხოვნის ინფლაცია გამომწვეულია ჭარბი ერთობლივი მოთხოვნით, როცა ერთობლივი მიწოდება ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის, რის შედეგადაც ადგილი აქვს ფასების ზრდას. სულაც არ არის შემთხვევითი, როცა ინფლაციის ეს სახეობა შეიძლება ასეც იქნეს ახსნილი: „ძალიან ბევრი ფული საქონლის ძალიან მცირე რაოდენობას უპირისპირდება“ (Макконнелл, Брю, 1992, с. 165). კარგადაა ცნობილი, რომ ცენტრალური ბანკების ხელთ არის არაერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომლითაც ბანკმა შეიძლება იქონიოს ზეგავლენა ფულის მასაზე და ამით რეალურად მოთოკოს მოთხოვნის ინფლაცია.

ბევრად უფრო რთულია სიტუაცია, რომელიც დანახარჯების ინფლაციასთანაა დაკავშირებული, რადგან ამ შემთხვევაში წარმოების დანახარჯების ზრდამ შეიძლება ერთობლივი მიწოდების შემცირება გამოიწვიოს.

წარმოების დანახარჯების ზრდით გამომწვეული ერთობლივი მიწოდების შემცირების მექანიზმი ტრადიციულ ეკონომიკსში კარგადაა ახსნილი. კერძოდ, წარმოების დანახარჯების ზრდის გამო ფირმები ცდილობენ, ასწიონ ფასები, რათა არ შეუმცირდეთ მისაღები მოგება, რაზეც ბაზარი შემდეგნაირად რეაგირებს:

1. თუ ბაზარმა ფასების ეს მატება მიიღო, მაშინ ინფლაციის ზრდა სახეზეა;
2. თუ ბაზარმა ფასების ეს მატება უარყო, მაშინ ფირმები იძულებული იქნებიან, ფასები დაბლა დასწიონ მისაღები მოგების

შემცირების გზით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბაზრიდან ამ ფირმების გასვლა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს მიწოდებას და, შესაბამისად, გაზრდის ფასებს, ანუ ადგილი ექნება ინფლაციის ზრდას.

როგორც ცნობილია, წარმოების დანახარჯების ზრდა შესაძლოა გამოიწვიოს ხელფასების მატებამ (მაგალითად, პროფკავშირების ზენოლის შედეგად) და/ან ნედლეულის და ენერჯის გაძვირებამ (Макконнелл, Брю, 1992, сс. 166-167).

იმ შემთხვევაში, როცა ნედლეულის და ენერჯის ესა თუ ის სახეობა იმპორტულია, საერთაშორისო ბაზრებზე ადგილი აქვს მათი ფასების მატებას, მაშინ სახეზეა ინფლაციის იმპორტი.

ინფლაციის პირობითი „იმპორტის“ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება გახდეს ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რაც იმპორტირებული საქონლის სამამულო ბაზარზე გაძვირებას გამოწვევს.

თუ დანახარჯების ინფლაცია ეროვნული ვალუტის გაუფასურებით არ არის განპირობებული, მაშინ ცენტრალურ ბანკებს არ გააჩნიათ რაიმე მეტ-ნაკლებად ეფექტიანი ინსტრუმენტი, რათა შეძლონ ზემოქმედება, მაგალითად, პროფკავშირებზე ან საერთაშორისო ბაზრებზე ნედლეულისა და ენერჯის ფასებზე.

მართალია, ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული დანახარჯების ინფლაციაზე ცენტრალურ ბანკებს აქვთ ზემოქმედების ეფექტიანი ინსტრუმენტები, მაგრამ მათი ამოქმედების შესაძლებლობას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი უარყოფს.

სხვა სიტყვებით, ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ იმპორტირებული ინფლაციის, ანუ იმფლაციის შეზღუდვა, თუმცა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ამის საშუალებას არ იძლევა.

იმფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშებისას აუცილებელია არა მარტო იმპორტული საქონლის საშუალო ფასების, არამედ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გათვალისწინებაც (Jabara, 2009), რადგან იმპორტული საქონელი სამა-

მულო ბაზარზე სწორედ ეროვნულ ვალუტაში იყიდება. მაშასადამე, მყიდველთათვის რეალური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფასად იყიდება ეროვნულ ვალუტაში გამოხატული იმპორტული საქონელი. მისი გაძვირების მიზეზი კი შეიძლება იყოს საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდა ან ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ან ორივე ერთად.

აქედან გამომდინარე, ინფლაციის მაჩვენებელი უნდა გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით (Papava, Charaia, 2019, pp. 27-28; Папава, Чарая, 2019, с. 23):

$$I_t^m = \frac{E_t}{E_{t-1}} P_t^f,$$

სადაც:  $I_t^m$  არის  $t$  პერიოდის ინფლაციის მაჩვენებელი;

$E_t$  –  $t$  პერიოდში ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე (როგორც წესი, აშშ დოლარზე) საშუალო გაცვლითი კურსი;

$P_t^f$  –  $t$  პერიოდში იმპორტული საქონლის ფასების (როგორც წესი, გამოხატული აშშ დოლარში) მაჩვენებელი.

ინფლაციის დონის რეგულირების ინსტრუმენტებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულად ფლობენ ცენტრალური ბანკები. აქედან გამომდინარე, ინფლაციის მაჩვენებელი თავისუფლად შეიძლება „ჩაენაროს“ ინფლაციის თარგეთირების სქემაში, როცა ცენტრალურ ბანკს ექნება ორი მიზნობრივი მაჩვენებელი – ინფლაცია და იმფლაცია.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს, რომლისთვისაც მიზნობრივი მაჩვენებელი ინფლაციასთან ერთად იმფლაციაც იქნება, ეწოდება *ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების რეჟიმი* (Papava, Charaia, 2019; Папава, Чарая, 2019).

ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების რეჟიმის პირობებში ცენტრალურ ბანკებს მაშინაც მოუხდებათ გააქტიურება, როცა ადგილი ქნება ინფლაციას, რამაც უნდა უზრუნველყოს სამამულო ბაზარზე იმპორტული საქონლის ფასების მეტ-ნაკლები სტაბილურობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აკუღია მ.**, 2001. *სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში*. თბილისი, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.
- აკუღია მ.**, ასლამაზიშვილი ნ., 2000. *დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბი, ფაქტორები, დაძლევის გზები*. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.
- პაპავა ვ.**, ჭარაია ვ., 2017. *ინფლაციის მაჩვენებლის მოდიფიკაციები და მათი საქართველოსთვის გამოყენების მიზანშეწონილობა*. ექსპერტის აზრი, № 77. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, <http://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/77-expert-opinion-geo.pdf>.
- საქსტატი**, 2019. *ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <https://www.geostat.ge/media/13402/samomxmareblo-kalatis-metodologiis-shesaxeb-2019.pdf>.
- სებ**, 2017. *მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, თებერვალი, 2017*. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბანკი, [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2017/publish\\_MR\\_February\\_geo\\_2017.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2017/publish_MR_February_geo_2017.pdf).
- სებ**, 2019. *მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, თებერვალი, 2019*. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბანკი, [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/monetarypolicy\\_2019/monetary\\_policy\\_2019\\_02.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/monetarypolicy_2019/monetary_policy_2019_02.pdf).
- Archer D. J.**, 2000. Inflation Targeting in New Zealand. *International Monetary Fund*, March 20-21, <https://www.imf.org/external/pubs/ft/seminar/2000/targets/archer.htm>.
- Bernanke B. S.**, Laubach T., Mishkin F. S., Posen A. S., 1999. *Inflation Targeting. Lessons from the International Experience*. Princeton, Princeton University Press.
- BoC**, 2006. *Renewal of the Inflation-Control Target: Background Information – November 2006*. Ottawa: Bank of Canada, [http://www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/06/background\\_nov06.pdf](http://www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/06/background_nov06.pdf).
- Bollard A.**, Karagedikli Ö., 2006. Inflation Targeting: The New Zealand Experience and Some Lessons. *Reserve Bank of New Zealand*, January 18,

- <http://www.rbnz.govt.nz/research-and-publications/speeches/2006/speech2006-01-18>.
- Brash D.**, 2002. Inflation Targeting 14 Years On. *Reserve Bank of New Zealand*, January 05, <https://www.rbnz.govt.nz/research-and-publications/speeches/2002/speech2002-01-05>.
- CBN.**, 2019. Inflation Targets Table for 2017. *Central Bank News*, <http://www.centralbanknews.info/p/inflation-targets.html>.
- Charaia V.**, Papava V., 2017. The Role of Inflation and its Targeting for Low-Income Countries (Lessons from Post-Communist Georgia). *European Journal of Economic Studies*, Vol. 6, No. 2, [http://ejournal2.com/journals\\_n/1504096069.pdf](http://ejournal2.com/journals_n/1504096069.pdf).
- Charaia V.**, Papava V., 2018. Agflation and Other Modifications of Inflation (the Cases of Georgia and Its Neighboring Countries). *Annals of Agrarian Science*, Vol. 16, Issue 2, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1512188718300897?via%3Dihub>.
- Chorafas D. N.**, 2016. *Energy, Environment, Natural Resources and Business Competitiveness: The Fragility of Interdependence*. New York, Routledge, <https://books.google.ge/books?id=DmIWDAQAQBAJ&pg=PA136&lp-g=PA136&dq=Chorafas+D.+N.+Energy,+Environment,+Natural+Resources+and+Business+Competitiveness:+The+Fragility+of+Interdependence&source=bl&ots=RbHJWxVfBo&sig=lyJVopR6XBIF-V4zqPHTeHwc-11M&hl=ka&sa=X&ved=0ahUKewifolXyu4jSAhUDESwKHRvDAw4Q6AEIH-jAB#v=snippet&q=agflation&f=false>.
- Debelle G.**, Masson P., Savastano M., Sharma S., 1998. Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy. *IMF Economic Issues*, No. 15, <http://www.imf.org/external/pubs/ft/issues/issues15/>.
- DN**, 2016. Turkey 'Set to Cut Share of Food in Inflation Basket to Ease Consumer Prices.' *Daily News*, October 17, <http://www.hurriyetdailynews.com/turkey-set-to-cut-share-of-food-in-inflation-basket-to-ease-consumer-prices.aspx?pageID=238&nid=105053>.
- EC**, 2016. Commodity Price Dashboard, No 54. *European Commission*, November, [https://ec.europa.eu/agriculture/sites/agriculture/files/markets-and-prices/price-monitoring/dashboard/food11-2016\\_en.pdf](https://ec.europa.eu/agriculture/sites/agriculture/files/markets-and-prices/price-monitoring/dashboard/food11-2016_en.pdf).
- EPRC**, 2012. Inflation in Georgia – Causes and Cures. *Economic Policy Research Center Issue in Focus*, 5th Report, June, [https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report\\_Eng-%20Inflation.pdf](https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report_Eng-%20Inflation.pdf).
- Eurostat**, 2016. Comparative Price Levels of Consumer Goods and Services. *Eurostat, Statistics Explained*, December, [http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Comparative\\_price\\_levels\\_of\\_consumer\\_goods\\_and\\_services](http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Comparative_price_levels_of_consumer_goods_and_services).

- Fischer A. M., Orr A. B., 1994.** Monetary Policy Credibility and Price Uncertainty: The New Zealand Experience of Inflation Targeting. *OECD Economic Studies*, No. 22, Spring, <http://www.oecd.org/newzealand/33940940.pdf>.
- Frankel J., 2012.** The Death of Inflation Targeting. *Project Syndicate*, May 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-death-of-inflation-targeting?barrier=true>.
- Gurgenidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D., 1994.** Georgia: From Planning to Hyperinflation. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 6, No. 2.
- IMF, 2008.** „Agflation“ in the New Member States—Some Stylized Facts. *International Monetary Fund*, <https://www.imf.org/external/CEE/2008/120107.pdf>.
- Jabara C. L., 2009.** *How Do Exchange Rates Affect Import Prices? Recent Economic Literature and Data Analysis*. Washington, DC, U.S. International Trade Commission, Office of Industries Working Paper No. ID-21, <https://www.usitc.gov/publications/332/ID-21.pdf>.
- Jones C., 2016.** BIS Warns of too Much Focus on Inflation. *The Financial Times*, June 26, <https://www.ft.com/content/5e4d0560-03a13-11e6-9a05-82a9b15a8ee7>.
- Kakulia M., 2008.** Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In E. M. Ismailov, ed. *Central Eurasia: National Currencies*. Stockholm, CA&CC Press.
- Kakulia M., Gigineishvili N., 2005.** The Primary Objectives and Priorities of Monetary Policy in Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, №4.
- Khaduri N., 2005.** Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Post-Communist Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4.
- Mishkin F., Schmidt-Hebbel K., 2006.** Monetary Policy under Inflation Targeting: An Introduction. *Banco Central de Chile Working Papers*, No. 396, December, 2007, <http://si2.bcentral.cl/public/pdf/documentos-trabajo/pdf/dtbc396.pdf>.
- NBG, 2019.** Money Aggregates and Monetary Ratios. Statistical Data. *National Bank of Georgia*, [https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitaricorporeisheniinglisurad/money\\_aggregates\\_and\\_monetary\\_ratioseng.xlsx](https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitaricorporeisheniinglisurad/money_aggregates_and_monetary_ratioseng.xlsx).
- NDI, 2017.** NDI Poll: Economy Still Top Concern for Georgians; Support for Nato and EU Stable. *National Democratic Institute*, January 17, <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-economy-still-topconcern-georgians-support-nato-and-eu-stable>.
- Papava V., 1995.** The Georgian Economy: Problems of Reform. *Eurasian Studies*, Vol. 2, No. 2.

- Papava V.**, 1996. The Georgian Economy: From ‘Shock Therapy’ to ‘Social Promotion.’ *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.
- Papava V.**, 2011. On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia’s Economy (A Retrospective Analysis). *The Caucasus & Globalization*, Vol. 5, Issue 3-4.
- Papava V.**, Charaia V., 2019. On Complex Inflation Targeting and Modified Inflation Indicators (Experience of Georgia). *Finance: Theory and Practice*, Vol 23, No 3, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/855/575>.
- Roser M.**, Ospina E. O., 2017. Global Extreme Poverty. *Our World In Data*, 2017, <https://ourworldindata.org/extreme-poverty/>.
- Sachs J. D.**, 2005. *The End of Poverty. Economic Possibilities for Our Time*. New York, The Penguin Press.
- Sherwin M.**, 1997. Inflation Targeting—The New Zealand Experience. In *Price Stability, Inflation Targets and Monetary Policy*. Bank of Canada, 1 May, <http://www.bankofcanada.ca/1997/05/price-stability-inflation-targets-monetary-policy/>, and <http://www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/07/cn97-14.pdf>.
- Stiglitz J.**, 2008. The Failure of Inflation Targeting. *Project Syndicate*, May 6, [http://www.project-syndicate.org/print\\_commentary/stiglitz99/](http://www.project-syndicate.org/print_commentary/stiglitz99/).
- Suryanarayana M. H.**, 2008. Agflation and the PDS: Some Issues. *Indira Gandhi Institute of Development Research*, WP-2008-009, April, <http://www.igidr.ac.in/pdf/publication/WP-2008-009.pdf>.
- Tovar C. E.**, ed., 2010. *Perspectives on Inflation Targeting, Financial Stability and the Global Crisis*. BIS Papers, No 51, March, <http://www.bis.org/publ/bppdf/bispap51.pdf>.
- Vega M.**, Winkelried D., 2005. Inflation Targeting and Inflation Behavior: A Successful Story? *International Journal of Central Banking*, Vol. 1, No. 3, <http://www.ijcb.org/journal/ijcb05q4a5.pdf>.
- Wang J.-Y.**, 1998. From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia. *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, Vol. 1.
- Weber A.**, 2015. Rethinking Inflation Targeting. *Project Syndicate*, June 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/rethinking-inflation-targeting-price-stability-by-axel-weber-1-2015-06?barrier=true>.
- Wellisz S.**, 1996. *Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies*. Studies & Analyses, Working Papers, No. 87. Warsaw, CASE.
- WHES**, 2016. 2016 World Hunger and Poverty Facts and Statistics. *World Hunger Education Service*, September, <http://www.worldhunger.org/2015-world-hunger-and-poverty-facts-and-statistics/#hunger-number>.
- Головнин М. Ю.**, 2017. Денежно-кредитная политика стран Центральной и

Восточной Европы в условиях глобализации: режимы и инструменты. *Вестник финансового университета*, № 1, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/328/255>.

**Картаев Ф.**, 2017. Полезно ли инфляционное таргетирование для экономического роста? *Вопросы экономики*, № 2.

**Макконнелл К. Р.**, Брю С. Л., 1992. *Экономикс: Принципы, проблемы и политика*. Т. 1. Москва, Республика.

**Маширова С. П.**, Степашова А. Ю., 2015. Анализ стоимости потребительской корзины. *Молодой ученый*, № 1, <http://moluch.ru/archive/81/14639/>.

**Папавა В.**, Чარაია В., 2019. О комплексном инфляционном таргетировании и модифицированных показателях инфляции (на примере Грузии). *Финансы: теория и практика*, Том 23, № 3, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/855/561>.

**თავი 15. ეკონომიკის მონეტარული სტიმულირება,  
ჰოლანდიური დაავადება, სავალუტო ფარი და  
კრიპტოვალუტა**

## **§ 15.1. როდის არის შეუძლებელი ეკონომიკის მონეტარული სტიმულირება?**

ეკონომიკურ ზრდაზე ინფლაციის ან ექსპორტზე ეროვნული ვალუტის დევალვაციის ზეგავლენის საკითხი, როგორც ზოგადად, ისე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, არაერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევის საგანს წარმოადგენს (მაგალითად, ასათიანი, 2000ა, 2000ბ; ბასარია, მესხია, 1995; ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაძე, 2001, გვ. 309-354; ბოლქვაძე, 2009; ბურდული, 2000; გამსახურდია, 1997; დარბუაშვილი, 2002; თოთლაძე, 2000; კაკულია, 2001ა, 2001ბ, 2008, 2010; კაკულია, ასლამაზიშვილი, 2000; ლაზარაშვილი, 2002; ლაზარაშვილი, თოთლაძე, 2010; მანაგაძე, 2002ა, 2002ბ; მალლაკელიძე, 2001; მესხია, 2000; ნათელაური, 2000; პაპავა, 1997, 2000, 2002, გვ. 280-291; პაპავა, ჩოჩელი, 2002, 2003ა, 2003ბ; ქისტაური, 2000; შათირიშვილი, 1996; Anušić, Rohatinski, Šonje, and others, eds., 1995; Cottarelli, Doele, 1999; Cukrowski, 2000; Ghosh, Gulde, Ostry, Wolf, 1996; Gotsiridze, 2008; Jochem, 1999; Kakulia, 2008a, 2008b; Kovzanadze, 2008; Papava, Chocheli, 2003, 2005; Silagadze, Atanelashvili, 2010; Silagadze, Tokmazishvili, 2009; Sušjan, Lah, 1997; Wellisz, 1997; Аникин, 2000; Брагинский, 1989; Бурдули, Церетели, 1998; Велиш, 1996; Гайдар, 1997; Гоциридзе, 2008; Гварამაძე, Клѐц, Синицина, 1999; Жирный, Ярочинский, 1997; Какулия М., 2001, 2008; Какулия Р., 1998; Красавина, ред., 2000; Маглакелидзе, 2002; Месхия, Яшвили, 1998; Па-трыцки, 2000; Фишер, Сахаи, 1997).

ეჭვგარეშეა, ეკონომიკის მონეტარული სტიმულირების საკითხები საკმაოდ დეტალურადაა ასახული ტრადიციულ ეკონომიკაში. კერძოდ, როგორც ცნობილია, ზომიერი ინფლაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან მენარმე დაინტერესებულთა, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს წარმოებრივი ციკლი, რომ დროზე მიიღოს მოგება და მისი ნაწილი (თუ სრულად არა) კვლავ ჩადოს წარმოებაში, რათა ყოველი წარმოებრივი ციკლის შედეგად მიღებული ამონაგები ინფლაციამ არ გააუფასუროს. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ ზომიერი ინფლაცია არის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის დევალვაციით ექსპორტის სტიმულირება, რადგან ეროვნული ვალუტის გაიაფება უცხოურ ვალუტასთან შედარებით აშკარად ხელსაყრელია ექსპორტისათვის და, იმავედროულად, აძვირებს იმპორტს. ბუნებრივია, შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ამ მსჯელობის საფუძველზე, არის ის, რომ მიზანშეწონილია ეროვნული ვალუტის თანდათანობითი დევალვაცია, რათა ამით ექსპორტის სტიმულირებას შეეწყოს ხელი.

რადგან ინფლაციაც და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დევალვაციაც ბრუნვაში ფულის მასის ზრდით მიიღწევა, ამიტომ, ტრადიციული ეკონომიკის საფუძველზე დაყრდნობით, ეკონომისტები და პოლიტიკოსები მიზანშეწონილად მიიჩნევენ შედარებით ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზნად ეკონომიკის სტიმულირებაა მიჩნეული.

სწორედ ტრადიციულ ეკონომიკაზე დაყრდნობით, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა ერთ-ერთ აქტუალურ სადისკუსიო თემას ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს. კერძოდ, კრიტიკის ობიექტი ხდება მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც შესაბამისი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობასა და ინფლაციის დაბალ ტემპებს

უზრუნველყოფს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევის უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზი; აქედან გამომდინარე, ეროვნული ვალუტის დევალვაციასა და ინფლაციის შედარებით მაღალ ტემპებს მოითხოვენ, რისთვისაც ფულის ემისიის განხორციელებას უჭერენ მხარს.

მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპონენტები, როგორც ზემოთ ითქვა, ტრადიციულ ეკონომიკს ეყდრნობიან. თუმცა ეს უკანასკნელი უძღურია ისეთი საქონლის ბაზრის კანონზომიერებების შესწავლაში, რომელშიც მოთხოვნა არ არსებობს.

როგორც ზემოთ (თავი 5) აღინიშნა, ისეთი ფენომენი, როგორცაა საქონლის ბაზარი, რომელშიც მოთხოვნა არ არსებობს, პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და ამ ტიპის ბაზრისათვის ეკონომიკის მონეტარული სტიმულირების განხილული მექანიზმები, უბრალოდ, უძღურია. ამის ასახსნელად აუცილებელია იმის გახსენება, რომ საქონლის ბაზრის საფუძველს, რომელშიც მოთხოვნა არ არსებობს, ნეკროეკონომიკა წარმოადგენს.

პირველი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, არის – ინფლაციის დონის ზრდის პირობებში ნეკროეკონომიკის საწარმოები მართლა შეძლებენ თუ არა წარმოების განვითარებას; ხოლო მეორე კი ის, თუ ნეკროეკონომიკის დიდი მასშტაბების პირობებში მისი ინფლაციური სტიმულირება რამდენად კარგ შედეგებს მოიტანს.

დავინწყოთ იმით, თუ ნეკროეკონომიკური საწარმოები რამდენად არიან მზად, შედარებით მაღალი ინფლაციის პირობებში განავითარონ წარმოება. სამწუხაროდ, პასუხი უარყოფითია. კერძოდ, კომუნისტური ეპოქის დროინდელ საწარმოთა უმრავლესობაში მოძველებული ტექნიკა-ტექნოლოგიაა, რის საფუძველზეც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი (მაღალხარისხიანი და დაბალდანახარჯიანი) პროდუქციის წარმოება. აქედან გამომდინარე,

ეკონომიკის რეალურ სექტორში სერიოზული ინვესტიციების განხორციელებისა და ახალი (ან განახლებული) ბაზრების მოძიების გარეშე (რასაც ასევე დრო სჭირდება), ამ საწარმოთა პერსპექტიულობაზე ფიქრიც კი, პრაქტიკულად, გამორიცხულია. თავის მხრივ, ინვესტიციების განხორციელებისათვის შემდეგი სამი წყაროს გამოყენებაა შესაძლებელი:

- ა) საწარმოთა საკუთარი საფინანსო რესურსები;
- ბ) საბანკო კრედიტი;
- გ) უცხოეთის ფირმების საფინანსო რესურსები.

პირველი წყარო, პრაქტიკულად, მხოლოდ რამდენიმე საწარმოსათვის (რომელთაც შეძლებული უცხოელი პარტნიორები უკვე ჰყავთ მოძებნილი) არის ხელმისაწვდომი; დანარჩენები (რომლებიც, სამწუხაროდ, უმრავლესობას შეადგენენ) უდიდეს ფინანსურ გაჭირვებაში (დავალიანებები ბიუჯეტის, დაქირავებულთა და სხვა საწარმოების მიმართ) არიან.

რაც შეეხება საბანკო კრედიტს, ის ნეკროეკონომიკის საწარმოებისათვის სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური დახმარების გარეშე ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამ განაკვეთის დონე კი გაზრდილი ინფლაციის პირობებში კიდევ უფრო მაღლა აიწევს და, ამდენად, საბანკო კრედიტი კიდევ უფრო ხელმიუწვდომელი გახდება არასავაჭრო (და, შესაძლოა, უკვე სავაჭრო) ოპერაციების განხორციელებისათვის. მაშასადამე, არც მეორე წყაროს გამოყენებაა (და, მით უფრო, თუ შედარებით მაღალი ინფლაციის პირობებში იქნება) წარმოების განვითარების ხელშემწყობი.

ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის ამალღების მნიშვნელოვან გზას უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს, რომელთა მასობრივი შემოსვლაც ეკონომიკის რეალურ სექტორში, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, დროში ერთობ გაჭიანურებულია: საწყის ეტაპზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ძირითადად, სპეკულაციური კაპიტალი შემოდის, რომელიც, უმთავრესად, უძრავი ქონების სექტორში იყრის თავს. საერთაშო-

რისო გამოცდილების თანახმად, სტაბილიზაციის (პოლიტიკური და აუცილებლად მაკროეკონომიკური) მიღწევიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადების შემოსვლამდე დროითი ლაგი არანაკლებ სამი წელია.

ინფლაციის ტემპების ზრდა უცხოელი პარტნიორების თვალში, ძალზე დიდი ალბათობით, აღქმული იქნება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კურსიდან გადახვევა, რაც, თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას კვლავ გადაავადებს. აქედან გამომდინარე, შედარებით გაზრდილი ინფლაციის პირობებში, წარმოების განვითარების ხელშემწყობი ინვესტიციების განხორციელების არც მესამე წყაროა ხელმისაწვდომი.

მაშასადამე, ინფლაციის ზრდა ნეკროეკონომიკის პირობებში წარმოების განვითარებას არათუ ხელს შეუწყობს, არამედ შეზღუდავს იმ მწირი რესურსების ხელმისაწვდომობას, რომლებიც შეიძლება წარმოებაში ინვესტიციების განსახორციელებლად არსებობდეს.

ეს დასკვნა სავსებით საკმარისია იმ აზრის უკუსაგდებად, რომლის თანახმად, თითქოსდა ინფლაციის სტიმულირება ნეკროეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოების განვითარებას უწყობდეს ხელს. ზუსტად იგივე სურათი იქმნება ეროვნული ვალუტის დევალვაციის ხელშემწყობით, რადგან ნეკროეკონომიკურ საწარმოებს მით უფრო არ შესწევთ უნარი, საექსპორტო პროდუქცია გამოუშვან.

საკითხის ანალიზის კომპლექსურობა მოითხოვს, რომ ცალკე ყურადღება დაეთმოს საკითხს, თუ ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის სტიმულირებას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში რა შესაძლო შედეგები მოჰყვება.

უნინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ფულის მიმოქცევა.

პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპი, არცთუ იშვიათად, მაღალი ინფლაციითა და ეროვნული ვალუტის სწრაფი და არ-

სებითი დეველვაციით ხასიათდებოდა. მართალია, ამის შემდეგ ინიცირებულმა მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ საშუალება მისცა ამ ქვეყნებს, ინფლაციაც მოეთოკათ და დეველვაციაც გაეკონტროლებინათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უახლოესი წარსულის ხსენებული სავალალო მოვლენები მოსახლეობის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია, რაც ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის საბოლოო და საყოველთაო დამკვიდრებას უშლის ხელს.

ასეთ პირობებში, ინფლაციის ტემპების გაზრდა და ეროვნული ვალუტის დეველვაციის სტიმულირება მოსახლეობაში ეროვნული ვალუტის, როგორც დაგროვების საშუალებისადმი, ისედაც სუსტ სტიმულებს კიდევ უფრო შეასუსტებს.

ინფლაციის დონის ამალლებისა და ეროვნული ვალუტის დეველვაციის ხელშეწყობის შემთხვევაში სოციალურ სფეროში კიდევ უფრო მძიმე სურათი შეიქმნება.

მაღალი ინფლაციის შემთხვევაში მოსახლეობის ცხოვრების დონე, სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად ქვეითდება. ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეულია იმ ქვეყნებისათვის, სადაც პენსია და მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს, სულ ცოტა, ერთნახევარჯერ ან ორჯერ მაინც აღემატება. მაგრამ, როცა პენსია და მინიმალური ანაზღაურება საარსებო მინიმუმის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ინფლაციის ტემპის ზრდა მოსახლეობის ყველაზე უფრო შეჭირვებულ კატეგორიას უდიდეს დარტყმას მიაყენებს. თანაც ეროვნული ვალუტის დეველვაცია უშუალოდ აძვირებს იმპორტირებულ სამომხმარებლო პროდუქციას, რაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად აისახება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს შემდეგი გარემოების გათვალისწინებასაც: ეროვნული ვალუტის დეველვაცია საბაჟო შემოსავლებს გაზრდის, მაგრამ, იმავდროულად, საგარეო ვალის მომსახურებას გააძვირებს. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოებაა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც დიდი ოდენობით აქვთ საგარეო ვალი.

მაშასადამე, ნეკროეკონომიკის მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბების პირობებში ბრუნვაში ფულის მასის ზრდით ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის სტიმულირება სულაც არ არის ეკონომიკური ზრდისა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოების გამომწვევი. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი კი შეიძლება აღმოჩნდეს.

## § 15.2. ჰოლანდიური დაავადება

1959 წელს ჩრდილოეთის ზღვაში აღმოჩენილ იქნა გაზის დიდი საბადო, რამაც ნიდერლანდებს<sup>1</sup> საშუალება მისცა, მნიშვნელოვნად გაეზარდა გაზის ექსპორტი და ამით გაზრდილი სავალუტო შემოსავლები მიეღო. გასული საუკუნის 70-იან წლებში უკვე შემდეგი სურათი გამოიკვეთა: უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინებამ ხელი კი შეუწყო ადგილობრივი ვალუტის გამყარებას (რევალვაციას), რის შედეგადაც, გაზის გარდა, სხვა პროდუქციის (კერძოდ კი, გადამმუშავებული მრეწველობის პროდუქციის) ექსპორტი გაძვირდა, ხოლო იმპორტი კი გაიაფდა. შედეგად, გაზის გარდა, სხვა პროდუქციის ექსპორტი შემცირდა, რაც, მთლიანობაში, ნიდერლანდების ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. ამ ფენომენს, – როცა უცხოური ვალუტის დიდი ოდენობის შემოდინების შედეგად მოცემული ქვეყნის ეროვნული ვალუტა მყარდება, რაც, საბოლოო ჯამში, ამუხრუჭებს ექსპორტს, – სახელად „ჰოლანდიური დაავადება“<sup>2</sup> (Dutch Disease) დაერქვა.

<sup>1</sup> ნიდერლანდებს არაფორმალურად ჰოლანდიასაც ეძახიან. სინამდვილეში, ჰოლანდია ჰქვია ნიდერლანდების ორ პროვინციას („ჩრდილოეთ ჰოლანდია“ და „სამხრეთ ჰოლანდია“). 2020 წლის 1 იანვრიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ქვეყანა ოფიციალურად იწოდება, როგორც ნიდერლანდები.

<sup>2</sup> ქართულში, გარდა ტერმინის – „ჰოლანდიური დაავადება“, ტერმინი „ჰოლანდიური სენიც“ გამოიყენება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად ქვეყნის სახელის ოფიციალური დაზუსტებისა, განსახილველ ეკონომიკურ ფენომენს, დამკვიდრებული ტრადიციის გათვალისწინებით, შემორჩა ძველი სახელწოდება – „ჰოლანდიური დაავადება“.

როცა ეროვნული ვალუტის გამყარებაზე საუბარი, ხაზგასასმელია, რომ ჰოლანდიური დაავადებით ინფიცირებისას მნიშვნელობა აქვს არა ნომინალური, არამედ რეალური გაცვლითი კურსის<sup>1</sup> რევალვაციას.

ჰოლანდიური დაავადება, როგორც წესი, დამახასიათებელია ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი ქვეყნებისათვის. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამის არაერთი მაგალითია, თუნდაც რუსეთის (მაგალითად, Монтес, Попов, 1999) ან აზერბაიჯანის სახით (მაგალითად, Cornell, Ismailzade, 2005). თუმცა არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა მიზეზითაა განპირობებული ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ზრდა, რის გამოც ეკონომიკა ჰოლანდიური დაავადებით ინფიცირდება.

იმისდა მიხედვით, თუ რა არის ჰოლანდიური დაავადების გამომწვევი მიზეზი ამა თუ იმ ქვეყანაში, მას ჰოლანდიურის ნაცვლად იმ ქვეყნის სახელსაც კი უწოდებენ. მაგალითად, თუ ამ დაავადების გამომწვევი არის მხოლოდ ნავთობი, მაშინ მას ინდონეზიურ, ნიგერიულ, მექსიკურ ან ვენესუელურს უწოდებენ; თუ დაავადების გამომწვევი ერთდროულად არის ბრინჯი, კაუჩუკი და კალა, მას ტაილანდურს ეძახიან, ერთდროულად კაუჩუკითა და კალით გამომწვეულს – მალაიზიურს, ერთდროულად ყავითა და შაქრით – ბრაზილიურს, მხოლოდ ყავით – კოლუმბიურს, ერთდროულად ყავით, კაკაოთი და მერქნით – კოტ დიუარიულს, მხოლოდ უცხოური დახმარებით – ბანგლადეშურს, ერთდროულად ტურიზმის, ფულადი გზავნილებისა და უცხოური დახმარებით – ეგვიპტურს, მხოლოდ ფულადი გზავნილებით – იორდანიულს, მხოლოდ სპილენძით – ზამბიურს ან ზაირიულს, მხოლოდ კაკაოთი – განურს და ერთდროულად ტურიზმითა და ყავით – კენიურს (Nafziger, 1997, p. 335). მიუხედავად ამისა, დაავადების გამომწვე-

<sup>1</sup> რეალური გაცვლითი კურსი გაიანგარიშება, როგორც ნომინალური გაცვლითი კურსის ნამრავლი შესაბამისი ქვეყნების ფასების დონეთა თანაფარდობაზე. სხვა სიტყვებით, რეალური გაცვლითი კურსი ნომინალური გაცვლითი კურსის შესაბამის ქვეყნებში ინფლაციის დონეთა თანაფარდობით კორექტირებას ითვალისწინებს.

ვი ნებისმიერი მიზეზისას, საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი „ჰოლანდიური დაავადება“.

საყურადღებოა, რომ ის ქვეყნები, სადაც ნეკროეკონომიკა შედარებით ფართო მასშტაბითაა წარმოდგენილი, ჰოლანდიური დაავადებიდან ნაკლებად ზარალდებიან, რადგან ნეკროეკონომიკური საწარმოებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია საექსპორტო პროდუქციის წარმოება (იხ. §15.1).

ცენტრალური ბანკი ჰოლანდიური დაავადების უარყოფითი შედეგების გასაწინააღმდეგოდ ცდილობს, ქვეყანაში შემოსული მზარდი ოდენობის უცხოური ვალუტა შეისყიდოს (ეროვნული ვალუტის გაყიდვის ხარჯზე) და ამით სავალუტო ბაზარზე გაზარდოს ეროვნული ვალუტის და შეამციროს უცხოური ვალუტის ოდენობები. შედეგად, ცენტრალური ბანკი სავალუტო რეზერვებსაც ზრდის. ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ცენტრალური ბანკისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ეროვნული ვალუტის გაყიდვით ბრუნვაში ფულის მასის ზრდის პარამეტრებიც, რათა ინფლაციის დონის არასასურველი ზრდა აიცილოს თავიდან.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკაც აღმოჩნდა ჰოლანდიური დაავადებით ინფიცირებული (ასლამაზიშვილი, 2006; Papava, 2005, pp. 90-96). ეს კი უშუალოდ უკავშირდება ვარდების რევოლუციის შედეგად გატარებულ ღონისძიებებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, კორუფციასთან ბრძოლის საბაბით, არაერთი თანამდებობის პირი დააკავეს, რომლებმაც თავისუფლება შესაბამისი საფასურის გადახდით მიიღეს. ბუნებრივია, მათ თანხა დოლარებში ჰქონდათ გადანახული, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ერთადერთი კანონიერი საგადაამხდლო საშუალება ლარია, ამიტომ ბაზარზე დიდი ოდენობით დოლარი გადახურდავდა ლარში.

ვარდების რევოლუციით ხელისულებაში მოსულ მთავრობას აღმოაჩნდა იმის პოლიტიკური ნება, რომ საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში წესრიგი დაემყარებინა, რის შედეგადაც გაიზა-

რდა საბიუჯეტო შემოსავლები, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა მოთხოვნა ლარზე. კერძოდ, თუ რევილუციაშივე საგადასახადო და საბაჟო სამსახურების თანამშრომლები ქრთამის სახით იღებდნენ აშშ დოლარებს, ხოლო გადასახადების არგადამხდელებიც არგადახდილ თანხებს იმავე ვალუტაში აგროვებდნენ, გადასახადების გადახდაში წესრიგის დამყარებამ ურჩი არგადამხდელები აიძულა, უცხოური ვალუტა ლარში გადაეხურდავებინათ საგადასახადო ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამის გარდა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხრიდან თანხების გადმორიცხვის მასშტაბიც გაიზარდა: 2000 და 2006 წლების მონაცემებს თუ შევადარებთ, მარტო საბანკო არხებით ფულადი გზავნილების მოცულობა 5-ჯერ გაიზარდა. რამდენი შემოდის საბანკო არხების მიღმა, ამის გაკონტროლება შეუძლებელია – სავარაუდოდ, ასეთი გზავნილების მოცულობაც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა.

ვარდების რევილუციამ საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი მოუტანა, რამაც პრივატიზაცია მიმზიდველი გახადა. ინვესტორებს, უმთავრესად, აშშ დოლარი (ნაკლებად, ევრო) შემოაქვთ, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში კანონიერი საგადამხდელო საშუალება ლარია, ეს დოლარებიც ლარში გადაიცვლება. უცხოური კაპიტალი საქართველოში პრივატიზაციის გარეშეც შემოდის, როცა საქართველოს რეზიდენტისაგან ყიდულობენ კერძო საკუთრებას. ამ ყველაფერმა 2004-2008 წლებში – აშშ დოლარის მასის ზრდა და მისი გაუფასურება, ხოლო ლარის გამყარება გამოიწვია.

მამასადამე, საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევი მიზეზები იყო ანტიკორუფციული ღონისძიებები, ფულადი გზავნილები და უცხოური პირდაპირი ინვესტიციები<sup>1</sup>. სხვა

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ქართულად დამკვიდრებულია ტერმინი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“, რაც რუსულად «Прямые иностранные инвестиции»-ის უშუალო თარგმანია. ინგლისური “Foreign Direct Investment“-ის უშუალო ქართული თარგმანი კი იქნება „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები“ (სიხარულიძე, ჭარაია, 2018, გვ. 14).

სიტყვებით, ამ სამი ფაქტორით გამოწვეულ დაავადებას, ისე, როგორც ეს ხდება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, პირობითად, „ქართული დაავადება“ შეიძლება ეწოდოს.

ანგარიშგასანევია ის გარემოება, რომ საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევ მიზეზებს აშკარად არ გააჩნდა სტაბილური ხასიათი. კერძოდ, კორუფციის მასშტაბების შემცირების კვალობაზე, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მუდმივი ზრდის მასტიმულირებელი ფუნქცია ვეღარ ექნებოდა; რაც შეეხება ფულად გზავნილებსა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს, მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, როგორც წესი, თანდათანობით სუსტდება, ხოლო თუნდაც რეგიონული (რომ არაფერი ვთქვათ გლობლური) ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში, მათი მოცულობა არსებითად ეცემა. საქართველოში სიტუაცია სწორედ ამ სცენარით წარიმართა და, 2008 წელს განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, ქვეყანა ჰოლანდიური დაავადებისაგან საკმაოდ სწრაფად „განიკურნა“.

## § 15.3. სავალუტო ფარი

„სავალუტო ფარი“ (“Currency Board”)<sup>1</sup> ეროვნული ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსით რომელიმე სტაბილურ უცხოურ ვალუტაზე მიბმა არის.

სავალუტო ფარის იდეა ცნობილ ამერიკელ სპეციალისტს სტივ ჰენქსს ეკუთვნის (მაგალითად, Hanke, 2002; Hanke, Schuler, 1994). ამ იდეის ერთ-ერთი გამორჩეული კრიტიკოსი ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში პოლ კრუგმანია (მაგალითად, Krugman, 1998, 1999). შედეგად, სავალუტო ფარის

<sup>1</sup> ზოგჯერ ამ ტერმინს ინგლისურიდან თარგმნიან, როგორც „სავალუტო საბჭოს“, შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სავალუტო რეგულირებაც“, თუმცა ტერმინი „ფარი“, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად ასახავს მოვლენის არსს, ვიდრე სხვა ტერმინები.

იდის მომხრეთა და მონინალმდეგეთა შორის საკმაოდ საინტერესო დისკუსიას აქვს ადგილი (მაგალითად, Hanke, 2003; Yeyati, Sturzenegger, eds., 2003).

სავალუტო ფარი, განმარტებიდან გამომდინარე, უცილობლად მოითხოვს იმას, რომ ქვეყანას გააჩნდეს დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, რათა ფიქსირებული კურსით ვალუტების გაცვლითი ოპერაციები არ შეფერხდეს: როგორც ნესი, სახელმწიფოს ხელთ არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები ემიტირებული ფულის 100 პროცენტზე მეტი უნდა იყოს, ეს კი უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინების შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული. სავალუტო ფარის ინსტიტუცია, წმინდა ეთიკური თვალსაზრისით, მისასალმებელია, რადგან ის მოცემულ სფეროში სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებებს ზღუდავს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების გამო, მენარმეთათვის საგარეო ეკონომიკური ოპერაციები შედარებით ადვილად პროგნოზირებადია.

სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენება გამორიცხავს ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობისათვის სესხის მიცემას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მთავრობამ უარი უნდა თქვას დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტზე და ჰქონდეს მცირედი პროფიციტი მაინც, რათა შექმნას საგანგებო დანიშნულების ფონდები (მაგალითად, სტაბილიზაციის ფონდი) გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარ ვითარებაში კომერციული ბანკები ამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი უარს ამბობენ კვაზიფისკალური დეფიციტის პროექტებში მონაწილეობაზე, როცა სახელმწიფო იმპერატიულად სთხოვს მათ, დააკრედიტონ ეკონომიკურად არამიმზიდველი პროექტები (მაგალითად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის დაკრედიტება რუსეთის მიერ შესაბამის პროდუქციაზე დაწესებული სავაჭრო შეზღუდვების პირობებში).

სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენება ცენტრალურ ბანკს, როგორც ასეთს, აზრს უკარგავს და, შედეგად, ის უქმდება.

სავალუტო ფარის მექანიზმის შემოღება, როგორც წესი, მიზანშეწონილია მაშინ, როცა ქვეყანაში ძალზე მაღალია ინფლაციის დონე, ანუ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას, რადგან ერთდროულად სტაბილური გაცვლითი კურსისა და პროფიციტული (ან არადეფიციტური მაინც) სახელმწიფო ბიუჯეტის ქონა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ქმედითი ინსტრუმენტია. ეს დადასტურებულია პრაქტიკითაც, როცა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიაში 2 700 პროცენტს მიღწეული წლიური ინფლაცია სწორედ ამ მექანიზმით მოთოკეს; 1992-1995 წლებში ესტონეთში, იმავე მექანიზმით, წლიური 1069-პროცენტის ინფლაცია 29 პროცენტზე დაიყვანეს, ხოლო ლიეტუვაში 1994 წელს, წინა წელთან შედარებით, 390,2-პროცენტის ინფლაცია 72 პროცენტამდე შემცირდა. საყურადღებოა, რომ საქართველოში ჰიპერინფლაცია მხოლოდ 1993-94 წლებში იყო, როცა თვიური ინფლაცია 50-70 პროცენტს შეადგენდა. აქვე იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ სავალუტო ფარი სულაც არ არის იმის გარანტი, რომ ღია ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნები (დღევანდელი საქართველო კი სწორედ ასეთია) დაიცვას სხვა ქვეყნებში მიმდინარე საფინანსო კრიზისისაგან, რადგანაც ამ შემთხვევაში სტიმული ეძლევა სპეკულაციურ ოპერაციებს. ამის თვალსაჩინო მაგალითი კი 1994 წელს მექსიკური პესოს დევალვაციაა, როცა უცხოური კაპიტალის გაქცევისაგან არგენტინა სავალუტო ფარმაც ვერ იხსნა.

თეორიიდან ცნობილია, რომ სავალუტო ფარი, როგორც ინსტიტუცია, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე გარდამავალი პერიოდისათვისაა შესაფერი და, სწორედ ამის გამო, შეუძლებელია, რომ მთელ მსოფლიოში ერთდროულად იქნეს გამოყენებული. აქვე ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო ომის (მაგალითად, Dadush, 2010; Feng, 2019; Forrest, Ying, Gong, 2018; Rickards, 2012;

Rojas-Suarez, 2010) ფონზე რაიმე გლობალური მასშტაბის შეთანხმება ერთ რომელიმე ვალუტასთან დაკავშირებით პრაქტიკულად ძნელად მისაღწევი იქნება.

კრიზისულ პერიოდში კი სავალუტო ფარი უსუსური ინსტიტუციაა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, როცა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ის ქვეყანა (ბელორუსია, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუსეთი და უკრაინა), რომელიც იყენებდა ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმს, ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა (Åslund, 2009, p. 2).

2007 წლის შემოდგომიდან სავალუტო ფარის შემოღების საკითხი საქართველოს წინაშეც დაისვა. ამ კონტექსტში აუცილებელია იმის შეხსენება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა ჰოლანდიური დაავადებით იყო ინფიცირებული.

ჰოლანდიური დაავადება, ერთი მხრივ, სავალუტო ფარის რეჟიმის ამოქმედებას უწყობს ხელს, რადგან უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოღინება ზრდის სახელმწიფოს ხელთ არსებულ სავალუტო რეზერვებს. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობა არა მარტო შეუძლებელს ხდის სავალუტო ფარის შემოღებას, არამედ ჰოლანდიური დაავადების გამწვავებასაც უწყობს ხელს. და თუ სავალუტო ფარს მაინც შემოვიღებდით, მაშინ, ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში, ლარის სულ უფრო მეტი ოდენობით ემისია იქნებოდა საჭირო, რაც ინფლაციას კიდევ უფრო გააღრმავებდა.

სავალუტო ფარის რომელიმე აპოლოგეტმა შესაძლოა იმის მტკიცებაც კი დაინცოს, რომ სწორედ ამ ინსტიტუციის შემოღება შეიძლება გახდეს ის იძულების მექანიზმი, როცა მთავრობას სხვა გზა აღარ დარჩება, რომ დეფიციტურიდან პროფიციტურ ბიუჯეტზე გადავიდეს. ეს კი ნაკლებად სავარაუდოა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობას უახლოეს მომავალშიც დასჭირდება უცხოური დახმარების მიღება.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ, თუ ჰოლანდიური დაავადების ზემოსხენებული მიზეზები შესუსტდებოდა ან საერთოდ გაქრე-

ბოდა, მაშინ, საქართველოს მწირი საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, ხსენებული სავალუტო რეზერვი მყისიერად დაიცლებოდა, რაც მძიმე ფინანსური კრიზისის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. მხედველობაში აუცილებლადაა მისაღები, რომ საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევ მიზეზებს სტაბილური ხასიათი არ ჰქონდა და მათი მნიშვნელობა, 2008 წლიდან მოყოლებული, იმდენად შესუსტდა, რომ ქვეყანა ამ დაავადებისაგან მყისიერად „განიკურნა“ კიდევ.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ არასტაბილური ხასიათის მქონე მიზეზებით გამომწვეული ჰოლანდიური დაავადების იმედად საქართველოში სავალუტო ფარის შემოღება უდიდესი შეცდომა იქნებოდა (პაპავა, 2007; Papava, 2007).

## § 15.4. კრიპტოვალუტის ეკონომიკური შინაარსის ძიება

ეკონომიკური მეცნიერების ეკონომიკური რეალობისგან ჩამორჩენის თვალსაჩინო მაგალითია პირველი კრიპტოვალუტის – ბიტკოინის – შემოღება და გავრცელება. მისი პირველი ემისია განხორციელდა 2009 წლის 3 იანვარს, ანუ მაშინ, როცა გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო საბანკო სისტემას შეექმნა სირთულეები (Skidelsky, 2018). საყურადღებოა, რომ კრიპტოვალუტის შემოღების შესაძლებლობა ბიტკოინის შემოღებამდე ჯერ კიდევ ათი წლით ადრე, ანუ 1999 წელს იზინა-სნარმეტყველა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატმა მილტონ ფრიდმენმა (Cawrey, 2014; Самсон, 2017).

თავიდანვე გასაიდუმლოებული იყო ბიტკოინის ოფიციალურად გამოცხადებული გამომგონებელი სატოში ნაკამოტო (Satoshi Nakamoto): არავინ იცოდა, ამ სახელით და გვარით მართლა არსებობდა თუ არა კონკრეტული პიროვნება ან ფირმა. მოგვიანებით გაჩნდა სხვადასხვა ვერსია და გამოიკვეთა ამ ფსევდონომის ქვეშ მოღვაწე ორი პიროვნება – ავსტრიელი ბიზნესმენი კრეიგ რაიტი

და ამერიკელი პროგრამისტი დევიდ კლეიმანი (სიჭინავა, მალრადი, 2018, გვ. 178).

მთავარი კი ისაა, რომ, როგორც ამას აღნიშნავს ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში რობერტ შილერი, ეკონომისტებისთვის ბუნდოვანი რჩება კრიპტოვალუტის ემისიის ეკონომიკური მექანიზმი (Shiller, 2018). მიუხედავად ამისა, კრიპტოვალუტა წლითინლობით სულ უფრო პოპულარული ხდება, რაც, უნინარეს ყოვლისა, მისი ფასის ზრდაში აისახა. კითხვაზე, თუ რატომ ყიდულობენ ბიტკოინს, რატომ დაფიქსირდა მასზე მზარდი მოთხოვნა, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში ჯოზეფ სტიგლიცი სამართლიანად პასუხობს, რომ ეს გამოიწვია მისმა გასაიდუმლოებულმა ხასიათმა (Golstein, 2018), რაც ასევე იძლევა კანონის გვერდის ავლის საშუალებას (Myers, 2017).

ბიტკოინის (თუ სხვა კრიპტოვალუტის) გასაიდუმლოებულმა ხასიათმა ის აქცია კრიმინალური სამყაროსთვის ფინანსური ოპერაციების განხორციელების საუკეთესო საშუალებად და შექმნა იმის შესაძლებლობა, რომ კრიპტოვალუტა პოლიტიკურმა აგრესორებმა მასობრივი განადგურების ფინანსურ იარაღად გამოიყენონ (James, 2018). ამ კუთხით საინტერესოა რუსეთის გამოცდილება, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში ოფიციალურად დევნიდა ბიტკოინს, თუმცა 2017 წლიდან გამოვიდა წინადადებით, ფართოდ გამოიყენოს კრიპტოვალუტა და არც ის გამოიციხა, რომ გამოუშვას ბიტკოინის კონკურენტი საკუთარი კრიპტოვალუტა; კრიპტოვალუტის ლეგალიზაციით მოსკოვს სურს, სულ ცოტა, გვერდი აუაროს „მაგნიცკის აქტი“ (the Magnitsky Act) დაწესებულ ფინანსურ შეზღუდვებს (Johnson, 2017).

ჯოზეფ სტიგლიცის აზრით, კრიპტოვალუტა უნდა აიკრძალოს (Bach, 2017), გამოცხადდეს კანონგარეშედ (Myers, 2017). მიუხედავად ამისა, იაპონიამ ბიტკოინს მიანიჭა კანონიერი საგადამხდელო საშუალების სტატუსი, რითაც აშკარად დააფიქსირა პრეტენზია, რომ გადაიქცეს ფინანსური ტექნოლოგიების გლობალურ ცენტრად (Rogoff, 2017).

ხაზგასასმელია, რომ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტებისთვის ბიტკოინი და, ზოგადად, კრიპტოვალუტა არასანდო ფინანსური ინსტრუმენტია. მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატები რობერტ შილერი და პოლ კრუგმანი მიიჩნევენ, რომ ბიტკოინი (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კრიპტოვალუტა) ფინანსური ბუშტია (Shiller, 2019, pp. 4-5; Самаева, 2017). რადგან კრიპტოვალუტის ფასი იზრდება ახალი მომხმარებლების სისტემაში ჩართვის ხარჯზე, ამიტომ კრიპტოვალუტა იძენს ფინანსური პირამიდის, ანუ პონციის სქემის (Ponzi scheme) ხასიათს (Sheng, Geng, 2017; Симаповский, 2018). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ეკონომისტისთვის ძნელად წარმოსადგენია, რა მომავალი ელის ბიტკოინს (Baker, 2018) ან არ იცის, რა ჯობია ურჩიოს დაინტერესებულ პირებს, იყიდონ თუ არ იყიდონ ბიტკოინი, რადგანაც მისი ყიდვა თურმე იგივეა, რაც ლატარიის ბილეთის ყიდვა (Turner, 2018). არიან ისეთი ეკონომისტებიც, რომელთათვისაც ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ თურმე ბიტკოინის ღირებულების ნახტომისებურმა ვარდნამ შესაძლოა დაანგრიოს რწმენა ბაზრების ეფექტიანობის შესახებ (Quiggin, 2018). ყველაზე მოულოდნელად კი, სავარაუდოდ, უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის ქრისტინე ლაგარდის მიერ გამოთქმული ოპტიმიზმი კრიპტოვალუტის მომავალთან დაკავშირებით (Lagarde, 2017), რაც, ჩემი აზრით, უფრო ემოციური ხასიათისაა, ვიდრე პროფესიული ეკონომიკური დატვირთვის მქონე. ამ ფონზე სულაც არ არის გასაკვირი, ლიბერტარიანელების მხრიდან ბიტკოინის მიმართ პოზოტიური დამოკიდებულების არსებობა (Cox, 2013).

საყურადღებოა, რომ თანდათანობით იკვეთება ციფრული ვალუტების ომის შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ჩინეთის მიერ სახელმწიფო კრიპტოვალუტის და, მეორე მხრივ კი, Facebook-ის კრიპტოვალუტის Libra-ს (რომელიც შვეიცარიამია ოფიციალურად რეგისტრირებული) გამოშვებასთან (Rogoff, 2019).

ცალკე თემაა ბიტკოინის შექმნის ტექნოლოგია, რომელიც ეფუძნება ბლოკჩეინს. ზოგის აზრით, ბლოკჩეინს, კრიპტოვალუტასთან შედარებით, დიდი მომავალი აქვს (მაგალითად, Rogoff, 2017), თუმცა არიან სკეპტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მისი შესაძლებლობები შეზღუდულია (Roubini, 2018; Roubini, Byrne, 2018).

ანგარიშგასანევია ის გარემოებაც, რომ ბიტკოინის გამოშვება საჭიროებს მძლავრ კომპიუტერულ სიმძლავრეებს და ენერჯის იაფ წყაროს (მაგალითად, James, 2018; Popper, 2018). ზოგიერთი პროგნოზის თანახმად, 2020 წელს ბიტკოინი მოიხმარს უფრო მეტ ენერჯიას, ვიდრე მსოფლიო მოიხმარდა 2017 წლის ბოლოს (Jezard, 2017). მართალია, ამ ტიპის პროგნოზები ყოველთვის ვერ იმსახურებს სანდოობას, თუმცა იმას აუცილებლად უნდა გაეხვას ხაზი, რომ სულაც არ არის გამორიცხული, მომავალში, თუ არ მოხდა გარღვევა ენერგეტიკაში, ვირტუალური ვალუტა სერიოზულ ენერგეტიკულ პრობლემებს შეუქმნის მთელ მსოფლიოს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საერთაშორისო საექსპერტო საბჭოს მიერ ჩატარებული გამოკვლევა, რომელიც დაეყრდნო ბიზნესის მსოფლიო ლიდერებიდან 800-ის გამოკითხვას, რომელთა თანახმადაც, ბიტკოინისა და ბლოკჩეინის მიმართ მსოფლიოში გარდამტეხი მომენტი დადგება მაშინ, როცა ბლოკჩეინის ტექნოლოგიის მიერ მსოფლიოს მთლიანი სამამულო პროდუქტის 10 პროცენტი დაიზოგება, რაც გამოკითხულთა 58 პროცენტისთვის 2025 წელსაა სავარაუდო (Schwab, 2016, p. 155; Шваб, 2018, с. 243); მთავრობებისთვის კი ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენებაში გარდამტეხი მომენტი დადგება მაშინ, როცა ამ ტექნოლოგიით პირველად გახდება შესაძლებელი გადასახადების აკრეფა, რაც გამოკითხულთა 73 პროცენტისთვის უკვე 2025 წელს შეიძლება განხორციელდეს (Schwab, 2016, p. 169; Шваб, 2018, с. 249).

სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ეკონომისტებმა მეტ-ნაკლებად სერიოზული ყურადღება დაუთმეს კრიპტოვალუტას, თუმცა ის, განსაკუთრებით კი ბიტკოინი,

დღეისათვის უკვე საკმაოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უკვე გამოჩნდა პირველი პუბლიკაციები, რომელთა მიზანია ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაანალიზება (მაგალითად, Salman, Razzaq, 2018) ან შედარებით გასაგები ენით ამ პრობლემის მკითხველთა ფართო ფენებისთვის ახსნა (მაგალითად, Винья, Кейси, 2018; Тарасов, Попов, 2018). სამწუხაროა, რომ კრიპტოვალუტა ისეა მოდებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანას,<sup>1</sup> რომ ეკონომიკურ მეცნიერებას შესაბამისი ფენომენი სრულად ჯერაც არ შეუხსნავლია. ეკონომიკური მეცნიერებისთვის არასახარბიელო ფაქტია, რომ მხოლოდ მაშინ, როცა პირველი ბიტკოინის გამოშვების შემდეგ თითქმის ათ წელზე მეტია გასული, ეკონომისტებმა, როგორც იქნა, მეტ-ნაკლებად სერიოზულად მიაქციეს ყურადღება კრიპტოვალუტის პრობლემას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი რ., 2000ა.** საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი 1. თბილისი, „სიახლე“.
- ასათიანი რ., 2000ბ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 7-8.
- ასლამაზიშვილი ნ., 2006.** „ჰოლანდიური დაავადება“ საქართველოს

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ბიტკოინი ძალზე პოპულარულია საქართველოში, თუმცა, საბედნიეროდ, ოფიციალურად ის არ წარმოადგენს კანონიერ საგადასმდელო საშუალებას (North, 2018; Спутник, 2018). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ბიტკოინის და ზოგადად კრიპტოვალუტის მიმართ აშკარად კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატველი პუბლიკაციები (მაგალითად, დავითაია, 2017; კვირკველია, 2017; ipress.ge, 2018). საქართველოს ენერგეტიკული სექტორისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია ბიტკოინის მოპოვებაზე დახარჯული ელექტროენერჯის მზარდი ოდენობა (ჩეჩელაშვილი, 2018ა, 2018ბ). ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, სამწუხაროდ, კრიპტოვალუტის პრობლემის მეცნიერული კვლევა არც ქართველი ეკონომისტებისთვისაა ჯერჯერობით პრიორიტეტული.

- ეკონომიკაში: არსებული რეალობა და შესაძლო საფრთხეები. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი.
- ბასარია რ.**, მესხია ი., 1995. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბილისი, ფსკი.
- ბასილია თ.**, სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
- ბოლქვაძე ბ.**, 2009. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი, „უნივერსალი“.
- ბურდული ვ.**, 2000. საფინანსო-საკრედიტო სისტემისა და წარმოების განვითარების ინტერესების დაახლოების გზები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი, „მეცნიერება“.
- გამსახურდია გ.**, 1997. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი, „მერიდიანი“.
- დავითაია ზ.**, 2017. თემურ ბასილია: ბიტკოინი არის ახალი პირამიდა, რომელშიც ჩართულნი არიან მასები და იგი შესაძლოა, ხუხულასავით დაინგრეს! *sazogadoeba.ge*, 4 ოქტომბერი, [http://www.sazogadoeba.ge/index.php?post\\_id=2638](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=2638).
- დარბუაშვილი ნ.**, 2002. მონეტარული პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა. *ეკონომიკა*, № 8-9.
- ოთოლაძე ლ.**, 2000. ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი, „მეცნიერება“.
- ipress.ge**, 2018. უორენ ბაფეტი: კრიპტოვალუტას კოლაფსი ელოდება. *ბანკები და ფინანსები*, 11 იანვარი, <http://bfm.ge/%E1%83%A3%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3/>.
- კაკულია მ.**, 2001ა. 1998-99 წლების სავალუტო კრიზისი საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია, ტომი 8, № 3-4.
- კაკულია მ.**, 2001ბ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, სესპსკი.
- კაკულია მ.**, 2008. „ომის შემდგომი ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალიზაციის გზები“. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა,

ოქტომბერი.

- კაკულია მ., 2010.** „ომის შემდგომი საქართველოს მაკროეკონომიკური პარადიგმა“. წიგნში: *საქართველო – 2009. ომის შემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები*. თბილისი: დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი.
- კაკულია მ.,** ასლამაზიშვილი ნ., 2000. *დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები*. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.
- კვირკველია კ., 2017.** ბიტკოინში ინვესტირების გამო, ბრიტანეთში მოსახლეობას გარდაუვალი ფინანსური დანაკარგის შესახებ აფრთხილებენ. *bpn*, 18 დეკემბერი, <https://www.bpn.ge/article/41009-bitkoinshi-investirebis-gamo-britanethshi-mosakhleobasgardauvali-finansuri-danakargis-shesakheb-aftrthkhileben/>.
- ლაზარაშვილი თ., 2002.** ინფლაციის ხელფასზე და უმუშევრობაზე ზემოქმედების ასპექტები. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, „მეცნიერება“.
- ლაზარაშვილი თ.,** თოთლაძე ლ., 2010. *ინფლაციური პროცესები: შეფასება და რეგულირება (საქართველოს მაგალითზე)*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- მანაგაძე ი., 2002ა.** ანტიინფლაციური რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები და ძირითადი მეთოდები. *სოციალური ეკონომიკა*, № 4.
- მანაგაძე ი., 2002ბ.** ინფლაციის რეგულირება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკვანძო პრობლემა. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 7-8.
- მალაკელიძე თ., 2001.** მყარი ფულად-საკრედიტო სისტემა – ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. *ბანკი*, № 5.
- მესხია ი., 2000.** საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები. კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში*. ტომი IV. თბილისი, ფსკი.
- ნათელაური ი., 2000.** ბაზრის წონასწორობის მოდელი და ინფლაცია. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი I. თბილისი, „მეცნიერება“.
- პაპავა ვ., 1997.** ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საქართველოში: მკაცრი, თუ ლიბერალური? *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, დეკემბერი.

- პაპავა ვ.**, 2000. ინფლაციის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. *ბანკი*, № 1.
- პაპავა ვ.**, 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ.**, 2007. „სავალუტო ფარი“ „ჰოლანდიური სენის ფონზე“. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, ოქტომბერი.
- პაპავა ვ.**, ჩოჩელი ვ., 2002. გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა და საქართველოს სტრატეგია. *საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები*, № 1.
- პაპავა ვ.**, ჩოჩელი ვ., 2003ა. აშშ დოლარისა და ევროს პერსპექტივები და საქართველო. *საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები*, № 2-3.
- პაპავა ვ.**, ჩოჩელი ვ., 2003ბ. „მსოფლიო ახალი სამპოლუსიანი სავალუტო სისტემის“ ჩამოყალიბება და საქართველო. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია*, ტომი 11, № 3.
- სიხარულიძე დ.**, ჭარაია ვ., 2018. *უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება*. თბილისი, უნივერსალი.
- სიჭინავა დ.**, მალრადე მ., 2018. ელექტრონულ ფულზე გადასვლის წინამძღვრები და პრობლემები. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №6.
- ქისტაური ლ.**, 2000. ეკონომიკური ზრდის ემისიური სტიმულირება: მითი და რეალობა. *ბანკი*, № 1.
- შათირიშვილი ჯ.**, 1996. საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კონცეპტუალური საკითხები. *კრებულში: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში*. ტომი I. თბილისი, ფსკი.
- ჩენელაშვილი ვ.**, 2018ა. ელექტრონურ ვაჭრობა: 2016 წლის წარმატებები, 2017 წლის რეალობა და შემდგომი პერსპექტივები – Bitcoin-ის გავლენა (ნაწილი პირველი). *რონდელის ბლოგი*, 12 მარტი, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/802>.
- ჩენელაშვილი ვ.**, 2018ბ. ელექტრონურ ვაჭრობა: 2016 წლის წარმატებები, 2017 წლის რეალობა და შემდგომი პერსპექტივები – Bitcoin-ის გავლენა (ნაწილი მეორე). *რონდელის ბლოგი*, 26 მარტი, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/811>.
- Anušić Z., Rohatinski Ž., Šonje V. and others, eds.**, 1995. *A Road to Low Inflation. Croatia 1993/1994*. Zagreb, The Government of the Republic of Croatia.
- Åslund A.**, 2009. Implications of the global financial crisis for Eastern Europe. *Development & Transition* 13, July, <http://www.developmentandtransition.org>.

net/uploads/issuesAttachments/25/DT.13\_English\_FINAL.pdf.

- Bach N.**, 2017. This Nobel Prize-Winning Economist Says Bitcoin Should be Banned. *Fortune*, November 30, <http://fortune.com/2017/11/30/economist-joseph-stiglitz-bitcoin-should-be-outlawed/>.
- Baker D.**, 2018. Tesla, Amazon, Bitcoin, Efficient Markets and FTT. *WEA Commentaries*, Vol. 8, No. 1, February, <https://www.worldeconomicalsassociation.org/newsletterarticles/bitcoin-efficient-markets/>.
- Cawrey D.**, 2014. How Economist Milton Friedman Predicted Bitcoin. *CoinDesk*, March 5, <https://www.coindesk.com/economist-milton-friedman-predicted-bitcoin/>.
- Cornell S. E.**, Ismailzade F., 2005. The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Azerbaijan. In: *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West*. Ed. by S. F. Starr, S. E. Cornell. Uppsala, The Silk Road Studies Program, Uppsala University, <http://www.isn.ethz.ch/isn/Digital-Library/Publications/Detail/?ots591=0c54e3b3-1e9c-be1e-2c24-a6a8c7060233&lng=en&id=110789>.
- Cottarelli C.**, Doyle P., 1999. *Disinflation in Transition, 1993-97*. Occasional Paper 179. Washington, D. C., The IMF.
- Cox J.**, 2013. *Bitcoin and Digital Currencies: The New World of Money and Freedom*. Baltimore, Laissez Faire Books.
- Cukrowski J.**, 2000. *Financing the Deficit of the State Budget by National Bank of Georgia (1996-1999)*. Studies & Analyses 215. Warsaw, CASE.
- Dadush U.**, 2010. Currency Wars. *The Carnegie Endowment for International Peace*, November 15, <http://carnegieendowment.org/publications/index.cfm?fa=view&id=41941>.
- Feng E.**, 2019. A U.S.-China Currency War? What You Need to Know. *npr*, August 11, <https://www.npr.org/2019/08/11/749655951/a-u-s-china-currency-war-what-you-need-to-know>.
- Forrest J. Y.-L.**, Ying Y., Gong Z., 2018. *Currency Wars: Offense and Defense through Systemic Thinking*. Cham, Springer.
- Ghosh A. R.**, Gulde A.-M., Ostry J. D., Wolf H., 1996. *Does the Exchange Rate Regime Matter for Inflation and Growth?* Washington, D. C., The IMF.
- Golstein S.**, 2018. Nobel Laureate Stiglitz: „Why Do People Want Bitcoin?“. *Finance Magnates*, January 24, <https://www.financemagnates.com/cryptocurrency/news/nobel-laureate-stiglitz-people-want-bitcoin/>.
- Gotsiridze R.**, 2008. National Currency of Georgia – the Lari. In: *Central Eurasia: National Currencies*. Ed. by E. Ismailov. Stockholm, CA&CC Press.
- Hanke S.**, 2002. On Dollarization and Currency Boards: Error and Deception. *Policy Reform*, Vol. 5(4), [http://users.erols.com/kurrency/Hanke\\_JPR1.pdf](http://users.erols.com/kurrency/Hanke_JPR1.pdf).
- Hanke S.**, 2003. The Argentine Straw Man: A Response to Currency Board Critics. *Cato Journal*, Vol. 23, No. 1, <http://www.cato.org/pubs/journal/cj23n1/cj23n1-6.pdf>.

- Hanke S., Schuler K., 1994.** *Currency Boards for Developing Countries: A Handbook*. San Francisco, ICS Press, <http://users.erols.com/kurrency/icegrev.htm>.
- James H., 2018.** The Bitcoin Threat. *Project Syndicate*, February 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/bitcoin-threat-to-political-stability-by-harold-james-2018-02>.
- Jezard A., 2017.** In 2020 Bitcoin will Consume More Power than the World does Today. *World Economic Forum*, December 15, <https://www.weforum.org/agenda/2017/12/bitcoin-consume-more-power-than-world-2020/>.
- Jochem A., 1999.** Monetary Stabilization in Countries in Transition. *International Advances in Economic Research*, Vol., 5, No. 1.
- Johnson M. C., 2017.** Why Is the Kremlin Suddenly Obsessed With Cryptocurrencies? *The Daily Beast Company*, August 5, <https://www.thedailybeast.com/why-is-the-kremlin-suddenly-obsessed-with-cryptocurrencies?ref=scroll>.
- Kakulia M., 2008a.** Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In: *Central Eurasia: National Currencies*. Ed. by E. Ismailov. Stockholm, CA&CC Press.
- Kakulia M., 2008b.** Mitigating Post-War Economic Threats in Georgia. *Georgian Economic Trends*, October.
- Kovzanadze I., 2008.** *Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition*. New York, iUniverse.
- Krugman P., 1998.** Rupiah Rasputin: A Currency Board won't Solve Indonesia's Woes. *Fortune*, April 13, [http://money.cnn.com/magazines/fortune/fortune\\_archive/1998/04/13/240868/index.htm](http://money.cnn.com/magazines/fortune/fortune_archive/1998/04/13/240868/index.htm).
- Krugman P., 1999.** Don't Laugh at Me, Argentina. Serious Lessons from a Silly Crisis. *Slate*, July 20, <http://www.slate.com/id/32173>.
- Lagarde C., 2017.** Central Banking and Fintech—A Brave New World? *IMF Communications Department*, September 29, <http://www.imf.org/en/News/Articles/2017/09/28/sp092917-central-banking-and-fintech-a-brave-new-world?cid=em-COM-123-35955>.
- Myers J., 2017.** Joseph Stiglitz: Bitcoin ought to be outlawed. *World Economic Forum*, November 30, <https://www.weforum.org/agenda/2017/11/joseph-stiglitz-bitcoin-ought-to-be-outlawed/>.
- Nafziger E. W., 1997.** *The Economics of Developing Countries*. Upper Saddle River, Prentice – Hall.
- North A., 2018.** How the Tiny Nation of Georgia Became a Bitcoin Behemoth. *NPR*, April 23, <https://www.npr.org/sections/parallels/2018/04/23/597780405/how-the-tiny-nation-of-georgia-became-a-bitcoin-behemoth>.
- Papava V., 2005.** The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia. In: *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West*. Ed. by S. F. Starr, S. E. Cornell. Uppsala, The Silk Road Studies Program, Uppsala University, [http://www.silkroadstudies.org/BTC\\_5.pdf](http://www.silkroadstudies.org/BTC_5.pdf).

- Papava V.**, 2007. Currency Board Against the Background of Dutch Disease. *Georgian Economic Trends*, October.
- Papava V.**, Chocheli V., 2003. *Financial Globalization and Post-Communist Georgia (Global Exchange Rate Instability and its Implications for Georgia)*. New York, iUniverse.
- Papava V.**, Chocheli V., 2005. Global Exchange Rate Instability and Its Implications for Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4.
- Popper N.**, 2018. There Is Nothing Virtual About Bitcoin’s Energy Appetite. *The New York Times*, January 21, <https://www.nytimes.com/2018/01/21/technology/bitcoin-mining-energy-consumption.html?action=click&contentCollection=Times%20Insider&module=RelatedCoverage&region=Marginalia&pgtype=article>.
- Quiggin J.**, 2018. What Bitcoin Reveals About Financial Markets. *The New York Times*, February 8, <https://www.nytimes.com/2018/02/08/opinion/bitcoin-financial-markets.html?rref=collection%2Fsectioncollection%2Fopinion&action=click&contentCollection=opinion&region=rank&module=package&version=highlights&contentPlacement=8&pgtype=sectionfront>.
- Rickards J.**, 2012. *Currency Wars: The Making of the Next Global Crisis*. New York, Portfolio.
- Rogoff K.**, 2017. Crypto-Fool’s Gold? *Project Syndicate*, October 9, [https://www.project-syndicate.org/commentary/bitcoin-long-term-price-collapse-by-kenneth-rogoff-2017-10?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=724ae23045-sunday\\_newsletter\\_15\\_10\\_2017&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-724ae23045-93567601](https://www.project-syndicate.org/commentary/bitcoin-long-term-price-collapse-by-kenneth-rogoff-2017-10?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=724ae23045-sunday_newsletter_15_10_2017&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-724ae23045-93567601).
- Rogoff K.**, 2019. The High Stakes of the Coming Digital Currency War. *Project Syndicate*, November 11, [https://www.project-syndicate.org/commentary/global-battle-for-digital-currency-supremacy-by-kenneth-rogoff-2019-11?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=6266da5ee6-sunday\\_newsletter\\_10\\_17\\_2019&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-6266da5ee6-93567601&mc\\_cid=6266da5ee6&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/global-battle-for-digital-currency-supremacy-by-kenneth-rogoff-2019-11?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=6266da5ee6-sunday_newsletter_10_17_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-6266da5ee6-93567601&mc_cid=6266da5ee6&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Rojas-Suarez L.**, 2010. Currency Wars Are a Development Problem and the G-20 has a Major Role to Play in the Solution. *Center for Global Development, Independent Research & Practical Ideas for Global Prosperity*, October 25, [http://blogs.cgdev.org/globaldevelopment/2010/10/currency-wars-are-a-development-problem-and-the-g-20-has-a-major-role-to-play-in-the-solution.php?utm\\_source=nl\\_weekly&utm\\_medium=email&utm\\_campaign=nl\\_weekly\\_10262010](http://blogs.cgdev.org/globaldevelopment/2010/10/currency-wars-are-a-development-problem-and-the-g-20-has-a-major-role-to-play-in-the-solution.php?utm_source=nl_weekly&utm_medium=email&utm_campaign=nl_weekly_10262010).
- Roubini N.**, 2018. Blockchain’s Broken Promises. *Project Syndicate*, January 26, <https://www.project-syndicate.org/commentary/why-bitcoin-is-a-bubble-by-nouriel-roubini-2018-01>.

- Roubini N.,** Byrne P., 2018. The Blockchain Pipe Dream. *Project Syndicate*, March 5, <https://www.project-syndicate.org/commentary/blockchain-technology-limited-applications-by-nouriel-roubini-and-preston-byrne-2018-03>.
- Salman A.,** Razzaq M. G. A., 2018. Bitcoin and the World of Digital Currencies. In: *Financial Management from an Emerging Market Perspective*, G. Kucukkocaoglu, S. Gokten, eds. InTech, <https://www.intechopen.com/books/financial-management-from-an-emerging-market-perspective/bitcoin-and-the-world-of-digital-currencies>.
- Schwab K.,** 2016. *The Fourth Industrial Revolution*. Geneva, World Economic Forum.
- Sheng A.,** Geng X., 2017. Barbarians at the Monetary Gate. *Project Syndicate*, August 30, [https://www.project-syndicate.org/commentary/bitcoin-cryptocurrencies-monetary-risk-by-andrew-sheng-and-xiao-geng-2017-08?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=e8bef8a0bc-sunday\\_newsletter\\_3\\_9\\_2017&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-e8bef8a0bc-93567601](https://www.project-syndicate.org/commentary/bitcoin-cryptocurrencies-monetary-risk-by-andrew-sheng-and-xiao-geng-2017-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=e8bef8a0bc-sunday_newsletter_3_9_2017&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-e8bef8a0bc-93567601).
- Shiller R. J.,** 2018. The Old Allure of New Money. *Project Syndicate*, May 21, [https://www.project-syndicate.org/commentary/cryptocurrencies-scientific-narrative-by-robert-j--shiller-2018-05?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=c4c50cbcd2-sunday\\_newsletter\\_27\\_5\\_2018&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-c4c50cbcd2-93567601](https://www.project-syndicate.org/commentary/cryptocurrencies-scientific-narrative-by-robert-j--shiller-2018-05?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=c4c50cbcd2-sunday_newsletter_27_5_2018&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c4c50cbcd2-93567601).
- Shiller R. J.,** 2019. *Narrative Economics. How Stories Go Viral & Drive Major Economic Events*. Princeton, Princeton University Press.
- Skidelsky R.,** 2018. Why Reinvent the Monetary Wheel?. *Project Syndicate*, May 23, [https://www.project-syndicate.org/commentary/cryptocurrencies-false-promise-by-robert-skidelsky-2018-05?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=c4c50cbcd2-sunday\\_newsletter\\_27\\_5\\_2018&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-c4c50cbcd2-93567601](https://www.project-syndicate.org/commentary/cryptocurrencies-false-promise-by-robert-skidelsky-2018-05?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=c4c50cbcd2-sunday_newsletter_27_5_2018&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c4c50cbcd2-93567601).
- Silagadze A.,** Atanelashvili T., 2010. *Modern State Finances of Georgia*. Palo Alto, Academy Press.
- Silagadze A.,** Tokmazishvili M., 2009. *Challenges of the Post-Communist Financial-Currency Policy*. New York: Nova Science Publishers.
- Sušjan A.,** Lah M., 1997. Inflation in the Transition Economies: the Post-Keynesian View. *Review of Political Economy*, Vol. 9, No. 4.
- Turner A.,** 2018. Should You Buy Bitcoin? *Project Syndicate*, February 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/bitcoin-collapse-low-macroeconomic-risk-by-adair-turner-2018-02>.
- Wellisz S.,** 1996. *Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies*. Studies & Analyses 87. Warsaw, CASE.
- Yeyati E. L.,** Sturzenegger F., eds., 2003. *Dollarization: Debates and Policy Alter-*

- natives*. Cambridge, The MIT Press.
- Аникин А.**, 2000. *История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко*. Москва, «Олимп–Бизнес».
- Брагинский С. В.**, 1989. *Кредитно-денежная политика в Японии*. Москва, Наука.
- Бурдули В.**, Церетели Г., 1998. Финансовая система Грузии и проблемы развития и структурной организации производства. *Известия АН Грузии – серия экономическая*, Т. 6, № 4.
- Велиш С.**, 1996. *Грузия. Краткий обзор проблем макроэкономической политики*. Исследования и анализ, № 87. Варшава, ЦСЭИ.
- Винья П.**, Кейси М., 2018. *Эпоха криптовалют. Как биткоин и блокчейн меняют мировой экономический порядок*. Москва, Манн, Иванов и Фербер.
- Гайдар Е.**, 1997. *Аномалия экономического роста*. Москва, Евразия.
- Гварамадзе И.**, Клѐц К., Синицина И., 1999. *Грузия в поворотном пункте: экономические события 1998 и начала 1999 года*. Исследования и анализ, № 164. Варшава, ЦСЭИ.
- Гоциридзе Р.**, 2008. Национальная валюта Грузии–Лари. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм, SA&CC Press.
- Жирный А.**, Ярочинский М., 1997. *Монетарная политика и инфляция в Грузии в 1996-1998 годах*. Исследования и анализ, № 114. Варшава, ЦСЭИ.
- Какулия М.**, 2001. Содержание и формы современных валютных кризисов. *Общество и экономика*, № 5.
- Какулия М.**, 2008. До и после введения Лари: национальная валюта Грузии в ретроспективе. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм, SA&CC Press.
- Какулия Р.**, 1998. Реформа денежно-кредитной системы Грузии. *Общество и экономика*, № 2.
- Красавина Л. Н.**, ред., 2000. *Инфляция и антиинфляционная политика в России*. Москва, «Финансы и статистика».
- Маглакелидзе Т.**, 2002. Валютные проблемы Грузии. *Мировая экономика и международные отношения*, № 9.
- Месхия Я.**, Яшвили Р., 1998. Денежно-кредитная политика Грузии. *Вопросы экономики*, № 9.
- Монтес М. Ф.**, Попов В. В., 1999. „Азиатский вирус“ или „голландская болезнь“? *Теория и история валютных кризисов в России и других странах*. Москва, Дело.
- Патрыцки С.**, 2000. Инфляция и общественные конфликты. В кн.: *Экономика и политика в переходном обществе: кризис взаимодействия*. Под ред. Л. И. Никовской. Москва, Эдиториал УРСС.

- Самсон А.**, 2017. Лауреат Нобелевской премии Мильтон Фридман Прогнозировал биткойнскую эпоху 17 лет назад. *BitcoinRush*, 9 июля, <https://bitcoinrush.md/%D0%BB%D0%B0%D1%83%D1%80%D0%B5%D0%B0%D1%82-%D0%BD%D0%BE%D0%B1%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%B2%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B9-%D0%BF%D1%80%D0%B5%D0%BC%D0%B8%D0%B8-%D0%BC%D0%B8%D0%BB%D1%8C%D1%82%D0%BE%D0%BD-%D1%84/>.
- Симановский А. Ю.**, 2018. К вопросу об экономической природе криптовалюты. *Вопросы экономики*, № 9.
- Спутник**, 2018. Есть ли будущее у биткойна: взгляд из Грузии. *Sputnik-Georgia*, 6 февраля, [https://sputnik-georgia.ru/reviews/20180206/239198943/Est-li-budushhee-u-bitkojna-vzgljad-iz-Gruzii.html?utm\\_source=push&utm\\_medium=notification&utm\\_campaign=sputnik\\_ge](https://sputnik-georgia.ru/reviews/20180206/239198943/Est-li-budushhee-u-bitkojna-vzgljad-iz-Gruzii.html?utm_source=push&utm_medium=notification&utm_campaign=sputnik_ge).
- Тарасов Д.**, Попов А., 2018. *От золота до биткойна*. Москва, Альпина Паблишер.
- Фишер С.**, Сахаи Р., 1997. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки. *Вопросы экономики*, № 5.
- Шваб К.**, 2018. *Четвертая промышленная революция*. Москва, Издательство «Эксмо».

**თავი 16. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე**

## **§ 16.1. XXI საუკუნის პირველი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი**

ტრადიციულ ეკონომიკაში ეკონომიკური კრიზისების თეორია ძალზე კარგად ასახავს მათ ზოგად კანონზომიერებებს. თუმცა თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა (მაგალითად, Cline, ed., 2010; Krugman, 2008; Григорьев, Салихов, 2008) დღის წესრიგში თვისებრივად ისეთი საკითხები წამოსწია, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკის ფარგლებს აშკარად სცდება.

თუკი თანამედროვე კრიზისის ჩამოყალიბებამდე, ზოგადად, ეკონომიკური კრიზისის დასახასიათებლად ეკონომისტები იყენებდნენ ისეთ ლათინურ ასოებს, როგორებიცაა „V“ (ანუ ფორმულა: „ჯერ ვარდნა, შემდეგ აღმავლობა“) და „U“ (ანუ ფორმულა: „ჯერ ძლიერი ვარდნა, შემდეგ სტაგნაცია, დაბოლოს, არანაკლებ ძლიერი აღმავლობა“), 2007-2009 წლების კრიზისის აღწერის მიზნით, უკვე ხშირად გამოიყენება ასო „W“ (ანუ ფორმულა: „ჯერ ვარდნა, შემდეგ აღმავლობა, კვლავ ვარდნა და მხოლოდ ამის შემდეგ საბოლოო აღმავლობა“). უფრო პესიმისტურად განწყობილნი კი იყენებენ ასო „L“-ს (ანუ ფორმულა: „ჯერ ძლიერი ვარდნა, შემდეგ ხანგრძლივი სტაგნაცია, დაბოლოს, მხოლოდ მცირედი აღმავლობა“). ყველა ეს ლათინური ასო ძალზე პირობითად ახასიათებს სხვადასხვა ეკონომიკურ კრიზისს, რომლის ბუნება და მიმდინარეობის შესაძლო ტრაექტორიები ბევრად უფრო რთულია.

უკანასკნელი გლობალური კრიზისი აშშ-ში ჯერ კიდევ 2007 წელს ჩაისახა. მოგვიანებით ის – დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე, ხოლო 2008 წლის ბოლოსათვის კი პოსტკომუნისტურ

ქვეყნებზეც გავრცელდა (Dabrowski, 2009, p. 5). ამ კრიზისის მსოფლიოში დაჩქარებული გავრცელება ფინანსური გლობალიზაციით იყო განპირობებული (მაგალითად, Spulbär, Berceanu, Spulbär, 2010, pp. 126-131). ამ ფინანსური კრიზისის განვითარება შეიძლება აღინეროს შემდეგი ტრანსფორმაციული ჯაჭვით: იპოთეკური კრიზისი, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაიზარდა საბანკო კრიზისში, რომელსაც უკვე სამრეწველო კრიზისი მოჰყვა (Masimli, 2009, p. 72). თანამედროვე კრიზისი ასევე შეფასებულია როგორც მოთხოვნის კრიზისი (Ramalho, Rodríguez-Meza, Yang, 2009, p. 1). შედეგად, მოცემული გლობალური ფინანსური კრიზისი გადაიზარდა ეკონომიკურ კრიზისში და ჩამოყალიბდა, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი (მაგალითად, Petrova, 2009, p. 9).

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი საქონლისა და მომსახურების ქარბნარმოება იყო. იმის შესახებ, თუ რა ბუნებისაა უკანასკნელი გლობალური კრიზისი, ჯერჯერობით ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. ეკონომისტთა ერთი ჯგუფისათვის ადგილი აქვს არა საქონლისა და მომსახურების ქარბნარმოების, არამედ ვალების ქარბნარმოების კრიზისს და, აქედან გამომდინარე, მას „საკრედიტო კრიზისს“ უწოდებს (მაგალითად, Soros, 2008). ეკონომისტთა მეორე ჯგუფისათვის უკანასკნელი კრიზისი სხვა არაფერია, თუ არა საქონლისა და მომსახურების ქარბნარმოების კრიზისი, რაც გამოიწვია „ფიდუციარული ფულის“<sup>1</sup> მასის ზრდამ, რის შედეგადაც ზრდადი მინოდების საფუძველს ქმნიდა არა იმდენად მიმდინარე, არამედ მომავალში მისაღები შემოსავლები, რომელთა მიღებაც ყოველთვის არ იყო და არც არის გარანტირებული (Ivanov, 2009, p. 22).

ჩვენი აზრით, ორივე ეს შეხედულება სწორია და ისინი სულაც არ არის ურთიერთგამომრიცხავი. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, თუ როგორი – სტატიკური თუ დინამიკური – კუ-

<sup>1</sup> „ფიდუციარული ფული“ ნიშნავს ისეთ ფულს, რომლის უკან მხოლოდ და მხოლოდ ნდობაა და მეტი არაფერი.

თხით იქნება განხილული უკანასკნელი კრიზისის ფორმირების წინა პერიოდი. მართლაც, *სტატიკაში* ვალების ჭარბწარმოება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სხვა სიტყვებით, თანამედროვე კრიზისი არის მზარდი მიმდინარე მოხმარების შეუფერხებელი დაფინანსების შედეგი. ამ დაფინანსების წყარო კი, გარდა მიმდინარე შემოსავლებისა, სულ უფრო მეტად ხდებოდა კრედიტები, რომლებიც გაიცემოდა მომავალში მისაღები შემოსავლების იმედად, თუმცა ეს მისაღები შემოსავლები ყოველთვის არ იყო რეალისტური. მომავალში მისაღები შემოსავლების ნაწილი კი უნდა დახარჯულიყო წარსულში განხორციელებული მოხმარების ასანაზღაურებლად, რის შედეგადაც ამ შემოსავლების კიდევ უფრო ნაკლები ნაწილის გამოყენება იქნება შესაძლებელი შესაბამისი პერიოდის მოხმარების დასაფინანსებლად. შედეგად, მომავალში მიწოდება კიდევ უფრო მეტია, ვიდრე მიმდინარე შემოსავლებით უზრუნველყოფილი მოთხოვნა. მაშასადამე, *დინამიკაში* აშკარად იკვეთება საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოება.

კრიზისის ჩამოყალიბებისა და მიმდინარეობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკრიზისულ პროგრამებს. სალი ეკონომიკური აზრის თანახმად, ასეთმა პროგრამებმა თავიდან უნდა აიცილოს პროტექციონისტული ღონისძიებების გატარების, ნაციონალიზაციისა და სახელმწიფო სექტორის გაფართოების ცდუნება (Dabrowski, 2009, p. 5), თუმცა, იმავდროულად, სულაც არ არის რეკომენდებული სოციალური პრობლემების გადაჭრის გადავადება კრიზისის გამო (Horváth, 2009, pp. 13-14).

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრობლემატიკის კვლევას მსოფლიოში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა (მაგალითად, Aliber, Zoega, eds., 2019; Bernanke, Geithner, Paulson, 2019; Blinder, Loh, Solow, eds., 2013; Friedman, Kraus, 2011; Goodhart, Tsomocos, 2019; Krugman, 2009b; Stiglitz, 2010; Taylor, Clarida, eds., 2014). საყურადღებოა ქართველ ავტორთა პუბლიკაციები, რომლებიც გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის, მისი საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენის შესწავლის

სხვადასხვა ასპექტებს ეძღვნება (მაგალითად, აბესაძე, 2010; ასათიანი, 2009ა, 2009ბ, 2010; გამსახურდია, 2009: გველესიანი, 2009; იაკობიძე, 2009; კაკულია, მ., 2010; კაკულია, რ., 2010; კვარაცხელია, 2010; მალაშხია, 2010; მესხია, 2009, 2010; მექვაბიშვილი, 2009, გვ. 46-80, 2010ა, 2010ბ, 2018; ნარმანია, გეთია, 2010; ნუცუბიძე და ნუცუბიძე, 2010; პაპავა, გ., 2010; პაპავა ვ., 2009ა, 2009ბ, 2009გ, 2010ა, 2010ბ; პაპავა, თაფლაძე, 2010; ქათამაძე, 2009; ჩიქავა, 2010; ჩიქობავა, 2010; ცარციძე, 2010ა, 2010ბ; ჭითანავა, 2010; ხადური, 2009; ჯიბუტი, 2010; Aptsiauri, 2010; Narmania, 2009; Papava V., 2009a, 2009b, 2009c, 2010a, 2010b, 2010c, 2010d, 2010e, 2010f; Sakevarishvili, 2010; Silagadze, Tokmazishvili, 2009, pp. 19-42; Папавა, 2009a, 2009б, 2009в).

საყურადღებოა, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის მოახლოების შესახებ, ასევე საქართველოს სტრატეგიაზე, ამ ვითარებაში რა პროფილაქტიკური ღონისძიებები უნდა გატარებულიყო, ექსპერტული ანალიზი კრიზისის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე კეთდებოდა (პაპავა, 2002, გვ. 426-450; პაპავა, ჩორელი, 2002, 2003ა, 2003ბ; Papava, Chocheli, 2003, 2005).

განსახილველი კრიზისით წარმოქმნილ უამრავ პრობლემას შორის განსაკუთრებული სიმწვავეთ მსოფლიო მასშტაბით დღის წესრიგში ეკონომიკაზე ზომბი-ფირმების შეტევის თემა დგება (Stepek, 2008; Willie, 2009), რის გამოც გაჩნდა პუბლიკაციები ე.წ. ეკონომიკის „ახალი“ სფეროს – „ზომბი-ნომიკის“ (“zombie-nomics“) შესახებ (LeLaulu, 2009). ეკონომიკის ზომბირების ეს საშიშროება დამატებით პრობლემებს უქმნის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ შორს არიან საბაზრო ეკონომიკის დასავლური მოდელებისგან.

## § 16.2. ეკონომიკის ზომბირების იაპონური გამოცდილება

ზომბიეკონომიკის ფენომენი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება იაპონიას, სადაც ის გასული საუკუნის 90-იან წლებში „ჩაისახა“

(მაგალითად, Hoshi, 2006). ზომბიეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს არაგადახდისუნარიანი, ფაქტობრივად, გაკოტრებული ფირმები, რომლებიც, ამავდროულად, განაგრძობენ ფუნქციონირებას, რის გამოც მათ „ზომბებს“ უწოდებენ.

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა (Caballero, Hoshi, Kashyap, 2008; Smith, 2003). კერძოდ, ასეთი ფირმების დაკრედიტებას ეწევიან ე.წ. ზომბი-ბანკები, რომლებიც ამ ფირმებს შეღავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს (კერძოდ, კრედიტებს აძლევენ საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით) (Hoshi, Kashyap, 2005; Smith, 2003). ასეთი წინასწარვე გაუმართლებელი კრედიტები ამ ბანკების აშკარა დანაკარგებს იწვევს (Ahearne, Shinada, 2005, p. 368).

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების მოცემულ სქემაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ახერხებენ ზომბი-ბანკები არსებობის გაგრძელებას. ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, მთავრობა დგას (Kane, 2000b, p. 301), რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს, ახორციელებს დეპოზიტების დაკრედიტებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ ზომბი-ბანკები გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე არსებობენ (Kane, 2000a, p. 164). ამგვარი ფინანსური სტრუქტურა ერთგვარად სტიმულს აძლევს „ჯანსაღი“ ფირმების ზომბირებას (Hoshi, 2006, p. 40).

სწორედ ზომბი-ფირმების, ზომბი-ბანკებისა და მთავრობის ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ზომბიეკონომიკა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევა ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს. კერძოდ, ზომბი-ბანკების მხრიდან შეღავათიანი დაკრედიტების სისტემით უზრუნველყოფილი ზომბი-ფირმების არსებობა ზღუდავს ბაზარზე ჯანსაღი ფირმების გაჩენისა და არსებობის შესაძლებლობას (Hoshi, 2006, p. 33), რომლებსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით უწევთ კრედიტების აღება (Caballero, Kashyap, 2002). ამასთან, შეღავათიანი დაკრედიტების გამო, ზომბი-ფირმებს კონკურენციულ ბრძოლაში უფრო ადვილად შეუძ-

ლიათ ფასების შემცირება (Smith, 2003, p. 288) და იქ მომუშავე ადამიანებისათვის ხელფასის გაზრდა (Hoshi, 2006, p. 33). ხოლო ბაზარზე ჯანსაღი ფორმების, ანუ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფორმების დაშვების დაბრკოლება, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომიკის ეფექტიანობას ამცირებს (Ahearne, Shinada, 2005, p. 364).

ზომბიეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს (Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, Kashyap, 2004). როგორც ცნობილია, სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრავობა ახასიათებს, რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. ასეთ პირობებში მთავრობისაგან, როგორც წესი, მოითხოვენ ეკონომიკის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანას და იგი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მემკვიდრეობად იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს სახელმწიფოს მხრიდან იმ ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბიეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ, საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ზომბიეკონომიკის ფენომენი დამახასიათებელია არა მხოლოდ იაპონიის ან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნისათვის (მაგალითად, Holle, 2005), არამედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც (მაგალითად, Kane, 2000a).

## § 16.3. ნეკროეკონომიკასა და ზომბიეკონომიკას შორის მსგავსება და განსხვავება

მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მკვდარი ფირმები, ფინანსური კრიზისების მიუხედავად, არა მხოლოდ არსებობს, არამედ „ნარმატებითაც“ ფუნქციონირებს ამ ქვეყნებში. ასეთ ფირმები ნეკროეკონომიკის სახელითაა ცნობილი (იხ. §5.2).

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბიეკონომიკა ეს ისეთი ერთი და იმავე მოვლენის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ტერმინია, როგორცაა მკვდარი ეკონომიკის არსებობა, რომელიც ფუნქციონირებას განაგრძობს მისი ასეთი მდგომარეობის მიუხედავად.

სინამდვილეში, ნეკროეკონომიკისა და ზომბიეკონომიკის მსგავსება სწორედ იმით შემოიფარგლება, რომ ორივე ახასიათებს მკვდარი ეკონომიკის არსებობას და სხვა არაფერი (პაპავა, 2010ა, 2010ბ; Papava, 2009b; Папавა, 2009а). არადა, მათ შორის განსხვავება ბევრად უფრო არსებითია.

ჯერ ერთი, ისინი ჩაისახა თვისებრივად განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებში: ნეკროეკონომიკა – მბრძანებლური ეკონომიკის ნიაღში, ხოლო ზომბიეკონომიკა – საბაზრო ეკონომიკის ნიაღში. ამასთან, ნეკროეკონომიკა, ფაქტობრივად, არ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან, მაშინ, როცა ზომბიეკონომიკა მისი უშუალო პროდუქტია.

მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზომბი-ფირმების არსებობაში, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, განსაკუთრებული ადგილი ზომბი-ბანკებს ეკუთვნის, მაშინ, როცა ნეკროეკონომიკის სუბიექტები ფუნქციონირებას სუბსიდიების მიღების ან გადასახადებისგან გათავისუფლების გზით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერის მექანიზმების ხარჯზე ცდილობენ.

ნეკროეკონომიკისა და ზომბიეკონომიკის განსხვავებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, თუ ყველაზე ხშირად ეკონომიკის რომელ დარგებში გვხვდება ისინი.

მაგალითად, ნეკროეკონომიკა, უმთავრესად, გადამმუშავებელი მრეწველობის მსხვილ და საშუალო ობიექტებს მოიცავს, მაშინ, როცა ზომბი-ფირმები, როგორც იაპონური ეკონომიკის ანალიზი ცხადყოფს (Hoshi, 2006), ფაქტობრივად, გადამმუშავებელ მრეწველობაში არ არსებობს. ამასთან, რაც უფრო მსხვილია პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში გადამმუშავებელი მრეწველობის სანარმო, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ასეთი სანარმო ნეკროეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, მაშინ, როცა იმავე იაპონურ ეკონომიკაში მსხვილი სანარმოები არ არიან ზომბი-ფირმები, რადგან დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ; ზომბი-ფირმები ყველაზე ხშირად იმ მცირე სანარმოების ჯგუფში გვხვდება, რომლებიც ამ მცირეთა შორის შედარებით მსხვილი სანარმოებია (Hoshi, 2006).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, თუ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი დაბეჯითებით ითხოვენ, რომ შეწყდეს ყოველგვარი სუბსიდიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გამოირიცხოს რაიმე საგადასახადო შეღავათები, ფინანსური კრიზისების პირობებში მუშაობას იწყებს ლობირების სისტემა, რათა ამ საერთაშორისო ინსტიტუტებმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ ეროვნულ მთავრობებს შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის შესანარჩუნებლად რესურსების გამოყოფის მიზნით (Kane, 2000a, p. 163, 2000b. p. 288).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბიეკონომიკა ორი მონათესავე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანწილად განსხვავებული ფენომენია.

სამწუხაროდ, ნეკროეკონომიკასა და ზომბიეკონომიკას შორის ჩამოთვლილი განსხვავებების გათვალისწინება ყოველთვის არ ხდება და ზოგიერთ გამოკვლევაში, ნეკროეკონომიკის თავი-

სებურებათა უგულვებელყოფით, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (უფრო ხშირად, ჩინეთისა და რუსეთის მაგალითზე) მკვდარი ფირმების პრობლემები შეისწავლება არა ნეკროეკონომიკის, არამედ ზომბიეკონომიკის კონტექსტით (მაგალითად, Guriev, Tsyvinski, 2010, pp. 22-24; Lindsey, 2002, pp. 126, 153; Kane, 2000b, pp. 300-301; Shleifer, Treisman, 2000, pp. 106-107).

## § 16.4. ზომბიეკონომიკის რუტინა და გაკოტრების ინსტიტუციის მნიშვნელობა

ზომბიეკონომიკის მიმართ ზუსტად იგივე კითხვა დგება, რაც ნეკროეკონომიკის მიმართ: რა განაპირობებს მის შედარებით სტაბილურ არსებობას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ისევ და ისევ ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორიიდან გამომდინარე (Nelson, Winter, 1982), რომლის ძირითად „ინსტრუმენტს“ „რუტინის“ (“routines”) ცნება წარმოადგენს (იხ. §5.3).

ზომბიეკონომიკის რუტინა ყალიბდება ფინანსური კრიზისების პირობებში, როცა მთავრობასა და ბანკებს შორის მყარდება ურთიერთობა არამომგებიანი ფირმების მხარდასაჭერად იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა. შედარებით ხანგრძლივი სტაგნაციის შემთხვევაში ეს ურთიერთობა გადაიზრდება იმ ფირმების ქცევის ჩამოყალიბებულ წესებად და საშუალებებად, რომლებიც არეგულირებენ ამ ქცევის აღწარმოებას, ანუ შესაბამის რუტინად. აქ მეტად მნიშვნელოვანია, აღინიშნოს სტაგნაციის ხანგრძლივობა, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ შესაბამისმა რუტინამ ჩამოყალიბება მოასწროს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ სწორედ ეს რუტინა უზრუნველყოფს ზომბიეკონომიკის არსებობას, რადგან,

სხვა თანაბარ პირობებში, და კრიზისის მიუხედავად, არც ერთი მთავრობა არ მოისურვებს, როგორც მინიმუმ, უმუშევრობის გაზრდას, რომელიც ამკარად მოიმატებს ზომბი-ფირმების დახურვის შემთხვევაში, რადგან ჯანსაღი ფირმები ვერ მოახდენენ მომენტალურ რეაგირებას ზომბი-ფირმების არსებობის შეწყვეტაზე და ოპერატიული წესით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას (Caballero, Kashyap, 2002; Lindsey, 2002, p. 235).

ზომბიეკონომიკის რუტინის გაგების გასაღებს იძლევა საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (იხ. §3.4), რომლის თანახმადაც, პოლიტიკა განმარტებულია, როგორც ბაზრის განსაკუთრებული ნაირსახეობა. ფინანსური კრიზისების პირობებში ყალიბდება სწორედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობის უმაღლეს მიზნად აცხადებს ეკონომიკაში ჩარევას მისი კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს იმ ეკონომიკური სუბიექტების კერძო ინტერესების რეალიზაციას, რომლებიც კრიზისის გამო გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ.

როგორც აღინიშნა, ზომბიეკონომიკის რუტინა ფინანსური კრიზისის პირობებში საბაზრო ეკონომიკის პროდუქტია. შესაბამისად, ამ რუტინის მატარებელი არა, უბრალოდ, *homo economicus*-ია, არამედ მისი ისეთი მუტანტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამო დეფორმირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებთან შეგუების, ადაპტირების პროცესში ჩამოყალიბდა. პირობითად, *homo economicus*-ის ასეთ მუტანტს ყველაზე ზუსტად ახასიათებს ტერმინი *zombie economicus* (Papava, 2009a, 2009c), რომელიც სწორედ ზომბიეკონომიკის რუტინის მატარებელია.

როგორც ნეკროეკონომიკის მიმართ, გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა ასევე ქმედითი ინსტრუმენტია ზომბი-ფირმების და ზომბი-ბანკების წინააღმდეგ ქმედებაში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც არ არის საქმე იმაზე უკეთესად, ვიდრე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (Chobanov,

2008; Claessens, Djankov, Mody, eds., 2001; Guard, Antony, eds., 2009; Metodiev, 2009b). კერძოდ, აშკარად შეინიშნება გაკოტრების ფაქტობრივი მდგომარეობის იურიდიული გაფორმების გართულების ტენდენცია (მაგალითად, Cussen, 2008). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ გაკოტრებისათვის საჭირო გარემო გააუმჯობესოს და იმ კომპანიებს, რომლებმაც ერთხელ უკვე უშედეგოდ სცადეს გაკოტრება, ხელს უწყობს ამ პროცესის წარმატებით დასრულებაში (მაგალითად, Nițu, 2009, p. 270).

## § 16.5. ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე

უკანასკნელი გლობალური ფინანსური კრიზისის (მაგალითად, Cline, ed., 2010; Cooper, 2008; Dent, 2008; Krugman, 2008; Shiller, 2008; Steil, 2009; Subacchi, Monsarrat, eds., 2009; Zandi, 2009) პირობებში მრავალი ქვეყანა მიმართავს კერძო ფინანსური ინსტიტუტების, ზოგჯერ კი, ეკონომიკის რეალური სექტორის ზოგიერთი ფირმისადმი ფინანსური დახმარების სპეციალურ სამთავრობო პროგრამებს (May, 2009, cc. 22-23), რაც ზომბიეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბების აშკარა საფრთხეს ქმნის. ეს საფრთხე შეიძლება სავსებით რეალური გახდეს, თუ ფინანსური კრიზისი დროში ისე გაჭიანურდება, რომ ამ ხნის განმავლობაში, აღნიშნული დახმარების განხორციელების გამო, ზომბიეკონომიკის რუტინა ჩამოყალიბებას მოახსრებს.

ორიათასიანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ზომბიეკონომიკის ფენომენის არსებობას გადაჭრით უარყოფდნენ (Bonner, Wiggin, 2003, p. 120), თუმცა, ბოლო ხანს, ფინანსური კრიზისის გამო, ზომბი-ფირმების გაჩენის საშიშროებას სულ უფრო ხშირად ახსენებენ (Coy, 2009; Krugman, 2009c; Pesek, 2008; Rajiva, 2009; Wong, 2008). და მაინც, შეინიშნება ამ პრობლემის უგულვებელყოფის ფაქტები (Krugman, 2009a). ასეა თუ ისე,

ფინანსური მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამას, სრულიად სამართლიანად, მიეცა ზომბი-პროგრამის კვალიფიკაცია, ხოლო შეერთებული შტატების ხაზინას კი ზომბიეკონომიკის „დედის“ სტატუსი მიენიჭა (Kunstler, 2008). სამართლიანობა მოითხოვს ხაზი გაუსვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო სექტორის ზომბირების მიმართულებით მოძრაობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ უკანასკნელი ფინანსური კრიზისის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოვლინდა, როცა მთავრობამ სუბსიდირების გზით მოახდინა ბანკების მიერ გასაცემი იპოთეკური კრედიტების დაზღვევის სტიმულირება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ საყოველთაოდ მიღებულ საბანკო მოთხოვნებს (Holmes, 1999). ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ თანამედროვე ფინანსურ კრიზისს საფუძვლად უდევს ამერიკელთა ფსიქოლოგიური სტიმულები, აიღონ ვალი, თუნდაც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ შეძლებენ მის დაფარვას (Olysevich, 2009, c. 44).

ყურადსაღებია, რომ ექსპერტები მიუთითებენ იმ განსხვავებაზე, რომელიც იაპონიასა და აშშ-ში ზომბი-ფირმების ფორმირების მექანიზმებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, თუ იაპონიაში მთავრობის მხრიდან ზომბი-ფირმების დასახმარებლად ზომბი-ბანკები გამოიყენება, აშშ-ში მთავრობა უშუალოდ, ბანკების შუამავლობის გარეშე, ეხმარება ზომბი-ფირმებს, თუმცა შედეგები მაინც ერთნაირია (Hoshi, 2009). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აშშ-ში, ზომბი-ფირმებისაგან დამოუკიდებლად, მთავრობა ზომბი-ბანკებს ცალკე ეხმარება (Willie, 2008).

ზომბიეკონომიკის ჩამოყალიბების საშიშროება ასევე რეალური გახდა კანადის (Poschmann, 2009) და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც (Kelly, 2009; Schnittger, 2009).

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში თანამედროვე ფინანსური კრიზისი ასევე ხელს უწყობს ისეთი სამთავრობო პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ემყარება გაკოტრების პირას მისული ბანკებისა და ფირმების ფინანსურ მხარდაჭერას (მაგალითად, Parava, 2010c; Илларионов, 2008b).

გრძელვადიანი შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების განხორციელების მიზნით, გააქტიურდა სპეციალური სახელმწიფო ბანკების შექმნის პროექტები (მაგალითად, Данилишин, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მეცნიერების მიერ კარგა ხანია დამტკიცებულია და მსოფლიო გამოცდილებითაც დადასტურებულია ეკონომიკის სახელმწიფო შეღავათიანი დაკრედიტების დამლუპველი ხასიათი (მაგალითად, Хэзлитт, 2000, сс. 22-28)<sup>1</sup>, განვითარებული ქვეყნებიც (რის შესახებაც ზემოთ ითქვა) და პოსტკომუნისტური ქვეყნებიც ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ ისევ და ისევ ამ ინსტრუმენტს მიმართავენ (Woods., 2009). ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს ზომბიეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით აქტიური გახადა „მოგების პრივატიზაციისა და ზარალის ნაციონალიზაციის“ დამლუპველი პრინციპი (May, 2009, с. 10).

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც ფინანსური კრიზისის პირობებში რეალურად შეექმნათ ეკონომიკის ზომბირების საფრთხე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის ეს საფრთხე ნეკროეკონომიკის გამოც არის დამძიმებული (Papava, 2010a, 2010b, 2010f; 2010c; Папава, 2009a, 2009b). ფაქტობრივად, სრულიად უეჭველი იყო, რომ რუსეთის (და არა მხოლოდ) მრავალი კომპანია, კრიზისის დადგომის შემთხვევაში, ვალების დამოუკიდებლად, სახელმწიფოს დაუხმარებლად გადახდას ვერ შეძლებდა (May, 2009, с. 5).

ის, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ნეკროეკონომიკა თავს იჩინოს სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითებით, გასაკვირი არ არის, თუ გავიხსენებთ ძირითადად სწორედ მრეწველობაში არსებული ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხასიათს (Илларионов, 2008a, 2008b). ამასთან,

<sup>1</sup> არანაკლებ დამლუპველია „გაჭირვებულ“ დარგთა სუბსიდირების ან სავაჭრო ბარიერების შექმნა (Talpoş, Lobont, Nicolescu, Crăşneac, 2009).

პოსტსაქმოსნებიც განაგრძობენ ჩვეულ მოქმედებას, აძლევენ რა ქრთამს სახელმწიფო მოხელეებს, რათა მიიღონ შედარებით „იაფი“ სახელმწიფო მხარდაჭერა (May, 2009, c. 16).

ფინანსური კრიზისის პირობებში პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობებს ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიების შენარჩუნების სულ უფრო და უფრო ნაკლები შესაძლებლობები აქვთ და ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ აშკარაა მრენველობის ზემოაღნიშნული კატასტროფული დაქვეითება.

იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ფინანსური კრიზისები ქმნის ზომბიეკონომიკის რუტინის წარმოქმნისათვის, ანუ ეკონომიკის ზომბირებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ფაქტობრივად, ნეკროეკონომიკის ზომბირებაც ხდება, რაც ბევრად უარესია, ვიდრე, უბრალოდ, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზომბირება. პრობლემა ის არის, რომ, იაპონიის გამოცდილების თანახმად, თუ ზომბიეკონომიკა გადამმუშავებელ მრეწველობას არ შეეხო, ნეკროეკონომიკა, ძირითადად, სწორედ ამ დარგში არსებობს, რის შედეგადაც ნეკროეკონომიკის ზომბირება ნიშნავს მოცემული, ისედაც მკვდარი დარგის ზომბირებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის ზომბირების პირველი სიმპტომები, მაგალითად, რუსეთში 1998 წლის აგვისტოს კრიზისის დროიდან გამოვლინდა (Lindsey, 2002, p. 210), რაც გახდა კიდევ პოსტკომუნისტური ზომბიეკონომიკის ფენომენის გაჩენის საბაზი (Lindsey, 2002, p. 211). თანამედროვე ფინანსურ კრიზისს კი, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ფესვები თავად რუსეთში აქვს გადგმული და აგრეთვე გლობალური ფინანსური კრიზისითაა განმტკიცებული, შეიძლება უფრო გაჭიანურებული ხასიათი ჰქონდეს, რასაც ბევრად უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვება.

უნინარეს ყოვლისა, ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ *homo transformativus*-ისგან *homo economicus*-ის ჩამოყალიბების ნაცვლად მივიღოთ *zombie economicus*, რაც კიდევ უფრო საეჭვოს გახდის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ მომავალს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- აბესაძე რ.,** 2010. ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- ასათიანი რ.,** 2009ა. გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში. *სოციალური ეკონომიკა*, № 6.
- ასათიანი რ.,** 2009ბ. საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. *ეკონომისტი*, № 4.
- ასათიანი რ.,** 2010. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- გამსახურდია გ.,** 2009. საქართველოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ეროვნული კონცეფციის შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.
- გველესიანი მ.,** 2009. ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა, პარადიგმა და პარადოქსები. წიგნში: *ეკონომიკური განვითარების ტენდენციები*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.
- იაკობიძე დ.,** 2009. *საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი*. თბილისი, „კომენტარი“.
- კაკულია მ.,** 2010. ომისშემდგომი საქართველოს მაკროეკონომიკური პარადიგმა. წიგნში: *საქართველო – 2009. ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები*. თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი.
- კაკულია რ.,** 2010. გლობალიზაცია და ფინანსური ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- კვარაცხელია მ.,** 2010. გლობალური ფინანსური კრიზისის საკითხისათვის. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე*. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (8-9 ივლისი, 2010). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

- მალაშხია გ., 2010.** კრიზისი და განვითარება. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- მესხია ი., 2009.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. *ეკონომისტი*, № 2.
- მესხია ი., 2010.** ფინანსური დავალიანებების ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- მექვაბიშვილი ე., 2009.** *ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები*. თბილისის, „ინოვაცია“.
- მექვაბიშვილი ე., 2010ა.** გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის კვლევის ზოგიერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (8-9 ივლისი, 2010)*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- მექვაბიშვილი ე., 2010ბ.** სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.
- მექვაბიშვილი ე., 2018.** *გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისის, „ინტელექტი“.
- ნარმანია დ., გეთია შ., 2010.** საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.
- ნუცუბიძე თ., ნუცუბიძე ხ., 2010.** მსოფლიო კრიზისი და საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური სისტემის თანამედროვე პრობლემები. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (8-9 ივლისი, 2010)*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

- პაპავა გ., 2010.** ეკონომიკის რეფორმირება თუ დეფორმირება. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- პაპავა ვ., 2002.** *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ., 2009ა.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე. წიგნში: *ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (8-9 ივლისი, 2010)*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- პაპავა ვ., 2009ბ.** თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში. *ეკონომისტი*, № 4.
- პაპავა ვ., 2009გ.** ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე. წიგნში: *პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული II*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- პაპავა ვ., 2010ა.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- პაპავა ვ., 2010ბ.** *ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- პაპავა ვ.,** თაფლაძე თ., 2010. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი რუსეთში. *ეკონომისტი*, № 2.
- პაპავა ვ.,** ჩოჩელი ვ., 2002. გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა და საქართველოს სტრატეგია. *საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები*, № 1.
- პაპავა ვ.,** ჩოჩელი ვ., 2003ა. აშშ დოლარისა და ევროს პერსპექტივები და საქართველო. *საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები*, № 2-3.
- პაპავა ვ.,** ჩოჩელი ვ., 2003ბ. „მსოფლიო ახალი სამპოლუსიანი სავალუტო სისტემის“ ჩამოყალიბება და საქართველო. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია*, ტომი 11, № 3.

- ქათამაძე დ.,** 2009. მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 3.
- ჩიქავა ლ.,** 2010. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- ჩიქოვაძე მ.,** 2010. თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისი: მიზეზები, შედეგები, პერსპექტივები. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.
- ცარციძე მ.,** 2010ა. საქართველოში შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- ცარციძე მ.,** 2010ბ. შრომის ბაზარი და სიღარიბე საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.
- ჭითაძე ნ.,** 2010. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- ხადური ნ.,** 2009. ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები. *ეკონომისტი*, № 4.
- ჯიბუტი ა.,** 2010. საქართველო სავალ კრიზისის საშიშროების წინაშე. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, „სიახლე“.
- Ahearne A. G., Shinada N.,** 2005. Zombie firms and economic stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.
- Aliber R. Z., Zoega G., eds.,** 2019. *The 2008 Global Financial Crisis in Retrospect: Causes of the Crisis and National Regulatory Responses*. Cham, Palgrave Macmillan.
- Aptsiauri D.,** 2010. An Impact of the Global Financial Crisis of 2008-2009 on the US Economy (Some basic Trends, Statistical Facts and Observations). *Ekonomisti*, No. 1.
- Bernanke B. S., Geithner T. F., Paulson H. M. Jr.,** 2019. *Firefighting: The Financial Crisis and Its Lessons*. New York, Penguin Books.
- Blinder A. S., Loh A. W., Solow R. M., eds.,** 2013. *Rethinking the Financial Crisis*. New York, Russell Sage Foundation.
- Bonner W., Wiggin A.,** 2003. *Financial Reckoning Day: Surviving the Soft Depression of the 21st Century*. New Jersey, John Wiley & Sons.

- Caballero R.**, Kashyap A. K., 2002. Japan's Indian Summer. *The Wall Street Journal*, July 18, <http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/awsj.pdf>.
- Caballero R. J.**, Hoshi T., Kashyap A. K., 2008. Zombie Lending and Depressed Restructuring in Japan. *American Economic Review*, Vol. 98, No. 5.
- Chobanov D.**, 2008. Measures Against the Crisis. *Economic Policy Review*, Issue 67, November 12, <http://ime.bg/en/articles/measures-against-the-crisis/>.
- Claessens S.**, Djankov S., Mody A., eds., 2001. *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Washington, DC, The World Bank, 2001.
- Cline W. R.**, ed., 2010. *Financial Globalization, Economic Growth, and the Crisis of 2007-09*. Washington, DC, Peterson Institute for International Economics.
- Cooper G.**, 2008. *The Origin of Financial Crises: Central Banks, Credit Bubbles and the Efficient Market Fallacy*. New York, Vintage Books.
- Coy P.**, 2009. A New Menace to the Economy: 'Zombie' Debtors. *Business-Week*, January 15, [http://www.businessweek.com/magazine/content/09\\_04/b4117024316675.htm](http://www.businessweek.com/magazine/content/09_04/b4117024316675.htm).
- Cussen M. P.**, 2008. Changing The Face Of Bankruptcy. *Investopedia*, <http://www.investopedia.com/articles/pf/08/bankruptcy-act.asp>.
- Dabrowski M.**, 2009. Responding to crisis: core and periphery. *Development & Transition*, No. 13, July, [http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13\\_English\\_FINAL.pdf](http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13_English_FINAL.pdf).
- Dent Jr. H. S.**, 2008. *The Great Depression Ahead: How to Prosper in the Crash Following the Greatest Boom in History*. New York, Free Press.
- Friedman J.**, Kraus W., 2011. *Engineering the Financial Crisis: Systemic Risk and the Failure of Regulation*. Philadelphia, University of Pennsylvania Press.
- Goodhart C.**, Tsomocos D. P., 2019. *Financial Regulation and Stability: Lessons from the Global Financial Crisis*. Cheltenham, Edward Elgar.
- Guard J.**, Antony W., eds., 2009. *Bankruptcies & Bailouts*. Winnipeg, Fernwood Publishing.
- Guriev S.**, Tsyvinski A., 2010. Challenges Facing the Russian Economy after the Crisis. In: *Russia after the Global Economic Crisis*. Ed. by A. Åslund, S. Guriev, A. C. Kuchins. Washington, DC, Peterson Institute for International Economics.
- Holle P.**, 2005. The Evolution of a Zombie Economy. *The Frontier Centre For Public Policy*, March 15, [http://www.fcpp.org/main/publication\\_detail.php?PubID=979](http://www.fcpp.org/main/publication_detail.php?PubID=979).

- Holmes S. A.**, 1999. Fannie Mae Eases Credit To Aid Mortgage Lending. *The New York Times*, September 30, <http://query.nytimes.com/gst/fullpage.html?res=9c0de7db153ef933a0575ac0a96f958260&sec=&spn=&page-wanted=all>.
- Horváth B.**, 2009. Towards a multifaceted policy response. *Development & Transition*, No. 13, July, [http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13\\_English\\_FINAL.pdf](http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13_English_FINAL.pdf).
- Hoshi T.**, 2006. Economics of the Living Dead. *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1.
- Hoshi T.**, 2009. Year of the Zombie. *Roubini Global Economics*, January 21, [http://www.rgemonitor.com/asia-monitor/255220/year\\_of\\_the\\_zombie](http://www.rgemonitor.com/asia-monitor/255220/year_of_the_zombie).
- Hoshi T.**, Kashyap A. K., 2004. Japan's Economic and Financial Crisis: An Overview. *The Journal of Economic Perspectives*, Winter, <http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/japancrisis.pdf>.
- Ivanov A.**, 2009. The Economic Crisis as a Human Development Opportunity. *Development & Transition*, No. 13, July, [http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13\\_English\\_FINAL.pdf](http://www.developmentandtransition.net/uploads/issuesAttachments/25/DT.13_English_FINAL.pdf).
- Kane E. J.**, 2000a. Capital movements, banking insolvency, and silent runs in the Asian financial crisis. *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8, Issue 2.
- Kane E. J.**, 2000b. The dialectical role of information and disinformation in regulation-induced banking crises. *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8, Issue 3-4.
- Kelly M.**, 2009. Bank guarantee likely to deal a crippling blow to the Economy. *The Irish Times*, February 17, <http://www.irishtimes.com/newspaper/opinion/2009/0217/1224241278003.html>.
- Krugman P.**, 2008. *The Return of Depression Economics and the Crisis of 2008*. New York, W.W. Norton & Company.
- Krugman P.**, 2009a. The Big Dither. *The New York Times*, March 5, <http://www.nytimes.com/2009/03/06/opinion/06krugman.html>.
- Krugman P.**, 2009b. *The Return of Depression Economics and the Crisis of 2008*. New York., W. W. Norton & Company.
- Krugman P.**, 2009c. Wall Street Voodoo. *The New York Times*, January 18, [http://www.nytimes.com/2009/01/19/opinion/19krugman.html?\\_r=2&partner=rssnyt&emc=rss](http://www.nytimes.com/2009/01/19/opinion/19krugman.html?_r=2&partner=rssnyt&emc=rss).
- Kunstler J. H.**, 2008. The Inevitable Fate Of Our 'Zombie' Economy. *Contrarian Stock Market Investing News*, November 28, <http://www.contrarianprofits.com/articles/the-inevitable-fate-of-our-zombie-economy/9233>.
- LeLaulu L.**, 2009. Zombie Economics? *The Development Executive Group*, January 13, <http://www.devex.com/articles/zombie-economics>.

- Lindsey B.**, 2002. *Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism*. New York, John Wiley & Sons.
- Masimli A.**, 2009. Azerbaijan and the World Financial Crisis. *The Caucasus & Globalization*, Vol. 3, Issue 1.
- Metodiev M. V.**, 2009. The Idea of Effective Bankruptcy. *Economic Policy Review*, Issue 70, March 12, <http://ime.bg/en/articles/the-idea-of-effective-bankruptcy/>.
- Narmania D.**, 2009. Economic Policy in Georgia: Liberalization, Economic Crises and Changes. *Turkish Policy Quarterly*, Vol. 8, No. 2.
- Nelson R. R.**, Winter S. G., 1982. *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge, Belknap Press of Harvard University Press.
- Nițu C.**, 2009. Optimal financial structure, bankruptcy risk and the right to a new beginning. *Finance – Challenges of the Future*, Vol. 1, No. 9, <http://ideas.repec.org/a/aio/fpvfch/v1y2009i9p267-272.html>.
- Papava V.**, 2009c. The human factor in the Modern Financial Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 3, No. 3.
- Papava V.**, 2009a. Is Zombie Economicus Coming? *The Market Oracle*, February 7, <http://www.marketoracle.co.uk/Article8736.html>.
- Papava V.**, 2009b. post-Communist capitalism and the modern World of dead Economy. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 3, No. 2.
- Papava V.**, 2010a. Economy of the Post-Communist Capitalism under the Financial Crisis. *Studies in Economics and Finance*, Vol. 27, No. 2.
- Papava V.**, 2010b. „Post-Communist Capitalism and Financial Crisis, or the Mixing of the Necroeconomics and the Zombie-Nomics.“ *Georgian International Journal of Science and Technology*, Vol. 2, Issue 1.
- Papava V.**, 2010c. *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis*. Xenophon Paper, No. 9, [http://icbss.org/images/papers/xenophon\\_paper\\_no9.pdf](http://icbss.org/images/papers/xenophon_paper_no9.pdf).
- Papava V.**, 2010d. The Global Financial Crisis and the Difficulties of Economic Development in the Central Caucasian Countries. *Banks and Business*, No. 2.
- Papava V.**, 2010e. The Global Financial Crisis and the Main Threat for the Ukrainian Economy. *International Security Forum*, Lviv, Ukraine, April 15-16, <http://www.securityforum.org.ua/images/stories/vladimer%20papava.pdf>.
- Papava V.**, 2010f. The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy. *Problems of Economic Transition*, Vol. 53, No. 4.

- Papava V., Chocheli V., 2003.** *Financial Globalization and Post-Communist Georgia (Global Exchange Rate Instability and its Implications for Georgia)*. New York, iUniverse.
- Papava V., Chocheli V., 2005.** Global Exchange Rate Instability and Its Implications for Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4.
- Pesek W., 2008.** Jay Leno tells Asia about Detroit's zombies. *Livemint.com, The Wall Steer Journal*, November 17, <http://www.livemint.com/2008/11/17233803/Jay-Leno-tells-Asia-about-Detr.html>.
- Petrova T. D., 2009.** Implications of the current financial crisis on the new EU member states, Bulgaria and Romania. *Paper presented at the 7th Annual Claremont – UC Undergraduate Research Conference on the European Union*, Claremont, CA, April 16-18, <http://eucenter.scrippscollege.edu/pdfs/2009%20Conference%20papers/Teodora%20Petrova.pdf>.
- Poschmann F., 2009.** Beware of zombies. *Financial Post*, January 26, <http://network.nationalpost.com/np/blogs/fpcomment/archive/2009/01/26/beware-of-zombies.aspx>.
- Rajiva L., 2009.** Nightmare on Wall Street. *LewRockwell.com*, April 1, <http://www.lewrockwell.com/rajiva/rajiva16.html>.
- Ramalho R., Rodríguez-Meza J., Yang J., 2009.** How are Firms in Eastern and Central Europe Reacting to the Financial Crisis? *Enterprise Surveys, Enterprise Note Series?* No. 8, <http://www.enterprisesurveys.org/documents/EnterpriseNotes/Note8.pdf>.
- Sakevarishvili R., 2010.** Georgia: Continued Reverberations of the Crisis. *Caucasus Analytical Digest: The Caucasus in the Global Financial Crisis*, No. 18, July 21.
- Schnittger F., 2009.** Ireland's Zombie Economy. *European Tribune*, January 14, <http://www.eurotrib.com/?op=displaystory;sid=2009/1/14/113437/798>.
- Shiller R. J., 2008.** *The Subprime Solution: How Today's Global Financial Crisis Happened, and what to do about it*. Princeton, Princeton University Press.
- Shleifer A., Treisman D., 2000.** *Without a Map: Political Tactics and Economic Reform in Russia*. Cambridge, The MIT Press.
- Silagadze A., Tokmazishvili M., 2009.** *Challenges of the Post-Communist Financial-Currency Policy*. New York, Nova Science Publishers.
- Smith D. C., 2003.** Loans to Japanese borrowers. *Japanese International Economies*, Vol. 17, No. 3.
- Soros G., 2008.** *The New Paradigm for Financial Markets: The Credit Crisis of 2008 and what it Means*. New York, Public Affairs.
- Spulbăr C., Berceanu D., Spulbăr T., 2010.** Financial globalization – from challenge to crisis. *Finance – Challenges of the Future*, Vol. 1, Issue 8, <http://>

- ideas.repec.org/a/aio/fpvfch/v1y2008i8p126-131.html.
- Steil B.**, 2009. *Lessons of the Financial Crisis*. Council Special Report No. 45, March. New York, Center for Geoeconomic Studies, Council on Foreign Relations.
- Stepak, John**, 2008. How zombie companies suck the life from an economy. *MoneyWeek*, November 18, <http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx>.
- Stiglitz J. E.**, 2010. *Freefall: America, Free Markets, and the Sinking of the World Economy*. New York, W. W. Norton & Company.
- Subacchi P.**, Monsarrat A., eds., 2009. *New Ideas for the London Summit. Recommendations to the G20 Leaders*. London, The Royal Institute of International Affairs.
- Talpoș I.**, Lobonț O., Nicolescu C., Crășneac A., 2009. A retrospective view on the relationship between fiscal policy and economic crisis. *Finance – Challenges of the Future*, Vol. 1, No. 9, <http://ideas.repec.org/a/aio/fpvfch/v1y2009i9p27-31.html>.
- Taylor M. P.**, Clarida R., eds., 2014. *The Global Financial Crisis*. Abingdon, Routledge.
- Willie CB J.**, 2008. U. S. Economy Disintegrating as Government Supports Zombie Banks. *The Market Oracle*, December 4, <http://www.marketoracle.co.uk/Article7619.html>.
- Willie CB J.**, 2009. Gold, Zombie Banking System, Lightning, Earthquakes and Hurricanes. *The Market Oracle*, January 20, <http://www.marketoracle.co.uk/Article8346.html>.
- Wong T.**, 2008. Can U.S. escape zombie economy's clutch? *TheStar.com, Toronto Star*, 4 October, <http://www.thestar.com/comment/columnists/article/511664>.
- Woods Jr. T. E.**, 2009. *Meltdown: A Free-Market Look at Why the Stock Market Collapsed, the Economy Tanked, and Government Bailouts Will Make Things Worse*. Washington, DC, Regnery Publishing.
- Zandi M.**, 2009. *Financial Shock: A 3600 Look at the Subprime Mortgage Implosion, and how to Avoid the Next Financial Crisis*. Upper Saddle River, Pearson Education.
- Григорьев Л.**, Салихов М., 2008. Финансовый кризис-2008: вхождение в мировую рецессию. *Вопросы экономики*, № 12.
- Данилишин Б.**, 2009. Экономика Украины: жизнь после кризиса? *Зеркало недели*, № 1 (729), 17 – 23 января, <http://www.zn.ua/2000/2020/65131/>.
- Илларионов А.**, 2008а. Ноябрьский спад промышленного производства

– катастрофа, которая усугубляется действиями властей. *Институт экономического анализа*, <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=14>.

**Илларионов А.**, 2008б. Природа российского кризиса. *Институт экономического анализа*, 2 октября, <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=8>.

**Илларионов А.**, 2008в. Природа российского кризиса. Чем он не является. *Институт экономического анализа*, 29 декабря, <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=16>.

**Мау В.**, 2009. Драма 2008 года: от экономического чуда к экономическому кризису. *Вопросы экономики*, № 2.

**Ольсевич Ю.**, 2009. Психологические аспекты современного экономического кризиса. *Вопросы экономики*, № 2.

**Папава В.**, 2009а. Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. *Вестник Института Кеннана в России*, Выпуск 15.

**Папава В.**, 2009б. У экономического кризиса в Грузии отечественные корни. *Вестник Кавказа*, 27 Июня, [http://www.vestikavkaza.ru/articles/ekonomika/mir\\_fin\\_kriz/4249.html](http://www.vestikavkaza.ru/articles/ekonomika/mir_fin_kriz/4249.html).

**Папава В.**, 2009в. Финансовый кризис и посткоммунистический капитализм. *Мировая экономика и международные отношения*, №8.

**Хэзлитт Г.**, 2000. *Типичные ошибки государственного регулирования экономики*. Москва, Серебряные нити.

**თავი 17. რეტროეკონომიკა:**

**ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და მისი დაძლევის ძირითადი გზები**

## **§ 17.1. რეტროეკონომიკა, როგორც ნეკროეკონომიკის წინამორბედი**

გლობალიზაციის პროცესი მეტ-ნაკლებად ეხება ეკონომიკის როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მხარეს. თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხეს ნეკროეკონომიკის, როგორც ასეთის, გლობალიზაცია წარმოადგენს.

ნეკროეკონომიკა, ანუ „მკვდარი ეკონომიკა“, თავისი არსით არის მოძველებული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქციის მიწოდება, რომელზედაც რეალურად მოთხოვნა არ არსებობს მისი დაბალი ხარისხის (ან სულაც უხარისხობის) ან/და წარმოების მაღალი დანახარჯების გამო, თუმცა ამ მოთხოვნას ხელოვნურად ქმნის სახელმწიფო (იხ. §5.2). ეკონომიკის ეს მახინჯი ფენომენი გამოვლინდა პოსტკომუნისტურ ეკონომიკაში (Papava, 2002; Папавა, 2001), რადგან მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში კონკურენციის გამორიცხვამ ეკონომიკის ბევრ დარგში (გარდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა) ჩაკლა საწარმოთა ტექნოლოგიური ბაზის განახლების ეკონომიკური ინტერესი (Lipowski, 1998, pp. 13-17). ნეკროეკონომიკის არსებობის გამო, ბაზრის ნაცვლად იქმნება კვაზიბაზარი, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია უკრაინა, სადაც ნეკროფირმების შესანარჩუნებლად სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი საკმაოდ მაღალია (Feeц, 2015, c. 12).

აღსანიშნავია, რომ წარმოების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა თავისთავად არ არის ნეკროეკონომიკის არსებობის საკ-

მარისი პირობა (ის მხოლოდ აუცილებელი პირობაა); ამისათვის, ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასთან ერთად, სახელმწიფომ მიზანმიმართულად უნდა ამუშაოს „მკვდარ სანარმოები“ მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ხელოვნურად შექმნის გზით.

იმის გამო, რომ კონკურენციის შეზღუდვა არის ნეკროეკონომიკის შექმნის წინაპირობა, ყველგან, სადაც ტექნოლოგიურად მოძველებული აღჭურვილობის მქონე სანარმოები მხოლოდ მთავრობის ხარჯზე ფუნქციონირებენ, შეიძლება ითქვას, რომ თავს იჩენს ნეკროეკონომიკის ფენომენი. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია გასული საუკუნის 80-იანი წლების ინდოეთი (OECD, 2007, pp. 69-85). ამრიგად, გამოდის, რომ ნეკროეკონომიკა არ ყოფილა მარტო პოსტკომუნისტური ქვეყნების პრობლემა. ის გვხვდება სხვა ქვეყნებშიც, სადაც ძალზე მოძველებული ტექნოლოგიის მქონე სანარმოები, რომელთა პროდუქციაზეც რეალურად არ არსებობს მოთხოვნა, ფუნქციონირებენ სახელმწიფოს მხარდაჭერით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე.

ცალკე პრობლემაა ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც მოძველებულია, თუმცა ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს უნარი, აწარმოოს მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტროფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს, ვუნოდებთ *რეტროეკონომიკას* (ლათინური სიტყვა „რეტრო“ ნიშნავს უკან, წარსულისკენ მიპყრობილს). ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის თეორიას *რეტროეკონომიკის* ვუნოდოთ (პაპავა, 2016; Papava, 2016, 2017; Папавა, 2017).

მართალია, ამ ტერმინის გამოყენება გვხვდება საბჭოთა ეკონომიკის თანამედროვე კრიტიკიუმებით დახასიათებისთვისაც (Недорослев, 2015), მაგრამ, მიგვაჩნია, რომ ამ მიზნისთვის უფრო

შესაფერისი იქნებოდა საბჭოთა ეკონომიკის რეტროსპექტული ანალიზის დარქმევა.

რა მსგავსება და რა განსხვავებაა ნეკროეკონომიკასა და რეტროეკონომიკას შორის? მსგავსება ისაა, რომ ორივე ტიპის ეკონომიკაში გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები, ხოლო განსხვავება კი ის, – რომ ნეკროეკონომიკის სანარმოებში გამოყენებული ტექნოლოგიები *აბსოლუტურადაა მოძველებული*, ხოლო რეტროეკონომიკის სანარმოებში გამოყენებული კი *შედარებითაა მოძველებული*. მართალია, ნეკროეკონომიკასაც და რეტროეკონომიკასაც სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს, ხოლო მეორეს სახელმწიფოსაგან უმთავრესად ესაჭიროება საერთაშორისო კონკურენციისაგან ქვეყნის შიგა ბაზრის დაცვა.

რა არის რეტროეკონომიკის შექმნის ფაქტორები? ეს ფაქტორები სხვადასხვა ხასიათისაა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ერთი საბოლოო შედეგისკენ – რეტროეკონომიკის შექმნისაკენ – მიჰყავს ქვეყანა. კერძოდ, ეს ფაქტორებია:

- I. *ინტელექტუალური საკუთრების დაცვა*, რაც ზღუდავს ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებას, მის ხელმისაწვდომობას და, შესაბამისად, ზრდის ამ ტექნოლოგიების არასანქციონირებული კოპირებისა და, ასევე, არასანქციონირებული რეინჟინირინგის საფრთხეს (Голиченко, 2012, с. 120). ასეთ ვითარებაში ახალი ტექნოლოგიების სანქციონირებული გამოყენება ძვირია, განსაკუთრებით იმ ფირმებისათვის, რომლებიც შედარებით დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში ფუნქციონირებენ. შედეგად, ამ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება შედარებით მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას.
- II. *ეკონომიკის მონოპოლიზაცია* – როცა მონოპოლიები ახალ ტექნოლოგიებზე პატენტებს შეისყიდნიან არა იმ მიზნით, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ოპერატიულ რეჟიმში გამოიყენონ, არამედ იმი-სათვის, რომ სხვამ არ გამოიყენოს და, შესაძლოა, მოგვიანებით თავად (თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევენ) გამოიყენონ (მაგა-

ლითად, Молдован, 2009, с. 33). იმ დროისათვის, შესაძლოა, უკვე შექმნილიც კი იყოს კიდევ უფრო ახალი ტექნოლოგიები, რის გამოც ხსენებული ნაყიდი, მაგრამ გამოუყენებელი ტექნოლოგიის გამოყენებას (მორალური ცვეთის გამო) აზრი ეკარგება. ამ ფაქტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე პირობებში, როცა მონოპოლიებს ახალი ერა დაუდგათ (Stiglitz, 2016).

- III. საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა, რომლებიც, როგორც წესი, არ ყიდნიან მსოფლიოს საუკეთესო ბოლო თაობის ტექნოლოგიებს (Porter, 1993, с. 590). ისინი საკუთარი კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად ყიდნიან ე.წ. second-hand (მეორად) ტექნოლოგიებს (Дементьев, 2006), ანუ ახორციელებენ second-hand ინვესტიციებს (Папавა, 2002, р. 800; Папавა, 2001, с. 25). ამგვარი პოლიტიკის წყალობით, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში თავს იყრის არა ინოვაციური, არამედ იმიტაციური (ან კვაზინოვაციური) ტექნოლოგიები (მაგალითად, Polterovich, 2010; Segerstrom, 1991), ხოლო საერთაშორისო კონკურენციის ლიდერები თავიდან იშორებენ მოძველებულ უფრო მასალატევად, შრომატევად ან/და ეკოლოგიურად საშიშ ნარმოებებს, რითაც ხელს უწყობენ ამ გამოთავისუფლებულ ეკონომიკურ სივრცეში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებას (Эльнянов, 2004). საყურადღებოა, რომ ინოვაციური პროცესების ნარმოდგენა ორ განსხვავებულ ნაწილად – უშუალოდ ინოვაციად (ანუ ახლის შექმნად) და იმიტაციად (ანუ უკვე შექმნილის გადმოღება-გამოყენებად) – ცნობილ ავსტრო-ამერიკელ ეკონომისტს, იოზეფ შუმპეტერს ეკუთვნის, რითაც მან დიდი წვლილი შეიტანა ინოვაციური პროცესების შემდგომ გააზრებაში (მაგალითად, Балацкий, 2011, с. 4).
- IV. განათლების დაბალი დონე – როცა სათანადო დონის განათლებული კადრების არარსებობის გამო, პრაქტიკულად, შეუძლებელია ინფორმაციის თუნდაც ღია არხებით (რომ არაფერი ვთქვათ კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხზე (Голиченко, 2008)) მიღებული ცოდნის გამოყენება და ეს პრობლემა დაკავშირებულია არა მარტო უმაღლეს და პროფესიულ, არამედ საშუალო გა-

ნათლების არადამაკმაყოფილებელ დონესთან (Голиченко, 2012, с. 118).

- V. ზომბიეკონომიკა, ანუ ფინანსური კრიზისის შედეგად გადახდისუუნარო ფირმების (და მათთან დაკავშირებული ბანკების) ერთობლიობა, რომლებიც განაგრძობენ ფუნქციონირებას სახელმწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტებით (Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006; LeLaulu, 2009). ბუნებრივია, ზომბი-ფირმებს არ აქვთ ინტერესი, ტექნოლოგიურად განაახლონ წარმოება ან/და შეცვალონ მენეჯმენტი, რადგანაც სახელმწიფოს მხრიდან მათი მხარდაჭერის გამო, ისინი ამ ტიპის ქმედებათა გარეშეც ახერხებენ საქმიანობის გაგრძელებას, რასაც ადასტურებს იაპონიის გამოცდილება (მაგალითად, Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006). გასაგებია, რომ ზომბიეკონომიკა, ფაქტობრივად, უშუალოდ ხელს უწყობს რეტროეკონომიკის შექმნას. ამავდროულად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე ზომბიეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემამ (Harman, 2010; Onaran, 2012; Quiggin, 2010), თავის მხრივ, წარმოქმნა ნეკროეკონომიკის (იქ, სადაც ის იყო) ზომბირების საფრთხეც (Papava, 2010; Папава, 2009), რისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიც რუსეთის ეკონომიკაა (Lindsey, 2002, pp. 210-212; Papava, 2015; Папава, 2014).

საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ხუთი ფაქტორიდან პირველი ოთხი ხელს უწყობს რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო მეხუთე ფაქტორი მოქმედებს როგორც ამ (ნაკლებად განვითარებულ) ქვეყნებში, ისე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც.

## § 17.2. რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას?

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გარკვეული უპირატესობაც კი აქვთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. კერძოდ, ერთი შეხედვით, საღ აზრს სულაც არ უნდა იყოს მოკლებული ის, რომ ახალი ტექნოლოგიური წყობის (ანუ ტექნოლოგიურად დაკავშირებულ წარმოებათა მსხვილი კოპლექსის) რეალიზება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში შედარებით უფრო ადვილია, რადგან ისინი არ არიან დამძიმებული მოძველებული ტექნოლოგიური წყობის შესატყვისი კაპიტალის ჭარბი დაგროვებით (Глазьев, 2009, с. 27).

აღსანიშნავია, რომ ეს მოსაზრება მაინც ცალმხრივად უნდა განიხილებოდეს, რადგან რეტროეკონომიკის შექმნის ზემოხსენებული პირველი, მესამე და მეოთხე ფაქტორი წინ აღუდგება ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ამ უპირატესობით (სინამდვილეში კი, ფსევდოუპირატესობით) სარგებლობის შესაძლებლობას: ჯერ ერთი, ქვეყანაში, სადაც ცოტაა (ან, შესაძლოა, საერთოდ არ არის) მდიდარი ფირმები, პრაქტიკულად, ვერ შეიძენენ ძვირადღირებულ პატენტებს უახლეს ტექნოლოგიებზე, მეორე – საერთაშორისო კონკურენციის ლიდერებიც ყველანაირად შეეცდებიან, დაბლოკონ მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელება, და მესამე – არასათანადო დონის განათლების მქონე მოსახლეობისათვის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.

„ჩამორჩენილობის უპირატესობაზე“ აქცენტირებისას, როგორც წესი, იქიდან გამოდიან, რომ ამ ქვეყნებს, ინოვაციების ნაცვლად, შეუძლიათ, ორიენტაცია აიღონ იმიტაციებზე (კვაზინოვაციებზე), ანუ უკვე ცნობილი ტექნოლოგიების კოპირებაზე (რა თქმა უნდა, დანახარჯები ტექნოლოგიების კოპირებაზე ამკარად ნაკლებია, ვიდრე დანახარჯები ინოვაციებზე) (Барро,

Сала-и-Мартин, 2010, сс. 448-449), რის შედეგადაც ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ შეამცირონ მონინავე ქვეყნებთან არსებული ჩამორჩენა (Bresis, Krugman, Tsiddon, 1993). აქვე კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ პირობას, რომ ტექნოლოგიების იმიტაციის ნარმატებისათვის აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი გა-ნათლების მქონე ეროვნული კადრები.

მართალია, იმიტაციური პოლიტიკის ხარჯზე ჩამორჩენილ ქვეყნებში შექმნილი რეტროეკონომიკა უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ იმიტატორ ქვეყნებს, განვი-თარებულ ქვეყნებთან შედარებით, დაბალი მწარმოებლურობის დონის ხანგრძლივი შენარჩუნების საფრთხე ემუქრებათ (Howitt, 2000). ქვეყნების მიხედვით მწარმოებლურობის დიფერენცირე-ბის მთავარი მიზეზი კი არის ის განსხვავება, რომელიც ვლინდებ-ბა ქვეყნებს შორის არსებული ცოდნისა და მისი გამოყენების თვალსაზრისით (Parente, Prescott, 2000).

შედარებით მოძველებული უცხოური ტექნოლოგიების კოპი-რებაზე აქცენტირება, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის იძულებითი ნაბიჯია, რაც ხელს უწყობს სწორედ ამ ჩამორჩენილობის, ანუ რეტროეკონომიკის, შენარჩუნებას და ტექნოლოგიურად სხვის კმაყოფაზე ყოფნის მახეში მოქცევას (Дементьев, 2006).

„ტექნოლოგიური მახე“ ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როცა ფირმა უპირატესობას ანიჭებს ძველ, ნაკლებად ეფექტიან ტექ-ნოლოგიებს მაშინაც კი, როცა არსებობს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლის შესაძლებლობა (იხ. §13.2) (Балацкий, 2003). დამკვიდრებულია აზრი, რომ ტექნოლოგიურ მახეს ქმნის გარემოება, როცა ფირმები უპირატესობას, გრძელვადიანზე მეტად, მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას ანიჭებენ; მო-კლევადიანი ინტერესების უპირატესობა კი, გრძელვადიანთან შედარებით, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია პოლიტიკუ-რი, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურო-ბით (Балацкий, 2012, сс. 56-57).

ჩვენი აზრით, ტექნოლოგიური მახის წარმოქმნის ამ მიზეზთა გარდა, არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა მიზეზებიც. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეტროეკონომიკის არსებობისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც ზომიერი მხარდაჭერა. კონკრეტულად, თუ სახელმწიფომ საგარეო ვაჭრობაში არ გაატარა პროტექციონისტული პოლიტიკა, მოძველებული ტექნოლოგიით აღჭურვილი ფირმები ვერ შეძლებენ, კონკურენცია გაუწიონ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საერთაშორისო კონკურენციის ლიდერებს. ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიის თანახმად (Nelson, Winter, 1982), რეტროფირმებში შექმნილი ე.წ. „რუტინა“ (ანუ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული წესები და ხერხები, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებს (Murrell, 1991)) არის იმის საფუძველი, რომ რეტროფირმებმა უმთავრესად იფიქრონ არა იმდენად საერთაშორისო კონკურენციაში ჩასართავად მომზადებაზე, არამედ სახელმწიფოს მხრიდან საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომების გახანგრძლივებაზე, რის შედეგადაც არ გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად და ეს ფირმები მოექცევიან ტექნოლოგიურ მახეში.

იმის გამო, რომ რეტროფირმებში შექმნილი რუტინა ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომების პრაქტიკულად განუსაზღვრელი ვადით გახანგრძლივებას, დიდია ალბათობა, რომ ეს რეტროფირმები თანდათანობით გადაიქცნენ ზომბიფირმებად (როცა ისინი ფუნქციონირებენ სახელმწიფო გარანტიების ხარჯზე აღებული საბანკო კრედიტებით), ხოლო ამ სიტუაციის უცვლელობის პირობებში საბოლოოდ გახდნენ ნეკროფირმები, რისი მაგალითებიც იკვეთება თანამედროვე ჩინეთის ეკონომიკაში (Lipton, 2016).

მაშასადამე, ტექნოლოგიურ მახესა და რეტროეკონომიკას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი: ერთი მხრივ, აშკარაა, რომ ტექნოლოგიურ მახეში მოქცეული ფირმა იგივე რეტროფირმაა,

მეორე მხრივ კი, რეტროფირმა თავად უწყობს ხელს ტექნოლოგიური მახის შენარჩუნებას.

## § 17.3. ტექნოლოგიური ნახტომის განხორციელების მექანიზმი

რეტროეკონომიკის ფენომენის დასაძლევად, ანუ ტექნოლოგიური მახიდან თავის დასაღწევად, აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფის მიერ ხდება სახელმწიფოს როლის „დემონიზება“, აუცილებელია ამაზე არა მარტო უარის თქმა (Сорокин, 2013, с. 19), არამედ მასზე (სახელმწიფოზე) იმ ფუნქციის დაკისრება, რომლის მიხედვითაც, მან უნდა განახორციელოს „მართვადი ტექნოლოგიური ცვლილება“ (directed technological change) (Sachs, 2017, p. 89).

უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის განწყობის შექმნას (Балацкий, 2010) იმის გათვალისწინებით, რომ ოპტიმისტი ესწრაფვის მაღალი რისკისადმი შემგუებელი დამოკიდებულების პირობებში მაქსიმალური სარგებლის მიღებას, პესიმისტი კი ცდილობს რისკის მინიმიზაციას გარკვეული, მისაღები და, იმავდროულად, გარანტირებული სარგებლის მიღების პირობებში (Кесельман, Мацкевич, 1998). ეკონომიკური ოპტიმიზმის განწყობის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამო ფირმები უპირატესობას ანიჭებენ არა გრძელვადიანი, არამედ მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას (Балацкий, 2012, сс. 56-57).

თავის მხრივ, ეკონომიკური ოპტიმიზმის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდას, როცა ეს უკანაკნელი ხელს უწყობს, რომ ბაზარზე მოქმედი თითოეული სუბიექტი დაინტერესებული იყოს, თავადაც

ჰქონდეს ზრდის მაღალი ტემპი. ამ ვითარებაში ტექნოლოგიური მახის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვს „ტექნოლოგიური ნახტომის“ გაკეთებას, რათა ფირმებმა შეძლონ თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა, რისთვისაც, თავის მხრივ, აუცილებელია საკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც უმთავრესად დამოკიდებულია საბანკო პროცენტის დონის შემცირებაზე (Балацкий, 2012, с. 56). აქ მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ, ჩვენი აზრით, რეტროეკონომიკიდან გამოსვლისათვის, ანუ უშუალოდ ტექნოლოგიური ნახტომის გასაკეთებლად, სახელმწიფოს მხრიდან არსებითი აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ზოგადად საბანკო პროცენტის შემცირებაზე, არამედ მის შემცირებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბანკო სესხი გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად.

ასევე მიგვაჩნია, რომ, საბანკო სესხის განაკვეთის შემცირებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო შეღავათების დაწესებას იმ ფირმებისათვის, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ტექნოლოგიური ნახტომის მომზადება-განხორციელებისათვის, გარდა აღნიშნულისა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელ სხვა ღონისძიებებსაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა რეტროეკონომიკის შენარჩუნების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, განსაკუთრებით, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გამოკი, ამ ქვეყნებისათვის პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი მონინავე ტექნოლოგიები. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სახელმწიფომ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ორიენტირების განსაზღვრისა და ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესებული ფირმების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე, უნდა შეისყიდოს პატენტები ამ ტექნოლოგიებზე ეკონომიკის შესაბამისი სექტორების მიხედვით, მათი შეღავათიან ფასად

მიწოდებით დაინტერესებული ფირმებისათვის. ამით შეიქმნება კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხი, მაგრამ ის ვერ იქნება შედეგის მომცემი, თუ ქვეყანაში არ დახვდება სათანადო ცოდნის მაღალკვალიფიციური კადრები.

მარტო კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხის გამოყენება არ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ მოსახლეობის საერთო განათლების დონე ვერ უზრუნველყოფს ცოდნის გავრცელების ღია ინფორმაციული არხის გამოყენების მაღალეფექტიანობას. მაშასადამე, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მთლიანად განათლების ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს. ეს მოიცავს არა მარტო საუნივერსიტეტო და პროფესიულ, არამედ სასკოლო განათლებასაც. ის, რომ ჩინეთმა ეკონომიკური განვითარების მხრივ უპირატესობა მოიპოვა ინდოეთთან შედარებით, განპირობებულია იმითაც, რომ ამ უკანასკნელმა, ძირითადად, აქცენტი გააკეთა საუნივერსიტეტო და პროფესიულ განათლებაზე, ხოლო ზოგადი განათლება არ გახადა საყოველთაო მაშინ, როცა ჩინეთი ძალისხმევას არ იშურებდა განთლების სფეროს ყველა მიმართულებით განვითარებაზე (Голиченко, 2012, с. 118).

როდესაც სახელმწიფო მთლიანად განათლების სისტემაზე აკეთებს აქცენტს, იქმნება საფუძველი, რომ ქვეყანაში წარმატებული იქნება ტექნოლოგიური ცოდნის დიფუზია (Голиченко, 2012).

ტექნოლოგიური მახიდან თავის დასაღწევად, განათლების სისტემის განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას, რადგანაც ახალი ტექნოლოგიების ათვისება-გამოყენება ბევრად გაადვილებულია, როცა ქვეყანას აქვს ცოდნის შექმნის საკუთარი სისტემა (Дементьев, 2006).

## § 17.4. კრეატიული ნგრევის პროცესი და გაკოტრების ძირითადი პრინციპი

რეტროეკონომიკის შენარჩუნების, ტექნოლოგიურ მახეში და-რჩენის გახანგრძლივების ყველაზე დიდ საფრთხეს მისი ზომბირება წარმოადგენს, რამდენადაც ზომბიფირმები არ არიან დაინტერესებული, ტექნოლოგიურად განახლონ წარმოება (ასევე მენეჯმენტიც), რადგან სახელმწიფოს მხარდაჭერის ხარჯზე ისედაც წარმატებით ახერხებენ ფუნქციონირებას. თავის მხრივ კი, ზომბიეკონომიკა შეიძლება გადაიზარდოს ნეკროეკონომიკაში, თუკი ეკონომიკის ზომბირების პროცესი იმდენად ხანგრძლივი აღმოჩნდება, რომ ამ ფირმების ფუნქციონირებისათვის მარტო სახელმწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტები არ იქნება საკმარისი. კერძოდ, თუ ამ ფირმების ტექნოლოგიური ბაზის განახლება დიდხანს არ მოხდება, ის იმდენად მოძველდება, რომ ამ ფირმების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა რეალურად აღარ იარსებებს და ამ ფირმების შენარჩუნება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მათ პროდუქციაზე ხელოვნურად შექმნილი მოთხოვნის საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

ამგვარი ვითარება იმთავითვე ეწინააღმდეგება კაპიტალიზმის არსს, რადგანაც კაპიტალიზმი, იოზეფ შუმპეტერის თანახმად, არის ეკონომიკურ ცვლილებათა ფორმა და მეთოდი (Шумпер, 1995, с. 126). როგორც ცნობილია, შუმპეტერმა შექმნა ეკონომიკური დინამიკის თეორია, რომლის მიხედვითაც, კაპიტალიზმის არსი არის „კრეატიული ნგრევის“ პროცესი (იხ. §13.2), ანუ ეკონომიკური მუტაციის პროცესი, რომელიც, პრაქტიკულად უწყვეტად, შიგნიდანვე ანგრევს ძველ სტრუქტურას და ქმნის ახალს (Шумпер, 1995, с. 127). კრეატიულ ნგრევას ადგილი აქვს მაშინ, როცა მოძველებულს ცვლის თვისებრივად ახალი, რის შედეგადაც იქმნება ახალი სახეობის დოვლათი, გამოიყენება წარმოების ახალი ხერხები, ხდება ნედლეულის ახალი წყაროები-

სა და გასაღების ახალი ბაზრების ათვისება. ამ ნოვატორული საქმიანობით დაკავებული ადამიანები, შუმპეტერის მიხედვით, როგორც ცნობილია, არიან მენარმეები, რომელთა ეკონომიკური ფუნქცია არის ინოვაციების მოზიდვა.

ზომბირებული რეტროეკონომიკა არის კრეატიული ნგრევის პროცესის ის დაბრკოლება, რომელიც, თუ არ გადაილახა, ეკონომიკაში გამოიწვევს ტექნოლოგიურ დეგრადაციას. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თუ კრეატიული ნგრევის პროცესი ძალიან დიდხანს იქნება დაბლოკილი, ეს გამოიწვევს ინსტიტუტების ისეთ ნგრევას, რომელიც თავისი ბუნებით პოლიტიკური და სამხედრო რევოლუციის ტოლფასია და რისი მაგალითებიცაა საბჭოთა კავშირი და სერბეთი (Foster, Kaplan, 2001, p. 294).

სამნუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნებას აქტიურად უჭერს მხარს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფები, ხოლო ჯერ არშექმნილი ახალი დარგებისა თუ ფირმების ინტერესების გამომხატველი ჯგუფები, სწორედ იმის გამო, რომ ეს დარგები და ფირმები ჯერ არ შექმნილა, არ არსებობს (Anderson, 2004, p. 199). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არასიცოცხლისუნარიანი ფირმებს ჰყავთ ლობისტური ჯგუფები, ჯერ არშექმნილ ახალ დარგებსა თუ ფირმებს მსგავსი ლობისტები ვერ ეყოლება. ამ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ერთადერთი, ვინც პოტენციურად უნდა იყოს შესაქმნელი ახალი დარგებისა თუ ფირმების ლობისტი, არის სახელმწიფო.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზომბირებული რეტრო-ფირმების მიმართ გაკოტრების პროცედურების ამოქმედებას. ცნობილია, რომ გაკოტრების უნივერსალური კანონმდებლობა არ არსებობს და მთავარი პრინციპი, რომელიც დამახასიათებელია გაკოტრების რეჟიმისთვის, არის ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის (Stiglitz, 2001, p. 3). ჩვენი აზრით,

ეს პრინციპი სრულად ვერ ასახავს იმ სირთულეებს, რის წინაშეც დგას თანამედროვე ეკონომიკა, განსაკუთრებით, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. კერძოდ, პრობლემის არსი მდგომარეობს შემდეგში:

ფირმის სიცოცხლისუნარიანობის მეტ-ნაკლებად ობიექტურად შეფასება გართულებულია, რადგან ერთმანეთს უნდა შეედაროს მოქმედი საწარმოს ღირებულება და სალიკვიდაციო ღირებულება: თუ მოქმედი საწარმოს ღირებულება აღემატება სალიკვიდაციო ღირებულებას, მაშინ ეს საწარმო სიცოცხლისუნარიანია. სირთულე, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია მოქმედი საწარმოს ღირებულების განსაზღვრასთან, რადგანაც უნდა შეფასდეს საწარმოს მომავალი შემოსავლები და ხარჯები, რისი სათანადო სიზუსტით გაკეთებაც არ არის მარტივი ამოცანა. მის გადასაწყვეტად აუცილებელია ამ საწარმოს ბიზნესგეგმის და რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება. შესაბამისი ფირმების მესაკუთრეების განწყობის მიხედვით, ეს გეგმები უნდა იყოს ოპტიმისტური, კრედიტორების დამოკიდებულება კი ამ გეგმების მიმართ უფრო კრიტიკულია. სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრა შედარებით ადვილია, თუმცა ამ შემთხვევაშიც გადასაწყვეტია რამდენიმე რთული ამოცანა (უნდა შეფასდეს, თუ რა შემოსავლები იქნება მიღებული საწარმოს აქტივების გაყიდვიდან) (Anderson, 2004, pp. 175-176). შედეგად, ფირმის გაკოტრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები, როგორც ნესი, იხრება საწარმოს რეორგანიზაციის და არა ლიკვიდაციის სასარგებლოდ (White, 2001, p. 32). თუ აქვე გავიხსენებთ ზემოაღნიშნულ გარემოებას, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნებას აქტიურად უჭერს მხარს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფები, მაშინ ნათელი გახდება, რომ ბაზარზე ადგილს ინარჩუნებენ ზომბირებული რეტროფირმები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, ზომბირებული ნეკროფირმებიც კი.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რეტროეკონომიკის ზომბირების თავიდან ასაცილებლად, ანუ კრეატიული ნგრევის

პროცესის ხელშესაწყობად, უნდა შეიცვალოს გაკოტრების კანონმდებლობის მთავარი პრინციპი და ნაცვლად ზემოხსენებულისა (ანუ ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის), უნდა იყოს ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის. ამგვარი მიდგომა გააუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს, ხოლო კონკურენცია არის ერთადერთი საფუძველი იმისა, რომ ფირმებს რეალურად გაუჩნდეს მოთხოვნა ინოვაციებზე (Бубенко, Гусев, 2016, с. 84), რის გარეშეც კრეატიული ნგრევის პროცესი, როგორც ასეთი, განუხორციელებელია.

გასათვალისწინებელია, რომ ინოვაციების პრობლემებზე მეცნიერთა მიერ მომზადებული წინადადებები ხშირად ვერანაირ ქმედით გამოხმაურებას ვერ პოულობს პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, ანუ იმ ადამიანების მხრიდან, ვინც უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები (Бубенко, Гусев, 2016, с. 83). მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბაზარი გათავისუფლდება არასიცოცხლისუნარიანი ფირმებისაგან, კონკურენცია არა, უბრალოდ, აიძულებს ფირმებს, ორიენტაცია აიღონ ინოვაციებზე, არამედ, შესაბამისი მენარმეების მოთხოვნით, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები იძულებული გახდებიან, თავისი გადაწყვეტილებებით მხარი დაუჭირონ ამ მენარმეების ინტერესებს.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიიჩნევენ, რომ, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, გადახდისუუნარო ფირმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფირმის მესაკუთრეებს შორის შეთანხმებით, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა ამ პროცესში გაკოტრების კანონმდებლობის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორები და მესაკუთრეები ვერ შეთანხმდებიან (Anderson, 2004, pp. 176-178).

საყურადღებოა, რომ ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნება-განვითარებაში მარტო გაკოტრების კანონმდებლობაზე აქცენტის გაკეთება არ არის გამართლებული, რადგან ეს უკანასკნელი, მართალია, საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც ერთ-ერთია ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაში, რომელიც, სხვა კანონებთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს ბაზარზე ჯანსაღი სამართლებრივი სივრცის შექმნას (White, 2001, p. 43). ასე მაგალითად, თუ რომელიმე ქვეყანას გაკოტრების კანონმდებლობის პარალელურად აქვს საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურისაზაციის კანონმდებლობაც, მაშინ ამ უკანასკნელით პრაქტიკულად დაბლოკილია გაკოტრების პროცედურების წამოწყება.

## § 17.5. სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები რეტროეკონომიკის ფენომენის დასაძლევად

რეტროეკონომიკის ფენომენის დაძლევის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნოლოგიების საზოგადოებრივ დოვლათად გარდაქმნას (Sachs, 2017, p. 91), რასაც რეტროეკონომიკის ფორმირების პირველი სამი ფაქტორი (§17.1) უშლის ხელს.

რეტროეკონომიკის ფენომენის დაძლევაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ერთგანზომილებიანი, კერძოდ:

1. სახელმწიფომ არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა განათლების სისტემის განვითარებისთვის, რაც გულისხმობს საყოველთაო ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებას, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას;
2. სახელმწიფომ საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფის უმთავრეს კომპონენტად უნდა აქციოს სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის

გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა შექმნას და დააფინანსოს სამეცნიერო ჯგუფები შესაბამისი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად;

3. სახელმწიფომ უნდა შექმნას კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხი, რისთვისაც, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ორიენტირების მიხედვით და ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესებული ფირმების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე, უნდა შეისყიდოს პატენტები ამ ტექნოლოგიებზე ეკონომიკის შესაბამისი სექტორების მიხედვით, ამ ფირმებისათვის მათი შეღავათიან ფასად მიწოდებისათვის;
4. თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად, სახელმწიფო შესაბამის ფირმებს უნდა დაეხმაროს საბანკო პროცენტის ნაწილის დაფარვაში და მათ ასევე უნდა შესთავაზოს საგადასახადო შეღავათები;
5. კრეატიული ნგრევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბაზარზე არ დარჩენენ არასიცოცხლისუნარიანი სანარმოები, რასაც, უწინარეს ყოვლისა, სჭირდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ამისათვის გაკოტრების ეროვნული კანონმდებლობა უნდა დაეყრდნოს ამოსავალ პრინციპს, რომლის თანახმადაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის;
6. მიზანშეწონილია, გადახდისუუნარო ფირმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი გადაწყდეს უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფირმის მესაკუთრეებს შორის შეთანხმებით, ხოლო სახელმწიფო გაკოტრების კანონმდებლობის ფარგლებში მხოლოდ მაშინ ჩაერიოს ამ პროცესში, როცა კრედიტორები და მესაკუთრეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ;
7. სახელმწიფომ ბაზარზე უნდა შექმნას ჯანსაღი სამართლებრივი სივრცე, რაც გამოორიცხავს გაკოტრების კანონმდებლობის ეფექტიანად მოქმედების შემაფერხებელ სხვა კანონებსა თუ რეგულაციებს.

გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოსათვის ამ ფუნქციების დაკისრებისას, როცა არსებობს რეალური საფრთხე, რომ მან ვერ შეასრულოს ეს ფუნქციები, განსაკუთრებით, სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტისა და კორუფციის მაღალი დონის პირობებში (Dompe, 2014), ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაასაჯაროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, საქსპერტო წრეების მაქსიმალურ ჩართულობას ამ გადაწყვეტილებათა მომზადებაში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ რეტროეკონომიკის ფენომენი უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულია მთელ მსოფლიოში და აუცილებელია, ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ამ საფრთხეს, რათა არ მოხდეს რეტროეკონომიკის ზომბირება, რომ არაფერი ვთქვათ მის ნეკროეკონომიკაში გადაზრდაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

- პაპავა ვ.**, 2016. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა – გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები. ექსპერტის აზრი, № 70. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-geo.pdf>.
- Ahearne A. G.**, Shinada N., 2005. Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.
- Anderson R. E.**, 2004. *Get Out of the Way: How Government Can Help Business in Poor Countries*. Washington, DC, CATO Institute.
- Bresis E.**, Krugman P., Tsiddon D., 1993. Leapfrogging in international Competition: A Theory of Cycles in National Technological Leadership. *American Economic Review*, Vol. 83, No. 5, <http://econ.biu.ac.il/files/economics/shared/staff/u46/brezis-aer-1993.pdf>.
- Dompe S.**, 2014. Industrial Policy Is Still a Loser. *Mises Daily Articles*, July 16, <https://mises.org/library/industrial-policy-still-loser>.

- Foster R.**, Kaplan S., 2001. *Creative Destruction: Why Companies That Are Built to Last Underperform the Market, and How to Successfully Transform them*. New York, Currency.
- Harman C.**, 2010. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago, Haymarket Books.
- Hoshi T.**, 2006. Economics of the Living Dead. *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1.
- Howitt P.**, 2000. Endogenous Growth and Cross-Country Income Differences. *The American Economic Review*, Vol. 90, No. 4, [http://www.fadep.org/documentosfadep\\_archivos/D-27\\_ENDOGENOUS\\_GROWTH\\_AND\\_CROSS-COUNTRY\\_INCOME\\_DIFFERENCES.pdf](http://www.fadep.org/documentosfadep_archivos/D-27_ENDOGENOUS_GROWTH_AND_CROSS-COUNTRY_INCOME_DIFFERENCES.pdf).
- LeLaulu L.**, 2009. Zombie Economics? *The Development Executive Group*, January 13, <http://www.devex.com/articles/zombie-economics>.
- Lindsey B.**, 2002. *Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism*. New York, John Wiley & Sons.
- Lipowski A.**, 1998. *Towards Normality. Overcoming the Heritage of Central Planning Economy in Poland in 1990-1994*. Warsaw, Adam Smith Research Center, Center for Social and Economic Research.
- Lipton D.**, 2016. China's Corporate-Debt Challenge. *Project Syndicate*, August 18, <https://www.project-syndicate.org/commentary/china-corporate-debt-problem-by-david-lipton-2016-08>.
- Murrell P.**, 1991. *Evolution in Economics and in the Economic Reform of the Centrally Planned Economies*. Department of Economics, University of Maryland, July 2, <http://econweb.umd.edu/~murrell/articles/Evolution%20in%20Economics.pdf>.
- Nelson R. R.**, Winter S. G., 1982. *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge, The Belknap Press of Harvard University Press.
- OECD**, 2007. *OECD Economic Surveys: India, Vol. 2007/14*. Paris, OECD, [http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/economics/oecd-economic-surveys-india-2007\\_eco\\_surveys-ind-2007-en#.V7F969R95kg#page1](http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/economics/oecd-economic-surveys-india-2007_eco_surveys-ind-2007-en#.V7F969R95kg#page1).
- Onaran Y.**, 2012. *Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken, John Wiley & Sons.
- Papava V.**, 2002. Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9-10.
- Papava V.**, 2010. The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy.“ *Problems of Economic Transition*, Vol. 53, No. 4.
- Papava V.**, 2015. Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia. *Journal of Business and Economics*, Vol. 6, No. 5, <http://www.academicstar.us/issue-show.asp?daid=1197>.

- Papava V.**, 2016. *Technological Backwardness – Global Reality and Expected Challenges for the World’s Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 70. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-eng.pdf>.
- Papava V.**, 2017. Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, No. 6, <https://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy>.
- Parente S. L.**, Prescott E. C., 2000. *Barriers to Riches*. Cambridge, The MIT Press.
- Polterovich V.**, 2010. Tonis A. *Innovation and Imitation at Various Stages of Development: A Model with Capital*. MPRA Paper No. 20244, January 26, [https://mpra.ub.uni-muenchen.de/20244/2/MPRA\\_paper\\_20244.pdf](https://mpra.ub.uni-muenchen.de/20244/2/MPRA_paper_20244.pdf).
- Quiggin J.**, 2010. *Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton, Princeton University Press.
- Sachs J. F.**, 2017. *Building the New American Economy. Smart, Fair, and Sustainable*. New York, Columbia University Press.
- Segerstrom P. S.**, 1991. Innovation, Imitation, and Economic Growth. *Journal of Political Economy*, Vol. 99, No. 4.
- Stiglitz J. E.**, 2001. Bankruptcy Laws: Basic Economic Principles. In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Ed. by S. Claessens, S. Djankov, Mody A. Washington, DC, The World Bank.
- Stiglitz J. E.**, 2016. Monopoly’s New Era. *Project Syndicate*, May 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/high-monopoly-profits-persist-in-markets-by-joseph-e--stiglitz-2016-05?barrier=true>.
- White M. J.**, 2001. Bankruptcy Procedures in Countries Undergoing Financial Crises. In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Ed. by S. Claessens, S. Djankov, Mody A. Washington, DC, The World Bank.
- Балацкий Е. В.**, 2003. Экономический рост и технологические ловушки. *Общество и экономика*, № 11.
- Балацкий Е. В.**, 2010. Роль оптимизма в инновационном развитии экономики. *Общество и экономика*, № 1.
- Балацкий Е. В.**, 2011. Темпоральная модель межстрановой конкуренции. *Общество и экономика*, № 2.
- Балацкий Е. В.**, 2012. Институциональные и технологические ловушки. *Журнал экономической теории*, № 2.
- Барро Р. Дж.**, Сала-и-Мартин Х., 2010. *Экономический рост*. Москва, БИНОМ. Лаборатория знаний. сс. 448-449.

- Бубенко П. Т., Гусев В. А., 2016.** Продолжаем заговаривать инновационное развитие. *Экономика Украины*, № 7.
- Гец В. М., 2015.** Преодоление квазирыночности – путь к инвестиционно ориентированной модели экономического роста. *Экономика Украины*, № 6.
- Глазьев С., 2009.** Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. *Вопросы экономики*, № 3.
- Голиченко О., 2008.** Проблемы модернизации инновационной системы и инновационной политики России. *Инновации*, № 10.
- Голиченко О., 2012.** Модели развития, основанного на диффузии технологий. *Вопросы экономики*, № 4.
- Дементьев В. Е., 2006.** Ловушка технологических заимствований и условия ее преодоления в двухсекторной модели экономики. *Экономика и математические методы*, Том 42, Вып, 4.
- Кесельман Л. Е., Мацкевич М. Г., 1998.** Индивидуальный экономический оптимизм/пессимизм в трансформирующемся обществе. *Социологический журнал*, № 1-2.
- Молдован Д., 2009.** Мировой экономический кризис и позитивное мышление. *Мир перемен*, № 4.
- Недорослев С., 2015.** Ретроэкономика: каким получился бы рейтинг РБК 500 в СССР. *РБК Газета*, 28 сентября, <http://www.rbc.ru/newspaper/2015/09/28/56bc99a49a7947299f72baf0>.
- Папава В., 2001.** Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода». *Общество и экономика*, № 5.
- Папава В., 2009.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. *Вестник Института Кеннана в России*, Вып. 15.
- Папава В., 2014.** О «некроэкономическом постиндустриализме» на постсоветском пространстве (на примере Грузии и России). *Общество и экономика*, № 6.
- Папава В., 2017.** О ретроэкономике. *Вопросы экономики*, № 10.
- Портер М., 1993.** *Международная конкуренция*. Москва, Международные отношения.
- Сорокин Д. Е., 2013.** Четвертый вектор российской экономики. *Проблемы теории и практики управления*, № 11.
- Шумпетер Й., 1995.** *Капитализм, социализм и демократия*. Москва, Экономика.
- Эльянов А. Я., 2004.** Глобализация и догоняющее развитие. *Мировая экономика и международные отношения*, № 1.

თავი 18. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და  
მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია

## § 18.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარებაში

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის პრობლემა ყველაზე მწვავედ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში იკვეთება. მართალია, ტრადიციული ეკონომიკის კურსში მაკროეკონომიკური სტაბილურობის თემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მოცემულ კურსში ამ სტაბილურობის მიღწევის საერთაშორისო ინსტიტუტები და მექანიზმები, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ზედაპირულად შეიძლება იყოს ასახული.

მსოფლიოში საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის განმახორციელებელი ინსტიტუტებისა და მექანიზმების (მაგალითად, პაპავა, 2002, გვ. 64-97) ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე დაიწყო (მაგალითად, კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი, 2017, გვ. 556-557; Helleiner, 2014; Sciso, 2017; Wolff, 2018; Круглов, ред., 1998, сс. 22-25, 394-406; Кругман, Обстфельд, 1997, сс. 539-542; Смыслов, 1993, сс. 4-5; Тодаро, 1997, сс. 442-447; Энг, Лис, Мауер, 1998, сс. 35-38). კერძოდ, 1944 წლის 1-22 ივლისს ბრეტონ-ვუდსში (შტატი ნიუ-ჰემპშირი, აშშ) საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მსოფლიოს 44 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. კონფერენციამ მიიღო „დასკვნითი აქტი“, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შესახებ ე.წ. „შეთანხმების მუხლებს“ („Articles of Agreement“) მოიცავდა. ეს „მუხლები“ ასრულებს ამ ორგანიზაციების წესდებათა როლს.

1945 წლის 27 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 29 სახელმწიფომ მოახდინა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წესდებათა რატიფიკაცია, ისინი ოფიციალურად ამოქმედდა.

1946 წლის მარტში, სავანაში (აშშ), საერთაშორისო სავალუტო ფონდის სადამფუძნებლო სესიაზე, მისი საქმიანობის დამარეგულირებელი დამატებითი დადგენილებები იქნა მიღებული. 1946 წლის შემოდგომისათვის, პრაქტიკულად, დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფორმირება და მან სავალუტო ოპერაციები 1947 წლის 1 მარტიდან დაიწყო.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა თავისი საქმიანობა 1946 წლის 25 ივნისს დაიწყო. მას და მასთან შექმნილ საერთაშორისო განვითარების ასოციაციას მსოფლიო ბანკი დაერქვა. მასში ასევე შევიდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

ყოფილი საბჭოთა კავშირი ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წევრი არ იყო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიოში სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის დასამყარებლადაა მოწოდებული. ის წევრი-სახელმწიფოების მხრიდან, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით, მკაცრ საფინანსო დისციპლინასა და სტაბილური სავალუტო კურსის უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს უკანასკნელი კი ამ ქვეყნების მხრიდან ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით მიიღწევა, რომელიც ფასების დონის სტაბილურობასა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას უზრუნველყოფს.

თუკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანია, ქვეყნებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში დახმარება აღმოუჩინოს, მსოფლიო ბანკი მოწოდებულია, მის წევრ-ქვეყნებს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაში, ცალკეული დარგების განვითარებაში შეუწყოს ხელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრი-ქვეყნები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: „დონორები“, „რეციპიენტები“ და „ნეიტრალები“.

„დონორები“ თავისი შენატანებით ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროებს ქმნიან; „რეციპიენტები“ ამ ორგანიზაციებიდან რეფორმების ჩასატარებლად საფინანსო დახმარებას იღებენ; „ნეიტრალებს“ კი არ სჭირდებათ (ან უკვე აღარ სჭირდებათ) დახმარება და, შესაძლებლობათა სიმწირის თუ სხვა მიზეზთა გამო, არც თავად მონაწილეობენ ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროების შექმნაში.

„რეციპიენტი“ წევრი-ქვეყნისათვის საფინანსო მხარდაჭერის მისაღებად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამით მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას აუცილებელი. ამისათვის კი ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს იღებს, რაც ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ზრდას უზრუნველყოფს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის „რეციპიენტ“ წევრ-ქვეყანას „მწვანე შუქს“ აუნთებს, მსოფლიო ბანკი მასთან შეთანხმებული ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების პროგრამის რეალიზებისათვის ამ ქვეყნის მთავრობას ასევე შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს აძლევს. მსოფლიოში დამკვიდრებული ფინანსური წესრიგის თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დადებითი პოზიცია აუცილებელია სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდანაც ქვეყნის მთავრობისათვის საფინანსო მხარდაჭერის (მაგალითად, ევროკავშირის შეღავათიანი კრედიტები ან გრანტები) მისაღებად. ამ მიდგომას იზიარებენ „რეციპიენტი“ ქვეყნის უშუალო „დონორი“ სახელმწიფოებიც (მაგალითად, ნიდერლანდები საქართველოსათვის) (Lavigne, 1995, p. 240).

თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიიჩნევს, რომ „რეციპიენტი“ წევრ-ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა

დარღვეულია, იგი ამის გამო საფინანსო დახმარებას შეაჩერებს; ამ დროს მსოფლიო ბანკი, მასთან შეთანხმებულ პროგრამას შესრულებულადაც რომ მიიჩნევდეს, ისიც შეაჩერებს ამ ქვეყნისათვის საფინანსო დახმარებას იმ დრომდე, სანამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადანყვეტილებას არ მიიღებს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად უკვე აღდგენილია მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ამ პრინციპს იზიარებს როგორც ევროკავშირი, ასევე, უშუალოდ „დონორი“ სახელმწიფოებიც.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მსოფლიოში სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის დამყარებასა და შენარჩუნებაში განუზომლად დიდია, ამ ინსტიტუტის საქმიანობის მიმართ კრიტიკული შენიშვნები სულ უფრო ხშირად გამოითქმება.

## § 18.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკული ანალიზი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკა სულაც არ არის ახალი მოვლენა და ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ეს კრიტიკა ეკონომიკური განვითარების ზოგიერთ სახელმძღვანელოშიც კი არის ასახული (მაგალითად, Nafziger, 1997, pp. 566-574; Тодаро, 1997, сс. 431-435).

ისიც ფაქტია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ეროვნული მთავრობებისათვის მცდარი რეკომენდაციების მიცემისა და განუვლი ფინანსური დახმარებისათვის მხოლოდ ზარმაცი არ ლანძღავს (Шишков, 1999, с. 7).

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ეკონომიკის ძალზე სერიოზულ პრობლემას საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტებისადმი – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო

ფონდისადმი – ნდობის კრიზისი წარმოადგენს (Helleiner, 1990, p. 390). იმასაც აღნიშნავენ, რომ, ხსენებული საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გატარებული გლობალიზაციის პოლიტიკის შედეგად, უფრო მდიდარმა ქვეყნებმა განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების დანაკარგების ხარჯზე მნიშვნელოვანი სასიკეთო შედეგი მიიღეს, რაზეც უკანასკნელ წლებში გახშირებული საფინანსო კრიზისები მეტყველებს (Быков, 2000). აქვე გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის პროცესის ინიცირების ერთ-ერთი მექანიზმი სწორედ აღნიშნული საერთაშორისო ინსტიტუტების ქმედებაა (Кастельс, 2000, сс. 56-57). თუმცა შეუძლებელია არ დაეთანხმო იმ აზრს, რომ გლობალიზაციის ობიექტური პროცესის წინააღმდეგ ბრძოლა კონსტრუქციული პრინციპულად ვერ იქნება (Оболенский, Поспелов, 2001, с. 8)<sup>1</sup>.

კრიტიკის ცალკე საგანს „ვაშინგტონის კონსენსუსიც“ წარმოადგენს. ასე მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ახალი სავაჭრო წესრიგის ფორმირების პირობებში „ვაშინგტონის კონსენსუსის“, ანუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონცეპტუალურ მიდგომათა როლი თანდათან მცირდება (Watchel, 2000). „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას ისიც ამძაფრებს, რომ ამ დოქტრინის ფორმალური გადმოცემის ნიმუშიც კი არ არსებობს (Потель, 2001, с. 82).

თანამედროვეობის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, ჯოზეფ სტიგლიცი, ჯერ კიდევ მსოფლიო ბანკის უფროსი ვიცე-პრეზიდენტისა და მთავარი ეკონომისტის თანამდებობაზე ყოფნისას, წერდა, რომ ბრეტონ-ვუდის ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის) ორმოცდაათი წლის იუბილეზე სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოსაზრება, რომ, „ორმოცდაათი წელი საკმარისია“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული ჯგუფების შეფასებით, ამ ინსტიტუტების მიერ უფრო მეტი საზიანო

<sup>1</sup> იხ. ასევე (ასათიანი, 2010; მექვაბიშვილი, 2009).

საქმე გაკეთდა, ვიდრე კარგი (Stiglitz, 1999a, p. F577). საყურადღებოა, რომ ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად იმეორებენ იმ შეცდომებს, რაც ადრე აქვთ დაშვებული (Eichengreen, 2010).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკითხი ჯერ კიდევ გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე უკვე იდგა დღის წესრიგში (მაგალითად, Truman, ed., 2006). ბუნებრივია, კრიზისის პირობებში ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა (მაგალითად, Lombardi, 2009; Phillips, 2009; Stiglitz, et al., 2010, pp. 121-156).

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის შესახებ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებში, ეს უკანასკნელი, პირობითად, ოთხ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. პირველი ჯგუფი რადიკალური და არაკონსტრუქციული კრიტიკით ხასიათდება, როცა ობიექტური განსჯის ნაცვლად, ფონდის მისამართით აშკარად შეურაცხმყოფელი შეფასებები გამოითქმება;
2. მეორე ჯგუფი თავისუფალი მეცნიერების და დამოუკიდებელი ექსპერტების შეხედულებებს აერთიანებს, სადაც კრიტიკა ეკონომიკური თეორიის პრინციპებისა და პრაქტიკული გამოცდილების განზოგადებას ემყარება;
3. მესამე ჯგუფში „დონორ“ სახელმწიფოთა, მათი გაერთიანებების ან ცალკეულ მთავრობათა და მათი წევრების კონსტრუქციული და პრაქტიკულად რეალიზებადი წინადადებები შედის, რომელთა მიზანია მსოფლიო საფინანსო სისტემის შემდგომი სრულყოფა;
4. მეოთხე ჯგუფი კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ თვით ფონდის, აგრეთვე, მსოფლიო ბანკის წამყვანი ექსპერტების შეხედულებებს მოიცავს.

როგორც აღინიშნა, კრიტიკულ მიდგომათა პირველ ჯგუფში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მიმართ, არცთუ იშვიათად, აგრესიულად უარყოფითი დამოკიდებულება გამოითქმება. მაგალითად, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებთან მიმართებაში შექმნილია ე.წ. „დამოკიდებულების თეორია“, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა განიხილება, როგორც ღარიბი ქვეყნებისთვის „იმპერიალისტური საფინანსო დისციპლინის“ თავსმოხვევის, როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი, რომელიც „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში სიღარიბისა და მონობის, „საერთაშორისო ფეოდალური დამოკიდებულების“ შენარჩუნებისთვისაა გამიზნული (მაგალითად, Тодаро, 1997, с. 432). ამ თეორიის სულისკვეთებითაა გაჟღერებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკამ მისი მიმდევარი ქვეყნების მარგინალიზაცია მოახდინა (ანუ ისინი მსოფლიოს ეკონომიკის „გზისპირზე“ დარჩნენ) და რომ ეს ქვეყნები ფონდიდან მისაღები საფინანსო მხარდაჭერის სახით „წამალზე არიან დასმულნი“ (Симония, 1999, с. 16). აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ, მისი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საქმიანობის კრიტიკის მიზნით, პრაქტიკულად, იგივე ფრაზეოლოგია გამოიყენება აშკარად უარყოფითი განწყობის მქონე ექსპერტების მხრიდანაც. ასეთი „ნათლობის“ ნიმუშებია: „საფინანსო კოლონიალიზმი“, „საფინანსო იმპერიალიზმი“ (Жириновский, Юровицкий, 1998, с. 30), „კოლონიზაცია და გენოციდი“ (ხარჩილავა, რედ., 1998, გვ. 13), „ნეოკოლონიალიზმი“ (თოფაძე, 2003; Симония, 1999, с. 15), „სპეკულაციური საფინანსო ბუშტი“ (Ларуш, 1995а, с. 3), „საფინანსო მაფია“ (Ларуш, 1995б, с. 3), „საინფორმაციო-ფსიქოლოგიური შეტევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდასაჭერად“ (Лисичкин, Шелепин, 2001, с. 206) და სხვ. ცალკე უნდა გამოიყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების თეორიული საფუძვლებისა და ფონდში მომუშავე სპეციალისტების მიმართ გამოთქმული დამცინავი შეფასებებიც, მაგალითად, ისეთი, რო-

გორიცაა „კარიკატურული მონეტარიზმი“ (Ольсевич, 1997, с. 37) და „ფლებოები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან“ (Ольсевич, 2000, с. 79).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკოსებს შორის არაერთი რუსი ექსპერტის მიერ გამოთქმული განსაკუთრებული შეურაცხმყოფელი ტონის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რუსეთში წარმოების დაცემა, ეკონომიკური კავშირების დეზორგანიზაცია და მონეტარული სისტემის მოშლა სწორედ ფონდს დაჰბრალდა (Потемкин, 2000, сс. 39-50).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ისეთი შეხედულებებიც გამოითქმებოდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრიზისში (Сорос, 1999, с. 163), ნგრევის სისტემურ კრიზისში იმყოფება (Ларуш, 1996, с. 3), რომ მისი პროგრამები ველარ მუშაობს, ხოლო თავად ფონდს საშუალებები აღარ აქვს (Сорос, 1999, с. 187), რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი განწირულია დასალუპად და, თანაც, ახლო მომავალში (Ларуш, 1996, с. 4), და ეს მოხდება ან ორგანიზებული წესით, როცა მთავრობები მიიღებენ გადაწყვეტილებას, შეცვალონ საერთაშორისო საბანკო და საფინანსო სისტემა, ან ჯაჭვური რეაქციის გზით გამოწვეული შიგნით მიმართული თერმოზირთვული აფეთქების მსგავსად (Ларуш, 1995a, с. 3).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების თეორიული საფუძვლების ყველაზე უფრო გამორჩეული კრიტიკოსები მარქსისტები, ნაციონალისტები და სოციალ-დემოკრატები არიან (მაგალითად, Kuttner, 1991, p. 255).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მარქსისტული კრიტიკის თვალსაჩინო მაგალითს ამერიკელი მარქსისტი ეკონომისტის ვიქტორ პერლოს მიდგომა წარმოადგენს, რომელიც, ეყრდნობა რა ლენინის ნაშრომს, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, ასკვნის, რომ ფონდი

შეიძლება განიხილოს, როგორც სუპერკარტელი, რომელიც სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოქმედების მექანიზმია (Perlo, 1975, cc. 229-232).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის შესახებ მეცნიერ-ეკონომისტების და დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან ზომიერი კრიტიკული შეფასებები გამოითქმება, რომლებიც თავისი ბუნებით, როგორც წესი, კონსტრუქციულ ხასიათს ატარებს. ამის საუკეთესო მაგალითებია იმ ტიპის გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლისა და მოქმედების პრინციპების ცვლილებს მსოფლიოში განვითარებული ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების, კერძოდ, კრიზისის თავიდან აცილებისა და თავად კრიზისის მართვის პრობლემის გათვალისწინებით (მაგალითად, Eichengreen, 2000; Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999; Kissinger, 2002, pp. 218-227; Stiglitz, 2002; Truman, ed., 2006).

მეცნიერთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საფინანსო პოლიტიკის მოძველებულ, ორთოდოქსულ ღონისძიებებს იყენებს (მაგალითად, Тодаро, 1997, cc. 432-433). აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ ვრცელი კრიტიკული ხასიათის ლიტერატურა არსებობს, რის საპირისპიროდ საყურადღებოა თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ დანერგილი არაერთი გამოკვლევა, რომელშიც დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამები „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში (Kuttner, 1991, p. 254). კრიტიკის მთავარი არგუმენტი კი ის არის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში გატარებული პროგრამების არსებით ნაკლად მიჩნეულია საგადასახდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად, ექსპორტის სტიმულირებისათვის ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამოყენება: მართალია, ამ ღონისძიებას ექსპორტი უნდა გაეიაფებინა, მაგრამ ამ ქვეყნების ეკონომიკის სუსტი განვითარების გამო ძირითადი საექსპორტო

პროდუქცია (მაგალითად, ყავა) არაელასტიკურია, რამაც ექსპორტიდან შემოსავალი, პრაქტიკულად, არ გაზარდა, იმპორტი (კონკრეტულად, ტექნოლოგიების იმპორტი) კი გააძვირა, რამაც, თავის მხრივ, შეაფერხა ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარება (Kuttner, 1991, pp. 254-255). ამ ჩავარდნის გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდს დეველვაციაზე დაფუძნებული პროგრამის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე ორიენტირებული პროგრამით ჩანაცვლება მოუხდა (Frankel, 1996, p. 44).

არცთუ იშვიათად, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით აფასებენ. ასე მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამსახურებად ფინანსური კრიზისების დაძლევას მიიჩნევს, მაშინ, როცა არაერთი ცნობილი ეკონომისტი თუ პოლიტიკოსი ფონდს სწორედ ამ კრიზისების გამწვავებაში ადანაშაულებს (АНИКИН, 2000, с. 240).

ეკონომიკაში ნობელის პრემიის 1999 წლის ლაურეატს, ევროს ერთ-ერთ „მამას“, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს რობერტ მანდელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაეფექტიანი რჩევის მაგალითად არგენტინის სავალუტო კრიზისის შემთხვევა მოჰყავს, როცა, ფონდის ძალდატანებით, დამატებული ღირებულების გადასახადის 18-პროცენტიანი განაკვეთი გაიზარდა და 21 პროცენტი გახდა, რამაც, საბოლოო ჯამში, „ჩრდილვანი ეკონომიკის“ მასშტაბების გაფართოებას შეუწყო ხელი (Zak, ed., 1999, p. 109).

მეტად მნიშვნელოვანი და სამართლიანი შენიშვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ფონდის რესურსების ძირითადი დანიშნულება ფინანსური კრიზისების თავიდან აცილებაა, სინამდვილეში, ის (ფონდი) ქვეყნებს ამ კრიზისების დაწყების შემდეგ ეხმარება (Boughton, 2000).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკა მოძველებული სქემების გამოყენებისათვის, როგორც აღინიშნა, საკმაოდ გავრცელებულია. ასე მაგალითად, მიიჩნევა, რომ XX საუკუნის

ბოლოს აზიაში გაჩაღებული და მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ფინანსური კრიზისის დასაძლევად საერთაშორისო სავალუტო ფონდი შესაბამისი ქვეყნების მთავრობებს გადამრჩენი ოპერაციების მოძველებულ სქემებს სთავაზობდა (Монтес, Попов, 1999, с. 126). მსოფლიოში ცნობილი ფინანსისტის ჯორჯ სოროსის შეფასებით, მსოფლიო ფინანსური კრიზისის აზიური ტალღის ჩასაქრობად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოუმზადებელი აღმოჩნდა, რადგან ამ შემთხვევაში ისეთ ფენომენტთან მოუწია დაპირისპირება, რომლის გამოცდილებაც მას არ გააჩნდა; კრიზისი ჩაისახა კერძო სექტორში, როცა სახელმწიფო სექტორი შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო, ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრადიციულმა მიდგომამ ვალუტის სტაბილურობის მისაღწევად საპროცენტო განაკვეთების აწვეითა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით არ გაამართლა (Сорос, 1999, сс. 160-163, 193-200). ეს მოსაზრება არაერთმა ეკონომისტმა გაიზიარა (მაგალითად, Зевин, 2002, с. 43). აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მკვლევართა აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაადეკვატური რეკომენდაციების გამო, მოცემული რეგიონის ქვეყნებში ჩამოყალიბებული ფინანსური კრიზისი სრულმასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა (მაგალითად, Трушин, 2001, с. 72). ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში პოლ კრუგმანი მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან იყო ნაკარნახევი<sup>1</sup> და, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობაში ბევრი უმაღლესი დონის ეკონომისტია, ისინი ხსენებული ქვეყნებისთვის მიცემულ რჩევებს არასოდეს გამოიყენებდნენ საკუთარ ქვეყნებთან, სამშობლოსთან მიმართებაში (Krugman, 1999, pp. 103-104). საბჭოთა კავშირიდან აშშ-ში ემიგრირებული ცნობილი რუსი ეკონომისტი იგორ ბირმანი კი აღნიშნავს, რომ, საზოგადოდ, ეკონომისტები

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ასეთი ნაკარნახევი ეკონომიკური პროგრამები, როგორც წესი, მხოლოდ ღარიბი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი (Kuttner, 1991, p.255).

დასავლეთიდან იმიტომ წამოვიდნენ რჩევების მისაცემად, რომ მათ საკუთარ სამშობლოში დიდად არც კი უგდებენ ყურს (Бирман, 1996, с. 522).

ჯოზეფ სტიგლიცი აფიქსირებს, რომ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს უფრო მეტი ფინანსური მხარდაჭერა ესაჭიროება, ვიდრე ამის შესაძლებლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია (Stiglitz, 1999a, p. F594).

სწირად დისკუსიის საგანი ხდება საკითხი იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უნდა დაეხმაროს თუ არა კრიზისში მყოფ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მის რეკომენდაციებს არ იზიარებდნენ და სწორედ ამიტომაც აღმოჩნდნენ კრიზისულ მდგომარეობაში. რადგანაც არდახმარების (როგორც ურჩი ქვეყნის დამსჯელი ღონისძიების) შემთხვევაში კრიზისის სხვა ქვეყნებზე გავრცელების საფრთხე იზრდება, ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვლილი, რომ ფონდმა მოცემული ქვეყნის მთავრობასთან ერთად შეიმუშაოს კრიზისიდან გამოსვლის პროგრამა და მხოლოდ მისი შესრულების კვალობაზე გაენიოს ამ ქვეყანას სავალუტო ფონდიდან დახმარება (Eichengreen, 2000).

პოლ კრუგმანის შეფასებით, 1995 წელს მექსიკაში განვითარებულ კრიზისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან საფინანსო მხარდაჭერამ დაიგვიანა (რადგანაც გაჭიანურდა საჭირო თანხის მობილიზება), ხოლო შესაბამისი ანტიკრიზისული პროგრამა ზედაპირული იყო და კრიზისის ბუნებას არ ითვალისწინებდა (Krugman, 1999, p. 59); აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ გამოყოფილი თანხები აშკარად არასაკმარისი იყო (Мартин, Шуман, 2001, сс. 68-74).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან დაგვიანებულ მოქმედებაზე, მის მოუქნელობაზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აზიაში დაწყებული ფინანსური კრიზისის დასაძლევად საერთაშორისო სავალუტო ფონდს სწრაფი რეაგირების პროცედურები არ აღმოაჩნდა, რომ მას მის მიმართ არ-

სებული დავალიანების რესტრუქტურისა და პროცედურები არ გააჩნდა, რის გამოც ახალი კრედიტების გამოყოფა და კრიზისის შემსუბუქება შეუძლებელი გახდა (Монтес, Попов, 1999, с. 111). ამას ისიც ემატება, რომ, მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების აშკარა კორუმპირებულობისა (Монтес, Попов, 1999, с. 64), საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, აშშ-ის ადმინისტრაციის ზეწოლით, რუსეთს 1998 წლის შემოდგომაზე ვალუტის დევალვაციის შესაჩერებლად ოპერატიულად გამოუყო კრედიტი, მაშინ, როცა ოპერატიული მოქმედება სწორედ ინდონეზიასთან მიმართებაში იყო საჭირო, რაც ფონდს არ განუხორციელებია (Монтес, Попов, 1999, с. 108).

განსხვავებულია შეხედულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის შესახებაც. მაგალითად, პოლ კრუგმანი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა მწვავე კრიტიკას იმსახურებს კონსერვატორების მხრიდან, რომლებიც უარყოფითად აფასებენ ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის იდეას და, კონკრეტულად, ფონდს განიხილავენ, როგორც მსოფლიო მთავრობის სანყის ფორმას, რომელიც მსოფლიო ბაზარში ერევა (Krugman, 1999, p. 56).

არაერთი ექსპერტი დაუფარავად მიუთითებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (ისევე, როგორც მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის) უკან – აშშ (Kuttner, 1991, p.14-15, 259; Шишков, 1999, с. 7), ხოლო უფრო ზუსტად, აშშ-ის ხაზინა დგას (Krugman, 1999, p. 59, 103; Kuttner, 1991, p. 40; Сегвари, 1999, с. 50) და, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ეკონომიკა „თავისუფალი ბაზრის“ – „Laissez-faire“-ის – პრინციპებზეა აგებული, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გატარებული პოლიტიკა გლობალურ მასშტაბში ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება (Kuttner, 1991, pp. 258-259).

არცთუ იშვიათად გამოითქმება ისეთი მოსაზრებაც, რომ ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები მათი ფუნქციონირების ჩანაფიქრის მიხედვით არ ფუნქციონირებენ (Mikesell, 2000), რაც უშუა-

ლოდ ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზეც კი დაფიქსირდა, როცა პროფესორ ჯონ მენარდ კეინზს დიდი მონივნებით მოუსმინეს, მაგრამ კონფერენციამ არა მის იდეებს, არმედ ამერიკულ პროექტს დაუჭირა მხარი (Аникин, 2000, с. 246). საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტიპის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორის, ჯონ მენარდ კეინზის იდეებისაგან განსხვავებით, ფონდი სულ სხვა მიმართულებით განვითარდა (Kuttner, 1991, p. 60); კერძოდ, კეინზის შეხედულებით, უნდა დაფუძნებულიყო ზეეროვნული ინსტიტუტი მსოფლიოს ცენტრალური ბანკის სახით, რომელიც, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სავალუტო რეზერვს შექმნიდა, რაც, თავის მხრივ, ცალკეული სახელმწიფოს ოფიციალური სავალუტო რეზერვის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა და რომლითაც ამ სახელმწიფოებს შეეძლებოდათ ესარგებლათ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ ტიპის ინსტიტუტის სუსტი განსახიერებაა და ის უფრო „სავალო ციხეა“ და აუცილებელია მისი საწყისი, კეინზის მიერ ჩაფიქრებული, სახით აღდგენა (მაგალითად, Kuttner, 1991, p. 260).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკანასკნელი ინსტანციის საერთაშორისო კრედიტორის ფუნქციას ვერ ასრულებს (Монтес, Попов, 1999, с. 111). აქედან გამომდინარე, სულაც არ არის საღ აზრს მოკლებული წინადადება, რომლის თანახმადაც, სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლო საბანკო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, გაიზარდოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, როგორც შესაბამისი ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე მონიტორინგისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, აღმკვეთი ღონისძიებების გამტარებელი ინსტიტუტის როლი (Goldstein, 1998, p.244). ეს მიდგომა სრულ შესაბამისობაშია დიდი შვიდეულის ჯგუფის (G-7) პოზიციასთან, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, თანაც აუცილებლად მსოფლიო ბანკთან ერთად, უნდა გააძლიეროს ტრადიციული მაკროეკონომიკური მრჩე-

ვლისა და საგადასახდლო ბალანსის ფინანსური მხარდამჭერის როლი და, ამასთანავე, საქმიანობის კონცენტრაცია საბანკო სფეროზე, საბანკო რეგულირების საკითხებზე უნდა მიმართოს (Lissakers, 1998, p. 28).

როგორც გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე, ისე მისი მსვლელობისას, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკითხი საკმაოდ აქტუალურია (მაგალითად, El-Erian, 2019; Rogoff, 2019).

არცთუ ძნელი შესამჩნევია ის გარემოება, რომ კრიზისებს შორის პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის არსებობა ბევრს შეიძლება არც კი ახსოვდეს, მაგრამ საკმარისია, ამა თუ იმ ქვეყანაში ან რეგიონში (რომ არაფერი ვთქვათ გლობალურ მასშტაბზე) დაიწყოს კრიზისი, სავალუტო ფონდი, მისი საქმიანობის პროგრამები და მექანიზმები იმწამსვე ხდება კრიტიკის საგანი (Lombardi, 2009, p. 38).

XXI საუკუნის პირველი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე კიდევ უფრო აშკარა გახდა იმის აუცილებლობა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მანდატი გაფართოვდეს და გაიზარდოს განვითარებადი ქვეყნების ჩართულობის დონე ფონდში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში (Lombardi, 2009, p. 39).

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საჭიროებს არა მარტო მმართველობაში ცვლილებების გატარებას, არამედ მის მიერ გატარებული პოლიტიკის გადასინჯვასაც (Stiglitz, et al., 2010, p. 121).

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის არსებობის პერიოდში მის წევრ-სახელმწიფოთა რიცხვი ოთხჯერ და მეტად გაიზარდა, რამაც ბიუროკრატიული ხარჯები გაზარდა, ნოვატორობა კი შეზღუდა, მაშინ, როცა ამ ქვეყნებში წარმოქმნილ ძალზე სერიოზულ პრობლემათა არეალი, რომელთა გადაწყვეტაც ფონდის მხრიდან აქტიურ ჩარევას საჭიროებს, ძალზე გაფართოვდა (Welfens, 1999, p. 120).

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევს, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში განვითარებული კრიზისის ფონზე, არაერთი საყურადღებო წინადადება გამოითქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით.

იაპონიის ფინანსთა მინისტრმა 1999 წლის მარტში ჩამოაყალიბა პოზიცია, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ჯერ ერთი, აღმასრულებელ დირექტორთა სხდომაზე გადამრჩენი პროგრამის განხილვაში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ოფიციალურ პირთა მოწვევის პრაქტიკა უნდა შემოიღოს და მეორე, დირექტორთა საბჭოს ფარგლებში შექმნას პროგრამული კომიტეტები, სადაც წინასწარ განიხილება სამომავლო პროგრამები და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ფონდის მისიათა მოლაპარაკება ფინანსური დახმარების მიმღები ქვეყნის წარმომადგენლებთან (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 95-96).

პოსტკომუნისტური რეფორმების ცნობილი ექსპერტი ჯეფრი საქსი მიიჩნევს, რომ, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ჯერ ერთი, აუცილებელია აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს ღია სხდომების ჩატარება, მეორე – სპეციალისტთა ცალკეულ ჯგუფებს იმის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ თავიანთი მტკიცებანი კონკრეტული პრობლემის შესახებ აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წარუდგინოს, მესამე, აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო წახალისდეს, თუკი იგი ინიციატივას გამოიჩინს და პროფესიულ შეხედულებებს არამარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლებისგან მოითხოვს (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 97-98).

საფრანგეთის მთავრობის მიერ მომზადებული წინადადებების თანახმად, გადაწყვეტილების მიღებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუალედური კომიტეტის (Interim Committee) ძალაუფლება უნდა გაზრდილიყო; კერძოდ, შუალედური კომიტეტი, რომელიც ფონდის 24 მმართველს (როგორც წესი, ფინანსთა მინისტრებს იმ 24 ქვეყნიდან, რომლებიც ქმნიან ფონდის აღმას-

რულებელ დირექტორთა საბჭოს) აერთიანებს და ფონდისათვის რჩევების მისაცემად წელიწადში ორჯერ იკრიბება, საფრანგეთის მთავრობის წინადადებით, უფრო ხშირად უნდა შეკრებილიყო და მისი გადანყვეტილება ფონდისთვის სავალდებულო უნდა გამხდარიყო (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 99-100). საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირებისათვის სამ – მაკროეკონომიკურ, საშინაო და საგარეო მიდგომას აყალიბებდა; პირველის თანახმად, მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ფონდის მანდატი უნდა შეზღუდულიყო; მეორის მიხედვით, არ შეიძლებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფუნქცია იმ პრინციპებამდე დაყვანილიყო, რომლებითაც ქვეყნების ცენტრალური ბანკები ხელმძღვანელობენ; ხოლო მესამე კი ფონდის მიერ პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლის გაზრდას გულისხმობდა, რისთვისაც შუალედური კომიტეტი მრჩეველი ორგანოს სტრუქტურული ერთეულიდან პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიმღებ რგოლად უნდა გარდაქმნილიყო (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 111-112).

დიდი ბრიტანეთის წინადადება, რომელიც 1999 წლის აპრილში ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე დრეზდენში იქნა დაყენებული, ისეთი ზეკომიტეტის შექმნას გულისხმობდა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუალედურ კომიტეტს, მსოფლიო ბანკის განვითარების კომიტეტსა და ახლად შექმნილ საფინანსო სტაბილურობის ფორუმს (Financial Stability Forum) გაუზიარებდა ზედამხედველობას; ამ ზეკომიტეტს ფინანსთა მინისტრების დონეზე უნდა ემუშავა და მასში როგორც დიდი შვიდეულის ჯგუფის, ასევე, განვითარებადი ბაზრების (ემერგინგ მარკეტს) ქვეყნები უნდა შესულიყვნენ, და რომელსაც მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესში მყოფი ბაზრების პირობებში ურთიერთდაკავშირებული ფინანსური პრობლემების გადაჭრისათვის უნდა შეეწყო ხელი (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 100-101).

იტალიის ფინანსთა მინისტრმა კი, როგორც ფონდის შუალედური კომიტეტის პრეზიდენტმა, წინადადება წამოაყენა იმის შესახებ, რომ კომიტეტის სხდომების წინ უნდა ჩატარებულიყო მოსამზადებელი შეხვედრები ალტერნატიული მმართველების დონეზე; ეს დიდი შვიდეულის ჯგუფის და ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრების პროცედურის დუბლირება იქნებოდა, რასაც, საბოლოო ჯამში, ფართო დისკუსიისათვის, უფრო შედეგიანი მოლაპარაკებების გამართვისათვის უნდა შეეწყო ხელი, ვიდრე ეს ფინანსთა მინისტრების დონეზე ხდებოდა (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 102).

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობისა თუ მათი წარმომადგენლების მიერ აქ მოყვანილი წინადადებები პრინციპულ ხასიათს არ ატარებდა და უფრო ფონდის ხელმძღვანელობის ორგანიზაციული მოწყობის სრულყოფის დეტალებს ეხებოდა. ასეთი მიდგომისაგან დიამეტრალურად განსხვავდებოდა იაპონიის მთავრობის წინადადება, რომელიც აზიის კრიზისის აფეთქებისთანავე იქნა წამოყენებული და რომლის არსი რეგიონული სავალუტო ფონდების, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონკურენტი ინსტიტუტების შექმნაში მდგომარეობდა (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 102-104). ამ იდეამ გარკვეული მხარდაჭერა სამეცნიერო წრეებშიც პოვა (მაგალითად, Ito, Ogawa, Sasaki, 1999, Ch.3). ჩვენი აზრით, იაპონიის მთავრობის ეს წინადადება უნდა ყოფილიყო რეალური გზა საერთაშორისო სავალუტო ფონდის იმ მონოპოლიზმის რღვევისათვის, რაც მას იდეების, ფინანსური მხარდაჭერისა და შესაბამისი რეციპიენტი ქვეყნების მხრიდან ამ მხარდაჭერის მისაღებად შესასრულებელ პირობათა „ბაზარზე“ აქვს, სადაც დღეს, კონკურენციის, ალტერნატივის არარსებობის გამო, შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ მაღალია. თუმცა ამ წინადადებას აქვს ერთი სერიოზული ნაკლი; კერძოდ, მისი რეალიზაციის პირობებში აუცილებლად გასააზრებელი

იქნებოდა მსოფლიო მასშტაბში საფინანსო კოორდინაციისა და რეგიონულ ფონდებში საფინანსო რესურსების მობილიზაციის პრობლემა. ამ მიზნით კი შესაძლოა კვლავ ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტიპის, თუმცა სხვა სახელწოდების ინსტიტუტი, რაც არსებული სინამდვილის გაუარესებად უნდა ყოფილიყო შეფასებული, რადგან ასეთი ინსტიტუტი ისედაც არსებობს შუალედური რეგიონული ფონდების გარეშე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკმაოდ რადიკალური წინადადებებიც არსებობდა, რომლის თანახმადაც, ფონდის ნაცვლად სამი სპეციალიზებული სააგენტო უნდა შექმნილიყო (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 98-99):

1. გლობალური საინფორმაციო სააგენტო (Global Information Agency), რომლის საქმიანობა ქვეყნების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და გავრცელებაზე უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული; მას უნდა გამოექვეყნებინა შესაბამისი საფინანსო რეიტინგები და ცალკეული ქვეყნის მხრიდან ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებლობის შემთხვევაში მისთვის „ნითელი შუქი უნდა აენთო“, რაც ამ ქვეყნით დაინტერესებული ყველა აგენტისათვის საგანგაშო ინფორმაცია იქნებოდა;
2. გაუთვალისწინებელ გარემოებათა გლობალურ ფინანსურ საშუალებათა სააგენტო (Contingent Global Financial Facility), რომელსაც გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო შექმნილი პრობლემების გადასაწყვეტად შეეძლებოდა კრედიტები გაეცა იმ ქვეყნებზე, რომლებიც გლობალური საინფორმაციო სააგენტოს სტანდარტებს პასუხობენ;
3. გლობალური რესტრუქტურის სააგენტო (Global Restructuring Agency), რომელსაც შეეძლებოდა, ჯერ ერთი, ნებისმიერი აგენტის დავალდებულება, რომ მან ყოველგვარი თანხის გადახდა შეუჩეროს იმ ქვეყანას, რომელიც არ ახორციელებს ეკონომიკის რესტრუქტურისა და, მეორე – ოფიციალური ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს იმ ქვეყანას, რომელიც ამას რეალურად აკეთებს და, იმავდროულად, კრედი-

ტორებთან მოლაპარაკებას წარმატებით ართმევს თავს და მათგან ნდობასაც იმსახურებს.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ასეთი მოსაზრებაც გამოითქმებოდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უშუალოდ განვითარებადი ბაზრებითა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებით უნდა ყოფილიყო დაკავებული, რისთვისაც ამ უკანასკნელთ ფონდში შენატანები უნდა გაეზარდათ, რაც ფონდში გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო მათი ხმების რაოდენობის ზრდას უზრუნველყოფდა; ამავ დროს, ფონდს განვითარებად ქვეყნებზე განვითარებული ქვეყნების სტანდარტები არ უნდა გაეგრცვლებინა, რისთვისაც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის ორმაგი სტანდარტების სისტემა უნდა შექმნილიყო (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 112-113). ამ წინადადების სუსტი მხარე XXI საუკუნეში განვითარებული გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოჩნდა, რადგან ეს კრიზისი არა რომელიმე განვითარებად ქვეყანაში, არამედ აშშ-ში ჩაისახა და გლობალური ხასიათი სწორედ ამიტომაც მიიღო.

მართალია, საერთაშორისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც გაეროს სტრუქტურებია, მაგრამ ამ უკანასკნელის ექსპერტთა შეფასებები ყოველთვის არ არის დადებითი. მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მხარდაჭერილი „სტრუქტურული გარდაქმნის პოლიტიკის“ (“Structural Adjustment Policies“) რეალიზაციის შედეგების განზოგადების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ პოლიტიკას ეკოლოგიურ დეგრადაციამდე მიყვავართ და, საბოლოო ჯამში, ადამიანისეული განვითარება თავისუფალ ბაზარსა და გლობალიზაციას ეწირება (Cheru, 1999, p. 13). ეს აზრი ნაწილობრივ გაზიარებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტის მიერაც (თუმცა ის ხაზს უსვამს, რომ ეს მისი პირადი აზრია და არა ფონდის), როცა აღნიშნავს, რომ „სტრუქტურული გარდაქმ-

ნის პროგრამის“ ზოგიერთი ღონისძიება ღარიბთა მდგომარეობას აუარესებს (Stuart, 1992, p. 121). ამ გამონათქვამს სრულად ეხმიანება სხვა შეფასებაც, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ღარიბ ქვეყნებზე განეული დახმარების შედეგად ამ ქვეყნებში პროგრესის რაიმე ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნევა (Mikesell, 2000).

ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესება წარმოების დაცემით, მოთხოვნის შეკვეცითაა განპირობებული, რაც, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული „სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამათა“ შედეგად აღიქმება<sup>1</sup>, თუმცა ძნელია, არ დაეთანხმო ფონდის იმ მოსაზრებასაც, რომ ეს პრობლემა, სინამდვილეში, იმ სტრუქტურული „სიმახინჯეებით“ არის გამოწვეული, რომლებიც ეკონომიკის კომუნისტური ტიპის მონყობით იყო დამკვიდრებული (Allen, 1992, pp. 29-37), რის გამოც ეკონომიკური ვარდნა თვით ძველმა სისტემამ განაპირობა და, ამდენად, პრაქტიკულად – გარდუვალიც იყო (Easterly, Fischer, 1994).

არაერთი გამოკვლევის თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებს მოსახლეობაზე ფულადი შემოსავლების განაწილების ანალიზი აკლია და რეფორმების თანამიმდევრობის საკითხის შეუსწავლელობა ახასიათებს, რის გამოც აქცენტი ნაადრევ საფინანსო ლიბერალიზაციაზეა გაკეთებული, შედეგად კი, გარდუვალი სირთულეებია სახეზე, როცა პროგრამათა დასასრულს, ფინანსური დახმარების შემცირების კვალობაზე, პოსტსტაბილიზაციური ზრდის შემცირების თავიდან აცილება შეუძლებელია (Collier, Gunning, 1999).

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, როგორც წესი, ურთიერთშეთანხმებულად

<sup>1</sup> მაგალითად, ჟურნალისტები, სოციალური დანიშნულებით გასანევი ხარჯების რადიკალური შემცირების მოთხოვნის გამო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამებს დრაკონულს უწოდებენ (Мартин, Шуман, 2001, с. 68).

მოქმედებენ, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში მათ შორის დაპირისპირებამაც იჩინა თავი. კერძოდ, განსაკუთრებით საზგასამელია მსოფლიო ბანკის ყოფილი უფროსი ვიცე-პრეზიდენტის და მთავარი ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის გამოსვლა „ვამინგტონის კონსენსუსის“ კრიტიკით (Стиглиц 1998). კრიტიკის მთავარ ობიექტს ინსტიტუციური რეფორმის მიმართ ფონდის დაჩქარებული და, ამდენად, არასწორი, გაუბრალოებული მიდგომა წარმოადგენდა, რაც, მისი აზრით, საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებით განხორციელების ხელშემშლელი იყო (Stiglitz, 1999b; Стиглиц, 1999).

აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ინსტიტუტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ზეგავლენით, დასავლეთის ანალოგების შეგნებული იმიტაციით იქმნებოდა (Шаванс, Маньян, 1999, с. 43). მიუხედავად იმისა, რომ ისტორიისათვის ცნობილია მაგალითები, როდესაც „ინსტიტუციების იმპორტს“ არაერთი დინამიკურად განვითარებადი საზოგადოება მიმართავდა (Капелюшников, 2001, сс. 143-144), პოლიტიკური ინსტიტუცია, როგორც წესი, „მკვდარ ხელნაწერად“ გადაქცევისთვისაა განწირული, როცა ის სხვა ქვეყნების მოდელების მარტივი კოპირების გზით იქმნება (Голдстоун, 2001, с. 123). უფრო რადიკალური შეფასებით, „არ არსებობს „მოდელი“, რომელიც იმპორტირებული უნდა იქნეს“ (Потель, 2001, с. 85). აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ „უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილი ნორმების ტრანსპლანტაცია“ (იაკობიძე, 1999, გვ. 31) სიკეთის მომტანი ვერ იქნება<sup>1</sup>.

ჯოზეფ სტიგლიცი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუშაობის სტილსაც აკრიტიკებდა, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასული მისი ექსპერტები რაღაც ორიოდე კვირის განმავლობაში განიხილავენ და აზუსტებენ ეკონომიკური მდგომარეობის ამსა-

<sup>1</sup> მსოფლიოში სახელმწიფოებრივი პერუელი პროფესორი ერნანდო დე სოტო ამ ფენომენს „სამართლებრივი უსუსურობის გამოცანას“ უწოდებს და მას კვლევის სპეციალურ ობიექტად მიიჩნევს (Сото, 2001, сс. 155-208).

ხველ მონაცემებს და, მათ საფუძველზე, რეფორმების პოლიტიკისათვის მაკროეკონომიკურ რეკომენდაციებს იძლევიან; მისი აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება არა მხოლოდ ტექნიკური ექსპერტების მიერ უნდა ხდებოდეს (სტიგლიც, 1998 წ. 9). საყურადღებოა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, დიდძალი ფული იხარჯება ამ ექსპერტების ხელფასებსა და ჰონორარებზე, მათ მთელ მსოფლიოში შეხვედრებსა და სემინარებზე დასასწრებად და, ჩრდილოეთის მოდელზე დაყრდნობით რჩევების მიცემის მიზნით, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობასთან შესახვედრად; შედეგად კი სახეზეა უცნაური სიტუაცია, როცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკისა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის) თანამშრომლები, მთლიანობაში, დაფინანსების ნაკლებობის პირობებში ღარიბთა დახმარებაში მაღალ ანაზღაურებას იღებენ (შნაიდერი, 1999, გვ. 6, 14).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯოზეფ სტიგლიცის აზრი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისი პირადი იყო და მსოფლიო ბანკის პოზიციას ყოველთვის არ ასახავდა. სავარაუდოა, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო მოუწია თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ეკონომისტს, ჯოზეფ სტიგლიცს, მსოფლიო ბანკის დატოვება.

ობიექტურობისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდიც ცდილობს, თვითკრიტიკულად შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და, ამის საფუძველზე, განვითარების ახალი ორიენტირები ჩამოაყალიბოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი განმკარგულებელი დირექტორის მიშელ კამდესიუსის პოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ თანამდებობაზე ყოფნისას მიიჩნევდა, რომ ევოლუციის თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია, ფონდი სამკურნალო მედიცინიდან პროფილაქტიკურ, პრევენტიულ მედიცინაზე გადავიდეს, რის საფუძველზეც ახალი საფინანსო არქიტექტურა უნდა შეიქმნას (Camdessus, 1999, p. 51). თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის

ყოფილი პირველი მოადგილე სტენლი ფიშერიც თანამდებობაზე ყოფნისას თვითკრიტიკული იყო საერთაშორისო საფინანსო სისტემის რეფორმისა და გლობალურ კონტექსტში ფონდის მაკოორდინებელი ფუნქციის როლის ამალღებასთან დაკავშირებით (Fischer, 1999).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ასევე ყოფილი განმკარგულელებელი დირექტორი როდრიგო დე რატო თანამდებობაზე ყოფნისას მიიჩნევდა, რომ ფონდმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გლობალიზაციის გამო ყველაზე მეტად ზარალდებიან; ასევე, ფონდს უნდა გაეუმჯობესებინა ფინანსური ბაზრების ზედამხედველობა, უნდა გაეღრმავებინა თანამშრომლობა დაბალშემოსავლიან ქვეყნებთან და სხვ. (Rato, 2006).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობისადმი კრიტიკულ პოზიციათა დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია და ზემომოყვანილი არგუმენტები ცალკეულ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავადაც კი აღიქმება. მთავარი კი ისაა, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე ფონდის საქმიანობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების განზოგადების საფუძველზე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რეალური გახდება ამ საქმიანობის თვისებრივი გაუმჯობესება.

## § 18.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია

ცალკე აღნიშვნის ღირსია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნების მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკა.

პროფესორ რობერტ მანდელის შეფასებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი სტატისტიკური და საკონსულტაციო დიდი სააგენტოა, რომელიც ხან კარგ რჩევებს იძლევა, ხან – ცუდს,

თანაც, ამ რჩევების ხარისხი ძალზე დაბალია, რისი უმთავრესი მიზეზიც თავად საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემაში ძვეს (Hinshaw, ed., 1996, p. 134).

ძნელი შესამჩნევი არ უნდ იყოს, რომ მსოფლიო ფინანსური სისტემა სახელმწიფო რეგულირებას, პრაქტიკულად, არ ექვემდებარება, რადგანაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ იმ სახელმწიფოებს ეხმარება, რომელთაც საგადასახდელი ბალანსის პრობლემები აქვთ, მაშინ, როცა აუცილებელია, ფონდმა ისეთი ზესახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულება იკისროს, რომელიც ამ პრობლემების და, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის წარმოქმნას წინასწარ გამოორიცხავს (Шишков, 1999, сс. 6-8).

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხრიდან ადგილი აქვს ფინანსური სტაბილიზაციისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელებას: თუკი სწრაფად მიიღწევა საფინანსო სტაბილიზაცია, მაშინ რთულდება ეკონომიკის რესტრუქტურირაცია (მაგალითად, Hinshaw, ed., 1996, p. 132). ასეთი მოსაზრებაც გამოითქმება, რომ, თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში არსებული ფინანსური ურთიერთდამოკიდებულებისა და ახალი საინვესტიციო კავშირების ბუნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წესდების დონეზე შერწყმა (Allen, 1999, p. 170).

რადგან საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქცენტს, ძირითადად, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე აკეთებს, ამიტომ ქვეყნის განვითარების სოციალური კრიტერიუმები ყურადღების მიღმა რჩება (Allen, 1999, p. 170).

ჯეფრი საქსის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სიძნელების შესამსუბუქებლადაა მოწოდებული, ფინანსური დახმარების მისაღებად ფონდის მიერ წაყენებული პირობები ხშირ შემთხვევაში იმდენად მკაცრია, რომ ისინი კიდევ

უფრო ამძიმებს შესაბამისი რეფორმის სიძნელეებს (Саки, 1995, с. 284). ის ასევე მიუთითებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში, დამოუკიდებელი სოციალური დაცვის სისტემის დაჩქარებულ შექმნას უნდა უწყობდეს ხელს, რაც არ კეთდება (Hinshaw, ed., 1996, p. 130). შედეგად, ჯეფრი საქსის შეფასებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი ქმედებით მუდმივად შერცხვენილის მდგომარეობაშია (Сегвари, 1999, с. 50).

საკმაოდ გავრცელებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა ის იყო, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მისი ექსპერტები თავიანთ რჩევებს იმაზე აგებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილ თორმეტ ქვეყანაში (ბალტიის ქვეყნების გარდა) ერთიანი სავალუტო კავშირი – „რუბლის ზონა“ შეენარჩუნებინათ (Hinshaw, ed., 1996, p. 133-134). ნიშანდობლივია, რომ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც საკუთარი ვალუტის შემოღებას გადაწყვეტდნენ, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან არანაირი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ; უფრო მეტიც, ფონდი ასეთ ქვეყნებს მხარდაჭერაზე უარითაც კი დაემუქრა (Ослунд, 1996, с. 141). გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების მიღება მხოლოდ საკუთარი ვალუტის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფონდს რეალურად მხოლოდ მოსკოვთან უნდა ემუშავა; ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის რეალური და არა ფსევდოდამოუკიდებლობისადმი მისწრაფებამ, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, ეროვნული ვალუტის შემოღებაში გამოიხატა, 1993 წლის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდი იძულებული გახდა, თავისი პოზიცია რადიკალურად შეეცვალა და მან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საკუთარი ვალუტის შემოღების პროცესს აქტიურად დაუჭირა მხარი (Lavigne, 1995, pp. 207, 211).

თუკი თავიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეროვნული ვალუტის შემოღებას ამუხრუჭებდა, შემდგომში, პირიქით, მათ კონვერტირებად რეჟიმში გადაყვანას მაქსიმალურად აჩქა-

რებდა. ეროვნული ბაზრების უცხოური კაპიტალისათვის მაქსიმალური გახსნის მიზნით, ის მისადმი იმ ქვეყნების განაცხადებს „შტამპავდა“, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, საკუთარი ვალუტა კონვერტირებადი გაეხადათ; შედეგად, ძნელად ასახსნელი სიტუაცია შეიქმნა, როცა მოლდოვეური ლეი და ყირგიზული სომი კონვერტირებადი უფრო ადრე გახდა, ვიდრე ჩეხური კრონა, ხოლო უკრაინულმა გრივნამ კი ჩინურ იუანს დაასწრო, თუმცა ეკონომიკური განვითარების დონისა და სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის ლოგიკა სრულად საწინააღმდეგო გადანყვეტილებას კარნახობდა (Константинов, 2000, с. 117). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უცხოური ინვესტიციებისათვის ეროვნული ბაზრების გახსნილობის გარეშე იმ გამწვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადანყვეტა, რომლებიც ადგილობრივი საწარმოების მიერ კონკურენტუნარო პროდუქციის წარმოებით იყო გამოწვეული, პრინციპულად შეუძლებელი იქნებოდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ რუსეთის 1998 წლის აგვისტოს კრიზისის არსი რუბლის ხელოვნურად გაზრდილი კურსის შენარჩუნებაში მდგომარეობდა, რასაც რუსეთის მთავრობა და ცენტრალური ბანკი ფონდის მხარდაჭერით ახორციელებდა (Монтес, Попов, 1999, с. 71).

პოლ კრუგმანი თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი რუსეთს მნიშვნელოვან თანხებს აძლევდა, რადგანაც მას ბირთვული იარაღის დიდი არსენალი აქვს, თუმცა, იმავდროულად, რუსი „ოლიგარქების“ სიხარბესა და გაჭიანურებულ რეფორმებს არ ითვალისწინებდა (Krugman, 1999, pp. 130-131). სავარაუდოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რუსეთისთვის მიცემული ფული „შავი ფულის გარეცხვის“ მექანიზმში მოექცა, რადგანაც ეს კრედიტები 1996 წელს ბორის ელცინის რუსეთის პრეზიდენტად არჩევის კამპანიას მოხმარდა (Сүэтин, 1999, с. 166).

ჯეფრი საქსიც მიიჩნევს, რომ რუს რეფორმატორებს ფინანსური დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან არა კარტ-ბლანშის სახით, არამედ მკაცრი პირობების შესრულების

შემთხვევაში უნდა მისცემოდა და, ამავე დროს, ეს დახმარება მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რათა რეფორმის სიძნელეები შეემსუბუქებინა (Hinshaw, ed., 1996, p. 129-130).

კიდევ უფრო მწვავედ აყენებს საკითხს ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში გარი ბეკერი, რომლის თანახმადაც, რეფორმების პროცესში მყოფი ქვეყნების მთავრობას რაიმე ფინანსური დახმარება საერთოდ არ უნდა მიეცეს, რადგან ეს დახმარება რეფორმების აუცილებლობის სიმწვავეს ამცირებს, „აზარმაცებს“ მთავრობას და ის რეფორმების პროცესს აჭიანურებს; მისი აზრით, ფინანსური დახმარების მიცემის გარეშე, მთავრობას ძლიერი შინაგანი სტიმული ექნებოდა, მიზანმიმართულად და სწრაფი ტემპით განეხორციელებინა რეფორმები (Becker, Becker, 1997, pp. 261-262). იმავე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი მაიკლ პორტერის მოსაზრება, რომელიც ფიქრობს, რომ განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი ქვეყნების მიმართ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა პროტექციონისტული ბარიერების მოშლა (განსაკუთრებით, ტექსტილისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმართ), ვიდრე ყველა ფინანსური დახმარება ერთად აღებული (Porter, 1993, c. 737).

ასეთი მოსაზრებაც გამოითქმებოდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები რუსეთსა და უკრაინასთან მიმართებაში ცალმხრივი იყო, რადგანაც ყურადღება მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე ზედმეტად იყო აქცენტირებული, მაშინ, როცა ინსტიტუციური გარდაქმნების მნიშვნელობა უგულვებლყოფილი იყო (Welfens, 1999, pp. 120, 122). ასე რომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს რუსეთის ეკონომიკის რეფორმირებაში არაერთი ტაქტიკური ხასიათის შეცდომა აქვს დაშვებული (Кузнецов, 2002, сс.47-48).

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ყველაზე უფრო ხშირად იმაში აკრიტიკებენ, რომ ის მთლიანობაში პატივს უნდა სცემდეს და უფრო მეტად ითვალისწინებდეს პოსტკომუნისტური ქვეყნების ისტორიას, კულტურასა და ეროვნულ თავისებურებებს, და რომ ფონდის მიერ შემუშავებული

ყველასათვის ერთიანი პრინციპები ჩავარდნისათვისაა განწინარული; ამგვარი კრიტიკა კი უფრო თავის მართლებას რეფორმების არგასატარებლად, ვიდრე რეალურად არსებული პრობლემა (Сегвари, 1999, სს. 48-51).

საყურადღებოა, რომ ქვეყნის განვითარების კულტურულ-ისტორიული სპეციფიკით, პრაქტიკულად, ყველაფრის ახსნა შეიძლება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი გათვალისწინება იმ პროცესის სწორი გაგებისათვისაა აუცილებელი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარეობს (May, 2001, სს. 130-131). ამგვარი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ წაყენებული ბრალდება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, რუსეთის ეკონომიკური სისტემის, მეურნეობრიობის არსებული ტრადიციების არგათვალისწინებამ, სტაბილიზაციის ფონდისეული პროგრამის არარეალურობა გამოიწვია, რომლის ჩავარდნამაც და 1998 წლის აგვისტოს კრიზისმა ფონდის პრესტიჟს დიდი დარტყმა მიაყენა (Оболенский, Поспелов, 2001, ს. 50). რაც მთავარია, ის, თუ ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამებში რამდენად აისახება, იმ სამთავრობო გუნდის პრობლემაა, რომელიც ფონდის წარმომადგენლებთან აწარმოებს მოლაპარაკებას (მესხია, 1999, გვ. 20).

უარყოფითი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის კოლეგიის ზოგიერთი წევრის დამოკიდებულება იმ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, რომელიც საზღვარგარეთიდან, დასავლეთიდან, ანუ, ფაქტობრივად, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან იყო რეკომენდებული. მაგალითად, მიიჩნეოდა, რომ დასავლეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, როგორც მსხვილი რეგიონული გაერთიანების, დაშლას ესწრაფოდა (МЭК, 1996, ს. 46), ხოლო საზღვარგარეთიდან თავსმოხვეული ეკონომიკური პოლიტიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა

თანამეგობრობის ქვეყნების დეზინტეგრაციისა და წარმოების დაცემის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება, რომელიც თითქოსდა თანამეგობრობის ქვეყნების მსოფლიო ბაზრის პერიფერიად გადაქცევაზე იყო მიმართული (MЭК, 1996, c. 30). დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ კი თავისი არაპერსპექტიულობა „სხვისი“ დახმარების გარეშეც დაადასტურა, რადგანაც ის თავიდანვე საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკურ კავშირთა ჩაკეტილობის მიმსგავსებით იქმნებოდა (მაგალითად, Coppieters, 1998, pp. 194-197, Olcott, Åslund, Garnett, 1999).

რუსეთის მასშტაბებიდან გამომდინარე, არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოქმედებას პოსტკომუნისტურ სივრცეში (ისევე, როგორც სხვა საკითხებსაც), უმეტესწილად, სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე იხილავენ. რაც შეეხება საქართველოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკული შეფასება სპეციალური კვლევის ობიექტი არაერთხელ გამხდარა (პაპავა, 2000, 2002, გვ. 352-401, 2015, გვ. 74-99, 135-149; Papava, 2003a, 2003b, 2005, pp. 137-156, 2009; Папавა, 2001, 2002, 2009).

საქართველოს (ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნის) მოსახლეობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, უწინარეს ყოვლისა, ელის მაღალპროფესიულ დახმარებას და არა წაყრუებას მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომ არაფერი ვთქვათ არსებული სიტუაციის შელამაზებაზე. იმავდროულად, ერთი ნამითაც არ უნდა შევიტანოთ ეჭვი იმაში, რომ ამ ინსტიტუტებში და, განსაკუთრებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდში მართლაც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობენ და მათ მიერ „ვარდისფერი სათვალის გადაგდება“, თვალის ფართოდ გახელა მხოლოდ და მხოლოდ ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელობისა და მათ უკან მდგომი ძალების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი რ.,** 2010. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, „სიახლე“.
- თოფაძე გ.,** 2003. საქართველო ნეოკოლონიალიზმის ყულფში. თბილისი, საქართველოს მრეწველთა კავშირი, შპს „ყაზბეგი“.
- იაკობიძე დ.,** 1999. ბოლოსიტყვაობა. განვითარების ახალი კონცეფცია (მოსაზრებები რომის კლუბის მოხსენებაზე „სკანდალი და სირცხვილი“). წიგნი: ბ. შნაიდერი. სკანდალი და სირცხვილი. რომის კლუბის მოხსენება (ძირითადი დებულებები). თბილისი, რომის კლუბის საქართველოს ასოციაცია.
- კრუგმანი პ. რ.,** ობსტველდი მ., მელიტცი მ. ჯ., 2017. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მექვაბიშვილი ე.,** 2009. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბილისი, „ინოვაცია“.
- მესხია ი.,** 1999. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. კრებულში: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტომი III. თბილისი, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
- პაპავა ვ.,** 2000. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“.
- პაპავა ვ.,** 2002. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“.
- პაპავა ვ.,** 2015. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, ინტელექტი.
- შნაიდერი ბ.,** 1999. სკანდალი და სირცხვილი. რომის კლუბის მოხსენება (ძირითადი დებულებები). თბილისი, რომის კლუბის საქართველოს ასოციაცია.
- ხარჩილავა ვ.,** რედ., 1998. საერთაშორისო სავალუტო ფონდი – სიკეთე თუ ბოროტება? საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე ემუქრება. თბილისი, საქართველოს მრეწველთა კავშირი, შპს „ყაზბეგი“.
- Allen M.,** 1992. IMF – Supported Adjustment Programs in Central and Eastern Europe. In: *Central and Eastern Europe Roads to Growth*. Papers Presented at a Seminar Held in Baden, Austria, April 15-18, 1991. Mod. by G. Winckler. Washington, DC, The IMF.

- Allen R. E.**, 1999. *Financial Crises and Recession in the Global Economy*. Cheltenham, Edward Elgar.
- Becker G. S.**, Becker G. N., 1997. *The Economics of Life. From Baseball to Affirmative Action to Immigration, How Real World Issues Affect Our Everyday Life*. New York, McGraw-Hill.
- Boughton J. M.**, 2000. From Suez to Tequila: The IMF as Crisis Manager. *The Economic Journal*, Vol. 110, No. 461.
- Camdessus M.**, 1999. *From Crisis to a New Recovery. Excerpts from Selected Addresses*. Washington, DC, The IMF.
- Cheru F.**, 1999. Economic, Social and Cultural Rights Effects of Structural Adjustment Policies on the Full Enjoyment of Human Rights. *Commission on Human Rights. Fifty-fifth session. Item 10 of the Provisional Agenda. Distr. General. E/CN.4/1999/50. 24 February, 1999. Economic and Social Council*. New York, United Nations.
- Collier P.**, Gunning J. W., 1999. The IMF's Role in Structural Adjustment. *The Economic Journal*, Vol. 109, No. 459.
- Coppieters B.**, 1998. The Failure of Regionalism in Eurasia and the Western Ascendancy over Russia's Near Abroad. In: *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia*. Ed. by B. Coppieters, A. Zverev, D. Trenin. London, FRANK CASS PUBLISHERS.
- Easterly W.**, Fischer S., 1994. Living on Borrowed Time: Lessons of the Soviet Economy's Collapse. *Transition. The Newsletter About Reforming Economies*, Vol. 5, No.4.
- Eichengreen B.**, 2000. *Can the Moral Hazard Caused by IMF Bailouts be Reduced?* Geneva Reports on the World Economy Special Report 1. Geneva, International Center for Monetary and Banking Studies (ICMB).
- Eichengreen B.**, 2010. *Global Imbalances and the Lessons of Bretton Woods*. Cambridge, The MIT Press.
- El-Erian M. A.**, 2019. How the IMF Can Battle Gradual Irrelevance. *Project Syndicate*, November 19, [https://www.project-syndicate.org/commentary/imf-world-bank-less-policy-influence-by-mohamed-a-el-erian-2019-11?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=6232d1fd79-sunday\\_newsletter\\_24\\_11\\_2019&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-6232d1fd79-93567601&mc\\_cid=6232d1fd79&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/imf-world-bank-less-policy-influence-by-mohamed-a-el-erian-2019-11?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=6232d1fd79-sunday_newsletter_24_11_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-6232d1fd79-93567601&mc_cid=6232d1fd79&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Fischer S.**, 1999. Reforming the International Financial System. *The Economic Journal*, Vol. 109, No. 459.
- Frankel J.**, 1996. How Well Do Foreign Exchange Markets Work: Might a Tobin Tax Help? In: *The Tobin Tax: Coping with Financial Volatility*. Ed. by M. ul Haq, I. Kaul, I. Grunberg. New York, Oxford University Press.
- Goldstein M.**, 1998. The Case for International Banking Standards. In: *Preventing Bank Crises: Lessons from Recent Global Bank Failures*. Ed. by G.

- Caprio Jr., W. C. Hunter, G. G. Kaufman, D. M. Leipziger. Washington, DC, The World Bank.
- Gregorio J. de**, Eichengreen B., Ito T., Wyplosz C., 1999. *An Independent and Accountable IMF*. Geneva Reports on the World Economy 1. Geneva, International Center for Monetary and Banking Studies (ICMB).
- Helleiner E.**, 2014. *Forgotten Foundations of Bretton Woods: International Development and the Making of the Postwar Order*. New York., Cornell University Press.
- Helleiner G. K.**, 1990. The New Global Economy: Problems and Prospects. In: *Transformations of Capitalism. Economy, Society and the State in Modern Times, 2000*. Ed. by H. F. Dahms. London, Macmillan Press.
- Hinshaw R.**, ed, 1996. *The World Economy in Transition. What Leading Economists Think*. Cheltenham, Edward Elgar.
- Ito T.**, Ogawa E., Sasaki Y.N., 1999. Establishment of the East Asian Fund. In: *Stabilization of Currency and Financial Systems in East Asia and International Financial Coordination*. Tokyo, IIMA.
- Kissinger H.**, 2002. *Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomacy for the 21st Century*. London, The Free Press.
- Krugman P.**, 1999. *The Return of Depression Economics*. New York, W. W. Norton & Company.
- Kuttner R.**, 1991. *The End of Laissez-Faire. National Purpose and the Global Economy After the Cold War*. Philadelphia, University of Pennsylvania Press.
- Lavigne M.**, 1995. *The Economics of Transition. From Socialist Economy to Market Economy*. New York, St. Martin's Press.
- Lissakers K.**, 1998. The Role of the International Monetary Fund. In: *Preventing Bank Crisis: Lessons from Recent Global Bank Failures*. Ed. by G. Caprio Jr., W. C. Hunter, G. G. Kaufman, D. M. Leipziger. Washington, DC, The World Bank.
- Lombardi D.**, 2009. After the Fall: Reasserting the IMF in the Face of Global Crisis. In: *New Ideas for the London Summit. Recommendations to the G20 Leaders*. London, The Royal Institute of International Affairs, Chatham House.
- Mikesell R. F.**, 2000. Bretton Woods – Original Intentions and Current Problems. *Contemporary Economic Policy*, Vol. 18, No. 4.
- Nafziger E. W.**, 1997. *The Economics of Developing Countries*. Upper Saddle River, Prentice – Hall.
- Olcott M. B.**, Åslund A., Garnett S. W., 1999. *Getting it Wrong: Regional Cooperation and the Commonwealth of Independent States*. Washington, DC, Carnegie Endowment for International Peace.

- Papava V.**, 2003a. On the Role of the International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia. *Emerging Markets Finance & Trade*, Vol. 39, No. 5.
- Papava V.**, 2003b. *Splendours and Miseries of the IMF in Post-Communist Georgia*. Laredo, we-publish.com.
- Papava V.**, 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.
- Papava V.**, 2009. The „Rosy“ Mistakes of the IMF and World Bank in Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 52, No. 7.
- Phillips L. M.**, 2009. The UK, the G20 and IMF Reform. In: *New Ideas for the London Summit. Recommendations to the G20 Leaders*. London, The Royal Institute of International Affairs, Chatham House.
- Rato R. de**, 2006. The IMF View on IMF Reform. *Reforming the IMF for the 21st Century*. Ed. by E. Truman. Washington, DC, Institute for International Economics.
- Rogoff K.**, 2019. The IMF After Argentina. *Project Syndicate*, October 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/lessons-from-latest-argentina-meltdown-by-kenneth-rogoff-2019-10>.
- Sciso E.**, 2017. *Accountability, Transparency and Democracy in the Functioning of Bretton Woods Institutions*. Cham, Springer.
- Stiglitz J. E.**, 1999a. The World Bank at the Millennium. *The Economic Journal*, Vol. 109, No. 459.
- Stiglitz J. E.**, 1999b. *Whither Reform? Ten Years of the Transition*. Annual Bank Conference on Development Economics, April 28-30, 1999. Washington, DC, The World Bank.
- Stiglitz J. E.**, 2002. *Globalization and its Discontents*. New York, W.W.Norton & Company.
- Stiglitz J. E.**, et al., 2010. *The Stiglitz Report. Reforming the International Monetary and Financial Systems in the Wake of the Global Crisis*. New York, The New Press.
- Stuart B. C.**, 1992. Structural Adjustment and the Role of the IMF. In: *Structural Adjustment and Macroeconomic Policy Issues*. Papers Presented at a Seminar Held in Lahore, Pakistan, October 26-28, 1991. Mod. by V. A. Jafarey. Washington, DC, IMF, Pakistan Administrative Staff College.
- Truman E.**, ed., 2006. *Reforming the IMF for the 21st Century*. Washington, DC, Institute for International Economics.
- Watchel H. M.**, 2000. World Trade Order and the Beginning of the Decline of the Washington Consensus. *Internationale Politik und Gesellschaft (International Politics and Society)*, No. 3.
- Welfens P. J. J.**, 1999. *EU Eastern Enlargement and the Russian Transformation Crisis*. Berlin, Springer.
- Wolff M. J.**, 2018. *Bretton Woods Institutions & Neoliberalism: Historical Cri-*

- tique of Policies, Structures, & Governance of the International Monetary Fund & the World Bank, with Case Studies.* Washington, DC., Pacem in Ter-  
ris Press.
- Zak P. J., ed.,** 1999. *Currency Crises, Monetary Union and the Conduct of Monetary Policy. A Debate Among Leading Economists.* Cheltenham, Edward Elgar.
- Аникин А.,** 2000. *История финансовых потрясений. От Джона Ло до Сергея Кириенко.* Москва, «Олимп-Бизнес».
- Бирман И.,** 1996. *Я – экономист (о себе, любимом).* Новосибирск, ЭКОР.
- Быков А. Н.,** 2000. Глобализация и либерализация (вопросы институционального совершенствования в контексте российских и общемировых интересов). *Проблемы прогнозирования*, № 5.
- Голдстоун Дж.,** 2001. Теории революции, революции 1989-1991 годов и траектория развития «новой» России. *Вопросы экономики*, № 1.
- Жириновский В., Юровицкий В.,** 1998. *Новые деньги для России и Мира.* Москва, ИД «ГАЛЕРЕЯ».
- Зевин Л.,** 2001. МВФ и Россия: 8 лет трудного диалога. *Мировая экономика и международные отношения*, № 4.
- Капелюшников Р.,** 2001. «Где начало конца?..» (к вопросу об окончании переходного периода в России). *Вопросы экономики*, № 1.
- Кастельс М.,** 2000. Глобальный капитализм: уроки для России. *Экономические стратегии*, Сентябрь – Октябрь.
- Константинов Ю. А.,** 2000. Пути решения валютно-финансовых проблем развития внешней торговли. В кн.: *Внешняя торговля и предпринимательство России на рубеже XXI века.* Под ред. С. А. Ситаряна, С. А. Смирнова, А. Н. Барковского, Л. В. Краснова. Москва, Наука.
- Круглов В. В., ред.,** 1998. *Основы международных валютно-финансовых и кредитных отношений.* Москва, ИНФРА-М.
- Кругман П. Р., Обстфельд М.,** 1997. *Международная экономика. Теория и политика.* Москва, ЭФ МГУ, ЮНИТИ.
- Кузнецов В.,** 2002. Отношения России с МВФ. *Мировая экономика и международные отношения*, № 7.
- Ларуш Л.,** 1995а. *Меморандум: Перспективы возрождения народного хозяйства России.* Шиллеровский институт науки и культуры, Бюллетень № 5. Москва, ШИНИК.
- Ларуш Л.,** 1995б. Мировая финансово-экономическая система и проблемы экономического роста. В брошюре: *Научные основания принципов физической экономики Линдона Ларуша.* Шиллеровский институт науки и культуры, Бюллетень № 6. Москва, ШИНИК.
- Ларуш Л.,** 1996. Новая роль России в современной политике США. В брошюре: *Российский вариант разрухи как составная часть кризиса*

- мировой экономической системы*. Шиллеровский институт науки и культуры, Бюллетень № 7. Москва, ШИНИК.
- Лисичкин В. А.,** Шелепин Л. А., 2001. *Глобальная империя Зла*. Москва, Крымский Мост-9Д, ФОРУМ.
- Мартин Г.-П.,** Шуман Х., 2001. *Западня глобализации: атака на процветание и демократию*. Москва, Издательский Дом «АЛЬПИНА».
- Мау В.,** 2001. Экономика и революция: уроки истории. *Вопросы экономики*, № 1.
- Монтес М. Ф.,** Попов В. В., 1999. „Азиатский вирус“ или „голландская болезнь“? *Теория и история валютных кризисов в России и других странах*. Москва, Дело.
- МЭК,** 1996. Выступления на заседании коллегии по вопросу «Об итогах деятельности МЭКа в 1995 – первой половине 1996гг. и его задачах на вторую половину 1996 – 1997 гг.» (30 августа 1996г.). *Информационный бюллетень*, № 3 (спец. выпуск). Москва, МЭК ЭС СНГ.
- Оболенский В. П.,** Пospelов В. А., 2001. *Глобализация мировой экономики: проблемы и риски российского предпринимательства*. Москва, Наука.
- Ольсевич Ю.,** 1997. Монетаризм и Россия: проблема совместимости. *Вопросы экономики*, №8.
- Ольсевич Ю.,** 2000. Нужно ли заново исследовать экономическую историю СССР? *Вопросы экономики*, № 11.
- Ослунд А.,** 1996. *Россия: рождение рыночной экономики*. Москва, Республика.
- Папава В.,** 2001. *Международный валютный фонд в Грузии: достижения и ошибки*. Тбилиси, Империял.
- Папава В.,** 2002. О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. *Вопросы экономики*, № 3.
- Папава В.,** 2009. «Розовые» ошибки МВФ и Всемирного банка в Грузии. *Вопросы экономики*, № 3.
- Перло В.,** 1975. *Неустойчивая экономика (Бумы и спады в экономике США после 1945г.)*. Москва, Прогресс.
- Портер М.,** 1993. *Международная конкуренция*. Москва, Международные отношения.
- Потель К.,** 2001. Прощай, «Вашингтонский консенсус»: новые перспективы российской промышленности. *США, Канада: экономика, политика, культура*, № 2.
- Потемкин А.,** 2000. *Виртуальная экономика и сюрреалистическое бытие: Россия. Порог XXI века. Экономика*. Москва, ИНФРА-М.

- Сакс Дж.**, 1995. *Рыночная экономика и Россия*. Москва, Экономика.
- Сегвари И.**, 1999. Семь расхожих тезисов о российских реформах: верны ли они? *Вопросы экономики*, № 9.
- Симония Н.**, 1999. Методологические проблемы анализа моделей социально-экономического развития. *Общество и экономика*, №10-11.
- Смыслов Д. В.**, 1993. *Международный валютный фонд: современные тенденции и наши интересы*. Москва, Финансы и статистика.
- Сорос Дж.**, 1999. *Кризис мирового Капитализма. Открытое общество в опасности*. Москва, ИНФРА – М.
- Сото Э. де**, 2001. *Загадка капитала. Почему капитализм торжествует на Западе и терпит поражение во всем остальном мире*. Москва, ЗАО «Олимп–Бизнес».
- Стиглиц Дж.**, 1998. Многообразнее инструменты, шире цели: движение к Пост-Вашингтонскому консенсусу. *Вопросы экономики*, № 8.
- Стиглиц Дж.**, 1999. Куда ведут реформы? (К десятилетию начала переходных процессов). *Вопросы экономики*, № 7.
- Суэтин А.**, 1999. Отмывание денег: угроза мировому сообществу? *Вопросы экономики*, № 12.
- Тодаро М. Р.**, 1997. *Экономическое развитие*. Москва, ЭФ МГУ, ЮНИТИ.
- Трушин Э.**, 2001. Развитие финансовой системы и экономический рост: уроки опыта Восточной Азии для стран с переходной экономикой. В кн.: *Опыт развития финансовой и фискальной системы и привлечения прямых инвестиций в Восточной Азии: уроки и рекомендации*. Алматы.
- Шаванс Б.**, Маньян Э., 1999. Постсоциалистические траектории и Западный капитализм. *Мировая экономика и международные отношения*, № 12.
- Шишков Ю.**, 1999. Мировая финансовая система: необходимость реформ. *Мировая экономика и международные отношения*, № 11.
- Энг М. В.**, Лис Ф. А., Мауер Л. Дж., 1998. *Мировые финансы*. Москва, ИКК «ДеКА».

---

## დაკვნა, ანუ ეკონომიკური მეცნიერების ახალი პარადიგმის ძიებისათვის

---

ეკონომიკურ მეცნიერებაში შექმნილი არასახარბიელო ვითარება (იხ. თავი 1) დღის წესრიგში აყენებს ახალი პარადიგმის ძიების აუცილებლობას (მაგალითად, ასათიანი, 2013, 2018; ბალარჯიშვილი, 2018; ბედიანაშვილი, 2018; თოქმაზიშვილი, 2018; ლეიშვილი, 2017; მექვაბიშვილი, 2018; პაპავა, 1991, 2018; Birks, 2016; Bookstaber, 2017; Davies, 2010; Fullbrook, 2016; Heilbroner, Milberg, 1996; Hey, ed., 1992; Hicks, Klages, Raffa, eds., 1971; Hill, Myatt, 2010; Kanth, 1997; Leishvily, 2012; Marqués, 2016; McCloskey, 2010; Mishan, 1986; Offer, Söderberg, 2016; Paarlberg, 1968; Papava, 2018; Pilkington, 2016; Rodrik, 2014, 2015a, 2015b; Shiller, 2019; Söderbaum, 2017; Stiglitz, 1992, 2010a, 2010b, 2011; Syll, 2016; Turner, 2012; Staveren, 2015; Базилевич, 2016; Гүриев, 2010; Кругман, 2013; Папава, 1992, 2018; Стиглиц, 2010; Хейлбронер, 1993).

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერებისათვის, არის რეალური ადამიანის უგულვებელყოფა, რაც, როგორც წესი, მისი მხოლოდ ყველაზე გამარტივებული მოდელით – ადამ სმითისეული *homo economicus*-ის („ეკონომიკური ადამიანის“) ჩანაცვლების გზით ხდება. საბაზრო ეკონომიკის ელემენტარულ და თანაც ძალზე გამარტივებულ კანონზომიერებათა ასახსნელად *homo economicus*-ის მოდელი სავსებით საკმარისია. თუმცა ის საკმარისად შორსაა რეალური ადამიანისათვის დამახასიათებელი ქცევისაგან.

ეკონომისტებისთვის უკვე დიდი ხანია აქტუალური გახდა ბუნებრივი და ხელოვნური ადამიანის თანაფარდობის პრობლემა. ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯეიმს ბიუკენენი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ადამიანს თავისუფლება უნდა არა იმიტომ, რომ მისი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას მიაღწიოს (რაც ხელოვნური ადამიანის მიზანია), არამედ იმისთვის, რომ

იყოს ისეთი ადამიანი, როგორც მას უნდა, რომ იყოს (Buchanan, 1979, p. 112).

ეკონომიკურ კვლევაში ბუნებრივი ადამიანის ხელოვნურით ჩანაცვლების ამკარა მონინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ *homo economicus* დასრულდა (Brockway, 1995), რომ *homo economicus* მოკვდა (Tittenbrun, 2013).

ნიშნავს ეს იმას თუ არა, რომ ეკონომისტებმა საერთოდ უარი თქვეს *homo economicus*-ის მოდელის გამოყენებაზე? არა, რადგან კვლევის ცალკეული მიზნებისთვის ადამიანის ამ გამარტივებულმა მოდელმაც შესაძლოა საინტერესო შედეგი მოგვცეს. მაგალითად, ადამიანისეული ფაქტორის ტრანსფორმაციის გამოყენებით საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის პროცესის აღწერისათვის ეს პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც *homo sovieticus*-ის („საბჭოთა“ ადამიანის) *homo economicus*-ად ტრანსფორმაციის პროცესი, რის შედეგადაც ადამიანის ახალი მოდელი – *homo transformativus* იკვეთება („გარდამავალი ადამიანი“) (იხ. თავი 2) (Papava, 1996, pp. 260-264). საყურადღებოა, რომ *homo transformativus*-ის მოდელი უფრო ახლოსაა რეალურ ადამიანთან, ვიდრე ცალკე აღებული *homo economicus*-ის და *homo sovieticus*-ის მოდელები, რადგანაც ამ უკანასკნელთა დამახასიათებელი ნიშნები ერთადაა ასახული *homo transformativus*-ში. თუმცა ეს უკანასკნელი რეალური ადამიანისაგან მაინც ამკარად დაშორებულია.

მაშასადამე, ეკონომისტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომ ადამიანის ის მოდელი, რომელიც გამოიყენება მათ კვლევაში, რაც შეიძლება დაახლოებული იყოს რეალურ ადამიანთან (Капелюшников, 2018, с. 121). სხვა სიტყვებით, ეკონომისტების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს *homo economicus*-იდან *homo sapiens*-ზე გადასვლა (Бьюкенен, 2014, сс. 145-149). ეს კი შესაძლებელი გახდება, თუ ეკონომისტები თავიანთ კვლევით არსენალს გაამდიდრებენ სხვა სოციალურ მეცნიერებათა (კეძოდ, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სამართლის, პოლიტოლოგიის) კვლევის ინსტრუმენტებით (მაგალითად, Bedianashvili, 1995).

ის, რომ ეკონომიკურ პრაქტიკასა და ეკონომიკურ მეცნიერებას შორის სერიოზული ნაპრალია გაჩენილი, დღეს უკვე საკამათო არ არის. მთავარია იმ პრობლემის გამოკვეთა, რომლის გადაწყვეტის გარეშეც ეს ნაპრალი არ ამოივსება. ძნელია არ დაეთანხმო ცნობილი ბრიტანელი ეკონომისტის რობერტ სკიდელსკის მოსაზრებას, რომ დღეს ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებულია გამარტივებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ეკონომიკა გაიგივებულია „მანქანასთან“ (თუნდაც რთულ მანქანასთან), რომლის აღწერაც მათემატიკის გამოყენებით სულაც არ არის შეუძლებელი; ამის შედეგად კი თანამედროვე ეკონომისტები „განსწავლულ იდიოტებს“ (idiots savants) დაემსგავსნენ (Skidelsky, 2016). ის ასევე აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, დღეს მომავალ ეკონომისტებს არ ასწავლიან ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, ისტორიას და პოლიტოლოგიას, რის გამოც თანამედროვე ეკონომისტების ცოდნა უმთავრესად მხოლოდ ეკონომიკური მოდელებით შემოიფარგლება (Skidelsky, 2016). ეს კი მნიშვნელოვნად აღარბეებს იმ სამეცნიერო ენას, რომლითაც სარგებლობენ ეკონომისტები.

არაერთი საინტერესო კვლევა ეძღვნება სინამდვილესთან სამეცნიერო ენის მიმართებას (მაგალითად, Devitt, Sterelny, 1999; Marsonet, 1995; Ким, Блажевич, 1998). ცნობილია, რომ არსებული სამეცნიერო ენის საფუძველზე ხდება სინამდვილის შესწავლა, რის შედეგადაც, თავის მხრივ, სამეცნიერო ენა კიდევ უფრო მდიდრდება.

რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკონომიკა რთულ მანქანასთანაა გაიგივებული, ეკონომიკური მეცნიერების ენა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე საჭიროა ეკონომიკური სინამდვილის შესასწავლად. მართალია, მათემატიკის გამოყენება, ერთი მხრივ, აძლიერებს (უფრო ზუსტად კი, აღრმავებს) ეკონომიკური სინამდვილის კვლევას, თუმცა, იმავდროულად, კვლევის მხოლოდ მათემატიკით შემოფარგვლა ავიწროებს სინამდვილის მრავალფეროვნების მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ასახვის შესაძლებლობას. ეს კი სულაც არ არის გასაკვირი, რადგან თავად

მათემატიკა არ არის იმდენად სრულყოფილი, რომ სრულად ადეკვატურად ასახოს მთელი სოციალური სფერო.

ცალკე პრობლემაა ეკონომეტრიკული გაანგარიშებებით გატაცება, რაც დღეისათვის პრაქტიკულად ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმადაა აღიარებული. მან კი შექმნა „ეკონომეტრიკორწმენის“ («эконометриковереие») ფენომენი, როცა ითვლება, რომ თუ ეკონომეტრიკული გათვლების შედეგები ეწინააღმდეგება ამა თუ იმ თეორიას, ეს მით უარესი სწორედ ამ თეორიისათვისაა (Капелюшников, 2018, с. 114).

ეკონომიკური სინამდვილის (ანუ „ეკონომიკური მანქანის“) შესწავლასთან გამარტივებული მიდგომა ყველაზე ნათლად აისახება იმ დაშვებებში (ანუ პირობითობებში), რომლებსაც, შეგნებით თუ შეუგნებლად, იყენებენ ეკონომისტები კვლევის დროს. ყოველგვარი ასეთი დაშვება კი ამარტივებს სინამდვილეს, რადგან მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ რომელიღაც ფაქტორის (ან ფაქტორთა ჯგუფის) შესწავლაზე სხვა ფაქტორების ცვლილების გამორიცხვის პირობებში. ასეთი მიდგომა ნოყიერ ნიადაგს ქმნის მათემატიკის გამოყენებისათვის და მკვლევარს უადვილებს კონკრეტული პრობლემის მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად შესწავლას; ამასთან, ღიად ტოვებს საკითხს, ხსენებული დაშვებების გამო, თუ შესწავლილი კანონზომიერება რამდენად საკმარისია არსებული, ბევრად უფრო მრავალფეროვანი სინამდვილის სწორად აღქმისათვის (Rodrik, 2015a; Родрик, 2017).

იმის ინდიკატორი, თუ რომელიმე კონკრეტული დაშვება რამდენად შეგნებულად გაითვალისწინა მკვლევარმა, არის „ჯადოსნური“ სიტყვათწყობა – „*certas paribas*“, ანუ „სხვა თანაბარ პირობებში“ („*all other things remaining equal*“), რაც კვლევის გაცნობისას მკითხველს აუწყებს, რომ სინამდვილე გამარტივებულია.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ეკონომისტებმა კვლევისას ამ ჯადოსნურ სიტყვათწყობაზე უნდა თქვან უარი ან უარყონ ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება? რა თქმა უნდა – არა! მათ გარეშე ეკონომიკური სინამდვილის შემეცნება საერთოდ შე-

უძლებელი იქნება. მთავარია, რომ ასეთი კვლევის შედეგები დასრულებულად არ ჩაითვალოს და, რომ კვლევა გაგრძელდეს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სამართლის, ისტორიის, გეოგრაფიის და პოლიტოლოგიის მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებითაც. რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში უარი არ უნდა ეთქვას მათემატიკის გამოყენებას. პირიქით, მათემატიკასთან ერთად ხსნებულ სოციალურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენება აშკარად გაამდიდრებს ეკონომიკური მეცნიერების ენას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისული ვითარების დასაძლევად აუცილებელია, რომ კვლევა ჩატარდეს მეცნიერების ზემოხსენებული დარგების მიჯნაზე.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სოციალურ მეცნიერებათა ახალი, პრაქტიკულად ამჟამად ჩამოყალიბებადი მიმართულება – გეოეკონომიკა (Gasimli, 2015; Kvinikadze, 2017; Solberg Sjøilen, 2012; Дергачев, 2002; Кочетов, 1999), რომელიც ჯერჯერობით ვერ გახდა ეკონომისტების ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანი. სამწუხაროდ, გეოეკონომიკა ეკონომისტების უშუალო სამეცნიერო ინტერესებში დღემდე არ შესულა და მისი კვლევა უმთავრესად პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელთა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელთა პრეოგატივად ითვლება. თუმცა, ამა თუ იმ ქვეყნისათვის სწორედ გეოეკონომიკა იძლევა არაერთი კონკრეტული ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) პრობლემის გადაწყვეტის გასაღებს.

ცალკე პრობლემაა არსებული დაპირისპირება სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიებს შორის (მაგალითად, სილაგაძე, 2010; ხარიტონაშვილი, 1997, 2019; Barber, 2009; Ekelund, Hébert, 2013; Hunt, Lautzenheiser, 2015; Medema, 2013; Niehans, 1994; Sandmo, 2011; Silagadze, Atanelashvili, Silagadze, 2019; Screpanti, Zamagni, 2005), რის გამოც კითხვა, თუ ზოგადად რომელი ეკონომიკური თეორიაა სწორი, ნაკლებად კონსტრუქციულია. როგორც ხაზვაშია აუცილებელი დასახაზი ობიექტის სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენა, ისე შეიძლება შევთანხმდეთ, რომ სხვადასხვა ეკონომიკური თეორია ერთი და იმავე ეკონომიკური სინამდვილის სხვადასხვა

რაკურსით ასახვაა და ამ სინამდვილის ცვლილების კვალობაზე შეიძლება ერთი რომელიმე ეკონომიკური თეორია უფრო ადეკვატურად ასახავდეს პრობლემას, ვიდრე სხვა დანარჩენი.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიებს შორის საერთო კომპონენტის თუ კომპონენტების გამოყოფა, რაც ამ თეორიების სინთეზის საშუალებას მოგვცემს (Hsieh, Magnum, 1986). ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „მინოდების თეორიის“ და კეინზიანურ თეორიასთან სინთეზი (მაგალითად, Ananiashvili, Papava, 2014; Langdana, 2010). ასევე მნიშვნელოვანია ინტეგრირებული ეკონომიკური თეორიების განვითარება, რაც ეკონომიკური სინამდვილის მიმართ უფრო ადეკვატური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა (მაგალითად, Tuerck, 2015).

რა თქმა უნდა, აქ მოყვანილია ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის დაძლევის მხოლოდ ძირითადი გზები. მაგრამ თუნდაც მათი რეალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები აშკარად დაემჩნევა კვლევის შედეგებს.

**კორონომიკსი.** წინამდებარე წიგნი უკვე სტამბაში იყო ჩაშვებული, როცა თანამედროვე მსოფლიო დადგა ახალი COVID-19-ის გლობალური გავრცელებით გამოწვეული საფრთხეების წინაშე, რამაც ეკონომიკას თვისებრივად ახალი პრობლემები გაუჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს ატიპური პნევმონიის აფეთქება სიცოცხლისთვის უფრო მეტი საფრთხის შემცველი იყო, კორონავირუსის ახალი შტამი ბევრად უფრო გადამდები დაავადება აღმოჩნდა. შედეგად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა COVID-19-ის გავრცელება პანდემიად შეაფასა (Ghebreyesus, 2020).

პრობლემა იმანაც გაართულა, რომ ყველა იმ ქვეყნის მთავრობას, სადაც კორონავირუსია გავრცელებული, ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა სირთულის ამოცანის გადაჭ-

რასთან ჰქონდა საქმე. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ქვეყნების მთავრობები არსებულ სიტუაციას შეგნებულად მაღავდნენ იმ დრომდე, სანამ ეს შესაძლებელი იყო, ანუ სანამ კორონავირუსის გავრცელებამ ძალზე დიდი მასშტაბი არ მიიღო. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩინეთი (მაგალითად, Pei, 2020) და ირანი (მაგალითად, Faddis, 2020).

სამწუხაროდ, კურიოზულად უნდა ჩაითვალოს აშშ-ის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო მდივნის პოზიცია, რომელმაც მიიჩნია, რომ კორონავირუსის სანინააღმდეგო ვაქცინის შექმნა და გავრცელება, უმთავრესად, კერძო სექტორის, და არა მთავრობის, პრეროგატივა უნდა ყოფილიყო (Sachs, 2020). ამგვარი მიდგომა ძირშივე მცდარია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს პანდემიასთან, რასთან გამკლავებაც მთავრობის აქტიური მოქმედების გარეშე შეუძლებელია (Stiglitz, 2020). უფრო მეტიც, COVID-19-ის პანდემიამ დღის წესრიგში დააყენა საავტორო უფლებების დაცვის, პატენტების არსებული სისტემის გადახედვის აუცილებლობა, რადგანაც შესაძლოა, ამ ვირუსის სანინააღმდეგო ვაქცინის ფართოდ გავრცელებას სწორედ ეს სიტემა აღუდგეს წინ (Stiglitz, Jayadev, Prabhala, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსი, უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო პრობლემაა, მან 2020 წლის დასაწყისიდან მსოფლიოს ეკონომიკაზე იქონია უკიდურესად უარყოფითი გავლენა, რის გამოც მსოფლიოში ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაიწყო (Geller, Wiseman, Rugaber, 2020).

დღემდე ეკონომისტები, როგორც წესი, იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე (Maresso, Mladovsky, Thomson, et al., eds., 2015), მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა (WHO, 2011) და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებაზე (Suhrcke, Stuckler, Suk, et al., 2011).

მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ კი პირიქით დასვა საკითხი, რომ კორონავირუსი და მისი გლობალურად გავრცელე-

ბა უკვე არის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი (Geller, Wiseman, Rugaber, 2020), რომ კორონავირუსი, პრაქტიკულად, „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნება (Riley, 2020).

კორონავირუსის გავრცელების ეკონომიკაზე ზეგავლენის პრობლემაზე ყურადღების გამახვილების მიზნით, აჯით დე ალვისმა (Ajith de Alwis) შექმნა ახალი ტერმინი – „კორონომიკისი“ („Coronomics“). ის მიიღება ორი ტერმინის – „კორონა“ („Corona“) და „ეკონომიკისი“ („Economics“) – გაერთიანებით და კორონავირუსის ეკონომიკაზე ზეგავლენას შეისწავლის (Alwis, 2020). მოგვიანებით სხვა მსგავსი ტერმინიც – „კორონანომიკისი“ შეიქმნა („Coronanomics“) (Eichengreen, 2020).

კორონომიკისი აქტუალურობას არა მარტო ის განაპირობებს, რომ დღეს უკვე გამოცხადებულია კორონავირუსის პანდემია, არამედ ისიც, რომ ამ ტიპის გლობალური საფრთხეები, სავარაუდოდ, არც მომავალშია გამორიცხული და ამ პირობებში მსოფლიომ უნდა ისწავლოს ცხოვრება და ეკონომიკური საქმიანობა (Gigerenzer, 2020).

აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ მსოფლიო დგას არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს – კორონავირუსის – სწრაფი გავრცელებით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე მთელი მსოფლიო დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული კრიზისის, ახალი ტერმინით – „კორონომიკური კრიზისის“ („Coronomic Crises“) საფრთხის წინაშე (Papava, 2020). შესაბამისად, კორონავირუსის მასობრივმა გავრცელებამ ეკონომიკა მედიცინის მძევლად აქცია.

თავიდანვე შეუძლებელი გახდა, მედიკოსებს რაიმე დამაჯერებელი ეთქვათ კორონავირუსის დაძლევის და მისი გავრცელე-

ბის შეზღუდვის ძალისხმევის ეფექტიანობის შესახებ, რის გამოც მეტ-ნაკლებად მკაფიო ეკონომიკური პროგნოზების გაკეთება ეკონომიკური აგენტების შესაძლო ქცევასთან დაკავშირებით იმთავითვე ძალზედ რთული აღმოჩნდა (Carlsson-Szlezak, Reeves, Swartz, 2020).

აღსანიშნავია, რომ ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებასაც ყველაზე აქტიურად განიხილავენ ეკონომისტები, ძირითადად უკავშირდება 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებას (Hatheway, 2020). ამასთან ერთად აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ამ გლობალური კრიზისის წყარო უშუალოდ ეკონომიკაში იყო, მაშინ როცა კორონომიკური კრიზისი დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ კორონავირუსის დამარცხებაში მედიცინის წარმატებასთან. საყურადღებოა, რომ ამ ორ კრიზისს შორის მსგავსების ძიება შეცდომაა (Roach, 2020).

ასევე ძალზედ პირობითია კორონომიკური კრიზისის შედარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულ ეკონომიკურ კრიზისთან ან კომუნისტური რეჟიმების ჩამოშლის შემდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული იყო ქალაქები, ინფრასტრუქტურა, რაც, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდა მათ აღდგენას, მაშინ როცა კორონომიკური კრიზისის შემთხვევაში მსგავს ნგრევას საერთოდ არ ჰქონია ადგილი. პრინციპულად იგივე შეიძლება ითქვას კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებაშიც. კერძოდ, ამ ჩამოშლას მოჰყვა ერთი ეკონომიკური სისტემიდან (მბრძანებლური ეკონომიკიდან) მეორეზე (საბაზრო ეკონომიკაზე) გადასვლა, მაშინ როცა კორონომიკური კრიზისის პირობებში ეკონომიკური სისტემის ცვლილებას საერთოდ არ აქვს ადგილი და პრობლემა მდგომარეობს გარკვეული დროით შეჩერებული ეკონომიკის ამოქმედებაზე. თანაც, როგორც ზემოთ ითქვა, ახლო მომავალში მეტ-ნაკლებად მსგავსი პანდემიის განმეორების ალბათობა სუ-

ლაც არ არის გამორიცხული, მაშინ როცა კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლა ერთჯერადი აქტი იყო.

ერთ-ერთი პირველი, რაც კორონავირუსმა ეკონომიკაში დააზარალა, ტურისტული სექტორია. ასევე ზიანი მიადგა სამგზავრო ავიაგადაზიდვებს. საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებულმა ვარდნამ კი უშუალო ასახვა პოვა ეკონომიკის რეალურ სექტორზე. 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომისტების ხელთაა ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა საგადასახადო შეღავათების დაწესება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფით ღონისძიებების გატარება, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ნაწილის სოციალური დაცვის გაძლიერება. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გარდა, აშკარად პრიორიტეტულია მთავრობის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა. ის, თუ რამდენად საკმარისი იქნება ამ ღონისძიებების გატარება კორონომიკური კრიზისის პირობებში, დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა დრო დასაჭირდება კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატის, ასევე, შესაბამისი ვაქცინის შექმნას, დამზადებასა და გავრცელებას.

საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას, რაც პანდემიით მოცული ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოსტკრიზისული პრობლემა იქნება. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ის, თუ რა ტიპის ღონისძიებები უნდა გატარდეს კორონომიკური კრიზისის დროს და რა ტიპის – პოსტკრიზისულ პეროდში. ამ თვალსაზრისით კორონომიკური კრიზისის შერბილებისა და მისი დაძლევის ეკონომიკური მექანიზმების შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება (მაგალითად, Baldwin, Mauro, eds., 2020).

ის, რომ ეკონომიკა თითქმის გაჩერდა ჩინეთში, აშშ-სა და ევროპის არაერთ ქვეყანაში, პირდაპირ აისახა არა მარტო

მოთხოვნის შემცირებაზე, არამედ, კიდევ უფრო მეტად, მიწოდების შემცირებაზე (Rogoff, 2020).

მოთხოვნის შემცირებასთან შედარებით მიწოდების უფრო მეტად შემცირება უშუალოდ აისახება ინფლაციის ზრდაზე. მისი მოთოკვა ცენტრალური ბანკების ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები. ეს კი, თავის მხრივ, ისევ და ისევ უარყოფითად აისახება მიწოდებასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

მიწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაციის მოთოკვა იმ ცენტრალური ბანკებისთვის, რომლებიც გადასული არიან ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე, როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდის შეფერხების გარეშე შეუძლებელია (იხ. თავი 14). კორონომიკური კრიზისი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთ არგუმენტს მისცემს ეკონომისტებს იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ ვერ მუშაობს ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი განსაკუთრებით იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში (Stiglitz, 2008).

კორონავირუსის გავრცელებამ გარკვეული ბიძგი მისცა იმ იდეებს, რომლებიც ეწინააღმდეგება თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა აშკარაა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას, სწორედ პანდემიის პირობებში დაზარალებიან უფრო მეტად (Åslund, 2020; Frankel, 2020). იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გლობალური ფენომენია და კორონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა, იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისთვის აშკარად დამღუპველი გზაა. პირიქით, პოსტკრიზისულ პერიოდში აუცილებელია ღირებულებითი ჯაჭვებისა და მიწოდებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს პოტენციური რისკების შემცირება (Derviş, Strauss, 2020).

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩინეთში თავმოყრილი მსხვილი კომპანიების დეკონცენტრაცია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ რისკების შემცირებას,

რომლებიც დაკავშირებულია გლობალურ საფრთხეებთან.

კორონომიკური კრიზისის პირობებში ნათელი გახდა, რომ მსხვილი კომპანიებისათვის მიმზიდველი გახდა ჩინეთიდან თავიანთი ქარხნების გატანა (მაგალითად, Reynolds, Urabe, 2020). ამ ვითარებაში შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი გახდეს მსხვილი კომპანიების ქარხნების ჩინეთიდან გატანა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჩინეთთან უკვე აქვთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (China FTA Network, 2020).

ევროკავშირთან მიმართებით ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ისეთი ქვეყნები (მაგალითად, ისლანდია, საქართველო, შვეიცარია და სხვ.), რომელთაც თავისუფალი ვაჭრობა ერთდროულად აქვთ ევროკავშირთანაც და ჩინეთთანაც. თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად ევროკავშირსა და ჩინეთს შორისაა და ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სტრანსპორტო დერეფანში მდებარეობს. აქვე გასათვალისწინებელია აშშ-ის დაინტერესებაც, ჰქონდეს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (Rapozza, 2020). საქართველოს გამოყენება რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად (ისმაილოვი, პაპავა, 2007, გვ. 170-176) კი პოსტკრიზისული განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს (პაპავა, ჭარაია, 2020; Papava, 2020).

### გამოყენებული ლიტერატურა

- ასათიანი რ.,** 2013. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა: საკითხის დასმის წესით. თბილისი, „სიახლე“.
- ასათიანი რ.,** 2018. „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ – XXI საუკუნის ახალი პარადიგმა. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6.
- ბალარჯიშვილი ი.,** 2018. პარადიგმული კრიზისი და ინსტიტუციური ეკონომიკის „მეინსტრუმული“ პოტენციალი. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6.

- ბედიანაშვილი გ.**, 2018. კულტურა როგორც ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორი პარადიგმული ცვლილებების სისტემური ინსტიტუციური კონტექსტით. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, № 6.
- თოქმაზიშვილი მ.**, 2018. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, № 5.
- ისმაილოვი ე.**, პაპავა ვ., 2007. *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები*. თბილისი, „დიოგენე“.
- ლეიაშვილი პ.**, 2017. *ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი*. თბილისი, „სიასლე“.
- მექვაბიშვილი ე.**, 2018. ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური თეორიის კრიზისი? *გლობალიზაცია და ბიზნესი*, № 6.
- პაპავა ვ.**, 1991. თეორიული ეკონომიკის საკითხისათვის. *ეკონომიკა*, № 7-8.
- პაპავა ვ.**, 2018. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, № 6.
- პაპავა ვ.**, ჭარაია ვ., 2020. *კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა*. GFSIS, ექსპერტის აზრი, № 136, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>.
- სილაგაძე ა.**, 2010. *ეკონომიკური დოქტრინები*. თბილისი, ინოვაცია.
- ხარბედია რ.**, 2018. ეკონომიკური პრობლემები თუ ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, № 6.
- ხარიტონაშვილი ჯ.**, 1997. *ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები*, წიგნი 1, წიგნი 2. თბილისი, საქპროფგამი.
- ხარიტონაშვილი ჯ.**, 2019. *ეკონომიკური აზრის ისტორია*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შაფათავა დ.**, 2018. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი როგორც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ანარეკლი. მიდგომები და დაშვებები. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, № 6.
- Alwis A. de.**, 2020. *Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!* *Daily FT*, February 25, <http://www.ft.lk/columns/oronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>.
- Ananiashvili I., Papava V.**, 2014. *Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium*. New York, Nova Science Publishers.
- Åslund A.**, 2020. *Trump's Global Recession*. *Project Syndicate*, March 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/>

donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03.

- Baldwin R.**, Mauro B. W. di, eds., 2020. *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London, CEPR Press, [https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEgS1\\_3J88oedtd1G3CARE4S0PFD5mOFJeSzH5tfEi6Odu55Fx8](https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEgS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFD5mOFJeSzH5tfEi6Odu55Fx8).
- Barber W. J.**, 2009. *A History of Economic Thought*. Middletown, Wesleyan University Press.
- Bedianashvili G.**, 1995. *State, Power Structure and Socio-Economic Reforming of Society*. Tbilisi, Metsniereba.
- Birks S.**, 2016. *40 Critical Pointers for Students of Economics*. London, College Publications.
- Bookstaber R.**, 2017. *The End of Theory. Financial Crises, the Failure of Economics, and the Sweep of Human Interaction*. Princeton, Princeton University Press.
- Brockway G. P.**, 1995. *The End of Economic Man*. New York, W. W. Norton and Co.
- Buchanan J. M.**, 1979. *What Should Economists Do?* Indianapolis, Liberty Fund.
- Carlsson-Szlezak P.**, Reeves M., Swartz P., 2020. What Coronavirus Could Mean for the Global Economy. *Harvard Business Review*, March 3, <https://hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy>.
- China FTA Network**, 2020. China's Free Trade Agreements. *Ministry of Commerce, PRC*, April 27, [http://fta.mofcom.gov.cn/english/fta\\_qianshu.shtml](http://fta.mofcom.gov.cn/english/fta_qianshu.shtml).
- Davies H.**, 2010. *The Financial Crisis: Who is to Blame?* Cambridge, The Polity Press.
- Derviş K.**, Strauss S., 2020. What COVID-19 Means for International Cooperation. *Project Syndicate*, March 6, [https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-ke-mal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1-sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-ke-mal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Devitt M.**, Sterelny K., 1999. *Language and Reality: An Introduction to the Philosophy of Language*. Oxford, UK, Wiley-Blackwell.
- Eichengreen B.**, 2020. Coronanomics 101. *Project Syndicate*, March 10, [https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm\\_](https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_)

source=Project+Syndicate+Newsletter&utm\_campaign=cba7e1c6a1-sunday\_newsletter\_15\_03\_2020&utm\_medium=email&utm\_term=0\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\_cid=cba7e1c6a1&mc\_eid=e9fb6cbcc0.

- Ekelund R. B. Jr., Hébert R. F.,** 2013. *A History of Economic Theory and Method*. Long Grove, Waveland Press.
- Faddis C. S.,** 2020. Coronavirus: The True Face of Iran. *The Hill*, March 3, <https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran>.
- Frankel J.,** 2020. Will the Coronavirus Trigger a Global Recession? *Project Syndicate*, February 24, [https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jef-frey-frankel-2020-02?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=11fa1362d7-sunday\\_newsletter\\_01\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc\\_cid=11fa1362d7&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jef-frey-frankel-2020-02?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Fullbrook E.,** 2016. *Narrative Fixation in Economics*. London, College Publications.
- Gasimli V.,** 2015. *Geo-economics*. Eskişehir, Anadolu University, <http://sam.az/uploads/PDF/Geo-Economic.pdf>.
- Geller A., Wiseman P., Rugaber C.,** 2020. Outbreak Starts to Look More Like Worldwide Economic Crisis. *Herald Tribune*, February 28, <https://www.heraldtribune.com/business/20200228/outbreak-starts-to-look-more-like-worldwide-economic-crisis/>.
- Ghebreyesus T. A.,** 2020. WHO Director-General’s Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 – 11 March 2020.” *World Health Organization*, March 11, <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020>.
- Gigerenzer G.,** 2020. Why What Does Not Kill Us Makes Us Panic. *Project Syndicate*, March 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03>.
- Hatheway L.,** 2020. A COVID-19 Emergency Response Plan. *Project Syndicate*, February 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02>.
- Heilbroner R., Milberg W.,** 1996. *The Crisis of Vision in Modern Economic Thought*. Cambridge, Cambridge University Press.
- Hey D. eds.,** 1992. *The Future of Economics*, D. Hey eds. Oxford, Blackwell.

- Hicks R. E.**, Klages W. J., Raffa F. A., eds., 1971. *Economics: Myth, Method, or Madness? Selected Readings*. Berkeley, CA, McCutchan Publishing Corporation.
- Hill R.**, Myatt T., 2010. *The Economics Anti-Textbook: A Critical Thinker's Guide to Microeconomics*. Halifax, Fernwood Publishing.
- Hsieh C.-Y.**, Magnum S. L., 1986. *A Search for Synthesis in Economic Theory*. Armonk, M. E. Sharpe.
- Hunt E. K.**, Lautzenheiser M., 2015. *History of Economic Thought*. New York, Routledge.
- Kanth R. K.**, 1997. *Against Economics. Rethinking Political Economy*. Aldershot, Ashgate.
- Kvinikadze G.**, 2017. Conceptualization of Geo-Economic Threats in Small Countries with Transition Economies. *Economic and Regional Studies*, Vol. 10, No. 3, <http://ers.edu.pl/OJS/index.php/erspl/article/view/315>.
- Langdana F. K.**, 2010. *Macroeconomic Policy: Demystifying Monetary and Fiscal Policy*. New York, Springer Science+Business Media.
- Leishvily P.**, 2012. *Economic Activity: Teleological Analysis*. New York, Nova Science Publishers.
- Maresso A.**, Mladovsky P., Thomson S., Sagan A., Karanikolos M., Richardson E., Cylus J., Evetovits T., Jowett M., Figueras J., Kluge H., eds., 2015. *Economic Crisis, Health Systems and Health in Europe. Country experience*. Copenhagen, World Health Organization, [http://www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0010/279820/Web-economic-crisis-health-systems-and-health-web.pdf?ua=1](http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0010/279820/Web-economic-crisis-health-systems-and-health-web.pdf?ua=1).
- Marqués G.**, 2016. *A Philosophical Framework for Rethinking Theoretical Economics and Philosophy of Economics*. London, College Publications.
- Marsonet M.**, 1995. *Science, Reality, and Language*. Albany, State University of New York Press.
- McCloskey D. N.**, 2010. *Bourgeois Dignity: Why Economics can't Explain the Modern World*. Chicago, The University of Chicago Press.
- Medema S. G.**, 2013. *The History of Economic Thought*. New York, Routledge.
- Mishan E. J.**, 1986. *Economic Myths and the Mythology of Economics*. Atlantic Highlands, NJ, Humanities Press International.
- Niehans J.**, 1994. *A History of Economic Theory: Classic Contributions, 1720-1980*. Baltimore, Johns Hopkins University Press.
- Offer A.**, Söderberg G., 2016. *The Nobel Factor: The Prize in Economics, Social Democracy, and the Market Turn*. Princeton, Princeton University Press.

- Paarlberg D.**, 1968. *Great Myths of Economics*. New York, The New American Library.
- Papava V.**, 1996. The Georgian Economy: From “Shock Therapy” to “Social Promotion.” *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.
- Papava V.**, 2018. The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, No. 3-4 (98-99), [http://www.e-transformacje.pl/archiwum/transformacje\\_3-4\\_2018.pdf](http://www.e-transformacje.pl/archiwum/transformacje_3-4_2018.pdf).
- Papava V.**, 2020. Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. *Eurasia Review. Journal of Analysis and News*, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.
- Pei M.**, 2020. Will the Coronavirus Topple China’s One-Party Regime? *Project Syndicate*, March 4, [https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-china-political-consequences-by-minxin-pei-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=5a74e31e27-sunday\\_newsletter\\_08\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc\\_cid=5a74e31e27&mc\\_eid=e9fb6cbcc0\)%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20\(https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran](https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-china-political-consequences-by-minxin-pei-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5a74e31e27-sunday_newsletter_08_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc_cid=5a74e31e27&mc_eid=e9fb6cbcc0)%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20(https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran).
- Pilkington P.**, 2016. *The Reformation in Economics. A Deconstruction and Reconstruction of Economic Theory*. London, The Palgrave Macmillan.
- Reynolds I.**, Urabe E., 2020. Japan to Fund Firms to Shift Production Out of China. *Bloomberg*, April 8, <https://www.bloomberg.com/news/articles/2020-04-08/japan-to-fund-firms-to-shift-production-out-of-china>.
- Roach S. S.**, 2020. The False Crisis Comparison. *Project Syndicate*, March 19, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-crisis-nothing-like-2008-by-stephen-s-roach-2020-03>.
- Rapoza K.**, 2020. Why Does Everyone Suddenly Want A Free Trade Deal With Georgia? *Forbes*, March 5, <https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/03/05/why-does-everyone-suddenly-want-a-free-trade-deal-with-georgia/#5a3f7e3850e6>.
- Riley C.**, 2020. “Coronavirus is Fast Becoming an ‘Economic Pandemic.’” *CNN Business*, February 25, <https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html>.
- Rodrik D.**, 2014. The Perils of Economic Consensus. *Project Syndicate*, August 14 <https://www.project-syndicate.org/commentary/dani-ro>

drik-warns-that-agreement-among-economists-can-create-an-illusion-of-certain-knowledge?utm\_source=MadMimi&utm\_medium=email&utm\_content=Dani+Rodrik%3a+%22The+Perils+of+Economic+Consensus%22&utm\_campaign=20140817\_m121761177\_Dani+Rodrik%3a+%22The+Perils+of+Economic+Consensus%22&utm\_term=The+Perils+of+Economic+Consensus&barrier=accessreg.

**Rodrik D.**, 2015a. *Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science*. New York, W. W. Norton & Company.

**Rodrik D.**, 2015b. Economists vs. Economics. *Project Syndicate*, September 10, [https://www.project-syndicate.org/commentary/economists-versus-economics-by-dani-rodrik-2015-09?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=be2a176f93-Sept\\_13\\_20159\\_5\\_2015&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-be2a176f93-93567601&barrier=accessreg](https://www.project-syndicate.org/commentary/economists-versus-economics-by-dani-rodrik-2015-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=be2a176f93-Sept_13_20159_5_2015&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-be2a176f93-93567601&barrier=accessreg).

**Rogoff K.**, 2020. That 1970s Feeling. *Project Syndicate*, March 2, <[https://www.project-syndicate.org/commentary/next-global-recession-hits-the-supply-side-by-kenneth-rogoff-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=5a74e31e27-sunday\\_newsletter\\_08\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc\\_cid=5a74e31e27&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/next-global-recession-hits-the-supply-side-by-kenneth-rogoff-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5a74e31e27-sunday_newsletter_08_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc_cid=5a74e31e27&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

**Sachs J.**, 2020. The Trump Administration's Ludicrous Approach to Coronavirus Vaccine. *CNN Opinion*, March 5, <https://edition.cnn.com/2020/03/05/opinions/ludicrous-plan-coronavirus-vaccine-opinion-sachs/index.html>.

**Sandmo A.**, 2011. *Economics Evolving: A History of Economic Thought*. Princeton, Princeton University Press.

**Screpanti E.**, Zamagni S., 2005. *An Outline of the History of Economic Thought*. New York, Oxford University Press.

**Shiller R. J.**, 2019. *Narrative Economics. How Stories Go Viral & Drive Major Economic Events*. Princeton, Princeton University Press.

**Silagadze A.**, Atanelashvili T., Silagadze N., 2019. *Economic Doctrines: The Origins*. New York, Nova Science Publishers.

**Skidelsky R.**, 2016. Economists versus the Economy. *Project Syndicate*, December 23, <https://www.project-syndicate.org/commentary/mathematical-economics-training-too-narrow-by-robert-skidelsky-2016-12>.

**Söderbaum P.**, 2017. Do We Need A New Economics for Sustainable Development? *Real-World Economics Review*, Issue No. 80, <http://www.pae-con.net/PAERReview/issue80/Soderbaum80.pdf>.

**Solberg Sølilen K.**, 2012. *Geoeconomics*. London, Bookboon, <https://bookboon.com/en/geoeconomics-ebook>.

- Staveren I. van**, 2015. *Economics After the Crises. An Introduction to Economics from a Pluralist and Global Perspective*. London, Routledge.
- Stiglitz J. E.**, 1992. Another Century of Economic Science. In: *The Future of Economics*, D. Hey eds. Oxford, Blackwell.
- Stiglitz J. E.**, 2008. The Failure of Inflation Targeting. *Project Syndicate*, May 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-failure-of-inflation-targeting?barrier=accesspaylog>.
- Stiglitz J.**, 2010a. An Agenda for Reforming Economic Theory. *YouTube*, April 23, [https://www.youtube.com/watch?v=L9KAd\\_nqINY](https://www.youtube.com/watch?v=L9KAd_nqINY).
- Stiglitz J.**, 2010b. Needed: A New Economic Paradigm. *Financial Times*, August 20, <https://www.ft.com/content/d5108f90-abc2-11df-9f02-00144feabdc0>.
- Stiglitz J.**, 2011. Joseph Stiglitz on Macroeconomics in Crisis. *YouTube*, 2011, <https://www.youtube.com/watch?v=SOxCMc9-1Cc&app=desktop>.
- Stiglitz J. E.**, 2020. Plagued by Trumpism. *Project Syndicate*, March 9, [https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1-sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Stiglitz J. E.**, Jayadev A., Prabhala A., 2020. Patents vs. the Pandemic. *Project Syndicate*, April 23, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-drugs-and-vaccine-demand-patent-reform-by-joseph-e-stiglitz-et-al-2020-04>.
- Suhrcke M.**, Stuckler D., Suk J. E., Desai M., Senek M., McKee M., Tsolova S., Basu S., Abubakar I., Hunter P., Rechel B., Semenza J. C., 2011. The Impact of Economic Crises on Communicable Disease Transmission and Control: A Systematic Review of the Evidence." *PLoS ONE*, June 10, <https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0020724>.
- Syll L. P.**, 2016. *On the Use and Misuse of Theories and Models in Mainstream Economics*. London, College Publications.
- Tittenbrun J.**, 2013. The Death of the Economic Man. *International Letters of Social and Humanistic Sciences*, Vol. 11, <https://www.scipress.com/ILSHS.11.10.pdf>.
- Tuerck D. G.**, 2015. *Macroeconomics: Integrating Theory, Policy and Practice for a New Era*. New York, Business Expert Press.
- Turner A.**, 2012. *Economics after the Crises. Objectives and Means*. Cambridge, The MIT Press.

- WHO**, 2011. *Impact of Economic Crises on Mental Health*. Copenhagen, World Health Organization, [http://www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0008/134999/e94837.pdf?ua=1](http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0008/134999/e94837.pdf?ua=1).
- Базилевич В. Д.**, 2016. Экономическая наука и образование в эпоху системных трансформаций: новые вызовы и запросы к фундаментальной теории. *Экономика Украины*, № 8.
- Бьюкенен М.**, 2014. *Как, наблюдая за погодой, научиться предсказывать экономические кризисы*. Москва, Азбука Бизнес, Азбука-Аттикус.
- Гуриев С.**, 2010. *Мифы экономики: Заблуждения и стереотипы, которые распространяют СМИ и политики*. Москва, «Юнайтед Пресс».
- Дергачев В.**, 2002. *Геоэкономика (Современная геополитика)*. Киев, ВИРА-Р.
- Капелюшников Р. И.**, 2018. О современном состоянии экономической науки: полусоциологические наблюдения. *Вопросы экономики*, № 5.
- Ким В. В.**, Блажевич Н. В., 1998. *Язык науки: Философско-методологические аспекты*. Екатеринбург, Банк культурной информации, [http://elar.urfu.ru/bitstream/10995/3588/2/philos\\_edu\\_4.pdf](http://elar.urfu.ru/bitstream/10995/3588/2/philos_edu_4.pdf).
- Кочетов Э. Г.**, 1999. *Геоэкономика (Освоение мирового экономического пространства)*. Москва, Издательство БЕК.
- Кругман П.**, 2013. *Выход из кризиса есть!* Москва: Азбука Бизнес, Азбука-Аттикус.
- Папава В.**, 1992. О некоторых проблемах экономической науки на современном этапе. *Вопросы экономики*, № 1.
- Папава В.**, 2018. О кризисе в экономической науке и путях выхода из него. *Экономика Украины*, № 10.
- Родрик Д.**, 2017. *Экономика решает: сила и слабость «мрачной науки»*. Москва, Издательство Института Гайдара.
- Стиглиц Дж.**, 2010. Экономисты виноваты в кризисе, но есть шанс исправить дело. *Институт проблем предпринимательства*, 5 октября, <https://www.ippnou.ru/article.php?idarticle=008769>.
- Хейлбронер Р.**, 1993. Научный анализ и видение в истории современной экономической мысли. *Вопросы экономики*, № 11.

გარეკანის გაფორმებაში გამოყენებულია  
დავით კაკაბაძის **აბსტრაქცია ნავეზის ფორმებით, 1921**  
იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეა

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/89146/1/Kakabadze\\_17.jpg](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/89146/1/Kakabadze_17.jpg)

Text Editor: Sesili Khanjaladze	<b>რედაქტორი</b> <b>სესილი ხანჯალაძე</b>
Georgian Text Editor: Dali Germanishvili	<b>გამომცემლობის რედაქტორი:</b> <b>დალი გერმანიშვილი</b>
Typesetting Lela Tsiklauri	<b>კომპიუტერული უზრუნველყოფა</b> <b>ლელა წიკლაური</b>
Cover Designer Mariam Ebralidze	<b>გარეკანის დიზაინი</b> <b>მარიამ ებრალიძე</b>



0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: +995 (32) 2250484, # 6284; #6278  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)